GEORGIA PATRIARCHATE
ECCLESIASTIC ART STUDIES CENTRE

GIORGI BOCHORIDZE

CHURCHES, MONASTERIES AND ANTIQUITIES OF KARTLI

EDITED BY
ZAZA SKHIRTLADZE AND NATALIA CHITISHVILI

IN COLLABORATION WITH INGA GOGOBERISHVILI

TBILISI
2011

საქართველოს საპატრიარქოს
საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრი

გიორგი ბოჭორიძე

ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები

გამოსაცემად მოამზადეს
ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა

ინგა გოგობერიშვილის მონანილეობით

თბილისი
2011

წიგნი დაიბეჭდა საქველმოქმედო ფონდ *ცისკარის*
ფინანსური მხარდაჭერით

საავტორო უფლებები დაცულია

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლებების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე

ყდაზე: წირქოლის წმ. გიორგის ეკლესია (სალომე მელაძის ფოტო)

© ზ. სხირტლაძე, ნ. ჩიტიშვილი 2011

ISBN 978-9941-0-4419-9

შესავალი

გიორგი ბოჭორიძის წიგნები გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ზედიზედ გამოქვეყნდა.[1] მოკლედ დაიწერა მისი ტრაგიკული ცხოვრების ცალკეული ეტაპებისა და გაწეული სამუშაოს თაობაზეც. ამასთანავე ნათელია, რომ გიორგი ბოჭორიძის ღვაწლი ჯერ კიდევ სათანადოდ შეუფასებელია, ხოლო მისი ნაშრომები ბოლომდე აღუნუსხავ-გამოუქვეყნებელი.

საეკლესიო მსახურების იძულებით დატოვების შემდეგ ისტორიკოსის პროფესიას დაუფლებული გიორგი ბოჭორიძე, როგორც საქართველოს ცენტრალური არქივის თანამშრომელი, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე მოგზაურობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ერთი უმთავრესი მიზნით – შეძლებისდაგვარი სისრულით აღენუსხა და გადაერჩინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. იმხანად უცხოეთში გადახვეწილი ექვთიმე თაყაიშვილის კვალად, სწორედ მას ერგო ეს ტვირთი – უაღრესად მნიშვნელოვანი, ამასთან იმხანად ძალზე სარისკო და საშიში, რევოლუციით მოტანილ, სიბნელითა და სისასტიკით აღბეჭდილ ეპოქაში – სწორედ ამას შეეწირა კიდეც იგი ტრაგიკულ 1930 წლებში. სირთულეების თაობაზე თავადაც არაერთხელ აღუნიშნავს: „ძრავალი ჭირი და განსაცდელი გადავიტანე ამ მოგზაურობათა დროს. სამ წელიწად-ნახევარი გარემხრობა, ზამ-

---

[1] გ. ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში* (თბილისი, 1992); გ. ბოჭორიძე, *თუშეთი* (თბილისი, 1993); გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები* (თბილისი, 1994); გ. ბოჭორიძე, *იმერეთის ისტორიული ძეგლები* (თბილისი, 1995).

თრის სიცივე და ზაფხულის სიცხე. ისიც სულ მცირედი თანხით და სულ ფეხით სიარული, დღეში 16–18 საათის მუშაობა, 9–10–ჯერ სიცოცხლის საფრთხის თავიდან აცილება. ყველა ეს ძალ-ღონის და ნებისყოფის უდიდეს და უაღრეს დაჭიმვას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ყველა სიმძიმე და დაბრკოლება დაძლეული და-ჭადაღახული იქნა და საქმე მთლიანად იქნა შესრულებული".[2] მართლაც, 1921–დან 15 წლის განმავლობაში მისი თავგანწირული მცდელობის შედეგად აღინუსხა და შეგროვდა ათასობით სიძველე – ეკლესიები და მათი მოხატულობები, ფერწერული თუ ჭედური ხატები, საეკლესიო ნივთები და ნაქარგობა, ხელნაწერები და დოკუმენტები. აღწერებთან ერთად, აშკარა დაღუპვის საფრთხის პირას მყოფ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან წამოღებულ სიძველეებს გიორგი ბოჭორიძე ძირითადად გადასცემდა ქუთაისის და თბილისის მუზეუმებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალურ არქივს, სადაც ისინი დღესაც ინახება. ხდებოდა ისეც, რომ ეს სიძველეები გადაეცემოდა იმჟამინდელ ადგილობრივ მმართველობას, ან მოსახლეებს – ასეთთა კვალი დღეს, უმეტესწილად, აღარ ჩანს...

წლების მანძილზე გიორგი ბოჭორიძემ თავი მოუყარა ძველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ოდენობით თუ მნიშვნელობით სწორუპოვარ მასალებს, თუმცა კი სიცოცხლეში სულ რამდენიმე ნარკვევის გამოქვეყნება მოასწრო;[3] ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მთელი თავისი ძალები და დრო უმთავრეს მისიას – საქართველოს სიძველეთა აღნუსხვას და მათ გადარჩენას დაუთმო.

გიორგი ბოჭორიძის ნაშრომ-ნაღვაწს გაცნობა მრავალმხრივ განცდებს აღძრავს. დროის შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზე მან შეძლო ის, რასაც სხვები, ალბათ, ათწლეულები მოანდომებდნენ. მის მიერ აღნუსხულ-აღწერილის გაცნობისას ცხადად წარმოჩნდება ეპოქა – კულტურისადმი, კულტურული მემკვიდრეობისადმი, წანამძღვრებისადმი მეტწილად დაუნდობლობითა და სისასტიკით ნიშანდებული. აკი ამიტომაცაა, რომ ერთხელ აღნუსხულის ხელმეორედ ნახვი-

---

[2] გ. ბოჭორიძე, *თუ შეთი*, გვ. 3–4.

[3] გ. ბოჭორიძე, ორი ფიქალწერილი, *სძ*, №1 (1925), გვ. 96–106; მისივე, ფურცელაანთეული ქრონიკა, *სძ*, №1 (1925), გვ. 176–181; მისივე, ჯვარისას ძეგლი, *სა*, III, (1927), გვ. 206–208; მისივე, რაჭის ისტორიული ძეგლები, *სძმ*, ტ. V (1929), გვ. 163–222, VII (1933), გვ. 203–260, VIII (1935), გვ. 289–338; მისივე, ანდერძი პაპუა მაღალაძისა 1681 წლისა, *სძმ*, IX–B (1936), გვ. 51–58.

სას გიორგი ბოჭორიძეს ხშირად უხდებოდა იმის ხაზგასმა, რომ ძეგლი ან დაზიანებული იყო, ან საერთოდ განადგურებულ-გამქრალი.

უმთავრესი, რაც გიორგი ბოჭორიძისეულ მასალებში – საარქივო დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში – ჩანს, ეს მისი სწორუპოვარი სურვილი და მზაობაა, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთადერთი მიზნის განსახორციელებისათვის – ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად და შეძლებისდაგვარად სრული სახით წარმოსაჩენად. ყოველივე ეს შეუძლებელი იყო გამორჩეული შინაგანი ძალის, თავგანწირვის თანაფარდი შემართების გარეშე და ეს მან შეძლო – გადაარჩინა მრავალი ასეული ძეგლი, ბეერად მეტი კი ნაწერებით შემოუნახა შთამომავლობას, თუმცა თვითონ შეეწირა იმ საქმეს, რასაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა.

1920-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად გიორგი ბოჭორიძემ რამდენჯერმე იმოგზაურა ქართლის თითქმის ყველა კუთხეში, აღნუსხა იქაური ძეგლები. საარქივო მასალებით ცხადი ხდება, რომ იგი ქართლში სისტემატიურად მოგზაურობდა, ხშირად ერთსა და იმავე კუთხეს, სოფელს რამდენჯერმე ეწვეოდა – ამის შედეგად ხდებოდა იმის დაზუსტება-დადასტურება, თუ რა ბედი ეწია ამა თუ იმ ძეგლს. მისი ყველა მოგზაურობის თარიღი უცნობია, თუმცა ზოგან წლები მაინცაა მითითებული: 1924 წ. (კორნითა), 1929 წ. სექტემბერი (თეზი, დადიანეთი); 1931 წ. (ჯარები, ვანათი და სხვ.), 1937 წ. (შინდისი – როგორც ჩანს, ეს მისი ერთ-ერთი ბოლო მოგზაურობა იყო). ეს მასალები, თავისი ხასიათით, ქვეყნის სხვა კუთხეების სიძველებისადმი მიძღვნილ ნაშრომების თანაგვარია – მონაცემებში მითითებულია ძეგლის მდებარეობა (სოფლის ან დაბის მიხედვით), სახელდება, ზომები, აღნაგობა, სამშენებლო მასალა, ცალკეული ხუროთმოძღვრული მახასიათებლები, მოკლედ აღწერილია რელიეფური თუ ფერწერული შემკულობა; იქ დაცული სიძველეები; მოტანილია როგორც განმარტებითი, ისე ისტორიული შინაარსის წარწერები; იშვიათად მითითებულია ძეგლის შექმნის სავარაუდო პერიოდი. ძეგლების მეორედ ნახვისას ავტორს ბევრი მათგანი უკვე დაზიანებული ან სულაც დანგრეული ხვდებოდა – მის ნაწერებში ესეცაა აღნუსხული. ყოველივე

ეს მნიშვნელოვანია იმ უმძიმესი ვითარების წარმოსაჩენად, რომელმაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის საგრძნობი ნაწილი შეიწირა.

გიორგი ბოჭორიძის მიერ შიდა ქართლში აღწერილ ძეგლთა – როგორც ეკლესიების, ისე ნივთების – ოდენობა 1800-ს აღემატება (დაახლოებით 250-მდე ეკლესია თუ ციხე, 1600-მდე ნივთი). ნაწილი ტაძრებისა, რომელსაც გ. ბოჭორიძე აღწერს, იმხანად უკვე დაზიანებული იყო, ზოგი მათგანი – თითქმის ნანგრევად ქცეული. ანტირელიგიურ მოძრაობას შიდა ქართლში სხვა სირთულეებიც დაემატა: ამის თაობაზე თავის მოხსენებით წერილებში გიორგი ბოჭორიძე პირდაპირ წერდა, მიუთითებდა ქვეყნის გულში მდებარე ვრცელი რეგიონის – იმხანად კომუნისტური რეჟიმის მიერ უკვე „სამხრეთ ოსეთად" ფორმირებულ-სახელდებულის – ქართული კულტურული მემკვიდრეობის საგანგებო მოსპობაზე, ეკლესიებისა და ციხეების, სასახლეების სავალალო ბედზე, ადგილობრივი ქართველობის დაბეჩავებულ მდგომარეობაზე. მისი მითითებით, შიდა ქართლის მკვიდრთა ასეთი სულიერი მდგომარეობა გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით: „იმ პერიოდში საქართველო თითქმის ერთ საუკუნეზე მეტ ხანს სულიერი მწყემსის გარეშე იყო დარჩენილი, ეკლესიებში წირვა-ლოცვა რუსულად აღესრულებოდა. ქართველების უმეტეს ნაწილს რუსული არ ესმოდა და ხალხი ეკლესიის წიაღს წყდებოდა". ამას ემატებოდა სხვა გარემოებაც: „როცა ეკლესია იკეტებოდა, აქტი ყოველგვარი სისტემის გარეშე სდგებოდა, ეკლესიას ჰკეტავდა ხან კომკავშირი, ხან აღმასკომი, ხან კვლავ სხვა დაწესებულება. ქონება ნაწილობრივ დატოვებულია ეკლესიაში, ნაწილი გადატანილია აღმასკომის და კომკავშირის ბინებზე, სიები შედგენილია არაწესიერად". ცხადია, ეს გარემოებები კიდევ უფრო ცხადყოფდა ამ მხარის კულტურული მემკვიდრეობისადმი ყურადღების საგანგებოდ გამახვილების აუცილებლობას. მომდევნო ათწლეულებში ეს არ განხორციელდა; უფრო სწორად, მოხდა საპირისპირო, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა.

ქართლის სიძველეების თაობაზე გ. ბოჭორიძის მიერ თავმოყრილი მასალები საქართველოს ეროვნულ არქივში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ეს მასალები სხვადასხვაგვარია თავისი

შედგენილობით, ისევე როგორც სრულყოფილებითა და ხასიათით: წიგნაკებში შესრულებულ აღწერილობათა გვერდით არის ჩანაწერები ცალკეულ ფურცლებზე. ნაწერები სხვადასხვა რიგისაა – ძირითადაა ესაა ქართლის ამა თუ იმ კუთხის ძეგლთა რიგად მოცემული აღწერები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, №№35, 47, 48, 50, 55, 57, 60; საქართველოს ეროვნული არქივი, №№109, 117); ზოგან აღწერილია მხოლოდ ერთი ძეგლი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, №№47, 49, 51, 52, 53), ან მოტანილია მხოლოდ მისი წარწერა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, №44, 61); ავტორისეულ ჩანაწერებში გარკვეულწილად გამორჩეულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის №54 – ზღუდერის ეკლესიის აღწერა; იგი განსხვავდება გ. ბოჭორიძისეული სხვა აღწერებისგან – ავტორს თავი მოუყრია გარკვეული მასალისათვის და მის მიხედვით ახასიათებს ოსტატთა ნიშნებს (ლადიშის წმ. გიორგის ეკლესიის, ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიის, იმერეთის ზედა საქარას „გულბანდიანის“ ეკლესიის, დიდი ლიახვის ხეობის კროჟას ეკლესიის, ხევის სოფელ ფხელშეს მასალების მიხედვით); ამგვარი ნიშნები დიდი რაოდენობითაა მოხმობილი თავად ზღუდერის ეკლესიიდანაც.[6]

მასალების უმეტესობა უთარიღოა; ნაწილი შემდგომშია ნასწორები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ავტორი მათ გამოსაცემად ამზადებდა.[7] შესაძლოა, ავტორს უკვე ჰქონდა კიდეც გამოსაქვეყნებლად გამზადებული ტექსტი, თუმცა მისი კვალი დღეს არსად ჩანს. ჩანაწერებიდან ისიც ცხადი ხდება, რომ აღწერებს, ნახაზებთან და ჩანახატებთან ერთად, ერთვოდა ფოტოებიც; დღეს არც მათ შესახებაა ცნობილი რამე.

ქართლის ეკლესია-მონასტრებისა და სიძველეების აღწერები, ისევე როგორც მათთან დაკავშირებული დოკუმენტები გიორგი ბოჭორიძის პირადი არქივის შემდეგ საქმეებშია თავმოყრილი:

---

[6] საქმეში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (საქმე № 54), მითითებულია, რომ ესაა ცხინვალის ზღუდერი, თუმცა რეალურად საუბარია ძამას ხეობის ზღუდერზე. გ. ბოჭორიძე ამის თაობაზე თვითონვე წერს (იხ. გვ. 166).

როგორც ჩანს, გ. ბოჭორიძის მიერ ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული აღწერების გარკვეული რაოდენობა ადრევე დაკარგა. მკვლევარის არქივში არის ფურცელი, რომელზე ნაწერ ტექსტსაც აკლია დასაწყისი; იგი არ ჩანს არც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, არც საქართველოს ეროვნულ არქივში.

ა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

№35. კასპისა და ახალგორის რაიონების ძეგლებისა და სიძველეების აღწერები. უბის წიგნაკი, უთარიღო, 58 ფ.; წიგნაკში შესული ჩანაწერები შესრულებულია ფანქრით, ხოლო შემდეგ კალმითაა გადახაზულ-ჩასწორებული. ჩანს, გ. ბოჭორიძემ გადაათეთრა საავლე ჩანაწერები და და გამოსაცემად ამზადებდა მათ.

№44. შინდისის ეკლესიის წარწერა. 1937 წლის 12 ივნისი, 3 ფ.

№47. ხაშურის, ქარელის, კასპის ახალგორის ძეგლთა აღწერები. ჩანაწერები შესრულებულია ცალ-ცალკე ფურცლებზე, უთარიღო, 129 ფ. ამავე საქმეში ჩართულია ფურცლები ყაზბეგის რაიონის ძეგლთა აღწერილობებით.

№48. გორის, ცხინვალისა და ზნაურის რაიონების ცაკლეულ ძეგლთა აღწერები. მასალები ამ საქმეშიც ცალ-ცალკე ფურცლებადაა. უთარიღო, 64 ფ.

№49 კორინთას ეკლესიის აღწერა. უთარიღო, 7 ფ.

№50. რამდენიმე ეკლესიისა და მათი სიძველეების აღწერები, უთარიღო, 7 ფ.

№51. ცხავატის წმინდა გიორგის ეკლესიის აღწერა, წარწერებით. უთარიღო, 3 ფ.

№52. ახალგორის წმ. გიორგის ეკლესიის აღწერა, უთარიღო, 4 ფ.

№53. ქვათახევის მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის აღწერა. უთარიღო, 7 ფ.

№54. ზღუდერის ეკლესიის აღწერა, ჩანახატებით. უთარიღო, 7 ფ.

№55. ისტორიული ხასიათის ჩანაწერები, წარწერები ეკლესიებზე და სხვა. საერთო რვეული, უთარიღო, 36 ფ.

№57 არქეოლოგიურ-ისტორიული ჩანაწერები. საერთო რვეული, უთარიღო, 67 ფ.

№60 შავი ჩანაწერები – ნაწყვეტები, ცალკე ფურცლები. უთარიღო, საავარაუდოდ 1930-იანი წწ., 63 ფ. ამ საქმეში ჩადებულია ფურცელი, სადაც მოყვანილია კარბის წმ. მარინეს ეკლესიიდან წამოღებული წარწერა.

№61 წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერები. უთარიღო, 4 ფ.

ბ. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1753

№4 გ. ბოჭორიძის მოხსენებითი ბარათები საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების დაცვის საგანგებო კომიტეტისადმი, ისტორიული ძეგლების აღწერის მიზნით ქართლ-კახეთსა და სამხრეთ ოსეთში მოგზაურობის შესახებ, 5.08.1923 – 12.04.1926; 107 ფ.

№5 (№108) გ. ბოჭორიძის მიერ, ქართლიდან ჩამოტანილი ისტორიული მნიშვნელობის ნივთების თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთსაცავისათვის გადაცემის შესახებ. ნივთების სია. 5.04.1924; 27.01.1926 წ.; 34 ფ.

№36, გ. ბოჭორიძის ცნობა სამხრეთ ოსეთში მოყოლილი ქართველი მოსახლეობის ეროვნული მდგომარეობის შესახებ და სტატისტიკური ცნობები. 1933 წ.; 2 ფ.

№106, თბილისის, დუშეთის, გორის მაზრებისა და სამხრეთ ოსეთის სიძველეთა აღწერის ოქმები. 8.04.1924; 2.06.1925; 100 ფ.[8]

№109, ქართლის, ახალციხისა და ახალქალაქის ეკლესიების აღწერა. ცნობები ქართლის სოფლებში ხელნაწერი წიგნების ადგილსამყოფელის შესახებ, 1923-1930 წწ.; 214 ფ. რვეულში, გარდა ქართლისა, ჩართულია მასალები მარტყოფის, ნორიოს, ნინოწმინდას სიძველეთა შესახებ; იქვე მოტანილია რკონის წარწერა, რომელიც გადმოუწერია ახალქალაქის ეკლესიის მღვდელ ტერ აშუთინ მირიმანოიანს 1921 წელს.

№111, სია გორის მაზრის ისტორიული ძეგლებისა, ძეგლთა ჩამონათვალი, უთარიღო; 5 ფ.

№113, სია ქართლ-კახეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიული ძეგლებისა, ძეგლთა ჩამონათვალი; 29 ფ.

№ 117, სამხრეთ ოსეთისა და შორაპნის მაზრის ისტორიული ძეგლების აღწერა, 16 ფ. ტბეთის ეკლესია, ოქონის ხატის წარწერა, ერედვის ეკლესია და იქ დაცული ნივთები, ჭარების ჭალის ღვთისმშობლის ეკლესია, ალექსანდრე მაჩაბლის ოჯახში დაცული ხატის წარწერა.

ჩანაწერებში არის მასალები სხვა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების ძეგლთა თაობაზეც; სახელდობრ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის №47-ში, ფურცლების აკინძვისას ქართლის ძეგლებთან ერთად ჩაურთავთ ყაზბეგის რაიონის ძეგლტა აღწერებიც; საქართველოს ეროვნული არქივის №109-ში ქართლის ძეგლებთან ერთად აკინძულია

---

[8] საქმე №108 შესული არაა წინამდებარე პუბლიკაციაში, რადგან იგი ფაქტობრივად იმეორებს №5-ს.

მასალები მარტყოფის, ნორიოს, ნინოწმინდის სიძველეების თაობაზე. ეს მასალები ცალკე პუბლიკაციის საგანია. მასალები სხვარეგიონებიდან მოიპოვება ნივთების სიებშიც (მჭადიჯვარი, წილკანი, ბაკურიანი, ბორჯომი). ამასთანავე, რადგანაც ისინი ერთ ფრცელ ნუსხაშია მოქცეული და საერთო ნომერაციის გაერთიანებული, თანაც შედარებიც მცირე რაოდენობისა, გადაწყდა დატოვება.

ნაშრომს დაერთო გიორგი ბოჭორიძის მოხსენებითი ბარათები იმხანად შიდა ქართლში კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ავტორი რეგიონს „სამხრეთ ოსეთად“ იხსენიებს; ეს წერილები ავტორისათვის დამახასიათებელი შემართებითა და პირდაპირობით გამორჩევა, ამასთან ნათლად აჩვენებს, სად იწყებოდა ის რასაც შემდგომში ტრაგედია მოჰყვა.

ქართლის სიძველეების შესახებ გიორგი ბოჭორიძის საარქივო მასალების გამოსაცემად მომზადებისას შერჩეულ და გადმოწერილ იქნა ყველა ის მასალა, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

ტექსტებს საველე ჩანაწერების სახე აქვს. მასალები აქ ძირითადად ცალკეულ ფურცლებზეა ნაწერი. ზოგ საქმეში (უმეტესწილად საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ მასალებში) ეს ფურცლები საქართველოს ეროვნულ არქივში დამუშავებისას ერთად აუკინძავთ რვეულებად; მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც თავად ავტორს დაუნომრავს; თუმცა, თუნდაც ასეთი სახით დანომრილ-აკინძულთ, მასალებს მაინც არ აქვთ ერთიანი, თანამიმდევრულ რიგზე გაწყობილის სახე. როგორც ჩანს, მკვლევარის ამ მასალების დიდი ნაწილი სიძველეთსაცავებს უმეტესწილად თავიდანვე უკვე არეული სახით გადაეცა: არქივის ცალკეულ საქმეებში ფურცლები არეულია; ამის გამო შიდა ქართლის ერთი კუთხის ძეგლები არა თანამიმდევრობით, არამედ გაბნეულადაა მოცემული. ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთს ემთხვევა საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მასალები, სახელდობრ აღწერილია ერთი და იგივე ძეგლი, თუმცა ეს აღწერები, როგორც წესი, განსხვავებული მოცუ-

ლობისაა (გამორიცხული არაა, რომ ისინი ავტორს სხვადასხვა დროს განხორციელებული მოგზაურობების ჩანაწერებია).

წიგნის გამოსაცემად მომზადებისას შეკერდა ორ არქივში დაცული მასალები. ტექსტები, დალაგდა გარკვეული პრინციპით და დაიყო ცალკეულ ნაკვეთებად – თავებად და ქვეთავებად, მათი სათაურები ავტორს ზოგან მითითებული არ ჰქონია, ამის გამო მათთვის, შინაარსიდან გამომდინარე, შეირჩა სათაურები. ძეგლთა აღწერები შესაბამისი რეგიონების მიხედვით იქნა გადანაწილებული, რეგიონებში კი ისინი გარკვეული თანამიმდევრობით დალაგდა. სხვადასხვა საარქივო მასალაში აღწერილ ძეგლთა სახელდებები ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს; ამ შეუსაბამობებზე საგანგებოდ შენიშვნებშია მითითებული. ამას გარდა, აღწერილ ძეგლებს დაერთო მოკლე ბიბლიოგრაფია.

ძეგლთა ნაწილის გაიგივება ვერ ხერხდება. ამის მიზეზია: ა. ძეგლი საგრძნობი დაზიანება, რის შედეგადაც ძნელია დაბეჯითებით თქმა, ავტორი სწორედ მას აღწერს თუ სხვას; ბ. ავტორისეული ძალზე მოკლე აღწერილობა და მისი ზოგადი ხასიათი, რომლის მიხედვითაც ვერ ხერხდება ძეგლის გაიგივება; გ. ძეგლის სახელდებისა და ტოპონიმის შეუსაბამობა. მაგალითად, ალის ციხეს ავტორი უთითებს ძამას ხეობაშია, თუმცა იქ ასეთი ციხე არ ჩანს, ალი კი ნაბახტევთან ახლოს მდებარე კომპლექსის სახელია; დ. საველე სამუშაოების დროს შესრულებული სწრაფ ჩანაწერებში მიმართულებები, ისევე როგორც მხარეები, ზოგჯერ არასწორადაა მითითებული.[9]

აუცილებელი გახდა გარკვეული ტექსტოლოგიური სამუშაოს ჩატარებაც, სახელდობრ: გაიშალა შემოკლებული სიტყვები, ტექსტი გაიმართა მართლწერის და პუნქტუაციის მხრივ, ამასთან ყოველივე ეს შესრულდა ისე, რომ შენარჩუნებულიყო ავტორისეული სტილი და ეპოქისათვის დამახასიათებელი სამწერლობო მანერა. ზოგან ძირითადი

---

[9] ძეგლებისა და ნივთების აღწერასას, გ. ბოჭორიძესთან წმინდანთა გამოსახულებები ყოველთვის ზუსტად არაა იდენტიფიცირებული. ამის მაგალითია მეტეხის ეკლესიის ხატი (№767); გ. ბოჭორიძის ცნობით, მასზე გამოსახულია წმ. პეტრე და პავლე, თუმცა სინამდვილეში ესაა წმ. კოზმა და დამიანე. სასხორის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობის აღწერაში მითითებულია, რომ ფრესკაზე გამოსახულნი არიან ეკლესიის მაშენებლები ტაძრის მოდელით ხელში, მაგრამ აქ წმ. პეტრე და პავლეა წარმოდგენილი (თავად გ. ბოჭორიძეს იქვე მოჰყავს წმ. პეტრეს გამოსახულების ბერძნული განმარტებითი წარწერის ტექსტი).

ტექსტიდან ამოღებული ავტორისეული აბზაცები გადავიდა მისსავე ავტორისავე შენიშვნებში. წარწერების წაკითხვებში შეტანილ იქნა თანამედროვე პუბლიკაციისათვის აუცილებელი ტექნიკური ნიშნები; ავტორისეულ მასალებს (მხოლოდ ძეგლთა აღწერებს) დაერთო გამომცემელთა შენიშვნები – ძირითადად ბიბლიოგრაფიის მითითებით, რამდენადაც ავტორისეული მსჯელობის ან წაკითხვების კომენტირება პუბლიკაციის ტექსტს, სულ მცირე, ორმაგად გაზრდიდა. აღწერებს დაერთო ილუსტრაციები – ფოტოები.

არც თუ იშვიათად, ძეგლთა აღწერებს ახლავს ჩანახატები – ეკლესიათა გეგმები (ზოგჯერ ზომების მითითებით), გამოსახულებები (რელიეფური, ორნამენტული მოტივები, სიმბოლოები; რამდენიმე ფრესკის დეტალი, წარწერები). ამ ჩანახატთა დიდ უმეტესობას საველე მასალის მნიშვნელობა აქვს – ისინი გამიზნული იყო არა პუბლიკაციისათვის, არამედ მასალებზე შემდგომი მუშაობისათვის. შესაბამისად, ამ გრაფიკული მასალის დიდ ნაწილს არ აქვს რაიმე საილუსტრაციო ღირებულება. მათგან წინამდებარე პუბლიკაციისათვის შეირჩა მხოლოდ ღირებული.

სიძველეთა აღწერილობა

ძეგვის ქართველთა წმ. სამების ეკლესია[1]

ძეგვის ქართველთა წმ. სამების ეკლესია ნაშენია თლილი ქვისაგან. მას აქვს წარწერა აღმოსავლეთით, ფანჯრის მარცხნივ მდებარე ორ ქვაზე. ზომა ზედა ქვისა – 77x26 სმ., ზომა ქვედა ქვისა – 72x27 სმ. აი წარწერაც:

ქ. იოთ[ა]მ ამილ[ა]ხორის ძემა პატრონმ[ა] ქ[ა]თ[ა]ლ
იკოზმან ნიკოლოზ მამისგ[ა]ნ გ[ა]ზდლ
სა მიბოძა ფასი და ს[ა]რჩრობა მე ნდრსა
მჯედელ[ი]ძეს შვილ[ი]თა ჩვენითა პეტ
რეთი ამიგია ნ[ა]მს[ა]ხურს ყამასა (sic) ვინც
შაენდობა (sic) ბძ[ა]ნოთ ღ˘თნ შეგინდო[თ]

ეკლესიას აქვს კანკელზე ოცდა ხუთი ტილოზე ნახატი ხატი რენესანსის ხასიათისა.

ძეგვის ღვთისმშობლის ეკლესია

ძეგვის სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესიას აღმოსავლეთის მხარეს, ფანჯრის ზევით აქვს ქვა წარწერით, 65x28 სმ.:

|ფე|
მე სოლალა
შვილი გრი
ქურას
ამიშე
ნებია ეკლ
ესია ჩემ ნა
სყიდი მამუ
ლში ჩემის
შვილებით ჩ

ე[მ]ს გან[ა]ყოფს
ხელი არა აქვთ

ძეგვის ბორის საყდარი[2]

ძეგვის აღმოსავლეთით, 2-3 ვერსის დაშორებით, მთის კალთაზე დგას ე.წ. ბორის საყდარი; იგი ჩვეულებრივი გეგმის ბაზილიკაა, ნაშენია დიდი კლდის ლოდებისაგან. კარები აქვს მარტო სამხრეთით. იგი ფრესკებიანი ყოფილა; დღეს ფრესკები შერჩენილი აქვს მარტო საკურთხეველში. ეკლესიას გარეშემო ჰქონია დიდი ლოდებისგანვე ნაშენი გალავანი, რომელიც დღეს შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთის მხარეს. ეკლესიის აღმოსავლეთით მრავლად მოსჩანს აკლდამები.

ციხედიდის კომპლექსი[3]

სოფ. ძეგვის აღმოსავლეთით (სამხრეთ-აღმოსავლეთით), ციხე დიდის ხევზე ანუ ხევის მარცხენა მხარეს არის ეკლესიის ნანგრევი, რომელიც ნაშენი ყოფილა ლოდებისა და აგურისაგან. მის მახლობლად დგას სამრეკლო, რომელიც ორ სართულიანია. ძირითა სართული ნაშენია ლოდებისაგან, ზევითი სვეტები უხამსად ყოფილა გათლილი ქვისაგან და თაღები აგურისაგან (და კირისაგან). ეკლესიის გარეშემო დიდი ნანგრევებია. მას ჰხურებია ძველი ღარიანი კრამიტი.

ამ ეკლესიის ქვევით (ხევისკენ) დგას ჩვეულებრივი გეგმის ბაზილიკა, ნაშენი ლოდებისაგან (ტაბ. I_1).

ამ ეკლესიის სამხრეთით დგას დიდი, მაღალი კოშკი ოთხკუთხი მოყვანილობისა, ნაშენი აგრეთვე დიდი ლოდებისაგან (ტაბ. I_2). მას, როგორც ხალხმა გადმომცა, ჰქონია წარწერა; მე ვერ შევნიშნე, შესაძლებელია მაღლა ჰქონდეს.

ძეგვის კოშკები

სოფ. ძეგვში მდგომი კოშკი არის ნაშენი რიყის ქვისა და აგურისაგან და კირისაგან, კარებთან აქვს თლილი ქვები. აქვს კიბე, იგი მრგვალი ფორმისაა; ამგვარივე ფორმის მცირე კოშკი დგას სამების ეკლესიის დასწვრივ, მტკვრის პირას. უნდა იყვნენ XVII-XVIII სს.

ძეგვის ე.წ. „დანგრეული საყდარი"

სოფ. ძეგვის გამოღმა, რკინიგზის ხიდის მახლობლად დგას ე.წ. „დანგრეული საყდარი". იგი ნაშენია დიდი ლოდებისა და რიყის ქვისაგან კირით. ეკლესიას დასავლეთის მხარეს, საქარეზე აქვს სამი ქვისაგან შედგენილი ჯვარი წარწერით:

ⴗⴹ ⴕⴹ ი(ესო)ჳ ქ(რისტ)ე
ⴗⴹ ი(ოან)ე

იგი უბრალო ბაზილიკაა. თაღი ჩამოქცეულია. საკურთხეველში, აღმოსავლეთის კედელზე ოდნავ მოსჩანს ფრესკების კვალი.

სოფ. ძეგვში, მარქარაშვილების სახლს კარების თავზე აქვს ქვა, 2¼x¾ არშ. დაახლოებით, შემდეგი წარწერით:

ⴕყმ–სა ⴖი ალ[ა]ვერდი იახშოლ
აღვაშენე ეს მარანი ჩვენ მარქარა
შვილებმა ხუთ[თ]ა ძმათა სოსია და ნონია და
გიორგა და დავით და იაკოფ ძეგვში მცხოვრებელნი

სასხორის მთავარანგელოზის ეკლესია[1]

ეს ეკლესია უბრალო ბაზილიკაა (ტაბ. II_1). მას აქვს მშვენივრად შენახული ფრესკები ბერძნული წარწერებით წმიდანების თავზე (ტაბ. II_2, III_1). ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ორი პირი, რომლებიც ამ ეკლესიის ამშენებლები უნდა იყვნენ მგონი. ორნივ ერთმანეთს უყურებენ, ორივეს ხელში უჭირავს ბაზილიკის გეგმის ეკლესიის მოდელი (ნახ. 1). აღნიშნული ეკლესიაც სწორედ ამ გეგმაზე არის აშენებული. პირველი პირი კარგად მოსჩანს, მეორეს კი თავის გამოხატულება დაზიანებული აქვს. თავზე ორივეს სხივი აქვთ.



ნახ. 1

წარწერები მათთან:

ΟΑ ΠΕΤΡΟC
Ο
C

ΟΑ [...]
Ο
C

ეკლესიაში 45-ზე მეტი ხატი მოსჩანს; ყველას ბერძნულად აქვს წარწერა. ყველა ძლიერ კარგად არის შენახული, განსაკუთრებით საკურთხეველში. მთელი მხატვრობა საზოგადოდ ცხოველია.

ეკლესია ნაშენია აგურისა და ქვისაგან (ქვა თლილი არის, უბრალო რიყისაც და კლდისაც). ტრაპეზი ქვისაა და კედელზე არის მიდგმული (ტაბ. III_2).

დასავლეთის კედელზე ჰხატიან წმ. გიორგი და წმ. დიმიტრი, ჩრდილოეთით – ღვთისმშობელი (?) და სხვ.

ამ ეკლესიას წარწერა ჰქონია სამხრეთის კარის ზევით, კედელზე.

† ადამს აქათ შვიდი ათას ..... ად თორმე
ტსა მე მონა ..... იაძეს : (?)
თა (?). და : ერთგ ..... და მ(?) ი
ცვალა : და : მ ..... ი : ესე მთ
ვარ ანგელოზთა ..... იძა : ბძა
ნე[ბითა] ..... არუქაან
აა[ი] ..... რო[მე][1] ყსა

ქვა ძლიერ დაზიანებულია, გული ამოფხვნილი აქვს, დარჩენილი ასოები მალე ჩამოიფხვნება, 52x30 სმ.

ეკლესიაში ყრია ოთხი ჩუქურთმიანი ხე, რომელიც დარჩენილი უნდა იყოს კანკელიდან. საკურთხევლის კედელში ამოსულია საკმარისად დიდი ხე, რომელიც ჩამოქცევას და დალუპვას უქადის ამ ნაწილს და მასთან მთელ ეკლესიას.

სასხორის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია[5]

სასხორის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია ჩვეულებრივი ბაზილიკაა. მას წარწერა აქვს აღმოსავლეთის ფანჯრის მარჯვნივ მდებარე ქვაზე, XVII-XVIII სს. უნდა იყოს, 70x62 სმ. (ტაბ. IV):

ქ : ნებითა : ღთის[ა]თა : აღვა(?)
აღვაშენე : ეკლესია : ესე : სახ
ელსა : ზედა : იოვანე : მ[ა]ხ[ა]რებელ
ისასა : ჩვენ : ელიოზის : ძეთა :
აბიათარ : და ნათესავთ[ა] : ჩვენთა

[1] ან თ.

[2] ან ვ.

სასხორის ღვთისმშობლის ეკლესია[6]

სასხორის ღვთისმშობლის ეკლესია დიდი, სამხროებიანი ნაგებობა ყოფილა (ტაბ. II_1). დღეს სამხრო შერჩენილი აქვს მარტო სამხრეთით, უწინ კი ჩრდილოეთითაც ჰქონია. ეკლესია ნაშენია თლილი ქვისა და კლდის ქვისაგან. კანკელი ქვიტკირისაა. ტრაპეზი გაკეთებულია ორი ქვისაგან და კედელზე არის მიდგმული. ეკლესია ფრესკიანი ყოფილა; მათი კვალი მოსჩანს საკურთხევლის ფანჯრის თაღზე და სხვ. თაღი ეკლესიას ნახევრად ჩამონგრეული აქვს. წარწერები არსად არ უჩანს.

სასხორის კვირაცხოვლის ეკლესია

სასხორის კვირაცხოვლის ეკლესია ჩვეულებრივი გეგმის ბაზილიკაა დიდი ზომისა. ნაშენია დიდრონი კლდის ლოდებისა და შიგა და შიგ თლილი ქვისაგან. თაღი მთლად ჩამოქცეულია და ეკლესიაში წევს. ეკლესიაშივე არის დიდი ჩუქურთმიანი ქვა ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ეკლესიის კარებიდან ან ფანჯრიდან იქნება ჩამოვარდნილი.

სასხორშივე არის კიდევ ოთკუთხი **ჯოშკი**.

ქვემო ნიჩბისის ეკლესიის ნივთები

სოფ. ქვემო ნიჩბისის სომხის ეკლესიაში არის ზარი წარწერით:

ქ. შემოგწირე ნიჩბისს სომხის ეკლესიასა სოლოშონ ზაალოვმა სულით (?) და შვილთა ჩემთა მეოხად ჩყმ წელსა.

ქვემო ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია[7]

ქვემო ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია დიდი სამნავიანი ეკლესიაა (ტაბ. V_1). იგი ნაშენია შიგნით კლდის ქვისაგან და გარეთ თლილი ქვისაგან; სვეტები შიგნით თლილი ქვისა არის. მას დასავლეთის კარების მარცხნივ და მარჯვნივ აქვს ორი ქანდაკება არწივისა. კარები და ფანჯრები სულ ჩუქურთმებით აქვს შემკული (ტაბ. $V_{2,3}$). შიგ ბევრი საფლავის ქვა არის ძველი ხანისა, წარწერით. იგი დანგრევას განიცდის. დღეს სოფელს იგი საქონლის ბაკად გაუხდია. კანკელი ეკლესიას ქვიტკირისა აქვს.

ქვემო ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარე ძველ ეკლესიასთან იყო საფლავის ქვა წარწერით (შეტანილია ეკლესიაში):

ქ ჻ შემწე ჻ ექმენ ჻ მხსნელო ჻
ცოდვილთაო ჻ ტაძარსა ჻
ამ[ა]ს ჻ მდებ[ა]რ[ე]ს ჻ მონ[ა]ს[ა] ჻ შენს[ა] ჻ ელე
ნეს ჻ ვინც ჻ ნახოთ ჻ შენდობა ჻ ბძან[ეთ] ჻ ქ ჻ უე

ამავე ეკლესიაში, ტრაპეზთან ჩარჭმული არის კანკელის ქვის სვეტი, რომელსაც ნაწერები ცოტაღა ეტყობა. მოსჩანს რამდენიმე ასომთავრული ასო. ეკლესიაში ბნელა და შესაძლებელია, სვეტი რომ გარეთ გამოტანილ იქნეს, უფრო კარგად წაიკითხებოდეს. აქვეა სხვა სვეტების ნაწილები, ორი ცალი.

ეკლესია ფრესკებიანი ყოფილა. დღეს ფრესკები შერჩენილა მარტო აღმოსავლეთი ფანჯრის თაღზე.

ქვემო ნიჩბისის ციციშვილების ციხე-გალავანი[8]

ქვემო ნიჩბისის ციხე-გალავანი ციციშვილებისა უზარმაზარი შენობაა. მასში არის ეკლესიის ნანგრევი, აბანოს და გვირაბის ნანგრევები (ტაბ. VI). გალავანზე ჰკიდია ზარი, დაახლოებით 1 ფუთამდე. ეკლესიაში არის ორიოდე ძველი საფლავი წარწერით, ერთი – ზაზა ციციშვილისა 1805 წლის, მეორე – 1858 წლის. გალავნის დასავლეთის კარებთან ახლოს, გარეთ გდია კარების თავიდან გადმოვარდნილი უზარმაზარი ლოდი, რომელიც, ხალხის გადმოცემით, და-ძმას აუტანიათ და დაუდვიათ კარების თავზეო; იქვე, პირქვე გდია და წარწერა უნდა ჰქონდეს. ამ ქვის მახლობლად (დასავლეთით) არის დიდი, პრტყელი ქვა, რომელსაც ხალხი „ციხის ქვას“ ეძახის; ეს ადგილი ხალხის თავსაყრელი, კრების ადგილია. ეს ქვა უწინ ხალხისათვის განცხადებისა ანუ ბრძანების გამოცხადებისათვის უნდა ყოფილიყო დანიშნული.

გალავნის აშენებას ხალხი მცხეთის აშენების ხანს მიაწერს: „ეს გალავანი მაშინ აუშენებიათ და ქვა მაშინ დაუდვიათ, როცა მცხეთა აშენებულაო.“

სიძველენი:

ქვემო ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ხატი, ტილოზე ნაწერი და ფიცარზე გადაკრული. 56¼x39 სმ. წმ. ნიკოლოზი წელამდეა დახატული, მას დაზიანებული აქვს სახის მარცხენა მხარე. ხატი შეჭედილია ვერცხლით, რომელსაც მთელს ადგილას ფურცელი აგლეჯილი და დაკარგული აქვს. ხატს აქვს შარავანდედი, რომელსაც უზის 11 თვალი (აკლია 1 თვალი). ხატს მარჯვნივ და მარცხნივ უდგანან წმინდანები (ფეხამდე არიან დახატულები), რომელთაც თავის ნაწილი სულ დაკარგულია. ეს წმინდანები ფიცარზე არიან დახატ-

ულები. მათ თავზე ორი კარია, რომლის ქვეშაც ნაწილები უნდა იყოს. მარჯვენა კუთხის კარზე ჰხატია წმ. ნინო, მარცხენაზე – ჯვარცმა. ხატს აქვს მხედრული წარწერა მარჯვნივ და მარცხნივ:

ქ ⁘ შეწევნითა ⁘ ძალ ⁘ განუზომელისა ⁘ ღ˜თისათა ⁘ | ჩვენ ⁘ გვარ ⁘ ტომობით ⁘ | ციცის ⁘ შვილამ(?) ⁘ პაპუნ|ამ ⁘ და ⁘ თანა ⁘ მემცხედრ|ემან ⁘ ჩვენმან ⁘ ერისთ|ვის ⁘ ასულმან ⁘ თამარ|მა ⁘ მოვაჯედინეთ ⁘ | ხატი ⁘ ესე ⁘ შენი საკე|ირველთ ⁘ მოქმედი|სა ⁘ და ⁘ სასწაულთ ⁘ | მიუწდომელ– სა | ⁘ ნიკოლოზ ⁘ მაღრდელთ ⁘ მო|ძღვარისა ⁘ და ⁘|შემოვაწირეთ ⁘ | ტაძარას ⁘ შენსა ⁘| ნიბის ⁘ სალო|ცავასა ⁘ და| ⁘ სამხროს ⁘ ჩვ|ენსა ⁘ ცოდვა|თა ⁘ ჩვენთა ⁘| სახსრად ⁘ | და ⁘ დღეთა ⁘| ჩვენთა ⁘ | კეთილათ ⁘ | წასამართ|ებლათ ⁘ | და ⁘ ძეთა ⁘ | ჩვენთა ⁘ |ასაზღელ| (აქ ორი სტრიქონი უნდა იყოს, ვერცხლის ფურცელი აგლეჯილია). შემდეგ გადავდივარ მარცხენა მხარეს: სასულიაროთ ⁘ შეწირე ⁘ შენ ⁘ წმინ|დაო ⁘ მღრდელთ ⁘ მოძღვარო ⁘ | ნიკოლოზ ⁘ კანონი ⁘ ესე ⁘ შე– საწირი ⁘ | და ⁘ მეოხ ⁘ გვექმენ ⁘ წინაშე ⁘ ქრი|სტეს ⁘ მღთისა ⁘ დაღე– სა ⁘ მას ⁘ გ|ანკითხვისასა ⁘ რათა ⁘ მეოხები|თა ⁘ შენთა ⁘ მივიღოთ ⁘ მოტე|ვებაი ⁘ ცოდვათა ⁘ ჩვენთა ⁘ | დასაბამითგან ⁘ ვიდრე ⁘ ქტმდე ⁘ ჴა ⁘ ს|კთ| ⁘ ქრისტეს ⁘ აქათ ⁘ ჩ|ღ|კა| ⁘ ქ˜კნ უ˜თ ⁘

ზემო ნიჩბისის „უმზეურის საყდარი"[9]

ნიჩბისის სამხრეთით, მთის მცირე კალთაზე გაშენებულია ე.წ. „უმზეურის საყდარი". იგი ნაშენია კლდის ქვისაგან, ადგილ-ადგილ თლილი ქვაც აქვს შეხმარებული. აქვს სამხრო სამხრეთისაკენ, რომელშიაც სიბნელისაგამო ვერ შეველით და, აგრეთვე, ჩრდილოეთისაკენ, აწ მონგრეული. აქ, ჩრდილოეთის კედელზე (დასავლეთ მხარეს), კუთხეში დგას გუმბათიანი ეკლესიის მოდელი; მას გუმბათი ზედ აღარ აქვს, არის მარტო მთავარი კორპუსი. ერთ მხარეს მასზე გამოსახულია ჯვარი და ქვეშ წარწერა აქვს: ⴖⴍⴘⵁⴆⴖⴍⵏ. იგი სამხროებიან ეკლესიას წარმოგვიდგენს. თვით ეკლესიის თაღი ჩამოწოლილია და ჩამოქცევაზე არის. ჰხურავს დიდი, პრტყელი კრამიტი. კიდური ქვები ნათალია და ძველი ეკლესიის ფორმისა აქვს.

ამ საყდარს რომ ჩამოვსცილდებით ხევისაკენ, აქ, გზის პირას, დგას ნიში, რომელზედაც რქები აწყვია და წინ აქვს ერთი დიდი თახჩა, მეორე, მას ზევით – პატარა. დიდ თახჩაში ასვენია ქვა, 48x32 სმ., შემკული ჩუქურთმებით, წარწერით და დიდი ჯვრით (ჩუქურთმიანი) გულში. აი თვით წარწერაც:

სა . საერდ . და ცდუთა [-] ⅂
ნთა შე : სნ და ზლდა ენც
შენთზ ზანთათ
მ[- -]ნდნსა ყუნელშვ

ზემო ნიჩბისის წმ. მარინეს ეკლესია

ზემო ნიჩბისის წმ. მარინეს ეკლესიაში (სოფელში) არის ძველი კანკელის სვეტის ორი ნატეხი ქვა. ერთზე გამოსახულია წმიდანი და აწერია გვერდზე: ᲛᲬ; მეორეზე დახატულია კაცი ხელებ გაშლილი და ორივე ხელებ ქვეშ უდგას თითო კაცი. ეს ქვები რომელიმე ძველი ეკლესიისანი უნდა იყვნენ. საჭიროა მათი წამოღება.

ზემო ნიჩბისის თეთრიანის წმ. გიორგის ეკლესია

ზემო ნიჩბისის თეთრიანის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფლიდან 1 ვერსის დაშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით (?); იგი არის უბრალო, მაგრამ ძლიერ დიდი შენობა. თაღი ჩამოქცეულა და მარტო მაღალი კედლებიღა სდგანან გადმოწეულნი წამოსაქცევად, იგინიც მალე დაიქცევიან. ეკლესია სავსეა ნანგრევით.

გომიჯვრის ე.წ. „ერკემალის“ ეკლესია[10]

გომიჯვრის ე.წ. „ერკემალის“ ეკლესია უწინ ფრესკებიანი ყოფილა. დღეს ცოტაღა აქვს შერჩენილი. იგი ჩვეულებრივი ბაზილიკაა. ეკლესიას დასავლეთის კედელზე (ჩრდილოეთის კუნჭულისაკენ), ფანჯრის გასწვრივ აქვს რამდენიმე ასო: ᲩᲔ ᲒᲬ.

აღმოსავლეთის გასწვრივ, კედლის საქარეზე აქვს ქვის ერკემალი.

ეკლესიას უწინ გარეშემო გალავანი ჰქონია, რომელიც დაუნგრევიათ და მისი მასალა სახლების საშენებელ მასალად წაუღიათ.

გომიჯვრის ე.წ. „წითელი საყდარი“[11]

გომიჯვრის ე.წ. „წითელი საყდარი“ ჩვეულებრივი ბაზილიკა არის; ნაშენია კლდის ქვისა და აგურისაგან. სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კარებთან შერჩენილი აქვს მხატვრობა ყვავილების გამოხატულებით. ეკლესიაში, სამხრეთის კედელში, საკურთხევლის წინ გამართულია ქვის ემბაზი, 75x51x32 სმ.; საკურთხეველს მარ-

ჯვენა და მარცხენა კედლებში მრავლად აქვს თახჩები. ეკლესიაში ყრია კანკელის სვეტები; ნანგრევში უნდა იყოს დაფლული კანკელის დანარჩენი ნაწილი.

ეკლესიას სამხრეთის კედლის კარებს ცოტა ზევით აქვს ქვა, 65x34 სმ., წარწერით:

ქ ⁘ ჩი ⁘ ძმად ⁘ უფლისად ⁘ წოდებულო ⁘ და ⁘ მკერდსა ⁘ სტყვისა ⁘ ღ˜თისასა ⁘ მიყრდნ

ობილო ⁘ ძე ⁘ ქუხილისა ⁘ იოვანე ⁘ მახარებელო ⁘ ღ˜თის ⁘ მეტყველო ⁘ შეხ ⁘ შეყავ ⁘ დღესა ⁘ შ

ას ⁘ ზარის ⁘ გამჴდოლისა ⁘ წინაშე ⁘ მეუფისა ⁘ ოდეს ⁘ ენანი ⁘ და– დუმდეს ⁘ და ⁘ საქმენი ⁘ ლა

ღადებდენ ⁘ ძესა ⁘ სულკურთხეულისა ⁘ მეფის ⁘ ვახტანგისასა ⁘ რომელსა ⁘

ეწოდებოდა ⁘ სპარსთა ⁘ ენათა ⁘ მიერ ⁘ შაჰნავაზ ⁘ ლეონს ⁘ და თანა ⁘ მეცხედრესა ⁘ და ძ

ეთა ⁘ ჩვენთა ⁘ ამინ ⁘ ადამს ⁘ აქეთ ⁘ შვიდი ⁘ ათას ⁘ რჩ ⁘ ქკ˜სა ⁘ ტობ ⁘ თვესა ⁘ სეკდნბერსა კზ

ეკლესიის სამხრეთით დგას დიდი შენობა, რომელიც ნაშენია აგურისა და ქვისაგან. შენობას პირი ეკლესიისაკენ აქვს მიბრუნებული. იგი წყარო უნდა ყოფილიყო, რადგანაც შუაში მილი უდევს. შენობას წინ ტეხილი კამარა აქვს, რომლის ქვეშაც კედელზე, შუაში დახატულია ჯვარი და აქეთ იქით ორი წმიდანი ყოფილა დახატული; დღეს მარტო მარჯვენა მხარის წმიდანის თავიღა მოსჩანს.

თელათგორის ეკლესია[12]

თელათგორის ეკლესიის გალავნის კარებში, მარცხნივ, ჩაყუდებულა ქვა, რომელიც უწინ ან გალავნის ან ეკლესიის კარების თავზე უნდა დებულიყო. ზომა 2x1¼ არშ. დაახლოებით. მას ერთ მხარეს აქვს ჩუქურთმები და მეორე მხარეს კი ძლიერ დაზიანებული წარწერა:

[- - - - - -] ნა [- - - - -] ილმიდმ ⁘ ძმით

[- - - - - - - - - -] ილი ⁘ ორვა ⁘

თელათგორის ეკლესიის ისტორიული ნივთი:
ფიცარზე ნახატი ხატი წმ. თევდორე ტირონისა, ზომა 38½x23½ სმ.:

ქ. შემოგწირე ჩემის წმინდის [თეო]დორეს ეკლესიას წ˜ა თეოდორეს ტირონის ხატი ა˜ზნაურმან დავით ნახუცრის შვილმა საოხათ საულისა

ჩემისა, მშობელთა ჩემთა, სადღეგრძელოთ, შეუღლისა ჩემისა, ძეთა და ასულთა ჩემთა

დავხატე მხატვარ ანტონ ყონონოვ მათსის პირველსა დღესა ჩყკზ-სა წელსა

კავთისხევის იდლეთის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია[13]

სოფ. კავთისხევის იდლეთის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია გუმბათიანი შენობაა, ჯვრის სახედი გეგმისა (ტაბ. VII). მისთვის უძველეს ხანაშივე დასავლეთის მხრიდან მიუშენებიათ სამხრო (?). ეკლესიაც და ეს სამხროც ნაშენია სულ ქვისაგან. გუმბათი ეკლესიისა გარედან ოთხ წახნაგოვანია, შიგნით კი კუთხეები მომრგვალებული აქვს. ეკლესიას და სამხროსაც თაღები ოდნავი ტეხილებით აქვს. გუმბათს აქვს ოთხი ფანჯარა (ოთხ მხარეს); ტანი გუმბათისა დაბალია და განიერი. ზომა ეკლესიისა – 7x5½ არშ. დაახლოებით,[1] სამხროსი – 6½x5½ არშ. დაახლოებით. ეკლესიაც და სამხროც ნაშენია დიდი ლოდებისაგან.

ეკლესიას აქვს ორი კარი: ერთი სამხრეთიდან – სამხროში შესასვლელი და მცირე – თვით ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდან. ფანჯარა თვით ეკლესიას აქვს ორი: ერთი აღმოსავლეთით და ერთი სამხრეთით, გუმბათსაც ოთხი, სულ ექვსი. საკურთხეველში კედელს აქვს დატანებული ორი თახჩა: ერთი – მარცხნივ, მცირე, მეორე – მარჯვნივ, მოდიდო.

სამხროს თაღებს აქვს სამი ზოლი საძირკველიდგანვე გამოწეული: ორი – კუთხეებიდგანვე და ერთი – შუა შენობიდან. შესაძლებელია, სამხრო უწინ იყოს აშენებული; მაშინ ის ეკლესიად იქნებოდა და გუმბათიანი ეკლესია შემდეგ მიუშენებიათ ზედ. მათ შორის მაინც დიდ ხანს არ გაუვლია.

ეკლესიაში, კანკელის მარჯვენა ბოლოზე, კედელთან დგას დიდი სვეტი, ამოფუღურული ზევიდან; ეს უნდა იყოს ჯვრის ასაამაღლებელი.


ეკლესია ფრესკებიანი ყოფილა; დღეს კარგად მოსჩანს მხოლოდ საკურთხეველში და გუმბათის ნაწილში; წმიდანებს წარწერები არსად არ უჩანთ.

წარწერა გუმბათიან ეკლესიას ჰქონია აღმოსავლეთის მხარეს, კედლის მაღლითა ნაწილში, ლურჯ ქვაზე, 40x34 სმ., რომელიც ძლიერ დაზიანებულია; მის გვერდითვე არის მცირე, თლილი,

---

[1] საკურთხევლის სიღრმე 2½ არშ. დაახლოებით. იგი ეკლესიის ზომაში შედის.

ლურჯი ქვა, პირ ჩამომტვრეული; შესაძლებელია, მასზედაც წარწერა ყოფილიყო. გუმბათსაც მრავალი ლურჯი თლილი ქვა აქვს შეხმარებული. წარწერა აღმოსავლეთი კედლისა: **ᲐᲨ ᲖᲜᲨ.** დანარჩენი დაზიანებულია. ეკლესიის (სამხროს) დასავლეთის კედელში, ფანჯრის ძირას აქვს ქვა, რომელზედაც ასოების მაგვარი ხატები მოსჩანს (ზომა ქვისა – 62x62 სმ.) (ნახ. 2):



ნახ. 2

ᲙᲐᲕᲗᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲘᲓᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ[14]

კავთისხევის იდლეთის კვირაცხოვლის ეკლესიას დასავლეთის კედელზე აქვს ქვა, 62x48 სმ., რომლის გულშიც ჯვარია გამოსახული და მის აქეთ-იქით აქვს წარწერა:

ᲨᲘᲜ ᲔᲘᲒ .
ᲮᲒᲐᲘ ᲮᲛᲘ[-]
ᲫᲮᲙᲔ [...] [-]
ᲢᲔᲒ ᲓᲐᲘᲑ
ᲘᲡ ᲮᲘ Ი[-] Ი[-]
ᲙᲐᲙᲜ ᲠᲢ[--]Მ
ᲮᲒᲐᲘ ᲐᲢᲔᲘᲜ : ᲐᲡ :
ᲫᲔ ᲐᲠᲘ[--]ᲘᲜ
ᲐᲡ ᲐᲑᲒ[--]ᲘᲜ
Მ ᲐᲑᲘ[-]ᲘᲜ :
ᲮᲐᲜᲛ
ᲘᲮᲘᲜ
Გ

ᲙᲐᲕᲗᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲘᲓᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲥᲔᲚ-ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ[15]

კავთისხევის იდლეთის მიქელ-გაბრიელის ეკლესიას დასავლეთის კარების მარცხნივ აქვს წარწერიანი ქვა, 99x58 სმ.; მისი შუა ნაწილი ჯვრითა და ჩუქურთმებით არის შემკული. წარწერა აქვს ქვას ზევითა ნაწილში ერთ სტრიქონად და ქვევითა ნაწილში ორ სტრიქონად:


ᲘᲔ ᲮᲐ[-] ᲒᲘᲔᲮᲐᲘᲡ Ე
(აქ ჩუქურთმა და ჯვარია)
ᲓᲐᲮᲓᲘᲜ ᲫᲜᲐᲒᲜ
ᲫᲘᲮᲜᲘᲐᲠᲘᲜ ᲔᲐᲮᲘᲠᲜ Ი
.....
აქ შუაში ერთი მცირე ჯვარია დახატული.

სიძველეები:

ამ ეკლესიაში არის ზარი, დაახლოებით 20 გირვანქა, წარწერით:

ქ. შეშოგწირე იდლეთის მთავარანგელოზის ეკლესიას ბასიაშვილმა ბერაძემ

აქვეა ლანგარი სპილენძისა, რომელსაც აქვს ბეჭედი (ნახ. 3).



ნახ. 3

კავთისხევის მთავარანგელოზთა ეკლესიის ოქრომკედით ნაკერი ოლარი შენახული ჰქონია მნათე ნიკო ონოფრეშვილს (ცნობა სიკო მონასელიძესი).

კავთისხევის კავთის ეკლესია

კავთისხევის კავთის ეკლესია (მთავარანგელოზის გვერდით) უბრალო ბაზილიკაა. მას აქვს ხის კანკელი ძველი ქართული ხელოვნებისა.

კავთისხევის ლომისის წმ. გიორგის (?) ეკლესია[16]

კავთისხევის ლომისის წმ. გიორგის (?) ეკლესია ბაზილიკაა; მას აქვს სამხრეთით სამხრო.

კავთისხევის ძლევის ქედის წმ. გიორგის ეკლესია[17]

კავთისხევის ძლევის ქედის წმ. გიორგის ეკლესიას სამხროები ჰქონია ჩრდილოეთით და სამხრეთით. დღეს სამხრო შერჩენილი აქვს მარტო სამხრეთის მხარეს.

ეკლესიის მახლობლად არის მრავალი ძველი აკლდამები; ზოგიერთი მათგანი ბოროტმოქმედთ გაუთხრიათ განძის პოვნის მიზნით.

კავთისხევის ე.წ. კატაულას ეკლესია[18]

კავთისხევის კატაულას ეკლესია უბრალო ბაზილიკაა, აქვს ორი სამხრო – ჩრდილოეთით და სამხრეთით (ტაბ. $VIII_1$). იგი ფრესკებიანი ყოფილა. ფრესკები დღეს შენახულია საკურთხევლის კედლებზე (ექვსამდე წმიდანისა, ასომთავრული წარწერით ზოგიერთზე) და დასავლეთის კედელზე (ოდნავღა მოსჩანს).

ეკლესიის ჩრდილოეთის კედელთან იატაკი გაუთხრია ვინმე ბოროტმოქმედს, მაღლა ამოუყრია 3 აკლდამის ქვა და, როგორც

გადმომცა ადგილობრივმა მცხოვრებმა გ. ჯალანტიაშვილმა (?), უპოვნია აქ ქილა ვერცხლის ფულით. ეს მომხდარა ამ 2 წლის წინად.

საკურთხეველის კედლის ერთ ნაწილში მოსჩანს წარწერა:

ქ ღთო
[- - - -]ელ[- - -]იძრიანთ
ესა ეს [-]
ი ყ ე

კანკელის მარცხენა ნაწილში დგას ჯვრის ასამაღლებელი სვეტი, შემკული მხატვრობითა და წარწერით (ტაბ. VIII$_2$); სიმაღლე – 172 სმ., სისქე თავში – 28 სმ., ბოლოში – 33 სმ. სვეტს ოთხივე მხარეზე დახატული აქვს ორ-ორი და სამ-სამი სახეები.[19]

წარწერა აქვს მარტო I და III მხარეს.

I მხარეს:

ⴔⵊⵊⵆ | ⵚⵇ
ⵇ[-] | ⵒⵒ
ⵖⵐⵚ
ⴖⵒⵒ
ⵟⵒ
ⵖⵒ
ⵁⵖ
ⵁⵊ
ⵖⵁⵇ
ⵚⵁⵇ
ⵔⵁ
ⵒⵖ
ⵊⵁⵇ
ⵖ

III მხარეს:

ⵁ[-] | ⵢ"ⵃⵊⵖ
ⵒⵒⵊⵊⵢ |
ⵖⵢⵆⵃ |
ⵟ"ⵁⵇ | ⵟⵔⴖ
ⵁⵒⵇ | ⵃⵁ
ⵊ"ⵇⵊ | ⵊⵢ
ⵒⵁⵊ | ⵆⵃ
ⵔ"ⵃⵖ
ⵖⵒⵟ[- -]

სვეტი შემდეგში პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ტფილისს ჩამოატანინა გ. ჩაჩანიძეს.

თავკავთის კომპლექსი[20]

თავკავთის წმ. გიორგის ეკლესია დგას მაღალ მთაზე, კავთისხევის სამხრეთით. გზა მიდის ხევიდან ძლიერ პატარა ბილიკით; თუ ფეხით არა, იქ სხვაფრივ არც შეიძლება ასვლა. იგი სულ ქვა-კლდიანია. ეს გორაკი ცალკე გამოზიდულია ქედიდან. ეკლესია დაშენებულია კლდეზე, რომელსაც მისავალი აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით.

იგი დგას უდიდესი ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან; ნაწილობრივ დაქცეულია.

ეკლესია ნაშენია ნაწილობრივ თლილი ქვისა და ნაწილობრივ აგურის და კირისაგან. იქნებ აგური შემდეგ ხანში შეახმარეს შეკეთების დროს. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 12,20x6,20 მ., სიმაღლით იქნება 10 მეტრამდე; მას სამხრეთით აქვს კარიბჭე. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი – თითო თითო მხარეს. კანკელი ქვიტკირისაა. კანკელს აღსავლის კარის თავზე აქვს წარწერა.

ეკლესია ნაშენია თლილი ქვისა და აგურისგან და კირისაგან. ქვები ტოლი და თანაბარი, კვადრატული ფორმისაა; ისინი სწორი ხაზით არიან დაწყობილი და ნაშენი კედლებზე.

ეკლესია დაშენებულია კლდეზე ციხის გარეთ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან. შესანიშნავად ნაგებია; განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი აღმოსავლეთი კედელი: ძირს – სწორხაზოვანი წყობა ქვებისა და მაღლა – აგურის საფეხუროვანი შეწყობილება. საფუძველს ამ მხარეს ამშვენებს კლდისგანვე გამოკვეთილი სვეტი.

სამხრეთით მიმავალი გზა ეკლესიას შეუვლის აღმოსავლეთ კედელთან, მერმე მობრუნდება დასავლეთით, შევა ეკლესიაში სამხრეთი მხრიდან. ეკლესიას ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან აქვს გადაკიდებული ადგილები, დასავლეთის მხრით მიდგმულია ციხის საძირკველზე – კლდეზე, ხოლო სამხრეთ მხარეს აქვს ეზო.

ეკლესიას ჰხურავს ნაწილობრივ ლორფინი, ნაწილობრივ – სწორი კრამიტი. უკანასკნელი განახლების ხანისა უნდა იყოს. სახურავი აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ მხარეს ჩაქცეულია ნაწილობრივ.

კანკელს სხვა და სხვა ნაწილები აქვს; წარწერები შესრულებულია საღებავით, უმეტესი მათგანი ძლიერ დაზიანებულია და თითო ოროლა სიტყვებიღა იკითხება; მოვიყვან რამდენიმეს ნაშთს:

1. კანკელის აღსავლის კარის თავზე აწერია ასომთავრულად:

ⴆⴑ ⴆⴑⴀⴒⴑⴚⴄⴖⴀⴍ ⴟⴝⴣⴖⴄⴍ [...]

2. კანკელის სამხრეთი კარის თავზე:

ქ. ღშერთო შ [...]

კანკელზე სხვა წარწერაცა ჩანს, რომელიც ძნელად იკითხება და ძნელი გადასაღებია.

კანკელის წინ, აღსავლის კარისა და ჩრდილოეთი კარის შუა არის ჯვრის ასამაღლებელი ქვიტკირის შენობა, ამოღრმავებული ადგილით ჯვრის ჩასადგმელად. ტრაპეზს წინ, ძირა ნაწილში აქვს

თახჩა. ეკლესიაშივე არის გუმბათიანი ეკლესიის მოდელი, ქვისა, 49x56x27 სმ., რომელსაც ჯვარი აქვს თავზე და აწერია: † †.

საკურთხეველში არის ორი დიდი თახჩა და ერთი მცირე.

ეკლესიაში ფრესკები ყოფილა. კვალი შენახულია საკურთხეველში; აქ (აღმოსავლეთით), სარკმლის მარჯვნივ მოსჩანს ორი სახე, თითქმის მიმქრალი და სარკმლის მარცხნივ – სამი სახე, ისინიც მიმქრალი. სარკმელთან მყოფი ორ-ორი სახე მღვდელმთავრებისა არის. სხვაგან ფრესკები არა ჩანს. ეკლესიის პილასტრების აგებულებაში განსხვავება არის: სამხრეთი პილასტრი (შუა ეკლესიის) კუთხეებ შეჭრილია ანუ ხუთ წახნაგოვანი, ხოლო ჩრდილოეთის კი სწორკუთხოვანი ანუ სამ წახნაგოვანი. პირველი თლილი ქვისგან არის ნაშენი, მეორე კი აგურისაგან. იქნება ეს გადაკეთებას აღნიშნავდეს.

ეკლესიას აქვს ორი კარი, ორივე სამხრეთ მხარეს: ერთი, დიდი – შუა ეკლესიაში შესასვლელი კარიბჭის მხრიდან, მეორე, პატარა – შიგ საკურთხეველში შესასვლელი.

კარიბჭე ზომით არის 7,14x3,50 მ. ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. მას სამივე მხარეს აქვს დიდი, ღია კამარები; აღმოსავლეთი კამარები ანუ კარები შემდეგ ხანში კედლით ამოუგიათ მთლად, დასავლეთის კამარა-კარი კი – ნაწილობრივ.

ეს ეკლესია შესანიშნავი ძეგლია.

ეკლესიასთან არის დიდი ციხე, ნაშენი ქვიტკირისაგან; მისი უდიდესი ნაწილი კარგად არის შენახული. დაქცეულია მხოლოდ დასავლეთი კედელი ნაწილობრივ. ციხეში არის დიდი აუზი წყლისათვის. არის გალავანში სხვა შენობებიც.

ციხიდან სამხრეთით, ½ ვერსზე, არის ვაკე ადგილი, რომელსაც სანაპიროზე ე.ი. სამხრეთით, გადმოკიდებულ ადგილას, აქვს კოშკის თუ სხვა შენობის ნანგრევი.

ძირს, კავთურასთან არის ძველი ხიდის ნანგრევი; კედლები შენახულია კავთურის ორივე ნაპირას.

ნასოფლარ პარატისთან მდებარე თავკავთის ნიში[21]

სოფ. პარატისის[1] ბოლოზე, ხევის მახლობლად, არის თავკავთის ნიში. აქ, იფნის ძირზე, დგას ქვა, რომელიც რამდენიმე ხნის წინად კამეჩებს გადმოეგდოთ და ექვს ნაწილად გაეტეხათ. ეს ქვა ნიშზე

[1] პარატისის ზევით, თავკავთის გზაზე, ხევზე უწინ ყოფილა ბოგირი, რომლიდგანაც დღეს ხევის ორივე პირას მოსჩანს ნარჩენი კედლები ქვიტკირისა. იგი თავკავთის შენობათა ხანისა უნდა იყოს.

არის დაყუდებული. მისი ზომა – 102x74x12 სმ.; იგი ოთხკუთხია, ძირითა ნაწილი შუაზე ცოტა გაგრძელებული აქვს, ეტყობა, დასამაგრებლად. ქვა ადრევე, 1924 წლამდე, მთლად მთელი ყოფილა (თუ გატეხილი ორად). ქვის გულში ჩუქურთმიანი ჯვარია გამოსახული; ჩუქურთმებით არის შემკული ქვის მრავალი ადგილი (არე). მის მაღლითა ნაწილში წარწერაა, მხედრულად:


ქ. ღ˜თო შ˜ე რუსთვე
ლო ქრისტეფორე

ძირს, მარჯვენა ნაწილში დახატულია სასულიერო პირი, ეტყობა თვით ეს ქრისტეფორე რუსთველი. ქვა დღეს ნატეხებად არის ქცეული; გატეხილია 9 ნაწილად, მათგან 8 შენახულია, 1 არა ჩანს.

წინარეხის ჯვარპატიოსნის ეკლესია[22]

წინარეხის ჯვარპატიოსნის ეკლესია სამხროიანი ნაგებობაა, 13x6 არშ., ფრესკებიც ჰქონია; დღეს ფრესკები შერჩენილი აქვს მარტო საკურთხევლის სარკმლის თაღზე.

ეკლესიაში არის ჩუქურთმიანი და კაცის სახეებიანი ქვები: ერთ ქვაზე დახატულია კაცი სათულით (ნახ. 4); მეორეზე მარტო კაცის თავიღა ჩანს. არის სხვა სახეებიანი ქვებიც.



ნახ. 4

ტრაპეზი ერთიანი ქვაა, მისვენებულია კედელზე. ეკლესიაში ხეებია ამოსული, ეკვდერი სულ დანგრეულია. დგას მარტო ეკლესია უთაღლოდ. კარი ეკლესიას აქვს სამხრეთით, უწინ ჩრდილოეთითაც ჰქონია, ეხლა ამოგებულია. სარკმელი: დასავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი, აღმოსავლეთით – ერთი.

წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესია[23]

წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესია ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი (დასავლეთი ნაწილი) კოშკი ყოფილა უწინ და შემდეგ ეკლესიაზე გადაუბამთ, მეორე (აღმოსავლეთი ნაწილი) – საკუთრივ ეკლესიაა. იგი უბრალო ბაზილიკაა.

ეკლესიას აქვს ორი წარწერიანი ქვა.

1. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე:

Ⴊ˜C X˜C
[NI] K[A]

Ⴝ˜ᲔᲜᲖᲘᲗ ᲘᲗ˜ᲡᲗ ᲒᲗ ᲒᲔ˜ᲖᲘᲗ ᲔᲜᲘᲗ ᲡᲘᲪᲘᲮᲘᲗ Ი˜ᲜᲘ ᲒᲧᲝᲖᲜᲘᲗᲗ ᲘᲜᲐᲡ ᲮᲘᲢᲒᲜᲘ ᲒᲘ

Ⴂ ⁖ ᲔᲥᲘᲜ᾽ᲜᲔ ⁖ Ჭ᾽ᲙᲘᲥᲐᲜᲘ ⁖ Უ᾽ᲐᲠᲣᲒ ᲥᲜᲠᲘᲜᲜᲘᲨᲧᲜᲘᲜᲘ ⁖ ᲒᲘᲧᲘᲙᲣ᾽ᲒᲔ ⁖ ᲔᲢ᾽ᲚᲒ ⁖ ᲒᲭ᾽ᲜᲘ ⁖ ᲘᲧᲜᲔ᾽ᲜᲘᲚᲒ ⁖ ᲜᲜᲒ᾽ᲜᲔᲒ ⁖ ᲔᲒ ᲚᲒ

ᲒᲘᲔᲘᲣ᾽ᲜᲔᲔ ⁖ Ჭ᾽ᲥᲘᲫ ᲭᲥᲘᲚᲒ ⁝ ᲚᲧᲭᲘᲥᲠ᾽ᲚᲒ ᲒᲒ ⁝ ᲚᲒ᾽ᲜᲔᲩᲙᲘᲣ᾽ᲜᲔᲔ ⁖ Ⴂ ⁖ Ლ᾽ᲜᲘᲜᲒ ᲙᲜᲘᲒᲥᲨᲚ ⁖ ᲮᲘᲜ᾽ᲜᲔᲔ ⁖ ᲮᲜᲒ᾽ᲜᲔᲒ ⁖ ᲔᲒ ᲚᲒ

ᲔᲘ ⁝ Ꮍ ⁝ [- - - -]Ქ (ᲘᲤ) Ქ[- -]Უ

თარიღი გამოსარკვევია.

იკითხება:

იესო ქრისტე
ძლე ვა■

სახელითა ღუთისათა და მეოხებითა წმიდისა სიონისა ღუთის მშობელისათა ღირს ვიქმენ მე (?)

ცოდვილი (?) ტფილელ მთავარეპისკოპოზი ბარნაბა ფავნელისშვილი აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა სალოცავად და სა

დიდებლად მეფეთ მეფისა სჯმიონისა და სალხინებელად ცოდვილისა სულისა ჩემისათჳს ქ კს სო

დბ ჯ[- - - -]ფი■ ფ [- -] თ

2. სამხრეთი სარკმლის ზევით, სახურავის ძირს (ქვა ზომით არის 0,5x1,1 მ. დაახლოებით):

Ხ Ჭ᾽ᲜᲘᲣᲒ ⁖ ᲘᲜᲘᲣᲒ ⁖ ᲒᲘ ⁖ ᲣᲥ[ᲜᲔ᾽ᲜᲔ] ⁖ [- - -](ᲩᲔ ⁖) ᲘᲜᲔ᾽ᲜᲘ ⁖ ᲒᲒ᾽ᲮᲘᲒᲒᲘ ⁖ ᲠᲒ
ᲜᲧᲒᲒ᾽ᲐᲘ ⁖ ᲘᲜᲘ ⁖ ᲒᲒ ⁖ ᲒᲘᲘᲮᲒ [- - - - - - - - -] ᲚᲘᲨᲔᲒᲘ
ᲐᲪᲘᲔ ⁖ ᲜᲨᲧᲐᲘᲘᲚᲘ ⁖ Ი [- - - - - - - - - - -] ᲒᲒ᾽ᲮᲘᲒᲒᲘ ⁖
ᲒᲒ ⁖ ᲒᲮ ⁖ Ჯ᾽ᲘᲚ ⁖ ᲚᲔᲘᲥᲩᲘᲚ [- - - - - - - - - - - -]ᲚᲒ᾽ᲚᲒᲒᲔᲚᲔ
ᲧᲘᲩᲘᲘᲘᲔ ⁖ ᲙᲒ᾽ᲮᲐ ⁖ ᲩᲘᲨᲐ [- - - - - - - - -] Ნ ⁖ ᲨᲒᲐᲘᲒᲨᲨᲨᲐᲘᲚ ⁖
ᵛ[- -] ⁖ ᲜᲐᲘᲨ ⁖ ᲘᲮᲐᲔ ⁖ ᲮᲜᲚᲒ ⁖ ᲔᲨᲨ ⁖ ᲒᲒ᾽Ჩ ⁖

იკითხება:

ქ. ძალითა ღუთისათა მე თფალელ (sic) [...] მან ელისე დავხატე წმიდა (?)
საყდარი ესე და აღვა [- - - - - - - - -] გომბდ ო
რჯულ სამჭროები ი[- - - - - - - - - -] დავხატე

ı ᲜᲘᲨ, ᲜᲘᲩ.

■ ან Ⴂ.
თარგმანით ბერძნულიდან.
ან ე.
VI სტრიქონი უადგილობისა გამო გადატანილია პირველი სტრიქონის ზევით, ქვის გამოშვერილ ნაწილზე.

და აქ წმიდის სტეფანეს[I] [- - - - - - - - - - - -] სასახლე შენდობა ყავთ ჩემთ [- - - - - - - - -]ს მარიამისთვის [- -] სრულ იქნა ქკ"სა ტმზ, ამინ.

წინარეხის წმ. სტეფანეს ეკლესია[24]

წინარეხის წმ. სტეფანეს ეკლესია დგას სოფელში, სკოლის ზევით. იგი ნანგრევად არის; დგას მარტო აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ნაწილები, დანარჩენი სულ დანგრეულია.

არჩილ ჯაჯანაშვილის სიტყვით, ძველად ამ ეკლესიას მხატვრობა ჰქონია.

მაღალაანთ ეკლესია[25]

წინარეხის ზევით არის მაღალაანთ ეკლესია; ეკლესიის ზომა – 13x7 არშ., ნაშენია თლილი ქვისაგან. ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, მას სამხრეთით აქვს ეკვტერი მიშენებული შემდეგ (ტაბ. IX, X_1); ყველა მოხატული ყოფილა. კანკელი ქვიტკირისაა, გალესილი კირით და მოხატული. აქვს ორი კარი – აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, სამი გასაჭვრეტი. აღსავლის კარების მარჯვენა ნაწილი ჩამონგრეულია. ფრესკები ყველა კედლებზე შენახულა ძლიერ დაზიანებული. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით. სარკმლები: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი და სამხრეთით – ორი. სახურავზე ჰხურებია კრამიტი, ეხლა ცოტაღა შერჩენია, ზედ ბუჩქები ამოსულა. ეკვდერი (სამხრეთით) ჩამონგრეულია ნაწილობრივ, ზომა – 11x2½ მ.; იგიც მოხატული ყოფილა, ეხლა ცოტაღა შერჩენია. ტრაპეზი შუაშია, სამკვეთლო კედელთანაა მიდგმული. სამკვეთლოსთან ასასვლელია სხვენში. აქვს მრავლად ჩუქურთმიანი ქვები. ეკლესია შიგნით მთლად გადაუთხრიათ განძის პოვნის მიზნით, იატაკი სულ აყრილია. ამავე მიზნით გაუთხრიათ და უჩიჩქნიათ ეკლესიის ეზოში ნიკოლოზ მაღალაძეს საფლავი: საფლავის ქვა გადმოუგორებიათ. ამ საფლავის ქვაზე დახატულია თვით ნიკოლოზ მაღალაძე (მგონი) და წარწერა აქვს. ზომა 2¼ არშ.x13 ვერშ.[II]

წმ. სტეფანეს ეკლესია დგას (ნანგრევად) სკოლის ზევით; ეს ქვა მის ნანგრევიდან უნდა იყოს წამოღებული და ახალ ეკლესიაზე დადგმული. მაღალაანთ ეკლესიების, წინარეხების გადასაღებად ორი მაღალი კიბე უნდა იქნეს წაღებული წინარეხიდან და ერთი კაცი იქნეს დაქირავებული.

[- -]
ნ
ქ მე ნ კოლოზ მა
ღალაძე ესე საყდა
რი კეთებაში
მიე და ეს ძმუშ ძგო
შდ
ლ
ი
ყმ
თძ
ყნნ
ლ

მაღალაანთ ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს საქარეში არის ორი ქვა წარწერით:

I
ნ კოლ(ა)ოზ
მაღალაძე ქა
დაგი ქკ ესა ტნე
II
[...]
[...]
[...]
[...]
მოსახსენებლად ქკსა ტნე ივლისის კ[1]

ეკლესიის სამხრეთით არის კოშკი – ეკვდერი პაპუასი; წინათ სამრეკლო უნდა ყოფილიყო. იგი ორ სართულიანია, ნაშენია კლდის და რიყის ქვისა და კირისაგან, დახურულია კრამიტით. ზომით შიგნით 2x2 მ., სიმაღლით იქნება 7 მ. ძირს ძველად ჰქონია ოთხი დიდი კარი-კამარა ოთხივე მხარეს, მაღლაც ორ-ორი დიდი სარკმელი თითო მხარეს. შემდეგ ესენი ამოუშენებიათ: ძირს, აღმოსავლეთ ნაწილში პატარა სარკმელი გაუკეთებიათ და სვეტი ქვისა დაუდგამთ და თახჩა გაუკეთებიათ ამ სვეტზე. სამწირველო სამხრეთით სულ ამოუშენებიათ და პატარა თახჩა დაუტოვებიათ,

არა ჩანდა, შორს იყო.

ან ვ.

დასავლეთით პატარა კარი დაუტოვებიათ. ჩრდილოეთი ჯერ ღიადვე ყოფილა დატოვებული და შემდეგ ის ნახევრად ამოუშენებიათ და ნახევარი (ზევითა) ღიად დაურჩენიათ. ზევითა ნაწილს დატოვებული აქვს ძველი სარკმელი მარტო სამხრეთ მხარეს, დანარჩენი ყველა ამოშენებულია და თვითოეულს მცირე სანათური აქვს გაკეთებული. ძირა ნაწილი მოხატულია, ზევითა – არა. ძირა ნაწილის ჩრდილოეთ მხარეს, კარის კედელი მოხატვის შემდეგ არის ამოშენებული; მოხატვის დროს იგი ღია ყოფილა, ასე რომ მოხატვის დროს ერთი შესავალი დასავლეთით ჰქონია, მეორე – ჩრდილოეთით.

მხატვრობა სამ რიგად არის, მეოთხე – თაღზე, მაცხოვარი პანტოკრატორია დახატული წელამდე: **Ι͞C Χ͞C ΠΑΝΔΟΚΡΑΤΩΡ**; მარჯვენათი აკურთხებს, მარცხენაში ნიგნი უჭირავს. დახატულია ათორმეტი დღესასწაული და სხვ (ტაბ. X_2). ყველანი დაჩხაპნილნი არიან. დასავლეთი კარის მაღლა, მეორე რიგში დახატული არიან მაღალაძენი (ტაბ. X_3). მხატვრობა დაზიანებულია, აგლეჯილი და ჩამოცვენილია.

ეზოში და თვით ეკლესიაშიაც მრავლად არის სხვა და სხვა ადგილებიდან ჩამოცვენილი ჩუქურთმიანი ქვები.

ეკლესიას გარეშემო აქვს გალავანი, რომელსაც სამხრეთის მხარეს აქვს კარები და ამ კარებზე აღმართულია სამრეკლო წარწერით. ეკლესიის აღმოსავლეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი.

სამრეკლოს სამხრეთით დგას კოშკი, რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს აქვს ქვა (1x½ არშ. დაახლ.) წარწერით:

ქ : ადამს ։ აქეთ ։ შვიდი
ათას . ას . ოთხმოცდა ։ ათასა
ქ͞ს ტნზ . მეფე გიორგისა ։ ა
აღვაშენე ։ ციხე ։ სახლის ։ ხუცესმა
პაპუამა და ძმამა ჩემ[მ]ა ნიკოლოზ

ამ წარწერის მარცხნივ, კედელში ჩატანებულია რაღაც ძვალი. ამავე კედელზე არის ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია წმ. გიორგი ცხენზე (ვეშაპს ჰგმირავს). ზომა ქვისა – 1x¾ არშ. დაახლოებით.

1. საფლავის ქვა, 150x60 სმ. დაახლოებით:

ქ : ეჰა : ბრძანებ
შემოქმედსა : რა
დამბადა : მიწით :
და : კ͞ლცა : მიწამყო

აჰა : მოიწია : უჟა
მოდ : საზარელი : დღე
სრკულილისა : და : ვსმ
ე : მე მაღალაძე : სახლთ
უხუცის : გოორგის
ძე გაბრიელ წლი
სა იწ ვინცა იხი
ლოთ (შენდ)ობა ბ(რ)
[ძანეთ] (ქსა) ქთ ჩღმთ

2. აქვეა მეორე ქვა, გატეხილი შუაზე მხედრული წარწერით. ბოლოს არის: ქ̅ს უ̅კ̅ი̅.

ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით ¼ ვერსზე არის სხვა კოშკი, წარწერიანი ქვებით. სამხრეთ მხარეს კარის მაღლა ჯვრიანი ქვაა და წარწერა:

ⴗⴘ ⴒⴗ
ⴆⴜⴗ ⴃⴑ

მის ძირს სხვა ქვაა წარწერით:

[...]მაღალაძე მდივან მწიგნობარ მგალობელი სოლოშონ გიმკობ და აღვაშენებ სამრეკლოსა ამას ქ̅ს უ̅(დ) (?)

ეკლესიის აღმოსავლეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი

ქვაბთახევის მონასტერი[26]

ქვაბთახევის მონასტერი შესანიშნავი ძეგლია. აქ არის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც შემკულია ჩუქურთმებით (ტაბ. XI, XII). ამ ეკლესიას შემორტყმული აქვს გალავანი. გალავანში არის (დასავლეთის მხრივ) ძლიერ ძველი შენობა, რომელიც არის ბერების საცხოვრებელი სახლების ქვეშ და რომელიც უკანასკნელ ხანს გომად ჰქონიათ; გალავანშივე არის მოთავსებული ძველი შენობები, ბერების საცხოვრებელი ბინები; ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გასწვრივ, გალავანთან არის ძველი შენობა, რომელსაც აქვს უდიდესი ბუხრები. ბერის გადმოცემით, ეს ყოფილა ცეცხლთაყვანისმცემელთა სახლი. დღეს ეს უკანასკნელი ნახევრად ნაგვით ამოუვსიათ.

[1] არა ჩანს სიშორის გამო.

მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია გუმბათიანი ბაზილიკაა, 17x10,75 მ., რომელსაც სამხრეთით ჰქონია კარიბჭე, გადაკეთებული XIX საუკუნეში წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიად. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. ჰხურავს: გუმბათს – ტყვია, სამხროებს – თუთია, ძირა ნაწილებს – თუნუქი. გუმბათი დაბჯენილია ორ რვაწახნაგოვან სვეტსა და საკურთხეველიდან გამოწეულ კედლებზე. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმლები: გუმბათს – თორმეტი, ძირა ნაწილის სამხრეთით – ორი, ჩრდილოეთით – ორი, აღმოსავლეთით – ხუთი, დასავლეთით – ორი; სანათურები: სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი და დასავლეთით – სამი. საკურთხეველიდან კარი გადის სამკვეთლოშიაც და სალაროშიაც. გარედან ეკლესია შემკულია ძვირფასი ჩუქურთმებით. შიგნით კედლებიც და იატაკიც გალესილია კირით. იატაკი შეჭრელებულია მუქი თუ მოწითალო ადგილებით; ამას თემურ-ლენგის (?) მიერ წამებულთა სისხლად იტყვიან. ეკლესია განახლებულია XIX საუკუნეში არქიმანდრიტ ტარასის მიერ. ძველი გუმბათის სახე შეცვლილია რუსული ფორმით, რაც მეტად აუშნოებს და ამცირებს ძეგლის სიდიადეს.

ეკლესიის კარიბჭეში არის ქვის ემბაზი, 75x60 სმ. (დაახლ.).

ეკლესიაში, საკურთხევლის წინ, მარჯვენა მხარეს (ჩრდილოეთით) დევს ლოდი, 215x89 სმ., რომლის ქვეშაც, გადმოცემით, დასაფლავებულია ხორეშან დედოფალი.

აქვე, საწიგნეს გასწვრივ, ჩრდილოეთ კედელთან არის არქიმანდრიტ ტარასის საფლავის ლოდი, 183x63 სმ., წარწერით (ტაბ. XIII$_1$):

ლოდი ესე ფარ
ავს მტვერსა არხი
მანდრიტის ტარა
სისასა რომელ გარ
დაიცვალა ჩყოდ
წელსა მაისის ბ
დღესა შექონე შო
ბიდგან ბა წლისა

ლოდის მახლობლად, ჩრდილოეთ კედელში გაკეთებულია ნიში, რომლის ზედა ნაწილში ხატებია, ხოლო ქვევითა ნაწილში მარმარილოს ფიცარი, 96x60 სმ., წარწერით (ტაბ. XIII$_2$):

მოიხსენე უფალო მონა შენი არხიმანდრიტი ტა
რასი ამან დაუცხრომელმან შრომელმან ცნობილმან
მაღლითა მონოზონებითითა მოღუაწებითა მკაცრი

თა ზნეობითა და კრძალულებითა განვლო რა მონოზო
ნებასა შ^ა 66 წელი განისუ©ნა 1874^ს წ. მაისის 2^ს შობითგან 81^ა
წლისამან დიდშუ©ნიერი განახლება ქვათახევის მონასტრისა ში
ნაგანი მომართულობა მისი და სიმრავლე გარემო მის
სა მიუცილებელთა ახალთა შენობათა არს ნაყოფი ტა
რასის წინამძღურობისა მას მონასტერსა შ^ა 1854–1874 წ.

სამხრეთ კედელთან დევს ლოდი, 213x88 სმ., და თვით კედელში კი ისეთივე ნიში, გამართული მაღლა ხატით და ძირს მარმარილოს ფიცრით, 99x54,5 სმ. და წარწერით:

წინა მდებარესა მას სახსოვარსა ლოდსა ქუ©შე განის
უ©ნებს მ©უ©რი ღირსად სახსოვრისა წ^ისა ამის ტაძრის გან
მაახლებელისა ღვარდიის პოლკოვნიკის ბრწყინუალის თავადის
იოანე ლუარსაბის ძის თარხან-მოურავიანისა, ხოლო
დედით საქართველოს მეფის 13^ს გიორგის ასული სოფია
ჲსა, რ^ლი აღესრულა სამსახურსა შ^ა როსსიის იმპერიისასა
კერძო ქალაქსა ლიფლანდიის ღუბერნიისასა 14 დეკემბე
რს 1855 წელსა და მუნით მოხმული დაეფლა აქა 56^ს წლისა
ხ^ სარწმუნოსამან მეგობარმან მისმან მამამან ამის საგანისამან
აღუმართა ძეგლი ესე ნიშად მადლობისა ქველის მოქმედებისა მისისა წილ.

ეკლესიის აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრზე არის აკლდამა; მასში ჩასასვლელი კარი მიწით არის ამოვსებული. გადმოცემით, აქ დასაფლავებულნი არიან თემურ-ლენგის (თუ სხვა პირის) მიერ წამებულნი.

აქვე არის გუმბათიანი ეკლესიის მოდელი ქვისა.

ეკლესიის დასავლეთით (ეზოშივე) არის საზარე, ქვის სვეტებით. ეს სვეტები ამოტანილი ყოფილა მაღალაანთ ეკლესიის ნანგრევებიდან.

ეკლესიის გარეშემო არის გალავანი და სხვადასხვა შენობები, რომელთაგან აღვწერ ერთს.

ეკლესიის დასავლეთით (ჩრდილოეთ კუთხეში) არის საკერპო, 7,2x9,7x5 მ., ნაშენი ქვიტკირისაგან. შენახულია მარტო ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები; აღმოსავლეთისა ნანგრევად არის, ხოლო სამხრეთისა განახლებულია. სახურავი სრულებით აღარა აქვს. დასავლეთის კედელში დატანებულია ორი ბუხარი, რომელნიც გარეთ მრგვალ ფორმად არიან გამოწეული. ზომით მარჯვენა ბუხარი (კართან) – სიგანით 2,9 მ., სიმაღლით 2 მ., სიღრმით 2,05 მ. (მთელი ბუხრის სიმაღლე 4 მ.); მარცხენა ბუხარი (კართან) –

სიგანით 2,4 მ., სიმაღლით 2,4 მ., სიღრმით 1,85 მ. (მთელი ბუხრის სიმაღლე 4,5 მ.); ბუხრებს შუა კედელში გამართულია თახჩა – 1,15x0,83x0,8 მ.

საკერპო დღეს ნაგვით არის ნახევრად სავსე.

სამხრეთის მხარეს საკერპოზე მობმულია გრძელი, ორსართულიანი შენობა; ზემო სართული ახალია, XIX საუკუნისა, ქვემო კი ძველია, საკერპოს დროისა. უკანასკნელი ექვსთვლიანი, ორმაგი შენობა ყოფილა; მეორე სართულის აშენების დროს მისგანაც მარტო კედლებიღა ყოფილა შენახული (მეორე სართულიც ექვს თვალადვე არის აშენებული); დღეს ის ბოსლად არის ქცეული. ამ ნაწილიდან საკერპოში ძველად კარი ყოფილა გასასვლელი, რომელიც ეხლა ამოგებულია. ამ ჟამად ამ ძველ (ძირა) სართულს შესასვლელი კარი დასავლეთით აქვს. ამ კარის გასწვრივ, აღმოსავლეთ კედელში არის კამარა; ძველად აქ გვირაბი ყოფილა, რომლითაც ხალხი და ყარაული ადიოდა მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდგომ კოშკშიო.

ეკლესიას მახლობლად ჩამოუდის მშვენიერი წყალი. აქ არის ზარი დაახლოებით 1 ფუთამდე, წარწერით:

ქ. შემოგწირეთ ქუბთა ხევსის მონასტერს ზარი ესე ყმათა შენთა შატბერაჲის მოურაჲს იოანეს შეუდლეთ ნინომ საოხად ჩვენთა სახლეულთა და მშობელთა ჩემთა იუვნისს ქ კს უჟზ.

მონასტრის მახლობლად არის საყარაულო კოშკი.

ქვაბთახევის მონასტრიდან რომ ჩამოვალთ, ხევზე ჩანს ნაბოგირალი; შერჩენილა მარტო მარჯვენა მხრის კედელი.

გუდალეთის ტაძრის კომპლექსი[27]

კავთისხევის ზევით, მთის კალთაზე არის გაშენებული პატარა სოფელი გუდალეთი. აქ დგას დიდი ციხე-გალავანი, რომლის ეზოშიც დგას „მელენტის" ღვთისმშობლის ეკლესია (ტაბ. XIV, XV).

გუდალეთის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა (შუა ნავი დიდია, ნაპირებისა – წვრილი), 11½x6½ მ., რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს ნართექსი, 3½x6 მ. ეკლესია ნაშენია თლილი ქვის (კუთხეები, კარ-სარკმელი, სვეტები, კამარები გარეთა მხარეს), კლდის სწორპირიანი ქვისა და კირისაგან, ნართექსი კი სულ თლილი ქვისა და კირისაგან. ძეგლი დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები, თაღები კი სულ ჩამოქცეულია გარდა სამკვეთლოსი, რომელიც შენახულია მთლიანად და საკურთხევლის ერთი მცირე ნაწილისა; ყველაზე კარგად შენახულია ეკლესიის აღმოსავლეთი

კედელი; მისი ზევითი ნაწილი (საქარე) გარეთ ქვითვე არის ნაშენი, ხოლო შიგნით კი აგურით. ეკლესიის შიგნით შენახულია სამხრეთი სვეტი; იგი მთელია, ნაშენია თლილი ქვისაგან, ფორმით რვა-წახნაგოვანია; მას შერჩენია დასავლეთი კედლისაკენ პილიასტრზე გადაკიდებული კამარა, ცალი ქვისაგან ნაშენი (კამარა ჩამოკიდებულია ჰაერში). ჩრდილოეთით სვეტი სულ აღარა ჩანს.

ეკლესიის და კარიბჭის ძირა კედლები 3-4 მ-ის სიმაღლეზე ძლიერ დაზიანებულია მნახავთაგან; იგი საშინლად დაჯღაბნილია: არ არის ქვა, რომ ორი-სამი გვარი არ იყოს ზედ ამოჭრილი ლურსმნით ან სხვა იარაღით.

ეკლესიის შიგნით აქვს წარწერები:

საკურთხეველში, სარკმლის ძირს, მარჯვნივ, ქვაზე კუთხური ასომთავრულით (?):

ⴆⵁⵍⵚⵑⵏⵒ
ⵗⵟⵛⵒⵏⵗ
ⵍⵎⵗⵖⵁⵇⵇ
ⵊⵁⵇⵇ(ⵇ)ⵍⵜ
ⵏⵇⵆⵇ(ⵒ)ⵍⵗ
ⵏⵇ(ⵜ)ⵆⵍⵇ
ⵗⵗⵍⵛⵎⵎⵎⵆⵇ
ⵍⵇ [- -] ⵍⵇⵒⵒⵇ
ⵎⵁⵁⵒⵇⵍ
ⵚⵗⵁⵁⵆⵇⵛⵑ
ⵒⵗ [-] ⵊⵁ
ⵇⵍ(ⵗ)ⵇ . (ⵗ)
ⵑⵗⵇ (ⵗ [-] ⵇ)ⵗ
ⵚⵑⵑⵇ

ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; დასავლეთი და ჩრდილოეთი კარები შემდეგ ხანში ამოგებულია კედლით. სამკვეთლოს შესავალი კარი აქვს დასავლეთით; მას საკურთხევლიდანაც ჰქონია კარი, რომელიც დღეს ნაწილობრივ ამოგებულია. სალაროს კარი ნანგრევისაგან არა ჩანს და მასაც დასავლეთით უნდა ჰქონდებოდა. სარკმელი შერჩენია: აღმოსავლეთით – საკურთხეველს ერთი მოგრძო სარკმელი და სამკვეთლო-სალაროს ორ-ორი მრგვალი სანათური, სულ ხუთი სარკმელ-სანათური; დასავლეთით – ერთი სარკმელი, დანარჩენი მოსპობილია. საკურთხეველში არის სამი მაღალი თახჩა: ერთი პირდაპირ სარკმლის ძირს, ორი – გვერდებისაკენ.

ეკლესიას გარეთ, დასავლეთ მხარეს, სარკმლის გარეშემო აქვს შესანიშნავი ჩუქურთმა, ხოლო მის თავზე (სარკმლის ზევით) ადრე-

ვე ჰქონია შესანიშნავი ჩუქურთმიანი ჯვარი, რომელიც ჩამოშლილია და დღეს ძირსა ყრია. ნართექსსაც დასავლეთი კარის კამარა ჩუქურთმიანი აქვს; მისი ჩუქურთმა ძლიერ წაგავს თიღვის ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის კამარის ჩუქურთმას. ეზოში (სამხრეთ მხარეს და სხვ.) ყრია ეკლესიიდან გადმოვარდნილი შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები.

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობის კვალი შერჩენილია საკურთხევლის კონქში; აქ მოსჩანს ტანისამოსი და წითელი ხაზები 25x70 სმ. სივრცეზე. ერთხანს ეკლესია კირითაც ყოფილა გალესილი, რომელიც შერჩენია დღეს მხოლოდ საკურთხეველს (ნაწილობრივ) და დასავლეთ კედელს (ნაწილობრივვე).

ეკლესიის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ამოსულია ხე.

ეკლესიის გარეშემო არის ქვიტკირისაგან ნაგები ციხე; მას რაოდენიმედ ოთხკუთხი ფორმა აქვს. უჭირავს ადგილი: სიგრძით – 36 მ., სიგანით – 27 მ.; კუთხეებში გამართულია მრგვალი კოშკები. კარი აქვს სამხრეთით.

ეკლესიის ეზოზე, ნანგრევებში ყოფილა წარწერებიანი ქვა, რომელიც დაცვის მიზნით შეუნახავთ სამხრეთი კარის მახლობლად (გარეთ) ნანგრევებში. ეხლა ის აღარსად ჩანს.

აქვე არის წარწერებიანი ქვის ნატეხი, 28x37x13 სმ. (მაქსიმ.), რომელიც, ზოგიერთის სიტყვით, არის ის წარწერიანი ქვა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

. . . . . .

[...] არე : ვიქმენ : მე
[...] სფირიდონ : (ტ)

იგი საფლავის ქვის ნაშთი უნდა იყოს XVIII საუკუნისა.

ციხის გარეთ, სამხრეთ მხარეს, ციხის კედელზედ ამ ახლო ხანში მიუშენებიათ სკოლის შენობა. ნანგრევებიდან წაუღიათ. სკოლას დასავლეთ მხარეს, კედელში პირით გარეთ, დატანებული აქვს ორი შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა.

მთელი ეზო სავსეა ეკლესიის ნანგრევებით. მათში მრავალია ჩუქურთმიანი ქვები – კარებისა, ფანჯრებისა და სხვ. ეკლესიას დასავლეთის მხარეს, კარების თავზე, მნახველთა თქმით, ჰქონია რელიეფური ჯვარი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად მიწის ძვრისაგან ჩამონგრეულა მთლად. ეკლესიას ჰქონია წარწერიანი ქვა, რომელიც პირველ მოგზაურობაზე ვერ ვიპოვნე.

მთავარი ხატი ტაძრისა არის გუდალეთის „მელენტოს“ ღვთისმშობლის ხატი. იგი დღემდე დაცული იყო ეკლესიაში. იგი არის ვერ-

ცხლზე ნაჭედი, შედგენილია ნაჭრებისაგან. თვლებიდან შერჩენილი აქვს მხოლოდ ერთი (?) წარწერა:

ე ყოველი წ გიელლე
მის ჲ წგთე დიზემ
მძხედრე მინემ
ღი [-] ნემებლისე
[- - - - - -] ილი

ხატზე არის მრავალი წერილი ხატები. ერთ მცირე ხატს აწერია: ჯ̃ა ჯ̃ო.

ღვთისმშობელს აწერია – M̃P Θ̃Y; იესო ყრმას – Ĩ̃C X̃C̃.

ზომა ხატისა 87x65 სმ.

აქვეა მცირე ხატი, ტილოზე ნახატი, ფიცარზე გადაკრული, 36x29 სმ., წარწერით:

შამოგწირე მღვთის მშობლის ხატი გივის ძემ იოსებ ცალქალამანძე მეოხად ს[...]

გუდალეთის „საბაანთ ცალქალამანიძიანთ ნასაყდრალი"[28]

გუდალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფლიდან ¼ ვერსზე, გზის თავზე არის „საბაანთ ცალქალამანიძიანთ ნასაყდრალი" 20 (საკურთხეველამდე 14)x13 მ. (საკურთხეველის დასაწყისში 6 მ.); დგას მარტო კედლები 1 მეტრის სიმაღლისა, სვეტები არ უჩანს. გადმოცემით, ეკლესია ჯერ აქ აუშენებიათ და მერე იმავე ოსტატს, გალავანი რომ არის, იქ აუშენებია. მართლაც, ორივე ეკლესია ერთი და იგივე გეგმისაა, მხოლოდ უკანასკნელთან შედარებით ეს უფრო ფართოა.

კედლები ნაშენია შიგნით აგურისა და კირისაგან, გარეთ კი მარტო ქვისაგან და კირით.

გუდალეთის წმ. ესტატეს ეკლესია[29]

გუდალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1 ვერსზე, ტყეში არის ეკლესია წმ. ესტატესი (?). იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 8x4 მ., რომელსაც ჩრდილოეთით მიშენებული აქვს (მთელ სიგრძეზე) ვიწრო ზომის სამწირველო (?). ეკლესია ნაშენია თლილი ქვის, კლდის სწორპირიანი ქვისა და კირისაგან; კარი აქვს ჩრდილოეთით (სამწირველოსაც ჩრდილოეთით აქვს კარი). ტრაპეზი ოდნავ დაშორებულია კედელს; იგი სულ თლილი ქვისაგან არის აშენებული და მაღლა ერთიანი მთელი ქვა ადევს ზევიდან. ეკლესიიდან დღეს

მარტო კედლებიღა დგას, დანარჩენი სულ დაქცეულია (აგრეთვე სამწირველოსი, ხოლო აღმოსავლეთი კედელი სულ დაქცეული აქვს უკანასკნელს). ტრაპეზთან აწყვია შესანიშნავი ჩუქურთმების ოთხკუთხი ქვები და სვეტის ნატეხები; ისინი კანკელის ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ; სულ არის ათამდე ასეთი ნატეხი. მათში შესანიშნავია: 1. დიდი ქვა, შემკული მტევნებისა, მზისა და სხვა სახეებით; 2. ქვა ჯვრის სახეებით და სხვ.

ეკლესიის ჩრდილოეთით გავლებულია კედელი, ეკლესიის მახლობლადვე; შენობის ნაშთია იგი თუ ადგილის შესამაგრებელი კედელია, ვერ შევამოწმე. ეკლესიას ჰხურებია სწორი კრამიტი; მათი ნაშთი შერჩენილია კედლებზე ადგილ-ადგილ.

გუდალეთის წმ. ესტატეს ანუ ე.წ. კაციაანთ საყდარი[30]

გუდალეთის წმ. ესტატეს ანუ ე.წ. კაციაანთ საყდარი ნაშენია თლილი ქვისაგან. მას სამხროები ჰქონია ჩრდილოეთით და სამხრეთით. დღეს შემორჩენილია მარტო ჩრდილოეთის (?) სამხრო. ეკლესიას გარეთა, ჩრდილოეთ (?) კედელში აქვს უწესოდ დატანებული მცირე ქვა ხატი, რომელზედაც გამოქანდაკებულია ვინმე კაცი თუ ქალი, რომელსაც ხელში ბავშვი უჭირავს, იქვე, გვერდით – ანგელოზი და იმასთან – მცირე, პატარა ტანის ანგელოზი. ეს ქვა შეიძლება რომელიმე სხვა ძველი ეკლესიიდან არის გადმოტანილი და აქ ჩატანებული.

ეკლესიას კანკელი ჰქონია ჩუქურთმიანი ქვისაგან გაკეთებული. დღეს ეკლესიაში არის მარტო სამი ქვა; მათგან ერთი ძლიერ მშვენიერი სახისა არის, მეორე და მესამე კი ჯვრის სახეებით არის შემკული. ესენიც კარგი სახისაა.

ლავრის ეკლესია[31]

ლავრის ეკლესია არის სოფ. [...][32] სამხრეთით, ტყით დაბურულ მთის კალთაზე. სოფლიდან მიდის იქამდე შარა გზა. ეკლესია გუმბათიანი მცირე შენობაა, ჯვრის სახისა (ტაბ. XVI). იგი შიგნით და გარეთ სულ გალესილია კირით; ჰქონდა ფრესკები თუ არა უწინ, აღარაფერი არა ჩანს, რადგანაც „განმაახლებელთა“ მიერ იგი შიგნით და გარეთ შეთეთრებულია კირით.

ეკლესიას ჰქონია ძვირფასი ხატი ვერცხლისა (¾x½ არშ. დაახლ.), შემკული ძვირფასი თვლებით, შეჭედილი დავით ლავრელაშვილისაგან. ეს ხატი, როგორც გადმომცეს, ლავრელაშვილებს წაუღიათ სახლში და დღეს აღარსადა ჩანს; როგორც ეტყობა, დამალულია.

ეკლესიაში და ეზოში ყრია ლურჯი ქვისაგან ნათალი ჩუქურთმიანი სვეტები (ეტყობა, ძველი კენკელისა).

ახალქალაქის ღვთისმშობლის ეკლესია[33]

სოფ. ახალქალაქის სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესია უბრალო შენობაა. მის ჩრდილოეთით არის მცირე ეკლესია. ეკლესიის სამხრეთის კედელთან არის საფლავის ქვა, 150x43/57 სმ., წარწერით:

ქ. მოიხსენე უფალო უხოიშნო სკვდილისა
გან მიცვალებული გოზალაშვილი ეს
ტატე ვინც წაკითხოთ შენდობა უბძანეთ მარტის
ი ქ კს უპივ

ახალქალაქის სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით დგას კვირაცხოველის ეკლესია. დღეს უკანასკნელი პირველის სამხროს შეადგენს (ჩრდ.); მას შერჩენილი აქვს თავისი საკუთარი ძველი ტრაპეზი.

ღვთისმშობლის ეკლესიას აღმოსავლეთის კედელში აქვს ქვა, 84x45 სმ., მხედრული წარწერით, რომლის გულშიაც გამოსახულია ჯვარი. აი თვით ნარწერაც:

მას : ჟამსა : ოდეს : იჯდა : ერან : თურანს : ბედნიერი : ყ[ე]
ენი : ჴელმწიფე შაჰასეფი : ქ . სახელთა : ღთისათა : ჩვენ : საქ
[ა]რთველოს : ჴელმწიფის : შვილმან : მეფეთ : მეფემან : პატრონმა :
როსტომ : და თანა : მეცხედრემა : ჩუენმან : დედოფალთა : დედ
ოფალმან : პატრონმან : მარიამ : ჴელ : ვყა[ვი]თ : აღშენებად :
თეძმის : ჰარს : ქალაქი : სახელ[ა]დ : უწოდეთ : მეფის : ქალაქი : და აღუშენ
[ე]თ : საყდარნი : და : მონასტერნი : [ჳ]ვარიც : მისა[ნ]ი : ქალაქისა : ამის
მკვიდრობისათჳის : მეფის : ქალაქელთა სომეხთა : ჩვენთ : სა
ხასოთ : ვაჭართა : ქ კსა : ტ[კე]ბ თვესა : იჳლისსა : კდ :·

ახალქალაქში ერთი კერძო კაცის, ალექსი ვარდოევის მარანს კარების თავზე აქვს ქვა, 2 არშ.x1 არშ.,2 ვერშ. წარწერით:

[...]ათ[...]თა † ნდ[...]
აღვაშენეთ ესე მარანი ჩვენ ხუთთა
ძმათა დანდურიშვილებმა ოსეფამ (?)
გასპარა სოლომანამ ანდრია ჩყმე შელსა.

---

[1] ეს ორი ასო დაზიანებულია ნახევრად და შთაბეჭდილებას სტოვებს ამ ასოებისას.

წინად ეს მარანი დანდურიშვილებისა ყოფილა, ეხლა ვარდოევისაა.

ახალქალაქში სამების ეკლესიას ჰქონია აღმოსავლეთის კედელზე, გარედან წარწერიანი ქვა, რომელიც გადასულია; მოსჩანს მარტო ორი თუ სამი მხედრული ასო.

ᲤᲐᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ[34]

ახალქალაქის თავზე არის ფავნისის წმ. გიორგის ფრესკებიანი ეკლესია (ტაბ. XVII$_1$). ფავნისი მითომ ფავლენისიდან წარმომდგარიყოს (გ. ჩაჩანიძე, ერთაწმიდა). იგი დიდი, სამხროებიანი ბაზილიკა ყოფილა. ჩრდილოეთი სამხრო შემდეგ ხანში ჩანს მიშენებული, რადგანაც მისი კვალი ორგანულად არ არის დაკავშირებული მთავარ შენობასთან; მაგრამ, შესაძლებელია, ადრევეც ჰქონდა, რადგანაც საკურთხევლიდან ჩრდილოეთით გადის კარები გარეთ. მის აღმოსავლეთის კედელზე, საქარესთან ახლოს, დახატულია ქვაზე გველეშაპი (ტაბ. XVII$_2$).

ფანჯარასთან ჩუქურთმიანი ქვები აქვს ჯვრებით.

ჩრდილოეთის კედელზე ჰხატია ერთი კაცი გაწვდილი ხელებით, იმის წინ, მეორე – დედაკაცია გაწვდილი მარცხენა ხელით, იმის შემდეგ, მესამე – კაცია გაწვდილი ხელით. ორი სახე კარგად მოსჩანს (პირველი და მეორე), მესამე კი მარტო ხელიღა ჩანს და თავის ადგილი. მეოთხე პირი სრულებით აღარ მოსჩანს. წარწერები არც ერთს აღარ უჩანს; ესენი ეკლესიის აღმშენებლები უნდა იყვნენ.

ეკლესიაში მრავალია ფრესკები; საკურთხეველში შენახულია თხუთმეტი წმიდანის ფრესკები. ხატებს ასომთავრული წარწერები აქვს. საკურთხევლის ცაზე დახატულია მაცხოვარი, რომელსაც ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს და ამ წიგნის ფურცლებზე ხვეულად იკითხება (ტაბ. XVIII$_1$):


ⴆⴄ ⴅⴑⴀ ⴇⴑ	ⴡⴇ᾽ⴆⴈⴑ ⴑ᾽ⴓ
ⴖⴄⴆⴄ ⴈⴏⴒ	ⴑⵜⴇⴓⴄⴈ
ⴆⴈⴈⴑ ⴀ᾽ⴆⴄ ⴊⴄ	ⴑⴏⴡⴀⴀⴄ
ⴓⴓⴈⴓⵒⴈ ⴆⴄ	ⴡⴑⴑ ⴈⴑⴡⴒ
ⴑⴀⴑ : ⴅ᾽ⴓⴓⴇ	ⴒⴡⴇⴡ ⵅ

სხვა წმიდანებსაც აქვს წარწერები საკურთხეველში. ფრესკები ჰქონია, აგრეთვე, სამხრეთის სამხროსაც.

ნოსტეს წმ. სამების ეკლესია[35]

ნოსტეს წმ. სამების ეკლესია წარმოადგენს ჩვეულებრივ ბაზილიკას, რომელსაც სამხრეთით კარებთან მიშენებული აქვს [...][36] (ტაბ. XVIII$_2$). მას უწინ ფრესკები ჰქონია, რომელიც კირით გადაულესავთ; დღეს სამხრეთის კედელზე შელესილი ნაწილი ჩამოცვენილია და მის ადგილს მოსჩანს ძველი ნახატები ასომთავრული წარწერებით. ეკლესიის აღმოსავლეთით დგას მეორე, აწ გაუქმებული ეკლესია.

ეკლესიაში არის შემდეგი ისტორიული ნივთები:



ნახ. 5

1. ჯვარი ხისა, წოდებული სამების ჯვარად, 117x80x7 სმ., შეჭედილი ვერცხლით, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი (წინა პირი და გვერდებია დაფერილი), ძლიერ დაზიანებული; ვერცხლის ფურცელი სიძველისა გამო ბევრს ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს. წინა პირზე შერჩენილია ნაჭედი ხატები (ნახ. 5).

1, 3, 5, 9 და 11 ნომრით აღნიშნული ადგილები ძლიერ დაზიანებულები არიან.

2 – ჯვარცმაა.


4 – დაზიანებული ხატია რომელიმე.

6 – ანერია **Ⴏ Ⴖ Ⴆ ⴖⴅ – იოანე ნათლისმცემელი.**

7 – ანერია: **Ⴣ ‖ Ⴣ ⴀ Ⴗ Ⴗ Ⴆ – გაბრიელ.**

8 – ანერია: IC ‖ XC – **იესო ქრისტე.**

10 – ანერია: **Ⴒ Ⴗ [- - - - - -] Ⴋ Ⴒ Ⴣ Ⴕ [- -] Ⴏ Ⴗ – წინასწარმეტყველი ი ̃ე.**



ნახ. 6

2. ჯვარი ხისა, წოდებული სამების ჯვარად, 91x54x5 სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი. წინა პირი ოქროს წყალშია დაფერილი და შემკულია ვერცხლზედვე ნაჭედი ხატებით და ორი დიდი, 23 საშუალო და 1 პატარა ფერადი თვლით (აკლია 11 თვალი) (ნახ. 6).

1, 9 – ხატი ღვთისმშობლისა ყრმით და ორი წმიდანით აქეთ-იქით.

2, 5, 6, 8 – მახარებლები.

3 – სამების ხატი მამბრესთან გამოცხადებისა.

3, 7 – ანგელოზები.

10 – ცხრა დღესასწაულის ხატები ერთად.

ჯვარი შეჭედილი ყოფილა 1643 წ.; უკანა მხარეს, გულში აქვს მხედრული წარწერა:

ქ კს ტლა
ქ. მო[ი]ჭედა ხატი
[ე]სე : ბრძანებითა :
ბატონის : ტფილელ
ისათა : ლის'თ წმიდისა სამების
[- - - - -]ის : ბატონობა
ში : გილაქის : შაჰნაზარ
ისითა

3. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. ნოსტეს წმინდის სამების შეწირულია

ასეთივე ნამუშევარია ფეშხუმი და კამარა (ე.ი. იმავე ოსტატისა).

ოძისის სიძველენი

1. ჯვარი ვერცხლისა, 20½x11 სმ., წოდებული კვირაცხოვლის ჯვარად, შემკული სამი თვლით და წარწერით:

ქ. ჩიტაშვილს გლახას და ზურაბას
თავისი ძითა შეუწირავ კვირა
ცხოველისათვინ

2. დროშის ჯვარი ვერცხლისა, 24x13 სმ., წოდებული ჭაშის წმ. გიორგის ჯვარად, შემკული ხუთი თვლით და წარწერით:

ქ. მე ბაქაქურმა
ლთისავარმა
ძმებმა ჩემ
მა ონოფრე
მა გიგიამ
შევწირე
ჯვარი წმინდა გიორგისა კვირა ცხოველსა სულისა ჩვენისა მოსახსენებლათ ქს უპზ

3. ჯვარი ხისა, 25x12 სმ., წოდებული ლომისის ჯვარად, ვერცხლ გადაკრული, შემკული ოთხი თვლით.

4. ზარი, ქართული ხელოვნებისა, დაახლოებით 30 გირვანქა, წარწერით:

ქ. ბოჭორმელ მამასახლისი თევდორეს მეუღლე ელენემ შევწირე ჩვენი ნაშენი საყდარსა შინა წ'ა წირვაში მოიხსენეთ ქს

[1] ან ხ.

ერთანმიდის წმ. ესტატეს ეკლესია[37]

ერთანმიდის წმ. ესტატეს ეკლესია არის გუმბათიანი შენობა (ტაბ. XIX, XX). მისი ფანჯრები, კარებები და კედლები გარედან შემკულია ძვირფასი ჩუქურთმებით და რელიეფური დიდი ჯვრებით.

მის გარეშემო დგას დიდი ციხე-გალავანი, რომელიც ისეთი მაღალი ყოფილა უწინ, რომ ეკლესიას თურმე ჰფარავდა და შორიდან ისე მთლიანად არ მოსჩანდა, როგორც ეხლა და ამის გულისათვის რომელიღაც რუსის ეგზარხოსს დაუნგრევინებია ეს გალავნები, ნახევრად რომ „ეკლესიას ჰსჩრდილავსო.“

მის ნივთთაგან მრავალი დაღუპულა ამ 65 წლის წინად, როდესაც ეკლესიის შესაკეთებლად, სასინოდო კანტორის ნებართვით, 10 ფუთამდე ძველი ოქრო-ვერცხლის ნივთები გამოუტანიათ და გაუყიდნიათ.

როდესაც ეკლესია შესაკეთებელი იყო, მაშინ მის ჩრდილოეთის კედლის რელიეფურ ჯვარში 60 თუმანი გვაძლიესო – მითხრა ერთმა, რომელიღაც მუზეუმიდან იყვნენო; რუსეთის მუზეუმიდან თუ იყვნენ.

ეკლესიას აქვს ფიცრის კანკელი ძველი ხელოვნებისა და ამავე ხელოვნების სახატეები: მარჯვენა – გარდამოხსნისა და მარცხენა – წმ. ესტატესი.

ეკლესიის სიძველენი:

1. ზარი, დაახლოებით 3 ფუთი, წარწერით, სულ ორ სტრიქონად არის:

†. ქ. მუხრანის ბატონის სძალმან ქეთევან წვიდისა ევსტათის ეკლესიასა შემოგწირე ზარი ესე მონიჭებისათვის სიმრთელისა და განგრძელებისათვის კეთილდღეობისათვინ | ძისა ჩემისა არჩილ ბაგრატიონისა წელსა ჩყკე სეკდემბრის კ-ს დღესა †


2. შანდალი ვერცხლისა, წარწერით:

განსვენებულის ღვნერალ ატუტანტის თავადის იოსებ თარხან მოურავისა საფლავისა ვარ მისხალი 125

3. ლანგარი ანუ თეფში ვერცხლისა წარწერით:

ეს ბარძიმი თეფში და ფარდა შევწირე მე დარჩო ბეგლაროვმა ერთი წმინდა წმინდა ესტატის ეკლესიად (?) | ჩყოდ წელსა მარიამობისა

4. მცირე ვერცხლის ბუდეში, რომელიც არის სიგრძით 17½ სმ. ზის მკლავის ძვალი ესტატესი. ამ ბუდეს აქვს წარწერა (ნახ. 7).



ნახ. 7

ეს ბუდე მკლავის ძვლით ზის მცირე ხის ყუთში, 29½x8¼x8½ სმ., რომელიც შეჭედილია ვერცხლით და შემკულია წარწერით, სულ ორ სტრიქონად არის:

დიდებულო მთავარ მოწამეო ევსტათი შემოგწირე მე ცოდვილმა დედაკაცმან ანამ იმერთა დედოფა|ლმან ბატიოსანი და წ˜ა მკლავი შენი სულისა ჩემისა საოხად მხილველთა შენდობა ბძანეთ ჩემთვის

5. ტილოზე ნახატი დიდი ზომის ხატი (160x140 სმ. დაახლ.) ნმ. [...][38] წარწერით, სულ ორ სტრიქონიანია:

შემოგწირე ხატი ესე ცოდვილის თ˜ა გიორგი დიმიტრის ძის თარხან მოურაოვისაგან შეისმინე ვედრებაჲ წმინდაო ევსტატი შეშიწყალე მე-ოხებითა და მფარველობითა | შენითა შეჰვედრე ღმერთსა და აღზარდე კეთილ გონერათ ძეი ჩემი ნიკოლოზ და შემწე იყავ და იხსენ ყოველსა გაჭირებისაგან და განსაცდელისაგან. 1854ო

სოფ. ერთაწმიდის ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის წარწერა (ან ამოქოლილი კარების გვერდით), რომელიც გადმომცა გ. ჩაჩანიძემ. იგი ამბობს:

ქ. ამ ქკს უნ@ (1770) შეფე
ობაკლი და რუსის
ჯარი აწვნა!
ოსმალნი გააქციეა
სამი ათასი
თავი მოსჭრეს
ლეკსა და ოსმალოსი

რკონის ეკლესიის წარწერა[39]

რკონის ეკლესიას კარების თავზე აქვს წარწერა, რომელიც გადმოუწერია ახალქალაქის ეკლესიის მღვდელ ტერ არუთინ მირიმანოიანს 1912 წლებში:

†: ჩᲥ ᲣᲘᲐᲣᲩ
ᲭᲮᲦ
ᲢᲜᲡ
ᲔᲫᲚᲨ
ᲥᲩᲩ

ე.ი. მიაწვა.

ზემო ხანდაკის წმ. თევდორეს ეკლესია[40]

სოფ. ხანდაკის წმ. თევდორეს ეკლესია დიდი შენობაა. იგი ნაშენია კლდის დიდი ლოდებისა (სამხროები) და თლილი ქვისაგან (ეკლესია) (ტაბ. XXI). სამხროები აქვს დასავლეთით და სამხრეთით, ოღონდ ორგანულად არ არიან დაკავშირებულნი მთავარ შენობასთან. ეკლესია შეკეთებული უნდა იყოს შემდეგ ხანაში და სამხროები, შესაძლებელია, გვიან იყოს მიშენებული. ეზოში ყრია მრავალი მასალა ეკლესიის ნანგრევისა. კანკელი ყოფილა მშვენიერი ჩუქურთმიანი ქვისაგან; დღეს კანკელზე დევს მხოლოდ ერთი ლურჯი, მშვენიერი ჩუქურთმიანი და ოთხი სხვა ჩუქურთმიანი ქვები. დანარჩენი ქვები კანკელისა ნანგრევებ ქვეშ უნდა იყოს. ხსენებული ჩუქურთმიანი ქვა (ორად გატეხილი) კანკელისა (დაახლ. 1x1 არშ.) უნდა გადმოტანილი იქნეს ტფილისს და დანარჩენი ქვებიც უნდა მოთხრილ იქნეს ეკლესიაში.

ეკლესია ფრესკებიანი ყოფილა. დღეს ფრესკები შერჩენილი აქვს საკურთხეველში (და შუა ეკლესიაში მცირედ). აქ (საკურთხეველში) ცაზე მოსჩანს ქრისტე, ტახტზე მჯდომარე (დაზიანებული); მას ხელში წიგნი უჭირავს გაშლილი, რომელშიაც იკითხება:

ⴱⴰ	[...]
ⴰⵎ	[...]
ⴳⵒⵞ	[...]
ⵖⵎⵇ	[...]
ⵚⵆⵁ	ⴳⵒ[...]

ქრისტეს გარდა, მის ქვევით მოსჩანან ექვსი სხვა წმიდანი. საკურთხევლის ფრესკები საზოგადოდ კარგად მოსჩანან.

ზემო ხანდაკის კალოსუბნის ეკლესია[41]

ხანდაკის კალოსუბნის ეკლესია უბრალოდ ბაზილიკაა. იგი ნაშენია დიდი ქვის ლოდებისაგან. აქ არის დიდი ქვის ემბაზი. მას ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთ ნახევარში მიდგმული აქვს სამხრო, რომელშიაც საკურთხევლიდან გადის კარი.

ხანდაკის წმ. სამების ეკლესია[42] უბრალო ბაზილიკაა.

ხოვლეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

სოფ. ხოვლეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ნანგრევად არის. იგი დაუნგრევია მიწის ძვრას 192[-][43] წელს; დარჩენილ ნაწილს შერ-

ჩენილი აქვს ფრესკები, რომელსაც წარწერები აქვს სლავურად. გადმოცემით, ეს ეკლესია აღუშენებია ვახუშტი ჯავახისშვილს 1781 წელს; მას ჰქონია წარწერიანი ქვები და ნანგრევს ქვეშ დაუტანია.

სოფ. ხოვლეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ნივთები, დაცული ადგილობრივ პეტრე-პავლეს ეკლესიაში:

1. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. ჩემს სასოსა და სქადულისა (sic) იოვანეს ნათლისმცემელსა შემოგწირე მცირე ესე ბარძიმი მე სარდლის ციციშვილის ალექსანდრეს ასულმა ეფემია ჩემის ძმების გიორგის და კონსტანტინეს მოსახსენებლად

2. ბარძიმი ვერცხლისა, გატეხილი ორად, მხედრული წარწერით:

ქ. ჩემს მამამთილის აღშენებულს ღვთისმშობლის ეკლესიას შევსწირე ბარძიმ ფეშხუმი კოვზით თეფში ჩემის სულის საოხათ შვილის და შვილის შვილების სადღეგრძელოთ ორბელიანის ასული ნინო ელისაბედ ჯავახოვი. მისხალი სულერთიან რჯგ

3. ფეშხუმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით:

ქ. ჩემს საოხად და სქადულსა იოვანეს ნათლისმცემელსა შემოგწირე მცირე ესე ფეშხუმი მე სარდლის ციციშვილის ალექსანდრეს ასულმა ეფემიამ ჩემის ძმების გიორგის და კონსტანტინეს მოსახსენებლად

4. ლანგარი წარწერით (ვერცხლისა):

ესეც არის მისხალი იდ

5. თასი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. მე ხორბალაძე თედუამ შევწირე ნათლისმცემელსა თასი ესე

6. ხატი წმ. გიორგისა, ვერცხლზე ნაჭედი, 15x11¾ სმ., შემკული სამი ფერადი თვლით და წარწერით:

წმინდა გიორგი ორბისისა ესე ხატი შემოგწირე მე ბერმა კოშაძემ

7. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 34x24 სმ., შეჭედილი ვერცხლით და შემკული ოთხი ფერადი თვლით და წარწერით:

შემოგწირე სოსია ლელ[ა]შვილმა რკონის (sic) ღთის
მშობელს ჩე[მ]ს საოხათ სასულიეროთ [- - -]

8. მცირე ყუთი ვერცხლისა, წმ. ესტატე პლაკიდეს ნაწილებით, რომელიც უწინ დაკრული ყოფილა წმ. იოანე ღვთისმეტყველის ხატზე.

ხოვლეს ღვთისმშობლის ეკლესია

ხოვლეს გაღმა, ღვთისმშობლის ეკლესია სამხროებიანი და ფრესკებიანი შენობა ყოფილა (აქედან პროფ. ჩუბინაშვილს წაუღია ტფილისში კანკელის მხატვრობიანი ქვები). დღეს ფრესკები შერჩენილი აქვს მხოლოდ საკურთხეველში; წარწერები ხატებს (ფრესკებს) მხედრულად აქვს. აქ არის ხის კანკელი, ძველი ხელოვნებისა. აქვე იყო ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა მცხეთის სკოლისა, სულ თხუთმეტი ცალი.

აქვე არის თორმეტი ძველი და ახალი საფლავი ჯვარახიანთ გვარისა.

ეკლესიის სამრეკლოზე არის ზარი (წონით 19¼) წარწერით:

ქ. შემოგწირე ზარი ესე მე თარხნის ქალმა მართამ შენ ხოვლის ნათლისმცემლის ეკლესიას ჩემად სადღეგრძელოდ ჩყიᲝ წელსა.

აქვეა ძველი ქართული ზარი, უწარწეროთ, დაახლოებით 1½ ფუთამდე.

ამ ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის საქარესთან ახლოს არის (12x8 ვერშ. დაახლოებით) ქვა კაცის გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით, რომელიც კედლის დაზიანებისა გამო მალე ჩამოვარდება. წარწერა:

ᲔᲘ [...]
ᲥᲔ[...]
ᲐᲦ[...]

სიშორისაგან წარწერები ვერ არის სწორად გადმოწერილი.

დასავლეთის კედლის საქარესთანაც არის ქვა (1 არშ. 4 ვერშ.x10 ვერშ. დაახლ.) ჯვრების გამოსახულებით და წარწერით, რომელსაც აგრეთვე შიში მოელის ჩამოვარდნისა. აი წარწერაც:

ⴕⴍ ⴑⴍ ⴟⴍ ⴕⴍⴛ
ⴖⴛⴉⴟⴌⴘⴌ
ⴌⴆⴚⴍ ⴟⴌⴖ

ეკლესიის სამხროები სულ მიწის პირამდე მოქცეულია. ფრესკები ძლიერ გაშავებულია და ადგილ-ადგილ ოდნავ მოსჩანს.

---

[1] ან Ⴆ.

ხოვლეს მაცხოვრის ეკლესია

ხოვლეს გაღმა არის მაცხოვრის ეკლესია. იგი უწინ ფრესკებიანი ყოფილა; ფრესკები შერჩენილი აქვს სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, ძლიერ პატარა ადგილას. იგი უბრალოდ ბაზილიკაა.

ხოვლეს კვართის ეკლესიის სამრეკლოს წარწერები

ხოვლეს გაღმა, კვართის ეკლესიასთან არის სამრეკლო, ნახევრად დანგრეული, რომლის დასავლეთის კარების მარჯვნივ, ორ ერთი-ერთმანეთზე დადებულ ქვებზე არის წარწერები:

I ქვა, 14x4½ ვერშ. დაახლოებით:

ქ ։ მე ։ იასემ ։

II ქვა, 4x5 ვერშ. დაახლოებით:

ქ ։ ღმ̃თო შ̃ე ფ̃დ ცო
დ̃ლი იესე ი̃ს
შვილო

ამ ორი ქვის მაღლა მესამე ქვაა ჯვრის გამოსახულებით. აქვე არის ზარი, დაახლოებით 20 გირვანქა, წარწერით:

ქ. შემოგწირე მე ბიჭკაშვილმა ბერუამა კვართის წმინდის გიორგისა ჩემის სულის და ჩემი შეუღ[ლის] და ჩემი შვილების სადღეგრძელოთ წელსა ჩყკა აპრილსა ა

ხოვლეს ავკეთის წმ. გიორგის ეკლესია

ხოვლეს ავკეთის წმ. გიორგის ეკლესია სამხროებიანი ბაზილიკა ყოფილა; დღეს სამხროები შენახული აქვს მხოლოდ დასავლეთით და ჩრდილოეთით, დანარჩენ მხარეს კი დაქცეულია. შიგნით ეკლესიას ჰქონია ქვის კანკელი მხატვრობით. დღეს იქ ყრია 15-ზე მეტი ჩუქურთმიანი ქვა, ერთი ქვა მხატვრობით და წარწერით ҂ქ҃; თვით კანკელზე ზევიდან უდევს 5 მხატვრობიანი ქვა და მიწაში ჩანს კიდევ მრავალი; მაღლითა ქვები დაზიანებულია, მიწაში ჩაფლულები კი შენახულია უკეთესად და წარწერა მხატვრობათა უკეთესად მოსჩანს. წარწერები ამ ქვებს სულ ასომთავრულად აქვს.

ხოვლეს ე.წ. „წითელი საყდარი“[44]

ხოვლეს დასავლეთით არის ე.წ. „წითელი საყდარი,“ რომელსაც ასე ეწოდება იმ მოწითალო ფერისაგან, რომელიც გარეთა პირის ქვებ-

სა აქვს მიღებული. მას ჰქონია სამხროები, რომელიც დღეს შერჩენია მარტო დასავლეთით, დანარჩენი კი დანგრეულია. ეკლესია სულ თლილი ქვისაგან არის ნაშენი. ეკლესიაში არის ჩუქურთმიანი დიდი სვეტი კანკელისა, სიმაღლით 2 არშინამდე.

ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს (ჩრდილოეთისკენ) ქვა, 72x52 სმ., მრგვალი ფანჯრით გულში და წარწერით მარცხენა მხარეს:

[-] ᲣᲮ
ᲒᲮᲮ [-]
ᲨᲦᲩ
ᲘᲬ Ყ[-] Ⴓ
ᲔᲦᲜᲘᲮ
ᲣᲮ
ᲯᲮᲯᲮ
Ს ᲡᲮᲔᲣ
Ი

ᲮᲝᲕᲚᲔᲡ Ე.Წ. „ᲣᲠᲝᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ“

ხოვლეს დასავლეთით, „წითელი საყდრის“ მახლობლად, ნიგვზების ხევთან არის ე.წ. „ურიის საყდარი“, რომელიც წარმოადგენს პატარა, ქრისტიანული ფორმის საეკლესიო შენობას; მის გარეშემო ნასახლარებია. მის დასავლეთით, მეზობელ ქედზე არის ნასახლარები, რომელთა შორის ადამიანის ყურადღებას იპყრობს დიდდიდი ლოდები.

ᲮᲝᲕᲚᲔᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

ხოვლეს დასავლეთით (5 ვერსტზე, დაახლოებით), გორაკზე არის ციხის ნანგრევები. მასში არის თლილი ქვისაგან ნაშენი ფრესკებიანი ეკლესია. კანკელის სვეტები და ძირითადი ნაწილი ქვისა შემკულია ჩუქურთმებით, ხოლო თაღი მისი – სვეტებზე გამომწვარი თუ შედუღებული რომელიმე ფხვნილი ნივთიერებიდან (გაჯის მაგვარი). მთელი კანკელი მშვენივრად არის შენახული; ფრესკები შერჩენილი აქვს საკურთხევლისა და დასავლეთის კედლებზე. კანკელის სვეტები მეტად წმიდად არის ნათალი. ეკლესიის გარეშემო გალავანი ცოტათაღა შენახულა; მის მახლობლად რაღაც სხვა შენობაც ყოფილა. სამხრეთით, კარებთან ეკლესიას აქვს მიწაში ღრმად ჩასავალი, ეტყობა გვირაბი, რომელსაც დღეს დაფარებული აქვს ფიცრები. წარწერა ჰქონია ეკლესიის შესავალ კარების (სამხრეთი-

დან) მარცხნივ, ქვაზე (8x4 ვერშ. დაახლოებით), რომელსაც შერჩენილა მხოლოდ ორიოდე ასო:

[-ⷣⷮC[- - -]
[- - - -]ⷨ[- -]

ხოვლეს წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესია

ხოვლეს მახლობელ, წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესიას აქვს სამხრო მარტო სამხრეთით. იგი ფრესკებიანია, ფრესკები ადგილ ადგილ დაზიანებულია; ხატებს წარწერები ასომთავრულად აქვთ. ეკლესია ნაშენია თლილი ქვისაგან; გარედან აქვს ჩუქურთმიანი ქვები.

გრაკალის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერა და სიძველენი

1. წარწერა ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთის კუთხეში, გარედან ორს, ერთმანეთის გვერდით მდებარე ქვაზე:

წელსა ჩყნ҃ზ აგვისტოს კ დღესა ։։
აღშენდა ეკლესია ესე ყ დ წ҃ისა ღვთის მშობლისა შრომითა და წარსაგებელითა გრაკალში მცხოვრებთა ერთა და სხვათა ხალხთათა სომხის ეკლესია

სულ ოთხი სტრიქონია.

2. ზარი, დაახლოებით 10 გირვანქამდე, წარწერით:

ქ. შემოგწირე გრკალის (?) საყდარს
მიხოაშვილი იაკოფის მეუღლემ ელისაბედმან
სულის ჩემი(?) საოხრათა (?) ჩყლ

3. ზარი, 1 ფუტზე მეტი, რუსული ხელობის, წარწერით:

1882ს წელსა თიბათვის 7ს დღესა შევწირე ესე გრაკალის სომეხთ ღვთის მშობლის ეკლესიასა კათოლიკოზებელთ სერგუა იაკოფასძე არაქელოვი ჩემი და მშობლებისა ჩემისა სულთა საოხადა

გრაკალში 1921 წ. ნიკოლოზ ზაქარის ძე ამილახვრის ოჯახში დაუწვიათ ხელნაწერი მხედრული წიგნი ამილახვრების გვარისა, რომელსაც დართული ჰქონია გვარშთამოების სია ერთ დიდ ფურცლად. წიგნი თვით ყოფილა 6-7 ფურცელი. ამილახვრები უწინ ყოფილან ბიბილური, შემდეგ ზედგინიძე და, ბოლოს, ამილახვარი.

დოესის ღვთისმშობლის ეკლესიის სიძველენი

1. ბარძიმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით:

ქ. შენ დიდებულსა დიდსა მთავარ მოწამესა
წმიდასა ევსტათის შემოგწირე და გიძღვენ ბარძიმი ესე
ვერცხლსა ფეშხუმითურთ და კამარით საქართველოს
მეფის მეორის ირაკლის ძემან ვახტანგ საოხად სულისა
და ჯორცთა ჩვენთა ნოემბარის (?) ი ჩუგ (?)

აქ თარიღი დამწერის შეცდომა უნდა იყოს, რომელსაც „ყ"-არის მაგიერ დაუწერია „უ"-ნი.

2. ფეშხუმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით:

ქ . შენ . დიდსა . მოწამესა . ევსტათის . ირაკლი . მეორისა .
ქართლისა . და . კახეთის . მეფის . ძემან . ვახტანგ . შემოგწირე .
ფეშხუმი . ესე . ვარსკვლავითურთ . საოხად . სულისა .
ჩემისა . და . მშვიდობით . დაცვისათვის . ჩემისა . წელსა .
ჩღოზ . ფეშხუმი . ვარსკვლავითურთ . მისხალი ჲ

ადგილობრივ პირთა გადმოცემით, ეს ნივთები უწინ ერთაწმიდის ეკლესიისანი ყოფილან, საიდგანაც ეკლესიის განახლებისა თუ სხვა მიზნით გაუსყიდნიათ და დოესელებს მათგან შეუძენიათ თავიანთ ეკლესიისათვის.

დოესის წმ. იაკობის ეკლესიის სიძველენი

1. ტილოზე ნახატი ხატი წმ. იაკობისა, წარწერით ხატის ბოლოზე:

პატა გიორგის ძემ ციციანოვმა შემოგწირე ჩემი სული[ს] საოხათ [...]

ერთი სტრიქონია.

2. კრეტსაბმელი ხავერდისა, რომელსაც დაფარებული აქვს თეთრი, ოთხკუთხი მატერია, წარწერით:

ესე ვარაქურ შემოვსწირე დავით
გრიგოლის ძე ტურაშვილმა წშ. ია
კოფის დოესის ეკლესიას საოხად სუ
ლისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა
18 ⅛ 78 წ.

ძველო სასირეთის სიძველენი

ისტორიული ნივთები:

1. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 40x30 სმ., ვერცხლის არშიებით და ვერცხლისავე შარავანდედით. ძირა არშიაზე ხატს აქვს წარწერა:


სასირეთის წმინდის გეორგის გიძღვნე სამეოხათ ჩემდა და მეუღლისა ჩემისა ქაშოეთის დეკანოზის შვილმა მღდელმა პეტრემა სვეტის ცხოველის დეკანოზის ასულმა რიფსიმემა შვილისა ჩემისა პელაგიას აღსაზ რდელად არში[ი]თ და გვირგვინით შეგვამკეთ ჯვრისაგან და სნეულე ბისაგ[ან] გვიხსენით ეს გემსახურეთ რომელმაც ხელი შეახოს ღ~თის რახსნა მიიღოს და თქვენი

2. ფიცარზე ნახატი წმ. ხატი იოანე ნათლისმცემლისა (გატეხილი ორად), 50x35 სმ., წარწერით:

ახსენ განსაცდელთაგან აზნაური (წაშლილია ერთი სიტყვა) **იოვანე ოსებაძისა მწყერაძე მეოხ ეყა[ვ] ცხოვრებასა**

ნიაბის ეკლესია[45]

ნიაბის ეკლესია სამხროებიანი დიდი ბაზილიკაა. იგი ნაშენია თლილი ქვისაგან. სამხროები აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით (ტაბ. XXII$_1$). იგი უწინ ფრესკებიანი ყოფილა, რის კვალიც მოსჩანს საკურთხევლის ფანჯრის თავზე (თუ თაღზე). ეკლესიას ჩრდილოეთის კედელზე აქვს ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია წმიდანი და მასთან ცხოველნი – ირემი (?), ლომი (?) და მესამე რაღაც ცხოველი (იქნებ ღორი) (ტაბ. XXII$_2$). წარწერა ქვაზე (ნახ. 8) (ტაბ. XXIII$_1$).



ნახ. 8

ამავე ჩრდილოეთ კედელზე არის მეორე ქვა მხედრული წარწერით (ტაბ. XXIII$_2$):

ქ ჲ· ადამს : აქეთ : შვიდი : ათას : ოთხმოცდა : ათსა : აღვაშენე : მეორედ : საყდარი : ესე : ნიაბს : წმი დის : გეორგისა : მე : მაღალაძემ : მღვდელ : მონაზონმ ან : ნიკოლოზ : შენდობა : ბძანეთ : მამის : ჩემის : სახლ თხუცის : პაპუასათვის : და : დედის : ელენ[ე]სა : ქ~კს ტო ჲ·

ქვემო ხანდაკის ღვთისმშობლის ეკლესია

ქვემო ხანდაკის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ნაშენია დიდი კლდის ლოდებისაგან. მის ეზოში ეგდო: 1. ქვა, სამად გატეხილი, რომელზედაც დახატულია რაღაც ცხოველი; 2. ქვა ჯვრით.

ორივე ეს ქვები შევატანინე დასაცავად ეკლესიაში.

ქვემო ხანდაკში არის ისტორიული ნივთი (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში) – ხატი მთავარანგელოზისა, ნახატი, წარწერით:

ქ ։ მო სარე [...] ლაშქარა ։ შეილი ։ ივანე ։ ქ̅ კს უო.

ქსნის ციხე[46]

ქსნის სადგურის ჩრდილოეთით, 3 ვერსზე, გორაკზე, რომელიც დასცქერის მუხრანისკენ მიმავალ გზას, დგას დიდი ციხე, რომელსაც უჭირავს არე სიგრძით დაახლოებით 10 საჟენი, სიგანით – 8 საჟენი (ტაბ. XXIV). აქ ძველადაც ყოფილა ციხე; მისი კედლები სულ ქვისაგან და კირისაგან არის ნაშენი, ხოლო XVIII საუკუნეში კოსტანტინე მუხრანბატონს ეს ციხე გაუფართოვებია, უმეტეს ნაწილად ახალი კედლები ამოუყვანია ქვის, აგურისა და კირისაგან. ძველი კედელი კარგად შენახულა ჩრდილოეთის მხარეს და სხვა. ციხის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი არის დიდი ორმოს მსგავსი რამე, ამოშენებული ქვიტკირით, იქნებ წყლისაკენ სავალი გზა იყოს. ციხის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დანგრეულია და ხრამში გადავარდნილი; ნაწილი კედლებისა მასალის წაღების მიზნით უნგრევიათ ახალ დროს. მისი ეზო შიგნით ნანგრევებისაგან ამაღლებულია. დღეს ციხეში შესავალი გზა არის დანგრეული ნაწილის (სამხრეთ--დასავლეთი) მხრიდან.

ციხეს დასავლეთი მხარის ჩრდილოეთ მხარეს, კარის მაღლა, მუქი ფერის ქვაზე, რომელიც ზომით იქნება დაახლოებით 70x55 სმ., აქვს წარწერა:

ქ ։ ღ̅თს . მინდობით . ჩვენ . მუხრანბატონმა
სახლთხუცემან (sic) . კოსტანტინემ . აღვაშე
ნეთ . ციხე . ესე . დავსდევით . სახელათ . კო
სტანტილაბათი . მტერთა . მბძოლთა .
განმაბნეველად . რათა . მკვიდრონი . მამუ
ლთანი . არ წ̅არტყუენილ იქმნენ .
ქ̅ს . აქათ . ჩ.ღ.მ.ჲ . ქ̅კს . ულდ ։

ციხისძირის წმ. გიორგის ეკლესია[47]

რკინიგზის სადგურ ქსნის ჩრდილოეთით, 4 ვერსზე, გორაკზე დგას ციხისძირის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი ბაზილიკა არის, 6,9x3,6 მ., სიმაღლით დაახლოებით 6 მ.; ნაშენია კლდის სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან; შენახულია მარტო ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედელი და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი, დანარჩენი სულ დანგრეულია; ერთი დიდი ნანგრევი დიდ ნატეხად გდია ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის გასწვრივ, დანარჩენი კი გადაცვენილია ჩრდილოეთით, უფსკრულში (ეკლესიას ჩრდილოეთით და სამხრეთით ხრამები ანუ უფსკრულები გასჩენია; ქვიშიანი ნიადაგი წვიმა-ქარისაგან იქცევა, ძირს მიექანება და მალე მთელ შენობას დაქცევას უპირებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მხარეს).

თაღი შენახული აქვს მარტო საკურთხეველს, ისიც ძლიერ დაზიანებული. აღმოსავლეთი კედელი ორ ადგილას არის გარღვეული ზევიდან ძირამდე. კარი უჩანს: ერთი – სამხრეთით და ერთი – ჩრდილოეთით (უკანასკნელი – საკურთხევლის ახლოს); სარკმელი შერჩენია მარტო აღმოსავლეთ მხარეს. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს აქვს კამარები. ეკლესიას ჰხურებია სწორი კრამიტი, ნაშთი შერჩენია ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებზე. კანკელი ქვისა ყოფილა; დღეს შერჩენია მხოლოდ მისი სამხრეთი ნახევრის ძირის ქვები, ლურჯი ფერის.

ტრაპეზი და სამკვეთლო სულ აღარა ჩანს.


ეკლესია მოხატული ყოფილა, კვალი შერჩენია ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში; აქ მოსჩანს სულ 6 დიდი ზომის ხატი: ხუთი – საკურთხეველში და ერთი – შუა ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხეველთანვე. პირველი და მეექვსე ხატები ოდნავღა მოსჩანან, იგინი მცირე ნაშთს წარმოადგენენ; დანარჩენები კი (2, 3, 4 და 5) შედარებით კარგად არიან შენახული, თუმცა ისინიც დაზიანებულნი არიან; მეორე, მესამე და მეოთხე შენახული არიან თავიდან ფეხამდე, მეხუთე კი თავიდან წელამდე. მათ არავითარი წარწერა არა აქვთ შერჩენილი. მხატვრობის კვალი შერჩენილა, აგრეთვე, აღმოსავლეთი სარკმლის თაღზე და საკურთხევლის სამხრეთ კედელზე ადგილ-ადგილ.

ეკლესიას ჩრდილოეთით მიშენებული აქვს სამწირველო (?), 3,25x1,7 მ., სიმაღლით დაახლოებით 2,25 მ.; იგი ნაგებია იმავე მასალით, რომლითაც ეკლესია. იგი ეკლესიის აშენების დროს არის მიშენებული. შენახულია მარტო აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები მთლიანად და ჩრდილოეთი კედლის ნახევარი; აქვს ორი

თახჩა (ჩრდილოეთ კედელზე ერთი და დასავლეთ კედელზე ერთი) და ერთი სარკმელი (აღმოსავლეთ მხარეს).

ეკლესიასაც და სამწირველოსაც (?) საძირკველი გამოწეული აქვთ (შიგნიდან დასაჯდომებივით არის). ეკლესიას საძირკველთან დიდი ლოდები აქვს დაყუდებული აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის გასწვრივ, ხრამის პირას, 1 საჟენზე მოსჩანს აკლდამა, ნახევრად ხრამში გადავარდნილი; მის მახლობლად (სამხრეთით), ½ საჟენზე არის მეორე აკლდამა, ისიც ნახევრად დანგრეული. პირველისა მოსჩანს მარტო სამხრეთის ქვა, აღმოსავლეთისა მინაში იქნება ჩაფლული, ხოლო ჩრდილოეთი და დასავლეთი ხრამში იქნება გადავარდნილი; მცირე აკლდამისაა ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ქვები, სამხრეთის და დასავლეთის ხრამში გადავარდნილია და დაკარგულია.



ნახ. 9

ეკლესიას აღმოსავლეთ მხარეს, გარედან, სარკმლის თავზე და გვერდებზე უწყვია სამი მოლურჯო ქვა; სამივეზე გამოსახულია ჯვრები; მესამეს ჯვრის ადგილში და მის ქვევით აქვს ხუცური წარწერა (ნახ. 9). ეს ქვა დევს აღმოსავლეთი სარკმლის პირას, მარცხნივ (ჩრდილოეთით). ამ წარწერიან ქვას ბოლო სტრიქონის თავში სხვა ასოებიც უნდა აკლდეს. ქვა მარჯვენა მხარეს დაზიანებულია.

საქადაგიანოს წმ. დემეტრეს ეკლესია[48]

ქადაგიანის ეკლესია დგას ქსნის მარჯვენა მხარეს, ოსების საფლავის თავზე, ჩრდილო-დასავლეთით, ½ ვერსზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 6x3½ მ., რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს კარიბჭე, 2,3x2,3 მ. (ტაბ. XXV$_1$). ეკლესია ნაშენია რიყის სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. კარი აქვს სამხრეთით ერთი და დასავლეთით ერთი (კარიბჭიდან შესასვლელი). სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი და ჩრდილოეთით – ერთი (თითო თითო მხარეს). ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; მას ქიმი დაზიანებული აქვს.

ეკლესიას ჰხურავს სწორ-პირიანი კრამიტი და იმ კრამიტების შეერთებით მომრგვალებული წვრილი კრამიტი. სახურავი აღმო-

სავლეთ ნანილში დაზიანებული აქვს. სახურავზე, სამხრეთ მხარეს ამოსულია ჯაგი.

ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის ზევით, მონაცრისფრო ქვაზე, 50x64 სმ., აქვს ასომთავრული წარწერა (ტაბ. XXV_2):

ⴒ ⵜ˜ⵏⵇ : ⵃ˜ⵗⵅ : ⵍ˜ⵔⵖⵣⵇⵔⵇ : ⴰⵐⵍⵇⵔⵇ : ⵊⵀ : ⵛⵇⵚⵔⵛ
ⵏⴒⵖⵣⵍⵛ ⵃⵀⵊⵏ : ⴰⵛⵀⵀⵇⵔⵇⵔⵍⵃⵀⵇⵍⵇ: ⵅⵛⵃⵀ
ⵣⵀⵍ : ⵖⵃⵔⵀⵖⵛⵚⵃⵀⵣ˜ⵏ : ⵊⵃⵀⵔⵇⵣⵀⵏⵊ˜ⵏ : ⵓⵇⵔⵇⵀⵇⵔⵏⵀ :
ⵓⵇⵔ ⵃⵀⵔⵇ: ⵃ˜ⵊⵔⵇⵔ : ⵔⵊⵚⵛⵔ ⵔⵣ˜ⵖⵃⵗⵓⵀⵣ˜ⵏ :
ⵅⵛⵃⵀⵔⵀⵏ : ⵓⵀⵏⵃⵀⵚⵍⵀⵏ : ⵓⵇⵔ ⵇ˜ⵛⵀ : ⵔⵀⵏⵃⵔⵖⵀⵏ
ⵀⵇ : ⵀⵅⵣⵀⵖⵀⵔⵇⵔ : ⵀⵍⵀ : ⴒ˜ⵖⵔⵔ : ⵓⵀⵊⵏⵒⵃⵀⵍⵀⵏ :

იკითხება:

წ. ქორონიკონსა რპვ სახელითა ღუთისაითა მე ბაწუ
ნწელის ძემან ღჯნიანასძისა კჯრი
ლეს შვილებულმან მონაზონმან დამიანე
და ძეთა ჩემთა ამბა ალავერდელმან
კჯრილე დიონოსი და თევდორე[1] აღვაშენ
ეთ ეკლესია ესე წმიდისა დიმიტრისი.

დამწერლობის თვალსაზრისით წარწერაში აღსანიშნავია ო-სა და უ-ს დამწერლობა: ო ყველგან იწერება Ⴇ-დ, ხოლო უ – Ⴇ-დ.

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა. მოხატულობა შერჩენია საკურთხევლის ნაწილს.

კონქში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით კალთაში. ღვთისმშობელი ზის ტახტზე. ღვთისმშობელსაც და ყრმასაც სახეები დაზიანებული აქვთ. ყრმას აწერია ⵜ˜ⵏ. ღვთისმშობლის მარჯვნივ და მარცხნივ დახატული არიან მთავარანგელოზები; მარჯვნივ მდგომარეს წარწერა დაზიანებული აქვს; იგი, ალბათ, გაბრიელი უნდა იყოს; მარცხნივ მდგომარეს აწერა **ⵒ˜ⵜⵏⵖ**, ე.ი. **მიქელი**; ორივეს მუხლს ქვევით ნაწილი დაზიანებული აქვთ.

პირველ რიგში დახატული არის 12 მოციქული მდგომარე, მათგან 6 მარჯვნივ და 6 მარცხნივ; მარჯვნივ მეოთხე (სარკმლიდან) თითქმის სულ მოცილებულია, დანარჩენნი ოდნავ დაზიანებულნი არიან. წარწერები დაზიანებული აქვთ. სარკმელში, მარჯვენა მხარეს, ვიღაც პირია დახატული წელამდე ჯვრით ხელში, მარცხნივ, წელამდევე: **ⴒ˜ⵁ ⵛⵇⵚⵔⵛ**.

მეორე რიგში დახატული არიან მღვდელმთავრები, მდგომარე; ოთხი – ტრაპეზის მარჯვნივ, ოთხი – მარცხნივ. ზედ ტრაპეზზე

---

[1] იქნებ იყოს თეოფილე.

მაცხოვრის თავი იყო ყელამდე. ეს რიგი უფრო დაზიანებულია, ვიდრე ზემო. მარჯვნივ მესამე სულ მოცილებულია. წარწერები უმეტეს ნაწილად დაზიანებული აქვთ.

მარჯვნივ:

მეორეს შერჩენია გრაგნილზე ბერძნული ასოები:

ΟΘ˜C
ΟΘ˜C
ΗΜ˜

მეოთხეს აწერია:

Ⴒ˜Ⴑ|ᲘᲨᲘ|ᲐᲜᲔ|ᲝᲙ

მარცხნივ:

მესამეს აწერია:

Ⴒ˜Ⴑ ⁘ ᲔᲫᲒᲔᲠᲘ ⁘ ᲔᲜᲘᲗᲘᲠᲔᲒᲐᲜᲘᲜᲘ ⁘

მეოთხეს:

Ⴒ˜Ⴑ ⁘ ᲙᲘᲚᲐᲜᲘ ⁘ ᲔᲜᲘᲗᲘᲠᲔᲒᲐᲜᲘᲜᲘ ⁘

ტრაპეზიც მოხატული ყოფილა.

საკურთხეველის შუბლის რკალზე, ეკლესიის სიმაღლის შუა ნაწილიდანვე დაწყებული, წარწერა ჰქონია, რომელიც შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში და რკალის სამხრეთ ნაწილში:

(ᲗᲘ˜Ⴖ)ᲒᲤᲧᲖᲜᲘᲓᲔ ᲙᲔ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘ[- - - - - - - - - - - - - - - -] ᲤᲔᲜᲖᲘᲡ [- - - - - - - - - -]

შუა ეკლესიაში, თაღის აღმოსავლეთ ნაწილში დახატულია ძველი დღეთა; მას სახე კარგად აქვს შენახული, დანარჩენი დაზიანებულია. აწერია: ⸗ᲩᲘ) ᲜᲘ|ᲨᲝᲘᲡ|[...]; აქვე, პილასტრის კამარაზე დახატულია რამდენიმე წმიდანი.

ჩრდილოეთ კედელზე შერჩენილია ხატების ნაშთები.

კარიბჭე ეკლესიის აშენების დროსვე უნდა იყოს აშენებული. მას ოთხივე მხარეს კამარები აქვს; დასავლეთი და ჩრდილოეთი კამარები ამოგებულია შემდეგ ხანში. კარი აქვს მხოლოდ სამხრეთით და აღმოსავლეთით, რომელიც ეკლესიაში შედის. იგი ოთხკუთხი შენობაა, კუთხეებში ტრომპები აქვს. კამარებს აგური აქვს შეხმარებული.

---

[1] ან ᲘᲡ.

ქადაგიანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ეკლესია

ქადაგიანის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით მახლობელ მანძილზე არის სხვა ეკლესია, რომელიც ერთნავიანი ბაზილიკაა, 6½x3½ მ.; ნაშენია რიყის სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. მას თაღის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ჩამონგრეული აქვს. თაღი საერთოდ შენახულია, მხოლოდ მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილია ჩამონგრეული. ჰხურავს კრამიტი, სახურავზე ნატეხები ყრია. კარი აქვს სამხრეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია; ეხლა ის ამოგებულია და შიგნით პატარა თახჩად არის გაკეთებული. სარკმელი აქვს მარტო აღმოსავლეთით. კანკელი აგურისა ყოფილა, ის ეხლა გადმონგრეულია და იატაკზე ყრია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; იგი (ტრაპეზი) ოდნავ მოგრძო ფორმისაა.

ეკლესია მოხატული ყოფილა; კვალი შენახულია ჩრდილოეთ კედელზე, საკურთხევლის ახლოს.

შუა ეკლესიაში, სამხრეთ კედელთან არის საფლავის ქვა, მოყოლილი კანკელის ნანგრევს ქვეშ; მას უჩანს მხედრული წარწერა XIX საუკუნის დასაწყისისა.

ეკლესიის გარეშემო სასაფლაოა.

აღაიანის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველენი

აღაიანის წმ. გიორგის ეკლესია სოფელში ახალი შენობაა.

სიძველენი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 32x23½ სმ., XVIII საუკუნის.

2. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ნინოსი, 30¼x23½ სმ., წარწერით ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ, XVIII საუკუნის.

3. ჯვარი ხისა, სადაფიანი, 30½x13 სმ., დაზიანებული.

4. სამირონე მცირე.

5. სასულიერო მახარებელი 186[-], სულ 7 ცალი. უკანასკნელი (სასულიერო მახარებელი) გადმოტანილია ცენტრალურ არქივში.

ჩანგილარის ძეგლები

სოფ. აღაიანის[1] ჩრდილოეთით, 3-4 ვერსზე ერთმანეთზე ზედმიყოლებით (სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ) და მცირე მანძილის და-

[1] აღვწერე სექტემბრის 25 – 1929 წ.

შორებით, ოკამის მიმართულებით, ველიდან ოდნავ შემაღლებული ადგილის გადმოსახედზე დგას ჩანგილარის ძეგლები:

1. **კოშკი**, ნაშენი რიყის ქვისა და კირისაგან, ნაწილობრივ დანგრეული.

2. **ერთნავიანი ეკლესია** (წმ. იოანე ნათლისმცემლისა ?), 5,75x3,75 მ. ნაშენია რიყის ქვისა და კირისაგან; კარი აქვს სამხრეთით, დგას მარტო კედლები; ჩრდილოეთით მიშენებული აქვს ეკვდერი (?), 3x2 მ., რომელსაც კარი აქვს დასავლეთით, მასაც მასეთი კედლები აქვს.

3. **საწნახელი** ქვიტკირისა.

4. **ერთნავიანი ეკლესია,** 6x3 მ., ნაშენი რიყის ქვისა და კირისაგან, კარი აქვს სამხრეთით; დგას მარტო კედლები.

5. **ერთნავიანი ეკლესია,** 4,75x3,25 მ., ნაშენი რიყის ქვისა და კირისაგან, კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი (თითო თითო მხარეს). დგას მარტო კედლები. ეკლესია შიგნით ნანგრევით არის სავსე.

თხოთის მთის წმ. ნინოს ეკლესია[49]

აღაიანის დასავლეთით, 3-4 ვერსზე, თხოთის (?) ქედის ყელზე ანუ უღელტეხილზე დგას წმ. ნინოს ეკლესია (ტაბ. XXVI$_1$); გადმოცემით, მეფე მირიანს აქ დაუბნელდა ნადირობის დროს. ეკლესია ჯვრის სახედი ერთნავიანი ბაზილიკაა, 8,48x4,18 მ., სიმაღლით დაახლოებით 6-7 მ.; ნაშენია შიგნით და გარეთ ნაცრისფერი თლილი ქვისა და კირისაგან, ადგილ-ადგილ ლურჯი ქვაც აქვს შეხმარებული. შეხმარებული აქვს, აგრეთვე, აგური (თაღს, პილიასტრს, დასავლეთ კედელს, სამხრეთ კარს და დასავლეთით მიდგმულ ბურჯს). აგური ეკლესიის განახლების ხანს უნდა ეკუთვნოდეს. ეკლესია შიგნით გალესილი ყოფილა კირით, რომელიც დღეს ადგილ-ადგილღა შერჩენია. კედელი სისქით არის (ჩრდილოეთი კარის ადგილს) 2 მ. ეკლესიას დასავლეთით, ალბათ კედლის გასამაგრებლად, მიდგმული აქვს ბურჯი.

იატაკი აგურისა ყოფილა, რომელიც ეხლა ნაწილობრივ აყრილა.

ეკლესიას ჰხურავს აგური; სახურავი დაზიანებულია; ზედ პატარა ხეებია ამოსული.

კარი აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი და სამხრეთით – ერთი. ჩრდილოეთი კარის ზომა: სიმაღლით – 1,7 მ., სიგანით – 91 სმ.; სამხრეთი კარი ეხლა პატარაა, ძველად იმოდენივე იქნებოდა, რაც ჩრდილოეთისა.

კანკელი ქვიტკირისაა; იგი შიგნით და გარეთ გალესილი ყოფილა კირით, რაც დღეს ადგილ-ადგილღა შერჩენია. მას აქვს ორი კარი: აღსავლისა და ჩრდილოეთისა; სიმაღლით არის 2 მ., სისქით: ძირა ნაწილში – 43 სმ., შუაზე – 24 სმ.; ამ შუა ნაწილში კედლები შეჭრილია ხატების დასაწყობად.

ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სიმაღლით არის 93 სმ., სიგანით: წინ – 63 სმ., უკან – 1მ. 03 სმ.

სამხრეთი კარის თავზე, გარეთ, დევს ქვა ჯვრის გამოსახულებით.

გარეთვე, აღმოსავლეთი სარკმლის თავზე უდევს ქვა, ჯვრითა და ორნამენტებით შემკული: განაპირა ჯვრები რკალშია მოთავსებული, შუა სადაა (ტაბ. XXVI$_2$); ორნამენტები არის ძირა ნაწილში, უკანასკნელი დაზიანებულია.

ეკლესიის ეზოში, დასავლეთით და ჩრდილოეთით მოსჩანს აკლდამები.

ეკლესია განახლებული უნდა იყოს: მისი დასავლეთი კედელი ნახევარს ზევით ახლად ამოყვანილი ჩანს; ამას მასალის განსხვავება გვეუბნება: ზევითა ნაწილი უმეტეს ნაწილად აგურია, ქვევით კი მარტო ქვა; განახლების დროსვე გვეუბნება ეკლესიის დასავლეთით, კედელზე გარედან მიდგმული ბურჯი, რომელსაც უმეტეს ნაწილად აგური აქვს შეხმარებული. განახლებას უნდა გვეუბნებოდეს, აგრეთვე, სამხრეთი კარიც. განახლებისას უმეტეს ნაწილად აგურია ნახმარი. აგური აქვს, აგრეთვე, პილასტრს და თაღს.

ეკლესიის დღესასწაული ძველად სცოდნიათ ₍იანვრის 14-ს ძველით, შემდეგ ერთ დედაკაცს ბავშვი გახდომია აქ ავად გაციებისაგან და მოჰკვდომია და ამის შემდეგ დღესასწაული გადაუტანიათ მაისის 7-ზე ძველითვე.

თეზის ლომისის ეკლესია

თეზის ლომისის ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით, ერთ ვერსზე, პატარა გორაკზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 3,75x2,50 მ.; ნაშენია ქვიტკირისაგან. შიგნით და გარეთ გალესილია კირით; ჰხურავს სწორ-პირიანი კრამიტი და მათ შესაერთებელში წვრილ ღარიანი კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი და სამხრეთით – ერთი. აქ არის საფლავის ქვები წარწერით, XIX საუკუნის დასაწყისისა.

თეზის კვირაცხოვლის ეკლესია[50]

თეზის კვირაცხოვლის ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 4x2,75 მ., ნაშენია ქვიტკირისაგან, ჰხურავს კრამიტი, კარი აქვს სამხრეთით. ეზოში არის დაფლული ქვევრები; ეზოს გარეშემო გალავანია.

თეზის წმ. გიორგის ეკლესია[51]

თეზის წმ. გიორგის ეკლესია სოფელში ერთნავიანი ბაზილიკაა, 4,25x3,25 მ.; ნაშენია ქვიტკირისაგან, ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით, სარკმლები: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი.

ოკამის წმ. გიორგი ეკლესია სოფლის თავზე.

მორგედაანთ კარის წმ. გიორგის ეკლესია[52]

მორბედაანთ კარის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს დგას ბზის ხეები. ეკლესია ნაშენია ქვიტკირისაგან, 3½x2½ მ.; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი და დასავლეთით – ერთი. ჰხურავს სწორი კრამიტი და შეერთებაში მრგვალი კრამიტი. აღმოსავლეთით აქვს პატარა ოთახი, რომელსაც კარი სამხრეთით აქვს; იგი ცალკე შენობაა, საყარაულოსავით გარეშემო აქვს ძველი გალავანი. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

სიძველეები:

1. ზარი, ხელოსან ალექსი სმირნოვისა, რუსული წარწერით 1807 წ., 1 გირვანქაზე მეტი, წარწერით:

ქ. იშხე ოსებმა შემოგწირე ბოლის წმინდა გიორგი ზარი

2. ღვინის თასი სპილენძისა, წარწერით:

ქ. წმიდა გიორგისა ვარ †

3. იაზმის წყლის ჭურჭელი სპილენძისა, წარწერით:

რუსუდან . დედოფლის . მესწოლე . ჯნფტსია

4. ჯვრის ბუდე ხისა, ვერცხლის დიდი ჯვარი ყოფილა შიგნით, 60x30 სმ. (დაახლ.), მოუპარავთ ადრევე.

მორბედაანთ კარის თავზე, სამხრეთით არის ეკლესია, ნაშენი ქვიტკირისაგან, 6x3,30 მ.; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსაელეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული და ერთიანი ქვისა ჩანს. სამკვეთლო კუთხეში ყო-

ფილა, ეხლა ნანგრევი ყრია საკურთხეველში. ორი თახჩაა კანკელის ხაზზე. ჩრდილოეთ კედელთან დგას ტრაპეზის მაგვარი ქვა, რომელშიაც ზის ქვა-ჯვარა შირიმის ქვისა, 25x25x8 სმ. სიმაღლე ტრაპეზისა – 91x60(მაღლა)/49(ძირს)x41 სმ. ჯვრის ასამაღლებელი – 70x51/38x46 სმ.

ეკლესიას შიგნით სულ დასაჯდომები აქვს მთლად. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა. სახურავი მაღლა წყლით არის გაჟღენთილი და მალე ჩამოიქცევა. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. შიგ წყალი ბევრგან ჩადის და საშინელი ნესტის სუნი დგას. ეკლესია შიგნით კირით ყოფილა გალესილი, ადგილ-ადგილღა არის შერჩენილი შელესილობა. აქვს შავი საღებავით მინაწერები (ესეევა მინაწერები იკოთში, იქ ჩრდილოეთ კედელზე მოჩანს სახე ვიღაც წმიდანისა). აქ, საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთით არის მინაწერი მხედრული:

(გ)ლახას შეუნდნს [- - -]
ღმრთმნა
ამნა

სარკმლის მარცხნივ:

[- - - -]ᲝᲬ
შამიას [- - - -]
ანი
ღმრთის

შუა ეკლესიის სამხრეთ კედელზე, საკურთხევლის ახლოს:

ქ. ღმერთო შეიწყალე
სული [- - - - -] ასი [- - - - -]ბევსა
[- - - - - - - - - - - - - - - - - -]
[- -]ш ҟѳѧѵѣ [- - -]
ꙋтрѹтро ꙗ [- - - - -]

დასავლეთ კედელზე:

ცხოვნდეს ზ(ჯვალი)შვიღს)
[- - - -]შენდობი
[- - - - - - - - - - -]
[- - - - - - -]

დასავლეთი კედლის შუა კედელზე:

ᲝᲮᲝᲘ
ᲘᲨ

ყველა კედელზე ეტყობა შავი წამლით ნახატები.

დასავლეთით ყოფილა შენობების ნანგრევები. მაღლა სიპი ქვა ჰხურებია, ახლა ცოტაღა აფარია. აქ ბერები ყოფილანო.

ბოლისმანის წმ. გიორგის ეკლესია

ბოლისმანის წმ. გიორგის ეკლესია ნაშენია ქვიტკირისაგან, ჰხურებია სწორი კრამიტი, შეერთებაში მრგვალი ღარიანი კრამიტი, ეხლა დამტვრეულია. შენახულია მარტო გალერეების თაღები, ისიც დაზიანებით, თვით ეკლესიის თაღი კი ჩაქცეულია და მარტო კედლებიღა დგას. ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც გარეშემო აქვს სამსავე მხარეს გალერეიები. გალერეიას დასავლეთ მხარეს ჰქონია კარი, ეხლა ამოშენებულია. დღეს აქვს კარი გალერეიას მარტო სამხრეთით. თვით ეკლესიას აქვს კარი გალერეიებში გასასვლელი: დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით (დასავლეთ ნაწილთან) – ერთი და სამხრეთით (გალერეიის კარის პირდაპირ) – ერთი. სარკმელი: აღმოსავლეთით – სამი, ჩრდილოეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი. კანკელი არის ქვიტკირისა, მასზე დგმულა მოლურჯო ფერის სვეტები. ერთი ხუთი სვეტი სიმაღლით 50 სმ. (დაახლ.) არის საკურთხეველში. კანკელის სვეტს აქვს სამ წახნაგზე შესანიშნავი სახეები, რომელთაც თავში ამშვენებთ ჯვარი; გვერდის წახნაგის ჯვრები ძველი ფორმისაა, ხოლო შუა წახნაგის – სწორი. დანარჩენი სვეტები და თვით კანკელიც ნანგრევით არის დაფარული. თვით ეკლესიაც ნანგრევით არის სავსე.

ეკლესიას ჰქონია მხატვრობა; კვალი მოსჩანს საკურთხევლის სამხრეთ კედელზე (შენახულია წითელი ფერი).

ეკლესიაში ამოსულია ხეები, სახურავზედაც გალერეიებისა ხეებია ამოსული; დასავლეთი გალერეია ძლიერ დაზიანებულია და მალე ჩამოიქცევა.

ზომა ეკლესიისა გალერეიებით: სიგრძით – 13 მ., სიგანით (დასავლეთ ნაწილში) – 8 მ., თვით ეკლესიის ზომა: სიგანე – 2 მ. 70 ს., სიგრძე 8½ მ., სიმაღლით დასავლეთი კედელი – 7 მეტრზე მეტი.

ეკლესია გადაკეთებულია, რაც ცხადად ჩანს კედლების თავადობიდან: გალერეის კედლები ცალკე დგას, ეკლესიისა – ცალკე (ერთმანეთზეა მიდგმული), თვით საკურთხევლის ნაწილსაც დამატებული აქვს კედელი ქიმში, კანკელთან და სხვ.; გალერეიების სვეტების კამარები გადაყვანილია შირიმის თლილი ქვისაგან; დანარჩენი კლდის ქვაა.

ეკლესიის გარეშემო არის გალავანი, კედლები ადგილ-ადგილ შენახულა. ზევით არის დიდი შენობების ნანგრევები, აღმოსავლე-

თით დგას ბზები. გალერეიები ცალკე მიშენებულ შენობას წარმოადგენს. ეკლესიის დასავლეთით არის ერთი ოთახი 4 მ. სიგრძით, სიგანით 3 მ., კარი აქვს სამხრეთით; დგას მარტო კედლები, თაღი ჩაქცეულია. გალერეიების დასავლეთ ნაწილში არის ქვევრები; დასავლეთი ოთახის დასავლეთითაც არის ქვევრები დიდი. გალავანს კარი ჰქონია სამხრეთით, ეხლა კირით არის სავსე. სამხრეთით, გალავნის გარეთ მოჩანს ორი შენობის ნანგრევი. სხვა ოთახების ნანგრევები არ არის.

ეკლესია დგას მობედაანთ-კარიდან დასავლეთით, მაღალი გორაკის სერზე, 2-3 ვერსის დაშორებით, სასაფლაოსთან.

ბოლის ბერითავის წმ. გიორგის ეკლესია

ბოლის ბერითავის წმ. გიორგის ეკლესია (სოფელში) ერთნავიანი ბაზილიკაა, 5x2,80 მ., ნაშენია ქვიტკირისაგან. ტრაპეზი კედელთან ახლოს დგას, იგი ერთიანი ქვაა. დგას მარტო კედლები, დანარჩენი დაქცეულია. კარგად შენახულა დასავლეთი კედელი. დანარჩენი ნაწილობრივ დაქცეულია. კარი აქვს სამხრეთით.

სიძველეები:

ზარი, დაახლოებით 30 გირვანქა, წარწერით:

ქ. შემოგწირე ბეეთის ბოლის წმიდის გიორგის ეკლესიას ეკლაძე[1] გიორგიმ საოხად ძეთა ასულთა და სულთა ჩვენთათვის.

ერთი სტრიქონი.

ახალგორი

აღმასკომის სახლს აღმოსავლეთ მხარეს, კიბეზე უწყვია საფლავის ქვები მხედრული წარწერით, წამოღებული ადგილობრივი სომხის ეკლესიის ეზოდან.

1. მესამე საფეხურის ქვა:

ქ. საფლაესა ამას შინა მდება
რე უმარილოანთ გიქოას მეუ
ღლე ტერ არუთინოვის ქალი ხათუნა
ვინც წ[ა]კითხოთ შენდობა ბძანეთ

2." კიბის მაღლა, კარის წინს:

---

[1] უნდა იყოს ეკალაძე.

ეს ქვა ადრევე გადმოღებული უნდა მქონდეს და იქიდან უნდა შეივსოს.

I

ქ. ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ აბესალომ
შვილი როსტომოვი
რომელმან წაიკითხოთ შენდობა ბძანეთ

II

ქ. ამა ზემოხსენებულსა
არა ამა საწუთროდან
ყა

III

ამავე როსტომას და [- - - - -]მო
ხუცებული
ვინც წარიკითხოთ შენდობა ბძანეთ

ახალგორის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესია[53]

ახალგორის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 10,25x3,25 მ.; იგი ნაშენია ქვითკირისაგან, ჰხურავს თუნუქი. კარი აქვს დასავლეთით.

სიძველენი:

1. კანკელი ფიცრისა, შემკული სხვადასხვა სახეებით. აღსავლის კარებს აქვს მშვენიერი სახეები ვაზის ფოთლისა და მტევნისა, ჯვრისა და სხვ. და ოთხი მახარებლის ხატი; ორივე კარი ძირა ნაწილში დაზიანებულია; იგი ეკუთვნის XVIII საუკუნეს.

2. ჯვარი ხისა, 22,3x14,3 სმ., შეჭედილი წინა მხარეს და გვერდებზე ვერცხლით და შემკული წმ. გიორგის ხატებით და ორი უბრალო თვლით (აკლია ერთი თვალი). ჯვარი დაზიანებულია: მარცხენა მხარი მოტეხილი აქვს, გულის ხატიც ავარდნილია და დაკარგული.

3. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა (ცხენზე მჯდომარე), 36x28 სმ., შემკული ვერცხლის აშიებით და შარავანდედით; უკანასკნელი დაფერილია ოქროს წყალში. გვერდებისა და ზედა აშია სახეებიანია, ხოლო ქვედა აშიას აქვს წარწერა:

თანა : შემწე : ექმენ : დიდო : მოწამეთა : მთავარო : გიორგი : ახალგორს : ქაშოეთისაგ : ერისთავს : დავითს .

ეკუთვნის XIX საუკუნის პირველ ნახევარს.

4. ფიცარზე ნახატი ხატი კვირაცხოვლისა, 32x24 სმ., ძირა ნაწილი დაზიანებული; XVIII საუკუნისა.

5. ენქერი, ოქრომკერდით ნაკერი, 32x32 სმ.

1926 წელს, ეკლესიის გაქურდვის შემდეგ, დაკარგულია შემდეგი სიძველენი:

1. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 36x24 სმ. (დაახლ.), შემკული თორმეტზე მეტი თვლით.

2. ჯვარი წმ. გიორგისა.

ახალგორის წმ. მარინეს ეკლესია[54]

წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით, გვერდით დგას წმ. მარინეს ეკლესია. იგიც ერთნავიანი ბაზილიკაა, 4x4 მ., ჰხურავს კრამიტი, კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, უწინ ჩრდილოეთითაც ჰქონია (წმ. გიორგის ეკლესიაში გასასვლელად), მაგრამ იგი ეხლა ამოგებულია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

სიძველენი:

1. ფიცარზე ნაკვეთი ხატი წმ. გიორგისა, 15x10 სმ., დაზიანებული (დამწვარი), XIX საუკუნისა.

2. კარედი ხატი დეისუსისა, შემკული მინანქრის სახეებით, 14x13 (გაშლით 38,7) სმ., რუსული ხელოვნებისა.

წმ. მარინეს ეკლესიის სამხრეთით, გვერდით დგას ორსართულიანი სამრეკლო კოშკი, ნაშენი ქვითკირისაგან; იგი ნანგრევად არის: შენახულია მარტო ძირა სართული, ზევითა კი ნაწილობრივ დაქცეულია. სახურავი მას სულ აღარ აქვს.

დასახელებული ძეგლების გარეშემო შემოვლებულია ქვითკირის გალავანი; იგი ნაწილობრივ განახლებულია; ძველი ნაგებობა კარგად შენახულა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, დანარჩენი ახალია.

იკოთის წმ. გიორგის ეკლესია[55]

იკოთის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 8,65x4x6,7 მ., რომელსაც სამხრეთით მიშენებული აქვს ეკვდერი, 8,65x1,75x2,5 მ.; ნაშენია თლილი და ნაწილობრივ სწორპირიანი ქვისა და კირისაგან; ქვა მოწითალო ფერისაა. ჰხურავს სიპი. კარი აქვს სამხრეთით; სარკმლები: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი, დასავლეთით – ორი (შენახულია ერთი, ამოგებულია ერთი). აღმოსავლეთი სარკმლის თავზე არის ქვა ჯვრის გამოსახულებით. შიგნით, საკურთხევლის ნაწილი აღმოსავლეთ მხარეს, ძირს, იატაკთან ოთხკუთხია, ხოლო 1,5 მ. სიმაღლეზე ტრომპით მრგვალდება. კედლები

და იატაკი გალესილია (კირით?). კედლების ძირთან გამართულია დასაჯდომები. კანკელის ძირა ნაწილი 1,5 მ. სიმაღლეზე ქვით-კირისაა, ხოლო მაღლა ფიცრისა. აქვს ორი კარი: აღსავლისა და ჩრდილოეთისა. საკურთხეველი შუა ეკლესიიდან ამაღლებულია ორი საფეხურით, 32 სმ.; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, ზომით არის 86x77x60 სმ.; სამკვეთლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში უნდა ყოფილიყო, ეხლა ის დანგრეულია და ქვები იქვე ყრია. მარცხენა (სამხრეთის) კუთხეში, ტრომპის ნაწილში გამართულია დიდი, მაღალი თახჩა, მარჯვენა ნაწილი კი გადაკეთებულია და, შესაძლებელია, იქაც ისევე იყო, ეხლა აქ პატარა თახჩაა; პატარა თახჩები არის აქვე, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში.

შუა ეკლესიაში, ჩრდილოეთ კედელზე მოსჩანს წამლების კვალი; შესაძლებელია, იგი მხატვრობის ნაშთი იყოს. კედლებზეცე მოსჩანს მინაწერები შავი წამლით.

ჩრდილოეთი კედელი (მსხვილი და წვრილი ხელით):

ქ ։ წშიდაო გიორგი ։
და ნუ წა [- - - - - -]
[- - -] და [- - - - - - - - -]
ქ [- - - - - - - - - - - - -]
უშვე [- - - - - - - - - -]
უშველე [- - - - - - - -]
მონ [- - - - - - - - - -]
[- -] გიორგი მოწმე [- -]

ⴐ̃ⴠ ⴣ̃ⴡ ⴊ̃ⴣ ⴝ̃ⴞⴡ

დასავლეთი კედელი (ისეთივე ხელით):

ქ. უძლეველო მოწამეო გიორგი : შე : მოსაგი : სახიერებისა

სამხრეთი კედელი. საკურთხეველთან მოსჩანს ხუცური და მხედრული ასოები, რომელნიც მთლიან სიტყვებს არ იძლევიან გარდა ⴆ̃ⴓ ⴘ̃ⴡ-სა და სხვ. საკურთხევლის აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებზე მოსჩანს ასეთივე მინაწერების ნაშთი.

ეკლესიის შენობა დაზიანებულია; სახურავი მას ადგილ-ადგილ-ღა ჰხურავს, უმეტესი ნაწილი კი აყრილია. ეკვდერს სახურავზე ნანგრევი აყრია, თაღი ნაწილობრივ ჩამოქცეული აქვს.

ეკლესიის კარებთან, გარეთ, აყუდია ქვა-ჯვარა, 47x32,5x11 სმ.; მას მარცხენა მხარი მოტეხილი აქვს (ინახება იქვე).

ეკლესიის დასავლეთ მხარეს არის სამი შენობის ნანგრევი. ამ შენობათა დასავლეთით და, აგრეთვე, სამხრეთით არის მრავალ დიდ შენობათა ნანგრევები.

ეკლესიის ჩრდილოეთით დგას ბზის ხეები.

ეკლესიის აღმოსავლეთით არის ქვითკირის სამრეკლო; იგი ორსართულიანია. ძირა სართული მთლიანად არის შენახული, მაღლითა სართულს კი თაღი ჩამოქცეული აქვს და მარტო კედლებიღა დგას. ძირა სართული ეზოში შესასვლელ კარს წარმოადგენს, მაღლითა – საზარეს. კარებიდან შემორჩენილია მარტო მარჯვენა, მარცხენა კი არსადა ჩანს. მაღლითა სართულში ძევს ზარი ქართული ხელოვნებისა.

ეკლესიის გარეშემო არის გალავანი, რომელიც ნანგრევად არის.

იკოთის წმ. მარინეს ეკლესია[56]

იკოთის წმ. მარინეს ეკლესია ერთნავიანი (?) ბაზილიკაა [...][57]. ნაშენია ქვის, აგურისა და კირისაგან, ჰხურავს კრამიტი (ტაბ. XXVII$_1$). კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი – თითო თითო მხარეს. სამხრეთის კარს ზევით აქვს ქვა, შემკული სახეებით; მის გულში ზის მარმარილოს დაფა, 18x22 სმ., (დაახლ.), წარწერით (ტაბ. XXVII$_2$):

ქალწულო მოწამე • წმიდა ესე მარინა
შეოხი ჩვენად • ჲანმახლ ეკლესიის •
შეფისა სძალი • წერეთლისა ასული •
ქეთევან გედური[1] • შწე მეყავ მეუღლითურთ (sic)
თ აღსაზრდელად • ძისა ჩვენისა გრგოლისა
ქ კს • უ • ა • ვ •

ეკლესიის დასავლეთით არის ციხის ნანგრევი; ეკლესიის სამხრეთით, ოციოდე მეტრის დაშორებით, დგას *ვახტანგ ფიცხელაურის კოშკი*, მრგვალი ფორმისა.

ყანჩავეთის ეკლესია[58]

სოფ. ყანჩავეთის [...] [59] ეკლესია (ტაბ. XXVIII-XXX) აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს.[II] ხსენებული პირის მიერ აღწერილი ნივთებიდან IV ნომრით აღწერილი

1. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

---

[1] დედანში: გედური; უნდა იკითხებოდეს: გუედრი.

[II] Е. Такаишвили, *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, вып. V (Тбилиси, 1915), с. 108-116, рис. 50-54.

ქ. ესე ბარძიმი გესამანისა ღ˜თის მშობლისა არის სხვა ბარძიმი იყო დავაშლევინე და სხვა ჩენი დავაყარე და შეეასრულებინე მე შალვა რატის შვილმა ქკ˜ს უჲგ

2. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით (ფიცარზე გადაკრული), ძველი ქართული ხელობისა.

3. ჯვარი დროშისა, შეჭედილი ვერცხლით და შემკული 4 თვლით და წარწერით, შენირული წინამძღვრიშვილი კარბელაშვილის მიერ.

4. ხატი ღვთისმშობლისა; 1923 წელს გაუძარცვავთ ყაჩაღებს, ვერცხლი წაუღიათ, ფიცრის ხატი დაუწვიათ. შემდეგში სოფელს ყაჩაღი აღმოუჩენია და ხატის ვერცხლი აღმოუჩენია. ვერცხლი მიეცა ოსტატის ზანგურაშვილისათვის ახალი ხატის შესაქმნელად. ამ ოსტატს უშოვნია იმავე ზომის ახალი ხატი და ძველი ხატის ფურცელი მასზე გაუმართავს და ამის თაობაზე გაუკეთებია წარწერა.

არმაზის ეკლესია[80]

ეკლესია გუმბათიანი ყოფილა, იგი დაბჯენილია ყოფილა ორ თუ ოთხ (?) სვეტზე (ტაბ. $XXXI_1$); სამკვეთლო და სალარო ცალკეა (კარები დასავლეთით აქვს). ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით აქვს დერეფანი (?); მის (გალერეის) სამხრეთის აღმოსავლეთ ნაწილში სამწირველოა; სამწირველოა, აგრეთვე, დასავლეთის ჩრდილოეთ ნაწილში არსებულ ცალკე ოთახში. ეკლესია ნაშენია [...].[61] სვეტები არის შირიმის ქვისა, თაღი – რიყის ქვისა, შირიმისა, კლდის ქვისა და კირისაგან. ეკლესიის შიგნით კედლის ძირითადი ნაწილი გამოწეულია დასაჯდომად. თაღი მრგვალია. კანკელი ქვიტკირისაა (ალებასტრისა) (ტაბ. $XXXI_2$, $XXXII_1$). საკურთხეველის აფსიდა ეკლესიის ოთკუთხედშია მოქცეული. იგი ოთხ კუთხაა. ფრესკიანი ყოფილა, ეხლა კვალიღა მოსჩანს.

ეკლესიას გალავანი ჰქონია გარეშემო, ეხლა ნანგრევიღაა. ჩრდილოეთით არის შენობები; ერთი მათგანი საძვალე ყოფილა, იგი დიდი შენობაა.

ეკლესიის სამხრეთის კედელზე, კარნიზთან ახლოს დევს ორი ქვა, 48x130 (ორივე ქვა) სმ. წარწერით (ტაბ. $XXXII_2$):

ⴕ ⴛⴔⴆⴇ | ⴆⴊⴛⴔⴆⴒⴒ ⴓ[- - -]
ⴑ ⴈⴇⴊⴑⴑⴁ | ⴡ ⴋⴗⴁ ⴡⴘⴛⴁ ⴕⴖ[- - -]
ⴇⴑ ⴊⴡ ⴡ[-] | ⴖⴓ ⴅⴆⴊⴋⴘⴛⴑ
[...] | ⴆⴛⴑ

დღეობა იციან გიორგობის ღამეს და ამაღლების დღეს.

ნირჟოლის წმ. მარინეს ეკლესიის ნივთები

1. ჯვარი ხისა, 54x47x3½ სმ., წოდებული ამაღლების ჯვარად, რომლის წინა პირი და გვერდები შეჭედილია ვერცხლით, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი. ვერცხლზე არის ნაჭედი ხატები ჯვარცმისა, წმ. გიორგისა; ჯვრის გულში ხატია წმ. ნიკოლოზისა, ბერძნულის წარწერით:

O NI
A KO
ΓΙ ΛΑC
OC

ჯვარი შემკულია 1 რვანაწილიანი და 10 წვრილი თვლით (აკლია 6 თვალი). ჯვრის ხეები შუაზე გადახსნილია; ზევითა ნაწილი მოტეხილი და დაკარგული აქვს სიძველისაგან. ჯვარს აქვს წარწერა:

ქ. წ̃იდ ꙋ გიორგი ꙋ წ̃
ორქვლის ꙋ თავისას ꙋ
გაუმარჯჳე ꙋ ერისთა
ჳს ꙋ იესას ბატონ

ცოტა ქვევით სხვა წარწერა:

ქ. წ̃შიდაო გიორგი
გაუმარჯჳე ꙋ ავ
თ[ა]ნდილსა
რმ ꙋ

ჯვარს ქვედა ნაწილზე აქვს ვერცხლის ფურცლის ნაჭერი წარწერით:

შუდ
ამ
ჳჳს
დნეს

ჯვარზე არის გულსაკიდი ჯვარი ძეწკვით და შანა ძეწკვით.

2. ჯვარი ხისა, 42x23 სმ., წოდებული მთავარანგელოზის ჯვარად. ჯვრის წინა პირი შეჭედილია ვერცხლით, რომელიც ნაწილობრივ ოქროს წყალშია დაფერილი. ვერცხლზე ნაჭედი ხატებია ჯვარცმისა, ანგელოზისა და სხვ. ჯვარზე არის ვერცხლის ძეწკვი.

3. ჯვარი ხისა, 35½x24 სმ., წოდებული კვირაცხოვლის ჯვარად. მისი წინა პირი შეჭედილია ვერცხლით, რომელიც ოქროს წყალში არის დაფერილი. ვერცხლზე ნაჭედი ხატებია წმ. გიორგისა, მთა-

ვარანგელოზისა, ღვთისმშობლისა და სხვ. ჯვარზე არის ორი გულსაკიდი ჯვარი, ერთი მათგანი 3 თვლით (აკლია 2 თვალი).

4. ჯვარი ხისა, 30½ (ტარითვე)x16x1½ სმ., წოდებული წმ. გიორგის ჯვარად, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი (გარდა ტარისა). ტარის ვერცხლი ნაუღიათ ავაზაკებს და ტარიც მოუტეხნიათ, ეხლა ჯვრისათვის ახალი ტარი გაუკეთებიათ. ჯვრის ვერცხლზე ხუთი ნაჭედი ხატია წმ. გიორგისა; ჯვრის გულის წმ. გიორგის ხატი ოქროს წყალშია დაფერილი. ჯვარი შემკულია 8 თვლით (აკლია 2 თვალი); უკანა მხარეს ჯვრისა ვერცხლის სადა ფურცელი არის და ბოლოში აქვს წარწერა:

ქ : ჯამსა : გიორგი :
მღვდლისასა : ქ კს უჯ

5. რომელიღაც ხატის ნაგლეჯი ვერცხლი.

წირქოლიდან ავაზაკებს ნაუღიათ ვერცხლის ნივთები: აზარფეშა, ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი, სეფისკევრის თეფში, თასი, სანაწილე და სხვ.

წირქოლის ეკლესიაში არის ქვა, რომელსაც აქვს წარწერა.

ერთ მხარეს:

ქ. ნ[ე]ტ[ა]რს[ა]ხს[ე]ნ[ე]ბ[ე]ლი

მეორე მხარეს:

ფ[ი]ცხ[ე]ლ[ა]ური

ქსნის გაღმა, მაღალ გორაკზე (კორინთის ხაზის ქვევით) არის **წირქოლის ციხე** (ტაბ. XXXIII$_1$) და მის მახლობლად **ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი** (ტაბ. XXXIII$_2$-XXXV).

სია კორინთის ეკლესიიდან შუა ალევში გადატანილი ნივთებისა

ბაირაღი – 2 ცალი; ტრაპეზის გადასაფარებელი – 1 ცალი; დაფარნები – 3 ცალი; აღსავლის კარების ორი ტილოზე ნახატი მახარებლები; კარების ვერცხლის ხატი, ხელით მოქსოვილი ოქრომკედით საერთოთ; წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატი, ტილოზე ნახატი; ორი მოწამე სტეფანე; ღვთისმშობლის ხატი, ტილოზე ნახატი; სამოციქულო; ჟამნი; დავითნი; სტიხარი; სამაჯური; ფარდა კრეტსაბმელი, ძველი, ყვითელი; ჯვარი სამებისა; ხატი ღვთისმშობლისა, მოქარგული თვლებით; მცირე ხატი სამებისა, თავზედ თვლებით მორთული; გადასაფარებელი ყვითელი, ძველი; საცეცხლური ვერ-

ცხლისა; აღსავლის კარებში გასაშლელი, წითელი მაუდისა; ორი კრუშკა ფულისა.

სოფ. კორინთის ეკლესიის მნათე იასონ ჩარბადიანი.

კორინთა

1. კანკელის ხატები, ტილოზე ნახატი, XIX ს.; სერობის ხატს ძირა ნაწილში აქვს წარწერა მხედრულად:[62]

ქ. შემოგწირე კარისა ჩემის ეკლესიას კორინთას წმინდის მარინასას კნეინა მარიამ ერისთავისამ კანკელი ესე სულთა და ხო

რცთა ჩემთა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ და გარდაცვა-

ლებულისა მეუღლისა ჩემისა დავით ერისთავის მოსახსენებლად

2. დროშის ჯვარი „კვირაცხოვლისა“, ვერცხლისა, 34,5x13,5 სმ., შემკული წინა მხარეს ჯვარცმის და ორი სხვა ხატით (რელიეფურად) და სამი თვლით და წარწერით უკანა მხარეს:[63]

ქ. ნინია ღუნაშვილი მეორე ნინია ღუნაშვილი

თინიკას შვილი გლახას შემოუწირავ ხუთი

მინალთუნი

3. ჭაღიდან დარჩენილი „გული“ ანუ ღერო ვერცხლისა („ფრთები“ დაკარგულია), წარწერით თავში, ბუშტზე (სიმაღლე „გულისა“ – 45 სმ.):[64]

რომელი სამგვამოვნებასა შინა დიდებულ ხარ ერთითა არსებითა

ღ˜თო ღმერთთაო და უფალო უფლებათაო უძღვნი წმინდასა შენსა ტაძარსა ალავისა

ეკლესიასა ჯომლსა ამას ვერცხლისასა შეენერ განკაზმილსა მე ყოველსა ზემოჯსა საქართველოჯსა

მპყრობელისა მეფისა ირაკლი მეორისა ძე ვახტანგ არაგვისა სამთავროჯსა უფლისწულობით მპყრობელი რათა

შეიწირო სარწმუნოებითა სასოებითა და სიყვარულითა მორთმული კნინი ესე ძღვენი და დამიცვა

მე საფარველსა ქვეშე შენსა უღელვოდ მრჩობლსავე შინა ცხოვრებასა ჩემსა

იულისს კვ წელსა ჩღაზ მისხალი ტჯ

4. სახარება, დაბეჭდილი ვახტანგ მეფის მიერ 1709 წელს ხუცურად; ორივე ყდა შეჭედილია ვერცხლით[1], რომელიც ნანილობრივ აგლეჯილია (ადგილ-ადგილ); უკანა მხარეს აქვს წარნერა ვერცხლზე, დაზიანებული[65]:

I ზევითა აშიაზე

[...]საშინელო . ღთაებაო . წმიდაო . სამებაო . არსებით . მიუწდომელო . და ძლიერებით

[...]რომელსა გმსახურებენ ბეგრ(ნ)ი . ბეგრთანი . და ათასნი . ათასთანი . ანგელოზნი მ

თაფრ . ანგელოზნი . მთავრობანი და ქელმწიფანი ქერაბთნნი და სერობინი და ყოვ

II მარცხენა აშიაზე

[- -] (ქმედი)

ჩემო ალევის წმიდაც სამებაო შეცა მი[- - - - - - - - - - - - - - -] შელი და სარწმუნოებით და

სასოებით შენდამი მოლტოლვილი და მთხოველი [- - -]ული ერისთვისა მუხრანის ბატონის მ[- - - - - -]

III ძირა აშიაზე

ბარბარე მკადრე ვიქმენ და მოგიჭედინე წმიდა ესე სახარე(ბა)[- - - -]

მცირე ესე შესაწირავი რათა მარადის მვედრებელი [- - -]

ველისა წყალობისა შენისასა არა გარე მიაქციო სათ

IV მარჯვენა აშიაზე

[- - - - -] ნაყოფი მუცლისა ჩემისა და მცე ძე რ̃ა უ̃კე შენ[და] დიდებასა

[შევს]წირვიდეთ ამინ გაკეთა წმინდა ესე სახარება თვეს აპრილისა ი[ქ] ქ̃ს უ̃ლთ

V პირველი სტრიქონის ბოლოში (ატანილია)

12 მისხალი პე

5. დაფარნა, ოქრომკედით ნაკერი, 40x65,5 სმ., წარწერით სამ მხარეს:

I მარჯვენა მხარეს

[ქ] ⁘ ყ̃დ წ̃ო სამებაო ღ̃ო ჩ̃ნო რ̃ლნ ადდე ტაძარი შენი ალევისა ეკლესია

---

[1] ვერცხლზე გამოსახულია: წინა მხარეს – სამება (შუაში) და მახარებლები (კუთხეებში); უკანა მხარეს ⴗⴆⴋⴑ, ანუ ყოვლად წმიდა.

II ძირა აშიაზე

გიმკობ ხალჩაფუჩსა ამას ჯ᷑ისათჳს საქართველოს მეფის ძრაკ-ლი მეორისა ასული და თანა მეცხედრე მუხრანის ბატონ სახლთხუცის ბაგრატიონის იოანესი

III მარცხენა აშიაზე

ქეთევან რათა გვფარვიდე ჩვენ და შჯლთა ჩ᷑ნთა წელსა ჩღქგ

6. დაფარნა, ოქრომკედით ნაკერი, 93x90 სმ., წარწერით:

I ძირა აშიაზე

ქ. წშინდაო სამება
ო ღ᷑თო ჩემო
შეიწირე მცირე ესე შესაწირავი ჩემ უღირსის მეფის გიო

II მარცხენა აშიაზე

რგის ასულის სოფიასაგან ჩემის ძეებით დასულებით წელსა ჩყიდ იანვრის ა † საუკუნოდ შემიწყალე და ღირს მყავ შენს წყალობას

7. ზარი ძველი ხელოვნებისა, 5 გირვანქა (დაახლ).

ეკლესიის ჩრდილოეთით არის **ერისთავის სასახლის ნანგრევი:** შენახულია გალავნის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედელი ნანგრევად; XIX საუკუნეში აქ უცხოვრია ოძისის ერისთავს ოქროს.

კორინთის ჩრდილოეთით, მონასტრისაკენ მიმავალი გზის თავზე (კორინთიდან 1 ვერსამდე), კლდეზე დგას **კორინთის კოშკი.** ოთკუთხი შენობაა. სოფლიდან 1 ვერსზე ნაკლებია მანძილი.

შუა ალევის [...]ᲨᲘ ეკლესიის ნივთები

1. ჯვარი ხისა, 20½x13½ სმ., ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით (გარდა ტარისა) და შემკული ვერცხლისგან ქანდაკებული ჯვარცმის ხატით და სამი თვლით (აკლია 1 თვალი).

2. ჯვარი დროშისა, 14x8¼ სმ., რომლის წინა პირიც შემკულია ვერცხლისაგან ქანდაკებული ჯვარცმის ხატით. ჯვარს აქვს ნარწერა:

ქ. სასოსა ჩვენსა
ალევის წშინდა სამე
ბისა შემო[გ]წირე ჯ
ვარი ესე აზნაუ

რმა ელოოზ ელოოზოვმან ასულის[I] ჩემისა და მშვიდობით დასაცველად ჩემ
და ასულთა ჩემთა წელს ჩყლთ

3. სპილენძიდან ჩამოსხმული ჯვარი, 26½x14 სმ., რუსული ხელოვნებისა. წინა მხარეს აქვს ჯვარცმისა და სხვა ხატები, უკანა მხარეს – ყვავილების სახეები და წარწერა (მხრების მიმართულებით):

ქ † წმინდის † ალექსის † ღთის † მშობლის † ეკლესიას † შემოგწირე † ჯუარი † ესე † მონამან † შენმან † მეფის † ძემ † იოანემ † წელსა † ჩყვ

4. თასი სპილენძისა, წარწერით:

ფიროაშვილი ფირუამ და ივანემ შავწირეთ სამებას

5. ფეშხუმი ვერცხლისა, წარწერით[II]:

ქ : დიდებულო • წმინდაე • სამებაე • ალექსიაე • შემოგწირე • მცირე • ესე • შესაწირავი • ფეშხუმი • კამარით • არაგვის • ერისთავის • ბარძიმის • ქალმა • და • მუხრან • ბატონის • კოსტანტინეს • მეულლემ • შენდა • მოლტოლვილმა • წყალობისა • შენისამა • რათა • მომცე • ძე • მისხალი • ნვა • ქკს უმ

6. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. შენ ⁘ დიდებულო ⁘ წმინდაე ⁘ სამებაე ⁘ ალექსიაე ⁘ შემოგწირე ⁘ მცირე ⁘ ესე ⁘ შესაწირავი ⁘ ბარძიმი ⁘ მუხრანის ⁘ ბატონის ⁘ მეულლემ ⁘ არაგვის ⁘ ერისთავის ⁘ ქალმა ⁘ ბარბარემ ⁘ რათა ⁘ მომცე ⁘ ძე ⁘ მისხალი ⁘ რკა . ქკს . უმ

7. ლანგარი სპილენძისა, ძველი ხელობისა.

8. ფეხიანი თასი მცირე, წარწერით:

შემოგწირ[ე] წმინდა სამებასა გლახასძე ნინაკა[III] ჯაბურმა[IV] ჩყჲ

აქ მგონი უნდა იყოს **სულისა**.

II სტრიქონი არა ჩანს რამდენი იყო.

III უნდა იყოს ნინიკა, მგონი.

IV უნდა იყოს ჯაბაური,მგონი.

9. ზარი, დაახლოებით 6 გირვანქა, წარწერით:

ქ. ამინ ქეროფინის საკარვთა შევწირე წმინდა სტეფანეს ნორაშენს ს[ა]ღდარს მე ხითარ[ა]სშვილმა ბარამ ჩემთ[ი] სულს[ი] მოსახსნებლთ[ა] ქს უკდ

ზემო ალევის ეკლესიის ნივთები

1. ალევის სამების ხატი ინახება ზემო ალევში; იგი ფიცრისაა, 70x50 სმ. დაახლ., თავზე აქვს ვერცხლი, შემკული თვლებით.

2. „სამების" ჯვარი, ვერცხლისაა; შემკულია თვლებით, სახეებით და წარწერით; იგი „კვირაცხოვლის" ჯვარზე ბევრად დიდია.

საძეგურის ეკლესია[67]

საძეგურის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 6½x4 მ., ნაშენია ქვიტკირისაგან. კარი აქვს სამხრეთით, ჰხურავს სიპი ქვა.

ეკლესიის ჩრდილოეთით არის შენობების ნანგრევები, აქვეა ბზის ხეები. ეკლესიის ეზოს გარეშემო შემოვლებულია გალავანი, რომელსაც კარი აქვს სამხრეთ-დასავლეთით; ამ კარის ქვევით არის აკლდამა, დღეს ჩანგრეულია. სამხრეთი კარის თავზე არის ქვა ჯვრის გამოსახულებით. თაღს აგური უჩანს, ეტყობა შეკეთების დროს ან იქნებ ძველადვეც ესე ააშენეს. პილასტრები ქვისაა და ზედ აგურია გადაყვანილი. დასავლეთის კედელი შიგნით ნახევარს ზევით ახლად ამოყვანილი ჩანს შეკეთების დროს. აღაიანის დასავლეთით გორაკზე არის ეს ეკლესია, 3-4 ვერსზე. სახურავზე პატარა ხეებია ამოსული.

ცხავატის წმ. გიორგის ეკლესია[68]

ცხავატის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით, პატარა ქედზე, ½ ვერსის დაშორებით სოფლიდან; იგი ოთხკუთხედი, ერთნავიანი ბაზილიკაა, 4,5x3,25 მ.; ნაშენია დიდი ზომის, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. იგი ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, დანარჩენი დაქცეულია. კარი აქვს ჩრდილოეთით.

---

[i] ჩემი.

[ii] სულის.

[iii] მოსახსენებელათ.

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია[69]

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია (სოფელში) ახალი შენობაა (ტაბ. $XXXVI_1$). ხალხის სიტყვით, იგი აშენებულია ძველი ეკლესიის ადგილას. უკანასკნელის წარწერიანი ქვა ახალი ეკლესიისათვის დაუტანებიათ გარედან, აღმოსავლეთ მხარეს (სამხრეთ ნაწილში). ქვა ზომით არის 25x60 სმ.; წარწერა ასომთავრულია (ტაბ. $XXXVI_2$):

† ⴔⴑⴒⴊⴁ ⴈⴖ̃ⴍⴁ ⴑ̃ⴘⴏ ⴖ
ⴕ⵿ ⴂⴔⴒ⵿̃ⴑⴒⴔ ⴘⴑ ⴖⴑⴑⴑⴑ
ⴖⴑⴒⴊⴍⴂⴑⴏ ⴟⴖⴑⴑ(ⴐ)ⴖⴑⴑⴂ

იკითხება:

ქ. ხატო ღუთისაო ადიდენ ე
რი ცხავატი და ინაჩა
ლატზიან შენაფენაი

სიძველენი:

1. დროშა, შინდისფერი მატერიით და ვერცხლის ჯვრით[70] (თავში), 28x14 სმ., რომელიც შემკულია ერთ მხარეს ღვთისმშობლის (**M P Θ Y**) და ანგელოზების სახეებით და ერთი აყიყის თვლით (მეორე აკლია) და მეორე მხარეს წმ. გიორგის (**Ⴔ Ⴑ Ⴖ**) და ანგელოზებისავე სახეებით; მასზე არის: 1. შანა-ჯვარი ვერცხლის, მცირე; 2. ხატი წმ. გიორგისა, მცირე და 3. ზარუნა.

2. დროშის ჯვარი ვერცხლისა, 24x19 სმ., დაფერილი წინა მხარეს ოქროს წყალში და შემკული იმავე მხარეს მაცხოვრისა, ღვთისმშობლის და სხვ. სახეებით და წარწერით უკანა მხარეს[71]:

ქ. მაცხოვარი
ცხავატისა
ქვენიფნევ
ელს ⁘ რიხია
ერისთავსა ⁘
შემიწირა
ვს ⁘ ორი
საკომლო
მამული
ზენუბანს ⁘ მამული ⁘ მთითა ⁘ და ბარითა ⁘ ცხავატი
ს ⁘ ყოველად ⁘ წმინდისათვის ⁘ ბასიანში ⁘ დავტყვევდი ⁘
და ⁘ შენის ⁘ საქონლითა ⁘ თავი ⁘ დავიხსენ ⁘ არა მებატო
ნემ ⁘ არ ⁘ მოშალოს ⁘

3. სახარება, დაბეჭდილი ტფილისს 1709 წელს.

4. ვერცხლის თავი, შემკული სახეებით, მცირე.

5. თასი, დაბალი, ლითონისა (ბარძიმის ფორმისა) წარწერით: **მიჰვართვი . ღუთის . შშობელს . ლევან . ბურდულმა.**

ლარგვისის ეკლესია[72]

ეკლესია გუმბათიანია (ტაბ. XXXVII-XXXIX); გუმბათი და თაღი დაბჯენილია ოთხ სვეტზე და ორ ნახევარ სვეტზე. კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, 16½x9 მ. გუმბათს შუშები არა აქვს, ამიტომ შიგნით წყალი ჩადის. კალთებზე კრამიტი ნახევრად დამტვრეულია და ზედ ბუჩქებია ამოსული და შენობას ძლიერ აზიანებს. სამკვეთლოს შესავალი კარების (დასავლეთის მხრივ) მარცხენა კედელზე (სვეტზე) აწერია:

გავტეხე
1923 3 მაისს
დიანოზ

ლარგვის ეკლესიის ნივთები:

1. წმ. თევდორეს ხატის ფიცარი, 80x48x3,3 სმ.; სამკაული აყრილია და გადატანილია ცხინვალის მუზეუმში, აშიები კი ნაწილობრივ ფიცარზედვე არის (მარჯვენა ზევითა და მარცხენა ზევითა ნაწილი), ნაწილობრივ კი ავარდნილია და იქვე ინახება.

2. ფიცარზე ნახატი ხატები კანკელისა, სამი ცალი (ღვთისმშობლის ხატითვე ოთხი არის).

3. სანაწილე ბაჯაღლო ოქროსი, 6x2,5x1,8 სმ., შემკული 5 ფერადი თვლით, გვერდები და კარი შემკულია ჭედილი სახეებით.

4. ფიცარზე ნახატი ხატები, 10 ცალი.

5. ხის კოლოფი, გატეხილი.

6. ზარი 3 ფუთამდე, ძველი ხელოვნებისა.

7. არქივი ეკლესიის სხვადასხვა ნაწილებში, დაახლოებით 8-10 ფუთამდე. არქივი ლპება და უნდა სასწრაფოდ გადატანილ იქნეს.

8. ჯვარი ხისა, რომელსაც წინა პირზე გადაკრული აქვს დაბალი ლითონის ფურცელი; ამ ფურცელზე ჭედილი სახეებია. ფურცელი ძლიერ დაზიანებულია; 36,5 (30 ტარამდე)x24,7x1,8 სმ.

9. აღსავლის კარები, 2 ცალი, ფიცრისა, ძველი ხელოვნებისა, ოთხი მახარებელის ხატით, XVIII საუკუნის. ფიცარზედვე ნახატებია.

10. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 90x75 სმ. (დაახლ.), გამართული კანკელში, ასომთავრული წარწერით ძირა ნაწილში:

**ⴗⴑⴀⴀ ⴅⴂⴜⴊⴗⴀⴊⴒⴂⴗⴖ ⴑⴑⴂⴗⴀⴑⴑ ⴒⴑⴜⴀⴑⴑ ⴒⴗⴀⴊⴗⴖ ⴅⴑ ⴗⴑⴑ ⴅⴊⴀⴀⴑⴑ ⴅⴂⴜⴊⴗⴀⴊⴒⴂⴗⴖ ⴗⴑⴑ ⴅⴑⴑⴀⴊⴒⴂⴗⴖ ⴅⴂⴜⴊⴗⴀⴊⴒⴂⴗⴖ ⴗⴑⴑ ⴅⴑⴑ

გორის კვირაცხოვლის ეკლესია

გორის კვირაცხოვლის ეკლესია მდებარეობს ძველი სემინარიის შენობის მახლობლად. იგი უბრალო ბაზილიკაა. ნაშენია რიყის ქვის, აგურისა და კირისაგან. გულის ზომა (შიგნით) – 7x4 არშ. დაახლოებით. საკურთხევლის შუაში დგას ერთი, თლილი, მოშაო ქვისაგან გაკეთებული ტრაპეზი კვადრატული ფორმისა, რომელსაც ზედა ნაწილი ამომტვრეული აქვს. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა: მარჯვნივ და მარცხნივ, ორი თახჩაც საკურთხევლის მახლობლად, შუა ეკლესიაში. ფანჯრები აქვს ოთხი ოთხ მხარეს, კარები – ერთი, სამხრეთით. დგას მარტო კედლები, დანარჩენი დანგრეულია. ეკლესია ფეხის ადგილად არის გამხდარი. მისი მეთვალყურეობა დავავალე ეკლესიის მეზობლად მცხოვრებთ: ქრისტესია ალექსანდრეს ძე ბოჭორიძეს, გიგა გიგოლის ძე ოგანეზოვს და დავით დავითის ძე კალატოზოვს.

ეკლესიას სამხრეთის კარების თავზე (მეტიც არა აქვს) აქვს წარწერა უბრალო ქვაზე; დაზიანებულია, მოშაო ფერის ქვაა. ზომა ქვისა – 115x58 სმ., წარწერა:

ქ. აღვაშენე ეკლესია ესე კვართაცხოველისა ჩვენ ჩე
რქეზის ბატონის ასულმან დედოფალმან რუ
სუდან პატრონისა ჩვენისა მეფის(?) ვახტანგის
გამოსახსნელად ძეთა ჩვენთ ბაქარის და [- - -] გის აღსაზ
რდელად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად ქს უბ

სულ 5 სტრიქონი.

გორის ეკლესია

გორის სომეხთა ეკლესიის დასავლეთი კარების თაღზე ქვა წარწერით. ოქონის ქართველთა ეკლესიის მახლობლად.

ՅՇՏԿ Ի Ս՚Ր ԱՏՏՓԱ.ՆՈՍ ԵԿԵՂԵՑԻՍ Գ.ՕՐՑ Ի Գ.ՕՐԳ.
ԽԱ.ՆՒ ԽԶԱ.Դ Ա.ՆԴԱ.Մ Մ.Զ.Ն ԻՐԴ ԲԻ.ԺԱ.Ն ԲԻ.ԿԻՆ ՆԻ ԻՐ
ԿՈՂ.Ա.ԿԻՑ ՏԱ.Մ.Ի.ԶԱ.ՆԻ Ն[-]Ր ՇԻՆՆԵՑԱ.Ի Ս՚Ր ՏԱ.ՃԱ.ՐՍ
Օ.Վ. ՈՐ Ա.ՅՍ Գ.ՐՆԻ.Ս ԸՆԹ.ՍՐ[-]Ի ԿՒ.Մ[-]ՐՈ Ա.ՍԵԼ Ա.՚Ե ՈՂ.ՈՐՄ.Ի
Թ ՌՃՄԻ[73]

გორის სომხის ეკლესიაში დატოვებული ნივთები:

1. ჟღარუნები ვერცხლისა, ოქრის წყალში დაფერილი, რომელთა ტარებიც შემკულია სადაფითა და სომხური და ქართული წარწერებით.

2. სარტყელი (ფორურარი), ხელით ნაკერი, სომხური წარწერით, 1829 წ.

გორის ოქონის ეკლესიის ნივთები

გორის ქართველთა ოქონის ეკლესიაში დატოვებული ნივთები:

1. სამნაწილედი დასაკეცი ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით; უნდა იყოს XVIII საუკუნის. მას წარწერები არსადა აქვს და რუსული ხელობისა უნდა იყოს.

გორის ქართველთ კათოლიკეთა ეკლესიის ნივთები

გორის ქართველთ კათოლიკეთა ეკლესიაში (ტაბ. XL_1) დატოვებული ნივთები:

1. ჩაფრასტი, ანუ ღილი მღვდლის ფილონზე, ორი ცალი, წარწერით.

წარწერა მარჯვენა ჩაფრასტზე:

მოიჯსენიე : მონანი : შენი : უფალო : გორელი : დაფრიშიანი : მიცვალებული(?) : თომა : და : მეუღლე : მისი : ელისაბეთ : და : შვილი : მათი :

წარწერა მარცხენა ჩაფრასტზე:

იოსებ : რომელმაც : შეჳწირე : სურჩარი :
ესე : გორის : კათოლიკე : ჰრომის : რიგის : წმიდა :
ეკლესიასა : ქ[ო]რონიკონი : ჩუ : იანვრის : ა : დასრულდა

გორის წმ. სტეფანეს ეკლესია

გორში, აგურის გულისათვის დაუნგრევიათ გორის ციხის სამხრეთით მდგომი სომეხთა წმ. სტეფანეს ფრესკებიანი ეკლესიის გუმბათი. დღეს ეკლესიას გუმბათი აღარ აქვს და დარჩენილი ეკლესიის შენობა ნანგრევით არის ამოვსებული. მის სამხრეთით არის სომხურ წარწერიანი ქვა, რომელიც, ადგილობრივ პირთა ცნობით, უწინ მდგარა შუა ეკლესიაში შესავალ კარებთან.

გორის ციხის ძირზე, სამხრეთისაკენ, წმ. სტეფანეს (სომხის) ეკლესიის ქვევით გდია ქვა, 137x65 სმ., წარწერით, რომელიც წინათ ეკლესიის შიგნით ყოფილა, ერთ-ერთ კარების თავზე. მას ჩუქურთმებიცა აქვს. ჩუქურთმიანი ნაწილი უმეტესად მოტეხილი აქვს. აი წარწერაც:[74]

Ⴈ Ⴒ : Ⴇ : Ⴠ : Ⴜ : Ⴈ ⴒⴀ.Ⴐ-Ⴇ[-]ⴁⴈ ⴖⴀ.ⴃⴡ
Ⴈⴑ ⵛⴀ.Ⴣ ⴀ.ⴖⴀ.ⴙⴈⴢ : Ⴈⴑⵊⴙ.Ⴢ0ⴁⴈ ⴃⴀ.Ⴐ-ⴃⴀ.ⴑ
ⵜ0ⴀ.ⴑ ⵛⴀ.Ⴣ-Ⴢ.ⴀ.Ⴊ ⴙⴢⴈ Ⴣ[-]Ⴣ ⵜⴢ ⴑⴀ.ⴓⴃⴈⴢ : ⴑⴈ[-]
Ⴢ-Ⴖ0ⴁⴈ : ⴃⴀ.ⴙⴜⴂ

გორში დასაცავია:

1. გორის ციხე გალავანი ყველა თავისი შენობებით და ნანგრევებით.
2. სომეხთა წმ. სტეფანეს ეკლესია.
3. ოსინაანთ ეკლესია.

ნივთები გორის ეკლესიებისა, დაცული გორის ადგილობრივ მცხოვრებთა საკუთრებაში

1. ტრაპეზის (?) ჯვარი, ვერცხლისა, რუსული ხელოვნებისა, წარწერით:

შეწირე წმინდა სტეფანეს ახალ საყდარსა ჯვარი ესე ზაქარია ღამბარ[ოვმა]

2. ფეშხუმი ვერცხლისა, რუსული ხელოვნებისა, წარწერით:

4̃ 36̃ქ. კნეინა მახია' ბარათოვმა შემოგწირე შიომღვიმეს ბარძიმი ფეშხუმი კამარა კოვზი ორი თეფში და ტაკუკ სულისა ჩემისა სა[ხად მეუღლისა ჩემ]ისა თომას და ძეთა ჩემთა ზაქარია და გაბრიელისათვის

3. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი შარავანდედის ნატეხი, ვერცხლისა, წარწერით:

ძმამა ჩემ ზურაბამა ბაინდურს ხფსმა

4. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. ესე ბარძიმი შევწირე იოანე ღულოვმა ყ̃დ წ̃ის ღ̃ის მშობლის ეკლესიასა ჩემისა სულისა სამეოხოთ ჩემის შვილის ზაქარიას სადღეგრძელოთ მისხალი |ჯთ|

5. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ვერცხლის არშია, წარწერით:

მოიხსენე უფალო სტეფან ალდათოვის მეუღლე ნათელა

უნდა იყოს, მგონი, მარია.

ეს ადგილი დაკერებულია და წარწერა დაზიანებულია.

6. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. შევწირეთ ტინის ხიდის ღ˜თის მშობელსა ბარძიმი ესე მხევლთ[1] გორელთა ხაშფერამ მაიამ და ანანამ ჩვენს სულისა შეოხებლად ჴელითა ტერ გრიქოლასითა.

ეს ნივთი შეიძლება ტინის ხიდიდან იყო საწყობში გადატანილი.

7. სამირონე ვერცხლისა, მტრედის სახისა, თავის საფეხურით, შემკული თვლებით და წარწერებით:

ქ. შემოგწირე მე ყანდოანთ გიევის შვილმა დავითმა ესე ტრელი წმინდის ღვთისმშობლის საყდარსა ჩემის სულის და ჩემის ძმის სიმონას სულის მოსახსენებლათ ვინც წაკითხოთ შენდობა უბძანეთ მისხ. რნგ ქს უშე

წედისის მთავარანგელოზის ეკლესია

წედისის მთავარანგელოზის ეკლესია ახალი დროის შენობაა.

სიძველენი:

1. (ქ. 2716). ვერცხლზე ნაჭედი წმ. გიორგის ხატი, 24,4x19,6 სმ.; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა; იგი ვეშაპს ჰგმირავს; აწერია ასომთავრულად: წ˜დ გი˜ოი – წმიდაჲ გიორგი. ძეგლი დაბალი ხელოვნებისაა.

2. (ქ. 2717). სპილენძის ლანგარი, სახიანი.

სვენეთის კოშკის წარწერა

სოფ. სვენეთის კოშკს ჰქონია წარწერიანი ქვა, 61x46 სმ., რომელიც კოშკის დაქცევის შემდეგ წაუღიათ და წყაროსთვის დაუდვიათ. აი მისი წარწერაც:

ქ.
[ქ]ოშკი : შატბ
ერა : შვილი : ი
ოსებისა : და : ბად
ურისა : არის :
მაისის : ა : ქს
უშ : სლ˜შნ

[1] მხევალთ თუ მრევლთ.

ხელთუბნის ეკლესიის ნივთები

ხელთუბნის სომხის ეკლესიის ზარები ოქმში არ არის შეტანილი და იქვეა დატოვებული:

1. ქ. ზარი ესე შემოგწირე ჰელთუბნის ყ˜დ წმიდის ღ˜თის მშობლის ეკლესიასა მე მოსესი ტერ გევორქას შვილმა ტერ გევორქოვმა საოხა[დ] სულისა ჩემისა და მამისა ჩემისა ანნას წელსა ჩყმა მაისს ა–სა

დაახლოებით 28¾ გირვანქა.

2. ქ. ჩემით სადღეგრძელოთ და დედმამის ჩემის მოსახსენებლად ეს ზარი შეგწირე ხელთუბნის ყ˜დ წმიდის ეკლესიას მე არუთენ სარქისაე იანფრის ა ქკს უჟდ 1806

დაახლოებით 25 გირვანქა.

ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესია [75]

სოფ. ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესია გუმბათიანი დიდი შენობა ყოფილა. იგი დანგრეულია გორის დანგრევის წელს მინის ძვრისაგან. შერჩენილია მცირედი ნაწილი გუმბათისა და თაღისა (აღმოსავლეთ მხარეს). გუმბათი და თაღი დაბჯენილი ყოფილა ოთხ სვეტზე. ნაშენია მეტი წილი აგურისაგან და რიყის ქვაც ჰქონია შეხმარებული; თაღები ტეხილებითა აქვს. აფსიდა ეკლესიის ხაზშია მოთავსებული. ეკლესიის ტრაპეზზე დებულა მაღლიდან მარმარილოს ქვა, გატეხილი, წარწერით.

ხელთუბნის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის ნივთები

ზარი 38x24. წარწერით:

ქ . ზარი . ესე . შემოგწირე . მე . მეჯრი . ხეველმა . მახათაძე . ივანემ . შენ . ხელთუბნის . წმინდა . გიორგისა . ეკლესიას . მამისა . და . დედისა . და მეუღლისა . ელენესი . და მიცვალებულისა | ჩემისა | სულის სამეოხოდ . და ჩემდა სადღეგრძელოთ . ამინ . ქ˜კს უჟმ

ხელთუბნის წმ. სამების ეკლესიის საალმშენებლო წარწერა [76]

ხელთუბნის წმ. სამების ეკლესიას დასავლეთის თავზე აქვს სპილენძის დაფა, 53x41 სმ., წარწერით:

წელსა . ჩყყ[ა] . საფუძვლითურთ . აღვაშენე . ეკლესია . ესე . ყ˜დ . წმიდის . სამებისა . შემოვაგლე . გალავანი . და . ყოველის . საეკლესიოჲსა .

სამკაულითა . შევამკევ . საკუთარისა . საფასის . წარგებითა . ჩემითა . მე . მონამან . ღ˜თისამან . სტატსკის . სოვეტნიკმან . და . კავალერმან . თა-ვადმან . გიორგი . მდივანის . ეგნატის . ძემ . თუმანოვმა . სათხად . სულთა . მშობელთა . ჩემთა . ჩემთვის . და . მეუღლისა . ჩემისა . კნეინა . მარია . ორბელიანის . ასულისათვის . შვილთა . და . ძმათა . ჩემთა . იესესა . და . დავითისათვის .

ხელთუბნის ყოვლად წმიდის ეკლესია

ხელთუბნის სომხის ყოვლად წმიდის ეკლესიაში, სამხრეთის სამხროში შესავალ კარებთან დევს მცირე საფლავის ქვა (ეტყობა ბავშვისა), წარწერით:

ქ. მოიხსენე
უფალო ბახ
უტას შვილი
გიორგის
ვაჟი ალ[ა]ე
ერდას ს
ული ქკს

სხვა აღარაფერი სწერია.

მეჯვრისხევი

მეჯვრისხევის [...][77] ეკლესიაში არის საფლავის ქვა წარწერით:

აქა უკ˜ə ჰმდებარეობს უწყალოსა სიკუდილისა
მიერ წარტაცებული ჟამსა ჰასაკისა თვის . ა ა [- -]
ებისსა აზნაურთაგანი ასული მეჯვრისხევის
მოურაჲის ლუარსაბ ლოლაძისა და მეუღლე გიორგი
თაულაკვის მარიამ ათხუთმეტის წლისა მთხოველი
მხილეველვათაგან (?) შენდობით მოხსენებასა და ბუ
ნების ვალის გარდამხდელი ქკს უბდ[1]

[1] სწორად ვერ გადავწერე.

აძვისის (ქვემო) წმ. სამების ეკლესია

აძვისის (ქვემო) წმ. სამების ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 8x3,9 მ., ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის, დგას მარტო კედლები, თაღი კი დაქცეულია, გარდა საკურთხევლისა, რომელსაც შერჩენილი აქვს. ეკლესია ჩვეულებრივი ბაზილიკაა. სამხრეთი კედლის დასავლეთი ნახევარი სულ დაქცეულია. შიგნით ეკლესია სულ ნანგრევით არის სავსე, ტრაპეზ-სამკვეთლო სულ აღარ ჩანს. კარი ჩანს სამხრეთით (შენახულია ნაშთი) და დასავლეთით, უკანასკნელი ამოგებულია. საკურთხეველში არის ორი თახჩა: სამხრეთით – წვრილი და მაღალი და ჩრდილოეთით – მცირე. სარკმელი აქვს: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი; სამხრეთით არ შერჩენია, მაგრამ აქაც უნდა ჰქონებოდა. აღმოსავლეთი სარკმლის ქვას (გარედან) ხაზები აქვს შემოვლებული შესამკობად.

საყვირეთის ღვთისმშობლის ეკლესია

საყვირეთის ღვთისმშობლის ეკლესია დგას მეჯვრისხევის აღმოსავლეთით, 3 ვერსზე, მაღალი გორაკის კალთაზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც სამხრეთით ჰქონია რაიმე შენობები და კარიბჭე. ნაშენია კლდის ქვისაგან, ნაწილობრივ კი თლილი შირიმის ქვისაგან კირით. დღეს მარტო კედლის ნაწილები შიგნით და გარეთ ნანგრევად არის, დგას ნანგრევით სავსე. სამხრეთით მიუშენებიათ ეკვდრები, რომელიც სულ ნანგრევით არის სავსე, ხოლო მის (ეკვდერის) სამხრეთით არის მოგრძო სახის კარიბჭის (?) ნაშთი. ეკლესიას ჰქონია სამი სარტყელი: ერთი – საკურთხევლის კამარის თავზე, მეორე – შუა კამარის თავზე და მესამე – დასავლეთ კედელთან. ხმისათვის დატანებული ჰქონია ქვევრები. სახურავზე ჰხურავს კრამიტი. კანკელი ქვიტკირისა უნდა ყოფილიყო; მისი ერთი ნაწილი მიყუდებულია ჩრდილოეთ კედელზე.


ეკლესია ფრესკებიანი ყოფილა; ეხლა მცირედიღა ჩანს. აღმოსავლეთის კედელზე დახატული არიან მღვდელმთავრები, ტრაპეზის მაღლა ჰხატია ბარძიმზე მდებარე ყრმა (ქრისტე) გულხელდაკრეფილი, მას ზევით აღმართულია რვაბოლოიანი ჯვარი.

კარი შემდეგში ამოუშენებიათ და პატარა კარად უქცევიათ.

ზომა – 7x4½ არშ. საკუთრივ ეკლესიისა.

დაზიანების გამო, ეკლესიისათვის გარედან ორი ბურჯი მიუშენებიათ (ჩრდილოეთით და დასავლეთით). ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი და აწ დაქცეულია. სამხრეთის კედელ-

ზე, თაღთან ყოფილა ორი ქვა წარწერით. ერთი ჩამოვარდნილა და ნანგრევში იქნება დამალული, მეორე კი ზედაევე არის. ფორმა ამ ქვისა: ნახ. 10 (1, 2, 3 წარწერებია. ზომა – 52x36½x59 სმ.).



ნახ. 10

აი წარწერაც:

ⴔⵇ ⵍⴒⵗⵐⵏ ǀ ⴔ˜ⵁ
ⵐⵚⵅⵏⵚⵇⵊ ⵣⵇⵏ ǀ ⵍ˜ⵐ˜ⵗ
ⵚⵁⵘ ǀ ⵗⵏ[-]ⵗ[-] :
ⵁ[- -]ⵍ ǀ ⵊⵜ
[- -]ⵣ[-] ǀ ⵊⵍⵊ
ⵗ[- - -] ǀ ⵊⵥ
ⵍⵐ[- -] ǀ ⵍ[-]
[-]ⵘⵗ[-] ǀ ⵄⵚ
ⵏⵚⵄⵄ ǀ ⵣⵚ
ⵒⵚⵊ ǀ ⵇⵚ
[-]ⵃⵊⵍ ǀ ⵚⵓ
ⵐⵚⵍ ǀ ⵊⵍⵚ

ამ ქვაზე (წარწერიანზე) დახატულია წმ. სტეფანე (?), რომელსაც მარჯვენა ხელი უდევს მეორე, მის მარჯვნივ მდგომი, ახალგაზრდის თავზე (აკურთხებს); ახალგაზრდას მარცხენა ხელი წმიდანისაკენ აქვს გაშვერილი, მარჯვენა კი დაშვებული აქვს ძირს. წმიდანს მარცხენა ხელით გულზე ვინმე სამფეხა ყრმა (?) უჭირავს. წმინდანსა და ჭაბუკს შუა გამოსახულია (ნახ. 11):


ნახ. 11

ეს ქვა არის ფანჯრის თავი, რომელიც შემდეგ ამოუშენებიათ. ერთი ამის მაგვარი, აქვე, (სამხრეთის) მცირე ფანჯარაზე მდები ქვა, ძირს, ნანგრევში უნდა ეგდოს; ხალხს უნახავს იგი მაღლა მდებარე. ზოგიერთთა ცნობით, აქ ყოფილა ბერძნული წარწერა, რომელიც მე ვერ ვნახე ვერსად.

საკვირეთის ე.წ „კიკოს საყდარი"

საკვირეთის მთაზე არის ე.წ „კიკოს საყდარი". იგი სამნავიანი, უგუმბათო, ტიპიური ბაზილიკაა. ნაშენია კლდის დიდი ქვებისა და კირისაგან; ადგილ-ადგილ პილონების თავებად (კამარათა დასაბჯენ ადგილას) შეხმარებული აქვს თლილი შირიმის ქვაც. ეკლესიის თაღი დაბჯენილი ყოფილა ორ პილონისებრ სვეტზე, რომელიც კამარებით შეერთებული ყოფილა აღმოსავლეთ (საკურთხევლის და დასავლეთ) კედლებთან. უკანასკნელ კედლებთან ნახევარ

სვეტებია კედლებიდან გამოწეული. სიგრძე – 13 არშ., სიგანე – 9 არშ. დაახლ. კედლის სისქე – 1¼ არშ. თაღი აღარა აქვს. ჩამოქცეულია და როგორცა ჩანს, მრგვალი ყოფილა. კარი აქვს მარტო სამხრეთით, სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. კანკელი და ტრაპეზი აღარა ჩანს. საგანძური და სამკვეთლო საკურთხევლიდან ცალკე არის გამართული და ცალკე კარები აქვთ დასავლეთით. საკურთხეველში არის ორი თახჩა. ეკლესიას დასავლეთით (გარედან) აქვს ქვაზე გამოქანდაკებული რვა-ბოლოიანი ჯვარი.

ეკლესიის აღმოსავლეთით ყოფილა ოთხკუთხი რაიმე შენობა; ან იგი ნანგრევადაა.

„კიკოს საყდრის“ მახლობლად მდებარე მეორე ეკლესია

„კიკოს საყდრის“ მახლობლად არის სხვა ეკლესია. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 5x3 არშ., რომელსაც სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს მიშენებული შენობები; უკანასკნელნი დანგრეული არიან, ეკლესია კი შენახულია. ნაშენია ქვიტკირისაგან. კარი აქვს მარტო სამხრეთით. კანკელი ქვიტკირისაა, აქვს მარტო აღსავლის კარი. საკურთხეველი ამაღლებულია შუა ეკლესიიდან. კანკელის მარჯვენა მხარის კედელზე აღმართულია ქვა-ჯვრის ასამაღლებელი, 28x22½ სმ., რომელსაც წინა მხარეს აქვს წარწერა, ხოლო უკანა მხარეს გამოსახულია რომელიღაც მღვდელმთავარი, დახატული წელამდე მარჯვენაში // -ით, მარცხენაში – კვერთხით.

ზერტის ქართველთა ეკლესია[78]

სოფ. ზერტში, როგორც ჩანს, უწინ კოშკი ყოფილა და შემდეგღა გადაუკეთებიათ ეკლესიად. მას სამხრეთის მხარეს, კედელში აქვს ქვა ნარწერით, რომელიც უდროობის გამო ვერ გადმოვიღე. წარწერა სომხურია მგონი.

ზერტის წმ. გიორგის ეკლესია[79]

სოფ. ზერტის სასაფლაოს ეკლესიას სამხრეთის კარების თავზე აქვს ქვა წარწერით:

ჩყლთ წელსა აღვაშენეთ ეკლესია ესე წ^ა გიო
რგისა ჩვენ ზერტში მცხოვრელებთ ერ
თობით ქართველთა და სომეხთა სასაფლა

ოთ ჩვენის მუშაკობითა შემწეობითა
[...][1]

ამ ეკლესიაში იყო დიდი და [...][80] რკინისა, რომელიც რომელიმე ძველი ეკლესიიდან უნდა იყოს გადმოტანილი აქ. იგი წამოვიღეთ.

ბერშუეთის მთავარანგელოზის ეკლესია[81]

ბერშუეთის მთავარანგელოზის ეკლესია უგუმბათო შენობაა. სამხრეთით აქვს სამხრო და სამხროს სამხრეთით – კარიბჭე, სამრეკლოც.

სიძველე:

1. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 38¼x34 სმ. (XVIII-XIX სს.), წარწერით:

შემოგწირე ხატი ესე მთავარ ანგელოზო
ბეშუთს (?) მცხოვრებელი გიორგი ბიძი
ნა შვილმა და ჩემმა ძმებმა . შეოხად სულისა
ჩემისა და შვილთა ჩემთა
4 სტრიქონია.

ბერშუეთის ეკლესიიდან გლეხთა კომიტეტის მიერ მეჯვრისხევში გადმოტანილ ნივთებში აღმოჩნდა შემდეგი ისტორიული ნივთები:

1. **[...]**

2. **[...]** ||

3. ჯვარი ხისა, 23¾x11x2 სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ჯვარცმის ქანდაკებიანი ხატით. ჯვარს ტარზე აქვს წარწერა:

ქ . ბერშოეთის . წ"ის . სამებისა ბოჟრახი(?) ჭარ .

4. დროშის ჯვარი, ხისა, 23¾x11x1¼ სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, რომლის წინა მხარე შემკულია ჯვარცმის და სხვა ხატებით. უკანა მხარეს აქვს წარწერა:

შემოგწირე ბეშოეთის წას(?) სამებას მღმან(?) შიო
გლურჯიძემან საოხად სულთა ჩვენთა და სადღეგრძელოდ
შვილთა ჩვენთა

ეს სტრიქონიც დანერილი ყოფილა და როგორც ჩანს, მოუშლიათ.
I და II ჩანერილი არ არის.

ჩყნთ წელსა
ივნისსა♦ა♦
დღესა

ზემო სობისის საცხოვრებელ სახლში ჩართული ქვები

ზემო სობისის ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით (სამხრეთისაკენ) დგას სახლი, რომელიც უწინ ყოფილა მლოცველთა თავშესაფარ სახლად (ე.ი. სადაც სალოცავად მისული ხალხი აფარებდა თავს). ამ სახლს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის კუთხეში უზის ქვა (60x28 სმ. აღმოსავლეთიდან, 60x33 სმ. ჩრდილოეთიდან), რომლის აღმოსავლეთის მხარესაც გამოქანდაკებულია კაცი ვინმე და ქვეშ სვეტები, ჩრდილოეთის მხარეს კი ჯვარი და ყურძნის მტევნები და ქვეშ კაცი ნახევრად.

ამავე შენობას ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში უდევს მცირე ქვა, 42x38 სმ., რომელიც ეკლესიის სარკმლის ზევითა ქვა უნდა იყოს. ამ ქვის ჩრდილოეთის მხარე სადაა, დასავლეთისა კი შემკულია ჩუქურთმით.

ორივე ეს ქვა რომელიმე უძველესი ეკლესიის შენობიდან არის მოტანილი და ამ სახლისათვის შეუხმარებიათ. პირველ ქვაზე დახატულ ორს პირს უსათუოდ რაიმე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ იმ ეკლესიის აღშენებასთან, საიდგანაც იგინი მოტანილი არიან.


ქვემო სობისის ეკლესია

ქვემო სობისის ეკლესიაში არის ზარი, დაახლოებით 10 გირვანქა, ძველი ხელოვნებისა („ყური“-ები კუთხეში ამწვეტებული აქვს) წარწერით:

სობისს ეკლეს[ა]ს შესწირეს ზარი აწ კარუნას შვილ (?) ბეცია.

ოთარშენის ხის ეკლესიის ნივთები

სოფ. ოთარშენში არის ფიცრული ეკლესია. მასში არის ხატი ნათლისმცემლისა, შეჭედილი თეთრი ლითონით; იგი რუსული ხელოვნებისაა, თუმცა ხატს წმიდანების გარეშემო წარწერები ხუცურად აქვს. ზის ბუდეში. ზომა ხატისა – 34½x30¾ სმ.; ზომა ხის ბუდისა – 51¾x47½ სმ.; ხატს ბოლოზე აქვს ვერცხლის დაფა წარწერით:



ნახ. 12

იოანეს განსაცხრომელის კარის ეკლესიის წ[ა] ტაძრის ხატი ესე იოანე ნათლისმცემელისა წ[ა] ნაწილებით და ძელის ჯუშარტით სხუათ ყოველთა შორის მუნ აღშენებათა შეგამკე შეოხად შემწედ მცუელად

მძლედ და საუკუნოდ მოსახსენებლად ჩემდა კნიაზმან იოანე გიორგის ძემან ამილახვარმან შემკვიდრემან

ქართლის საშვილის შვილი სარდარ სა[ხ]ლთხუცეს მოურავთ ამილახვართამან 1866

ეკლესიის გვერდით დგას კოშკი, რომელსაც ერთი ნაწილი მოჰნგრევია გორის დანგრევის დროს მიწისძვრისგან. მას კარებზე ჰქონია წარწერიანი ქვა, რომელიც ნანგრევს ქვეშ დაჰყოლია.

სოფ. ოთარშენში, ეკლესიის გვერდით, ყოფილი მემამულის – ამილახვრის სახლის ნანგრევებში არის მარმარილოს ქვა, გატეხილი ორად, წარწერით (ნახ. 12). ბოლოს ნაწილი აკლია.

ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესია[82]

ვარიანის ღვთისმშობლის სასაფლაოს ძველი ეკლესია დიდი ბაზილიკაა (უბრალო), ნაშენი თლილი ქვისა და დიდი რიყის ქვისა და კირისაგან. თაღი აღარა აქვს, დანგრეულია, დგანან მარტო მაღალი კედლები. მას აქვს წარწერა ჩრდილოეთის კარების თავზე, ქვაზე, რომელიც გატეხილია ორად (ტაბ. XL_2). მისი წარწერა ადგილ-ადგილ დაზიანებულია, ძირითა ნაწილი კი სულ დაზიანებულია; რვა სტრიქონი ცხადადა ჩანს რომ ყოფილა და იქნებ მეცხრეც იყო. აი წარწერაც:

† *სჷ[ღ]თ[ა]ნ*
ი[ა]ნ ს[ა]ხ[ა]ლ[ა]ხ[ა]ნ
შ[ა]ნ[ა]ს[ა]ნ[ა]ნ ჩ[ა]ნ[ა]ნ[ა]ნ
ჯ[ა]ნ[ა]ნ ჩ[ა]ნ ი[ა]ნ ჯ[ა]ყ[ა]ნ[ა]ნ
ა[ა] ყ[ა]ჩ[ა]ნ[ა]ხ[ა]ი[ა][ნ]ჯ ჯ[ა]ნ[ა]ა[ა] ჩ[ა]ნ ც[ა]ნ[ა]ა
ც[ა] ყ[ა]ნ[ა] . [ა]შ[ა]ნ[ა]ჯ[ა]ყ[ა]ც[ა] ჯ[ა]ნ ჯ[ა]ც[ა]ნ[ა]ნ ჩ[-]
ნ[- - - - - - - - - - - - -]ც[- - -]ნ[- - -]ნ[- - - - - - - -]ც[- -]ხ[ა]ჩ[ა]
[- - - - - - - - - - - - - - - - - - -]ნ
[...]

საქაშეთის კოშკი[83]

საქაშეთში, ეკლესიის გვერდით დგას კოშკი, მრგვალი ფორმისა, ნაშენი რიყის ქვისა და კირისაგან, რომელსაც დასავლეთის მხარეს, კარების (მრგვალი თაღით) თავზე აქვს მარმარილოს ქვა, 44x24 სმ., წარწერით:

ქ. ჯამსა ამაღლებულისა მეფისა
მეორე ორაკლისა აღვაშენე კოშკი ესე მე
დიასამიძემ გორის ციხის შინბაშმა დმი
ტრომ ქკ"ს უპ

შინდისის წმ. გიორგის ეკლესია

შინდისის წმ. გიორგის ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. მას აქვს ქვიტკირის მშვენიერი კანკელი და მშვენიერი კანკელის ტილოზე ნახატი ხატები, აშენებული ულთ წელს.

სიძველეები:

1. ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, წოდებული კვირაცხოვლის ჯვარად. 111x69x3½ სმ., წარწერით ტარზე:

ქ. ეს კვრაცხოველი შინდისისა უსჯულოსაგან გაცარცული იყო და შინდისც ხარაბა' იყო ვიხილე აბანოზი მე გოგია მირზასშვილმა და გავაახლე მოვიგვარე ჴ კეთილ | მორწმუნეს ჴ მეფის ერეკლეს ჴ დროშითა ჴ ზარიც მე შემოვწირე რადგან მე მკვიდრე მოხელე ვიყავ ვინც იხილეთ დეთ შენდობას ბრძანებდეთ ჴ მოიხსენე უფალო მისი ძმა დაყით და ძე მათი ომან . ამინ . ქკს ულთ . მოიხსენე უფალო ამისი ოსტატი ლ[84]

2. აქვეა ზარი შენირული გოგია მირზასშვილის მიერ ულთ წელს, ამგვარივე წარწერით.

შინდისის ეკლესიის და ხატის წარწერები

შინდისის ეკლესიის წარწერა, გადმოღებული ს. მირზაშვილის მიერ 1937 წ.[84]:

ქ : ეს : ეკლსია : წმინდს : გორა : ჩვენ : მირზს : შვილმა : მოურვმა : დავითმ :
ძმის : წულმ : ჩემ : ომნ : აღვშენთ : ღთს : თნაშმწობთა :
ძმ : ჩემი : უხუცესი : სხლ : გიორგი : ეწოდბოდა : მფის :

ხარაბა – გაფუჭება.

ვერცხლის ფურცელი ატეხილია აქ.

ერკლისა : წინ : ერვნს : წყეულს : აზტხნს : ომში :
მიცვლა : თვით : აქ : შვლე : და: ეკლესია : მაზედ : აღვშენ : ვინც :
იხლვდთ : შენდობა : იმას : უბრძანებდთ : და : ჩნც : ცდვლდ : გ
ვხოვნბდთ : რთა : უფლმნ : თქვც : მოგგს : ყმს : მე
ფე : ერკლესთა : ქს : უ ̃ლთ :

ხატი, ფიცარზე ნახატი, შეჭედილი ვერცხლით; უკანა მხარეს აქვს ვერცხლის დაფა, მხედრული წარწერით.

წარწერა:

ყ ̃ისა და ცხოვრებისა ჩ ̃შისა სასო და სიქადული შენ ხარ
ყ ̃დ წ ̃ო ღვთის-მშობელო ქალწულო მარიამ შეწევნითა
შენითა მრავლითა სურვილით განვაახლე წმ ხატი ესე შენი
წელსა ჩყოგ თებე კ ̃ზ ჩყდთ დიდის მწუხარებით მოველ
მე პეტერბურღში მიტროპოლ. ისიდორეს რჩევით შეველ სასუ
ლიერო აკადემიაში აკადემიას მყობადობაში დავწერე სამი წიგნი
რუსულათ ჩვენის წმიდანების ცხოვრება წიგნები ესე უძღვნე (sic)
იმპერატრიცა მარიამს მან სამჯერ მიბოძა დიდი ნუგეში
მემკვიდრეცა სამჯერ კეთილათ მიცნეს მხატ ̃ს ქალაქ
ბეჭრი საუნჯე უშოვნე ჩუენს ეკლესიებს წინა წელიწადე
ბიდამ წელს უმეტესი სამჯერ რუსეთიდამ მოველ ჩემს სამ
შობლოში რუსეთში გავიცან ჩვენი ბატონიშვილები
ივანე დავით გიორგი პავლე და სხვანი მიტროპოლტები
ინოკენტი არსენი ისიდორე ამათ ყველას დიდს სიყვა
რულში ვყვანდი
მოიხსენე მონა შენი დედოფალო
მიხეილ საბინინი

ზომა ანაბეჭდების მიხედვით – 29,5x17 სმ.

დიდი გარეჯვარის ეკლესიის ნივთები

1. დროშის ჯვარი ვერცხლისა, 43x28½ სმ., რომლის წინა პირიც შემკულია წმ. გიორგისა და სხვ. ხატებით, რუსული ხელოვნებისა. უკანა პირზე ჯვარს აქვს წარწერა:

თავადი თორნიკე ერისთავის ასულმა ელენა პაპოვისამ
შეეწირე ჯვარი ესე ნაჭარმაგევის
წმინდის გიორგის ეკლესიას 1880 ‟ წელსა

2. შანდალი ვერცხლისა, წარწერით:

ქ . შემოგწირე . წი . გიორგი . ნაჭარმაგევისას . ესე . ღენერალმა ელენე . ერისთაჲის . ასულმა . ჩემთჳისა . და მეუღლისა . ძისა და სუისა (?) ჩემისა . სადღეგრძელოდ წელსა ჩყლა . მისხალი ნგ

პატარა გარეჯვარის სასაფლაოს საფლავის ქვა

სოფ. პატარა გარეჯვარში, სოფლის ბოლოზე, წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე, ერთს საფლავს ადევს დიდი ქვა, შემკული მრავალი ჯვრისა და სხვა ჩუქურთმების სახეებით. იგი ადგილობრივ მცხოვრებ გიორგი მალიევს უყიდნია თუ წაუღია სოფ. ბარბოთის (გორთან ახლოს არის) ძველი ეკლესიიდან და საფლავის ქვად დაუდვია თავის ცოლის საფლავზე.

კარალეთის (ნაჭარმაგევის) წმ. გიორგის ეკლესია

ნაჭარმაგევის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფ. კარალეთის დასავლეთით, 1 კმ. მანძილზე (დაახლ.), სახნავ მიწებში; იგი ერთნავიანი შენობაა, 4,5x2,5 მ., ნაგები რიყის ქვისა და კირისაგან; აღმოსავლეთით ორივე კუთხეს უდევს ორ-ორი კლდის დიდი ქვა, ორივეს – სულ ოთხი. ჰხურავს ფიქალი, რომელიც ნაწილობრივ ჩამოცვენილია და ძირს ყრია. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი – თითო თითო მხარეს, სულ ოთხი. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა; ტრაპეზი ერთიანი ქვაა; იგი გადმოქცეულია და სად იყო გამართული, არა ჩანს. ეკლესიის შუა ნაწილს, საკურთხევლის ახლოს, მაღლა კედელში, დატანებული აქვს ხმისათვის ორი ქვევრი: ერთი სამხრეთ, მეორე – ჩრდილოეთ მხარეს.

სამხრეთ კარს ზევით უდევს ქვა, 62x55 სმ., მხედრული წარწერით:

ქ ჩი მოწამეთა შორის საჩინო მჴედარო მთავარო
გიორგი სასწაულთა შენ მიერთა პირად
პირადთა მხილველმან სნეულებასა შ ა დიდსა
მყოფმან და განთავისუფლებულმან შენ მიერ
ქსნის ერის თვის დაყითის დამან სალომე აღვაშენე ტა
ძარი ესე ნაჭარმაგევის წმინდის გიორგისა საფუძველადმდე

(დ)ა(რ)[ღვე](უ)ლი ლხინებად სულისა და ჴორცთა ჩემთა[...]
აპრილის [...] წელსა
ჩღპზ

ძევერას წმ. გიორგის ეკლესია[85]

ძევერას ქართველთა წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფელში (ტაბ. XLI_1); იგი ერთნავიანი შენობაა, (7x4 მ., მარტო ეკლესია), რომელსაც დასავლეთით აქვს ნართექსი, ადგილობრივ პირთა სიტყვით, „სერნაკი“, ხოლო სამხრეთით ძველად მთელ სიგრძეზე ჰქონია ეკვდერი; უკანასკნელისაგან დღეს მარტო საძირკველია შენახული. „სერნაკი“ უხმარიათ ხალხის სადგომადაც წირვა-ლოცვის დროს (როდესაც შიდა ეკლესიაში ტევა აღარ იყო) და ღამისმთეველთა ბინადაც ღამისთევის დროს. ეკლესია ნაგებია ქვიტკირისაგან; შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი (?) (დღეს ღუმლის მილად არის გადაკეთებული), სამხრეთით – ორი (დასავლეთი და ჩრდილოეთი არ უჩანს) (ტაბ. XLI_2, $XLII_1$).

ძევერას ღვთისმშობლის ეკლესია

ძევერას სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლის ბოლოს; იგი ერთნავიანი შენობაა, ნაგები ქვისა და აგურისაგან კირით; ჰხურავს კრამიტი, რომელიც ნაწილობრივ მოცილებულია; კარი აქვს სამხრეთით, საკურთხეველი სომხური ეკლესიის ფორმაზეა გამართული.

ეკლესიას სამხრეთი კარის თავზე აქვს ქვა მხედრული წარწერით (ტაბ. $XLII_2$):

ქ. მოიხსენიე უფალო სააკაძე შელქუა
და მისი შეუღლე ქეთევან ძენი მის
ნი გიორგი გაბარიელა (sic) თეკლორე და
სარქისა აღვაშენეთ ესე ეკლესია
ყ ̃დ წმინდის სულთა ჩვენთა მოსა
ხსენებელად დიდება მისის ა ქ ̃კო
უჭმ

[1] ამის შემდეგ წარწერა უადგილობის გამო გადატანილია ქვის მაღლითა ნაწილში პირველი სტრიქონის ზევით.

აქ მოხსენებული მელქუა სააკაძის ჩამომავალნი დღესაც ადგილობრივვე ცხოვრობენ; ისინი იწერებიან მელქუაშვილებად; რიცხვით არიან 20 კომლი.

ამავე სოფელში ცხოვრობს გვარი ჯოლბორდი, რიცხვით 30 კომლი.

ძევერას ქართველთა წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია[86]

ძევერას ქართველთა წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დგას სოფლის ბოლოს, სახნავ მიწებში; იგი ერთნავიანი შენობაა, 8,3x5 მ., ნაგები ნაწილობრივ თლილი დიდი ლოდებისა და ნაწილობრივ რიყის ქვისა და კირისაგან (ტაბ. XLIII); თლილი ქვა ჰქონია: გარედან – სამხრეთ კედელს მთლიანად, დანარჩენ კედლებს კი მხოლოდ ადგილ-ადგილ, შიგნით – კარ-ფანჯარას, თაღ-კამარას, პილასტრებს და კუთხეებს. ეკლესია დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული, განსაკუთრებით ჩრდილოეთი კედელი და სამხრეთი კარის ადგილი. შენობა დარღვეულია ოთხივე მხარეს; გარეთა პირის ქვა უმეტეს ნაწილად შემოცლილია; კარი უჩანს მარტო სამხრეთით; ჩრდილოეთ მხარეს კი დაქცევის გამო არ ეტყობა, ჰქონდა თუ არა. სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით იმავე მიზეზით არა ჩანს. ტრაპეზი კედელზე უნდა ყოფილიყო მიდგმული; ეხლა ის დაქცეულია. საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა; იქვე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მაღლა ყოფილა დიდი თახჩა (?), რომელიც ეხლა ნაწილობრივ დანგრეულია. ეკლესიას დასავლეთ მხარეს, სარკმლის თავზე უდევს მცირე (20x15 სმ.?), მოთეთრო ქვა ჯვრის გამოსახულებით (ნახ. 13).



ნახ. 13

ეკლესიას კარის თავზე ჰქონია დიდი წარწერიანი ქვა, რომელიც სოფლის ბოგირისათვის შეუხმარებიათ ამ უკანასკნელ წლებში.

ძევერაში, სოფლად, ჯავახიშვილისეულ მამულში დგას **ქვიტკირის კოშკი**, ნახევრად დაქცეული.

მარანას წმ. გიორგის ეკლესია

მარანას წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5x3 მ., რომელსაც დასავლეთით ჰქონია ნართექსი; უკანასკნელისა დღეს

მხოლოდ ნაშთიღა მოჩანს (ტაბ. XLIV$_1$). ეკლესია ნაგებია რიყის ქვისა და კირისაგან; იგი შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთი კარი ეხლა ამოგებულია; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი.

ეკლესიას გარეთ, აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის თავზე უდევს მოწითალო ქვა ჯვრის გამოსახულებით.

აქვე, ტატიშვილების ეზოში დგას ციხე, ნაშენი ქვიტკირისაგან.

ადგილობრივმა მცხოვრებმა, ლავრენტი ბესარიონის ძე ხატისკაცმა ცენტრალურ არქივს შემოსწირა თავიანთი საგვარეულო საბუთი – წყალობის წიგნი, მოცემული კონსტანტინე მეფის მიერ ხატიაშვილისადმი 1726 წელს.


ტყვიავის ღვთისმშობლის ეკლესია[87]

ტყვიავის ქართველთა ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 9x5 მ., რომელსაც დასავლეთით ჰქონია ნართექსი (ტაბ. XLV); უკანასკნელისა დღეს ნაშთიღა ჩანს. ეკლესია ნაგებია ქვიტკირისაგან; ჰხურავს კრამიტი (სწორი და ღარიანი; პირველი ძველია, მეორე – ახალი), რომელიც ნახევრად გადახდილია; შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; დასავლეთი კარი ეხლა ამოგებულია; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი. ეკლესიას გარეთ, აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის თავზე აქვს მოზრდილი ქვა ჯვრის გამოსახულებით.

ტყვიავის სურპ ნიშნის, ანუ ძელი ჭეშმარიტის ეკლესია

ტყვიავის სომხის სურპ ნიშნის ანუ ძელი ჭეშმარიტის ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. იგი, ხალხის სიტყვით, უწინ ქართველებისა ყოფილა და შემდეგ სომხებისათვის მიუციათ.

ეკლესიის საკურთხეველში, აღმოსავლეთის კედელში, ზის ორი ქვა. პირველი ქვა ჩუქურთმებით, ჯვრით და წარწერით არის შემკული. მაღლა ჯვარია ჩუქურთმისა. ჯვრის მხრებზე წარწერა აქვს (ნახ. 14). ზომა ქვისა – 119x65 სმ.; ქვის ქვედა ნაწილში არის წარწერა:



ნახ. 14

ՍՐՆՆԱՆԴԱ : ԲԱՐԵԽԱՒԻ
ՍԵ Ի Ա.Ն[-]Լ ԱՒՐԼԻՆ ԵԻՃՆ

მცირე ქვა ძლიერ დაზიანებულია. მას წარწერიდან ცოტაღა შერჩენია (იგიც ბოლოზეა) (ნახ. 15). ზომა ქვისა – 131x58 სმ.



ნახ. 15

ამ ეკლესიაში არის შემდეგი ისტორიული ნივთები:

1. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 1 არშ. 3 ვერშ. x13 ვერშ. დაახლოებით, წარწერა:

ქ. შემოგწირე ხატი ესე შენ ტყვიავის სრ̃ბ ნ̃შნის ეკლესიასა მე მ̃ირმანაა[ნ]თ მიცვალებული აჳთანდილაშვილი მ̃ირმან საოხად ჩემისა და სასულიერად მიცვალებუ [- - - - - - -] ჩემისასა თჳის წ̃ელსა ქ̃ს აქეთ ჩყ̃ დ ქკს უ [- - -] დამდეგს | ქალაქდამ [- - - - -]

2. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა.

3. ტილოზე ნახატი ხატი მაცხოვრის დასაფლავებისა – 1 არშ. ¼x1 არშ. დაახლოებით.

ტყვიავის ციხე[88]

სოფ. ტყვიავში დგას ციხე რამდენიმე კოშკებად (ტაბ. $XLIV_2$). იგი ნაშენია რიყის ქვისა და კირისაგან. მას შესავალი კარი აქვს ჩრდილოეთიდან. აქ, ამ კარის გასწვრივ, შიგნით, ერთს კოშკს მაღლითა კედელზე აქვს ქვა, დაახლ. ¾არშ.x⅝ ვერშ., წარწერით:

ქ. ქარლ̃ თა მსამდჳრმა X აღვ[ა]შ[ე]ნ[ე] ც[ი]ხე ესე | ქკ[ს] უმჳ

ორ სტრიქონად არის.

ფლავის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია[89]

სოფ. ფლავის წმ. იოანენათლისმცემლის ეკლესია არის ბაზილიკა, რომელსაც სამხრეთით და დასავლეთით აქვს (დაბალ კალთიანი) სამხროები. სამხრეთით (გარდა ამისა) აქვს კარიბჭეც. იგი შიგნით გალესილია კირით. აქ, ეზოში ეგდო ქვის ემბაზი წარწერით, ძლიერ დაზიანებული (ნაპირებ დამტვრეული), რომელიც გადმოვიტანე ტფილისს.

კარბის წმ. მარინეს ეკლესია[90]

კარბის წმ. მარინეს ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,5x3,2 მ., ნაგები რიყის ქვისა და კირისაგან; იგი განახლებულია XIX საუკუნეში;

ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით; ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოგებულია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; იგი ერთიანი ქვაა.

საფლავის ქვა წარწერით ჩამოტანილია ჩემს მიერ მუზეუმში (ნახ. 16).

ნახ. 16

კარბის წმ. სამების ეკლესია[91]

კარბის წმ. სამების ეკლესია დგას სოფლის ბოლოს; იგი ერთნავიანი შენობაა, ნაგები თლილი მოწითალო ქვისა და კირისაგან (ტაბ. XLVI$_1$); შიგნით და გარეთ გალესილია კირით, ჰხურავს თუნუქი; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, იგი ერთიანი ქვაა.

ეკლესია გარედან შემკულია ქანდაკებიან-წარწერიანი ქვებით:

აღმოსავლეთ კედელს, სარკმლის თავზე უდევს წითელი ფერის ქვა ჯვრის გამოსახულებით (ტაბ. XLVI$_2$).

სამხრეთ კედელს, სარკმელზე (დასავლეთ მხარეს) აქვს ქვა, აგრეთვე ჯვრის გამოსახულებით.

დასავლეთ კედელზე არის სამი ქვა:

1. კედლის მაღლითა ნაწილში დევს მოწითალო ფერის ქვა, 62x54 სმ., ვიღაც კაცის გამოსახულებით და წარწერით მარცხენა მხარეს, ძლიერ დაზიანებული (ტაბ. XLVII$_1$). ქანდაკებაც და წარწერაც თითქმის სულ აცირცნილია და გადასული; ქანდაკება ოდნავ მოჩანს, ხოლო წარწერისა შენახულია რამდენიმე ასო. წარწერა ასომთავრული (?) ყოფილა.

2. პირველი ქვის მარჯვნივ, ჩრდილოეთით, ერთი ქვის დაშორებით, დევს სხვა, მოწითალო ფერის ქვა, 35x27 სმ., კუთხური ხუცური წარწერით, დაზიანებული (ტაბ. XLVII$_2$):

Ⴀ̃ⴔ|ⴑⴃⴑⴑⴓ
ⴀⴑⴓⴖⴑⴑⴝⴚ
ⴒⴑⴓⴖⴚⴑⴑ
ⴑⵜⴑ (ⵣⵓ) [- -]ⴑ
ⴕⴑⴑⴑ [- -] ⴑⴑ
ⴔⴑⴑ[-]ⵡ ⴑ(ⵣⵓ)
ⵡⴑ[-]ⴕⴑⴝ
ⵡ

3. პირველივე ქვის მარჯვნივ, სამხრეთით, ერთი ქვის დაშორებით, დევს სხვა ქვა, თეთრი ფერის, 31x18 სმ., ნათლისღების ქანდაკებით (ტაბ. XLVII$_3$); გამოსახული არიან: იოანე, იესო, მტრედი და ანგელოზი. წარწერები მრგვალოვანი ასომთავრულით არის. იოანეს აწერია:

ⴃ̃ⴒⴔ
ⴒⴑ̃ⴓ[- -]
ⴑⴓⴑⴖⴓ
ⴖⴓⴔ

ანუ
ჯოანე
ნათლი
ს მცემ
ელი.

მტრედის ახლოს სწერია:

[-](Ღ)
ᲧᲥ
ᲐᲮᲔ
ᲐᲮ[1]

ქვა რომელიღაც ეკლესიიდან არის დარჩენილი. იგი კანკელის ნაწილი უნდა იყოს (?); კედელში უადგილოდ არის დატანებული.

ეკლესიას ჩრდილოეთ მხარეს, აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონია მიდგმული ოთხკუთხი რაღაც ოთახი, ნაშენი რიყის ქვისა და კირისაგან; დღეს იგი ნანგრევად არის ქცეული. ეკლესიას გარშემო აქვს ქვიტკირის გალავანი.

კარბში არის ქვითკირის კოშკები: ორი ერთად და ერთი ცალკე.

ტირძნის ეკლესია

ტირძნის ეკლესია ნაშენია თლილი ქვისაგან, იგი უბრალო ბაზილიკაა. მას გარეშემო აქვს შემოვლებული ქვიტკირის გალავანი კოშკებით. ეკლესიას აღმოსავლეთის კედელში აქვს ქვა, 77x45 სმ., წარწერით:

ᲧᲨᲜᲘᲘ ᲖᲜᲧ
[- -] .
ᲨᲘ ᲧᲔ

ბრონლის სასაფლაოს ღვთისმშობლის ეკლესია

სოფ. ბრონლის სასაფლაოს ღვთისმშობლის ძველი ეკლესიის სამხრეთ სამხროს კარის თავზე აქვს ქვა წარწერით:

ᲮᲘ ᲔᲨᲮᲔᲜ
ᲜᲜᲐ

[1] ან Ქ.

მასზე გამოხატულები არიან ცხოველები. ზედ ლომზე მარჯვნივ (?):

Ს[-]ᲦᲝ
Ⴑ

ამავე ეკლესიიდან ჩამოღებული ქვა (ეხლა მეჯვრისხევის მილ. ცეიხჰაუზშია), 1 არშ.x8 ვერშ. (?), წარწერით:

[ŧ] Ს[-]ᲔᲜᲝ Ი[-]ᲝᲡ[-]Ოⴑ Ყ[-]ᲩᲮ
Ჩ[-]Ოⴑ Ჩ[-]Ს Ქ[-]ᲜᲡᲝⴑ ⴑᲮ[-]ᲧᲘ
ᲩᲘᲝ Ჭ[-]ᲨᲘ [ᲘᲡᲘ] Ქ[-]ᲨᲘ
[- - -]ⴑ Ზ[-]Ⴇ[-]ᲨᲐ ᲨᲐᲩᲐⴑ ᲨⴑᲧ
Ხ[-]Ზ[-]ⴑ ᲐᲩᲝ Ს[-]ⴑ Ჯ[-]Ს ᲔᲡᲥ[-]Ს
Ჩ[-]ⴑ[-] [- - -] ⴑᲩⴑᲘᲘᲧ[-]ᲥᲐᲘⴑ

მელვრეკისის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია[92]

სოფ. მელვრეკისის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 9x4,5 მ., რომელსაც დასავლეთ საქარეზე აღმართული აქვს საზარე, ხოლო სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით გალერეიები (სიგანით 2 მ.). ეკლესია ძველი აშენებულია, გალერეიები კი შემდეგი ხანის; უკანასკნელნი ორგანულად არ არიან დაკავშირებული პირველთან, იგინი სვეტების საშუალებით არიან გადაბმული მასთან. საზარე სულ ახალია, XIX საუკუნის. ძეგლი ნაგებია რიყის ქვისა და კირისაგან, მხოლოდ კარ-სარკმელი, სვეტები, კუთხეები და კარნიზები თლილი ქვით არის გამოყვანილი. ჰხურავს ორნაირი კრამიტი: ქვეშ – სწორი, ზევიდან – ღარიანი. უკანასკნელი ძველადვეა დახურული; იგი დაკირულია სწორ კრამიტზე. კრამიტი ბევრგან აცვივნილია და ზედვე ყრია, ბევრგან აკლია და საჭიროებს გადახურვას. აღმოსავლეთ საქარეზე აღმართულია ქვა ჯვრით თავზე. ნახევარი თაღი დაზიანებულია; იგი ჩამოწეულია ეკლესიის დასავლეთ ნაწილში. შენობა გარეთ გალესილია კირით, შიგნით კი ნაწილობრივ საღებავით, ნაწილობრივ კირითვე. კარი აქვს: ეკლესიას სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი; სარკმელი აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი (ესენი ყველა გადიდებულ-გადაკეთებულია XIX საუკუნეში); გარდა ამისა, აღმოსავლეთითვე აქვს ორი სანათური: ერთი მარჯვნივ (სამხრეთით), მეორე – მარცხნივ (ჩრდილოეთით); უკანასკნელი დღეს ამოგებულია. გალერეიას სარკმელი აქვს: აღმოსავლეთით – ორი, ჩრდილოეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – სამი სანათური. ტრა-

პეზი საკურთხევლის შუაშია მოთავსებული; სამკვეთლო თახჩაშია გამართული. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში არის ფიცრის აივანი. ჩრდილოეთი გალერეია კედლით გაყოფილია ორ ნაწილად; კედელი ახალი ამოყვანილია. სამხრეთის და ჩრდილოეთის გალერეიებს აღმოსავლეთ ნაწილში აქვს სამწირველო (თითოეულს თითო).

ადგილობრივ მცხოვრების, კატი გოშაძის სახლს უდგას ერთი დედაბოძი და ერთი სხვა ბოძი სამი წრის (ერთი მზისა და ორი მთვარის?) გამოსახულებით.

სოფლის ქვემო უბანში არის ძველი ციხე.

არგოს წმ. გიორგის ეკლესია[93]

არგოს წმ. გიორგის ეკლესია უბრალო ბაზილიკაა (ტაბ. XLVIII). მას სამხრეთით აქვს, მგონი, სამხრო. მას შემორტყმული აქვს გალავანი ანუ იგი აშენებულია ციხეში. მას აქვს კანკელის ხატები ტილოზე ნახატი, მცხეთის სკოლისა.

ახალ ეკლესიაში არის დატოვებული ისტორიული ნივთები:

ჯვარი წმ. გიორგისა, 70x34 სმ., წარწერით:

ქ. ჩვენ ბეჟან [- - - - -]
არუთინამ შემ [- - - - - -]
წმინდის გიორგის [- - - -]
სნეულობის გამ [- - - - -]
ქკს უამ

ეს ჯვარი ხისაა და ირგვლივ შეჭედილია ვერცხლით მგონი.

ოქონის კარედი ხატი[94]

ხატის შუა ნაწილში დეისუსი, მდგომარენი ფეხამდე; მაცხოვარს მარჯვენა ხელი და ღვთისმშობელსაც მარჯვენა ხელი არა აქვს. თავზე – ორი ანგელოზი. მარჯვენა კარზე – ორი მახარებელი და ერთი წმიდანი, მარცხენაზედაც – ისევე ორი მახარებელი და ერთი წმინდანი (ძირს). დეისუსი და მახარებელი წმიდანები სპილოსძვლისანი არიან. 22½x14½ (გაშლით 29¾) სმ., ხატი ირგვლივ ვერცხლით არის შეჭედილი, შიგნითა პირი დაფერილია ოქროს წყალში. უკანა მხარეს, ზურგზედ აქვს ასომთავრული წარწერა:

ⵁⵜⵁⵃⵏⵗ ⵅⵇⵅⵆ ⵅⵗⵗⵒⵍ
ⵇⵆⵗ ⵅⵇⵃⵇⵆⵆⵗⵃⵁⵆⵗ ⵗ
ⵅⵀⵛⵗⵒⵃⵏ ⵁⵀⵗⵃⵑⵗ ⵇⵒ
ⵗⵏ

ცხინვალის მუზეუმი

1. სოფ. თამარაშენის მცხოვრები [...][95] მაჩაბლის სახლის აივნის (?) სვეტები, 16 ცალი (ჯერჯერობით დადგმულია 14; 2 დასადგმელია) შემკული ძვირფასი ჩუქურთმით.[96]

2. ერედვის ეკლესიიდან გადმოტანილი, ვერცხლზე ნაჭედი ხატი, დაფერილი ოქროს წყალში, ძლიერ დაზიანებულია (ერედვის დანარჩენი სიძველეები განადგურებულია).

3. ლარგვისის მონასტრიდან – სპილენძის ლანგარი ასომთავრული წარწერით[97]:

† ⁘ ՊՅՆՁՔՇՆԸ ⁘ †ՓՐՀՊՓՀՊՅՊՅՆԸ ⁘ ՅԸՇՅՇԸ ⁘ Յ՞Հ ⁘ Ո՞Հ ⁘

4. ქალწულმოწამე მარინეს რუსულ-ქართული ხატი (?) (გრაგნილზე აქვს რუსული წარწერა); ეს ადგილობრივი ქართული ეკლესიიდან უნდა იყოს გადატანილი.

5. მაცხოვრის ხატი (ყელამდე), ფიცარზე ნახატი; ეს ჩემ მიერ უნდა იყოს ჩამოტანილი ხეითიდან.

6. სვეტების გასწვრივ, კედელთან არის საბაწმინდიდან ჩამოტანილი ჩუქურთმიანი ქვები – 4 ნატეხი.

7. მოთეთრო ფერის ქვა, 28x19x6,5 სმ., მოტანილი კუდაროდან, მიქელ-გაბრიელის ეკლესიიდან. მასზე გამოქანდაკებულია ვინმე პირი, ჩაქუჩით მარცხენა ხელში და მარჯვენაში ეკლესიის მოდელით. აქვეა გამოსახული ორი სხვა პირი, ცხვარი და სხვ.; აქვს მხედრული წარწერა ცუდი ხელით; უნდა ეკუთვნოდეს XVIII საუკუნეს.

8. კუდაროდანვე – ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 30x20 სმ. (დაახლ.), წოდებული მიქელ-გაბრიელად, დაფერილი ოქროს წყალში, გადაკრული ახალ ფიცარზე. წმ. გიორგი მდგომარეა ხმლით, შუბით და ფარით; მას თავთან აწერია **Ⴗ̅Ⴑ Ⴋ̅Ⴋ** ანუ **წმიდაჲ გიორგი**. ხატის არე შემკულია ორნამენტით. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია: გვერდები დაგლეჯილი აქვს. ეკუთვნის XI-XII სს.

9. თირის მონასტრიდან ზარი, წარწერით:

ქ. მ[აჩაბ]ელას (sic) შვილას (sic) გიორგის შემამიწორამას (sic) ვარძიასა (sic) მღთის მაშობალისთვინ (sic)

10. სახერხი ქარხნიდან ბოძები მუზეუმში ყოფილა გადატანილი.

11. სომხის ეკლესიის ჯვარი (სამხრეთ კედელზე) შემკულია უძვირფასესი მინანქრიანი აგურებით, რომლებზედაც გამოსახულია

კაცი ცხენზე და სხვადასხვა ფერის ყვავილები. გუმბათსაც აქვს გარეშემო წვრილი ჯვრები ასეთივე აგურებისა.

ცხინვალის ყველანმიდის ეკლესია[98]

ცხინვალის სომხის ყველა წმიდის ეკლესია გუმბათიანი შენობაა. მას სამხრეთის კედელში, კარების თავზე, ცოტა დასავლეთით აქვს ორი ქვა, 1¼x1 არშინი დაახლოებით, წარწერით:

[ქ]' აღვაშენეთ : მღვთის შეწევნითა : სა
ყდარი : ესე: ყაველა (?) : წმინდის : ჩვენ : გიორგ
ის : შვილმან : ქართოსრომან : და : ჩემან : ძმამან : ფარ
სადანამა : და : ჩემან : შვილმან : გიემან : ცოდვათა :
ჩვენთა შესანდობლად : ძისა : ჩვენისა: სად[ღე]
გრძელოდა : ვინც: წაიკითხოთ: შენდობა :
მიბძანეთ : გეყედრები : ყოველთაგე : ვინც : იხ
ილოთ : მამა : ჩემს : გიორგის : დედა : ჩემს :
მარეხას : შენდობა : [უ]ბძანეთ : თქვენც : ღ̃თნ :
შეგინდოს : მეფობასა : ვახტანგისასა : ქ̃ კს უ̃ ყ

მასში დაცულია შემდეგი ნივთები:

1. ტილოზე ნახატი დიდი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, ნახევრად ვერცხლით შეჭედილი, შარავანდედი და დაფა ქართული წარწერით ოქროს წყალში არიან დაფერილები. იგი ნახატია იტალიანური გემოვნებით.

მას აქვს წარწერა ვერცხლის დაფაზე:

ქ ։ ოჰანას : შა(?)ვილი ։ სოსკა ։
შეუწირე ։ ცხილვანი ։ საყადარას ։ ვე
რცხლით ։ მოჭედილი : ყო̃ლა ։ წმიდა ։ † ან ქკს უო ზე †
ზომა არ მიწერია.

ხატს ჰკიდია:

ა. გულსაკიდი ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ოქროთი და შემკული თვლებით (აკლია 1 თვალი), ძველი ხელოვნებისა.

ბ. ოქროს ბეჭედი თვლით.

გ. ოქროს საყურეები, 2 ცალი.

2. „სერაბიმი" ქართულის წარწერით:

[1] გაჯს აქვს დაფარული.

ცხინვალის ღთისმშობლის ეკლესიას თავის სულის სამეოხებლად შესწირა ეს წყვილი სერობინი შერმაზანანთ ოჰანეზას მეუღლემ რუსუდანმა ქკს უჟა

3. ჯვარი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. წმინდა ჯვარი ესე ოსეფ იარალოვმან და ჩემ[მ]ა მეუღლემ ანამ შევწირეთ ცხინვალის ყველა წმინდის ეკლესიასა მოსახსენებლათა ჩვენთა ჩაია წელსა


4. ქ. იშატაკი მინ ტერ მოსესთან კუდაკიც შარიამინ იდურნ

5. ეკლესიის ფორმის საცეცხლური, ძველი ხელოვნებისა.

6. ჯვარი ვერცხლისა, წარწერით:

შემოგწირე მე ალელმა კაკუნთ როსტომას ასულმა ელენემა ცხინვალის ყოვლად წმინდა ეკლესიასა ჯვარი ესე ჩემის სულის მოსახსენებლათ. ქკს უჟბ[1]

ეკლესიაშივე არის ჯვარი ხისა, შეჭედილი ვერცხლით და შემკული ვერცხლზედვე ნაჭედი ხატებით: ერთ მხარეს – ჯვარცმისა და მახარებლებისა, მეორე მხარეს – ღვთისმშობლისა და ოთხი წმიდანისა. ჯვარს აქვს ასამაღლებლიანი საფეხური. ამ ჯვარს გამოასვენებდნენ ხოლმე წყალკურთხევას და ამით მიულოცავდნენ ხოლმე ოჯახებში ამ დღესასწაულს.



ნახ. 17

წარწერა ჯვარცმის თავზე: ნახ. 17. სომხური წარწერა გადმოსაღებია.

ჯვარს აქვს წარწერა ჯვარცმის ქვემოდ:

ქ. იშტაკე ⁘ ხაჩს ცახ
ილვნეცი ⁘ ყანდ
ოინც ⁘ გივი ⁘ ვურ
თი ⁘ დავითინ ⁘ ვურე
ტურ ⁘ ცხილვან
ა ⁘ ასტვწაწნი ⁘
ეკეღეცუნ ⁘ ვახმ
ვას იმ ⁘ წნოღაც ⁘ ოქუ
ნ გრვეცავ ⁘ ქარისტ
იშობი ⁘ ა ქკს უოზ
მისხალი ⁘ სზ ⁘

ზომა: 1 არშ. 12 ვერშ.x12½ ვერშ. x¾ ვერშ.

---

[1] ეს აღმასკომში გადავიტანე.

წარწერა ჯვრის ასამაღლებელზე ანუ საფეხურზე:

ქ. ცხილვანის სოშეხთ ღ˜თის მშობლის ეკლესიას შემოგწირე ესე ჯჯრის აღსამაღლებელითა შემიწყალოს მე ზაქარია ოჰანოვი ჩყკთ წელსა

თამარაშენი

სოფ. თამარაშენში, ვანო აბესალომის ძე მაჩაბლის მამულში, ლიახვის პირას დევს საფლავის ქვა, რომელზედაც გამოხატულია ჯვარი და სხვა ჩუქურთმები. მას აქვს ძლიერ დაზიანებული წარწერა ხუცური თუ ასომთავრული ასოებით. ფორმა ქვისა – ნახ. 18.



ნახ. 18

აქვე გიორგი აბესალომის ძე მაჩაბლის სახლია, რომელიც აღშენებულია 150 წლის წინათ. მის ეზოში გდია გომის საცეხვი ქვა.

აქვე, ვასილ მაჩაბლის ყოფილ მამულში არის საქაჯავი ქვა.

აქვე, აპოლონ მაჩაბლის სახლს აქვს 11 ჩუქურთმიანი ბოძი და 3 ჩუქურთმიანი თავხე (კოჭი); ზოგიერთ მათგანს ყვითელი ადგილები ეტყობა. იგინი ან შეღებილი ყოფილა, ან მინანქარში გადაკრული იქნებოდა. ეს სახლი აშენებულია 160 წლის წინად.

თირის მონასტერი[99]

თირის მონასტერი დიდი გუმბათიანი შენობაა, სულ თლილი ქვისაგან ნაშენი (ტაბ. XLIX, L). იგი ერთნავიანი ბაზილიკაა; დასავლეთით აქვს ნართექსი, რომელსაც ადგილობრივები კვირაცხოველს და წმ. გიორგის უწოდებენ; ნართექსში, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არის რაღაც ამაღლებული „ტახტი“ ქვიტკირისა, მის მაღლა კედელში არის დიდი თახჩა წინ თაროთი; აქ იყო წმ. გიორგის ხატი. მეორე ასეთივე თახჩა არის ამავე კედელში კარის მარჯვნივ; აქ ყოფილა კვირაცხოვლის ხატი. თვითონ ეკლესია ღვთისმშობლისაა. ეკლესიას კანკელი ქვისა აქვს, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით. მას აქვს ორი კარი: აღსავლისა და სამხრეთით (ტაბ. LII_1). ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. იგი დგას სამ ფეხზე და ზევიდან ერთიანი ქვა ადევს. საკურთხევლიდან კარი გადის არდაშელის ეკვდერში. იმავე ეკვდერში გადის კარი შუა ეკლესიიდან (საკურთხეველი ახლა). ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით – ორი (ერთი შუა ეკლესიაში, მეორე ნართექსში ?), ჩრდილოეთით – ორი (ორივე არ-

დაშელის ეკვდერში გადის); სარკმელი აქვს: დასავლეთით – ერთი, აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ოთხი და სანათურები ერთი (სამხრეთითვე). ჩრდილოეთ ეკვდერს აქვს სანათური, სამხრეთ ეკვდერს აქვს სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი და სამხრეთით სანათური – ორი. ეკლესია და ნართექსი კარით არიან შეერთებული. სამკვეთლო თახჩაში ყოფილა გამართული.

ეკლესია მოხატული ყოფილა; იგი დაზიანებულია, შენახულია მარტო კონქისა (ტაბ. LII$_2$). ნართექსში, აღმოსავლეთ კედელზე დახატულია მხოლოდ ხარება, სხვა მხატვრობა იქ არ არის. კარის მარჯვნივ დახატულია ანგელოზი, მარცხნივ – ღვთისმშობელი და რომელიღაც მანდილოსანი (?). აქვს ასომთავრული წარწერა: კარის მარჯვნივ – ⴔⴋ̃ⴆⵀ, მარცხნივ – ⵇ̃ⴑ : ⵖⴣ̃ⵆⵚ. ეს მხატვრობა XVII საუკუნისაა, ეკლესია კი ძველია. კარ-სარკმელი, სანათური, კარნიზები შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმებით. ეკლესიას შიგნით აქვს კედელთან გამოწეული დასაჯდომები თუ საძირკველი.

ნართექსშივე, კარის წინ არის საფლავის ქვა, ზომა: 160x73 სმ., წარწერით:[1]

ქ. ეჰა საწუთოსა შინა მყოფ[მა]ნ (ყ̃უ)ალნო ჩემნო
შენდობასა ყოფდეთ ჩვენ მაჩაბლი
(სთვი)[ს]

ქვას ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ატეხილი აქვს და იქვე ინახება.

წარწერები:

1. ეკლესიას საქარეზე, დასავლეთ მხარეს აქვს გუმბათიანი ეკლესიის მოდელი ქვისა; მას დასავლეთ მხარეს აქვს რაღაც წარწერა, რომელიც სამ სტრიქონიანი უნდა იყოს. პირველ სტრიქონში, ვგონებ, ორი ასო, მეორეში და მესამეში – ოთხ-ოთხი.

2. სამხრეთ ეკვდერს, კარის თავად მდებარე ქვაზე, ნახევარ წრედ ჰქონია ჩუქურთმა, რომელიც ქვის ძლიერი დაზიანების გამო შენახულია მხოლოდ სამხრეთ ნაწილში; მასვე ძირა ნაწილში ჰქონია რაღაც გამოსახულება, რომელიც ეხლა დაზიანებულია ძლიერ; მასვე მთელ გულზე ჰქონია ასომთავრული, ხვეული წარწერა, რომელიც ქვის საშინლად დაზიანების გამო (ატეხილია ზედა პირი) აღარ იკითხება. ქვის გულში გამოსახული ყოფილა, მგონი, ჯვარი; ამას ამტკიცებს ჯვრის მარცხენა მხარის განაპირა ნაწილი, რომელიც შენახულია ქვაზე და ძირს რაღაც გამოსახულების ნაშთი,

[1] შესაძლებელია ძველად არ მქონდეს გადაღებული ეს.

რომელიც ამავე ჯვარს უნდა ეკუთვნოდეს. თუ რამდენ სტრიქონიანი იყო წარწერა, არა ჩანს; შენახულია მარტო ბოლო სტრიქონის ნაშთი:

[...]
[-]ᲗᲘ[-]ᲗᲘ[- - - - - - - - - - - - -]ᲔᲔ[- - -]ᲕᲐ[- -] Ყ᾽ᲩᲐ ᲘᲒᲩᲐ

3. ამ ქვის ქვეშ, კარის მარჯვენა მხარეს მდებარე ქვაზე, ასომთავრული:

ᲩᲥ [- -] (Ⴕ)ᲜᲖᲔᲚ ᲕᲘᲠ
Ⴗ(ႷᲔᲚ) Ყ᾽Ჩ Ი᾽Ჩ

4. ამავე ეკვდერს დასავლეთ, მარცხენა კედელზე, მარჯვენა კუთხეში მდებარე ქვაზე აქვს ხუცური (?) წარწერა:

[- -](Ⴓ)Ყ(Ⴗ)Ⴗ꙳ᲧᲧ ᲒᲗᲧᲒᲩᲥᲘᲠ ·
[- - - - - - - - - - - -]Ყ᾽ᲩᲚ · Ი᾽Ჩ ·

5. იმავე ქვის გასწვრივ, მარცხენა კუთხეში, კუთხური ასომთავრული:

ᲘᲒ᾽Ⴘ ⴕⴗ ⴒⴘ [...]

6. მესამე წარწერის ქვეშით, ერთი ქვის დაცილებით, მარჯვენა კუთხეშივე, ქვა ხვეული ასომთავრული წარწერით (ტაბ. LI_1):

ⴒ. ᲭⴘᲜᲔᲕᲐᲒᲘ ᲝᲔᲘᲘᲒᲗᲚᲘᲠ ᲔᲗᲜᲔᲠᲡ · ᲗᲐᲒᲗᲚ(Ⴘ)[ᲜᲡᲠ]
ᲭᲠᲔᲠᲔᲜᲘ ᲧᲐᲗᲜᲔᲡᲠ · ᲚᲗᲜᲐᲘᲘᲜᲔ · Ყ᾽ᲩᲚ · Ი᾽Ჩ

7. მეხუთე წარწერის ძირს, უფრო მარცხნივ არის წარწერა ხვეული ასომთავრულით, ძლიერ დაზიანებული:

[...] ᲧᲩ᾽Ნ Ი᾽Ჩ

8. მეექვსე წარწერის ძირს, უფრო მარჯვნივ, კუთხეში, ხვეული ასომთავრული წარწერა:

ⴒ ᲚᲠᲦᲠᲡ ᲧᲩ᾽Ნ Ი᾽Ჩ

წარწერა კიდევ არის ამავე სტრიქონზე, მაგრამ იგი გადაუფარავს ყორეს.[1]

9. ჩრდილოეთი ეკვდერის კარის თავზე არის წარწერა არდაშელისა.

10. იმავე ეკვდერში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაყვანილი კამარის სვეტზე, პირით დასავლეთისკენ არის ხვეული ასომთავრული წარწერა:

---

[1] ბოლო შვიდი წარწერა მოთავსებულია სამხრეთ ეკვდერზე, პირით დასავლეთისაკენ.

ⴒⴟ ⵄⵁⵂⵖⵍ ⵁⵇⵋⵓⵁ ⵋⵁⵂⵍ ⵋⵑⵄⵖⵎⵚⵁ ⵄⵓⵄ ⵁⵓⵍⵁ ⵇⵓⵚⵁⵍ ⵋⵓⵍ

11. სამრეკლოს დასავლეთით არის წარწერიანი ქვა, აღებული ეკლესიის (შუა ნაწილის) სამხრეთი კარის წინ ყოფილი კარიბ-ჭის მარჯვენა სვეტიდან, რომლის ნაწილიც ეხლაც ნაშთად არის იქვე; ზომით 54(?)x66 სმ." იგი თავდაყირა ზის მიწაში. მის ზევითა ნაწილში რაღაც დაზიანებული მხედრული წარწერაა, ხოლო ძირა ნაწილში – ასომთავრული ხვეული წარწერა:

[ⴒ](ⵏ)ⵄⵂⵍⵓⵋ ⵋⵓ ⵎⵓⵃⵒⵄⵂⵋⵁ ⵏⵄⵁⵍ[ⵄ]ⵖⵓⵁ ⵖⵇⵒⵎⵓⵍⵖ ⵍⵋⵓⵋ ⵋⵄⵂ

[...] (მაჩა)ბელის (შვი)[ლის ა] (რჩილის სულის შენდო)ბა ბრძანოთ[IV]

12. ეკლესიის დასავლეთით დგას სამრეკლო, რომელსაც წარწე-რა აქვს ასომთავრულად (ვერ გადავწერე მოუცლელობით) (ტაბ. LI_2).

ეკლესიას დასავლეთით აქვს მრავალი ჩუქურთმიანი ქვები. ეკლესიის ჩრდილოეთით კლდეში გამოთხრილი პატარა ეკლე-სიაა ტრაპეზით, მის გვერდით არის გამოქვაბულის მაგვარი. აქვე ბერების საცხოვრებელი ბინა ყოფილა, აწ ნახევრად დაქცეული.

ეკლესიის აღმოსავლეთით ყოფილა ციხე, რომელიც ამ რამდენ-იმე ხანის წინათ დაქცეულა, ეხლა მისი ნანგრევებიღა მოსჩანს. ეკლესიას გალავანი აქვს შემოვლებული.

1. საკურთხევლის წინ საფლავის ქვაა, რომელსაც უზის შიგ მარმარილოს ქვა. უბრალო ქვა – 179x67 სმ., მარმარილოს ქვა – 94x51 სმ., წარწერით:

ქ : ყოვლად : ქებულის : მეფის : არჩ
ილის : და : დიდად : სახელოვანის : ქართლის : მეფის : გიო
რგის : ძმის : ყოვლად : შემკულის : ბატონის :
ლევანის : ძე : საქართველოს : გამგებე
ლი : ბატონი : შვილი : ვახტანგ : ვიყავ : სა
მკვიდროსა : მამულსა : ჩემსა : სოფელსა

I Ⴒ-ნიც შიგავეა ჩართული.

II ქვა მიწაში ზის და სიმაღლის ზომა ამიტომ სიზუსტით ვერ არის აღე-ბული.

III ეს ასო Ⴖ-შია გამოყვანილი.

IV როგორც ჩანს, ეს საფლავის ქვა უნდა ყოფილიყო ძველად და იგი გამოუყენებიათ ახალი წარწერისათვის; ამას ამტკიცებს, სხვათა შო-რის, ქვაზე შერჩენილი ჯვარი და სხვა ხაზები.

ამას : რაოდენთამე : წელთა : და : მიი
ცვალა : ძე : ჩემი : პირველ :
ბატონის : შვილი : როსტომ : და : დაეფა
ლა : ეკლესიასა : ამას : შინა : სამკ
ვიდროსა : მამულსა : ჩემსა:
ქ ჯს აქათ ჩემთ

2. იქვე, ამბიონის წინ, არის სხვა საფლავის ქვა, რომლის ნაწილიც დატანებულია ამბიონის ქვეშ; მასში ზის მარმარილოს ქვა. საფლავის ქვა უნდა იყოს დაახლ. 160 სმ. სიგრძე, სიგანე აქვს 65 სმ., მარმარილოს ზომა – 47x23 სმ.; მარმარილოს აქვს წარწერა:

Ⴇძრაჳი : ბაგე : და : უსულო : ენა : გითხრობს : მხედ
[ძ]აჩაბლის : გიორგის : ძე : ერეკლე : წოდებული :
[ᲪᲔ]ღზრდილი : სამეფო : სპასა : გუნდს : შინა : საერთგულოს
[...]II
[...]IVგიმდ : პირისპირ : ერევნისა :
ყVემხდა : ომი : ფიცხელი : და : მღერა : ჭაბუკთა :
Გა : ბრძოლა : ძლიერი : იქმნა : ნიაგსაქნდო :
Ꮭული : მეტყვის : განსვლად : და : პატრონთა : ჳალისა : გადახდად :
Ჭით : არ : ჴრიდე : მეფის წინ : სისხლთ : ჩემთა : თსკვდ :
[Ꮾ]ა : მივეცი : მიწა : მიწად : წლისა : ოცდა : ოთხისა :
თვესა : ოკდომბერსა : გ: ქ ჯს უჲზ : –

3. აქვე სხვა ლოდია საფლავისა, 166x65 სმ., წარწერით:

ქ. უკეთუ ვისმე
ენებოს ცნო
ბა საშროვნოს
ამასა მდებარეა
რაქა (?) გვამი მა
მაჩაბლის ზურაბის
ასული ხნფრე
[- -]ნ თ [- -] ა მცხედ
რის სულის ნ თა

I ჩემი ჩამატებულია, აღარა ჩანს ქვაზე.

II ჩემი ჩამატებულია, აღარა ჩანს ქვაზე.

III აქ მარმარილო გატეხილია და ერთი სტრიქონი აღარ იკითხება.

IV ეს ადგილიც დაზიანებულია.

V უნდა იყოს, მგონი, ასო Ⴓ.

ქთ [-] მის ვინც
მიხილოთ შენ
დობა ბძანეთ
ქ კს ტჟგ
ეკლესიის საშუალ არის საფლავის ქვები:

4. ქ. ქრისტე შეწყალე მონაზონი ფიოფილე
სიგრძეზე სწერია ეს.

5. ვერ მოვასწარი.

6. ვერ მოვასწარი.

7. ამბიონზე ქვა, 54x52 სმ., წარწერით:

[- - - -]განჩინებით ზეგარდამო
ღვთისათა სიკვდილის მიერ მიწივ
ნენ აღუცილოველ ყოველთა სუ
ლთათვის გასულთა ამიერ სიკვდი
[- - - - - - - -]ლით [- -]II და ი
ქმნა ჩვენ ზედა ხილვა დღეთა
[- - - - - - - - - -]IV სრ [- - -]V
თა ულმობელთა გაქმნე ტერნ შენდაგნ
ასოხლი ჩვენად არამედ მრეველთათვის უყოფ
ეს დაგეფლ სხვათა თავისცა მოსაწო
დებელ არს ამისათვის არად მანს
არა ჩანს ერი მწე გაუგებელი
ჩყდ

იქვე პატარა ზარია:

ქ. მე [- - - -]ულას შვილს გიორგის
შემამიწირაეს ვარძიისა
მღთის მშობლისათვინ

ეკლესიის სამხრეთით, შუა ეკლესიის კარის მარჯვენა სვეტის ზევითა ნანილის ქვა ქურთის თავშესაფარის ბავშვებს ჩამოუმტ-

---

კირი აქვს გადაკრული.
გაუგებელია.
გაუგებელია.
გაუგებელია.
გაუგებელია.

ვრევიათ ამ ზაფხულს (თიბათვეში); მათვე დაუმტვრევიათ საფლავის მარმარილოები, მათვე გადმოუგდიათ ჩრდილოეთ კარებთან გამართული საწიგნეს ზევითა ქვა. განცხადება ისტორიული ძეგლების დაცვისა დაუხევიათ და გადაუყრიათ.

იქვე, ფიცრის ყუთში, მარმარილოს ქვაა წარწერით.

[...][100] სამაზროში არის საფლავის ქვა წარწერით.

ფრისის ღვთისმშობლის ეკლესია[101]

ფრისის ეკლესია წინათ სამხროებიანი ყოფილა; დღეს სამხროები ჩამოქცეულია (ტაბ. LIII, LIV). იგი ფრესკიანი ყოფილა; დღეს ფრესკები შერჩენილა მარტო 6-7 ხატისა. კანკელი ქვიტკირისაა. კანკელზე (ამბიონის ახლო), მარცხნივ მიდგმულია ქვის ემბაზი.

ერედვის წმ. გიორგის ეკლესია[102]

ერედვის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 11,6x5,6 მ., რომელსაც ოთხივე მხარეს აქვს გალერეიები (ტაბ. LV_1). გალერეის სიგანე 2,1 მ.; შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არის ბნელი ოთახი, კარით ეკლესიაში. ძეგლი ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. ჰხურავს კრამიტი, რომლის უმცირესი ნაწილი უწესრიგოდ ყრია ზედვე, უდიდესი ნაწილი კი სულ მოცილებულია. დღეს მთელი შენობის თაღები წყლით არის გაჟღენთილი და თუ საჩქაროდ არ გადაიხურა, მალე დაიქცევა. აღმოსავლეთი გალერეის თაღის შუა ნაწილი უკვე დიდი ხნის წინათ არის ჩამოქცეული. სამხრეთი გალერეის აღმოსავლეთ ნაწილში, ეკლესიის კედელზე მიდგმული აქვს რაღაც ტახტისებური კედელი. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი გადის ბნელ ოთახში); გალერეიასაც აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი: ეკლესიას აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი, დასავლეთით – ერთი; სულ ოთხი. კარ-სარკმელი შემკულია ჩუქურთმით. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას; სამკვეთლო თახჩაშია გამართული.

ეკლესიას აქვს ექვსი წარწერა; ერთი მთავარი და სხვა – წვრილი.

I. მთავარი წარწერა მოთავსებულია სამხრეთი გალერეის კარის მარჯვენივ მდგომ მრგვალ სვეტზე (ტაბ. LV_2, LVI); ნაწილი წარწერისა დაყოლილი აქვს გალერეიის კედელს; როგორც ჩანს, ეს სვეტი კარიბჭიდან არის დარჩენილი; თავდაპირველად აშენებული ყოფილა ეკლესია და კარიბჭე, გალერეიები კი შემდეგ მიუშენებიათ. სვეტისთავი შემკულია ძუძუების მსგავსი ფიგურებით; სულ არის

16 ფიგურა (მათგან 9 სამხრეთით და 7 აღმოსავლეთით; მეშვიდე ნაწილობრივ ატეხილია); რძე-გამშრალი ქალები მათ კარაქს უსვამენ და რძის მიცემას ევედრებიან.[1] წარწერა მრგვლოვანი ასომთავრულია; იგი ძლიერ დაზიანებულია: ნაწილი ასოებისა, როგორც ეს ზევით აღვნიშნე, დაფარულია კედლის მიერ, ნაწილი ამოტეხილია, ამოფულურულია, განსაკუთრებით პირველი სამი სტრიქონის შუა ნაწილი. კედელი ჰფარავს წარწერას დასავლეთის მხრით ერთ ვერტიკალურ ზოლად; თვითეულ სტრიქონს აკლია დაახლოებით 8-10 ასო. ქვას ზოგიერთი ფულუროები ძველადაც ჰქონია (ე.ი. დაწერამდე); დამწერი მას გვერდს უვლის. სულ არის 9 სტრიქონი.

წარწერა:[11]

[-]ⴊⴇⴑ [- - - - - - - - - - -]ⴋⴍⴑ[- - - -] ⴖⴑⴍⴑ(ⴑ)[ⴊ] (ⴇⴑ)ⴣⴊⴁⴋⴏⴊⴍⴇⴑ ⴥⴣ˜ⴎⴍ(ⴑ)

[-]ⴑ˜ⴂⴇⴑ[- - - - - - - - - - - - - -]ⴋ(ⴒ)ⴊⴇⴑ ⴟⴊⴄⴣⴊⴝⴁⴍⴑ ⴖ˜ⴇⴟ ⴎ(ⴑ)

ⴑⴑⴥⴣⴋⴊⴍⴍ(ⴑ)[- - - - - - - -]ⴊ ⴣⴊⴝⴍⴑⴑⴑ ⴕ˜ⴇⴣ ⴝⴕⴕⴑⴑⴣ ⴎⴑ ⴑⴑⴕⴣⴊⴎ(ⴑ/ⴁ)

.ⴖⴊ ... (ⴕⴇⴑ) ⴣⴊⴝ(ⴊⴂ)ⴖⴑⴑⴖⴍⴊⴑ ⴎⴑ ⴣⴁⴣⴊⴇ ⴣⴟⴁⴊⴋⴎⴁⴇⴝⴊⴇ ⴖⴊⴑⴍⴑⴍ

ⴖ ⴇⴇⴁⴍⴑ ⴣⴥⴁⴟⴕⴊ ⴝⴕⴕⴑⴑⴍ (ⴖⴑ) . (ⴎ) ⴑⴇⴖⴟⴑⴑ ⴣⴊⴁⴕⴊⴋ ⴜⴇ ⴑ(ⴕ/ⴁ) ⴑⴕⴎ

ⴎⴑⴇⴊⴍ ⴠⴑⴕⴇⴖⴇ ⴟⴊⴑⴑ ⴁⴝⴇⴖⴁⴍⴑⴑ ⴥⴖⴊⴇⴖⴑⴑ ⴖⴊⴑⴑⴑ

ⴑⴑⴑⴑ ⴑⴑⴑⴥⴣⴟⴕⴊ(ⴊ)ⴇⴖⴑⴑ ⴘⴊⴖⴑ ⴟ˜ⴕⴑⴑⴑ ⴣⴖⴑⴑⴑ ⴖⴑⴑ(ⴇ)ⴕⴑⴑⴟⴕⴊ

.(ⴑ)ⴥⴕⴊⴇⴖⴑⴑ ⴑⴥⴊⴝⴁⴑⴑⴑ ⴖⴊⴑⴖⴊ˜ⴜⴁⴑⴑⴑⴑⴑⴎⴁⴑⴑ ⴕⴎⴑⴇⴑⴑ ⴟⴊⴊⴖⴊⴕⴑⴑⴑ

..ⴁ˜ⴖⴑⴑⴎⴝⴁⴑⴑⴑⴑⴑⴣⴟⴕⴑⴑ ⴎⴑⴇⴑⴑⴑ ⴑⴑⴣⴕⴑⴑⴑⴑⴑⴑⴑⴑⴑⴑⴑⴑ ⴥⴇⴑⴑⴑ ⴖⴑⴑⴑⴑ ⴘⴑⴑⴑⴑ ⴥⴥⴑⴑⴑ[12]

ანალოგიური კულტის მატარებელნი, როგორც ეს ვ. თოფურიამაც აღნიშნა, არიან ახალქალაქის მაზრის განძისა და მურჯახეთის ძუძუს ქვები (საისტორიო მოამბე, წ. II, 1925, გვ. 131, შენ. 1); ასეთივეა, როგორც მახსოვს, ჩემს მიერ 1923 წ. ნანახი ბრეძას ეკლესიის სამხრეთით მდგომი სვეტი.

წარწერა პირველად გადმოიღო და დაბეჭდა ვ. თოფურიამ მცირედი განსხვავებით, რომელიც ქვემოდ იქნება აღნიშნული (საისტორიო მოამბე, წ. II, 1925, გვ. 131).

1. V სტრიქონის ბოლო: **კულა რავდ[ენჯერმე]**. 2. თვითეულ სტრიქონს თავში და ბოლოში ასოები აკლია სვეტის კედელში მოტანების გამო, თვითეულ სტრიქონს უნდა აკლდეს დაახლოებით 8-10 ასო. 3. სვეტს ზოგიერთი ღრუ ძველადვე დანერის დროს ჰქონია, დამწერი მათ გვერდს უვლის. 4. ქვას გარედან ე.ი. სამხრეთი მხრიდან აქვს 9 ძუძუ, შიგნიდან, ე.ი. აღმოსავლეთი მხრიდან 7 (VII ნაწილობრივ მოტეხილია). 5. პირველი სამი სტრიქონი შუაში ძლიერ დაზიანებული ქვა ატეხილია და რამდენიმე ასოს ნაშთი მოჩანს.

იკითხება:

. ითა . . . . . ისა . . . . ღდისაჲთა (?) მეოხებითა წმიდისა
აჲთა . . . . . ხითა ჴელმწიფობასა ღ.თივ და
სა წმიდისა . . . . . ე მეფისასა რომელმან ბრძანა და ჩავიდა
. . ე . . რთა მეფეჲ გააგცია და მონით მშოიდობით იქცაც
. ს ილოცა მწოხრი ბრეძას გარდაჰჴთა მეორედ კუღა რავდ
დალეწა ქართლს შინა ოფლობასა ტბელისა ივანესა
სასა სანატრელისა ყ . . . . . სა ჯუარითა მისითა გაზრახვით
. ატრელისა სტეფანე ებისკოპოსისაჲთა ძალითა შეწევნითა
. . თ . . . . . ე თაფლაჲსძემან დავდე საძირკველი წელნი იყუნეს ხფი
ქორონი[კონი].

წარწერის თარიღი უდრის 6510 წელს ქვეყნის გაჩენიდან; თუ ამას გამოვაკლებთ ქართველობის მიერ XI საუკუნემდე მიღებულ წელთაღრიცხვით 5604 წელს, მივიღებთ 906 წ. (6510-5604=906), რომელიც არის როგორც წარწერის, ვგონებ, აგრეთვე, ეკლესიის აშენების თარიღიც.

წვრილი წარწერები არის შემდეგი:

2. ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა კედელს ძირა ნაწილში უდევს ქვა, რომელსაც აღმოსავლეთ მხარეს აქვს ხუცური წარწერა:

ⴒⴆⵀⵊⵆⵔⵁ
Ⴑ̃ⵊ ⴟⴊⵊⴒⴗⵔ [ⵣⵓ]
ⵊⴾ ⵀⵁⴾⵔⴾⵊ
ⵀⵁⵝⵔⵔⵅⵊ
ⴗ̃ⵣⵓⴾ ⵊⵅⵁⵁ
Ⴑⵊⵁⵒ ⵔⵀⵊⴾ
[ⵊ]ⴗⴗⵔⵅⴾ

იკითხება:

წმიდაო
გიორგი, შეიწყა
ლენ მონანი
მოსავნი
ყოველნი ერთო
ბით. ამინ
ყავნ

ვ. თოფურიას უკანასკნელი 4 ასოს მაგიერ უწერია: მე-(?)ნ, რომელსაც კითხულობს: მეოხ(?)-ად (იქვე).

3. იმავე კარის მარცხენა კედელში, პირით დასავლეთისაკენ, დევს ქვა ხუცური წარწერით:

† ⵗⵍⵀ (ⵔ)
ⵔⵃ ⵒⵔⵀ
ⵃⵀ (ⵁ˜ⵗⵍ)
ⵃⵀ (ⵍ)ⵔ(ⵜ)ⵉ
[- - - -]ⵜⵓ
ⵖⵀⵀⵗⵓⵀ
[- -]ⵔⵃ

იკითხება:
ესე არი
ან ბჭე
ნი ოფლის
ნი პამ [-] (?)
[- - - -] ლ [-]
შევლე [-]
[- -]ამინ

4. იქვე, აღწერილი მეორე ქვის ძირას, დევს ქვა ხუცური წარწერით:[III]

ⵔⵜⵔⵍ
ⵅ˜ⵀ ⵍ˜ⵁ ⵖⵀ
ⵜⵅⵀⵁⵃⵇⵓ
(ⵒ)ⵔ(†)ⵋⵔ
ⵒⵔⵁ

იკითხება:
ამას (?)
წმიდაი გიორგჲ შე
მწევჲ ყოველი
თა ქრისტეანე
თაჲ

5. აღმოსავლეთ გალერეიაში არის ქვა ჯვრის გამოსახულებით და ხუცური წარწერით ზევითა ნაწილში:[IV]

I მასვე უკანასკნელი 9 ასოს მაგიერ უწერია: **ამის|ნი ა ამ|ს** (იქვე).

II მასვე უკანასკნელი 1 ასოს მაგიერ უწერია: **ს** (?) (იქვე).

III იქვე.

IV იქვე.

[illegible]
[illegible]
[illegible]
(ყ)Რ[ⴰⵎ](ᲨᲐ)[illegible]
[illegible]

იკითხება:
ქრისტე
შე
მინ
ყალე მონაჲ
შენი თ[- - -] ე

6. ეკლესიის გარეთ, გალერეის დასავლეთ კედელზე არის ქვა, ჯვრის გამოსახულებით და ხუცური წარწერით:
[illegible]

ანუ:
ქრისტე შეიწყალე [- - -]ავ (?)

დასავლეთის კედელში, საკურთხევლის სამხრეთ კონქთან ახლოს არის ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია ჯვარი და სხვა სახეები და ბოლოზე ნაწერი მეტწილად დაზიანებულია:
[illegible]
[...]

ეკლესიის სიძველენი 1923 წელს მთლიანად იყო დაცული; ის გაუნადგურებიათ 1930-1931 წლებში; მათგან დარჩენილია ერთადერთი სიძველის ნაშთი (იხ. ქვა №1), რომელიც აღწერილი აქვს ვ. თოფურიასაც[IV] და რომელიც დღეს დაცულია ცხინვალის მუზეუმში. მე მოვიყვან მათ აღწერას, შედგენილს ჩემს მიერ 1923 წელს.

ეკლესიის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის მახლობლად ყოფილა რაღაც შენობა, რომელიც ეხლა დანგრეულია.

ეზოს გარეშემო არის ქვითკირის გალავანი, ნაწილობრივ დაქცეული; კარი აქვს ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან.

---

[1] მასვე წარწერა გადმოწერილი აქვს: [illegible], რომელსაც კითხულობს: [illegible] (იქვე).
წერტილებით აღნიშნულ ადგილას მოჩანს ასოები: [illegible].
იყო თუ არა მეორე სტრიქონი, ქვის დაზიანების გამო, არა ჩანს.
იქვე, გვ. 132.

ზომა ეკლესიისა გალერეებითვე – 26x16 არშ. (დაახლ.); კარი გარედან გალერეას აქვს ჩრდილოეთით და სამხრეთით, თვით ეკლესიას კი სამხრეთით, უწინ ეკლესიას დასავლეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოგებულია. ორივე კარის თავები (ეკლესიის) შემკულია ჩუქურთმებით.

ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმელსაც თავზე ჩუქურთმა აქვს. სახურავზე კრამიტები დამტვრეული აქვს. გალერეას კარები არა აქვს და საქონლის ნეხვით არის სავსე.

ეკლესიის სამხრეთით (აღმოსავლეთი ნაწილის გასწვრივ) მდებარე სამწირველო ნანგრევადაა (ცალკე დგას ეკლესიიდან).

სიძველეები:

1. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ვერცხლის ასოებით და შარავანდედებით (ღვთისმშობელი ყრმით არის); XVIII ს., 36¾x24 სმ.

2. წმ. გიორგის ჯვარი, შეჭედილი და შემკული ვერცხლით (წინა მხარეს). ჯვარი (ტარი არა) შემკული წმ. გიორგისა და სხვათა ხატებით; 41(ტარითვე 66)x36 სმ.

3. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი. გულში წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარე და ქვეშ დიოკლეტიანე; წმ. გიორგის ხელში (მარჯვენა) უჭირავს რაიმე იარაღი (ლახტი). აშიები შემკულია წმინდანთა სახეებით. გული (წმ. გიორგი) ოქროს წყალში არის დაფერილი. დაბალი ხელოვნებისა; 35½x24½ სმ.

4. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. ნიკოლოზის და სხვა წმინდანებისა, დაზიანებული, 22½x12½ სმ.

5. ღვთისმშობლის ხატი, ფიცარზე ნახატი, შეჭედილი ოქროს წყლით დაფერილი ვერცხლით, დაზიანებული: ვერცხლის ფურცლები ზოგიერთ ადგილას აგლეჯილია და დაკარგული. ქვევითა ნაწილში აქვს წარწერა; მშვენიერი ნაწერია ასომთავრული ხვეულით:

[Ⴗ](Ⴍ)ᲛᲖᲪ ⁘ ᲩᲫᲘ ⁘ ᲘᲛᲒᲘᲕᲫᲛᲔ
ᲫᲘ ⁘ ᲘᲔᲛ ⁘ ᲪᲘᲪᲒᲘᲛᲔᲘᲠ ⁘ [- - -]ᲬᲘ ⁘ ᲪᲠ
ᲕᲘᲘᲘᲘᲜᲔᲘᲠ ⁘ ᲕᲘᲠ ⁘ ᲛᲘ[- -]ᲠᲪᲪᲠᲘᲜᲘ
ᲠᲫᲩ

მხატვრობაც სულ დაზიანებულია, ჩანს ფიცარზე.

ხატს თვლები ჰქონია, ახლა დაკარგული აქვს, 36x24 სმ.

6. ხატის ნაშთი – ფიცარი ვერცხლის ნაშთითვე, 15x11 სმ.

7. ბერ ფავლენიშვილი ბესარიონის შემდეგ დარჩენილი კუნკულა (კამილავკა) რკინისა.

8. სარტყელი ჯაჭვით, რკინისა, იმავე ბერისა.

ორი შესაძლებელია გადმოტანილ იქნეს მუზეუმში. ბერი ოსებს მოუკლიათ კალოობას, სიმდიდრის წაღების მიზნით, XIX საუკუნის დასაწყისს. ეს ბერი დასაფლავებულია ამ ეკლესიაში, ამბიონის წინ, ოდნავ ჩრდილოეთით.

ეკლესიაში საფლავებია ფავლენიშვილებისა. ეკლესიას ჩრდილოეთით აქვს საიაიაზნო მცირე ოთახი, კარი აქვს საკურთხევლის (კანკელის) წინ.

ერედვის ბერუანთ უბნის მცხეთის ჯვრის ეკლესია[103]

სოფ. ერედვის ბერუანთ უბნის მცხეთის ჯვრის ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. მასში არის ტილოზე ნახატი ხატი, დაახლოებით ¾x½ არშინი, ჯვარცმისა, მშვენიერი ძველი ხელოვნებისა. აქედან 1922 წ. ყაჩაღებს წაუღიათ მცხეთის ჯვრის ჯვარი ვაზისა, ირგვლივ სულ ვერცხლით შეჭედილი, ზომით დაახლოებით ¾x½ არშინი. იგი ყოფილა მთავარი ნივთი ამ ეკლესიისა.[1]

აქვე, ეზოში გდია ემბაზის ქვა.

ერედვის ბერუანთ უბნის ელიას ეკლესია[104]

ერედვის ბერუანთ უბნის ელიას ეკლესია მშვენიერი შენობაა. კარების თავზე აქვს ჩუქურთმიანი ქვები (ტაბ. LVII).

ერედვის ბერუანთ უბნის ბერის საყდარი[105]

ერედვის ბერუანთ უბნის ბერის საყდარი სამხროიანი დიდი ეკლესიაა (ტაბ. LVIII); მას სამხროები აქვს დასავლეთითაც და ჩრდილო-სამხრეთითაც, ე.ი. წინა გვერდებზე. ეკლესია ფრესკებიანი ყოფილა; ეხლა ფრესკები მოსჩანან რამდენიმე ადგილსღა. ეკლესიის გარშემო მრავალი ნანგრევებია, რომელთა შორის მოსჩანან მრავალი მშვენიერი ჩუქურთმიანი ქვები. ეკლესიის შიგნით, კანკელთან არის ქვის ემბაზი.

ეზოში არის ქვა კაცის თავის გამოსახულებით ყელამდე.

ერედვის მახლობლად ერთ ეკლესიას ჰქვია სახელი **„კოხის ჯვარი.“**

---

[1] ცნობა შალვა ფავლენიშვილისა (მასწავლებელი).

ერედვის ე.წ. წითელი საყდარი[106]

ერედვის ახლოს არის ე.წ. წითელი საყდრის ნანგრევი. იგი სამხროიანი დიდი ეკლესია ყოფილა. იგი სულ თლილი ქვისგან არის ნაშენი. ეხლა დგანან მარტო კედლები, თაღი ჩამოქცეულია. გარეთ და შიგნით ყრია მრავალი ჩუქურთმიანი და სახეებიანი ქვები. მათში არის:

ეკლესიაში – ქვის ემბაზი; ქვა, რომელზედაც არის კაცი გამოქანდაკებული, ხელში ჯვარი უჭირავს, მასთან არის ჩუქურთმები და ფრინველი.

ეკლესიის გარეთ – ქვა კაცის გამოსახულებით, თავი აღარა აქვს.

აქედან ქვები წაუღიათ და ერედვის წყაროსთვის შეუხმარებიათ.

ქსუისის ეკლესია

ქსუისის [...][107] ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 11x6 მ., რომელსაც დასავლეთით აქვს სამლოცველო ოთახი ქვიტკირისა. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით; ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი და დასავლეთით – ერთი. ტრაპეზი და სამკვეთლო გადმონგრეულია. ტრაპეზი საინტერესოა: მას გვერდებზე თახჩები აქვს.

ეკლესიას სამხრეთით ჰქონია რაღაც შენობა; დღეს მისი ნაშთიღა მოჩანს. აქ (სამხრეთით) დგას ერთი წითელი ქვის მრგვალი სვეტი, დაზიანებული.

სათიხრის წმ. გიორგის ეკლესია[108]

სათიხრის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფელში, მაღლობ ადგილას; იგი ერთნავიანი შენობაა, 5x3,5 მ., ნაგები რიყის ქვისა და კირისაგან; დღეს ნანგრევად არის: შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნახევარი, თაღიც ნახევრად ჩაქცეულია. იატაკი ნანგრევით არის დაფარული. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი. ტრაპეზი და სამკვეთლო კედელზეა მიდგმული.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დგას ციხე.

ჭარების ჭალის ღვთისმშობლის ეკლესია[109]

ჭარების ჭალის ღვთისმშობლის ეკლესია დღეს ნანგრევად არის; აქ უწინ დიდი მონასტერი ყოფილა; მრავლად ჰქონია ჩუქურთმიანი ქვები.

ეკლესია სამხროებიანი დიდი ბაზილიკაა, ნაშენი მოწითალო ფერის თლილი ქვისა და კირისაგან. ეკლესია სამხროებითვე არის 17x11 არშინი; გარეთა პირი ეკლესიისა მოწითალო ქვა არის, შიგნითი პირი კი ნაწილობრივ შირიმის და კლდის ქვა. სვეტები, კამარები და საკურთხევლის თაღი და კარ-ფანჯარა თლილი ქვისაგან არის, დანარჩენი – კლდის ქვისაგან. კარგად დგას მარტო სამხროები, საკურთხევლის ნაწილი, ხოლო ცენტრალურ ნეფს თაღი ჩამოქცეული აქვს (საკურთხევლის გარდა). კარი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით; სარკმლები: დასავლეთით – ორი, სამხრეთით – ორი ძირს სამხროს, და სამი მაღლა ცენტრალური ნეფის კედელს, დაშენებულს სვეტებზე; აღმოსავლეთით, საკურთხეველში – ერთი, სამხრეთით სამხროს – ერთი სანათური, ხოლო ჩრდილოეთი ნეფისა დანგრეულია. ჩრდილოეთის მხარეს ცენტრალურ ნეფს უნდა ჰქონებოდა სამივე ფანჯარა, ხოლო ძირს (სამხროს) არა აქვს. სვეტები მრგვალი ფორმისაა და შირიმის ნაჭერი ქვისგან არის ნაშენი, სვეტები კი მოლურჯო ფერის ქვებისაგან არის ნაშენი. ჩრდილოეთით და სამხრეთით არის სამ-სამი კამარა; დასავლეთით და აღმოსავლეთით კამარები ებჯინებიან კედლებიდან გამოწეულ ერთ ქვას. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში ჩანს; აქ დარჩენილია ძირითა ქვა. ეკლესიას ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აქვს მცირე ოთახი (ვითომც სალარო), რომელსაც კარი აქვს ერთი დასავლეთით – სამხროში (ჩრდილოეთით), მეორე – თვით საკურთხეველში. ეს ნაწილი დღეს ჩამოქცეულია. კარებები ყველა უბრალოდ არის ამოგებული (დაცვის მიზნით), გარდა დასავლეთისა. ეკლესიის გარეშემო ნანგრევებით არის სავსე. ეკლესიის ჩრდილოეთით ყოფილა მარანი.

ეკლესიაში ყოფილა უწინ მარმარილოს ქვა წარწერით: **„მე სტარშინ ბერს სარწინცსა აღმიშენებია ეს ეკლესია. ერთ-ერთ სვეტში ინახება იმდენი ქონება, ეკლესიას რომ განახლება დასჭირდეს, კიდეცაც მორჩებაო.“** მართლაც, უშინჯნიათ ეკლესიის სვეტები ბურაოთი, უხვრეტიათ და ვერ უპოვიათ. ეს ადგილი მიუსაკუთრებიათ ზაშედოშვილებს, რომელთაც ეკუთვნოდათ მახლობელი მიდამო, მარმარილოს ქვაც იმათ დაუმტვრევიათ და სადმე ხაროში ან ქვევრში ჩაუყრიათ. სიმდიდრე, ბერის მიერ დაფლული, ალექსანდრე ოქროპირიძის (ყოფილი კეთილმოწესის) სიტყვით, უნდა იყოს ერთ-ერთი სვეტის

ძირითა ქვებში. ლეკების შემოსევის დროს ერთ ბერიკაცს, რაზმაძეს გადაუბრუნებია ეკლესიისა თუ მარანის კარებთან და მერმე ნანგრევებს დაჰყოლია.

ეკლესიის აშენებას მიაწერენ თამარ მეფეს.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის გასწვრივ ყოფილა ორი ოც-ოცი კოკიანი თიხის ქვევრი: ერთი ადრევე ამოუღიათ მახატლებს (ცხოვრობენ სოფ. ზარდიანთ კარში) – აზნაურებს და სახლში წაუღიათ თავიანთვის, მეორე – კი ადგილობრივვე არის. 192[-] წელს[110] იგი მთელი იყო; მას პირზე ჰქონდა ასომთავრული წარწერა:

† ჩ̈ⷪ ⵗ ⴈⴐⵏ ⵗ ⵊⵖⵚⵖⵜⵔⵔ ⵗ ⵚⵐ ⵗ (ⵔ)ⵇⵐⵒⵔ ⵚⵐⵒⵔ ⵗ ⵇⵇⵇⵒⵖⵐⵒⵐⵔ † ::::

ქ. წმიდაო ღვთისმშობელო შეწყალე დავით-ბერი ტაშირელი

უკანასკნელს ხანს იგი გოგო-ბიჭებს დაუზიანებიათ: მისი პირი ჩაუმტვრევიათ. ნარწერიანი ნაწილები შიგნით (ქვა-მიწაში) უნდა ეყაროს.

ერთ ქვევრზე სწერია: **შემამიწირია დავით ბერსაო, ტაშირელსაო.** ე.ი. წყვილი საზედაშო ქვევრები.

თაღი საკურთხეველს, კამარებს, კარს, სარკმელს მრგვალი აქვს. სამხროებს მაღლა აღარაფერი ჰხურავს. კრამიტი ყოფილა სწორ ღარიანი ძველი კრამიტი, ზოგი არის ინგლისის კრამიტი, გარედან „იგლისი" აქვს წასმული (ე.ი. წამალი) ლურჯი ფერისა. სამხრეთის მხარეს ეკლესიას ჰქონია კარიბჭე, რომელიც ეხლა მოშლილია. წარწერა თუ ჰქონია, სამხრეთ კარებზე ექნებოდა, ქვა ამ კარისა ეხლა ნანგრევები იქნება აქვე. დასავლეთის კარს აქვს ორი ჯვრის გამოსახულება, კარის თავის ქვებზე. დასავლეთისავე კედელზე, მაღლა არის ჯვრისავე გამოსახულება.

ქვემო-ჭალის მცხოვრებ ივანე ილიას ძე რაზმაძეს აქვს ჩუქურთმიანი მრგვალი ფორმის ქვის ნატეხი, რომელზედაც ჯვრებია გამოქანდაკებული და ნაპირზე აქვს შერჩენილი წარწერიდან სამი ასო **ⵣ(ⵔ)ⵇ**. თავიდელი ზომა უნდა ყოფილიყო 9,4x9,4 სმ., ეხლა არის 5,4x6 სმ., საშუალო საუკუნეების უნდა იყოს; კარგი ნამუშევარია, სისქე – 3 სმ.

ქვევრის წარწერა იკითხება:

ეს ეკლესია შესანიშნავი, ლამაზი შენობაა.

სნეკვის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველენი

სნეკვის წმ. გიორგის ეკლესიაში არის ზარი, დაახლოებით 10-12 გირვანქა, წარწერით:

ქ. შემოგწირე სნეკის წმიდა გიორგის დავლაბერიძემ გლახამა სუ-
ლ[ი]სა ჩემთვინ

ალექსანდრე ოქროპირიძის სიტყვით, სნეკვში რამდენიმე წლის წინად ყოფილა ოქრომკედით ნაკერი ქალის ქამარი, გულისპირი და სამაჯურები; ესენი იქ აღარ დამხვდა.

სნეკვის გუზიტაანთ უბნის ეკლესია

სნეკვშივე, გუზიტაანთ უბანში არის დანგრეული ეკლესია, რომელზედაც გამოქანდაკებულია ლომი; აქვს წარწერაც და ჩუქურთმიანი ქვებიც.

ზემოხსენებულ ეკლესიაში იყო ჯვარი, რომელიც, ხალხის სიტყვით, უწინ სპარსეთში ყოფილა გატაცებული. იქ იმ წლებში აღარაფერი მომრავლებულა, მკითხავისთვინ უკითხვინებიათ და მას უთქვამს, რომ ამის მიზეზი საქართველოს ჯვარი არის და ისევ უკან უნდა დააბრუნოთო, თუ არა და შვილი არ გაგიჩნდებათ დედათა სქესსაო. ამდგარან და ხარისათვის შეუბამთ რქაზე. ხარს უტარებია ჯვარი და მოუტანია და დაუსვენია იქ, სადაც დღეს ნიშია ეკლესიის წინ სნეკვში. შემდეგ ხალხს ჩამოუხსნია ჯვარი. ის ხარი არის დასაფლავებული იქ, სადაც ეკლესიაა.

ვანათის ძველი ეკლესიის წარწერა[111]

ითრაფი ადგილს ჰქვიან სოფ. ვანათის თავზე. იქ არის ეკლესია, ნასახლარებიც არის (ტაბ. LIX_1). ეკლესიაში არის ქვის ჯვარი, რომელიც ტრაპეზზე არის. საქვაბეები არის დმენისის აგარაკში, ვანათის ციხის მახლობლად. იქ გამოქვაბული ოთახებია, წინათ შვიდ ოთახში შეიძლებოდა შესვლა, ეხლა მარტო სამშიღა შეისვლება, დანარჩენებში ვეღარ.

სოფ. ვანათის ძველ ეკლესიას სამხრეთის კარების თავზე აქვს ქვა წარწერით (ტაბ. LIX_2):

და შიო დეკანოზი [...] ჩხეიძე ნ̃კზ
ქ. მოიხსენე მთაყარი ე[-]ისკო[- -]სი[1]

[1] აქ უნდა იყოს ეფისკოპოსი.

ბელოთის მაცხოვრის ამაღლების ეკლესია[112]

ბელოთის მაცხოვრის ამაღლების ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. მის სამხრეთისკენ კარებს მიდგმული ორსართულიანი სამრეკლოა. მის გარეშემო არის დიდი ციხე-გალავანი (ტაბ. LX, LXI_1). გალავანშივე არის ძველი სასახლის ნანგრევი. ხალხის სიტყვებით, აქ უცხოვრია ულონ (იულონ) ბატონიშვილს.

ეს ეკლესია სამჯერ გაუქურდავთ: პირველად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ვიღაც ბოროტმოქმედთ გაუტაცნიათ ვერცხლეული ძველი ნივთები: ვერცხლის თასები, განსაზავებელი, სურა, ბარძიმი, ფეშხუმი, ნატრისთვლები ორი ცალი, ბეჭდები ძველი, 100-ზე მეტი.

მეორედ 1922 წლის სექტემბერში ჩამოუძვრიათ კანკელის მაცხოვრის ხატიდან ვერცხლისა და ოქროს შემკულობა და ნაუღიათ. ეს ხატი, გადმოცემით, შემკული ყოფილა იულონ ბატონიშვილის მიერ. წაუღიათ, აგრეთვე, ძველი შესამოსი.

მესამედ 1924 წლის გაზაფხულზე დაუზიანებიათ ბაირაღი და ნიგნები.

ეკლესიაში აქვთ ნივთები (გარდა ოქმით აღნიშნულისა):

1. ზარი სამრეკლოზე, ძველი.

2. ზარი ღვთისმშობლის ეკლესიაში, ძველი.

3. ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ფიცარზე ნახატი, 6x4 ვერშ. დაახლოებით.

4. ეკლესიაში ყოფილა კონდაკი თუ კანდელი, შეწირული იულონ ბატონიშვილის მიერ, წარწერით.

ბელოთის ხატი მაცხოვრისა (კანკელისა) სულ ვერცხლში მჯდარა, პირისახის და ხელების გარდა სხვა არაფერი ჩანდა. შარავანდედი ოქროსი იყო.

გერის წმ. გიორგის ეკლესია[113]

გერის წმ. გიორგის ეკლესია ახალი აშენებულია (ტაბ. LXI_2). მას გარეშემო არტყია ძველი გალავანი. გალავნის აღმოსავლეთის კარებთან, სამხრეთისაკენ არის მაღალი კლდე, სადაც, ჩვეულებისამებრ, გადაჰკიდებენ ხოლმე გიაცებს და მორჩებიან ხოლმეო.

ეკლესიაში იყო ორი ძველი დროშა.

აქვე არის „გიაცების დასაჭკვიანებელი" დროშა – ჯოხი, რომელზედაც ხელსახოცებია დახვეული და ზარები ჩამოკიდებული. ეკლესიის სამხრეთის კედელში, კარების მარჯვნივ, დატანებუ-

ლია ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია ხარის თუ სხვა საქონლის თავი.

ეკლესიაში არის ორი რკინის ფეხი-შანა.

ეკლესიის გარეთ, სამხრეთის კედელზე მიყუდებულია ქვა წარწერით, 31x21 სმ.: ქეთევანა. ქვევით დახატული წმ. გიორგი უნდა იყოს. ქვას გარეშემო რკინის სალტე აქვს შემოვლებული; მას თავში გახვრეტილი აქვს; ეტყობა, ყელზე იკიდებდა მისი პატრონი ანუ მომტანი.

ტბეთის ანუ პორცვისჯვრის ეკლესია[114]

ცხინვალის ჯანმრთელობის კომისარიატს (?) დაუნგრევია ტბეთის ფრესკებიანი ეკლესია. ეკლესიიდან დღეს დარჩენილია მარტო დუღაბის კედლები, ქვები სულ შემოცლილი აქვს, შენახულია მთელი შენობიდან მარტო საკურთხეველი და საგანძური; აქვე შერჩენილია ფრესკებიც. საკურთხეველში სამი ხატი ოდნავ ჩანს და რამდენიმე ცოტათიღა. საგანძურში – 8 წმინდანის ფრესკები.

ეკლესიის სამხრეთით გდია დიდი ლოდი, 206x60 სმ., რომელიც, როგორც ჩანს, უნდა სდებოდა სამხრეთის კარების თავზე. იგი შემკულია ჩუქურთმით და წარწერით:

† ᲡᲪᲔᲛᲔᲪ ᲛᲝᲪ ᲗᲘᲗ ᲥᲔᲗᲔ ᲫᲐᲛᲘ ᲓᲔᲛᲔᲒᲐᲠ ᲡᲔᲔᲠᲒ . ᲪᲔᲒᲐᲠ †ᲮᲛᲝᲐᲜᲡ ᲒᲫᲒᲫ ᲡᲛᲛᲪᲒ ᲡᲔᲛᲘᲪ ᲐᲒᲘᲪ ᲒᲪ ᲧᲫᲔᲒᲛᲪ †ᲒᲥᲐᲠ ᲫᲐᲐ ᲥᲐᲔ ᲒᲛᲔ †Რ

ეკლესიის ქვები ჩამოუზიდნიათ და ცხინვალში აბანო აუშენებიათ. ამ ქვებში მრავალია წარწერით, ფრესკებით და ორნამენტით. ნაწილი ასეთი ქვებისა შენობისათვის შეუხმარებიათ, მცირე ნაწილი შენობისათვის აღარ დასჭირებიათ და მის ეზოში და ქუჩაში (ლიახვის ნაპირას) ყრია. შენობას შიგნით აქვს დატანებული: ორნამენტიანი – 7, წარწერიანი – 1, ფრესკიანი – 1; გარეთ: ორნამენტიანი – 8; შენობის ეზოში: ფრესკიანი – 3, წარწერიანი და ორნამენტიანი – 9, სულ 29 ქვა. წარწერიანი ქვები:[1]

† : ᲥᲐᲔ ᲧᲐᲠᲘᲐ ᲒᲔᲔ †Რ ᲡᲛᲒ
ᲫᲧᲔᲛᲡᲒ
90x68 სმ.

---

[1] () ფრჩხილებში ჩასმული ასოები ოდნავ მოჩანან და დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ არის აღდგენილი, ტექსტი უნდა ინახოს დაბადებაში. [] ფრჩხილებში მოთავსებული წერტილის ადგილას აკლია ერთი ასო. {} ფრჩხილში მოთავსებულ ასო Ჩ-ზე ქვა გადატეხილია.

კარის ქუდი, 199x45 სმ.; აქვს ორი წარწერა: პირველი თვით ქვაზედ არის ამოჭრილი, მეორე კი ქვის შელრმავებულ ნაწილში წითელი საღებავით არის ნაწერი:

I. მარჯვენა მხარეს:

ⴅ(Ⴁ)ᲜᲫ
ᲖᲦᲚᲐᲫᲘᲚ
ᲪᲗᲜᲐ
ᲗᲔᲜᲘᲧᲜᲘ

მარცხენა მხარეს:

ᲪᲐᲦᲚᲪᲗ
ᲚᲖᲦᲚᲪᲘ
ᲤᲖᲜᲘᲪ
ᲐᲧᲜᲔᲚᲖᲜ
ᲦᲑ

სიტყვა სიტყვისაგან განუყოფლად სწერია, ქარაგმები არა აქვს.

II. ქვედა შელრმავებულ ნაწილში, საღებავით, ერთ სტრიქონად:

ᲝᲧᲘᲘᲘ : ᲧᲐᲬᲜ ᲩᲪᲜ ᲩᲬᲘᲘ (ᲧᲖ | ᲖᲘ Ⴁ) [.]

ქვა გატეხილია მარცხენა ნაწილში.

ჩუქურთმიანი ქვა, 53x81 სმ.; წარწერა იწყება ქვის გულში და შემდეგ ცარიელ ადგილას გადადის თავზე.

ჩუქურთმის გულში:

Ჯ̃ᲐᲘ ᲔᲐ(ი)
ᲡᲪ̃Ⴁ Ც̃ᲨᲘ
ᲪᲔ(Ზ)[1] ̃ᲪᲘ

თავზე:

Თ ᲨᲪ Ა̃ᲜᲘ ᲐᲜ̃ᲜᲘ ᲘᲜᲪ̃ᲜᲘ ᲗᲔ̃Ზ

სიტყვასა და სიტყვას შუა ზოგან ადგილებია დატოვებული, ზოგან – არა; **ᲘᲜᲪᲜᲘ**-ს ქარაგმაცა აქვს.

ფანჯრის თავი, ჩუქურთმიანი; აქვს წარწერა ზევითა ცარიელ ადგილას ერთ სტრიქონად. 61(სიმაღლე)x87½ (სიგანე) სმ.:

Თ̃ᲘᲘ ᲪᲨ̃ᲜᲘ Ა̃ᲜᲘ ᲯᲔ̃ᲔᲚᲔ Ს̃ᲜᲘ ᲐᲗ̃ᲖᲡ̃ᲪᲐᲐ̃Ე

მესამე ქვის მაგვარი ქვა. ფანჯრის თავი წარწერით ერთ სტრიქონად, ისევე ზევით, ცარიელ ადგილას; ზომა 58 (სიმაღლე) x113(სიგანე) სმ.:

---

[1] აქ რაიმე ხაზები არის მცირე.

[2] იქნებ ეს ასო იყოს **Ზ**, უფრო კი **Ზ** უნდა იყოს.

ⵜ˜ⵗⵛ˜ⵛⵗⵁⵜⵘ˜ⵗⵊⵣⵟⵒ˜ⵏⵛⵗⵛ˜ⵏ
სიტყვები გადაბმით სწერია.[1]

ჩუქურთმიანი ქვა ფანჯრის თავისა, 115x68 სმ., წარწერით:
ⵜ ⵅⵘ˜ⵁ ⵟⵘ˜ⵔⵑⵁ ⵛⵆ˜ⵏ ⵖⵒⵊ˜ⵏⵊ˜ⵁⵏⵗ ⵁⵜⵘ˜ⵗⵑⵑⵆⵛⵒⵁⵜⵒⵘ[-]
ეს რკალზეა დაწერილი, შემდეგ რკალ ქვეშ:
ⵜ˜ⵗ ⵟⵑⵛ ⵗⵑⵊⵛ ⵣⵟⵊⵁ
[ⵗⵗ˜ⵘⵜⵑ ⵛⵑⵛ ⵃⵑⵑⵛ

კარის თავის ქვა ეზეში გდია. სადაა, ჩუქურთმები არა აქვს. 152x65 სმ., სულ ორ სტრიქონად არის:
ⵜ ⵑ˜ⵣⵒⵊⵁⵛ ⵏ˜ⵁⵛ ⵗⵑⵗ ⵟⵛⵊⵊⵁⵊⵛⵛⵘⵏⵗ
ⵁⵗⵖⵘⵒⵊⵒⵁⵛ ⵊⵁⵆⵛⵏⵗⵣⵏⵁ ⵗⵑⵗ ⵘⵏⵏ ⵛⵒⵒ˜ⵁ

ჩუქურთმიანი ქვა ფანჯრის თავისა, 113x58 სმ., წარწერით:
ⵜ˜ⵗ ⵛⵆ˜ⵗ ⵁⵜⵘ˜ⵗⵘⵗ ⵣⵟⵒ˜ⵏⵛⵗⵛ˜ⵏ

ჩუქურთმიანი ქვა ფანჯრის თავისა, 98x60 სმ.; ფანჯრის ადგილის თავზე ჯვარი აქვს და ჯვართან წარწერა ესე:
ⵜ˜ⵗ ⵖ˜ⵗ
ⵒⵗ[1] ⵜⵜⵜ■

კარების თავზე დასადები ქვა, 139x62 სმ., წარწერით:
ⵜ ⵏⵛ˜ⵣⵒ˜ⵁⵛ ⵁⵁ˜ⵛ ⵟⵑⵗ ⵟ˜ⵛⵒⵑⵏⵒ˜ⵘⵗ
ⵒⵗ ⵛⵒⵒ˜ ⵏⵘⵛⵆ˜ⵘⵒ˜ⵏ . ⵖⵗ˜ⵏⵛ ⵒⵒ˜ⵏ ⵏⵒ˜ⵛⵆⵛ
ⵏ˜ⵒ
ⵛ
ⵘⵒⵛ

ყველა ეს ქვები (შვიდი) აწყვია გარეთ, საავადმყოფოს შენობასთან.

ქვა აბანოს შიგნით სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კუნჭულთან, 56x92 სმ.:
ⵜ ⵊⵄⵟⵑ˜ⵏⵗ ⵏⵒⵛⵛⵁⵒⵒⵛⵛ ⵖⵒⵒⵒ˜ⵏⵛ

---

[1] ქვა ნაწერია ასომთავრული მრგვლოვანით (ორივე წარწერა); II, III, IV კი ერთი ხელით, კუთხოვანი მთავრულით, თუმცა ასო ■ ხუცურია, და საზოგადოდ ელფერი ხუცურისა აქვს.
აქ არ ვიცი, ქარაგმები აქვს თუ არა, უბრალო ამოღრუტნულები ჩანს და, მგონი, ქარაგმები არ უნდა იყოს.
აქ არ ვიცი, ქარაგმები აქვს თუ არა, უბრალო ამოღრუტნულები ჩანს და, მგონი, ქარაგმები არ უნდა იყოს.
ან ⵟ

[-]ᲘᲠᲘᲜ

აქვე არის ჩუქურთმიანი ქვები (გარდა ამისა) – 13, სვეტის ნაწილები – 3, კარის თავის ქვები – 2, ფრესკის კვალიანი ქვა – 1; სულ – 19; წარწერებიანი ქვებითვე – 23 ცალი.

აქ არის ორი ეკლესიის ქვები: I – ტბეთისა; II, III და IV – ტბეთის მახლობელი მაცხოვრის ეკლესიისა.

ორივე ეკლესიის ქვები ძველი ხანისაა. შეიძლება ერთი და იგივე საუკუნისა (XII).

II, III და IV ქვები ქისტეფორე ზურაბისძე კოტეს მოუტანია ელექტრო სადგურიდან მორჩენილი ქვებიდან.

ორი ეკლესიისა კი არის და რომელი რომლისა, არ არის ცნობილი.

აბანოსთვის შეუხმარებიათ, აგრეთვე, ტბეთის კოშკის ნაწილი.

ᲐᲕᲜᲔᲕᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ[115]

ავნევის ეკლესია გუმბათიანი შენობაა; ნაშენია თლილი ქვისაგან (ტაბ. LXII$_1$). იგი ჯვრის სახედია. ეკლესიის დასავლეთის კარების ასწვრივ არის ქვაზე გამოსახული (გამოქანდაკებული) სამი პირი (ტაბ. LXIII): მარცხნივ ვიღაც პირს გაწვდილი აქვს ხელი მეორის თავზე, მეორე სწორად დგას, მესამე დედაკაცია. მგონი ნათლისღება უნდა იყოს. ქვას თავში აკლია (1 არშ. 6 ვერშ.x¾ არშ. დაახლ.). აქვე, სამხრეთის სამხროს დასავლეთის კედელზე, ქვაზე გამოსახულია (გამოქანდაკებულია) ერთი წმიდანი, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს; მის მეორე გვერდზე გამოსახულია ჯვარი და რაღაც ფიგურა (1 არშ. 2 ვერშ.x1 არშ. დაახლ.) (ტაბ. LXII$_2$).

ᲜᲣᲚᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

ნულში არის ძველი ციხე-გალავანი, საცხოვრებელი სახლები, გომი და სხვა შენობები; ზოგი მათგანი – ნანგრევად; ხალხის გადმოცემით, ივანე და მისი ძმების დოღლაძეებისა. აქ უფრო საინტერესოა საცხოვრებელი შენობები, რომლებიც კარგად არის შენახული. დოღლაძეები, ხალხის სიტყვით, შეძლებული ხალხი ყოფილან ძლიერ. ამ შენობებს სადღაც ჰქონია წარწერიანი ქვა, რომელიც ბაგრატიონებს წაუღიათ ამ ასი წლის წინათ და ადგილიც მიუსაკუთრებიათ.

დოდოთის „ცხრაკარა“[116]

დოდოთის „ცხრაკარა“ ძლიერ დიდი შენობა ყოფილა (ტაბ. LXIV$_1$). ეკლესია ზომით არის 13x11,5 მ. იგი 1927 წელს ნანგრევად იყო; 1930-31 წლებში დაუნგრევიათ, კიდევ, მისი სამხრეთ-დასავლეთი კუთხე – გალერეისაც და ეკლესიისაც; მასალის ერთი ნაწილი წაუღიათ წუნარის სკოლის ასაშენებლად, ხოლო მეორე ნაწილი კი იქვე, ადგილობრივ, ეკლესიასთან ყრია. პერანგის ანუ პირის ქვებში ყოფილა ქვები: ერთი – მგლისა და ცხვრის თავისა, მეორე – ხარის თავისა და სხვა გამოსახულებით და სხვ. პირველი, როგორც გადმომცეს, წუნარს წაუღიათ, ხოლო მეორე ვერ ვნახეთ; იგი დაყრილ ძირშია დაყოლილი.

ეკლესია გუმბათიანი უნდა ყოფილიყო. შიგნით ნაწილი ეკლესიისა სულ ნანგრევით არის სავსე, ასე რომ ეკლესიას შიგნით ვერ ნახავს ადამიანი. გარეთ დარჩენილია სამხროები სვეტებით, რომლებიც შემკულია ჩუქურთმიანი ქვებით. ეკლესია სულ თლილი ქვისაგან ყოფილა ნაშენი. ეკლესიის მახლობლად მრავალ სხვა და სხვა შენობათა ნანგრევებია.

წარწერიანი ქვები, რომელიც ვნახე 1927 წელს, თავის ადგილასვე არის. მათგან პირველი წარწერა, სამხრეთისა, ორ ერთი მეორეზე მდებარე ქვაზე არის; პირველი ქვა ნანგრევს ზევით არის და ჩანს, ზომით არის 65x65 სმ.; მეორე კი ნანგრევშია დაფარული. მეორე წარწერა, დასავლეთისა, ერთიან, კარისთავის ქვაზეა, რომელიც ზომით არის 81x174 სმ. (ტაბ. LXIV$_2$)

ეკლესიის მარჯვენა სამხროდან ეკლესიაში შესავალ კარების მარჯვენა სვეტში ქვა არის წარწერით:

† ᲜᲔᲛᲝᲛᲔᲥ
Ⴑ ⴛⴀⴒⴒⴄⴐⴑⴐⴒⴐⴒ
[-]ⴁⴝ[-]ⴀⴒⴑⴐⴔ Უⲏ ⴓⴍⴔⴔⴄⴐ.
ⴑⴀᲣⴍⴁⴒⴑ ⴖⲓⴒ ⴆ[-]ⴒ.
ⴑⴛⴖⲓⲚⴑ[-] Ნⴑⴛⴀ.
ⴑⴐⲓⴛⴑⴑⴝ ⴔⲓⲚⴀⴓⲏ
ⴖⲓⴔⴑ ⴄⴀⴀⴀⴒⴑⴔⴔⴒ

ხეითის საბაწმინდის ეკლესია[117]

საბაწმინდის ეკლესია დგას სოფელ ხეითის ზევით, მთის მცირე უბეში, სადაც სახლობს 4 კომლი გლეხი რომელსაშვილების გვარისა; იგი ჯვრის-სახედი ბაზილიკაა, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში მიშენებული აქვს მცირე ოთახები, ხოლო დასავლეთით – ნართექსი; ზომით (ნართექსითვე)

არის 18,5x12 მ., სიმაღლით – დაახლოებით 9 მ. ნაგებია დიდრონი, მოწითალო ფერის, თლილი ქვისა და კირისაგან; ჰხურავს კრამიტი (სწორ-პირიანი და ვიწრო-ღარიანი) (ტაბ. LXV, LXVI); შიგნით გალესილი ყოფილა კირით, რომელიც ადგილ-ადგილღა შერჩენია. ძეგლი დღეს ნანგრევად არის; განსაკუთრებით დაზიანებულია საკურთხევლის კონქი, ჩრდილოეთი მხარი, დასავლეთი ნაწილები და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ნაწილი; გარდა ამისა, თვით შენახული ნაწილიც დარღვეულია ყოველ მხარეს და მალე დაქცევას ლამობს; იგი შიგნით და გარეთ სავსეა ნანგრევით. ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ოთახის აღმოსავლეთ ნაწილში ამოსულია დიდი ხე. ეკლესია, ალბათ დაზიანების გამო, ძველადვე განუახლებიათ: შიგნით, შუა ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, მის ძველ, თლილი ქვის კამარებს ახალი ქვიტკირის სვეტ-კამარები აქვს შედგმული; დასავლეთ ნაწილში ყალბი კამარები სულ ამოშენებულია; ამოშენებულია, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ნაწილებიც.

ეკლესია გარედან შემკულია ჩუქურთმებით: სამხრეთ მხარეს სარკმელს აქვს შესანიშნავი სვეტ-კამარების სახეები; ამავე სარკმლის თავის მარჯვნივ და მარცხნივ არის ორი ბურთის მსგავსად გამობერილი, სახიანი ფიგურები (რომბები?); ასეთივე შესანიშნავ სახიანია ამავე (სამხრეთ) მხარეს, დასავლეთ კუთხეში მდგომი, რვანახნაგოვანი სვეტისთავი და დასავლეთ მხარეს – თვით ეკლესიის სარკმლის თავად მდებარე ქვა – კარიბჭის სანათური.

ეკლესიას კარი დღეს აქვს მარტო დასავლეთით, ხოლო ძველად რამდენი ჰქონდა, ეს დანგრევისა და განახლება-გადაკეთების გამო არ ეტყობა (ასე მაგ., ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიშენებული შენობის დასავლეთი კარი თითქმის სულ ნანგრევით არის დაფარული; ნანგრევითვეა დაფარული ამ მხარეს მთელი ეკლესია, 3 მ.-მდე); სარკმელი შერჩენია სამხრეთით – სამი, დასავლეთით – ერთი, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ მხარეს დანგრევის გამო აღარა ჩანს; ნართექსს დასავლეთით აქვს კარი და მის მაღლა სანათური – ერთი; ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიშენებულ შენობას აქვს კარი დასავლეთით და მის მაღლა – სანათური ერთი; მასვე – ჩრდილოეთის წყვილი სარკმელი ერთად და ორი სარკმელი სხვა.

კანკელი ქვითკირისა ყოფილა; ეხლა იგი დანგრეულია. 1923 წელს იგი შედარებით ერთიორად მთლიანად იყო დაცული, დღეს კი შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან 1 მ. სიმაღლით. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას; იგი ერთიანი ქვაა.

ეკლესიას გარედან აქვს წარწერები:

I. ნართექსის დასავლეთ კედელზე არის ხუცური წარწერა დიდი ასოებით. ნარწერის ერთი ნაწილი მოთავსებულია კარის მარჯვნივ

(ჩრდილოეთით, პირით დასავლეთისკენ), მეორე – თვით კარის შიგნით (პირით სამხრეთით), მესამე – კარის მარცხნივ (სამხრეთით, პირით დასავლეთისკენ); პირველი ნანილი დაწერილია ორ ქვაზე, მეორეც ორზე, მესამე – ერთზე.

(ⵜⵗⵏⵃⵜ)ⵑⵆⵇ
ⵜ˜ⵗ ⵒⵔⵙⵒⵒⵏⵗⵇ
ⵒⵇⵔⵏⵁⵃⵗⵏ ⵃⵗ

ე.ი.:

.....ქ˜ილ წითლისა მასურის ძე (?)

II. სამხრეთ კედელზე არის ასომთავრული წარწერა, აგრეთვე დიდი ასოებით:

ⵒⵗⵁⵑⵉⵉⵒ ⵗⵔⵇⵇ
ⵏⵇⵒⵃⴰⵙⵁ
ⵗⵜⵒⵏⵗⵇ
[ⵁ]ⵉⵜ

იკითხება:

მეოხ ეყავ
სამღთო
ეკლესია
[ო]

ამ წარწერის მარჯვნივ მოთავსებულია ხვეული ასომთავრული წარწერა, რომელიც ოდნავ მოჩანს და ძნელი ამოსაკითხია; ვგონებ, იგიც ამავე, მეორე წარწერის ნანილი უნდა იყოს, ან იქნებ ცალკე წარწერაცაა (?).

პირველი და მეორე წარწერა ხელის მიხედვით ძლიერ ემსგავსება ერთმანეთს.

III. სამხრეთისავე კედელზე არის მცირე ხუცური წარწერა (მცირე ქვაზე) ძლიერ ცუდი ხელით:

ⵔⵜⵡ[-]ⵡⵣ

IV. აღმოსავლეთ კედელზე არის ასომთავრული წარწერა, რომელიც იწყება ქვის (31x31 სმ.) შუა ნაწილიდან. ქვის ზევითა ნაწილი

---

[1] იქნებ იყოს: ან ⵒⵗⵏⵔⵒ ან ⵜⵗⵏⵃⵜ.
ო და უ ერთნაირად სწერია კუდით მაღლა – ⵁ.
ხ-ს კბილი უკუღმა აქვს გამობმული – ⵅ
ამ ასოს ადგილი სულ ატეხილია ქვაზე.

დაზიანებული, აცირცნილია და არა ჩანს, იყო იქაც წარწერა, თუ არა; ვგონებ არა.

ϑՒՌϑ˜ՖϑՒՀ՝
[- - - - -]ᵘ(Ը˜Ყ)

ანუ:
ჭნჭ˜ლთნ
[- - - - -] თ˜შ

V. ეკლესიის სამხრეთით გდია ქვა, 13x39x39 სმ. (ზომა აღებულია წარწერის ანუ პირის მხრიდან), ხუცური წარწერით, რომელიც 1923 წელს ეგდო ნართექსის კარებში.

† ᄃᄂᄫᄋᄫ˜ᄀᄃᄂᄎᄀᄋᄃᄃᄀᄂᄂ(ᄃ)ᄂ (ᄎ)ᵘᵘ
[- - - - - - - - - - - - - - - - - -]ϴϬᲔ (Ֆ˜ᵐᵐ)

შუა ეკლესიაში არის საფლავის ქვა, 132x52,5 სმ., მხედრული წარწერით:

ქ ։ ჩ̃ვენ ։ მაჩაბელმა ։ გიორგიმ ։ მოვიღე ։ ლოდი ։ ესე ։ საფლავისა ։ ტაგრ
უცსა ։ ამას მდებარესა ։ მემცხედრესა ։ ჩემსა ։ ამილახორის ։ იოთამის ։ ასულ ։ (sic)
ელენესა ։ მოიხსნოს (sic) ։ უფალმან ։ მოიხსენოს (sic) ։
ვინც ։ წ̃აკითხევდეთ ։ შენდობას ։ უბრძნებდეთ (sic) ։ ქკნი ։ (?) ულგ ։
ქორონიკონი უდრის 1745 წელს.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან გდია ქვა, 71x71 სმ. (მაქს.) ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით. აქვე, ეკლესიის აღმოსავლეთით, არის შესანიშნავი წყარო, აშენებული ქვითკირით; სადენი გზის გაფუჭების გამო წყალი შესდგომია ეკლესიას სამხრეთი მხრიდან და ისედაც დაზიანებულ ძეგლს განადგურებას უქადის.

ეკლესიის სამხრეთით დგას მრგვალი ფორმის ქვიტკირის კოშკი.

ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; მისი ნაშთი შენახულია სამხრეთ-დასავლეთ მხარეს.

ეკლესიის ნანგრევებიდან ცხინვალის მუზეუმში გადატანილია ჩუქურთმებიანი ქვების ოთხი ნატეხი.

უკანასკნელი ორი ასო ხვეულად არის დაწერილი.

ქვის ქვევითა ნაწილს პირები ატეხილი აქვს და მეორე სტრიქონის ორი ასოღაა შენახული.

[ii] საფიქრებელია, რომ წარწერა მეორე ქვაზე უნდა ყოფილიყო გადატანილი, რომელიც ჯერჯერობით არა ჩანს.

„სვეტი“ საბანმინდასთან [118]

საბაწმინდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაღლა, კლდის ძირში არის ძეგლი, წოდებული „სვეტად“. იგი წარმოადგენს ეკლესიას და ციხეს; პირველი დგას ჩრდილოეთ მხარეს, მეორე – მის სამხრეთით; ორივე ეს შენობა დანგრეულია.

ეკლესიისა შენახულია მარტო ჩრდილოეთი (?) კედელი და აღმოსავლეთით საკურთხევლის ნაწილი თავის თაღით და სარკმლით; ეს ნაწილები გვიჩვენებენ მის რამდენიმე განყოფილებას, მაგრამ ისინი ნახევარზე მეტად ნანგრევით არიან სავსე, რაც აძნელებს მათ აღწერას. ძეგლი უკანასკნელ ხანამდე შედარებით მთლიანად ყოფილა შენახული; ამ წინა წლებში იგი მეზობელ სოფელს დაუქცევია და მისი მასალა წყაროს ასაშენებლად წაუღია. ნაგებია მოწითალო ფერის, ნანილობრივ თლილი და ნანილობრივ გაუთლელი და რიყის ქვისაგან, კირით; თლილი ქვა აქვს უმეტესნაწილად გარეთა პირად, შიგნით კიდევ კამარებს, კუთხეებს და საკურთხევლის (?) თაღს; დანარჩენ ადგილებში სხვა ქვაა ნახმარი. აქვს ჩუქურთმები, კანკელი თეთრი და ლურჯი ქვისაგან ნაკვეთი არის ჩუქურთმებით.

ამ ეკლესიის დასავლეთის კარებზე, მარცხნივ, ორ მცირე ქვაზე, 49x41 სმ., წარწერაა:

ⴑⴒⴖⴄ ⴆⴒ ⴄⴖⴑⴒ

ამავე ეკლესიის დასავლეთის კარების მარჯვნივ, გარედან, ქვა 65x ³³⁄₁₇ სმ:

ⴂⴕ[-]ⴊⴄ ⴈⴖ
ⴑⴒⴑⴆⴛ ⴆⴗⴖⴈⴈⴒⴒⴑ ⴖⴑⴖ ⴗ[-]ⴛⴆⴖ[-]

ციხისა შენახულია ჩრდილო-დასავლეთის მაღალი კედელი, დანარჩენი კედლები კი ნახევრად დანგრეულია.

მას (ციხეს) სამხრეთით მიდგმული აქვს რაღაც კამარიანი შენობა.

„სვეტს“ ჩრდილოეთით აქვს ფრიალო კლდე 10 მ. სიმაღლისა, რომლის ძირშიაც გამოდის შესანიშნავი ცივი წყალი. წყლის გამოსვლის ალაგას შირიმის კლდეა, მისი ზევითა კლდე კი უფრო მაგარი ბუნებისაა, ამიტომ შესაძლებელია, ეს ცივი წყარო შირიმის კლდეში მომდინარეობის გამო ჯანმრთელობისათვის მავნებელი იყოს. ამ წყაროსაგან „სვეტის“ ქვევით, ½ კმ. (?) დაშორებით, ვაკეზე, საბაწმინდის სამხრეთით, გასწვრივ გაჩენილია ტბა (სილრმის გასარკვევად მითხრეს – მასში კამეჩი იმალებაო). ამ ტბაში დაუბუდნიათ კოლოებს და ეს მშვენიერი ადგილი მალარიის ბუდედ უქცე-

ვიათ; ადგილობრივი (საბაწმინდის ახლო) მოსახლე ოთხი კომლი ყველა თურმე მუდამ ციებ-ცხელებით არიან ავად.

ხეითის კლდე-ციხე[119]

ხეითის კლდე-ციხე მდებარეობს სოფლის ზევით, მთის ფერდობზე. იგი წარმოადგენს ორ ძეგლს: ერთს – კლდის გამოქვაბულებით და მეორეს – ამ კლდეზე დაშენებული ქვიტკირის ციხეს.

კლდე ფრიალოდ გამოწვდილია მიწიდან შენობისაებრ; იგი პირით მიმართულია სამხრეთისაკენ; გამოქვაბულები მასში არის სამ სართულად. პირველი სართული დამოუკიდებელია სხვა სართულებიდან, მას საკუთარი შესავალი აქვს; მეორე და მესამე სართულები კი ერთმანეთთან შეერთებულნი არიან. პირველ სართულს შესავალი აქვს სამხრეთი მხრიდან; მეორეს – აღმოსავლეთი მხრიდან, ხოლო მესამე სართულში კი ასასვლელი არის მეორე სართულიდან ერდოს საშუალებით. პირველ სართულში არის ორი გამოქვაბული ოთახი: ერთი – მოზრდილი, მეორე – მცირე, რომელთაგან თვითეულს საკუთარი შესასვლელი კარი აქვს. მეორე სართულში შევდივართ აღმოსავლეთი მხრიდან. აქ, კარებთანავე, არის თლილი ქვისაგან ნაგები რაღაც კედლის (კარის ?) ნაშთი (შენახულია რამდენიმე ქვა); აქ არის მცირე ოთახი, რომლიდანაც კარი გადის დასავლეთით; ამ კარით შევდივართ დიდ ოთახში, რომელსაც სამხრეთისაკენ აქვს კარი. ოთახის დასავლეთ ნაწილში გამოჭრილია კლდის ორი ტახტი; ამ ოთახის შემდეგ, დასავლეთით, მცირე დერეფანია, რომლის მაღლა, ჭერში, არის ერდო მესამე სართულში ასასვლელად. აქ, ერდოზე, აყუდებულია ხის კიბე. ამ დერეფნის შემდეგ, დასავლეთით, არის მეორე დიდი ოთახი; მას აქვს კედლებზე რაღაც თაროების მსგავსი; აქ, აღმოსავლეთ ნაწილში, ფურნეა აშენებული ახალ დროში; ამ ოთახსაც სამხრეთისაკენ აქვს სხვა კარი. ხსენებული დერეფნით კიბეზე ავდივართ ერდოთი მესამე სართულის ოთახებში. ერდოს მაღლიდან ჰქონია ხის საკეტი კარი, რომელიც დღეს დაზიანებულია: შენახულია მარტო ჩარჩო, კარი კი დაკარგულია. მესამე სართულში ორი დიდი ოთახია და მესამე კიდევ ეკლესია; ამ ოთახებს ერთმანეთიდან ჰყოფს ერთი მრგვალი ფორმის კლდის სვეტი. აქ, სამხრეთით, არის ერთი კარი და ერთი მოზრდილი სარკმელი; აღმოსავლეთი ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კედელშივე, არის ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა, 2,5x2,5x3 მ., შიგნით და გარეთ (დასავლეთის მხრიდან) გალესილი კირით; კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი – აღმოსავლეთით და სამხრეთით; უკანასკნელი აწ ამოგებულია. ჭერში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადებულია

წვრილი ხე, რომელსაც სწორი კაპები აქვს ძირა და ჩრდილოეთ მხარეს. საკურთხეველი ერთი საფეხურით არის ამაღლებული შუა ეკლესიიდან. კანკელის ადგილას, გარდიგარდმო, დევს ერთი ხე კანკელის დასამაგრებლად. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; მას თავზე ერთიანი ქვა ადევს, ძირა ნაწილი კი გალესილია კირით: მის მარჯვნივ არის ორ სართულიანი ფიცრის თარო; ფიცრებს თითო თავი ჩრდილოეთ კედელში უდევს, მეორე – ტრაპეზის კედელში. აქ (ზევითა თაროზე) სამკვეთლო უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთ კედელში თახჩის მაგვარად გამართული ყოფილა თარო, ალბათ ფიცრისა, რომელიც დღეს დაზიანებულია. კანკელის გარდიგარდმო მდებარე ხის ასწვრივ, ჩრდილოეთ კედელში, არის სამი მრგვალი გამოღრუტნული. საკურთხეველშივე, სამხრეთ კედელში, ძირს, იატაკთან, კედელში არის მცირე თახჩა (?). დასავლეთის (შუა ეკლესიის) ორივე კუთხეში არის ქვისგან გამართული დასაჯდომები (ორი – თითო-თითო კუთხეში), რომლებიც გარედან კირით არის გალესილი.

ეკლესია მოხატული ყოფილა: კვალი შენახულია ჩრდილოეთის კედელზე – საკურთხევლის დასაწყისის ასწვრივ შენახულია წითელი ფერი.

ყველა სართულის ჭერი ძლიერ არის შებოლილი.

კლდე-ციხის გასწვრივ, სამხრეთ–აღმოსავლეთით, არის სხვა გამოქვაბული, სადაც ამბობენ გაყინულ წყალს.

ამ ძეგლების დასწვრივ, ძირს, არის საბანმიდის ეკლესია.

ხეითის ქულჩიეთ უბნის ეკლესია[120]

ხეითის ქულჩიეთ უბნის ეკლესიის (ტაბ. LXVII) შიგნით, ჩრდილოეთ პილიასტრს უდევს ქვა (გვერდზე დაწვენით – იკითხება ქვევიდან ზევით), 44x53 სმ., ხუცური წარწერით (ტაბ. LXVIII):

ⴐ̈ⵊ ⵖ̈ⵊ ⵛ¹ⵒⵛⵔⵗⵒ
ⵛⵊⵎⵜ" ⵊⵀⵅ
ⵒⵑⵁⵒⵊⵎⵊⵒ
ⵎⵊⵒⵛ †

იკითხება:

---

1 აქ ქვაზე ზის ირიბი ხაზი – \, რომლიც უმნიშვნელო ხაზი უნდა იყოს.

2 სტრიქონის მესამე ასო ლ ხუცურია, მეოთხე ასო იგივე ლ კი – ასომთავრული; ამ უკანასკნელი ასოს ზევითაც, ქვაზე ზის ისეთივე ირიბი \ ხაზი.

ქრისტე, შეიწყალე ასანბ
აელ
თხუელი სუ
ლითა †

იქვე არის მეორე ქვა, 36x45 სმ., ასომთავრული წარწერით:

ჯ1 ᲒᲠᲐ1 ᲒᲠᲝ᾽ᲒᲩᲠ
Ი᾽ᲡᲘ ᲠᲜ᾽Ჭ1ᲜᲡ1 Ყ᾽ᲜᲒᲩ
ჯᲧ᾽ᲒᲩᲠ ჯ᾽ᲚᲒᲡᲒ᾽ᲜᲠ
Ჭ1ᲘᲥᲭ᾽ᲜᲠ ᲧᲩᲘᲬᲠᲐ
ᲠᲥᲯ᾽Ꭰ2Ⴇ(ჯ)᾽Ნ Ჭ1Ყ᾽Ꭲ
ᲫᲜ Გ᾽ᲘᲜ ᲠჯᲜ1ᲜᲜ᾽ᲧᲜ1(Რ)

იკითხება:

მე დაჩი დაუდევ ა
ღაპი ასანბაელს ყოველთა
მკუდართათ თუ . სა
გიორგობისასა კ ვინ არ
ა უწირევდეს, მან ჰკით
ხოს დღესა მას სასჯელისასა

ᲫᲔᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

1. ციხე ყაულაანთ უბანში.
2. კოშკი კასრაანთ უბანში (ტაბ. $LXIX_1$).
3. კოშკი მინდიაანთ უბანში (ტაბ. $LXIX_2$).
4. კოშკი ოთინაანთ უბანში (ტაბ. LXX_1).

ᲫᲐᲠᲬᲔᲛᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ“ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ[121]

ძარწემის „სპარსეთის“ წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,1x3,65 მ., ნაგები ქვიტკირისაგან; ჰხურავს კრამიტი (ტაბ. LXX_2). იგი შიგნით და გარეთ გალესილია კირით. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი (დასავლეთითვე, ძირა ნაწილში არის ერთი სანათური; აქ, შესაძლებელია, ძველად კარი იყო, რომელიც დღეს შელესვის გამო აღარ ეტყობა),

[1] მეორე სტრიქონში ისევ ის პირია მოხსენებული, რომელიც პირველ წარწერაში, ე.ი. ასანბაელ.
ამ სიტყვას ქარაგმა არა აქვს (ნამდვილად).

სამხრეთით – ორი. ტრაპეზი დგას კედლიდან დაცილებით; იგი ერთიანი ქვაა. სამკვეთლო კედელზეა მიდგმული; იგი ორი ქვისაგან არის; ძირა ქვა შემკულია ვერტიკალური, დიდი ხაზებით და სხვ. აქვე, საკურთხეველში, არის ორი თახჩა. ეკლესიას დასავლეთ ნაწილში (შიგნით) აქვს ფიცრის აივანი.

ეკლესიას სამხრეთით მიშენებული აქვს (სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) „ეკვდერი" ანუ ოთახი, 3x2,1 მ., რომელსაც არაფერი ჰხურავს. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი – აღმოსავლეთით. აღმოსავლეთითვე აქვს ბუხარი; აქ არის ირმის რქა და ქვევრები, დიდ-პატარა – 9 ცალი.

სიძველეები:[1]

1. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 33x27,5 სმ., გადაკრული ფიცარზე და შემკული ვერცხლის სახიანი აშიებით და შარავანდედით; XVIII საუკუნის.

2. სპილენძის ჯამი, შემკული გარედან სახეებით.

3. ბეჭდები: ა. ვერცხლისა, დაფერილი ოქროს წყალში, შემკული თვლით – ერთი ცალი; ბ. დაბალი ლითონისა, შემკული თვლით (ზოგი მათგანი წვრილ-თვლიანი, რომელთაგან ზოგს აკლია) – 15 ცალი; გ. დაბალი ლითონისა, სადა – ერთი ცალი; სულ ერთად – 17 ცალი.

4. შანა-ცხვარი, მცირე, დაბალი ლითონისა.

5. საცეცხლურის თავი, სპილენძისა, ძველი ფორმისა.

ეკლესიის დასავლეთით არის გალავნის ნაშთი, რომელსაც კარი ჰქონია სამხრეთ-დასავლეთით; აქ არის კარის ორი ქვა. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით არის ძველი ეკლესიის კედლის ნაშთი – სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 3,2x1x1 მ.

ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბლის ოჯახში არის ხატი, რომელსაც ზურგზე აქვს წარწერა ვერცხლის ფურცელზე:

Ⴇრსებისა ხატო უცვალებელო შეუძრველო ბეჭედო
უფნებელო ძეო სიბრძნეო და სიტყვაო მკლაო მარჯუᲩნეო
დაბალო მაღლისაო შენ თაყუანისგცემ მაშისა და სულისა თანა უღირსნი
მონანი შენნი პროტოპრეზჳტერი ჰარონ ნიკოლაოსის ძე ალ
ქსევი და მეუღლე ჩემი სალოშე რომელთა ყიგულსმოდგინეთ შემკო

[1] სიძველეები ჩავაბარე საბჭოს წევრს, სანდრო ესტატეს ძე მაისურაძეს.

ბა სახისა შენისა ჴელთუქმნელისა ხატისა ამის საფასითა და ღუაწი-
თა ჩუ
ენთა რათა მოწყალე გვექმნე მრჩობლსაგე ცხოვრებასა შ"ა ჩ"ნსა და უმეტ
ეს ღღესა მას განკითხვისასა და მშობელთა ჩ"ნთა მომადლე კეთილი
სიტყჳს გება
და ასულსა ჩ"ნსა ეფემიას კნიაზ მიხაილ შარვაშიძის მეუღლეს საუ-
კუნო განსვე
ნება და ძესა ჩემსა ვასილს მიჰმადლე ხატი ესე ანჩის ეტპრნლო"სა
მცველად და მაკურთხეველად და ბედნიერობით მრავალთა წელთა
სურვლ
ით მოსავსა შენისა სახელისასა და ასულსა ჩემსა ნინას ექმენ მწყალობელ
ბედნიერებისა მიმთხუ Ꙋვად ამინ შემულ იქმნა თთუ Ꙋსა სეკდემ-
ბერსა ბ
ქეს აქეთა ჩყკდ სოსიად ნიჟეგორდის ღუბერნიაში სელო
ლიზკოვსა საქართველოს მეფის ბაქარის შვილიშვილის გიორგი
ალექსანდრეს ძის სასახლეში მისი წყალობითა და შემწეობითა მრავ
ალჟამიერ ჰყოს ცხოვრება მისი ძით და ასულით

ხელთუქმნელი ხატი, 68x53 სმ., განახლებული რუსეთს; კარედ ბუდეში, შეჭედილი ვერცხლით და შემკული ციმბირის ქვებით, ჩანაწილებული.

იკორთის ეკლესია[122]

იკორთის ეკლესია დიდი გუმბათიანი ბაზილიკაა. ნაშენია თლილი ქვისაგან (ტაბ. LXXI). გუმბათი დაბჯენილია 4 სვეტზე. საკურთხევლიდან სამკვეთლოში გადის კარები; ეტყობა, იგი შემდეგ ხანში გაუყვანიათ. სამკვეთლოსაც და სალაროსაც შესავალი აქვთ დასავლეთიდან. მის სამხრეთის კალთებს სახურავი ნახევრად აყრილი აქვს და თუ იგი დროზე არ იქნა შეკეთებული, მალე მთელს სამხრეთის ნაწილს მოანგრევს, რადგან სისველეს შიგნით გაჯი უკვე ჩამოურეცხნია. აფსიდა ეკლესიაში არის მოყოლილი. შემკულია კარები, ფანჯრები და კედლები ძვირფასი ჩუქურთმებით და რელიეფური ჯვრით (ტაბ. LXXII, LXXIII). შიგნით ეკლესია გალესილია კირით და აქა-იქ მოსჩანს ფრესკები. ფრესკები კარგად არის შენახული ჩრდილოეთის კედელზე საშუალო ეკლესიისა და საკურთხეველში. ჩრდილოეთ კედელზე არის ჯვარცმა და ორი სხვა წმიდანი, საკურთხეველში – ხუთი თუ ექვსი წმიდანი და თავზე მაცხოვარი თუ ღვთისმშობელი (დაზიანებულია და კარგად არ ირჩევა).

ეკლესიაში არის საფლავი (ჩრდილოეთ კედელთან) შალვა, ბიძინა და ელიზბარისა. არის სხვა ერისთავების საფლავები, ოცდაათზე მეტი.

ქონება აღარაფერი დარჩენია ორი-სამი ნივთის გარდა. აქედან სამი თუ ოთხი ჯაზაირი გადაუტანიათ ცხინვალში. ჩემ მიერ საოლქო პარტკომის ბინიდან გადატანილი იქნენ ციკში ოსეთისა.

ეკლესიაში არის ორი ზარი: ერთი დაახლოებით 3 ფუთი; წარწერა:

ქ. დიდნო მთავარ ანგელოზნო მიქელ და გაბრიელ მეოხ შექმენ შეცოდებულსა შანშეს ქტს აქეთ ჩღმიბ

მეორე ზარი, დაახლოებით 4 ფუთი; წარწერა:

ქ. დიდნო მთავარ ანგელოზნო მიქელ და გაბრიელ მეოხ შექმენ შეცოდებულსა შანშეს ქტეს აქეთ ჩღმიბ

ორივე ზარზე ერთ სტრიქონად არის დაწერილი. ქვევითი თარიღი სწორი უნდა იყოს და ზევითა ზარისა კი შეცდომაა და ლ-ს მაგიერ უნდა იყოს ღ.

ეკლესია დაზარალებულა 1922 წ. ნოემბერში და 1923 წ. თებერვალში.

ეკლესიის მახლობლად არის ციხე და ბერების თუ ყოფილ ფეოდალების საცხოვრებელი შენობები, ზოგი მათგანი ნანგრევად, უმეტესად კარგად არის შენახული. ეკლესიასთან არის დიდი ქვის აუზი, რომელსაც წარწერა აქვს:


ქ. ჩვენ წინამძღვარმა [...]

ეკლესიაში არის კიდევ მარმარილოს ქვა (სალაროში დევს) წარწერით, ½x4 ვერშ. დაახლოებით:

არა რად არს სხვა ესე გ˜რნა
სახლი ღ˜თისა და ესე ბჭე ზე
ცისა შექმნა 28.18.

ეკლესიაში არის ქვისგან გაკეთებული მოდელი ეკლესიისა.

ეკლესიის სამხრეთის კედელზე არის გამოსახულია ქვაზე მზის საათი, ძლიერ დაზიანებული, გადასული (ნახ. 19; ტაბ. LXXII$_2$).



ნახ. 19

წარწერები დაზიანებულია დასავლეთი კარების თავზე და უნდა სწრაფად გადაღებულ იქნეს.

აქ ყოფილა (დაზიანებამდე) რკინის ჯვარი, რომელსაც 7 ტყვია ჰქონდა მოხ-

ვედრილი ლეკებისაგან; დღეს ის აღარსადა ჩანს, წაუღიათ თუ გადაუგდიათ.

ეკლესიას წარწერები აქვს დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლებზე.

მახლობლად არის შენობები – მონასტრის საცხოვრებელი სახლები (?), გალავანი და კოშკები.

ვილდას ღვთისმშობლის ეკლესია

ვილდას ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლიდან ჩრდილოეთით. მის გარეშემო ყოფილა შენახული დიდი ტყე, რომელიც ამ ერთი წლის წინათ გაუჭრიათ და თითქმის სულ გაუნადგურებიათ. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა. ნაშენია ნაწილობრივ, თლილი შირიმის ქვისა და, ნაწილობრივ, კლდის დიდი, სუფთა პირიანი ლოდების და კირისაგან. ჰხურავს სიპი ქვა.

ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა დღეს მცირედღა შერჩენილა. უფრო შენახულია აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის გარეშემო და თვით სარკმელში ჰხატია ორი ანგელოზი. მღვდელმთავრებს ხელში გრაგნილები უჭირავთ. ერთს მღვდელს სარკმლის მარცხნივ დახატულს აქვს წარწერა გრაგნილზე:

ⴋⵊⵁⵔⵊ [- - -]
ⵛⵔⵣⵊⵊ [- -]
ⵔⵛ ⵗⵣⵅⵊ [-]
ⵔ ⵘⵛⵔⵣⴰ [- - -]

ამბიონის ადგილას აღმართულია (ვგონებ, შემდეგ ხანაში) ტრაპეზის მაგვარი შენობა, აგურისა და კირისაგან (ალბათ შესაწირავისათვის, რაც მთის ხალხისათვის აუცილებელი იქნებოდა). კარი აქვს მარტო სამხრეთით, სარკმელი – აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით.

ეკლესიის მახლობლად ორი შენობის ნანგრევია, ცოტა მოშორებით – ერთი შენობისა.

ეკლესიას შესავალი კარების თავზე (სამხრეთით) აქვს გადალესილ კირზე ძლიერ დაზიანებული წარწერის კვალი; წარწერას სჭერია 1½x1 არშ. დაახლოებით. აი დარჩენილი ნაწილი:

[-] ⵋⵏ [- -]
ⴓⵊⵅ[-]
[-]ⵢⵔ[- - -]

ისროლისხევი

ეკლესია გაუძარცვავთ 1924 წ. გაზაფხულზე და წაუღიათ მრავალი ძველი ნივთი: ჯვრები, ხატები და სხვ.

აქ არის თასი სპილენძისა, წარწერით:

ქ. დვალის შვილსა და დეშეტრესა

აქედან წამოვიღე ათი ცალი ვერცხლის ძველი ფული, აღმოსავლური.

ქოლოთის კოშკში დაცული საეკლესიო ნივთები

1. ზარი, 6-7 გირვანქა დაახლოებით, წარწერით:

ქ. გაბრიელ მესტუმრე ცოლი ამისა თინათინ და შვილი ამათ[ი] წყალობა | ჩვენ შემოგვ[ი]წირამთ (sic) ქოლოთის [შ]თავ[ა]რ ანგელოზისთვინ

იგი XVIII ს. ან XIX ს. დასაწყისისა უნდა იყოს.

2. უბრალო ლითონის (ტყვიის ?) ბარძიმი, თავმოტეხილი, წარწერით:

ქ. ეს ბარძიმი მესტუმრისშვილმა გრიგოლ მღ[ვ]დელმა შევწირე სამხთო მთავარ ანგელოზსა | ჩემი შვილის ზურაბის სადღეგრძელოთ ღმერთმა შეიწიროს +

ქოლოთის ეკლესიის ნივთები

ქოლოთის ეკლესიაში არის უბრალო ლითონის ბარძიმი, წარწერით:

ქ. სარული[1] გიორგიმ თავის ძმებით შევწირეთ მთავარ ანგელოს ჩვენს საოხად

ლეთეთის ეკლესია

ლეთეთის ეკლესია სოფელში ერთნავიანი შენობაა, 6,8x3,9 მ. ნაგებია კლდის სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. თაღი აქვს, მხოლოდ სახურავი აღარა ჰხურავს. კარი აქვს სამხრეთით. სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი.

[1] აქ უნდა იყოს სარაული, ამ გვარის ხალხი დღესაც არის ქოლოთში.

კეხის ჯვრის ეკლესია

კეხის ჯვრის [...][123] ეკლესია ახალი შენობაა. აშენებულია ძველი ეკლესიის ადგილას; ეკლესიის სამხრეთით მოჩანს ძველი ეკლესიის საძირკვლის ერთი კედლის ნაშთი.

შუა ეკლესიაში, ჩრდილოეთი კედლის ახლოს, აღმოსავლეთით, დევს საფლავის ქვა, 148x54 სმ., ნარწერით:

ბრძანებითა ღუთისათა გარდავიცვალე მე
ამიერ სოფლით და დამდვეს (ამა) ლოდსა ქვეშე მღუდე
ლი გაბრიელ ცხვედაძე აღმომკითხველნო ვითხოვ თქვენგან შენდო-
ბა მიბრძანოთ ჩ(ყ)[- -] ოკტონ'. იზ

ეკლესიის სამხრეთით, კარის მარცხნივ დევს დიდი ქვა, ძირს ოთხკუთხი, მაღლა მრგვალი; მას ზევიდან ჩაღრმავებული აქვს. ის მოშავი ფერისაა.

მეორე ქვა დევს ეკლესიის აღმოსავლეთით, 12x15 მ.-ზე; ის მრგვალი სვეტის მაგვარია, ზევიდან ჩაღრმავებულია. ფერად მონაცრისფროა.

ორივე ეს ქვა ძველი ეკლესიიდან არის დარჩენილი. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეების გასწვრივ ყრია ძველი ქვიტკირის ნანგრევი.

სამწევრისის ციხე-დარბაზის კომპლექსი[124]

სამწევრისის ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 10,5x7 მ. (ტაბ. LXXIV$_1$); ნაგებია ქვიტკირისაგან. ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. უკანასკნელი ამოგებულია ეხლა. სარკმელი: აღმოსავლეთით – სამი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი და ჩრდილოეთით – ერთი. საკურთხეველს სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელში აქვს სამალავში ასასვლელი. სამხრეთი კარის ზევით არის ქვა, ჯვრის გამოსახულებით.

ეკლესია დგას ციხის გალავანში (ტაბ. LXXIV$_2$). ციხიდან შენახულია სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, დანარჩენი დაქცეულია. ის დიდი შენობაა; ნაგებია ქვიტკირით. ციხის შიგნითა ნაწილის კედელი უქცევიათ; უნდა ყურადღება მიექცეს.

ესეა.

სამწევრისის კვირაცხოვლის ეკლესია

სამწევრისის კვირაცხოვლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5x3 მ., ნაგებია ქვიტკირისაგან. გარეთა პირი დიდრონი, ორი სწორ-პირიანი ქვა ჰქონია, შიგნითი კი ნაწილობრივ იგივე და ნაწილი – რიყის ქვა. დღეს ნანგრევად არის, დგას მარტო კედლების ნანგრევები. შენახულია ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე; დანარჩენი დანგრეულია. გარეთა პირის ქვების ნაწილი მოცილებული აქვს. კარი, როგორც ეტყობა, ჰქონია დასავლეთით და სამხრეთით; უკანასკნელი არა ჩვეულებრივ ადგილას, ე.ი. შუა ეკლესიაში, არამედ საკურთხევლის სამხრეთ კედელთან გადის გარეთ. სარკმელი შერჩენია: აღმოსავლეთით – ერთი და ჩრდილოეთით – ერთი. სამხრეთ-დასავლეთით შენახული კედელი გადაზნექილია და გადაქცევას ლამობს.

ეს ეკლესია დგას ციხის სამხრეთით და დიდი ეკლესიის დასავლეთით, სწორკუთხედზე.

სამწევრისის სკოლას, დასავლეთ მხარეს, სამხრეთ კუთხეში, პირით დასავლეთით უდევს ქვა, რომელზედაც გამოსახულია ჯვრები: ერთი – დიდი, ამობურთვით და ორი – მცირე, ჩაღრმავებით. ქვა ზომით არის 61x31x19 სმ.

სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია[125]

სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესიას სამხრეთი სარკმლის ზევით უდევს ქვა ასომთავრული წარწერით (ტაბ. LXXVI$_1$):

† ჰ̈ⷭ̈ⷭ̈ (·) ჰ̈ⷮ̈ⷭ̈ⷭ̈ⷬ̈ⷭ̈ⷭ̈ (·)
ⷯ̈ⷬ̈ⷭ̈ⷧ̈(ⷭ̈)ⷤ̈ⷭ̈ (·) ჰ̈ⷬ̈ⷭ̈ⷭ̈ (·) ⷯ̈ⷭ̈ (·) ⷬ̈ⷬ̈
ⷭ̈ⷭ̈ⷮ̈ⷭ̈ : ⷣⷭ̈ⷮ̈(ⷬ̈ⷭ̈)[ⷭ̈][1] (·) ⷭ̈ⷭ̈ (·) ⷯ̈ⷭ̈ (·) ⷬ̈ⷭ̈[1]

ეკლესია ჯვრის სახედია; გარეშემო ჰქონია გალერეები, რომელიც შერჩენილი აქვს მხოლოდ სამხრეთ მხარეს, ისიც ნანგრევად (ტაბ. LXXV$_1$). კუთხეში, სამხრეთ-დასავლეთით არის მცირე სენაკის მაგვარი ოთახი; გალერეების ნაშთი დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩანს, საძირკველი მოჩანს. ეკლესია ზომით არის 7,15x5,4 მ. იგი გუმბათიანი შენობაა, ნაგები შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან, კარი აქვს მარტო სამხრეთით. სარკმელი: გუმბათს აღ-

[1] ეს ადგილი ქვაზე ამოტეხილია.
ნიშნები კარგად არა ჩანს ორ-ორი წერტილია თუ სამ-სამი და ამიტომ ჩავსვი მრგვალ ფრჩხილებში.

მოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ძირა ნაწილს: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. სამკვეთლო თახჩაშია გამართული. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, ქვიტკირისაა, ეხლა ნაწილი დანგრეულია. შუა ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპეზის მაგვარი ქვიტკირია გაკეთებული. კანკელი აღარა ჩანს, საკურთხეველი ერთი საფეხურით ყოფილა მაღალი შუა ეკლესიაზე, მისი იატაკი ნაწილობრივ აყრილია. ეკლესიას გარედან, სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვაზე ჯვარი აქვს გამოსახული (ტაბ. $LXXV_2$). აღმოსავლეთი სარკმლის თავის მარჯვნივ და მარცხნივ თითო გველის (?) სახეა გამოყვანილი.

[წარწერა აღმოსავლეთ კედელზე (ტაბ. $LXXVI_2$):][126]

[1]ⵜ . ⴱ̃ⵛ[ii] ⵒⵗⴱⵏⵛ ⴼ(ⵍ) ⴼⵇⵍⵒⵛⵀⵒⵊⵗⵏ ⴱⵗⵇⵏⵛⵛ . ⵏⵍⵗ ⵀⵇⵊ[iii] ⵔ[iv] ⴱⵗ ⵛⵇⴱⵀⵗⵀⵇⵍ ⵏⵛⴱⵒⵗⵀⵀⵏ ⵅⵇⵛⵀⵏⵛ ⴱⵛⴱⵛ ⵏⵛⵒⴱⵗⵏⴱⵏⵀⵏ ⵛⵛ ⵍ(ⵗ)[v] ⵇⵀⵏⵊ ⵇⵇⵛⴱⵇⵏⵀⵀⵛⵏ ⴱⵇⴷⵀⵗⵊⵇⵗ ⵀⵇⵊ[vi]ⵛ[vii] ⵏⵍⵗ ⵅⵇⵛⵀⵛⵛ ⵛⵛ ⵛⵀⵛ ⴷⵗⵏ ⵛⵀⵏ (ⵏⵒⵇⵛⵏ ⴱⵇⵇⵒ[viii]ⵇ(ⵖ)ⵏⵀ [--][ix] ⵀⵇⴷⵏⵛ ⵛⴱⵛⵏ ⵍⵛⵀ-ⵏⵛ

ⵏⵛⵒⵍⵇⵏⵛⵏⵗ ⵅⵇⵛⵀⵏ ⵛⵛ ⵍⵗⵇⵀⵏⵍⵗ[x] ⴷⵗⵏ ⵏⵍⵗ ⵛⵗⴱⵇⵗⵏⵗⵇⵒⵏⵇⵍ ⴱⵗ ⵇⵇ(ⴱ)

სიტყვები აქა-იქ შეერთებით სწერია, მაგრამ მეტი წილი დაცილებულია ერთმანეთს, ესე იგი ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს. განკვეთის ნიშნები არსად არ უზის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ შემთხვევას – „მეფისასა“-ს შემდეგ წერტილი ზის; შემთხვევითია ეს თუ განზრახი, არა ჩანს.

ამ სიტყვის პირველი ასო ნამდვილად **ⴱ** არის; რას ნიშნავს, არა ჩანს, იქნებ: **ზედა.**

[iii] ეს სიტყვა აქ **ⵀⵇⵊ**-დ სწერია, მესამე სტრიქონშიც ასევეა, მეოთხე სტრიქონში კი **ⵀⵇⴷⵏⵛ**; ნამდვილად ესეა.

აქ ორი ასო ყოფილა დაწერილი და, ვგონებ, დამწერის მიერვე არის ამოშლილი, ამოჭრილი.

ეს ასო ნამდვილად **ⵏ** არის, რაც დამწერის შეცდომაა, თავზე ხაზი უნდა გაეკეთებინა და **ⵛ**-დ დაეწერა.

[vi] ეს ასო ცოტათი დაზიანებულია, წინა კბილი ოდნავ ატეხილია, მაგრამ ცხადია, რომ **ⵏ** არის.

ქარაგმა ცოტათი შენახულია და, ვგონებ, ეს სიტყვა ცალკე უნდა იკითხებოდეს: **ვიდრე**-დ, ან იქნებ წინა სიტყვასთან, მაგრამ უფრო ცალკე (**როყი ვიდრე**, ან **რუივე**).

[viii] ან **ⵒ**.

[ix] ეს უნდა იყოს ან **მოხუშა კარი**, ან **მოხუშა კარად** (?).

[x] ამ სიტყვაში მეორე ასო ნამდვილად **ⵏ** არის.

ჩაპ ჯაჩრა ჯაროანსრ(ა) ლზრცრჩ ზაროზრსრ (ჯაჯწყსგჩგ-ბრ ჯ)[ო ცაბჯზოწ]■ცრც
ლლ■ ჭ■ო(ჩ) ყო(ჩ) ცჯწ ცყრზჩ■

ეკლესიას ჰხურავს სწორი და, აგრეთვე, ღარიანი კრამიტი, რომელიც თითქმის ნახევარზე მეტი დამტვრეული და აცლილია. გუმბათი შიგნით, ძირა ნაწილში ოთხკუთხია, მაღლა ტრომპებით მრგვალდება; გარედან კი გუმბათი ძირა ნაწილში ოთხწახნაგოვანია, მაღლითა ნაწილში კი რვანახნაგოვანი. გუმბათის აღმოსავლეთ მხარეს აქვს ქვა, რომელზედაც გამოსახულია კაცის თავი.

შუა ეკლესიაში, საკურთხევლის ახლოს, ოდნავ ჩრდილოეთით არის საფლავის ქვა, 158x59 სმ., რომელსაც გულში უზის მარმარილოს ქვა, 35x23 სმ., წარწერით:

(ქ) [ამ](ა) ლოდსა . ქვეშე მდებარე . ნატა
ლია . არს . ქველია . ქაიხოსრო
ციციანოვის . ასული . მშობ
ელთ . გულის . მწველია პაპუ
ნა . წერეთლის მეუღლეს . მეცა
საფლავი . ბნელია . და შენდობ
ასა . გთხოვთ ყოველთა
ვინც ამის . წარმკითხველია
მიწად მიწადვე მიმაქცია
მაღალი ღმერთია

I ასე სწერია, ქარაგმაც არა აქვს.

II ამ სიტყვის მეხუთე ასო ნამდვილად ყ არის შეიძლება იყოს ჯაჯწყსგჩაბს.

III ამ აღდგენილ ადგილას რაღაც ხაზები მოჩანს, რომელიც ძნელი აღსადგენია.

ქარაგმა არა აქვს ამ სიტყვას.

1. ქვას ზევითა მარჯვენა კუთხე ატეხილი აქვს, თუმცა ამის წარწერა დაზიანებული არ არის. 2. წარწერის პირველი სამი სტრიქონი კარგად არის შენახული, დანარჩენი კი დაზიანებულია და ძნელად იკითხება. 3. წარწერა ჩაღრმავებით არის ნაწერი. 4. დანერილია მხოლოდ ქვის ზედა ნახევარი, ქვედა ნახევარი კი ცარიელია. 5. ეს წარწერა ეკლესიის აშენებას არ ეხება, არამედ, როგორცა ჩანს, რუს გაყვანას, რაც ეკლესიის აშენების ხანშივე უნდა მომხდარიყო. 6. ეს წარწერა შემდეგ არის ამოჭრილი, ვგონებ, კედელზე. 7. ქვა ზომით არის 55,5x71 სმ. 8. ქვა ზის აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის მარცხნივ (ჩრდილოეთით), ერთი ქვის დაშორებით. 9. რას ნიშნავს ზ(ს) ჯაბჩრჩჯჩგ-ს, ნინ არ ვიცი.

წელსა ჩ(ყშ)[-] (ნ)[ო]ენბრის . ა[1]

ეკლესია დარღვეულია ოთხივე მხარეს და შეკეთება-გადახურვას საჭიროებს. სამხრეთი გალერეის შენახულ კედელს პირის ქვები ნაწილობრივ მოცლილი აქვს.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მიშენებულ მცირე ოთახს აღმოსავლეთ კედელზე, სამხრეთ მხარეს შერჩენილი აქვს მხატვრობის კვალი. აქ შენახულია წითელი ფერის წერტილები დიდი ზომისა. თვით ეკლესია შიგნით კირით ყოფილა უკანასკნელ დროს გალესილი, კირი ბევრგან მოცილებული აქვს.

ეკლესიის კართან დარჩენილი სვეტის ნაწილს შერჩენილი აქვს ორი მინაწერის ნაშთი. კარის მარჯვნივ (დასავლეთით) მდებარე ზევითა ქვის ნატეხს სამ სტრიქონიანი მინაწერი უჩანს, მის ქვეშ მდებარე ქვას – ოთხსტრიქონიანი, ორივე დაზიანებული. კართან დარჩენილი სვეტის ზევითა ქვის ნატეხი ზომით არის 15x9x28 სმ., ქვევითა ქვა ზომით არის 31x26x41 სმ.

ეკლესიის სამხრეთით (გარეთ) გდია, ალბათ, ამავე მხრის კარის გარეთ ამართული სვეტის ქვა, რომლის გვერდზედაც არის გამოსახულება პატარა წრედ. ამავე გვერდზე არის მინაწერები, რომელიც უფრო ნაჯღაბნსა ჰგავს. ქვა ზომით არის 71x43x28 სმ.

[- - -] ⅋ [- -]
[- - - - - -]
[- -]⅋ⅎ⅏⅋
[- - - - - -]
[- - - - - -]
ⅦⅦⅭⅦ
[- - - - - -]
[- -] Ⅹ̄Ⅽ ⅄Ⅽ⅃⅄⅂Ⅽ⅃Ⅽ⅁
Ⅽ ⅄̄⅂ [- - - - -]Ⅽ
[- - - - - - -]
[- - -] ⅃⅂⅂
[...]
[...]
[...]
[...]
[...]

[1] ესეა სწორედ, ნიშნებიც ესეა.

ამავე სვეტის ნატეხი, უფრო ამაზე მომცრო ქვაც აქვე გდია; მასაც აქვს შერჩენილი რამდენიმე ასო; მასზედვე – ჯვრის გამოსახულება უბრალოდ, ზომით არის 52x42x27 სმ.

ორივე ამ სვეტის ქვების ზომა მაქსიმალურია; პირველი უფრო მთელია, მხოლოდ გვერდები აქვს დაზიანებული, მეორე კი ნატეხია.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, სასაფლაოზე გდია კამარის ქვა, ქვეშ და გვერდზე აქვს მინაწერები.

I. მინაწერები ქვემოდან:

1. მინაწერი ყოფილა 5 სტრიქონად, აწ აღარ იკითხება.

2. მინაწერი ყოფილა 7 სტრიქონად, აწ აღარ იკითხება. მოჩანს წვნიკი ასოები.

3. მინაწერი: ⵅ̃ⵔ ⵒ̃ⵔ ⵃⵏ (ⵢ)ⵏ [...]

4. მინაწერი: ⵅ̃ⵔ ⵠⵒ ⵡ̃ⵏ; აქვე დიდი ასოებით და სხვა ხელით – ⵔ [...]

5. მინაწერი: ⵅ̃ⵔ|ⵁ(ⵒⵏ)|ⵡ̃ⵏⵛ̃ⵀ. ამ მინაწერის პირველ სტრიქონს გვერდით, სხვა ხელით უწერია – ⵡ̃ⵏ

6. მინაწერი:

ⵅ̃ⵉⵓ ⵓ̃ⵓ ⵔⵜ

ⵕ̃ⵓ (ⵙⵃ̃ⵣⵓ) ⵁ̃ⵏ

ⵡ̃ⵏⵛⵀ

7. მინაწერი:

[- -]ⵔⵛ[- - -]

[- -]ⵊⵛⵀⵛ(ⵍⵏ)ⵙ [- -]

8. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მინაწერების მარჯვნივ მოჩანს სხვა მინაწერები წვნიკად, ძლიერ დაზიანებული.

II. გვერდზე ამავე ქვას აქვს დაზიანებული მინაწერები 7 სტრიქონად, იკითხება მარტო პირველი სიტყვა – ⵒ̃ⵔ

ყველა მინაწერები ხუცურად არის ნაწერი, ქვა ზომით არის 17x73x19 სმ.

სამივე ეს ქვა მივიტანე და სამხრეთ კედელთან დავაწყე. სამივე ეს ქვა არის ეკლესიის კართან აყვანილი სვეტისა და მის კამარის ნაწილები.

სამწევრისის წმ. მარინეს ეკლესია[127]

ამ ეკლესიის სამხრეთით დგას მცირე ეკლესია წმინდა მარინესი, 3,4x2 მ., ნაგები სულ აგურისაგან (ტაბ. LXXV$_1$). მას კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით –

ერთი, სამხრეთით – ერთი (სულ სამი). სახურავი (კრამიტი) არა ჰხურავს და აქვს მარტო ცარიელი თაღი. ამ ეკლესიაში არის საფლავის ქვა, 139x40 სმ. წარწერით:

[- - - - -]უფლის დედაო შენ გსასოებენ ყო
[ველნი] [- - -]ო[1] მექმენ შენ ძესთან ამის შე
[- - - - - - - - -] ო[1]ი ზაზა ციციანოვი წელსა
ჩყლე[2]

ეკლესია შიგნით და გარეთ შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმიანი აგურებით (ტაბ. LXXVII). ასეთი აგურები აქვს: შიგნით – აღმოსავლეთ კედელს 11 ცალი, დასავლეთ კედელს 1 ცალი (2 აკლია, მეორისაგან შენახულია კუთხე); გარედან: დასავლეთ კედელს – 4, სამხრეთ კედელს – 4 (აკლია 4), აღმოსავლეთ კედელს – 6, ჩრდილოეთ კედელს – 8.

ეკლესია გარღვეულია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. თაღიც და თვით შენობაც ძლიერ მაგრად არის შენახული. აგურები, მაშასადამე, სულ შენახულია 34, აკლია 6; სულ ყოფილა, მაშასადამე, წინათ 40 ცალი.

სამნევრისის ეკლესია[128]

სამხრეთ კარს გარედან, მარჯვენა სვეტს (?) თუ კედელს ანუ კუთხის ქვას პირით სამხრეთით უდევს ქვა (შუა ნანილში), რომელსაც შერჩენია წარწერის ნაშთი:

[- - - - - - - - -]
[- - - -]ⴆⴑ
[- - - -]ⴖ(ს)
[- - - - -]ⴅⴑ
[- - - -] (ⴒ)ⴕⴜ
[- - - - -] (ⴑⴑ)
[- - - - -] (ⴓ) [- - -]

[1] ან თ.

[2] იქნებ ეს ასო ლ-ს ნაშთი იყოს.

[3] ქვას წარწერის მარჯვენა მხარე (დასავლეთი) ატეხილი აქვს მთლად. დაკლებული ასოების რაოდენობა ვარაუდით არის ნაანგარიშევი.

სამნევრისის „დანგრეული“ საყდარი

სამნევრისის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის ძირს, ფერდზე დგას „დანგრეული“ საყდარი. იგი ერთნავიანი ბაზილიკა ყოფილა, 13x6 მ., ნაშენი რიყის ქვისა და კირისაგან; დღეს ნანგრევად არის: შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი, დანარჩენი სულ მიწასთანააა გასწორებული. აღმოსავლეთ კედელს აქვს სარკმელი, სამხრეთ კედელში აქვს თახჩა. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში ჩანს (ნანგრევში მოჩანს ძირის ქვა).

ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია[129]

ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია გუმბათიანი შენობაა, ზომით 22x10,5 მ., ნაგებია სულ აგურისაგან (ტაბ. LXXVIII$_1$). ჰხურავს ლორფინი, რომელიც ბევრ ადგილას მოხდილია. კარი აქვს დღეს მარტო ჩრდილოეთით, ძველად ჰქონია აგრეთვე სამხრეთით და დასავლეთით. უკანასკნელნი ეხლა ამოგებულნი არიან. სარკმელი: გუმბათს – თორმეტი, ძირა ნაწილს აღმოსავლეთით – ხუთი, სამხრეთით – ოთხი, დასავლეთით – ორი, ჩრდილოეთით – ოთხი. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, მას ზევითა ნაწილი დაზიანებული აქვს (ქვა გადმოგდებულია და გატეხილი). სამკვეთლო ცალკე ოთახშია. კანკელი ქვიტკირისაა, ერთი აღსავლის კარით. კანკელი სიმაღლით არის 2,75 მ.

ეკლესიას გარეშემო აქვს ეკვდერები, ნაშენი ქვიტკირისაგან. კარიბჭე აქვს ჩრდილოეთით, იგი ეკლესიასთანვე უნდა იყოს აშენებული. იგი აგურისაგან არის ნაშენი, მარტო წინა პირი აქვს თლილი ქვისა. სამხრეთი კარიბჭე სულ თლილი ქვისაა. ეკლესია კარიბჭეებით შენახულია, ხოლო ეკლესიაზე ზედ მიშენებული ეკვდერები კი დანგრეულია. სამხრეთ კარიბჭეს თაღი ჩაქცეული აქვს. აქვე, აღმოსავლეთისკენ, ეკვდერში (ე.ი. კარიბჭეში სამხრეთით) შემავალ კარს ქვები ჩუქურთმიანი აქვს. ამავე კარიბჭის სამხრეთისავე მხარეს, კარის თავზე მდებარე ქვაზე გამოსახულია ჯვარი (ტაბ. LXXVIII$_2$).

ეკლესიის დასავლეთით არის ცალკე ეკვდერი, ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით არის ძველი ეკლესიის ნანგრევი, რომლისაგან შენახულა მარტო აღმოსავლეთი ნახევარი. ეკლესიის სამხრეთით არის დიდი შენობის ნანგრევი; ეს საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო ბერებისა.

ეკლესიას გარეშემო აქვს გალავანი, რომელიც შენახულია დაზიანებით. შესასვლელი კარი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან, ეს კარი შენახულია, ხოლო კედლების მომეტებული ნაწილი

დანგრეულია. გალავნის კარი სულ თლილი ქვისაგან ყოფილა და არის. აქვე, კართან ყოფილა რაღაც შენობა – კოშკი თუ სამრეკლო.

შუა ეკლესიაში, მარჯვენა (ჩრდილოეთი) სვეტის ახლოს არის საფლავის ქვა წარწერით, ზომა ქვისა – 165x51 სმ.:

ქ. აღმომკითხველნო ეპიტაფიასა (sic) ამის გაჴსოვდენ გნჩინბ (sic)
ანი ჳ ̃დ მწა (sic) ხარიო დ(sic) აღსრულდა ცა დამეკვიდრ (sic) სამ-
როვანსა (sic) ც
იცისშვილი ელიშერ სახლთუხუცის ძე მილახერბაში (sic) ქაიხოსრო
ქჳ ̃სა უ
კ

ეკლესია მოხატულია (ტაბ. LXXIX); მხატვრობა ნაწილობრივ დაზიანებულია. საკურთხეველის კონქში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით კალთაში. წარწერები მხატვრობას ასომთავრულად აქვს. მხატვრობა ძირა ნაწილში (გუმბათის გარდა) სამი რიგი არის – ეს საკურთხეველში; შუა ეკლესიაში კი ოთხი რიგი. გუმბათის მხატვრობა დაზიანებულია და აღარ მოჩანს ძირიდან; იალქნებზე დახატული არიან მახარებლები.

ისტორიული ნაწილი – ჩრდილოეთ კედელზე შუა ეკლესიისა (აღმოსავლეთ ნაწილში) დახატულია სამი ისტორიული პირი – გიორგი, თამარი და ვიღაც მესამე (ტაბ. $LXXX_{12}$); მათ აღმოსავლეთით მათკენ (დასავლეთით) პირით მაცხოვარია, რომელიც აკურთხებს მათ. ისინი დაზიანებულნი არიან. სამხრეთ კედელზე ამავე ნაწილში დახატულია ვინმე პირი, დიდებული, მდგომარე, დაზიანებულია. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ კედელზე დახატულია დიდებული, რომელიც შენახულია წელს ზევით, აწერია (ტაბ. $LXXX_3$):

† ΦCՒ[Cს]|ԿղԷղՆՆ: (Ն)[C]|ՆC:

მას მარცხენა ხელით ეკლესიის თუ ეკვდერის მოდელი უჭირავს (დაზიანებულია), გაწვდილი აღმოსავლეთით, ხოლო მარჯვენა ხელი გულთან აქვს გაპყრობილი; ზაზას ლოცავს რომელიღაც წმიდანი, რომელიც მის წინ არის, პირით მისკენ; უკანასკნელი დაზიანებულია.

ეკლესიის თაღებს წყალი ჩასდის და მხატვრობა ზიანდება. ყოველ მხარეს ასეა, თვით თამარის მხარესაც; თამარი და მის უკან მდგომი დაზიანებულნი არიან.

ეკლესიის ჩრდილოეთით, ეზოში არის გუმბათიანი ეკლესიის მოდელი ქვისა.

ეკლესიის დასავლეთით არის ორი პურის შესანახი ორმო.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით არის სხვა ეკლესიის ნანგრევი, შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნახევარი, დანარჩენი დანგრეულია. შენახული ნაწილის ზომა 7(სიგრძე აკლია, რადგან დანგრეულია)x5 მ.

ეკლესია მოხატული ყოფილა (ტაბ. LXXXI). კონქში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით მარცხენა ხელში, მარჯვენა კი (ღვთისმშობელს) გულთან უჭირავს. მის ძირს ზიარებაა დახატული ორ რიგად. ამავე რიგში, სამხრეთით სნეულის განკურნება იესოს მიერ, ჩრდილოეთ კედელზე რაღაც სიუჟეტია. ძირა რიგში – მღვდელმთავრები, 7 მარჯვნივ და 7 მარცხნივ ფანჯრისა. გარდა ამისა, აქვე, თახჩებში – ორ-ორი სხვა მღვდელმთავარი, ესე იგი ჩრდილოეთით ორ თახჩაში ორი და სამხრეთით ორ თახჩაში ორი. ყველა დაზიანებულია. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას. იგი ერთიანი ქვისა ყოფილა მომწვანო ფერისა; თავის ქვა გადმოგდებულია და აქვე გდია.

საკურთხეველს აქვს ორ-ორი წვრილი და მაღალი თახჩა, ორი სამხრეთით და ორი ჩრდილოეთით. აღმოსავლეთის ფანჯარაში დახატულია ანგელოზები. ეკლესიიდან შენახულია საკურთხევლის ნაწილი და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი 4 მ. სიგრძით. ფანჯარა შერჩენია აღმოსავლეთით ერთი და სამხრეთით ერთი. წარწერები მხატვრობას ასომთავრულით ჰქონია; ესეა, მაგალითად, სამხრეთის მეორე თახჩაში, დახატულს აწერია: ⴔ̃ⴰ (ⴑ) [...] სიგრძით ეს ეკლესია ყოფილა, მგონი, 10,5 მ.

ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით, 2 ვერსზე მთაში, მთის კალთაზე.

ყინცვისის გიგოს საყდარი[130]

ყინცვისის გიგოს საყდარი ერთნავიანი შენობაა, 5,8x3,4 მ.; ნაგებია ქვიტკირისაგან. კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთ კედელს არ შერჩენია. იგი ნანგრევად არის, დგას მარტო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები, სამხრეთი კი მხოლოდ ძირა ნაწილი. შიგნით ნანგრევით არის სავსე. დასავლეთი კარის თავზე უდევს ქვა – 67x124 სმ., რომელზედაც ვიღაც წმიდანია (?) გამოსახული წელამდე, მას მარჯვენაში ოთხკუთა რაღაც (წიგნი?) უჭირავს, მარჯვენით კი აკურთხებს; მის მარჯვნივ და მარცხნივ დახატულია (ქვაზედვე) ორი მტრედი; ქვას მარჯვენა კუთხე მოტეხილი აქვს.

ამ ქვის ზევით არის სხვა ქვა, 46x87 სმ., ირმის გამოსახულებით, ეს ქვა არის ფანჯრის ძირა ქვა. ამავე ფანჯარას მარჯვნივ უდევს ქვა, 37x34 წარწერით: ქ. მოიხსენე | უფალო და მეტი არაფერი სწერია.

აღმოსავლეთი ფანჯრის ძირა ქვაზე გამოსახულია ვეშაპი, 30x64 სმ.

ეკლესია ნაშენია ქვიტკირისაგან; კუთხეებს და კარ-ფანჯარას შეხმარებული აქვს თლილი ქვაც.

ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთ ფერდზე, ყინცვისის მარცხნივ.

ყინცვისის ღამურების საყდარი

ყინცვისის ღამურების საყდარი დგას სოფლის აღმოსავლეთ ფერდზე, ყინცვისის მარჯვნივ; ნაშენია ქვიტკირისაგან. ზომით არის 4,5x2,5 მ.; დგას მარტო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები, სამხრეთი კი ნახევრად დაქცეულია. თაღი შენახული აქვს მარტო საკურთხეველს. საკურთხეველში არის ორი თახჩა. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთით არ შერჩენია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. შიგნით ეკლესია ნაგრევით არის სავსე. იგი ერთნავიანი, ჩვეულებრივი შენობაა. ეკლესიას ჩრდილოეთი კედლის გარეთა პირიც დაზიანებული აქვს (ქვები მოცლილია ნაწილობრივ).

ყინცვისის ღვთისმშობლის ეკლესია

ყინცვისის ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთ ფერდობზე. ზომით არის 7,8x4,8 მ.; ნაგებია ქვიტკირისაგან. იგი ნანგრევად არის. დგას მარტო დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლები და ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი, დანარჩენი სულ დაქცეულია. კარი აღარა ჩანს საით ჰქონდა; აქვს ერთი, დასავლეთი კარი, რომელიც ამოგებულია. ფანჯარა შერჩენია მარტო აღმოსავლეთით ერთი და დასავლეთით ერთი. საკურთხეველში არის ორი თახჩა. შიგნით ეკლესია სულ ნანგრევით არის სავსე; იგი ჩვეულებრივი ბაზილიკაა. გარეშემო დგას ხეები.

ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს, ქვაზე ჩაჭდევით დახატულია ორი ვიღაც პირი, მათ ქვეშ ორი ირემი. იგი უშნო ნამუშევარია, მაგრამ ძველი უნდა იყოს.

სანებელის წმ. სამების ეკლესია

სოფ. სანებელის წმ. სამების ეკლესია ერთნავიანი შენობაა, ჩვეულებრივი, ზომით 8x3,8 მ.; ნაგები ყოფილა დიდი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის; შენახულია სამხრეთი კედლის ძირა ნახევარი და დასავლეთი კედლის ნაშთი; დანარჩენი მიწასთან გასწორებულია. ის დგას მდ. ძამის მარცხნივ, გორაკზე. კარი უჩანს სამხრეთით და დასავლეთით; კედელთან ყრია ნანგრევი ქვები.

ვედრების ღვთისმშობლის ეკლესია[131]

სოფ. ვედრების ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი, ჩვეულებრივი შენობაა, 8x4,6 მ., ნაგები რიყის ქვის, ნაწილობრივ თლილი ქვისა და კირისაგან. მას ჩრდილოეთით (აღმოსავლეთ ნაწილში) მიშენებული აქვს ეკვდერი, რომელშიაც კარი გადის ეკლესიიდან (საკურთხევლის ახლოს). ეკლესია ნანგრევად არის; შედარებით მთელად დგას საკურთხევლის ნაწილი თავისი თაღით, დასავლეთი კედელი და ეკვდერი თავისი თაღითვე; ჩრდილოეთ კედელს დასავლეთი ნაწილი დანგრეული აქვს, სამხრეთი კედელი კი ნახევრად დაქცეულია. დასავლეთი კედელი შიგნით, გვერდებისაკენ სულ თლილი ქვით არის აგებული; თლილი ქვაა აქვს საკურთხეველს მაღლითა ნაწილში (შიგნითვე). ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ეკვდერში გადის); სარკმელი შერჩენია: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, ის ერთიანი ქვაა; მას წინა (დასავლეთ) მხარეს გამოსახული აქვს ჯვარი (ძველი ფორმისა). საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ აქვს თახჩები, რომლიდან მაღლა ხვრელი ადის. საკურთხეველშივე, ტრაპეზზე დევს ქვა, ჯვრის გამოსახულებით; დაზიანებულია, შებოლილი სანთლის ნთებისაგან, ზომით 22x20,5x10 სმ.

ეკვდერს სარკმელი აქვს აღმოსავლეთით და დასავლეთით. ეკლესიაში ყრია ნანგრევები; გარედან სულ რიყის ქვაა და კირი. დგას მდ. ძამის მარცხენა მხარეს, ფერდობზე. ეკლესიას სახურავზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში უჩანს მოტეხილი ქვევრი, მოზრდილი ზომისა. შენახულია დიდი ნაწილი, ბოლო ნანილი კი მოტეხილი და დაკარგული აქვს.

ზღუდერის სარკის წმ. გიორგის ეკლესია[132]

სარკის წმ. გიორგის ეკლესია ჯვრის სახედ გუმბათიანი ბაზილიკაა, 10,5x6,35 მ.; ნაგებია ნაწილობრივ თლილი ქვის, ნაწილობრივ სწორ-პირიანი ქვისა და ნაწილობრივ აგურისაგან კირით (ტაბ. LXXXII). ქვა კლდისაც არის და შირიმისაც; აგური – ოთხკუთხედი. ქვით ნაგებია კედლები, ხოლო თაღი-კამარები კი სულ აგურით. ეკლესიას სახურავი მარტო გუმბათზე ჰხურავს, კალთებს კი სულ მოცლილი აქვს. გუმბათს ჰხურავს თუნუქი, დაფერილი თუთიით. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმლები: გუმბათს – რვა, ძირა ნაწილს – თითო თითო მხარეს; სულ ერთად – თორმეტი. კამარები ირანული ტეხილიანი არიან. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით, რომელიც ნაწილობრივ დაზიანებულია. გუმბათი კარგად არის შენახული, კალთების თაღები კი აღმოსავლეთი ნაწილის (საკურთხევლის) გარდა სულ წყლით არის გაჟღენთილი და ზიანდება.

კანკელი ქვიტკირისაა, გალესილი კირით; აქვს ორი კარი: აღსავლისა და ჩრდილოეთისა; სამხრეთ ნაწილში (კანკელისა) – სარკმელი (?); კანკელსავე, ორ კარს შუა აქვს მცირე თახჩა, პირით დასავლეთისაკენ; მის წინ, ძირს არის ქვა, რომელსაც ზევითა მხრიდან დიდი, მრგვალი ღრუ აქვს. კანკელის სიმაღლე არის 2,5 მ.; საკურთხეველი შუა ეკლესიიდან ამაღლებულია სამი საფეხურით. ტრაპეზი შუა საკურთხეველშია. სამკვეთლო კედელშია გამართული: ნაწილობრივ კედელში და ნაწილობრივ ძირის ქვა არის თაროსავით გამოწეული.

საკურთხევლის სამხრეთით არის მცირე სამწირველო, რომელსაც ტრაპეზი კედელზე ჰქონია მიდგმული; ის დღეს გადმოქცეულია. ტრაპეზის სამხრეთით არის ქვა, 96x97x23 სმ., რომლის გულიც ჩაჭრილია ოთხკუთხად და მასში მოპირისფრო, თაბაშირის მაგვარი ნივთიერებისაგან ჯვარი ყოფილა გაკეთებული. ჯვრის ცარიელ ადგილებზე, კუთხეებისაკენ, ყვავილები თუ ვაზი მტევნით არის გამოსახული; იგი წამოუქცევიათ და დაუზიანებიათ. ზემოხსენებული ქვის მახლობლად, სამხრეთ კედელზე, გამოწევით გამართულია სახატე, დაზიანებული. აქვე, კანკელის წინ დგას რკინის შანდალი, 118x51 სმ.

ეკლესიის იატაკი დაფენილია აგურით.

ეკლესიას დასავლეთ კედელზე, კარის მარჯვნივ (სამხრეთით) აქვს ერთი ხვეულიანი ქვა, დაზიანებული. ასეთივე ქვები აქვს: ორი ცალი აღმოსავლეთ კედელს, სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ.

ეკლესიის აღმოსავლეთით არის შენობების ნანგრევები. ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით აქვს მშვენიერი, მწვანიანი ვაკობი ადგილი. სამხრეთითვე არის მშვენიერი წყარო.

ეკლესიას გარეშემო, ე.ი. სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ჰქონია რაღაც შენობები (მისივე ნაწილები), რომელთა საძირკველიღა მოჩანს.

ეკლესიის გარეთ, სამხრეთ მხარეს, კედელთან არის ოთხკუთხა ქვა, მრგვალი ამოხვრეტილით.

ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; მისი ნაშთი, რაოდენიმე დაზიანებით, კარგად შენახულია აღმოსავლეთ მხარეს.

აღმოსავლეთ მხარეს, გალავნის გარეთ, არის რამდენიმე შენობის ნანგრევი.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გასწვრივ არის ქვიტკირისაგან გაკეთებული საფლავის ქვა.

ეკლესია დგას ქარელის სამხრეთით, მაღალი მთის მაღალ კალთაზე, მშვენიერ ადგილას. ეს მცირე მთა, ანუ კალთა დაჰყურებს მთელ ხეობას ლეთეთის წყალზე. ადგილი მეტის მეტად შესანიშნავია და მშვენიერია.

სიძველე:

ფიცარზე ნახატი ხატი წმ. სტეფანესი, 30,5x22,7 სმ., დაზიანებულია; ხატს აქვს წარწერა თავზე (წითელი საღებავით):

(ჯ˜ა) სჲ(ꙗფ)ᲠᲜᲘ ჲᲫᲠᲗᲮᲠᲐ ᲫᲘᲠᲙᲕᲜᲘ ⁘

ხატს ძირა ნაწილში, მარცხენა მხარეს აქვს წარწერა თეთრი საღებავით:

წშიდაა (.) დიდო . მოწა[მეო] .
სტეფანე . მეოხ . ექმენ . (შ)[ო](სა)
ხელესა . შენსა. გარდაცვალებ[ულსა]
[აქა მდებ]არე . ჭაბუკსა . სტეფანე ბორ[-]ჲ(ნ)ოვ(ს)

ეკუთვნის XIX საუკუნის დასაწყისს (?).

ზლუდერის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია[133]

ზლუდერის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით, გორაკზე. ის ერთნავიანი შენობაა, 6,75x3,7 მ., ნაგები სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. ის ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები. თაღი შერჩენილი აქვს მხოლოდ საკურთხევლის ნაწილს, ისიც დაზიანებით. კედლებიდან სამხრეთისა ნახევარზე მეტად დაქცეულია; დარჩენილი კედლები მთელია. კარი აქვს სამხრე-

თით ერთი, სარკმელი – დასავლეთით ერთი (ალბათ სამხრეთითაც ერთი). ტრაპეზი კედელთან ყოფილა, ძლიერ ახლოს; ის ერთიანი ქვაა, დღეს გადაწვენილია. საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა. ეკლესიის აღმოსავლეთით, 5 მ-ზე, დგას კოშკი ნანგრევად; შენახულია მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ნაწილი; დანარჩენი დანგრეულია.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის შენობათა ნანგრევი; ერთ მათგანთან (განაპირა ნანგრევთან) არის ქვა ამოჭრილი. ყურძნის საწურის ნაწილი ხომ არ არის? შენახული კედლები მაღალია და მთელი. გორაკი ტყით არის დაფარული.

ზღუდერის ღვთისმშობლის (?) ეკლესია

ზღუდერის ღვთისმშობლის (?) ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთი მთის დაბალ ფერდობზე, სოფლის ახლო. იგი ერთნავიანი შენობაა 3,1x2,75 მ. ნაგებია ქვიტკირისაგან (რიყის ქვა და კირი). საკურთხეველს განსაკუთრებული მოყვანილობა აქვს. კარი აქვს სამხრეთით. სარკმელი შერჩენია მარტო აღმოსავლეთით. შიგნით სულ ნანგრევით არის სავსე. დგას მარტო კედლები, ისიც დაზიანებულნი. სამხრეთ კარს თავზე ადევს ქვა ჯვრის გამოსახულებით.

ზღუდერის „ციების საყდარი"

ზღუდერის „ციების საყდარი" დგას ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთით, მახლობელ ადგილს და იმავე ფერდობზე. იგი ჩვეულებრივი, ერთნავიანი ბაზილიკაა, 4x2,35 მ. ნაგებია ქვიტკირისაგან, დღეს ნანგრევად არის. კარი აქვს დასავლეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. თაღი შენახული აქვს მარტო საკურთხევლის ნაწილს, დანარჩენი დაქცეულია; დგანან კედლები, რომელთაგან სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებს შუა ნაწილი დაზიანებული აქვთ. ტრაპეზის ძირა ქვა (ერთიანი) შენახულია, იგი კედელზეა მიდგმული. საკურთხეველს აქვს: ჩრდილოეთ კედელზე თახჩა – ერთი, სამხრეთ კედელში კი ორსართულიანი თახჩა – წვრილი და გრძელი, რომელნიც უკან ხვრეულით არიან ერთმანეთთან შეერთებული. გარედან კედლები დაზიანებულია, შიგნით ნანგრევები ყრია.

ერთი ასეთი ეკლესია ყოფილა ამ ეკლესიის სამხრეთით.

ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია[134]

ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია,[1] ძველად ვითომც ღვთისმშობლისა, სამ-ეკლესიანი (?) შენობაა (გეგმით უნდა გამორკვეული იქნეს საკითხი). ზომით მარტო შუა ნაწილი არის 11,5x4,5 მ. ნაგებია სულ თლილი ქვისა და კირისაგან; თლილი ქვა არის შიგნით და გარეთ. ნაგები შესანიშნავია, ქვების წყობა სულ სწორხაზოვანია. იგი ნანგრევად არის: შუა ნაწილისა დგას მარტო კედლები, ხოლო სამხრეთი ნაწილისა და ჩრდილოეთი ნაწილის თაღები კი შენახულია, მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილის თაღის დასავლეთი ნაწილი ჩანგრეული აქვს. კედლებს (მთელი შენობისა) გარეთა პირი შუა ნაწილის (თვით ეკლესიის) აღმოსავლეთი მხრის გარდა, თითქმის სულ შემოცლილი აქვს; იგი შემოუცლიათ 1925 (?) წელს და მისი ქვა ხიდის ყურში ჩაუყრიათ. უძვირფასესი შენობა, შიგნით საუცხოო სანახავი, გარედან საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს – იგი გატიტვლებულია. ქვების ერთი ნაწილი სკოლისათვის შეუხმარებიათ (აქვე, დასავლეთით არის აშენებული, გალავანს გარეთ); მას კუთხეებში უწყვია ეკლესიის დიდი, თლილი ქვები.

კედლებიდან დასავლეთი კედელი ძლიერ დაზიანებულია, იგი გახვრეტილია. შიგნით კედლები კარგად არის შენახული შედარებით, მხოლოდ ჩრდილოეთი პილასტრებია ნაწილობრივ ჩამონგრეული. კარი აქვს მხოლოდ სამხრეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – სამი, სამხრეთით შერჩენია მარტო ერთი, დანარჩენ მხარეებს აღარ შერჩენია. ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვაზე აქვს შესანიშნავი ჩუქურთმა ყურძნის მტევნების გამოსახულებით. იგი შემურულია. საერთოდ მთელი ეს ნაწილი ეკლესიისა სულ შემურულია შავად. გადმოცემით, ლეკებს შეუმწყვდევიათ ბერები ვითომც აქ და გამოუწვავთ და ამისგან არის შებოლილიო.

ძველად ეკლესია მონასტერი ყოფილა. ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმელი შემკულია ძვირფასი ჩუქურთმით (გარეშემო). სარკმლის ზევით, მარცხნივ (ჩრდილოეთით) დევს ქვა ჯვრის გამოსახულებით; მეორე ამისთანა ქვა დებულა სარკმლის მარჯვნივ, იგი დღეს ჩამოვარდნილია და ეკლესიის აღმოსავლეთით გდია. ზომით ეს ქვა არის 60x59x22 სმ.; ქვა დაზიანებულია და ჯვრის გამოსახულებაც დაზიანებულია.

ეკლესიის აღმოსავლეთით, 8 მ. დაშორებით დგას მცირე ეკლესია, 6,2x3,2 მ.; შიგნით და გარეთ ნაგებია სულ თლილი ქვისა და

ზღუდერის ძეგლის მეთვალყურეობა დავავალე ნიკოლოზ ქელეხსაევს, ადგილობრივი კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლის გამგეს.

კირისაგან; იგი შესანიშნავი შენობა ყოფილა. კარი აქვს სამხრეთით, წინათ დასავლეთითაც ჰქონია, იგი ამოგებულია ძველადვე; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი, დასავლეთით – ერთი. მისთვის აღმოსავლეთი კედელი გაურღვევიათ და კარს უკეთებენ, შიგნით გალესვას უპირებენ და ბელღად ქცევას, კედლებს ზევიდან ფიცარს ხურავენ. ტრაპეზი, როგორც ჩანს, კედელზე ყოფილა მიდგმული, იგი ერთიანი ქვა ყოფილა. დღეს ეს ქვა სამხრეთ კარებში ჩაუდგამთ (ამოსავსებად კარისა). შიგნით კედლებიდან ქვებია ხუთ ადგილას გამოღებული: სამი ჩრდილოეთ კედელში და ორი სამხრეთისაში. იგი შესანიშნავი შენობა ყოფილა, მისი კედლებიდან ჩამოყრილი ქვები აქვე, აღმოსავლეთით ყრია.

ეკლესიის სამხრეთით, 8,5 მ. დაშორებით არის ძველი ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი ბაზილიკა ყოფილა, 5x3 მ., დღეს მისი ნაშთიღა არის ¾ მ. სიმაღლისა. იგი ქვიტკირისა ყოფილა.

ეკლესიის დასავლეთით არის გალავნის ნაშთი.

ხელის გამოსახულება ოსტატების ერთი ნიშანთაგანია, რომლითაც ისინი აღნიშნავდნენ თავიანთ ნაშრომ-ნამუშევარს. ეს ნიშნები დღემდე აღრიცხული და შესწავლილი არ არის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს ჩემს მიერ შეგროვილ იქნა რამდენიმე ასეთი ნიშანი[1], სახელდობრ:

I. **ხელის ნიშანი** (გვხვდება როგორც ქვაზე, ისე ბათქაშზე ანუ კირზე) (ნახ. 20₁).

დაცულია:

1. ღადიშის წმ. გიორგის ეკლესიის საქალებოს დასავლეთი კედლის საქარის ორ ქვაზე.

2. იმერეთის სოფ. ზედა საქარას „გულბანდიანი" ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ქვაზე (ჯვრის გამოსახულებასთან ერთად), ასომთავრული წარწერით: **მნ̃ე**, ანუ **მანასე**."


3. ლეჩხუმის სოფ. მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს, სარკმლის მარცხნივ (ჩრდილოეთით) მდებარე ქვაზე, მხედრული წარწერით: **ქ : ხელი : ნასყიდას : კალატოზის : ქართლელის :**

II. **შვეულის (?) ნიშანი** (გვხვდება ორგვარი: ოთხკუთხი და მრგვალი ფორმისა) (ნახ. 20₂,₃,₄).

---

[1] ნიშნიანი ქვების მეტი წილი ესე აწყვია, როგორც აქ არის დახატული, მაგრამ ზოგიერთი ნიშნიანი ქვები ხან გვერდზედაც დევს, და ხან აღმაც.

ასეთივე ნიშანი 1923-24 წლებში ქართლში მოგზაურობის დროს მრავალ ადგილას ვნახე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ავრიცხე.



ნახ. 20

1. დიდი ლიახვის ხეობის სოფ. კროჟას (ჯავის აღმოსავლეთით, 1½ ვერსტზე) მიქელ-გაბრიელის სალოცავის ნანგრევებში მდებარე ერთ ქვაზე (ჯვრის გამოსახულებასთან ერთად).

2. ხევის სოფ. ფხელშეს მცხოვრები გიორგი შიოს ძე ელიაშვილის სახლის სვეტის ერთ ქვაზე, ქვემო აღწერილ ორ ნიშანთან (№3 და 4) ერთად.

III. **გონიოს (?) ნიშანი.**

1. იმავე ქვაზე.

IV. **სალესის (?) ნიშანი.**

1. იმავე ქვაზე; ქვა წამოღებულია ადგილობრივი ციხისა თუ ეკლესიის ნანგრევიდან.

V. **ჯვრის ნიშანი** (ნახ. 205)

1. **ძამის ხეობის სოფ. ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესიის** შიგნით, დასავლეთ კედელზე, ჩრდილოეთის სამხროში გამოსასვლელი კარის ახლოს, ერთ ქვაზე.

2. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ერთ ქვაზე.

VI. **კიდე-კუთხოვანი ჯვრის (?) ნიშანი** (ნახ. 206).

1. იქვე, საკურთხეველში, ჩრდილოეთ მხარეს, მაღლა, ექვს (თუ მეტ?) ქვაზე (თითოეულზე თითო).

2. იქვე, სამხრეთის კარებში, ერთ ქვაზე და სხვ.

VII. **ვარსკვლავისებურის (?) ნიშანი** (ნახ. 207).

1. იქვე, საკურთხევლის სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, ერთ ქვაზე.

2. იქვე, სარკმლის მარცხნივ, სამხრეთ მხარეს, ექვს ქვაზე (თითოეულზე თითო) და სხვ.

VIII. **ზროს, ანუ ისრისებური ნიშანი** (ნახ. 208).

1. იქვე საკურთხეველში, ჩრდილოეთ მხარეს (საკურთხევლის დასაწყისში), ერთ ქვაზე.

IX. **ცელისებური ნიშანი** (ნახ. 209).

1. იქვე საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, ერთ ქვაზე.

X. **კირკალისებური ნიშანი** (ნახ. 2010).

1. იქვე, ეკლესიის გარეთ, აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის მაღლა, მარცხნივ, სამხრეთით, ჯვრის გამოსახულების გვერდით, ერთი ქვა.

2. იქვე, შიგნით, შუა ეკლესიაში, სამხრეთ კედელზე, დასავლეთ კუთხესთან, ერთ ქვაზე.

3. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მაღლითა ნაწილის მარცხნივ, სამხრეთით, ერთ ქვაზე.

XI. **წყვილი რქისებური ნიშანი** (ნახ. 2011).

1. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთით, სამ ქვაზე (თითო თითო).

2. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარცხნივ, სამხრეთით, ხუთ ქვაზე (თითო თითო).

XII. **გრდემლისებური ნიშანი** (ნახ. 2012).

1. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, ერთ ქვაზე.

2. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარცხნივ, სამხრეთ მხარეს, ერთ ქვაზე და სხვ.

13. **ქუდისებური (?) ნიშანი მოხრილი ხაზით ქვეშ** (ნახ. 2013).

1. იქვე, შუა ეკლესიაში, სამხრეთი კედლის დასავლეთი პილიასტრის ძირა ნაწილის ერთ ქვაზე.

XIV. **ფრჩხილოვანი ნიშანი** (ნახ. 2014).

1. იქვე, შუა ეკლესიაში, სამხრეთი კედლის დასავლეთი პილიასტრის ერთ ქვაზე.

2. იქვე, ჩრდილოეთ სამხროში, სამხრეთი კედლის მაღლითა ნაწილის ერთ ქვაზე.

XV. **კუთხის ერთ ფრჩხილოვანი ნიშანი** (ნახ. 2015).

1. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, ერთ ქვაზე.

XVI. **კუთხის ორ ფრჩხილოვანი ნიშანი** (ნახ. 2016).

1. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, XV ნომრის მაღლა, ერთ ქვაზე.

XVII. **კუთხის სამ ფრჩხილოვანი ნიშანი** (ნახ. 2017).

1. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მაღლითა ნაწილის მარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, ერთ ქვაზე.

XVIII. **ორი ერთმანეთზე ხვეული ნახევარწრის ნიშანი** (ნახ. 2018).

1. იქვე, საკურთხეველში, სარკმლის მარცხნივ, სამხრეთ მხარეს, ძირს, ერთ ქვაზე.[1]

როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ჩანს, ყველაზე მეტი და, ამასთანავე, საკმაოდ მრავალი ნიშანი დაცულია ზღუდერის ძეგლზე (იხ. №5-18). ეს სიმრავლე გვაგულისხმებინებს ოსტატების ერთი მთლიანი ორგანიზაციის არსებობას.

---

[1] ზღუდერის ეკლესიის რამდენიმე ნიშნიანი ქვა გადატანილია (ძეგლი ნაწილობრივ დააქციეს 1924 წელს) და დღეს უდევს ეკლესიის დასავლეთით მდგომ სკოლის შენობას დასავლეთ მხარეს, გარედან.

ძაძის ან ძაძვის მონასტერი[135]

ძაძის, ან ძაძვის მონასტერი დგას სოფლის სამხრეთით, მცირე გორაკზე, რომელიც ტყით არის დაფარული. იგი ერთნავიანი შენობაა, 11x5½ მ, რომელსაც სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით აქვს ეკვდერები და სხვა შენობები. იგი ნანგრევად არის, დგას მარტო ეკლესია უთაღოდ; სამხრეთის შენობებიდან შენახულია აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილები. შუა ნაწილი (კარის ადგილისა) დანგრეულია; დანგრეულია, აგრეთვე, დასავლეთი ნაწილი. ჩრდილოეთი შენობებიდან შენახულია დასავლეთი ნაწილი, აღმოსავლეთისა კი დანგრეულია. ეკლესია და სხვა შენობები ნახევრად ნანგრევით არის სავსე, შენახულია თავის ტრაპეზით მხოლოდ სამხრეთი ეკვდერი (აღმოსავლეთი ნაწილი). ეკლესიას კარი უჩანს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი (შესაძლებელია მეორეც ჰქონდა), დასავლეთით – ერთი. ეკლესიას სამხრეთითვე ჰქონია კარიბჭე.


აწ დანგრეული ეკლესია მოხატული ყოფილა; კვალი კარგად არის შენახული საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე (აქ მოჩანს წითელი და ლურჯი ხაზები), სამხრეთი კარის კამარის ქვეშ, დასავლეთ კედელზე სამხრეთ მხარეს, ეკლესიის სამხრეთ კედელზე გარედან, კარის ზევით.

ეკლესია ნაგებია ქვიტკირისაგან; ქვა ეკლესიისა კლდის ქვაა, მიდგმული შენობების სვეტები და კამარები მეტი წილი თლილი ქვაა. ეკლესიის სამხრეთით მიდგმულ შენობაში შენახულია სამი რქა ირმისა, აქვე – ორი გატეხილი ქვევრი. ეკლესიის სამხრეთით არის სამრეკლო; შენახულია მარტო ძირა სართული, ისიც ნანგრევად. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის გასწვრივ შენახული საცხოვრებელი სახლი დგას – მარტო კედლები ქვიტკირისა, 12x6 მ.

ეკლესიის აღმოსავლეთით არის პურის (?) ორმო ქვიტკირისა, აქვეა მიწაში ქვევრები.

ეკლესიას გარეშემო აქვს ქვიტკირის გალავანი, რომელიც ადგილ-ადგილ დაზიანებულია; შესავალი გალავანს აქვს დასავლეთი მხრიდან. ეკლესიაში და მის შენობებში ამოსულია მრავლად ნაძვის და სხვა ხეები.

ეკლესიას სამხრეთი კარის მარჯვნივ მიდგმულ სვეტზე, სვეტის თავის ძირს მდებარე ქვაზე აქვს წარწერა ხუცურად; განკვეთის ნიშნად პირველ წარწერაში თითო წერტილია ნახმარი.



პირველი წარწერის ქვევით არის მეორე წარწერა, სულ გაშავებული სანთლის ნთებისაგან:

ⴆⴊⴗ(ⵐ)ⵙ ⵖ"ⵃ ⴖ"ⵃ ⵅ(ⵒ)"ⵗ(ⵇ)"ⵡ (ⵛ"ⵀ)ⵆ[I]

მეორის ქვევით მესამე წარწერაა, ისიც გაშავებული:

(ⵒ)ⵢ(ⵣⵣ)ⵑⵀⵙ (⁘) ⵡⵜⵜⵑⵝ (⁘) ⵢⵗⵇⵀⵙⵗ ⁘ ⴖ"ⵃ ⁘ ⵆ[II]

მესამის ქვევით სწერია ასომთავრულად:

ⵔ"ⵋⴄ[III]

სამი პირველი ნაწერი ჩაღრმავებით არის ნაწერი. მეოთხე (ⵔ"ⵋⴄ) კი ორი ხაზით ამობურცვით.

ამავე სამხრეთ კარს, ერთიან ფიცარს გარედან, შავი წამლით, დიდი ასოებით ჰქონია წარწერა ასომთავრულად; მოჩანს მარტო ნაშთი, იგი ხეუღლია:

[- - - - - -] ⵇ [- -] ⴆⵛⴊⵛⵊ"ⵗⴊⴄ[IV] [- - -] ⴊ"ⵚ ⵒ"ⵇ
[...] ⵁ [- - - -]
[...] ⵍ [- -]

ეკლესიის გალავანს გარეთ, სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გზის თავზე გამოდის ძველი მილით შესანიშნავი ცივი წყალი.

ეკლესიის აღმოსავლეთით, 1 ვერსზე, გორაკზე არის რაღაც შენობის ნანგრევი, ალბათ საყარაულო კოშკის.

I ეს ნ ოდნავ არის ჩაღრმავებული სხვებთან შედარებით და, შესაძლებელია, დამწერმა ჯერ არ განიზრახა დაწერა, მაგრამ შემდეგ ამჯობინა შემდეგ სტრიქონზე, სადაც წესიერად არის დანერილი; ასე რომ, შესაძლებელია, ეს ასო მეტი იყოს.

II ეს ასო ძლიერ დიდი ასოა და სხვა ხელით სწერია.

III ეს ასოც ძლიერ დიდი ასოა და სხვა ხელით სწერია.

IV ესეა სწორედ ნაწერები.

V ეს სიტყვა მთლად ხეუღლად არის, ასე რომ ეს წარწერა და სვეტის მახარებელი ერთი უნდა იყოს.

ძამის ციხე[136]

მძოვრეთის, ანუ ნამდვილად ძამის ციხე უზარმაზარი შენობაა (ტაბ. LXXXIII). შენახულია მრავალი შენობა, უკანასკნელი 6-7 დიდი შენობაა რამდენიმე სართულიანი. დგას კედლები; კედლის სისქე საზოგადოდ 1x2 მ.-მდეა. ციხეში ამოსულია მრავალი ხე. სართულები ოთხამდეა. გალავანში შესასვლელი კარი არის აღმოსავლეთით, ხოლო თვით დიდ ციხეში – ჩრდილოეთიდან.

ციხე დგას კლდოვან გორაკზე, სოფ. ორთუბნის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა მხარეს ანუ ძამას მარჯვნივ, მაღალ გორაკზე. ამ ციხეს დასავლეთის მხრიდან აქვს არა დიდი კლდე. ის სულ კლდეზეა აშენებული.


მძოვრეთის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არის ეკლესია; ის სხვა შენობის ძირა სართულშია. ზომით არის 6,2x4,2 მ.; ერთნავიანი შენობაა. კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. კარის მხარე ნანგრევით არის სავსე ნახევრად. საკურთხეველში არის ორი თახჩა; ამის გარდა, ერთი თახჩა – ჩრდილოეთ კედელში, მეორე – სამხრეთ კედელში და ორიც – დასავლეთ კედელში. ჩრდილოეთი კარი გადის სამწირველოში; უკანასკნელი ზომით არის 3,5x3,5 მ.; კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით (ეკლესიაში შემავალი), სარკმელი – დასავლეთით; ეკლესიის კარი გადის ციხის ეზოში.

მძოვრეთის კომპლექსი[137]

ძამის ციხე[138] ამართულია მდინარე ძამის მარცხენა მხარეს, იქ სადაც სამხრეთიდან მომდინარე სათერძეს ხევი ანუ ეგრეთ წოდებული „პატარა წყალი“ შეერთვის ძამას მის პირდაპირ, ჩრდილოეთით ამართულ მაღალ გორაკზე. იგი ქვიტკირის შენობაა; იგი შენობის მასალისათვის უნგრევიათ. დანგრეულია სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლები; აღმოსავლეთ კედელს შენახული აქვს მხოლოდ ჩრდილოეთით ერთი ნაწილი, აღნიშნული კედლების (აღმოსავლეთის და სამხრეთის) დარჩენილ ნაწილებს (ნახევარი სიმაღლის კედლებისა არის შენახული) გარეთი პირი სულ შემოცლილი აქვს და ძლიერ დაზიანებული არიან; დანარჩენი ორი კედელიც, ჩრდილოეთის და დასავლეთის – ადგილ-ადგილ, ისინიც დაზიანებული არიან. ციხის შუა ნაწილში მთლიანად შენახულია ორი კედელი; ერთ მათგანთან (სამხრეთით) არის ქვიტკირის ორმო. ტერიტორია იქნება დაახლოებით 600 მ.; აქ არის სასახლე ციციშვილებისა.

გალავნის აღმოსავლეთით, მახლობელ მანძილზე არის გზის თავზე ნაწილობრივ შენახული (დასავლეთიდან აღმოსავლეთით): დიდი შენობის ნანგრევები, კოშკი ოთხკუთხი, ექვს (?) სართულიანი; ასასვლელი არის კიბეებით. სართულების თაღები ქვიტკირისაგან არის; პირველი და მეორე სართულის თაღები ჩაქცეულია, დანარჩენი დაზიანებული არიან. შენახული მესამე დიდი შენობა (აღმოსავლეთით) ეკლესიაა.

ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6x3,5 მ.; იგი ღვთისმშობლის სახელობისაა, ნაგებია ქვიტკირისაგან, თაღი შენახული აქვს (ტაბ. LXXXIV). შენობა ძლიერ დაზიანებულია. გარეთა პირის ქვა სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს თითქმის სულ შემოცლილი აქვს, სახურავად აღარაფერი ჰხურავს. კარი აქვს დასავლეთით და, ვგონებ, სამხრეთითაც ჰქონია, უკანასკნელი ეხლა ამოგებულია ყორით; ამ კარის კედელი დაზიანებულია და საფიქრებელია, რომ კარი უნდა ყოფილიყო აქ. ფანჯარა – თითო თითო მხარეს (სულ ოთხი). იგი გალესილი ყოფილა კირით, რომელიც ადგილ-ადგილღა შერჩენია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა: ერთი მარჯვენივ, მეორე – მარცხნივ. ტრაპეზი აღარ არსებობს. კანკელი ქვიტკირისაა, ერთი აღსავლის კარით და გვერდებზე – მარჯვენივ და მარცხნივ – ორ სართულიანი სახატეებით ძირს და მაღლა. იგი შეღებილია კირით პირის ფერად; კამარებს სპარსული ტეხილები აქვს. ეს კანკელი სიმაღლით არის 2,2 მ. (ნახ. 21).



ნახ. 21

ეკლესიის დასავლეთით (ზედ მიდგმით) დგას სამრეკლო (?), სამსართულიანი. ძირა ნაწილი ოთხ სვეტზე დგას და ღია კამარები აქვს ოთხსავე მხარეს; კამარები ფართო და დიდია. მეორე სართული ოთახია, რომელსაც კარი აქვს სამხრეთი მხრიდან, ხოლო მესამე – სამრეკლო, რომელშიაც ასასვლელი არის მეორე სართულიდან ერდოთი. მეორე სართული საცხოვრებელი ოთახია თუ საყარაულო, ბუხრით დასავლეთ კედელში; მესამე სართული ოთხკამაროვანია – თითო კამარა თითო მხარეს. თაღები სულ ყველა სართულს აგურისა აქვს (ძირა სართულისა არა ჩანს). ძირა სართული გალესილია კირით და მთლად შეღებილია. ძირა სართული წარმოადგენს ეკლესიის კარიბჭე-ნართექსს.

ეკლესიის დასავლეთი კედელი გარედან (დასავლეთი მხრიდან) გალესილია; მას ჰქონია მხატვრობა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. აქ, ჩრდილოეთ მხარეს, შენახულია ორი სახე; ერთი –

კარის ასწვრივ, მარჯვნივ, მეორე – მის ჩრდილოეთით, დაშორებით, ორნივე ძლიერ დაზიანებული; დანარჩენი ძლიერ დაზიანებულია, შენახულ მეორე (ჩრდილოეთით) პირს მარჯვნივ, ტანისამოსის უკანა არეზე აქვს ჩაჭდევით მინაწერი ⴼ ᲧᲨ ⴼ(ⴒ) ᲩᲨ|ⴼ ᲨᲧ (Ლ Ჿ)|(ჩ) ⴒ Ჿ Ⴗ|[...].

სამრეკლო კოშკი ნაშენია ქვის, აგურისა და კირისაგან. მას სამხრეთი კამარის აღმოსავლეთი ნახევარი გამოშენებული აქვს; მასვე დასავლეთ მხარეს, კამარის ქვეშ შედგმული აქვს მრგვალი სვეტი. ეკლესიაზე და კოშკზე სამხრეთი მხრივ მთიდან მოდის წვიმის წყალი, რომელიც ამ შენობებს გარედანაც უვლის და შიგაც შედის და ძლიერ აზიანებს მათ.

ამ შენობათა ქვევით, ჩრდილო-აღმოსავლეთით არის გალავნისავე ნაშთი, რომელიც მისდევს გზიდან წყლისაკენ.

ზემოაღწერილი ეკლესიის დასავლეთით, დაშორებით მდგომი ციხე-კოშკის სამხრეთ ფერდობზე მოდის ცივი წყალი, რომელიც იქვე წყაროდან გამოდის.

ქალაქი მძოვრეთი გაშენებული ყოფილა მდ. ძამის მარჯვენა მხარეს, ვაკეზე.

მთაზე მდგომარე დიდი ციხის დასავლეთ სერზე და ამავე მთის აღმოსავლეთით გაწვდილ გორაზე ძველად აღმართული ყოფილა წარწერები, რომლებიც დაუმტვრევიათ უკანასკნელ დროს. პირველი, მგონი, სულ დაუმტვრევიათ და მეორე კი კლდეში გადაუგორებიათ ახალგაზრდობას, წარწერებს ვერა ვკითხულობდითო. უკანასკნელი (მეორე) ყოფილა ძირს, აღმოსავლეთი კოშკის ასწვრივ, მთაზე.

ორთუბნის ღვთისმშობლის ეკლესია[139]

ორთუბნის ღვთისმშობლის ეკლესია დგას მძოვრეთის ხევის მარჯვენა მხარესვე, სოფლის მახლობლად; ის ნაგებია ქვიტკირისაგან. გეგმით ერთნავიანი შენობაა, 6,6x3 მ.; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. სახურავი არა ჰხურავს. სამხრეთი კედელი ძლიერ დაზიანებულია. გარედან ქვები (უბრალოებია) შემოცლილი აქვს. ტრაპეზი ერთიანი ქვაა; ის კედელზეა მიდგმული. კანკელი ფიქალებისაგან ყოფილა ამოყვანილი; დღეს შენახულია მხოლოდ ძირა ფიქალები. საკურთხეველს აქვს ორი მცირე თახჩა: ერთი – სამხრეთით, მეორე – ჩრდილოეთით. ეკლესია დგას ტყიან ადგილას.

ორთუბნის მძოვრეთის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია

ორთუბნის მძოვრეთის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 7,75x3,75 მ.; ნაგებია ქვიტკირისაგან, კარი აქვს ჩრდილოეთით და დასავლეთით, სარკმელი – თითო თითო მხარეს (სულ ოთხი). სახურავი აღარა ჰხურავს (თაღი აქვს); თაღი სამხრეთ მხარეს დაზიანებულია. ტრაპეზი აღარა ჩანს. საკურთხეველში არის ორი მოზრდილი თახჩა: ერთი ჩრდილოეთით, მეორე – სამხრეთ მხარეს. კანკელი ქვიტკირისაა, ერთი აღსავლის კარით და ორი თახჩით (წინ) თუ სახატით. იგი სიმაღლის არის 1,7 მ.; კანკელის აღსავლის კართან, ძირა ნაწილში, პირით დასავლეთით უდევს ორი ქვა (ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ) ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით.

ეკლესია დგას მდ. მძოვრეთის ხევის მარცხენა მხარეს, სოფლის სამხრეთით ¼ ვ. დაშორებით. მასალა არის კლდის, სწორ-პირიანი ქვაც და აგურიც. აგური განსაკუთრებით შეხმარებული აქვს, მომეტებულ წილად, თაღებს კარ-სარკმლისა; აგური აქვს, აგრეთვე, ეკლესიის თაღსაც და კედლებსაც, სხვა მასალასთან ერთად. კანკელი წინა მხარეს (დასავლეთით) გალესილია კირით, რომელიც ზოგან დაზიანებულია. ტრაპეზი სამკვეთლოში აღარა ჩანს[1].

ეკლესიის ჩრდილოეთით და სამხრეთით ზედ მიდგმული პირველი წყება შენობებისა ნანგრევად არის სულ და არა ჩანს; მეორე წყება შენობებისა კი ნაწილობრივ შენახულია. ქვა ეკლესიისა მუქი ყვითელია.

ნაქალაქარი მძოვრეთი[140]

ორთუბანში არის მძოვრეთის გალავნის ნანგრევი. ეს ადგილი ეხლა უჭირავთ: ქიმა გასიშვილს, მიტო ხარებაშვილს, ილო და მიხა (?) ჭაღიაშვილებს. გალავანი ოთხკუთხია; ტერიტორია – სულ 1½ დესეტინა. გალავნისა შენახულია საძირკვლის კედელი, ½ მ. სიმაღლისა; ის სამხრეთ მხარეს, გზის პირის-პირ მისდევს. ამ გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში არის დიდი შენობის ნანგრევი, რომელიც ზომით არის: სიგრძით – 29 მ., სიგანით – 8,5 მ.; ამ შენობასთან ყოფილა საწნახელი. ამავე ტერიტორიის დასავლეთ ნა-

[1] საბუთებში იხსენიება წმ. იოანე მახარებლის ეკლესია და შეიძლება, ეს იყოს (?); საწინამძღვრო დასაჯდომი არ შენახულა, მაგრამ იქნებ იყო და დაიქცა, თუმცა კვალი სრულებით არა ჩანს არც დასაჯდომისა და არც ტრაპეზ-სამკვეთლოსი.

წილში, სადაც შენობის ნანგრევებია, სახელდობრ, ერთი დიდი შენობა ნაგებია რიყის ქვისა და კირისაგან, აქვს ცოტა აგურიც; მისი შენახულია ჩრდილოეთი კედელი 3,5 მ. სიმაღლისა, დაზიანებულია; დანარჩენი კედლები 1 მ. სიმაღლისაა. მის ახლო არის სხვა ნანგრევი – დარბაზი (?), ნაგები აგურის ქვისა და კირისაგან. ის შესანიშნავი შენობა ყოფილა. იგი კამაროვანია; კამარები არც ერთი არ შენახულა: დგას მარტო კედლები. შიგ ამოსულია ვაზი, ნეკერჩხალი, ტყემალი. ვაზი ძლიერ მსხვილია, ის ნეკერჩხალზეა ახვეული.

აბანო გამართულია მძოვრეთის გალავნის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის გარეთ (ტაბ. LXXXV); ის ოროთახიანი და შუაში დერეფნიანი შენობაა, ნაგები უმეტეს ნაწილად აგურით, მცირედ ქვით და კირით; დასავლეთი ოთახი შიგნით გალესილია კირით; ოთახები ცოტათი დაზიანებულია; დაზიანებულია, აგრეთვე, აღმოსავლეთი კარი და ორივე ოთახის თაღის მცირე ნაწილი. ის შესანიშნავი შენობაა და ძალიან კარგად არის შენახული. პირველი, აღმოსავლეთი ოთახის ზომა – 5x5 მ., დერეფნის სიგანე – 1 მ.; მეორე ოთახის ზომა – 6,75x4,75 მ.; საჭიროა შეკეთება და გადახურვა. დღეს შენობა იმყოფება ილო ჯაღიაშვილის მამულში. შენობას თაღები ტეხილი აქვს სპარსულ ყაიდაზე.

აქვე, ილო ნიკოლოზის ძე ჯაღიაშვილს აქვს ციხის ნანგრევებიდან აღებული მილი წყლის. ამისთანავე მილი აქვს ვანო ილიას ძე ჯაღიაშვილსაც.

წყლის მილი (ორპირი) გამოჩენილა გზაზე, ილო ჯაღიაშვილის ეზოს მახლობლად.

გალავნის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გასწვრივ, დასავლეთით, 40 მეტრზე გამოდის წყალი, ალბათ, ძველი გამოყვანილიდან.

ყელეთის „წვერის" ეკლესია

ყელეთის „წვერის" ეკლესია სერზე ერთნავიანი შენობაა, 5,6x3,6 მ., ნაგები ქვიტკირისაგან. სახურავი არა ჰხურავს, სხვაფრივ კარგად არის შენახული. კარი აქვს დასავლეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. საკურთხეველს ჩრდილოეთის მხარეს აქვს თახჩა. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; იგი აგურისაა. აგური შეხმარებული აქვს ეკლესიის თაღსაც.

ეკლესია დგას ორთუბნის და ყელეთის შუა მდებარე სერზე (გორზე).

ეკლესიის ჩრდილოეთით დგას ორი მუხა, რომელთაგან ერთი ძლიერ დიდია; აქვე დგას ერთი რცხილაც.

ელბაქიანთკარის წმ. ნიკოლოზის ეკლესია

ელბაქიანთკარის ჩრდილოეთით ფერდობზე არის ძველი ეკლესიის ნანგრევი. ის ერთნავიანი შენობაა, 5,6x2,9 მ., რომელიც ნაგები ყოფილა სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. გარეთა პირი თითქმის სულ მოცილებული აქვს. დგას მარტო კედლები; კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი და სამხრეთით – ერთი. შიგნით ნანგრევია; ტრაპეზი და სხვა აღარა ჩანს. უწოდებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიას.

აქვე, ამ ეკლესიის ძირს, ფერდობის ძირში, ე.ი. სოფელში არის **სხვა ეკლესია**. ისიც ერთნავიანი შენობაა, 5,6x3,6 მ.; ნაგებია რიყის ქვის, აგურისა და კირისაგან. ის ნანგრევად არის, თაღი შენახული აქვს მარტო საკურთხეველს, ისიც დაზიანებით (გახვრეტილია), დანარჩენისა მარტო კედლები დგას. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა. შუა ეკლესიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს აქვთ მოზრდილი თახჩები. შენობას გარეთა პირი დაზიანებული აქვს.

სოფ. ელბაქიანთკარში მცხოვრებ იასონ ელბაქიძეს ძამის მარჯვენა ნაპირზე 1931 წელს უპოვია ლამბაქი წარწერით:

ქ . წინამძღრი . შვილი . დავითისა .[1]

გვერძიხეთის მიქელ-გაბრიელის ეკლესია

მდ. ძამის მარჯვენა მხარეს, ოდნავ შემაღლებულ გორაკზე, რომელიც ტყით არის დაფარული, დგას რაღაც შენობის ნანგრევი, კედლები სიმაღლით 1 მ.; ის ზომით არის: სიგრძით – 6,4 მ., სიგანით – 4,8 მ. მას მიქელ-გაბრიელის ეკლესიას უწოდებენ ადგილობრივ, მოყვანილობა კი უბრალო ოთახისა აქვს. სიგრძითაც (6,4 მ.) სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიდის და სიგანე კი (4,8 მ.) აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ეკლესიის ფორმა არა აქვს არც სიგრძე-სიგანის განაწილებით ოთხ მხარეთა შორის და არც კედლების მოყვანილობით. კარი უჩანს სამხრეთით.

---

[1] მივეცი 3 მანეთი.

გვერძინეთის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი

გვერძინეთის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი დგას ძამის იმავე მხარეს და ისეთსავე გორაკზე, როგორც ზემოთ აღწერილი შენობა, ოღონდ უფრო დაბალ გორაკზე. ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,8x2,4 მ.; შენობა დღეს თითქმის მიწასთან არის გასწორებული: ჩანს მარტო თითო პირი ქვა მიწის ზედაპირზე.

გვერძინეთის სხლებას ეკლესია

გვერძინეთის სხლებას ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5x3 მ.; დგას მდ. აბუხალოს მარჯვენა მხარეს, მთის კალთაზე, ტყიან ადგილას, გვერძინეთიდან 3 ვერსის დაშორებით. ნაგებია დიდი, სწორ-პირიანი ლოდებისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, თაღი აღარა აქვს. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი და დასავლეთით – ერთი. საკურთხეველში არის ორი თახჩა (ერთი – მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ). ტრაპეზი--სამკვეთლო აღარა ჩანს. საკურთხევლის ნაწილში ამოსულია ხე.

ორთუბნიდან მოდის ძველი გზა და გადადის გუჯარეთ-ხანდოში. ეს გზა შორი გზაა და დღესაც კარგად არის შენახული, რადგანაც ხალხი მას ხმარობს მინდვრებში თუ ყანებში სასიარულოდ. ძალიან კარგი გზაა. ის ვახუშტის აქვს მოხსენებული.

გვერძინეთიდან გაყვანილი ყოფილა წრომამდე რუ, რომელსაც თამარ დედოფლის რუს ეძახიან. ეს რუ დღესაც ალაგ-ალაგ ჩანს; მაგალითად, ზღუდერის ჩრდილოეთ გორაკზე გადადიოდა. თქმულებაც არის, რომ ერთ ძმას უშენებია წრომის ეკლესია და მეორეს – სარწყავი რუ.

გვერძინეთის მარიამწმიდის ეკლესია

გვერძინეთში, აბუხალოს წყლის შესართავთან, ე.ი. აბუხალოს და ძამის წყლის შუა არის მარიამ-წმიდის ეკლესიის ნანგრევი, 3,5x2 მ(?). ის სულ დანგრეულია: დგას მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის ნაშთი. ის ციხე-ეკლესია ყოფილა, ნაგები ქვიტკირისაგან.

გვერძინეთში, ძამის წყლისა და აბუხალოს წყლის შესართავთან არის ორი საყარაულო კოშკი[141], ერთი – ძამის მარცხენა მხარეს, მეორე – აბუხალოს წყლის მარჯვენა მხარეს.

ძამის წმ. გიორგის ეკლესია

ძამის წმ. გიორგის ეკლესია ჩვეულებრივი ერთნავიანი შენობაა, 7x3,2 მ., ნაგები კლდის სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის. მთლიანად შენახულია დასავლეთი კედელი, აღმოსავლეთი კედელი თავში დაზიანებულია, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები კი სულ დანგრეულია. კარი არა ჩანს; აღმოსავლეთ კედელს შერჩენია სარკმელი. კედლები შიგნით და გარეთ ნანგრევით არის დაფარული. იგი დგას სოფლის დასავლეთით, ტყით დაფარულ გორაკზე, მდ. ძამის მარცხენა მხარეს, ანუ ძამისა და ბნელეთის წყლების შესართავს შუა ამაღლებულ გორაკზე.

წიფლიანის ღვთისმშობლის ეკლესია

წიფლიანის ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლის თავზე, ტყიან ადგილას. ის ერთნავიანი შენობაა, 7,6x3,8 მ., ნაგები დიდი, სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. კარი აქვს დასავლეთით. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. დგას მარტო კედლები, ისიც დაზიანებული; თაღი კი სულ აღარ არის, არ არის არც ტრაპეზი და სამკვეთლო. ეკლესიაში ამოსულია ხე. ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი ნაწილი გადაწეულია და გადაქცევას ლამობს. დასავლეთი კედლის შუა ნაწილი და სამხრეთი კედლის შუა ნაწილიე ძლიერ დაზიანებულია, ე.ი. დანგრეულია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა (მარჯვნივ და მარცხნივ). საკურთხეველშივე, სარკმლის მარცხნივ (სამხრეთით), მახლობლად აქვს ღრმა თახჩა; იგი სარკმლის ხაზზეა, მაღლა. დღეს ნანგრევად არის.

სათერძეს „შუანოს“ ეკლესია

სათერძეს ხეობის მაღლა, მთაზე არისო პატარა ეკლესია, ნაგები წითელი ქვისგან, რომელსაც აქვს დაწერილი ქვაო (?) (შესაძლებელია ჩუქურთმა იყოს). ზომით იქნება 4x2,5 მ.; ადგილს ქვიანო „შუანო“.

სათერძეს წმ. გიორგის ეკლესია[142]

სათერძეს წმინდა გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 8,25x5 მ., რომელსაც სამხრეთით და დასავლეთით ჰქონია კარებთან კარიბჭეები (?); უკანასკნელნი დღეს სრულებით აღარ არსებობენ, არის მხოლოდ მათი ნანგრევი ქვები. ეკლესია შესანიშნავი შენობაა,

ლამაზია თავის აგებულებით, ნაშენია სულ თლილი, პირის ფერი ქვისა და კირისაგან, შიგნითი და გარეთი პირი ორივე თლილი ქვაა. ეკლესია ნანგრევად არის. დგას მარტო კედლები, ისიც ზევით ნაწილებში დაზიანებულია; გარეთა ქვის პირი მზე-წვიმისაგან აცრეცილია, გაცვეთილია და დაზიანებულია. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. ყველა კარი და სარკმელი შემკული ყოფილა შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვებით; დღეს ცოტად თუ მეტად უკეთესად შენახულია დასავლეთი და სამხრეთი კარების და აღმოსავლეთი სარკმლის ჩუქურთმები, დანარჩენი ძლიერ დაზიანებულია. საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ კედლებში აქვს ორი ღრმა და ძლიერ მაღალი თახჩები; ტრაპეზ-სამკვეთლო მოშლილია და აღარა ჩანს. ეკლესიაში შიგნით ამოსულია ორი ხე; შიგნითვე ამოსულია და კედლებს ახვეული აქვს ღვია.

ეკლესია დგას სოფლის სამხრეთით, ხეობაში, სათერძეს წყლის მარცხენა მხარეს, მცირე გორაკზე, რომელიც ტყით არის დაფარული. რამდენიმე კარგი ხე მოუჭრიათ. სოფლიდან დაშორებულია 2 ვერსზე. დასავლეთი კარის თავზე ჩუქურთმიან ქვაზე ვიღაცას მიუნერია: **1882 წ. იოსებ დავითაშვილი; ციციშვილი.**

ქვების წყობა სწორ ხაზოვანობას იცავს.

სათერძეს წყალს პატარა წყალსაც ეძახიან.

კოდმანის გვირგვინას ეკლესია

კოდმანის გვირგვინას ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4x2,5 მ.; ის სულ ნანგრევად არის. კარი უჩანს სამხრეთით. მას გარშემო ჰქონია გალავანი; შენახულა ნაშთი. ეკლესია დგას კოდმანის ჩრდილოეთით, 2 ვერსზე; გვირგვინა ეწოდება კლდესაც და ადგილსაც კლდის გამო.

შუანოს წითელი საყდარი

შუანოს წითელი საყდარი დგას სოფ. ზემო-შუანოს თავზე, შუანოს ვაკიან მთაზე; ის ერთნავიანი შენობაა, 4,2x2,6 მ., ნაგები სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის. შენახულის კედლები ½ მ. სიმაღლეზე, დანარჩენი სულ დაქცეულია. ქვა ნაცრისფერია; ურევია შირიმის ქვაც. რათ ჰქვიან წითელი, გამოურკვეველია. კარ-სარკმელი დანგრევისაგან არ უჩანს.

ყველაზე მაღალი ბერზონ ჯვარია; ალის ციხე და შუანოს წითელი საყდარი პირველზე დაბლებია; ორი უკანასკნელი ერთი სიმაღლისაა. შუანოს მთა ვაკიანია.

შუანოს ღვთისმშობლის ეკლესია

შუანოს ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,4x4,1 მ., ნაგები სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. შიგნით გალესილი ყოფილა კირით, რომელიც ეხლა ადგილ-ადგილ შერჩენია. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, და დასავლეთით – ერთი. დგას მარტო კედლები, თაღი შერჩენია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილს, დანარჩენი (თაღი) დაქცეულია. საკურთხევლის თაღს აქვს ორი ქვევრი; მესამის ადგილი გამონგრეულია. ტრაპეზი ქვიტკირისაა, მიშენებული კედელზე. საკურთხევლის დასანყისში, კანკელის ადგილას, ჩრდილოეთ მხარეს დგას ქვიტკირისავე, ტრაპეზის მაგვარი, ოთხკუთხი კედელი; რას ნიშნავდა, არა ჩანს.

ეკლესიას შიგნით, კედლის ძირებზე, გარეშემო სულ დასაჯდომები აქვს.

ეკლესიის სამხრეთით არის ორი შენობის ნანგრევი, აღმოსავლეთით – ერთი.

შუანოს ქვედა ეკლესია

შუანოს ქვედა ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,8x2,4 მ., ნაგებია ქვიტკირისაგან; ნანგრევად არის. დგას მარტო კედლები, დანარჩენი დაქცეულია. კედლებიდგანაც სამხრეთისა ნახევრად დანგრეულია; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთით არ შერჩენია.

ეკლესიაში შიგნით ნანგრევია და კანკელი და ტრაპეზი დაფარულია. შიგნით გალესილი ყოფილა კირით; შელესილობა შერჩენია აღმოსავლეთ მხარეს (შიგნით). ის ჩვეულებრივი, ერთნავიანი შენობაა, ნაგები ისეთივე სწორპირიანი ქვისაგან. საკურთხევლის კედელს მაღლითა ნაწილში დატანებული აქვს ორი ქვევრი.

მუხილეთის ღვთისმშობლის (?) ეკლესია

მუხილეთის ღვთისმშობლის (?) ეკლესია ერთნავიანი შენობაა, რომელსაც სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით აქვს მრავალი შენობა. ეკლესია ნაგებია დიდრონი, სწორპირიანი ლოდებისა

და კირისაგან; სამხრეთით, გარეთა კარი და კარიბჭის სამხრეთი სვეტი კამარით ნაგებია სულ თლილი ქვისაგან. ეკლესია ზომით არის 11,5x5 მ. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი შერჩენია ნაშთად მხოლოდ აღმოსავლეთით.

ეკლესია ნანგრევადაა, დგას მარტო მაღალი კედლები, ისინიც ნაწილობრივ დაზიანებულია; თაღი შენახული აქვს მხოლოდ სამხრეთი კარის გარეთა ნაწილს კარიბჭით და ნართექსს, დანარჩენი დაქცეულია. შიგნით ნანგრევია ეკლესიაში, განსაკუთრებით ამაღლებულია ნანგრევისაგან საკურთხევლის ნაწილი; ტრაპეზი და სამკვეთლო ნანგრევისაგან არა ჩანს. ყველაზე კარგად შენახულია კარიბჭე; იგი ლამაზია და ფართო თავის აგებულებით. სვეტის თავები შემკულია სნორი ხაზებით. ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; შენახულია ნანგრევი. ეკლესიის აღმოსავლეთით დგას 14 ბზის ხე. ეკლესია დგას ხევის მარჯვენა მხარეს, ტყით დაფარულ ადგილას.

მუხილეთში დგას ორი კოშკი: ერთი – ხევის მარჯვნივ, მარცხნივ. წარწერები არა ჩანს, არც მხატვრობა ეტყობა სადმე.

ტყემლოვანის ეკლესია[143]

ტყემლოვანის ეკლესია დგას სოფლის სამხრეთით, მდინარის მარცხენა მხარეს, მთის მაღალ უბეში, ტყით დაფარულ ადგილას, სოფლიდან 1½ ვერსზე. იგი ერთნავიანი შენობაა (?), 14x5 მ., რომელსაც სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით აქვს მრავალი შენობები: ეკვდერები, კარიბჭე, ძველი ეკლესია და სხვ. იგი ნანგრევად არის, შენახულია კარგად თვით ეკლესია, ეკლესიის სამხრეთი (აღმოსავლეთი ნაწილი) ოთახი; დასავლეთით – ძველი ეკლესია გვერდის (ჩრდილოეთი) შენობით. დანარჩენებს ყველას თაღი ჩაქცეული აქვს; თვით ამათაც თაღები დაზიანებული აქვს. ეკლესიას ჰქონია ქვიტკირის კანკელი ორი შესანიშნავ ჩუქურთმიანი ფიქალით; ზომა მარჯვენისა (ჩრდილოეთით) – 86x114,5x13,5 სმ., ზომა მარცხენისა (სამხრეთით) – 89x93x11,5 სმ. კანკელი ნაწილობრივ დანგრეულია. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია. აღმოსავლეთი სარკმლის ძირს არის მღვდელმთავრის დასაჯდომი; კანკელს მხოლოდ აღსავლის კარი ჰქონია. ეკლესიას გარეთა პირი თლილი ქვისაგან აქვს, შიგნით კი კამარები, სვეტები და კუთხეები მარცხნივ – თლილი ქვისა, დანარჩენი ნარევია. აღმოსავლეთი მხრიდან ეკლესიის სარკმელს აქვს ძვირფას ჩუქურთმიანი ქვები მთლად, მის ზევით – ნახევარ ვაშლივით ბურთი და კარნიზები, ისეთივე ჩუქურთმებით შემკუ-

ლი. სახურავად ფიქალი ჰქონია, რომელიც თითქმის სულ ძირსა ყრია. ეკლესია მოხატული ყოფილა, შედარებით კარგად შენახულია საკურთხეველში; აქ, სარკმლის მარცხნივ (სამხრეთით), ძირა რიგში მოჩანს ოთხი მღვდელმთავარი, ხელში გაშლილი გრაგნილებით და დახრილ-მობრუნებული თავებით. მეოთხე ძლიერ დაზიანებულია. პირველს (სარკმლის ახლოს დახატულს) გრაგნილზე უჩანს:

[illegible]

მეორეს:

[illegible]

მესამისა აღარა ჩანს.

ჩრდილოეთ მხარეს, ფანჯრის მარჯვნივაც შენახულია ოთხი მღვდელმთავარი; პირველი და მეოთხე სულ მოსპობილია, ორნი კი, შუალანი, დაზიანებული არიან. კონქში ნაშთი არის, არ ჩანს ვინ იყო დახატული. საკურთხეველში ყრია რუხი ფერის მარმარილოს ფიქალის ნატეხები, 5 ცალი; მათზე მოჩანს ჯვრის გამოსახულება. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე, აღმოსავლეთ ნაწილში, თაღიდან დაწყებული ძირამდე, მოჩანს მხატვრობის კვალი. ამის მიხედვით, სულ ყოფილა 4 რიგი (ორი თაღის ნაწილში, ორი ძირს), ესე იგი, სულ 8. მხატვრობის კვალი არის დასავლეთ კედელზედაც. აქ, ამ კედელზე, სამხრეთ ნაწილში მოჩანს 4 წმიდანის თავი მწკრივად. ყველაზე ცუდად მხატვრობის ნაშთი შერჩენია აღმოსავლეთ სარკმელში, აქა-იქ.

კარი აქვს ეკლესიას ჩრდილოეთით. დასავლეთისა ამოგებულია, სამხრეთის ნანგრევია და აღარა ჩანს. გარეშემო შენობები სულ ნანგრევებით არის სავსე. პირის ქვა გარედან ეკლესიისა და მასზე მიდმული ადრინდელი შენობებისა თლილი და სწორ-პირიანია, აღმოსავლეთ მხარეს კი სულ თლილია. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე, მოლურჯო ქვისაგან ყოფილა ძვირფასი ჩუქურთმის ჯვარი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, მის თავზე – რომბი (?), მაღლა კიდევ კარნიზები ამშვენებენ შენობას. ქვა მოწითალო ფერისაა აღმოსავლეთი მხრიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს კი შირიმისაც არის, თლილი და სწორ-პირიანი ქვებიც.

ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი, არის ნაშთი. ეკლესიის აღმოსავლეთით და სამხრეთით არის სხვა და სხვა შენობების ნანგრევები.

აღწერილი ეკლესიის დასავლეთით არის მცირე ეკლესია, რომელიც ამაზე უძველესი უნდა იყოს.

ტყემლოვანის ღვთისმშობლის ეკლესია

ტყემალოვანის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მცირე გორაკზე, რომელიც ნაძვით, სოჭით და ურთხელის (უკანასკნელი ორია) ტყით არის დაფარული. ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა, 5,5x3,4 მ., ნაგები კლდის სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. ეხლა სულ ნანგრევად არის; აღმართულია მარტო სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილის ოთხკუთხი, ვიწრო ქვა, იქნებ საკურთხევლის კუთხის სვეტის (?) ნაწილი.

ტყემლოვანის დედაბოძიანი სახლი

ტყემლოვანში, ბიჭიკო ლექსოს ძე გაგლოშვილს აქვს დედაბოძიანი სახლი, რომელსაც აქვს სამი ბოძი მზეების სახეებით, ძალიან კარგი ნამუშევარი. ერთი მათგანი დედაბოძია (აღმოსავლეთით), ორი – პატარა ბოძი (დასავლეთით). მათ დედაბოძის თავზე აქვს ბოძის თავი (?), შემკული, აგრეთვე, მზის სახეებით; ორ ბოძსაც აქვს ერთი ბოძის თავი (ორივეზეა გადებული), შემკული ისევე; სულ ხუთი ხეა, ძალიან კარგი ნამუშევარი.

ტყემლოვანში მცხოვრებ გომილა გაგლოშვილს აქვს უძვირფასესი ხელით ნამუშევარი: კერიანი სახლის ბოძები – ოთხი, ბოძის თავი – ორი და ბოძებს შუა გადებული, დაჭრელებული ხე – ორი; სულ რვა შესანიშნავი ჩუქურთმიანი ხე. ბოძის თავები თითო სიგრძით იქნება 6 მ., ბოძები – 3 მ. ბოძებს შუა ხეები – 3,5 სმ.

ალის ციხე[144]

ტყემლოვანის დასავლეთით, 5-6 ვერსზე, მთის მაღალ წვერზე დგას ქვიტკირის დიდი ციხე, წოდებული ალის-ციხედ. ციხე დგას კლდეზე, ის აზიდულია მაღლა; ის ძველი ნაგებია. ნაგებია წვრილი კლდის ქვისა და კირისაგან. შესავალი გზა აქვს აღმოსავლეთით; ის ნანგრევად არის. ზომა აქვს 30x½ მ.; შენახულია ზოგიერთი კედელი. ციხის სამხრეთით არის რაღაც ᲂშენობის ნანგრევი; ის, იქნება, ეკლესია იყოს, ზომით არის 5x3,4 მ.; შენახულია მარტო სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების ნაწილები, დანარჩენი დაქცეულა. ნაგებია ქვიტკირისაგან. ამ ნანგრევის აღმოსავლეთით არის რაღაც სხვა შენობის ნანგრევი.

ციხის გალავანი აღმოსავლეთით გრძლად ყოფილა; ეხლა კედლების საძირკველიღა მოჩანს, დანარჩენი დანგრეულია. ზემოთ მოყვანილი ზომა შენახული ნაწილის ზომაა.

ციხე წერილად ყოფილა დაყოლებული კლდეზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

ციხისა შენახულია აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები ნაწილობრივ, სამხრეთი სულ დაქცეულა, ჩრდილოეთისაც მხოლოდ ნაშთილა შენახულა.

ბერზონ ჯუარი (მაღალი საყდარი)

ბერზონ ჯუარი (მაღალი საყდარი) ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს ეკვდერები (?). ეკლესია ზომით არის 9,5x4,5 მ.; სამხრეთი ნაწილი – 6x2 მ.; ასეთივე იქნებოდა ჩრდილოეთი ნაწილიც. კედლების სისქე ყველა ნაწილებს აქვს 0,5 მ.; ჩრდილოეთი ნაწილი სულ დანგრეულია, სამხრეთი კი შენახულია ნანგრევად. ეკლესიის დგას მარტო კედლები, თაღი სულ ჩამოქცეულია. შიგნითი ნაწილი ნანგრევით არის დაფარული. კარი ჩანს დასავლეთით და ჩრდილოეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი; შიგნით კირით ყოფილა გალესილი, ამისი ნაშთი შენახულია საკურთხეველში. გარედან აფსიდები ეკლესიისაც და ეკვდერებისაც (?) მრგვალი არის. ეკლესიის დასავლეთი კედელი ნახევარზე მეტად დაქცეულია, დანარჩენი კედლები კი მეტნაკლებად არიან შენახული. ჰხურებია ფიქალი, თლილი შესანიშნავად. ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ჰქონია გალერიები (?); ეხლა ისინი ნანგრევად არიან. მათგან უკეთ შენახულა სამხრეთი; ის მთელ სიგრძეზე არ მისდევს ეკლესიას.

ეკლესიის აღმოსავლეთით და დასავლეთით არის მრავალ შენობათა ნანგრევი, განსაკუთრებით დასავლეთით. ეკლესიის შიგნით და გარეთ ყრია სახურავის ფიქალები თლილი ქვისა. ეკლესია ნაგებია სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. ტრაპეზი არა ჩანს ნანგრევებში. ეკლესიის გარშემო არის მრავალი შენობების ნანგრევები. ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით შორს, მაღალსავე მთაზე მოჩანს ალის ციხე.

ეკლესია დგას კლდოვან წვერზე. ქვა ნაწილობრივ თლილია (მაგ. სახურავის ფიქალები და სხვ.).

ეკლესიას დასავლეთით ჰქონია რაღაც შენობა ანუ ნაწილი, თუ რა, ნანგრევებისაგან არ ჩანს.

ეკლესიის დასავლეთით, ძირს, პატარა ყელზე არის ნიში.

1. სარკმლის მარჯვნივ, ძირა ნაწილში, ქვაზე ზომით 37x17,5 სმ., არის ასომთავრული წარწერა, რომელსაც ახასიათებს წერტილოვანება:

ᵀ ᵏ ᵒ ᵑ
ᵸᵀᵏᵑ(ᵀᵸ) = ᵀᵸ
ᵒᵏᵏᵋᵀᵌᵌ
ᵀᵌᵌᵀᵌᵸᵏ
ᵌᵌᵌᵀᵌᵸᵏ
ᵌᵏ : (ᵀ)(ᵌ)ᵑ(ᵀ)ᵸ
ᵌ(ᵀ)ᵏ

2. სარკმლის მარცხნივ (აღმოსავლეთით), უბრალო პირიან ქვაზე, ხავს მოკიდებულზე, რომელიც ზომით არის 21x29 სმ., არის წარწერა:

ᵷᵑ ᵸᵾᵾᵾ

3. პირველი ქვის გვერდით, მარჯვნივ, ესეთსავე ქვაზე, 21x26 სმ., წარწერაა:

ᵬᵑᵾᵾᵸ

ორივე წარწერა კუთხური ხუცურითაა ნაწერი და ერთს ხელს უნდა ეკუთვნოდეს. ორივე ძლიერ დიდი ასოებით არის ნაწერი.

პირველი წარწერა კარგი ხელით არის ნაწერი, ახასიათებს წერტილოვანობა; მეორე და მესამე კი ნაწერია გაუთლელ ქვაზე ძლიერ დიდი ასოებით. უკანასკნელ ქვებს მოწითალო ხავსი აქვს მოკიდებული; ესენი მუქი ფერის ქვებია, პირველი კი მოპირისფროა.

მესამე წარწერის მეორე სტრიქონის უკანასკნელი ასოები სწერია ესე: ᵀᵌᵸ. მესამე ასო წერტილისათვის ოდნავ შეცდომით დაუცილებია.

სამხრეთი გალერეის (?) სიგანე 1 მ.-ზე მეტი არ იქნება.

ეკლესია დგას ძლიერ მაღალი მთის წვერზე; იქიდან ქართლი ხელის გულივით მოჩანს.

ტყემლოვანი არის მადანის წყალზე;
მუხილეთის ეკლესია მუხილეთის წყალზე;
ეს წყლები გვერძინეთამდე არიან აბუხალოს წყალი.

კოდმანის ძირს, მდ. აბუხალოს მარცხენა მხარეს, კლდეზე დგას კოშკი ნანგრევად.

აბუხალოს კომპლექსი[145]

მდ. ძამის შემდინარე აბუხალოს მარცხენა მხარეს, სოფ. აბუხალოს გალმა და გასწვრივ სამხრეთ-დასავლეთით, ½ კმ.-ზე, მაღალ კლდეში არის გამოქვაბული მონასტრის ნანგრევები (ტაბ. LXXX-

VI_1). მას შესავალი გზა არა აქვს, მაგრამ დიდი წვალებით, ბუჩქებზე და ბალახებზე ხელის მოკიდებით შეიძლება ასვლა დასავლეთი მხრიდან. რაკი გამოქვაბულების ხაზზე ავალთ, შემდეგ უკვე პატარა ბილიკი გასდევს ერთიდან მეორემდე. გამოქვაბულები ერთ სართულად, ანუ ერთ მწკრივად არის გაყოლებული კლდის ხაზზე (ვიწყებ აღმოსავლეთიდან და მივსდევ დასავლეთისკენ).

1. პირველი შენობა ეკლესიაა. იგი ერთნავიანი შენობაა, 12x7(6?) მ., შედგმული კლდეში. ეკლესიას სამხრეთ ნაწილში აქვს ცალკე მოგრძო ოთახი, რომელსაც შუა ეკლესიიდან ჰყოფს თხელი ქვიტკირის კედელი (კარით შუა ნაწილში), რომელიც ორგანულად არ არის დაკავშირებული შენობასთან და ეკლესიის მოხატვის დროს უნდა იყოს ამოგებული. ეკლესია პირვანდელი ნაშენია სულ აგურისაგან (ოთხკუთხი), მის სიგრძეზე გავლებული კედელი კი (ოთახის შესაქმნელად სამხრეთით) წვრილი კლდის ქვაა. ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით, სარკმლები არ შერჩენია არც ერთი. მისი ჩრდილოეთი ნახევარი მთელ სიგრძეზე, ალბათ კლდის ჩანგრევის გამო, მოცილებულია, ასე რომ დღეს დარჩენილია მხოლოდ სამხრეთი ნახევარი.

ეკლესია მხატვრობიანია; მხატვრობა არის კირზე, რომლითაც გალესილია ეკლესია. ეკლესიას მხატვრობა აქვს მარტო შუა ნაწილში, სამხრეთ ოთახში კი სრულებით არ არის.

საკურთხეველში, სამხრეთ კედელზე შენახულია 4 მღვდელმთავარი; პირველი, სარკმლის (?) ახლოს, დაზიანებულია, დანარჩენები შედარებით კარგად შენახულან. პირველს დაზიანებული აქვს თავი მხრებამდე და მარჯვენა მხარე წელამდე; სამი დანარჩენი გაშლილი გრაგნილებით არიან, მეორეს თავი ცოტა მოხრილი აქვს, მესამე და მეოთხე კი უფრო სწორად დგანან. მხატვრობა საერთოთ აქაც და სამხრეთ კედელზედაც შუა ეკლესიაში შენახულია ძლიერ მკრთალად; შენახულია მხოლოდ წითელი და ყვითელი ფერები, ისიც – მკრთალად. ჭერს მხატვრობა არა აქვს. წარწერები არც ერთს არა აქვს არც გრაგნილებზე და არც თავთან და, იქნებ, არც ჰქონდა.

სამხრეთი კედელი (შუა ეკლესია, აღმოსავლეთიდან დასავლეთით): ხარება (?) დაზიანებულია, შენახულია მხოლოდ მარიამი; მეორე სურათი (პირველის დასავლეთით) – ნათლისღება, დაზიანებულია, იოანე ნათლავს, იესოს უკან დგანან ანგელოზი და ვინმე პირი, იესოს მუხლებთან დაჩოქილია ვინმე პირი, მარცხენაში მრგვალ პირიანი ჭურჭელი უჭირავს, მარჯვენით ევედრება, აპყრობილი აქვს იესოსკენ და იესო მას ლოცავს. იესოს ფეხებთან მოჩანან თევზები; მესამე სურათი (კარის თავზე) – ორი მანდილოსანი და ანგელოზი მჯდომარე და ანგელოზი მათ უჩვენებს თითით

დასავლეთით, მგონი საფლავზე ზის და მარიამი რომ მივიდა მეორე მარიამით საფლავთან, ის არის. ანგელოზი დიდია, მარცხენაში ლახვარი (?) უჭირავს; მეოთხე სურათი – ჯვარცმა, ქრისტე ჯვრიანი ძლიერ დაზიანებულია; სხვანიც დაზიანებულნი არიან. ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ სამ-სამი პირია შენახული, ქრისტესი მარტო მარჯვენა ხელია და მუხლს ქვევითი ნაწილი შენახული, ჯვრის მარცხნივ მდგომარენი შედარებით კარგად არიან შენახული; მეხუთე სურათი – მგონი, კონსტანტინე მეფე და დედოფალი ელენე ევედრებიან მათ წინ მდგომარე, მათკენ მიბრუნებულ (დასავლეთით) მაცხოვარს. კონსტანტინე და ელენე დასავლეთით არიან, მაცხოვარი კი აღმოსავლეთით, პირით დასავლეთისკენ და მაცხოვარი კი, მგონი, უჩვენებს, აი ჯვარიო და მათ შუა ჯვარია ამართული. მაცხოვარს პირისახე დაზიანებული აქვს, დედოფლისა კი მხოლოდ ხელიღა მოჩანს. ამ სიუჟეტს აქვს მინაწერები ჩაჭდევით. ეს არის მაცხოვრის ტანისამოსზე, მუხლ ქვევით, ნითელ ფერზე ტანისამოსისა. აქ არის სულ სამი მინაწერი.

I. წარწერა ხელის მიხედვით ეკუთვნის XVII საუკუნეს:

(ქ) ჩვენ ბატონს შვილმა (გიორგიმ?) [- - - -](მო)ვ(ინ)დ(ომ)ეთ აქ მოსლა და მ(ოვ)ე(დით)

(დ)ღეს

II. პირველი მინაწერის ქვევით, ტანისამოსის მარჯვენა ნაწილში (მას ვერტიკალური ხაზები სჭრის და აფუჭებს, განსაკუთრებით აძნელებს მესამე სტრიქონის ამოკითხვას):

(ქ) ჩვენ ბატონის შვილი
პა(პ)უა მოვედით აქა
ქ(კ)ნ(ს)ა ტნ(ით) ვინც წ[ა]კით
ხოთ შენდობა ბძანეთ

III. მეორე მინაწერის მარცხნივ, ე.ი. მაცხოვრის ტანისამოსის მარცხენა ნაწილში, არის მესამე მინაწერი:

ქ შე წი
(ნა)მძღვ(რი)
შვილი მ
ღვდელი
გრიგოლ
ფიყავი [- -]
აქ [- - - - -]
[- -] (ქკ˜ს)
უ(ნ)გ

მეექვსე სურათი (დასავლეთ კუთხესთან) – ლაზარეს აღდგინება; იგი ოდნავ დაზიანებულია (ტაბ. LXXXVI$_2$).

დასავლეთი კედელი: სამხრეთ კუთხესთან შენახულია მხატვრობის კვალი.

სამხრეთ ოთახში გასასვლელ კარს შერჩენილი აქვს მარტო ჩარჩო. ამ სამხრეთ ოთახს სამხრეთი კედლის ძირას აქვს დასაჯდომები.

ეკლესიის აღმოსავლეთით კიდევ ყოფილა ერთი ოთახი, გზა არ არის. გამოქვაბულის აღმოსავლეთ ოთახში შესულა ადგილობრივი მცხოვრები მასწავლებელი, ექვთიმე შავლოხაშვილი. მისი სიტყვით, იგი ერთნავიანი, მცირე ბაზილიკა ყოფილა. მგონი, ბერის სამლოცველო სენაკია. იქ უნახავს:

1. ჯოხი, წითელი ხისა.
2. პირსახოცი პატარა.
3. ანაფორის (?) ნაგლეჯი.

ყველა დაკარგულია.

2. ოთახი კლდეში, სულ კლდისაა, მარტო ჩრდილოეთი კედელია ქვიტკირისა, ფანჯრებით ჩრდილოეთით. მასალა ქვიტკირისა: კლდის ქვა და კირი – სამივე კედელი (სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი) და ჭერი კლდეა.

3. ორი ოთახი კლდეში, კედელი აღარა ჩანს ჩრდილოეთით. ამიტომაც სამი კედელი კლდეა.

4. ორი ოთახი კლდეში, ისეთივე ჩრდილოეთი კედელი აქვს, სარკმლებიანი. ჭერი კარგად არის კლდისა. მათ ძირს გამოთხრილი კლდეა.

5. ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთი კედელი სულ ქვიტკირის აქვს (ქვა და კირი), აღმოსავლეთით – თხელ კედლად დარჩენილი კლდე. შიგნით გალესილი ყოფილა კირით, რომელიც შერჩენია აღმოსავლეთ კედელს და სამხრეთ კლდეს. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 7,2x2 მ.; კანკელი ქვიტკირისა ჰქონია, ერთი კარით აღსავლისა. ჩრდილოეთი კედელი ნახევარზე მეტად დანგრეულია. კარი აქვს ჩრდილოეთით; ფანჯარა აღარ შერჩენია. ტრაპეზი მოშლილია.

6. მცირე ოთახი კლდეში, ჩრდილოეთ მხარეს აქვს ქვიტკირის კედელი.

7. წყლის გამოქვაბული კლდეში. წყლის აუზი სულ კირით ყოფილა გალესილი. წყალი ცივი და კარგია; დღეს უმეტესი ნაწილი კლდის ნანგრევით, ქვიშით არის ამოვსილი. გზა ყველას შესდის დასავლეთი მხრიდან.

8. კოშკი, რომელსაც სამხრეთი მხარე კლდე აქვს, ხოლო დანარჩენი ქვიტკირი ყოფილა. შენახულია მარტო დასავლეთი კედელი, ისიც ნანგრევად. ეს, შესაძლებელია, კოშკი იყო საყარაულო. მისი კედელი მისდევს კლდეს ქვევით, ე.ი. შესავალში ჰფარავს.

ბნელეთის საყდარი

ბნელეთის საყდარი არის სოფლის აღმოსავლეთით, განაპირას. ის ერთნავიანი შენობაა, 13x4 მ., რომელსაც ჩრდილოეთით და სამხრეთით ჰქონია სამხროები(?) მთელ სიგრძეზე. ეკლესია ნანგრევად არის; შენახულია მარტო ჩრდილოეთი სამხრო, ისიც დაზიანებით. დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილები დაქცეული აქვს; ზომით არის 13x1,9 მ. ეკლესიას კარი ჰქონია სამხრეთით, დასავლეთით არა ჩანს და ჩრდილოეთ სამხროში (?) გასასვლელი. ეკლესია შიგნით და გარეთ სავსეა ნანგრევით; მისი კედლები ჩანს 1 მ. სიმაღლისა, დანარჩენი სულ ნანგრევშია მოქცეული; ტრაპეზი და სხვა აღარა ჩანს. ნაგებია კლდის სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან.

ნანგრევისა გამო სხვა აღარაფერი აიწერება.

აქ ცხოვრობენ გაიშვილები – 5 კომლი. ძამაში არის 25 კომლი: ცხოვრებაძე, ლომიძე, გრიგალაშვილი.


ქარტას მთაზე მცირე ეკლესია

ქარტას მთაზე ყოფილა შენახული მცირე ეკლესია, თაღიც აქვსო. მთა ძალიან მაღალიაო. აქეთა მხარეს ამაზე მაღალი მთა არ არისო.

ქარელიდან ზღუდერამდე – 9 ვ.
ზღუდერიდან გვერძინეთამდე – 7 ვ., ორთუბნამდე – 3 ვ.
გვერძინეთიდან ტყემლოვანამდე – 12 ვ.
ტყემლოვანადან აბუხალომდე – 4 ვ.
აბუხალოდან გუჯარეთის ყელამდე – 5 ვ.

ურბნისი

ქვა, დატანებული ურბნისის გალავნის ყორეში, სამხრეთის მხარეს, 14x10 ვერშ. ჩარჩოიანად (ნახ. 22):



ნახ. 22

რუისი

აქ, წმ. დიმიტრის ეკლესიასთან, დგას (სამხრეთით) ორი სვეტი, ერთი – ლეგა ფერისა, მეორე – შავი. გიორგი ჭელაძის ცოლი ტყვედ წაუყვანიათ ლეკებს. მას თან გაჰყოლია ძუძუმწოვარი ბავშვი (ვაჟი). ბავშვი რომ გაზრდილა, მიბრძანებულა და დაზე მოუნდომებია ჯვრის დაწერა და მიტომ გაქვავებულან.

ლეგას თავზე მრგვალი ქვა ჰქონია ქუდივით. ეს ქვები სდგანან აგურისგან ნაშენი სამრეკლოს ნანგრევის წინ (სამხრეთით).[I]

რუისის ქართველთა წმ. კვირიკეს ეკლესიის სამხრეთით დევს ძლიერ დიდი ქვის კუბო, უსახურავოდ. იგი კარგად არის (ძალიან) შენახული. სიგრძე – 3½ არშ.; სიგანე – 1არშ. 1ვერშ.; სიმაღლე – 1 არშ. დაახლოებით.

არადეთის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა[146]

არადეთის წმ. გიორგის სასაფლაოს ეკლესიაში არის ჩუქურთმიანი ქვა, სვეტისთავი უნდა იყოს, წარწერით:

ⴑⴓ[I]
ⴓⴰⴕⴄⴋ[II]
ⴓⴓⴑⴔⴄⴓ[IV]
ⴝⴋⴗ

ბრეთის წმ. გიორგის ეკლესია[147]

ბრეთის წმ. გიორგის ეკლესიას, სამრეკლოთი და კოშკით დასავლეთის მხარეს, სამხროები აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით – ნაწილობრივ ზედ მიშენებული; თაღი – ოდნავ ტეხილით.

დირგის ეკლესიაში დაცული ნივთები

დირბის ეკლესიაში არის დაცული სოფ. საღოლაშენის ეკლესიიდან გადმოტანილი, ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, წარწერით:

შეიწირე ხატი ესე ულუმბის ღ˘თის მშობლის ეკლესიასა სანი იაკოსძე ტერ ერქუროვმა სულისა ჩემისა მეოხად წელსა ჩყმთ

I ცნობა კავლელაშვილისა.
II დაზიანებულია.
III დაზიანებულია.
IV დაზიანებულია.

ჩუქურთმიანი ქვები ბრეძას ეკლესიის ახლოს

ბრეძის ეკლესიის ახლო არის მრავალი (თხუთმეტზე მეტი) ჩუქურთმიანი ქვები, ერკემანი, ძუძუს ჩამოსაბანი და სხვ. როგორც გადმომცეს, ძუძუს ჩამოსაბანზე ჩამოიბანენ რძეგამშრალი დედები, დალევენ და რძე მოუდგებათო (?).

წყვდელისის „ციხე“

წყვდელისის „ციხე“, ნამდვილად კი კოშკი, დგას მთის კალთაზე. ნაგებია ქვიტკირისაგან. ფორმით ოთხკუთხია, ზევითა ნაწილში მოვიწროებულია; კარი აქვს აღმოსავლეთით და დასავლეთით მაღლითა ნაწილებში. სათოფურები ყოველ მხარეს აქვს.

წყვდელისის „გერის“ ეკლესია

წყვდელისის „გერის“ ეკლესიის ნანგრევი დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთით – 1½-2 ვერსზე, ლოპანის წყალის მარჯვენა მხარეს, მთის დაბალ სერზე. ის ერთნავიანი შენობაა, 8,9x3,8 მ., ნაგები ქვიტკირისაგან. კარ-სარკმელს შეხმარებული აქვს თლილი ქვა. ეკლესია ნანგრევებად არის; ის დაუქცევიათ 1927-1930 წლებში მარმარილოს ქარხნის, თუ ხე-ტყის ქარხნის შენობისთვის საშენ მასალად. დღეს ეკლესიის შიგნითი და გარეთი მხარეები სულ ნანგრევებით არის სავსე; მთლიანად დგას მარტო ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი ნახევარი და საკურთხევლის ჩრდილოეთი მხარე სარკმლამდე. თვითეული ამათგანი ზომით არის 8 მ. (დაახლ.); დანარჩენი კედლებიდან – დასავლეთი კედელი, ნახევრად გატიტვლებული (ზევითა ნაწილში), 3,5 მ. სიმაღლისა იქნება, სამხრეთი – 2-3 მ. და საკურთხევლის სამხრეთი ნაწილი, 6 მ. სიმაღლისა.

ეკლესიის მასალაში, სხვათა შორის, არის მადნის ქვაც.

ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ჰქონია გალერიები (?), თუ ეკვდერ-ნართექსი; მათი საძირკველი კარგად მოჩანს, განსაკუთრებით – ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ეკლესია შესანიშნავი შენობა ყოფილა; კარი აქვს დასავლეთით და, ნანგრევებით ეტყობა, აგრეთვე სამხრეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი მარტო აღმოსავლეთით შერჩენია; ის მოზრდილი ზომისაა (ეხლა მისი სამხრეთი ნახევარი მოცილებულია).

ეკლესიის ჩრდილოეთით შენახულ (დასავლეთ ნაწილში) კედელს ზედ ფათალო აქვს გადასული.

ეკლესია მოხატული ყოფილა. მხატვრობის კვალი შენახულია საკურთხევლის შენახულ ჩრდილოეთ ნახევრის კონქის ნაწილში. აქ მრავლად შერჩენილია წითელი ხაზები; სახეების ნაშთი არ შენახულა. გალერეიების სიგანე 2½ მ-მდე არის. საკურთხევლის ჩრდილოეთ მხარეს შერჩენია თახჩა. ეკლესიის დასავლეთით და სამხრეთით არის მრავალ შენობათა ნანგრევები. გეგმა ეკლესიისა სადაა.

ტრაპეზ-კანკელი ნანგრევისაგან აღარა ჩანს. ეკლესია ძვირფასი შენობა ყოფილა. გარეთა პირი ეკლესიისა სულ თლილი შირიმის ქვა ყოფილა. ეს პირი კარგად შენახულა საკურთხევლის გადარჩენილ (ჩრდილოეთი ნახევრის) კედელს გარედან. დანარჩენ ნაწილებს, რაც ნანგრევს მაღლა არის, შემოცლილი აქვს. შიგნითი პირი ყველა კედლისა და გარეთა პირი თვით ეკლესიის მთავარი ნეფისა უბრალო ქვიტკირია. ასე რომ, თლილი ქვა ექნებოდა ეკლესიას მხოლოდ სულ გარეთა მხარეს. ეკლესიას აღმოსავლეთ მხარეს, ძირა ნაწილში აქვს კარი, ალბათ აკლდამაში შესასვლელი; იგი ნახევარზე მეტად ნანგრევით არის სავსე. თაღი ამ კარს და, აგრეთვე, მის ზევით მყოფ სარკმელს მრგვალი აქვს. ნანგრევებში მოჩანს სწორი კრამიტების ნატეხები. სერის ძირში სთხრიან საღებავ (?) მადანს, რომლის ქვაც ურევია ძეგლის კედლებსაც. მთელი ეს სერი ასეთ მადანს წარმოადგენს თურმე.

გვირგვინას ღვთისმშობლის ეკლესია

გვირგვინას ღვთისმშობლის ეკლესია დგას ლოპანის წყალის მარცხენა მხარეს, კლდოვანი სერის დაბალ ბექობზე. ის ერთნავიანი შენობა ყოფილა, 3,2x1,6 მ.; არის მარტო ნიწასთან გასწორებული ნანგრევი. კარი უჩანს სამხრეთით; ეკლესიის სამხრეთით და დასავლეთით არის ორი დიდი შენობის ნანგრევები. ადგილი, სოფლის აღმოსავლეთით, ტყით არის დაფარული.

გვირგვინას ქვაბთაღელეს საყდარი

გვირგვინას ქვაბთაღელეს საყდარი ერთნავიანი შენობა ჩანს, რომელსაც ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით გალერეიები, თუ ეკვდერ-ნართექსი აქვს. ის ნანგრევად არის: შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი, ისიც დაზიანებით. დანარჩენი სულ დაქცეულია; შუა ნაწილი ე.ი. თვით ეკლესია შიგნით, სულ ნანგრევით არის სავსე, რომელშიაც ტყე ამოსულა და ნანგრევს ხავსი მოჰკიდებია; ჩრდილოეთი ნაწილი ღამურების საბუდრად არის ქცეული. დასავლეთის და სამხრეთის შენობები სულ ნანგრევად

არის თავამდე; ჩრდილოეთ ნაწილში ჩასვლა შეიძლება მხოლოდ ეკლესიის მხრივ კარიდან და დასავლეთის ღია კამარიდან, ისიც გაჭირვებით, ნანგრევი უშლის ჩასვლას. ამ ნაწილს ეკლესიაზე მიდგმული სვეტები ნაწილობრივ დაქცეული აქვს, თაღი წყლით აქვს გაჟღენთილი და ისიც მალე დაქცევას ღამობს. ეკლესია ნაგებია სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან; კუთხე-კარებში შეხმარებული აქვს თლილი ქვა. ჩრდილოეთი ნაწილის დასავლეთი მხრის კამარა აგურისაგან აქვს გადაყვანილი. ეკლესიის დასავლეთით არის ეკვდერი. მის აღმოსავლეთით არის ორი ქვა სვეტისა. ეკვდერის სამხრეთით, 5-6 მ.-ზე არის კარნიზის (?) ქვა, შემკული შესანიშნავი რგოლისებური ჩუქურთმით.

ამ ეკლესიის მიდამოში ე.ი. ეკლესიის დასავლეთით არის სხვადასხვა შენობათა ნანგრევები. ეკლესიის ზომა – 11x5 მ.; გვერდებისა და დასავლეთი ნაწილის სიგანე – 2 მ.; ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, უფრო კი ჩრდილოეთის შენობაზე (გალერეიაა, თუ ეკვდერი) ამოსულია ძლიერ დიდი რცხილა. ეკლესია დიდი ხნის დაუქმებული უნდა იყოს. იქვე, ჩრდილოეთის შენობაზე, ამოსულია სხვა ხეებიც.

ქალეთის ღვთისმშობლის ეკლესია[148]

ქალეთის ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,4x3,7 მ.; ნაგები ყოფილა დიდი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. ის ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები 2 მ. სიმაღლის, ისიც ნახევარზე მეტად დაქცეულია. კარი უჩანს სამხრეთით; შიგნით და გარეთ ნანგრევით არის სავსე. ის დგას ტყით დაფარულ ადგილას. მთელი ეს ადგილი დაფარულია მრავალი შენობების ნანგრევებით. აქ ძველად მონასტერი ყოფილა.

ბალთას წმ. ბასილის ეკლესია[149]

ბალთას წმ. ბასილის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,6x3,6 მ., ნაგები ქვიტკირისაგან. ის ნანგრევად არის. თაღის დასავლეთი ნახევარი ჩაქცეულია; კედლებიც ადგილ-ადგილ დაზიანებულია. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დანარჩენი არა ჩანს. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, იგი დაზიანებულია. საკურთხევლის სამხრეთ ნაწილში არის დიდი თახჩა, ჩრდილოეთ ნაწილში კი მცირე თახჩა. კანკელი აღარა ჩანს, ხისა იყო (?). ეკლესიაში ყრია ადამიანის ძვლები. ეკლესია საინტერესოა საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილის მოყვანილობით.

ბალთას კვირაცხოვლის ეკლესია[150]

ბალთას კვირაცხოვლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5x2,9 მ.; ნაგებია სწორპირიანი ქვისა და კირისაგან, კარ-სარკმელს და კუთხეებს შეხმარებული აქვს თლილი ქვა. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული ორი ქვისგან. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა მაღლითა ნაწილებით: ერთი – სამხრეთით, მეორე – ჩრდილოეთით. კანკელი არა ჩანს. ეკლესია შედარებით მთლიანად დგას; სახურავი დაზიანებულია, ზედ მცირე ხეებია ამოსული. იგი დგას სოფლის განმარტოებით, მცირე კალთაზე. მის გარშემო მრავალი დიდი ხნის მუხებია. ერთი მათგანი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ახლოა, ეხლა მოუჭრიათ და იქვე გდია. ეკლესია კარგი შენობაა.

ბალთას „კომლაძეს“ ეკლესია[151]

ბალთას „კომლაძეს" ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,8x2,8 მ., ნაგები ქვიტკირისაგან; გარეთა პირი ნაწილობრივ თლილი ქვაა. ის შედარებით კარგად არის შენახული, თუმცა კედლები და სახურავი დაზიანებული აქვს. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, ის ერთიანი ქვაა. საკურთხეველში არის ორი თახჩა: ერთი – სამხრეთით, მეორე – ჩრდილოეთით. კანკელისაგან შენახულია ერთი ქვის ძირი ჩრდილოეთ კედელთან. ეკლესიის გარეშემო არის მუხის დიდი ხეები; ეკლესიის ჩრდილოეთით დგას ძლიერ დიდი მუხის ხე.

ბალთას ღვთისმშობლის ეკლესია[152]

ბალთას ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 8,8x3,7 მ., რომელსაც სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ჰქონია გალერეები თუ ეკვდერ-ნართექსი (?). ძეგლი ნანგრევად არის: დგას მარტო ჩრდილოეთი კედელი ეკლესიისა და საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი, ისიც ძლიერ დაზიანებული, დანარჩენი კედლები და გვერდის შენობები სულ მიწასთან გასწორებულია, მოჩანს მარტო მათი საძირკვლები. ჩრდილოეთ კედელს ჰქონია კარი, რომელიც ეხლა ამოგებულია. ნაგებია ქვიტკირისაგან.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 6 მ.-ზე, დგას სხვა ეკლესიის თუ სხვა შენობის ნანგრევი, 4,8x2,8 მ.; შენახულია მარტო დუღაბი აღმოსავლეთის ორი კუთხისა და სამხრეთ-დასავ-

ლეთის კუთხისა, დანარჩენი სულ დაქცეულია. ეს ნანგრევები დგას სოფლის გარეთ, ტყით დაბურულ ადგილას.

დიდი ეკლესიის დასავლეთით, 3 მ.-ზე, დგას დიდი ქვის სვეტი, 1,3 მ. სიმაღლისა; იგი რვაწახნაგოვანია.

შენობებს გარშემო გალავანი უნდა ჰქონოდა. ამას ამბობს დასავლეთ მხარეს, ირგვლივ დაყრილი ქვა.

მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია

მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიისა მხოლოდ საძირკველიღა მოჩანს; ზომით ყოფილა დაახლოებით 6x3,2 მ.; კედლები სრულებით არ შენახულა, ის მინასთან არის გასწორებული. დგას მცირე ბორცვზე, კლდოვან ადგილას, რომელიც დაფარულია ტყით.

ეს ნაშთი არის სოფელში.

მეტეხის მაცხოვრის ეკლესია[153]

მეტეხის მაცხოვრის ეკლესია დგას სოფლის ზევით „ჭალა"-ში, მდ. აბანოს მარჯვენა ნაპირას. იგი ერთნავიანი შენობაა, რომელსაც ჩრდილოეთით მიშენებული აქვს ეკვდერი. ზომით არის 5,6x2,6 მ. ეკლესია მთლიანად არის, ის მხოლოდ ოდნავ არის დაზიანებული. ეკვდერი კი დაზიანებულია. მას თაღი ჩაქცეული აქვს, კედლებიც ოდნავ დაზიანებულია; ეკლესიას აღმოსავლეთი კედელი მაღლითა ნანილში დაზიანებული აქვს. კარი აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით (ამ უკანასკნელით გადიან ეკვდერში). ეკვდერი ნახევრად ნანგრევით არის სავსე. სარკმელი ეკლესიას აქვს: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი; ეკვდერს: აღმოსავლეთით – ერთი.

ეკლესია ნაგებია დიდი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. ეკვდერი ნაგებია ქვიტკირისაგან. საკურთხეველი 40 სმ.-ით ამაღლებულია შუა ეკლესიიდან. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. კანკელი აღარ ეტყობა. საკურთხეველში არის ორი თახჩა: ერთი – ჩრდილოეთით, მეორე – სამხრეთით; ეკლესიის დასავლეთ კედელზე, გარედან, სარკმლის თავზე აქვს ქვა ჯვრის გამოსახულებით (ძველი ფორმისა), ამობურცვით.

ეკლესიის გარეშემო არის დიდრონი ხეები. ეკლესიის სამხრეთით, 5-6 მ.-ზე არის აკლდამები. ერთისა მოჩანს ზედა სახურავი ქვა, მეორისა – სამი გვერდის ჩაყუდებული ქვა.

ფათქინეთის ნადარბაზევის ეკლესია

ფათქინეთის ნადარბაზევის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,8x3 მ., ნაგები დიდი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები, სამხრეთისა დაქცეულია. საკურთხეველს თაღი შენახული აქვს. ეკლესია შიგნით ნანგრევით არის სავსე. კარი არ უჩანს; სარკმელი შერჩენია აღმოსავლეთით. საკურთხევლის ჩრდილოეთის ნაწილში არის თახჩა.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, 20 მ.-ზე არის სახლის ნანგრევი; შენახულია აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები, ჩრდილოეთის – ნაწილობრივ, ხოლო სამხრეთისა სულ მოსპობილია. ეკლესიასა და სხვა ნანგრევს გარეშემო ჰქონია გალავანი, რომლის ნაშთიც შენახულია აღმოსავლეთ მხარეს.

შალიბაშვილების საბუთები წაუღიათ წრეს მცხოვრებ ვასილ და ლევან კოკოშვილებს.

ეკლესიის ქვევით, ე.ი. სამხრეთ-დასავლეთით რომ ნანგრევი სახლი არის, ზომით არის 9,5x7,7 მ.; შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები; ჩრდილოეთისა შუა ნაწილში ჩანგრეულია, სამხრეთი კედელი კი სულ მოსპობილია. შენახული კედლები სიმაღლით არის 1,5-2 მ.-მდე, სისქით – 70 სმ.-მდე.

ეს უნდა ყოფილიყო ძველი დარბაზი შალიბაშვილებისა თუ სხვის წინაპრისა.

შიგნით, იატაკის ადგილი ნანგრევით უნდა იყოს ამაღლებული. თახჩების, ან კოჭების ადგილი არ ეტყობა. კარი, კედლების დაზიანების გამო, არა ჩანს, საით იყო. დასავლეთ კედელში არის კარის მაგვარი ადგილი; შესაძლებელია, ის იყო სარკმელი; სიგანე აქვს 70 სმ.

აქვე, ამავე ადგილებში, სხვაგანაც არის შენობათა ნანგრევები. აქ ხალხის ნასახლარებია. ასეა მაგ., ეკლესიის დასავლეთით, ორ ადგილას და სხვ. დარბაზი ნაგებია ქვიტკირისაგან. სხვა ნანგრევებიც ქვიტკირისაა.

ფათქინეთის ბაზიანთ-უბნის ეკლესია[154]

ფათქინეთის ბაზიანთ-უბნის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6x4,5 მ.; დგას სოფლის გარეთ, დასავლეთ სერზე, ნაგებია ქვიტკირისაგან. გარეთა პირი თლილი ქვაა, ნაწყობი სწორ-ხაზოვნად, შიგნითა კი ქვიტკირი. დგას მარტო კედლები, რომელთაგან სამხრეთი კედე-

ლი ნახევარზე მეტად დაქცეულია. ყველა კედლებს გარეთა პირის ქვები ზევითა ნაწილში მოცილებული აქვს და ეკლესიასთანვე ყრია. ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, სამხრეთისა ყორით არის ამოგებული. სარკმელი შერჩენია აღმოსავლეთით ერთი და დასავლეთით ერთი; კანკელი ქვიტკირისაა, 2 მ. სიმაღლისა; აქვს მარტო ერთი, აღსავლის, კარი. კარის მარჯვნივ და მარცხნივ აქვს ორ-ორი დიდი სარკმელი (?). ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, შენახულია მარტო სიმაღლის ქვა. ეკლესია შესანიშნავია თავის კანკელით და საკურთხევლის მოყვანილობით. კანკელის კედელი მარცხნივ (სამხრეთით), ზევითა ნაწილში ცოტათი დაზიანებულია.

გარეთა პირი შედარებით კარგად შენახულია. აღმოსავლეთ კედელზე, აღმოსავლეთი სარკმლის თავზე უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით (ჩაღრმავებით).

შინდარას წმ. გიორგის ეკლესია[155]

შინდარას ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,6x3,2 მ., ნაგები დიდი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები. კარი აქვს სამხრეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი. კანკელი ფიქალებისა ჰქონია, ერთი აღსავლის კარით; მარცხენა ფიქალი ნაქცეულია და მარჯვენა დგას; უკანასკნელს მარცხენა მხარე უნდა მოტეხილი ჰქონდეს. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; იგი ნანგრევად არის. საკურთხეველს აქვს სამი თახჩა: ორი – ჩრდილოეთით, ერთი – სამხრეთით. ეკლესიაში არის ქოცოები სარქველებით.

ეკლესია დგას სოფლის ქვევით, ბოლოს. ეკლესიაში ამოსულია ორი დიდი ხე.

თიღვის ეკლესია[156]

თიღვის ეკლესია გუმბათიანი შენობაა, ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან (ტაბ. LXXXVII, LXXXVIII). გუმბათს არაფერი ჰხურავს, კალთებს – ნაწილობრივ კრამიტი, თითქმის სულ დამტვრეული, ნაწილობრივ (დასავლეთ ნაწილს) – თუნუქი, ისიც ნაწილობრივ აყრილი. კრამიტებში არის მინანქრიანი კრამიტებიც, მცირე რიცხვით. ეკლესია შიგნით გალესილია კირით; თაღები უსახურაობისგან დასველებულია და კირი აცლილი აქვს. გარეთა პირის ქვები ნაწილობრივ გამოძრობილია და შეკეთებას მოითხოვს. ეკლესიას შიგნით, დასავლეთის ნაწილში, აქვს ქვიტკირის აივანი; ამ აივნიდან არის

გასაძრომები აღმოსავლეთ ნაწილში, მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც.

ეკლესიას დასავლეთით აქვს ნართექსი, რომელსაც თაღი აქვს სამი წრისაგან; ეს წრეები შესანიშნავად შეწყობილი ქვებისაგან არის გამოყვანილი.

ეკლესიას სამხრეთით აქვს კარიბჭე. მას კარის ზევით აქვს შესანიშნავი ჩუქურთმა. ასევე შესანიშნავი ჩუქურთმით შემკულია ამავე სამხრეთი მხარის სარკმელი (მისი პირის ქვა) და ჩრდილოეთის მაღლითა კარი, რომლის თავზედაც არის წარწერა.

ეკლესიის ნართექსს (დასავლეთ ნაწილს) ძველად სამი კამარაკარი ჰქონია დასავლეთით; ეხლა ორი ამოგებულია, შუა დატოვებულია.

ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ეხლა ამოგებულია, ძველადვე ამოუგიათ); ერთი მაღლითა კარი აქვს ჩრდილოეთით (ის მაღლა, აივნის არის).

სარკმლები აქვს: გუმბათში – თორმეტი, დიდი; აღმოსავლეთ ნაწილს: დიდი – ერთი, მცირე – ორი, სანათური – ორი; სამხრეთ ნაწილს: დიდი – ერთი, მცირე – სამი, სანათური – ერთი; დასავლეთ ნაწილს: დიდი – ერთი, მცირე – ორი (ამათგან ერთი ამოგებულია); ჩრდილოეთ ნაწილს: დიდი – ერთი, პატარა – ორი, სანათური – ერთი (კარიც მაღლა ერთი).

ეკლესიის გარშემო შენახულია გალავნის ნაშთი შესავალი კარით, სამხრეთით.

ეკლესიის გალავანს გარეთ, აღმოსავლეთით, არის რაღაც დიდი შენობის ნანგრევი.

ეკლესიის შიგნით შელესილობა თაღებზე ნაწილობრივ ჩამოცვივნული აქვს და სოფიის კენჭი არსად ეტყობა.

გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არის ძველი გამოყვანილი წყარო.

ეკლესიის გუმბათი დაბჯენილია აღმოსავლეთით საკურთხეველის კედლის ნაწილებზე და ორ ოთხკუთხ სვეტზე. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია. მის აღმოსავლეთ კედელში არის ნიშის მაგვარი დასაჯდომი მღვდელმთავრისა. საკურთხევლის ჩრდილოეთით, აფსიდში არის სამკვეთლო, სამხრეთისაში – სალარო.

ზომა ეკლესიისა: უნართექსოდ – 15,6x11,2 მ.; ნართექსის ზომა: სიგრძით – 3,35 მ., სიგანით – 11,2 მ.

ეკლესია, გუმბათიდან დაწყებული და კედელიც, გაუხეთქნია მიწის ძვრას; გუმბათს სახურავი სულ აღარა აქვს, იგი ზიანდება. კალთებსაც ესაჭიროება შეკეთება-გადახურვა. ეკვდერში წყალი

დის. წყალი დის თვით ეკლესიაში. შუშები არც ერთი არა აქვს. მოითხოვს დიდ შეკეთებას. გალავანი შესაკეთებელია.

აქედან ხატები და სხვა ნივთები სოფ. ხეითში წაუღიათ, დღეობის დღეს მოასვენებდნენ. შემდეგ ისევ წაასვენებდნენ ხეითში. ეხლაც იქავ უნდა იყოს.

თიღვის რწმუნებულად, სასურველი იყო თიღვის სკოლის გამგე, ლევან ოდიკაძე (მახლობელი სოფლის მცხოვრებია). დროებით მეთვალყურედ არის ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალიკო ჯახველაძე.

ეკლესიას ჩრდილოეთის დიდ ფანჯრის თუ კარების თავზე აქვს ქვა, 174x88 სმ. წარწერით (ტაბ. LXXXVIII$_1$):

ⴒⵊⵏ"ⵖⵟ	ⵛⵊⵖ [- -]
ⵊⵏ ⵑ"ⵁ ⵛ"ⴒⵁ	ⴒⵝ ⴰⵁⵜⵛ
ⵝⵛⵛ ⵝ"ⵜⵖⵟⵎⵊⵏ:	ⵑ"ⵟⵝⵛ ⵊⵟⵑⵓ
ⵝⵄⵜⵝ"ⵟ ⵊ"ⵛⵎⵝ ⵜ"ⵔⵟ	ⵛ"ⵟⵝ: ⵊⵝ ⵄⵊⵄⵟ ⵊⵟ
ⵟ"ⵁ ⵛⵜⵔ"ⵟⵝⵁ: ⵊ"ⴒⵊ	ⵒⵊⵖⵏ ⵊⵝⵄ"ⵑⵝⵛ ⵄ"ⵏ
ⵔⵟⵖⵟⵛ: ⵄ"ⵏ ⵖ"ⵛ ⵠ"ⵑ	ⵝⵛ ⵓⵛⵊⵛⵑⵝ:

თიღვის ჭინჭრების ეკლესია

თიღვის ჭინჭრების ეკლესია დგას სოფლის გარეთ, ჩრდილოეთით, ½ ვერსზე, შესანიშნავ, ტყით დაფარულ, ვაკე ადგილას. იგი ერთნავიანი შენობაა, 9,6x4,7 მ.; ნაგებია სწორპირიანი ქვისა და კირისაგან; კარ-სარკმელს, კუთხეებს, პილიასტრს შეხმარებული აქვს თლილი ქვები. კარი აქვს სამხრეთით; ძველად დასავლეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოგებულია. სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთით და ჩრდილოეთით აღარ ეტყობა დანგრევის გამო.

ეკლესია ნანგრევად არის. დგას მარტო კედლები, ისინიც დაზიანებულნი. კარი ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია (საკურთხევლის ახლოს); ეხლა ისიც ამოგებულია. დასავლეთი კარი ქვით არის ამოგებული, ჩრდილოეთის – აგურით. ეკლესიაში ამოსულია ორი დიდი ხე. საკურთხეველს ჩრდილოეთ მხარეს აქვს ორი თახჩა; ერთი სულ პატარა, ერთი – ცოტა დიდი.

ეკლესიას აქვს ქვის კანკელი: სულ არის ორი ფიქალი და ჰქონია მარტო აღსავლის კარი. მარჯვენა ფიქალი წაქცეულია, მარცხენა კი დგას; მარცხენა ზომით არის 145x175x24 სმ., მარჯვენა ნახევრად მიწაში (ნანგრევში) ზის და მისი ზომის აღება ვერ მოხერხდა; მას წინა პირი ნაწილობრივ ატეხილი აქვს. მარცხენა შესანიშნავი ფიქა-

ლია; მისი ზომა მაქსიმალურია. მარცხენა კუთხე, ვგონებ, ატეხილი უნდა ჰქონდეს; იგი სწორკუთხედი უნდა ყოფილიყო.

ზომა მარჯვენისა: სიმაღლე ალბათ იმდენივე იქნება და დანარჩენის ზომაც, შესაძლებელია, აღებულ იქნეს; სახელდობრ, ის არის 145(?)x176x20 (მაქს.) სმ.

თიღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელს გარედან, ბექზედ არის **დიდი ეკლესიის ნანგრევი.** იგი 1923-1924 წელს შემოუძარცვნიათ: მისთვის შემოუძვრიათ შიგნითი და გარეთი პირი და ტყისუბნის რაიონის შენობისათვის შეუხმარებიათ.

ზემო ძაღინას ყოვლად წმიდის ეკლესია

ძაღინას ყოვლად წმიდის ეკლესია დიდი შენობაა. მისგან დგას მარტო კედლები. მის სამხრეთით, ნანგრევზე მიყუდებულია ქვა წარწერით. აქვე არის ქვა ფრინველის გამოსახულებით და ჩუქურთმებით. ეკლესიაში არის მოდელი გუმბათიანი ეკლესიისა. ქვა წარწერით არის 100x50 სმ.:

[- - - -]ⴆⴇⴡⴈⴑ ⴅⴖⴑ ⴆ
ⴑⴖ ⴖⴟⴇⴄⴖⴑⴑ ⴊⴃ
[- -]ⴗⴊⴣ[-]ⴊⴡⴇⴆⴑ ⴅⴄⴄⴖ
[- - - -]ⴑ ⴔⴑ . ⴆⴃⴖⴡⴑ
[- - - - -]ⵜⵃⵀⵔⵒⵅⵅⵃ . ⴍ
[- - - - -]ⴆⴑ ⴇⴆⴇⴆⴖⴄ
[- - - - -]ⴊⴖⴄ[-]ⴣⴡⴘ
[- - - - - - - - -]ⴆⴄⴍ
[- - - - - -]ⴓⴇⴆ ⴓⴇ
[- - - - - - - - - -]ⴆ
[- - - - - - - - - - -]ⵜⴜⴖ

ძაღინას ამაღლების ეკლესია[157]

ძაღინას ამაღლების ეკლესია ფრესკიანი შენობა ყოფილა. დღეს ფრესკებიდან შემორჩენილია მხოლოდ ორი წმიდანის თავის და ერთი წმიდანის ფეხის გამოხატულება.

ძაღინას მაცხოვრის ფრესკებიანი ეკლესია[158]

ძაღინას მაცხოვრის ფრესკებიანი ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. ფრესკები შერჩენილი არის მარტო საკურთხეველში; ტრაპეზი კე-

დელზე აქვს მიდგმული. ტრაპეზის გასწვრივ, აღმოსავლეთის კედელზე, ფანჯრის წინ სწერია: Ⴒ [-] ⴋⴗ ⴠⴃⴗⴜⴑ·

ეკლესიაში არის ორი წყვილი რქები ირმისა; ერთი წყვილი ძლიერ მშვენიერია.

ამ ეკლესიის მახლობლად არის **ორი ციხე**. ერთს მათგანს ეწოდება გომარეთისა; იგი მეტი წილი აგურისაგან არის ნაშენი. ეს შესანიშნავი ციხეა. აქ არის ციხე, გომი, ხალხის საცხოვრებელი ოთახები, მარანი, ეკლესია.

ძაღინას მახლობლად არის **ურიების საყდრის** ნანგრევი.

ლისის მთაზე ციხე და ეკლესია ლისის-ჯვარი[159]

ლისის მთაზე არის ციხე და ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „ლისის ჯვარს". ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6x3,2 სმ., ნაშენი ქვითკირისაგან. სახურავი დაზიანებული აქვს, მასზე ფათალოა გადასული. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა – მარტო აღმოსავლეთით. მას სამხრეთით, შესავალი კარების თავზე აქვს ქვა, 212x75 სმ., ხუცური წარწერით:

ⴅⴃⴒⴜⴑⴃ ⴓⴃⴗⴜⴑⴃⴑⴑⴃ
ⷮⴆⴃⴒⴚⴈⴅⴃⴗⴑⴁⴃⴃ(ⴓ)ⴠⴜⴑⴃ ⴃⴑⴁⴃⴓⴈⴆⴈⴅ
ⴃⴓⴅⴃⴅⴟⴃⴅⴒⴅ ⴓⴚ ⴒⴑⴃ ⴒⴈⴓⴜⴑⴃ ⴅⴈⴚⴈⴑ(ⴒ)
ⴑⴃⴃⴒⴁⴅⴅⴈⴓⴃⴃⴆ ⴆⴆⴜⴑⴃ ⴅⴅⴒⴜⴑⴃ ⴃⴒⴒ ⴓⴈⴈⴑ

ციხე ეკლესიაზე ადრე ჩანს აშენებული. იგი უთხკუთხია, ნაგებია ქვიტკირისაგან. დასავლეთი კედლის ნაწილი დაზიანებული აქვს.

ოჟორას ანუ ლისის მონასტრის „ცხრაკარას" ეკლესია[160]

ოჟორას ანუ ლისის მონასტრის „ცხრა კარას" ეკლესია სიგრძით არის 11 მ., სიგანით – 11 მ. იგი, შესაძლებელია, გუმბათიანი შენობა იყო. ეკლესია ფრესკებიანი არის. ფრესკები კიდევ შენახულია ზოგიერთ ადგილებში; ორ-სამ ადგილს ფრესკებს ფათალი ხვე-

1. ⴒ ყველგან სამ კბილიანია: ⴓ. 2; ⴈ ხან Ⴗ იწერება ხან ⴠ; 3. ქარაგმები ზოგან აქვს, ზოგან არა აქვს; შესაძლებელია, მოიშალა; 4. წარწერა ოდნავი ჩაღრმავებით არის ნაწერი; 5. მეორე და მეხუთე სტრიქონებს წინ ქარაგმები აქვს.

ვია და ძალიან ბევრგან აზიანებს, ანგრევს კედელს (გაჯს). იგი უზარმაზარი შენობა ყოფილა, ნაშენი სულ თლილი ქვისაგან. დღეს ნახევარი კედლებიღა დგას.

ეკლესიაში გდია ქვა წარწერით, რომელიც კარების თავზე იდებოდა სადმე. მას მშვენიერი ჩუქურთმები აქვს, 128x78 სმ.:

ᲩᲥ
ᲘᲜ ᲭᲧᲨᲥ [-] Ე
ᲣᲮᲠ ᲜᲧᲜ
ᲒᲜᲘᲜ ᲯᲠᲒ

Ხ. ᲒᲭᲒᲜ ᲘᲠ ᲒᲭᲜ ᲥᲭᲔᲘᲠᲜ [- - - -]ᲯᲠᲠᲘ [-] ᲧᲠᲘᲥ ᲧᲜ ᲥᲘᲥ[-]Ი ᲤᲜᲠᲘᲨᲭᲠᲘ ᲭᲒᲥᲠᲘ

საკურთხეველის ჩრდილოეთ კედელზე შენახულია ორი მღვდელმთავარი; პირველს, ფანჯრისაკენ რომ არის, აწერია:

Ⲓ̅Ⲥ (Ⲓ)[ᲯᲣ] | Ⲓ [ᲥᲜ ᲘᲒᲘ] | ⲘⲚ ⁘ ᲭᲘ [Ⲉ] | ⲔⲨⲔ(ⲚⲦ)

მეორეს, მის უკან რომ არის:

ⲔⲚⲦⲘ | Ⲙ(Ⲏ)[Ⲉ Ⲧ]

წმ. გრიგოლის მაღლა მოჩანს ვიღაც პირის ხატი.

სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე შენახულია სახეები ორი წმიდანისა. ამავე სვეტის დასავლეთი პირით ჩრდილოეთ კედელზე არის ნაშთი ცხენოსანი წმიდანისა (შენახულია მხრებს ზევით და ცხენის თავი). ამის პირდაპირ, პირით სამხრეთ კედელზე არის ვიღაც წმიდანის ხატი, დაზიანებული. მის მაღლა – ქრისტე (?) ჯვრით.

აქვეა ჩუქურთმიანი ქვები, სხვადასხვა სახისა.[1]

ᲝᲭᲝᲠᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ[161]

ოჭორის ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,4x3,2 მ.; ნაგებია დიდი, სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, თაღი აღარ არის. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი. საკურთხეველში არის ორი თახჩა: ერთი – სამხრეთით, მეორე – ჩრდილოეთით. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. შენახულია მარტო ქვედა სიმაღლის ქვა; ზედა აღარა ჩანს. საკურთხევლის მაღლითა ნაწილში დატანებული

[1] მარმარილოს ქვა წარწერით, ზოგის თქმით, აქ იყო, ზოგის – დოდოთში და ზოგის – ეგრას ღვთისმშობელში.

აქვს 5 თიხის მილის მაგვარი ჭურჭელი. კანკელი ქვიტკირისაა, 1 მ. სიმაღლისა; მას აქვს მარტო აღსავლის კარი.

ეკლესიის გარეთ, აღმოსავლეთ კედელზე მიყუდებულია საფლავის (?) ქვა, 76x37x12 სმ., მხედრული წარწერით:

ქ. სფლგსა ։ ამს ։ შინ ։ მდე
ბრე ։ მონ ։ ღთისა
։ ქაიხოსრო შლ ე(შს)
ლი შეწყლე

იკითხება:

ქ. საფლავსა ამას შინა მდე
ბარეა მონა ღთისა
ქაიხოსრო შვლიეშს
ლი შენყალე.

ვახტანაში გომართას სალოცავი[162]

გომართას მოსალოცი არის გომართის ძირს, ვაკე ადგილას. აქ ყრია ქვები მრგვალად და მათში არის ქვა, ოთხკუთხი, 75x25x11 სმ., რომლის ზევითა ნაწილში ხელებ გაშვერილი (სწორედ) [ფიგურაა] და მის ძირს ჯვარი, ძველი ფორმისა.

ახტანას ღვთისმშობლის ეკლესია

ახტანას[1] თავზე არის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობაა, 8,5x4,5 მ. ნაგებია სწორ-პირიანი, დიდრონი ქვისა და კირისაგან. იგი ნანგრევად არის: მთელად დგას მარტო დასავლეთი კედელი; ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი (ჩრდილოეთი ნახევარი) ნახევრად შენახულა, სამხრეთი კედელი კი სულ დაქცეულია. ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით, სამხრეთ მხარეს ნანგრევის გამო არა ჩანს, ჰქონდა თუ არა კარი. აგებულებით ჩვეულებრივი ბაზილიკაა. ფანჯრები აღარა ჩანს. ტრაპეზი კედლის ახლოა აღმართული; იგი ერთი ქვაა. მაღლითა ქვა გადმოღებული უნდა იყოს. საკურთხეველში, ჩრდილოეთ ნაწილში შენახულია ერთი თახჩა. ყოფილი კანკელის ოდნავ მარჯვნივ (ჩრდილოეთით) დგას დიდი ქვის მრგვალი სვეტი, მაღლიდან შუაში მრგვალად ამოხვრეტილი (ალბათ, ჯვრის ჩასადგმელად). სვეტი სი-

---

[1] ახტანა, ვითომ, ვახტანგ მეფიდან წარმოსდგაო.

მაღლით არის 115 სმ., გარეშემო – 202 სმ.; მეორე ამგვარივე სვეტი აღმართულია დასავლეთი კარის წინ, გარეთ, ოდნავ მარცხნივ. საკურთხეველში ყრია ორი კბილიანი ქვა, რომლებიც, ალბათ, კარნიზებად იყო.

ეკლესია ფრესკებიანია. მხატვრობა ბევრგან გადასულია და ადგილ-ადგილ კიდევ შენახულია.

საკურთხეველი: ზევითა რიგში დახატულია, ვგონებ, ზიარება, მარჯვნივ (ჩრდილოეთით) – პურით, მარცხნივ (სამხრეთით) – ღვინით; ძალიან დაზიანებულია.

საკურთხეველში, ძირა რიგში, სარკმლის მარჯვნივ:

ᲩᲫᲐ ᲘᲥᲯᲒᲡᲩ
ᲥᲮᲐᲥᲣᲕ[Ⴗ]
ᲐᲦ

სარკმლის მარცხნივ (სამხრეთით) მღვდელმთავარი:


[ᲩᲫᲐ] ᲧᲒᲡᲜᲬᲘ·

მის უკან:

ᲩᲫᲐ ᲡᲧᲘᲔ | [ᲒᲡᲩ]

ჩრდილოეთი კედლის ზევითა რიგში დახატული ყოფილა ორი ცხენოსანი წმიდანი: საკურთხეველთან ახლოს **ᲩᲫᲐ ᲧᲫᲘ** და მის მარჯვნივ (დასავლეთით) – სხვა წმიდანი; ორივესი ნაშთიღა არის შენახული.

ჩრდილოეთ კედელზე დახატული არიან დიდებულები, შვიდი აღმოსავლეთისაკენ ხელებ გაშვერილი ქალი და კაცი დგას; პირველი (დასავლეთის მხრიდან) ცოტაღა მოსჩანს. უკანასკნელს (მეშვიდეს) უჭირავს ხელში ეკლესიის მოდელი (დაზიანებული); მოდელი ძლივსღა მოსჩანს, ის ასეთია (ნახ. 23):



ნახ. 23

1. დიდებული, რომელსაც მარცხენა ხელში ჩვეულებრივი ბაზილიკური ეკლესიის მოდელი უჭირავს, მარჯვენა ხელი გულთან აქვს აღმოსავლეთით გაპყრობილი; ცოტათიღა მოსჩანს.

2. მის უკან – მანდილოსანი, ალბათ მეუღლე, ორივე ხელ გაპყრობილი.

3. მათ უკან – მოზრდილი მანდილოსანი თუ ქალიშვილი, ორივე ხელ გაპყრობილი.

4. ამ სამივეს წინ (სულ პირველი ეს არის დახატული) – მცირე წლოვანების ქალიშვილი, რომელსაც ხელები გულთან აპყრობილი აქვს.


5. დიდებული კაცი, ხელებ გაპყრობილი.

6. დიდებული კაცი, ხელებ გაპყრობილი, დაზიანებული.

7. დიდებული კაცი, ხელებ გაპყრობილი, დაზიანებული.

8. დიდებული ქალი თუ კაცი, ხელებ გაპყრობილი, ძლიერ დაზიანებული.

ვიღაც დიდებულს თავზე ჰხურია ქუდი (ნახ. 24).



ნახ. 24

წარწერები ნაწილობრივ დაზიანებულია, ნაწილობრივ მოსჩანან.

1. თავის მარჯვნივ (იწყება მეორის თავის ზემოდან):

Ⴑ(ⴒ)[Ⴑ ·] Ⴇ ⴡⴀⴊⴣ(Ⴇ) [- - - - - - - -]

2. პირველის და მეორის თავებს შუა:

ⴆⴇⴀⴐ | ⴄⴇ [ⴆⴇⴝ](ⴁ · ⴄ) . ' Ⴇ ⴀⴄⴑ | [ⴟⴇⴀ]ⴓⴀⴝ | [ⴐⴣ ·] ⴑⴆ [ⴇⴣ ·]

3. თავის მარჯვნივ, მაღლა:

[- - - - - - -]ⴇⴟ(Ⴑ)ⴁ · | ⴟⴇⴀ | ⴓⷱⴝ · (ⴢ)[ⴣ ·] ⴑⴆ(Ⴇ)[ⴣ ·]

4. ყელის მარჯვნივ:

ⴊⴇ ⴆⴑⴓⴁ | [- - - - - -]

5. თავის მარცხნივ:

ⴑⴒⴑ · ⴓⴊⴣ(ⴓ)ⷱⴣ · | (ⴟ)ⴇⴀ | ⴓⴀⴝ · ⴐ˜ⴣ · ⴑⴆⴇⴣ ·

6. მეექვსისა და მეშვიდე თავებს შუა; ეკუთვნის, ვგონებ, მეექვსეს:

[ⴑⴒⴑ] (ⴆⴇ)ⴊⴑⴓⴘ · | [- -](ⴊ)ⴘ(Ⴇ)ⴄⴁⴒⴒⴄⴇ | [ⴁⴄⴇ] [- -] ⴑⴁ [-] | [- - - - -]

7. წარწერა მეშვიდესთან (ნაწილობრივ დაზიანებულია):

[-]ⴓⴄⴑ
˜ⴓⴀⴝ


დანარჩენებისა დაზიანებულია, ე.ი. სულ მოსპობილია. წარწერებში ო ასომთავრულადაც იწერება და ხუცურადაც.

გარეშემო ეკლესიას ჰქონია გალავანი; მოსჩანს ნაშთი. ეკლესიის დასავლეთით და სამხრეთით არის ოთხი ცალკე შენობის ნან-

---

ან Ⴑ არის, ან Ⴇ.

გრევი; ზოგი მათგანი საწნახელია; საწნახელი არის ეკლესიის სამხრეთით. ამ საწნახლის დასავლეთით, 2 მეტრზე გდია ყურძნის საწურავი ქვა, 125x95x27 სმ. (ნახ. 25).



ნახ. 25

გაბრიელჯვარი ახატანთან

ახატანსავე ჩრდილო-დასავლეთით, 15-20 ვერსზე არის მაღალი მთა წოისი, რომელიც გადაჰხედავს ყვირილას და ფრონის ხეობებს. ამ მთის ვაკობზე, საურმე გზის მახლობლად, არის ეკლესიის ნანგრევი, წოდებული „გაბრიელჯვარად". იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, 5x3 მ., ნაგები ქვიტკირისაგან. ძეგლი თითქმის სულ დაქცეულია: მოჩანს მხოლოდ ნანგრევი 1 მეტრის სიმაღლით, რომელიც ჰფარავს კედლებს შიგნით და გარეთ.

ეკლესიის სამხრეთით, 5-6 მეტრზე, არის რაღაც შენობის (?) ნაშთი; შენახულია საძირკვლის ნაწილი.

გომართის წმ. გიორგის ეკლესია[163]

ახტანის დასავლეთით, 3-4 ვერსის დაშორებით, მთის სერზე დგას გომართის წმ. გიორგის ეკლესია; იგი ერთნავიანი შენობაა, 9x4,9 მ., რომელსაც სამხრეთით აქვს რაღაც შენობათა ნანგრევი (გალერეის და კარიბჭის, თუ ეკვდერის და კარიბჭის?), დასავლეთით – ცალკე გალერეია (?). მას ჩრდილოეთითაც მთელ სიგრძეზე ჰქონია რაღაც შენობა; დღეს მისი მარტო საძირკველილა მოჩანს. საკურთხევლის აფსიდა გარედან მრგვალია. ძეგლი ნახევრად დანგრეულია: შენახულია მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები, ისიც დაზიანებით, აღმოსავლეთით და სამხრეთით კი ნახევრად დაქცეულია. 1923 წელს ეს უკანასკნელი კედლებიც მთელი იყო და, აგრეთვე, სახურავიც (უკანასკნელი, ვგონებ, ხისა იყო). სამხრეთის შენობები სულ ნანგრევად არის და ერთ გროვას წარმოადგენს, დასავლეთის შენობა კი შენახულია ოდნავი დაზიანებით; უკანასკნელი ზომით არის 2x5 მ.; მას შესასვლელი აქვს სამხრეთი მხრიდან და იგი დამოუკიდებელ შენობას წარმოადგენს, მიშენებულს ეკლესიაზე. მას თაღიც შერჩენილი აქვს. ჰხურავს ყავარი.

ეკლესია ნაგებია კლდის ნატეხი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან; კარებს, კუთხეებს და პილიასტრს შეხმარებული აქვს თლილი ქვა. მას დღეს გუმბათი არა აქვს და უწინ ჰქონდა თუ არა, არა ჩანს; უფრო კი არ უნდა ჰქონებოდა, თუმცა მოდელი გუმბათიანი ეკლესიის სახეს წარმოადგენს. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით; წი-

ნათ დასავლეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოგებულია (მოხატვის წინ ამოუგიათ, ზედ მხატვრობა აქვს), სარკმელი – აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრეთით არ შერჩენია. კანკელი ქვიტკირისაა; იგი დღეს ნანგრევად არის: შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი 2,7 მ. სიმაღლისა და 4,5 მ. სიგანისა. მის წინ შენახულია ქვიტკირის კედელი 1 მ. სიმაღლის, 0,9 მ. სისქისა. კარი აქვს მარტო აღსავლისა.

კანკელის მარჯვენა კედელზე დევს ორი გატეხილი ქვა: ერთზე ზის კაცი თავმოტეხილი და სხვა, მეორეზე – ცხვარი და სხვა ფიგურებია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული; იგი ორი ქვისაგან არის გაკეთებული და თავისი ფორმით წარმოადგენს ეგვიპტურ ჯვარს. სამკვეთლოც კედელზე ყოფილა მიდგმული; ეხლა ის დანგრეულია. საკურთხეველს აქვს ოთხი თახჩა: სამი – ჩრდილოეთ კედელში და მეოთხე – სამხრეთისაში.

ეკლესია მოხატული ყოფილა. დღეს მხატვრობა შენახულია საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში და შუა ეკლესიის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებზე, ისიც ნაწილობრივ და ძლიერი დაზიანებით.

საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში, აღმოსავლეთით, დახატულია რომელიღაც მღვდელთმთავარი; ძლიერ დაზიანებულია: შენახულია მხოლოდ ტანისამოსის ქვედა ნაწილი; მის უკან, დასავლეთით – მეორე მღვდელთმთავარი, იგიც დაზიანებული: შენახულია მხოლოდ მხრებს ქვევით, თავი აღარ უჩანს.

კანკელის ნაშთსაც ემჩნევა მხატვრობის კვალი. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, კანკელთან ახლოს შენახულია მხოლოდ რომელიღაც წმინდანის თავი. პილასტრზე ყოფილა რაღაც ვრცელი წარწერა საღებავით; მისგან შენახულია მხოლოდ ნაშთი. ამავე კედლის დასავლეთ ნაწილში კი დახატული არიან სამხედრო პირები. ერთს ხელები აღმოსავლეთისკენ აქვს გაპყრობილი და ანერია: **ⴆⴑⵏⵆⵆⵑ**· მეორესი მარტო თავიღა ჩანს: **(?)ⵍⵍⵍⵖⵐⵀⵁⵆⵆ.** მესამესი მოსჩანს მხოლოდ სახე და ფეხები: **ⵙⵖⵐⵏ|ⵙⵁⵁⵁⵛ:** ეს სამივენი ეკლესიის აღმშენებელნი უნდა იყვნენ.

დასავლეთ კედელზე, 1923 წელს, შენახული იყო ასეთი სურათი: შუაში – მდგომარე ღვთისმშობელი; მის მარჯვნივ – გვირგვინოსანი ქალი (წელამდე), შესანიშნავი სილამაზისა, ღვთისმშობლისაკენ ხელებგაპყრობილი; ღვთისმშობლის მარცხნივ – ექვსი საერო პირი, მდგომარე. პროფ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, რომელსაც უნახავს აღნიშნული ძეგლი 1919 წელს, ხსენებული გვირგვინოსანი ქალი ყოფილა თამარ მეფე. დღეს ამ სურათიდან ნაშთიღა შენახულა: 1923-1924 წლებში ჩამონგრეულა ეკლესიის სახურავი და სურათის

სამხრეთი (მარცხენა) ნაწილი (თამარისა და მის უკან მდგომთა?) თითქმის სულ მოუსპია. დღეს სურათიდან შენახულია შემდეგი: ღვთისმშობელი მკრთალადღა მოჩანს, თამარისაგან – მხოლოდ თავის მარჯვენა ზევითა ნაწილი, თვალისა და შუბლის ადგილი, გვირგვინის ნაწილი და ტანისამოსის ძირა ნაწილი. თამარის უკან მდგომნი (?) სულ აღარ ჩანან, ხოლო ღვთისმშობლის მარცხნივ მდგომი საერო პირები შედარებით კარგად არიან შენახული: მათ ძლიერ ცოცხალი გამომეტყველება აქვთ.

კანკელზე დევს ქვის ორი ნატეხი; ორივე ერთი ქვის ძირა ნაწილს წარმოადგენს; აკლია ზევითა ნაწილის ნატეხი, რომელიც ჯერ არსადა ჩანს. პირველი (მარჯვენა მხრის) ნატეხი – ზომით 45x40x9 სმ. (მაქს.), მეორე (მარცხნივ) – 51x37x9 სმ.; ქვას გარეშემო აქვს ჩუქურთმა, გულში კი რაღაც ფიგურაა გამოსახული; ფიგურის მარჯვნივ – მხედარი ცხენზე, მარცხნივ – ლომი.

ეკლესიის სამხრეთით დგას გუმბათიანი ეკლესიის მოდელი ქვისა.

ეკლესიას გარეშემო აქვს გალავნის ნაშთი: ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, გალავანზე დევს ერკემლის ქანდაკება ქვისა: ერთი მთელი (წელამდე), მეორე – კისერ-მოტეხილი (კისერიც იქვე ინახება).

ეკლესიის აღმოსავლეთით, 1 ვერსის დაშორებით, ძირს, ხტანისკენ მიმავალი გზის პირს, არის ნიში, სადაც მდგომარე კაცია გამოსახული ქვაზე (წმ. გიორგი უნდა იყოს) და ქვეშ ჯვარი აქვს გამოსახულივე.

მალდას გიორგიწმიდის ეკლესია

მალდას გიორგიწმიდის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 5,6x3,2 მ., ნაგები კლდის დიდრონი, სწორ-პირიანი ქვისა და კირისაგან. ჰხურავს ყავარი. იგი შიგნით და გარეთ გალესილია კირით. ის ნანგრევად არის. დგას მარტო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები, სამხრეთისა კი დაქცეულია. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი – აღმოსავლეთით. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. საკურთხეველს ჩრდილოეთ კედელში აქვს თახჩა. ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; ნაშთი მოჩანს ჩრდილოეთ მხარეს. ეკლესიაში ამოსულია ხე.

ეკლესია დგას სოფლის გარეთ, პატარა ბორცვზე, სოფლის დასავლეთით, ტყით დაფარულ ადგილას.

ეკლესიის სამხრეთით დგას ძლიერ დიდი მუხა.

სიძველე:

ხის მცირე კოლოფი, მოგრძო ფორმისა, შემკული სამივე მხარეს სახეებით, უხუფო. ეს სიძველე ჩავაბარე ცხინვალის მუზეუმში გადასატანად ნიკოლოზ ვასილის ძე ალბოროვს.

სოფელში ძველად მდგარა კოშკი, რომელიც დაუნგრევიათ 1925 წელს, სკოლის ასაშენებლად.

წორბისის ეკლესია, სოფელში რომელიც არის, ღვთისმშობლის სახელობისაა, ხოლო თედეშვილების უბანში რომ დგას, „საბაჟოს“ ეკლესიაა.

ნორბისის ღვთისმშობლის ეკლესია[164]

წორბისის [...][165] ეკლესია (სოფელში) ერთნავიანი ბაზილიკაა, 7,5x4 მ., ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან. ძეგლი დღეს ნანგრევად არის – დგას მარტო კედლები, გარეთა პირშემოცლილი და შიგნით ნანგრევით სავსე. 1923 წელს იგი შედარებით მთელი იყო: მაშინ კედლები სრულად იდგა, თაღი ჩამოქცეული ჰქონდა, კედლებს შიგნით მხატვრობა იყო, კანკელიც ქვიტკირისა იყო, მოხატული და შემკული მრავალი წარწერით, მდივან-მწიგნობრული ხელით. მას შემდეგ შენობა ნახევრად გაუნადგურებიათ: კედლების ზევითა ნაწილი დაუქცევიათ, დარჩენილი ნაწილისთვის კიდევ გარეთა პირის ქვები მთლად შემოუცლიათ და კანკელიც ნაწილობრივ დაუნგრევიათ (დარჩენილი ნაწილი ნანგრევითაა დაფარული), ხოლო მისი (კანკელის) მხატვრობა სულ მოუსპიათ. მთელი მოცილებული ქვის მასალა რომელიღაც შენობის ასაშენებლად წაუღიათ; ადგილობრივ დარჩენილია მხოლოდ კარისთავის ქვა, რომელიც კარებთანვე პირქვე გდია ძირს. მას აქვს წარწერა, რომელიც მე გადმოვიღე 1927 წელს.

აქვე, კარის მარჯვნივ, ჩრდილოეთით მდებარე ქვას აქვს რაღაც ასოები, ხუცურად; იგი ნაშთს წარმოადგენს, შენახულია რამდენიმე ასო:

[...]
[...]
[-](ъ ⷘ ѡ)[- - -]

ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი და დასავლეთით – ერთი. მხატვრობა დაზიანებულია საშინლად; იგი ძლიერ ცოცხალი ხელისა ჩანს.

საკურთხეველი. აღმოსავლეთ სარკმელში დახატულია ორი ანგელოზი, მდგომარე; აწერიათ: მარჯვენას (ჩრდილოეთით) – (:) **ᲐᲫᲪᲧᲥᲫ(ᲘᲜ)** ანუ **რაშთაელ** (?), მარცხენას (სამხრეთით) – **(Ა)ᲫᲥ-ᲫᲘᲜ** ანუ **რაფაელ**.

სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ: მღვდელმთავრები და წმინდანები (?). მარჯვნივ, პირველს აწერია: **ᲩᲣ ᲦᲫ(ᲚᲨ)ᲜᲘ | [- - -]ᲫᲔ | [- - -] ᲜᲘ** ანუ **წმიდაჲ ბასილი**; მეორეს, პირველის უკან, წარწერა აღარ უჩანს, გრაგნილზე კი უწერია: **ᲒᲮᲘᲦᲘᲥ ᲐᲣᲥᲫ(ᲜᲔ)[ᲚᲫ ᲧᲐᲯᲘᲜᲘ ᲓᲫ]ᲦᲫᲓᲘ[- - -](?) | ᲦᲫᲓᲘᲥ** ანუ **აქებდით უფალსა ყოველი დაბადებული**. მესამისა და მეორის თავებს შუა მოჩანს მხოლოდ: **ᲩᲜᲘᲔᲫᲔ** ანუ **წმიდაჲ**, დანარჩენი ყველა საშინლად დაზიანებული არიან. სარკმლის მარცხნივ, პირველს აწერია: **ᲩᲣ ᲔᲣ|ᲝᲫᲒᲩᲘ ᲘᲝᲮᲐᲝᲘ|ᲘᲐᲘ** ანუ **წმიდაჲ იოანე ოქროპირი**; მას გრაგნილზე უწერია: **ᲐᲫᲜᲨᲥᲝ ᲧᲘᲜ[Ი] | [ᲫᲐᲐ] [- - -][- - - - - - -]** ანუ **რამეთუ შენი არს**; იგი კარგად არის შენახული. მეორეს, პირველს უკან: **ᲩᲣ ᲜᲫ(Ქ)Ი** ანუ **წმიდაჲ მათე**; იგიც კარგად არის შენახული. დანარჩენები აღარ მოჩანან.

დასავლეთი კედელი. სამხრეთ მხარეს, კუთხესთან ახლოს დახატულია წმინდანი: **[Კ](ᲝᲚᲔᲫ)ᲒᲔᲦᲘᲜ** ანუ **კონსტანტილ**; დაზიანებულია. მის მარცხნივ, დასავლეთ კარებთან – **ᲩᲣ**, ანუ **წმიდაჲ**; დაზიანებულია. კარის მარცხნივ, ჩრდილოეთ მხარეს – **ᲩᲣ ᲖᲫᲮᲫ|ᲐᲘᲫ** ანუ **წმიდაჲ ზაქარია**; მას გრაგნილზე უწერია: **[- - - -] | [- - -]ᲖᲘ | [-] ᲫᲒᲘ ᲐᲐᲫ|ᲒᲐᲘ ᲐᲮᲔ[-] | [-] ᲩᲫᲜ|[- - - -] | [- - - -]** ანუ **[- - - -]ანე არიან სიტ[- - - - - -] წამ[- - - -]**. კარებში, კამარაზე: სამხრეთით – **ᲩᲣ ᲙᲘᲐᲘᲙᲘ** ანუ **წმიდაჲ კვირიკე**; დაზიანებულია. ჩრდილოეთით მხატვრობა დაზიანებულია. დასავლეთი კარების თავზე, შიგნით დახატულია წმ. იელიტა, ხელებაპყრობილი, წარწერით: **ᲩᲣ : ᲘᲜᲖᲔᲫᲒ** ანუ **წმიდაჲ იელიტა**.

კარების თავზე, მარცხნივ ფრესკა აღარა ჩანს და წარწერიდან შერჩენილია მხოლოდ: **ᲩᲣ**.

დასავლეთ კედელზე, მარცხნივ, წარწერაა:

[...]
[...]
[...]
Ꮆ[-]ᏂᏦ
ᏂᎯᏀᏟ[- - -]
Ꮒ[-]ᏓᏀᏨᏦ
ᏎᏀ ᏩᏟᏯ
ᏀᏯᏟ : Ꮆ
ᏣᎯᏯ[- - - -]
[...]
[...]

ეკლესიაში არის საერო პირთა სურათების ნაშთიც.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე დახატული ყოფილან დიდებულნი; ყველანი ძლიერ დაზიანებულნი არიან.

ჩრდილოეთი კედელი: საკურთხევლის ახლოს დახატულია მამაკაცი, ხელებ-გაპყრობილი; შენახულია მარტო წელამდე, თავი დაზიანებულია აქვს, წარწერა არ უჩანს. მეორე (პირველის დასავლეთით) – მანდილოსანი, ხელებ-აპყრობილი; იგიც წელამდეა შენახული, თავი დაზიანებულია აქვს. მესამე – დაზიანებულია. მეოთხე პილასტრზე – ახალგაზრდა **ⴔⴀⴆⴆ[ⵇ](ⴖ)**· ანუ **ფრიდონ**; დაზიანებულია მხრებთან და ფეხებთან. მეხუთე – **[...]‖ⴂⴑⴕ[ⵐ]|ⵍⴊⴀ(ⵚ)[...]|ⴀⵇⴆⵇ|ⴕⵒ** ანუ – **[...] მათი სხრტ [...] როდოთი**; ძლიერ დაზიანებულია. მეექვსე, დასავლეთ კუთხესთან – **ⴀⵒ ⴂⴑⴕ[ⵐ] | [ⵍⵇⵚⵇⵇⵖ]ⵒ** (?) ანუ **სოლონი** (?); ძლიერ დაზიანებულია.

სამხრეთი კედელი: საკურთხევლის ახლოს დახატულია მამაკაცი; შენახულია მხოლოდ სახე და მხრები, ისიც დაზიანებულია. მის შემდეგ, დასავლეთით, ექვსი თუ შვიდი სხვა პირის ნაშთი; წარწერა არც ერთს არ შერჩენია.

გარდა ამისა, ეკლესიას სხვა მრავალ ადგილასაც აქვს შერჩენილი მხატვრობის კვალი ნაშთად.

კანკელი ქვიტკირისაა და შემკულია ფრესკებით. მარჯვნივ სამი წმიდანია დახატული.

ⴑⴓⵎ	ⵔⵋ
ⵣⴀⵒⵒ	ⵎⵇⵎ
ⵖⵏⵇⵇⵇ	ⴀⵒⵏ·
ⵏⵣⵏⵇ	

წორგისის „საბაჟოს“ ეკლესია[166]

„საბაჟოს“ ეკლესია ერთნავიანი შენობაა, რომელსაც სამხრეთით და დასავლეთით აქვს გალერეია; უკანასკნელნი ორგანულად არ არიან ეკლესიასთან დაკავშირებული, არამედ ცალკე არიან მიშენებული. იგი ზომით არის 6,1x3,1 მ., ნაშენია დიდრონი, სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. ეკლესია გალერეიებით ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები უთაღოდ; შიგნით, ნახევარზე მეტად, ნანგრევით არის სავსე და გალერეიების გეგმის აღებას აძნელებს. ტრაპეზი, სამკვეთლო, კანკელი სულ ნანგრევშია მოქცეული. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, გალერეებს – სამხრეთით ერთი და დასავლეთით ერთი. ეკლესიას ფანჯარა აქვს: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი; დანარჩენი კედლებისა არა ჩანს. ეკლე-

სიის სამხრეთი კარიბჭის თავზე მდებარე ქვაზე არის ჯვრის გამოსახულება.

ამავე კარის შიგნით დგას ფიქალი ქვისა, პირით დასავლეთისაკენ, ასომთავრული წარწერით. იგი ეკლესიის კედლისაკენ გადაყვანილი კამარის სვეტის კედლის ქვა უნდა იყოს. იგი სიმაღლით 110 სმ.-მდე უნდა იყოს (მიწაში ანუ ნანგრევებშია მოქცეული ძირი), სიგანით 55 სმ., სისქით 15 (110(?)x55x15) სმ.

წარწერა:

.(ⴑ) . ⵏⵛ(ⵑⴹⵒ) .....
.....ⴾ ⵛⵓⵖⵗⵛⴾⵀⵏⵒ ⵗ .....

...ⵜ .....
ⵗ ⵏ .....
(ⵛ) .....
(ⵁⴿ) .. ⵓⵁ .....
...ⵒⵛⵏ .....
.....ⵒ ⵜⵏⵗ .....
.....(ⵗ)ⵏⵗⵒⵓⵛ .....
.....ⵁ .....

.....ⵏ .....

კიდევ რამდენი სტრიქონია, ბოლოში არა ჩანს.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 6-7 მეტრზე დგას შესანიშნავი, ოთხკუთხი კოშკი, ნაგები ეკლესიის მაგვარი მასალისაგან, ე.ი. სწორპირიანი ქვისა და კირისაგან, მას ჩრდილო-დასავლეთი, ძირა კუთხე გამოგლეჯილი აქვს. იგი შესანიშნავი შენობაა.

წორბისის საბაჟოს (?) ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; ეხლა მისი ნაშთიღა მოჩანს.

წორბისთან ე.წ. „დოლეს ჯვარის“ ეკლესია

წორბისის ჩრდილოეთით, 1½ ვერსზე, მდ. ფრონის მარცხენა მხარეს, დგას ეკლესია, წოდებული „დოლეს ჯვარად“. იგი ერთნავიანი შენობაა, 7,2x4,4 მ., ნაგები ნაწილობრივ თლილი და ნაწილობრივ კლდის ნატეხი ქვისა და კირისაგან. ძეგლი დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. კარი აქვს სამხრეთით; ამ კარს მარჯვენა ნაწილში შერჩენია კამარის

ჩუქურთმიანი ქვა. ჩუქურთმა ხვეულია. ამისთანავე ქვის ნატეხი დევს (უწესრიგოდ) კარის მარცხენა ნაწილში.

ჩუქურთმის მიხედვით, ძეგლი ეკუთვნის X-XII სს.

ორმოთხევის ეკლესია

წორბისსავე ჩრდილოეთით, 7-8 ვერსზე, ფრონისავე ხეობაზე, ე.წ. ორმოთხევში, ფრონის მარცხენა მხარეს, ფერდობზე დგას ეკლესია; იგი ერთნავიანი შენობაა, 7,9x3,5 მ., რომელსაც სამხრეთით და დასავლეთით (მთელ სიგრძეზე და სიგანეზე) ჰქონია რაღაც შენობები (ეკვდერი და ნართექსი ?); ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. ძეგლი დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები, ისიც ნახევრად დაქცეული, განსაკუთრებით – სამხრეთი ნაწილი. იგი შიგნით და გარეთ ნანგრევით არის სავსე, რომელიც ზევიდან დაფარულია ხავსით. რამოდენიმედ მთლიანად შენახულია მხოლოდ თვით ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი; მასაც გარეთა პირის ქვები ზევითა ნაწილში ნაწილობრივ მოცილებული აქვს. ამ კედლიდან ჩამოვარდნილია და იქვე, აღმოსავლეთით, 6-7 მ. დაშორებით, ძირს, ფერდობზე აგდია ორი ქვა ქანდაკებით.

პირველი ქვა სარკმლის თავია; ზომით არის 68x110x25 სმ. (მაქს.). ქვის გულში გამოქანდაკებულია ჯვარი (ძველი ფორმისა), რომელიც ატეხილია მთლად და დღეს მხოლოდ მისი კვალიღა ამჩნევია. ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ დგას ორი პირი, რომელთაც ცალი ხელით (მარჯვნივ მდგომს მარცხენით, მარცხნივ მდგომს მარჯვენით) ზემოხსენებული ჯვარი უჭირავთ, ცალი (პირველს მარჯვენა, მეორეს მარცხენა) გულთან აქვს დადებული. ქვას ზევითა ნაწილში, ორივე პირის თავებს შუა, ჰქონია ასომთავრული ნარწერა, რომლის მარცხენა ნაწილი მთლად მოსპობილა, ატეხილა, ხოლო მარჯვენა ნაწილში კი შენახულა რამდენიმე ასო, ისიც დაზიანებით:

ⴒⴗⴄⴂⴒ

მეორე ქვა ზომით არის 66,7x113x26,5 სმ. (მაქს.); ქვის მარჯვენა ნაწილში გამოქანდაკებულია მხედარი, მჯდომარე ცხენზე, მარჯვენა ხელში რაღაც იარაღით (ნახ. 26). მის წინ ე.ი. მარცხნივ, დოინჯით (?) დგას ვილაც პირი (ორივე ხელი წელთან აქვს დაწყობილი).



ნახ. 26

ეკლესიის აღმოსავლეთით, 50-60 მეტრზე, მცირე ხევის მარჯვენა (აღმოსავლეთით) მხარეს, გზის პირას არის ქვიტკირით და თიხის მილით გამოყვანილი შესანიშნავი, ცივი წყალი.

ეკლესიის სამხრეთით, 300-400 მეტრზე არის ციხის ნანგრევი: შენახულია ჩრდილოეთი ნახევარი, დანარჩენი დაქცეულია.

ყორნისი, საქართლის ციხე[167]

ყორნისის ჩრდილოეთით, 7 ვერსზე, ერთ-ერთი მთის მაღლობზე გაშენებულია საქართლის ციხე. მას გზა შეუდის დასავლეთის მხრიდან, შემოუვლის სამხრეთით და მიადგება გალავანს. სამხრეთი მხრიდან არის მცირე ვაკობი, აღმოსავლეთით და დასავლეთით – ტყიანი დაქანება, ჩრდილოეთით კი – ფრიალო კლდე. ციხე ქვიტკირის დულაბიანი შენობაა; კარი აქვს აღმოსავლეთ მხარეს, მაღლითა ნაწილში. გალავანზე ასვლა ადვილად შეიძლება სამხრეთი მხრიდან: აქ მასზე მიდგმულია ნახევარპირამიდისებური ბურჯი, რომელსაც აქა-იქ ქვები მოცვივნილი აქვს და კიბის მაგივრობას ეწევა. ციხე შედგება გალავნისაგან, რომელსაც დასავლეთის კუთხეებში უდგას ორი კოშკი. კოშკებს პირი (კარი) ეზოსაკენ აქვს. სამხრეთ-დასავლეთი კოშკის კარის წინ არის რაღაც ჩაღრმავებული, აუზის მაგვარად; ჩრდილო-დასავლეთი კოშკის კარის წინ მოჩანს ტინი კლდე. ეზოს ზომა არის 23x16 მ.

სოფ. ყორნისში სოსიკო ჩიხოევს საიდანღაც მოუტანია საფლავის ქვის ნატეხი და თავის სახლისათვის ბუხრის კედლად დაუტანებია. მასზე წარწერა დაზიანებულია, აქა-იქ მოჩანს სიტყვები და ასოები:

[- -]მს [- - - -]რი ამ
[- - - - - - - - - -]
მე სთი [- - -] ცხოვნე ცესია
მე სხლის ოსტატი ელიზბა
რ ამინ უთალო[1]

ხუნდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესია

ხუნდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაბლობ ადგილას; იგი ერთნავიანი შენობაა, 4,25x3 მ., ნაგებია სწორპირიანი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, თაღი ჩამოქცეულია, საკურთხეველს შერჩენია თაღის მცირე ნაწილი. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა: აღმოსავლეთით – ერთი,

[1] უფალო.

დასავლეთით – ერთი. კანკელი, როგორც ჩანს, ორი ფიქალისაგან ყოფილა, ერთი აღსავლის კარით. დღეს შენახულია მარტო მარჯვენა, ჩრდილოეთი მხრის ფიქალი, 90x90 სმ. დაახლოებით, მარცხენა კი მოცილებულია. ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული, დღეს შენახულია მხოლოდ ძირის ქვა. საკურთხეველში არის ორი თახჩა. საკურთხეველს ჩრდილოეთით და სამხრეთით აქვს რაღაც სამკუთხედი პრიზმა, კედელში გამოყვანილი. დასავლეთ სარკმელს ძირა ნახევარში აქვს შესანიშნავი, ჩუქურთმიანი ქვა, დაზიანებული, ზევითა ნახევარი კი სხვა ქვაა. აღმოსავლეთ სარკმელს ძირა ნაწილში უდევს შესანიშნავი, ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც ადრე სხვა ადგილას სადმე უნდა დებულიყო; იგიც დაზიანებულია.

ეკლესია გადაკეთებულია. ეს ცხადად ეტყობა კარს, რომელსაც აგური აქვს შეხმარებული, აგრეთვე აღმოსავლეთ ფანჯარას, რომელსაც ჩუქურთმიანი ქვა უწესრიგოდ უდევს. გადაკეთებულია ძველადვე.

ტყისუბნის ეკლესია

ტყისუბნის ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა, 6,5x4 მ., ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან, მისთვის რაიონის შენობების აგებისათვის (იქვე, გაღმა, ფრონის მარჯვენა ნაპირას) გარეთი და შიგნითი პირი შემოუცლიათ და შეუხმარებიათ; პირი შემოუცლიათ 1923-24 წლებში; დღეს დგას მარტო დუღაბი (ქვისა, აგურისა და კირისა) ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და, ნაწილობრივ, სამხრეთი კედლისა, სამხრეთის – ნაწილობრივ და დასავლეთი კედლისა სრულებით აღარაფერი დარჩენილა. ჩემ მიერ შეგროვილი ცნობით, ამ ეკლესიას ჰქონია წარწერიანი ქვა; შესაძლებელია, ის იყოს უვაროვას მიერ მოყვანილი წარწერა (თიღვის აღწერილობაში); ის რაიონის ერთ-ერთ შენობას უნდა ედგას მასალად.

ბრილის ძეგლები

1. ბრილის ღვთისმშობლის ეკლესია ტყეში, სერზე.
2. ბრილის ღვთისმშობლის ეკლესია, ზედაუბნის თავზე.
3. ბრილის წმ. ნინოს ეკლესია, ბულუთურის ღელეზე.
4. ბრილის ბერის საყდარი, გაღმა უბნის თავზე.
5. ბრილის წყაროები, ზედა უბანში.
6. ბრილის კვერისის ეკლესია, სოფლის სამხრეთით.
7. ბრილის სომხების ეკლესია, ღვთისმშობლისა, ძირს, ოდნავ ჩრდილოეთით.

1931 წ. აგვისტოს 30-ს ჩავიბარე სოფ. ბრილში მცხოვრებ დიმიტრი მიხეილის ძე ქართველიშვილისაგან ორი ნატეხი ბრინჯაო, საქართველოს მუზეუმისათვის გადასაცემად; აღმოჩენილია იქვე, ნაფარეულის მინაში, გაღმა უბნის თავს, 1925 წელს.

ბრილის მცხოვრებ გაბო პავლეს ძე ქართველიშვილს აქვს ბალთა ბრინჯაოსი, შემკული ცხოველთა სახეებით, ნაპოვნი 1930 წელს, ღვთისმშობლის ეკლესიის ქვეით. დაგვპირდა, მე ჩამოვიტანო მუზეუმშიო.

ბრილის ღვთაების ეკლესია[168]

ბრილის ღვთაების ეკლესია ზედაუბნის თავზე ერთნავიანი შენობაა, 6,4x3,8 მ., რომელსაც სამხრეთით მიშენებული აქვს ეკვდერი, 2,9x3,2 მ.; ნაგებია ქვიტკირისაგან. შიგნით და გარეთ გალესილია კირით. ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი. ტრაპეზი რაოდენიმედ დაშორებულია კედელს; ის ქვიტკირისაა. სამკვეთლო კედელშია გამართული. საკურთხეველს აქვს სამხრეთის კედელში მცირე თახჩა; მეორე თახჩა არის საკურთხევლისავე ნაწილში, ჩრდილოეთ კედელში. ეკვდერი ეკლესიასთან დიდი, კამარიანი შესასვლელით არის შეერთებული. ეკლესიის ეს ნაწილი, ეტყობა, ეკვდერის მიშენებისას გადაუკეთებიათ. ხალხის სიტყვითაც, ჯერ ეკლესია ყოფილა აშენებული და ეკვდერი მერმე მიუშენებიათ.

ძეგლი ძველია; მისი აშენება არავის ახსოვს. დგას სოფლის თავზე.

ეკვდერში არის სამი საფლავის ქვა წარწერით.

1. მარჯვნივ (სამხრეთით, კარისკენ) მდებარეს ზომა – 160x46 სმ.; წარწერა:

(ქ საფლავსა :)
(ამას :) შინა : მდებ
არე : არს : ჴორც
ი : მთნისა : ღ˜თ
ისა : ნიკოლ(ოზ :)
დ(იასა)შიძი(სა :)
ვინც : წა(იკი)
თხვიდეთ
შენდობას
ბძანებდე

თ : ქკ̃სა უ
ᴵ : აღსრ
ულა : თვეს
ა[1]

2. პირველი ქვის მარცხნივ (ჩრდილოეთით) არის ქვა, 168x58 სმ., წარწერით:

ქ. საფლავსა :
ამას შინა : მდ
ებარე : არს :
(ხ) [- - - -] კუ(რ)
[- - - - - - -] : შ
[ერმაზან : დ] (ია
სამიძისა :) (ვინც :)
[წაკითხ]ვიდე
თ : შენდობას :
ბძანებდეთ
ღთისგულ
ისათვის : აღ
ესრულა :.
ღვინობისთვის
თოთხმეტ
სა : ქკ̃სა :
(უ)[2]

3. მეორის მარცხნივ, ჩრდილოეთით, დევს მესამე ქვა, ზომით 159x48 სმ., წარწერით:

ქ : მოიხსენე : უფალო : თეთრო[-]ᵐ: ყოფილი :
თებრონა : ნიკოლოზ(ი)ს[ა]: და : შერმაზა
ნის : დედა (: და)იდვა სამარხოს(ა :) [- - - -]: თვესა : [- - -]

ეკვდერს ვარსკვლავის სახედი (რვა თუ ცხრა ხაზი – ერთი დაზიანებულია) თაღი აქვს, კუთხეებში (თაღის ძირს) ტრომპებით (?).

დატოვებულია ცარიელი ადგილი ტექსტის ჩასაწერად.

აქაც ცარიელი ადგილია დატოვებული დასაწერად; ქვა ადრევე ყოფილა დამზადებული დასაწერად, ე.ი. სიკვდილამდე.

ᵐ შესაძლებელია, აქ ა იყოს, ან ს, უფრო კი პირველი. ადგილი ქვაზე უფრო ა-ს წაგავს; მაშინ ის ნაიკითხება: თეთროა (?).

ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილოეთი სარკმლები განახლების დროს არის გადიდებული, აღმოსავლეთის და დასავლეთის კი ძველი სახით არის დატოვებული.

ეკვდერს აღმოსავლეთ კედელში აქვს თახჩა, ალბათ, სანთლის დასანთებად (შემურულია სანთლის ნთებისაგან).

ღვთაების ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი; მოჩანს ნაშთი. გალავნის სამხრეთით არის რაღაც დიდი ქვა, ჯვრის ასამაღლებელი, თუ სვეტის თავი?

ბრილში, 30 წლის წინათ, ღვთაების ეკლესიის ძირს, პეპო ქართველიშვილს უპოვნია ოქროს ჯვარი; ის მუზეუმში უნდა იყოსო.

ბრილის წმ. ნინოს ეკლესია[169]

ბრილის წმ. ნინოს ეკლესია დგას სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთ კუთხისაკენ. ის ერთნავიანი შენობაა, 6,4x4 მ.; კედლები ნაგებია ქვიტკირისაგან, თაღი კი აგურისაგან. დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები და საკურთხევლის თაღი; სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილი დაქცეულია. კარი აქვს დასავლეთით, სამხრეთითაც ჰქონია; უკანასკნელი ეხლა ნანგრევში ჩანს. სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, დანარჩენი არ შერჩენია. საკურთხეველს აქვს ორი ღრმა და ძლიერ მაღალი თახჩა; ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ. ტრაპეზი აღარა ჩანს. საკურთხევლის თაღი სულ აგურისაგან არის გადაყვანილი. ეკლესიაში ამოსულია მუხის ხე.

ეკლესიას დასავლეთი კარის ზევით უდევს პირის ფერი ქვა, ზომით 41,5x46,5 სმ., მხედრული წარწერით:

ქ : ეჰა : სამება : ერთარსებისა : მო
ციქულო ჲ· და ქართველთი (sic) : სარწმუ
ნოებითა ჲ· მღთისათა ჲ· განმანათლებ
ელო ჲ· წმინდაო (sic) ჲ· ნინო : ვიგულისმოდგინ
ე : და აღ[ვა]შენე ჲ· მცირე : ესე : ეკლესია
ჲ· სახელსა ჲ· შენსა : ზედა : ჩვნ (?) : დიასამიძე (sic)
მ : ბოდბელმა : ევ(დმო)ს (?) [: მ](ე)ო(ხ :) გვეყავ : დღ
ესა : მა(ს)[:] დიდს[ა] (:) გა[ნ](კით)[ხ](ვის)ასა : ჯამს
ა : მეფობისა ჲ· ერეკლესა(სა) : ქ[ო]ს : ტო[ზ]

ესეა სწორედ ასოებიც და ნიშნებიც.

ზედა-უბანში არის შესანიშნავი წყარო, ნაგები ქვიტკირისაგან, განახლებული; გადმოდის ხუთ მილად. მეორე წყარო ამოდის პირველი წყაროს ზევით, კაკლის ქვეშ; ის დაზიანებულია. მესამე წყარო არის ამავე უბანში, უფრო ზევით, წმ. ნინოს ეკლესიის სამხრეთით. ის დაზიანებულია; შენახულია მისი აუზი. სოფლის თავზე მდგომი ეკლესიის ქვევით არის გვირაბი, რომელიც სიღრმით რამდენიმე (9) ვერსით მიდისო მთისკენ; პირი მას ეხლა ამოვსებული აქვსო.

კვერისის წმ. გიორგის ეკლესია

ბრილის სამხრეთით, 1½–2 ვერსზე, გორაკზე, რომელიც ტყით არის დაფარული, დგას მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი; მოჩანს მარტო საძირკველი. ამას ჰქვია კვერისის წმ. გიორგი.

ბერისის ეკლესია[170]

ბრილის თავზე არის ბერისის ეკლესიის ნანგრევი, 5,6x3,6 მ.; ნაგები ყოფილა უზარმაზარი ლოდებისაგან. დარჩენილია მარტო ერთი პირის ქვა მიწის ზევით, დანარჩენი დანგრეულია.

ეკლესის ჩრდილოეთით, ოდნავ დაბლობზე, არის რაღაც შენობის ნანგრევი; მოჩანს მარტო საძირკველი.

ბრილის ციხე და ღვთისმშობლის ეკლესია[171]

ბრილის ჩრდილოეთით, 1½ ვერსზე, ტყეში, პატარა გორაკზე, არის ციხის ნანგრევი. ციხე პატარაა; მისი კედლები რაოდენიმედ მთლიანად შენახულა მხოლოდ დასავლეთ და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთ მხარეს, დანარჩენი ნანგრევს წარმოადგენს. დასავლეთით კარგად შენახულა მრგვალი ბურჯი, რომლის მხრიდან არის გზა ციხეში შესასვლელი. ციხე ნაგებია ქვიტკირისაგან. ციხეში არის სხვა და სხვა შენობები: ეკლესია, სახლი და რაღაც შენობების ნანგრევი.

ღვთისმშობლის ეკლესია დგას ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. ის ციხის კედელზეა მიშენებული, ასე რომ აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები გარედან ციხისა აქვს, ხოლო შიგნითი პირი კი – თავისი. ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,4x3,2 მ.; ნაგებია სულ თლილი ქვისა და კირისაგან (გარდა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების გარეთა პირისა), ე.ი. თლილი ქვა აქვს გარედან დასავლეთ და სამხრეთ კედლებს და შიგნით სულ მთლიანად თლილი ქვაა. გარეთა პირი ორივე – დასავლეთი და სამხრეთი კედლებისა

დაზიანებულია; პირის ქვა ბევრგან მოცილებული აქვს, შიგნითი პირი კი ძლიერ კარგად არის შენახული.

ეკლესია ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც დაზიანებული; განსაკუთრებით დაზიანებულია ჩრდილო-დასავლეთის კუთხე. თაღი შერჩენილი აქვს მხოლოდ საკურთხევლის ნაწილს. ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით კედლის დაზიანების გამო აღარ ეტყობა. ტრაპეზი ერთიანი ქვისგან ყოფილა, კედელზე მიდგმული; იგი დაზიანებულია: გატეხილია სიგრძეზე, ზევიდან ქვევით და ნატეხიც აქვე არის. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა: ერთი – დიდი და მაღალი, ჩრდილოეთ კედელში, მეორე – მცირე, სამხრეთით. ეკლესიაში ამოსულა ხე. ეკლესიის კარი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმით და წარწერით; იგი დაზიანებულია. სამხრეთის სარკმელიც შემკულია ჩუქურთმით. ეკლესიის დასავლეთით გდია ორი ჩუქურთმიანი ქვა, ეგონებ, დასავლეთი სარკმლისა.

ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არის ოთახი, 5,3x3,4 მ.; მას კარი აქვს სამხრეთით; დგას მარტო კედლები, დანარჩენი დანგრეულია. ამ ოთახის სამხრეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი. ციხე-ეკლესიის კედელი აღმოსავლეთ მხარეს 8 მ.-ზე მეტი იქნება სიმაღლით.

წარწერა ყოფილა ზედა ქვაზე, სამ სტრიქონად და შემდეგ მის ქვეშ მდებარე ქვაზე, ხუთ სტრიქონად (სულ რვა სტრიქონი). პირველი სამი სტრიქონისა შენახულია მხოლოდ სტრიქონების ბოლო ასოები (ქვა აცირცნილია და გაფუჭებული, ასე რომ თვითოეულ სტრიქონს უნდა აკლდეს დაახლოებით 20-25 ასო-ნიშანი). კარის თავზე, ჩუქურთმების შუაში, მოთავსებულია ჩუქურთმიანი ჯვარი:

[20-25] [- -] ⴰⴿ
[20-25] (ⵏⵛ . ⵣ)ⴰⴰ
[20-25] ⵏⵛ . (ⵣ)ⵁⵎ
[-]ⴲ(ⵖ)ⵏⵛ . ⵔⵣⵛ .
[-]ⵆⵆⵗ ⵛ . ⵆⵛ . ⴰⵖⴲ
ⵁⵛ . ⵣⵁⵁ ⵛ . ⵟⵀⴰⵁⵚ ⁘
ⵢⵛⵚⵀⵣ . ⵆⵛ ⵔⵣⵣⵊ(ⵍ)ⵏⵛ ⁘
ⵜⵥⵀ ⵏⵛ ⵕ ⴰⵊⵗ ⵒ

---

1 Ъ (მეუღლეს?).
III, IV, V სტრიქონები იქნებ ასე იკითხებოდეს: **მეუღლესა მამა-ადიდესა** (?). იქნებ უკანასკნელი სახელი იყოს.

ნიშნებად აქვს ზოგან ერთი, ზოგან – სამი წერტილი, ერთგან – ⊙ და ბოლოში – ⊃. ქარაგმები არა აქვს, თუ თითეული სტრიქონის თავზე გასმული ხაზი ქარაგმის აღმნიშვნელი არ არის.

ალის ქართველთა კვირაცხოვლის ეკლესია[172]

ალის ქართველთა კვირაცხოვლის, ანუ წმ. თომა მოციქულის ეკლესია გუმბათიანი შენობაა, 12x8,25 მ., ნაგები ქვიტკირისაგან, შიგნით და გარეთ გალესილი კირით; ეკლესიას აქვს სამხრეთით კარიბჭე; კარიბჭეზე დასავლეთით მიშენებულია აგურის ახალი, ორსართულიანი სამრეკლო. გუმბათს, კარიბჭეს და სამრეკლოს ჰხურავს თუნუქი, კალთებს კი კრამიტი. ეკლესია ნაგებია ნაწილობრივ თლილი ქვის (აღმოსავლეთი კედლის ძირა ნაწილი ჩანს), რიყის ქვისა და აგურისაგან. აგური გამოყენებულია სვეტების, კამარების, კუთხეებისა და კარებისათვის. კარი ეკლესიას აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი: გუმბათს – თორმეტი, აღმოსავლეთით – სამი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი. კარიბჭეს კარი აქვს აღმოსავლეთით, სარკმელი – სამხრეთით, ერთი. კამარები ეკლესიას ტეხილები აქვს სპარსულ ყაიდაზე. იგი XVII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ხალხი მიაწერს თამარ მეფეს ზევითა ეკლესიებისა და ამ ეკლესიის აშენებას, მაგრამ თუ ძველი ხანისაა აღმოსავლეთი ნაწილი (?), მაშინ იქნებ განახლებული იყოს XVII საუკუნეში, მაგრამ არა ვფიქრობ. ეკლესიას შუშები სრულებით არ უსხედს. ჩრდილოეთი კალთა სახურავის გაფუჭებისაგან წვიმით სველდება, შიგნით მისი თაღი დასველებულია; ამავე მიზეზით, შელესილობა შიგნით ყველა კალთებს თითქმის მოცილებული აქვს. ეკლესია განუახლებიათ სამოციოდე წლის წინად.

ალის უსანეთის ეკლესია[173]

ალის სომეხთა უსანეთის ეკლესია გუმბათიანი შენობაა, 12x8,5 მ.; ნაგებია რიყის ქვისა, აგურისა და კირისაგან. არაფერი არა ჰხურავს. თაღები, სვეტები, კარები და კუთხეები გამოყვანილია აგურით. ეკლესიის გუმბათი სულ აგურისგან არის აშენებული. ნაგებობა გარღვეულია ოთხსავე მხარეს. ეკლესიას შერჩენილი აქვს ხარაჩოსაგან დარჩენილი ხეები – ზოგი კამარების და ზოგი თაღების გადასაყვანად: ოთხი – გუმბათის საბჯენი სვეტების თავში, კამარების ძირში, ერთი – გუმბათის თაღის ქვეშ, ერთი – ჩრდილოეთ

მხარეს, აღმოსავლეთი ნაწილის კამარის ქვეშ, ერთიც – სამხრეთ მხარეს, აღმოსავლეთი ნაწილის კამარის ქვეშ, სულ – შვიდი, მერვე – მცირე სამხრეთი მხარის დასავლეთი ნაწილის კამარის ქვეშ. ასეთივე ხეები ჰქონია სხვა თაღების ძირშიც; მათი ხვრელები დატოვებულია. ზემოხსენებული შვიდი დიდი ხე ანუ კოჭი ოთხკუთხებია, მერვე – მრგვალი. ორივე კარს (დამხრეთისას და დასავლეთისას) თავზე გაწყობილი აქვს კოჭები. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: გუმბათს – თორმეტი, აღმოსავლეთით – სამი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი (ეხლა ამოგებულია). საკურთხევლის ნაწილი სომხური ეკლესიის ყაიდაზეა გამართული, ე.ი. ამაღლებულია შუა ნაწილი. საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, კედლებში აქვს სამალავები თუ სხვენში ასასვლელი. მასვე მარჯვნივ და მარცხნივ აქვს ორი თახჩა. ჩრდილოეთ კედელს აღმოსავლეთ ნაწილში აქვს ორი თახჩა. ერთი მათგანი (აღმოსავლეთი მხარისა) სანათლავია. კამარები ტეხილია, მაგრამ იგი გვიანობის დამამტკიცებელი არ უნდა იყოს. ზუსტად ასეთივე მასალისაგან და, საერთოდ, ამავე გეგმით და ამავე ზომით არის ნაგები ზემოთ აღწერილი ქართველების ეკლესია და იგიც ამისავე დროისა უნდა იყოს. გუმბათის ტეხილები სპარსული ტეხილები არ არის, ასე რომ ზემოთ აღნიშნული XVII საუკუნე შემცდარია, ორივე ძეგლი ძველი ხანისაა.

ეკლესიის სამალავებს აქვს სანათურები: სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი. ეკლესიას სახურავი ძლიერ დაზიანებული აქვს.

ეს და შემდეგ ორი სხვა ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით, 1 ვერსზე, მცირე გორაკის აღმოსავლეთისკენ მოქცეულ ფერდობზე, რომელზედაც არის მცირე ტყე.

ალის მიქელ-გაბრიელის ეკლესია


ალის მიქელ-გაბრიელის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, ნაგებია ქვიტკირისაგან. სვეტის თავები და კამარები გადაყვანილია თლილი ქვისაგან, კარის თაღს კი აქვს აგური, აგურისავე აქვს შენახული თაღიც ეკლესიის შუა ნეფს. ეკლესია ნანგრევად არის: მთლიანად შენახულია მარტო ჩრდილოეთი ნავი. მთავარ ნავს თაღის დასავლეთი ნახევარი ჩაქცეული აქვს. ეკლესიას სომხურ ყაიდაზე აქვს საკურთხეველი ამაღლებული. ეკლესიაში ყრია თაღის ნანგრევები. კარი აქვს სამხრეთით, უწინ ჩრდილოეთითაც და დასავლეთითაც ჰქონია, ეხლა ისინი ამოგებულია. სარკმელი: აღმოსავლეთით – სამი, სამხრეთით – ექვსი (მათგან სამი მცირე ნავს და სამი

მთავარს), დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – სამი (მთავარს). საკურთხეველს მაღლითა ნაწილში აქვს ორი ოთხკუთხი სანათური. დასავლეთით ამოტეხილი კარი სამხრეთ კუნჭულთან არის; დასავლეთისავე კედლის შუაში არის გამართული თახჩა. ჩრდილოეთი, ამოგებული კარი სამხრეთი კარის პირდაპირ არის. ჩრდილოეთ კედელში, აღმოსავლეთ ნაწილში არის ორი თახჩა; ერთი მათგანი (უკანა, დასავლეთის) სანათლავია. საკურთხეველშიაც არის ორი თახჩა; ორი თახჩა აქვს საკურთხევლის სვეტებსაც დასავლეთ მხარეს. საკურთხეველში, კიბეების ახლოს არის გვირაბის ხვრელი და აქვს სანათური (?). ტრაპეზი სულ აღარ არის, მოშლილია.


ამ ეკლესიასაც თაღები ტეხილებით აქვს, მაგრამ არა სპარსული ყაიდისა.

ეკლესიას აღმოსავლეთი მხრიდან მიდგმული აქვს ორ სართულიანი სამრეკლო, ნაშენი ქვის, აგურისა და კირისაგან. აგურისაგან თაღები აქვს, ხოლო ქვებისაგან – სვეტები. ძირა სართული ოთხ სვეტზე დგას, მაღლითა – ექვსზე; იგიც დაზიანებულია.

ჩრდილოეთ კედელში დატანებულ ემბაზს დატანებული აქვს ქვა (კედელში), რომელზედაც ჯვრებია გამოსახული და ძირა ნაწილში აქვს წარწერა სომხურად, სამ სტრიქონად, დაზიანებული (ნახ. 27). შუა, დიდ ჯვარსაც აქვს დაზიანებული წარწერა (ნახ. 28):



ნახ. 27



ნახ. 28

ეს ეკლესია დგას ალის სომეხთა უსანეთის ეკლესიის აღმოსავლეთით, 30-40 მ-ზე.

ალის დედაღვთისას ეკლესია[174]

დედაღვთისას ეკლესია ერთნავიანი შენობაა, ნაშენი ქვიტკირისაგან, სახურავი არა აქვს. თაღი დაზიანებულია. ეკლესია გარღვეულია დასავლეთ ნაწილში, სამხრეთ-ჩრდილოეთისაკენ. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი. საკურთხეველი სომხურ ყაიდაზეა. ზომით არის დაახლოებით 7x4 მ.

იგი დგას ღვთისმშობლისა და უსანეთის ეკლესიების ჩრდილო-აღმოსავლეთით, მახლობელ მანძილზე. ეკლესია ახალი აშენებულია (XIX ს.), ძველი ეკლესიის საფუძველზე.

ალის ჯვანოაანთ ეკლესია[175]

ჯვანოაშვილების, ანუ ჯვანიაური, ჯვანოაანთ ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, ნაგები ქვისა, აგურისა და კირისაგან. იგი ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც ნახევრად დაქცეული, თაღი სულ დაქცეულია, ზომით არის 11,8x8 მ.; ეკლესია ისეთივე წესით არის ნაგები, როგორც მიქელ-გაბრიელის ეკლესია, ე.ი. სომხურ ყაიდაზე. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი შერჩენილია თითო თითო მხარეს. სამხრეთი კარი შემკულია ჩუქურთმიანი ქვებით. თაღი დაბჯენილი ყოფილა საკურთხევლიდან გამოწეულ კედლებსა და ორ სვეტზე (რომელთაგან ერთი, სამხრეთი, აღარ არსებობს) და პილასტრებზე. ჩრდილოეთ კედელში, საკურთხევლის ახლოს, ყოფილა სანათლავი თახჩა. ეკლესიაში შიგნით ნანგრევები ყრია. იგი ძველი შენობაა.

ალის გვარამაძეების ეკლესია

ალის გვარამაძეების ეკლესია დიდი შენობა ყოფილა, იგი სულ ნანგრევად არის. დგას მარტო ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი ნაწილი, 3 მ. სიმაღლისა; დანარჩენი სულ პირქვეა დამხობილი. ეკლესიაში ყრია დიდი ნანგრევები. იგი ძველი ეკლესია ყოფილა.

ულუმბოს ღვთისმშობლის ეკლესია[176]

საღოლაშენში ყოფილა ულუმბოს ეკლესია. ეკლესია ერთნავიანი შენობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით აქვს რაღაც შენობების ნაშთი (ტაბ. LXXXIX$_1$). შენახულია მარტო ეკლესია, ისიც განახლებული, გვერდის შენობებისა კი მხოლოდ საძირკვლებიღა მოჩანს. თვით ეკლესია ძველი აგებულია, განახლებული აქვს ორივე კარი და თაღი; ძველი თაღი შერჩენილი ყოფილა მხოლოდ საკურთხევლის ნაწილში, დანარჩენი თაღი განახლების დროს გადაუყვანიათ. გვერდის შენობები განახლების დროს მოუსპიათ საძირკვლამდე. ეკლესიის ზომა – 13,75x6,75 მ.; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით

– ორი. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, ფიცრისა (ახალია); სამკვეთლო თახჩაშია გამართული. საკურთხევლის ნაწილი საერთოდ გადაკეთებულია; შუა ეკლესიის შუაში აქვს იატაკი, მრგვლად ამაღლებული. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით; კირი გარედან ნაწილობრივ მოცილებული აქვს, საიდანაც მოჩანს, რომ ძველი ეკლესია ნაგები ყოფილა, ნაწილობრივ მაინც, თლილი ქვისა და კირისაგან. ქვების წყობა სწორ-ხაზოვანია; ასე მოჩანს, მაგალითად, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლების ძირა ნაწილებში. სამხრეთ კედელს დასავლეთ ნაწილში ჰქონია დიდი კარი, რომელიც ეხლა ამოგებულია. სახურავად ჰხურავს კრამიტი; იატაკი დაგებულია თლილი ქვისაგან. სამხრეთით, ზემოხსენებულ ძველს, აწ ამოგებულ, კარს თაღის ქვები გარედან შესანიშნავი ჩუქურთმით ჰქონია შემკული; იგი ამოუტეხიათ განახლების დროს – ნაშთი კარგად ეტყობა ქვას. სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვას აქვს მხედრული წარწერა (ტაბ. LXXXVII$_2$):

1871ᵐ ხელ დასხმულ ვიქმენ არხიეპისკოპოზის ევსეის მიერ
მღვდლად ულუმ[ბ]ის ღ ის შობლის ეკლესიისა მე ალექსი
კეკლიევი მეცადინობითა ჩემითა შეუდექ აღშენებას
ამა ტაძრისას და შეგასრულე
1871

ამ წარწერის ასწერივ, 2 მ.-ის მაღლა აწერია – **1872**.

გვერდის შენობების გეგმა სავსებით ვერ იქნა აღდგენილი, რადგან მათი საძირკველი ყველგან არ მოჩანს; ეკლესიის დასავლეთით შენობის საძირკველი კი კარგად მოჩანს, ამიტომ ის სწორი ხაზებით მოვხაზე. ამ შენობის ზომა – 7x6¼ მ. ჩრდილოეთ კედელს შეხმარებული აქვს აგურიც ძველადვე; შესაძლებელია, ეს მხარე ან ძველადვეა გადაკეთებული, ან კიდევ, იქნებ, იგი დუღაბის ნაწილი იყოს და გარეთა პირი განახლებისას მოცილებული ჰქონდეს, ე.ი. შეიძლება კედელი შეათხელეს სიგანით (?).

ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; მოჩანს მისი ნანგრევი ნაშთად. ადგილობრივ პირთა გადმოცემით, ძველად ულუმბოში ყოფილა 900 მოსახლე კომლი, მათი ნასახლარები მთელ მიდამოში მოჩანს; ამაზე ყოფილა წარწერა, რომელიც ეკლესიის განახლებისას ბერძნებს მოუშლიათ, გაუტეხიათ.

ულუმბოში ყოფილა ღვთისმშობლის ხატი. ულუმბელებს უდავიათ და ულუმბოში წაუღიათ ეს ხატი.

ამოტეხილია სულ.

სიძველენი:
სპილენძის ჯამი მხედრული წარწერით:

შემოვწირე ულუნბის ხეთის მშობელსა ელისაბედ სარახათუნოვისა 1891

ეს წარწერა გარედან არის, ერთ სტრიქონად, გარეშემო.

რუსთავის მთავარანგელოზის ეკლესია[177]

რუსთავის [...][178] ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 7,2x3,3 მ., რომელსაც სამხრეთით აქვს ეკვდერი (მთელ სიგრძეზე). იგი ნაგებია ქვიტკირისაგან. ქვა ნაწილობრივ თლილია და, ნაწილობრივ, სწორპირიანი. ეკლესია ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები, თაღი კი ნახევრად (დასავლეთი ნაწილი) დაქცეულია. კარი აქვს სამხრეთით; წინათ დასავლეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოგებულია. სარკმელი შერჩენია მარტო აღმოსავლეთით, დანარჩენ კედლებს, დაზიანების გამო, აღარ ეტყობა. კანკელი ქვიტკირისაა; სიმაღლით არის 1,5 მ., სისქით – 70 სმ.; იგი გარედან (დასავლეთის მხრიდან) გალესილია კირით. აქვს მარტო აღსავლის კარი; შიგნიდან (აღმოსავლეთი მხრიდან) აქვს თახჩები. ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული; იგი ერთიანი ქვაა, რომელიც ნახევრად წამოქცეულია. სამკვეთლო აღარა ჩანს, იგიც კედელზე უნდა ყოფილიყო მიდგმული. იქვე, საკურთხეველში, სამხრეთ ნაწილში არის მცირე თახჩა.

ეკვდერი თითქმის სულ დანგრეულია; მისგან შენახულია მხოლოდ დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების ნაწილი. კარი ჰქონია სამხრეთით და დასავლეთით.

ეკლესიის გარეთ არის აკლდამები. რამდენიმე მათგანი, სახელდობრ, ერთი – ეკლესიის დასავლეთით, მეორე – ეკლესიის სამხრეთით (აღმოსავლეთ ნაწილში), გაუთხრიათ 1930 წელს, ცხინვალიდან გამოგზავნილ ვიღაც რუსს და ორ სხვა პირს. ამოუღიათ მძივები და სხვა.

სოფელში არის კოშკის ნანგრევი; შენახულია მისი ჩრდილოეთი ნახევარი.

ყორნისის კახრის უბანში (რუსთავისაკენ, მაღლობზე) არის კოშკი.

სურამის ციხე[179]

სურამის ციხე დგას მაღლობ ადგილზე. ნაშენია ქვიტკირისაგან. ზურაბს უჩვენებენ აღმოსავლეთის მხარეს, კოშკში. იგი სველია მაღლიდგანვე და ამიტომ ამბობენ, ზურაბის ცრემლით არის სვე-

ლიო; სხვანი უჩვენებენ, ამავე კოშკს რომ ქვევიდან მიდგმული ბურჯი აქვს, ვითომ ამ ბურჯში ჩაატანესო, რადგანაც თავს არ იჭერდაო.

ციხის ეზოზე გაუმართავთ საჭიდაო კალო. კედლები ზოგ მხარეს აღარ არის, გადაზგუებულია; აღარ არის, მაგალითად, ნაწილი დასავლეთის კედლისა და ნაწილი სამხრეთი კედლისა, ეკლესიასთან; დანარჩენი შენახულია.

ეკლესია დგას აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაპირისაკენ, ანუ კუთხისაკენ. იგი ფრესკებიანია; ფრესკები შერჩენილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე. ეკლესია ორი განყოფილებისაგან შესდგება: I ვითომ ქართველთა ეკლესია არისო, II სომხებისააო. III არ ვიცი, საძვალეა თუ არა, იგიც ფრესკიანია. ამ უკანასკნელს უწინ კარები ჰქონია სამხრეთიდგანაც; ეხლა იგი ამოშენებულია; მეორე, დასავლეთი კარების თავზე აქვს ფანჯარა. ეს კარები (დასავლეთი) თითქმის ფანჯრამდე სულ ნანგრევით არის ამაღლებული. I ეკლესიის აღმოსავლეთ თაღზე ფრესკებს აქვს ერთ ადგილას წარწერა †϶Ⴉ. ფრესკები შერჩენილია ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე და საძვალეზე. თაღი მრგვალია. ნაშენია თლილი ქვისა და კლდის ქვისაგან.

ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული და ეხლა მთლად მოცილებულია საძირკვლამდე; დარჩენილია 4 ვერშოკის სიმაღლისა. ეკლესიები შიგნით და გარეთ ნაფხაჭნია მნახველთა მიერ; ქვებზედაც კი ამოუჭრიათ თავიანთი სახელი და ჯვარი და ძლიერ დაუზიანებიათ.

ორივე ეკლესია დაზიანებულია. აქა-იქ კედლები ჩამოქცეული აქვს, მაგალითად, ჩრდილოეთის კარებთან.

ზარი სურამის მუშათა კლუბში, ქართული ხელოვნებისა, დაახლოებით 15 გირვანქა, წარწერით:

ქ. შეშოგწირე ზარი ესე სურამის თავარანგელოზის ეკლესიასა მეგრელის ქალმა დარეჯანმა მხევალმა ღთისამან სულისა ჩემისა საოხლათ

სურამის ციხე დგას ანუ აშენებულია კლდეზე. მას მომრგვალებული სახე აქვს. აღმოსავლეთით აქვს ოთხკუთხი, კვადრატული კოშკი, ქვისაგან ნაგებია. კარები აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან. დასავლეთი კედლის ნაწილი მოსპობილია. ეზოში არის რაღაც შენობის ნაშთი. ეზოზედვე უწინ ჩანდა დიდი, ღრმა აუზი წყლისათვის, რომელიც ეხლა ამოუვსიათ და მახლობლად კალო გაუკეთებიათ საჭიდაოდ.

სურამის ნივთები

სურამში, საწყობში მოგროვილი ნივთები:

1. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით, სურამის სომეხთა ეკლესიისა:

ქ. შევწირე ბარძიმი ესე სურამისა წმინდის გრიგოლ განმანათლებელის ეკლესიას გარდაცვალებულმა დავით იაკოფისძე მოლოლოემა და მეუღლემან ჩემმან ქეთევანმან ჩვენის სულის სამოხებლათ წელსა ჩყნგ

2. ბარძიმი ვერცხლისა, სურამის ქართველთა ეკლესიისა, წარწერით:

ქ. სურამის დეკანოზის ნებიერისძისა ვარ მისხალი რი წელსა ჩყიგ

3. ბარძიმი ვერცხლისა, ურთხვის ეკლესიისა, წარწერით:

ქ. სოფლის ურთხვის წმინდის გიორგის ეკლესიას შემოვწირე ვერცხლის ბარძიმი ფეშხუმი და ვარსკვალი და კოვზი იოვანემ ბალიძემ ჩემს სადღეგრძელოთ და ჩემის დედმამის შიოსი და ნინოსი სულის მათთ სამოხათ და მოსახსენებლათ მისხალი რჯა

სურამის გუმბათოვანი ეკლესია[180]

სურამის სომეხთა გუმბათიან ფრესკებიან (ახალ) ეკლესიას საკურთხეველში აქვს ამბიონის ქვა, 4½x4½ კარიანად, ქართული წარწერით:

ქ. რჩეული ღ̃თისა მღვ
დელმთავარო უბიწო
დ გებულო ჯ̃შტ̃ბს წ̃ა გ[რგ]ᵎ
ოლ განმანათლებელო დაᵎ
[-]ეო მაგედრებელთა შენთა

ძველო გომის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სიძველენი

ბარძიმი ვერცხლისა, რუსული ხელოვნებისა, წარწერით:

შემოვწირე გომი[ს] იოანე ნათლის მცემლის ეკლესიას
გლახა პეტრესძე მამულაშვილმა სადღეგრძელოდ ჩემდა
და მოსახსენებელად მიცვალებულთა წელსა ჩყჯ

ᵎ დაზიანებულია.

ᵎ დაზიანებულია.

ვაყას დედაღვთისას ეკლესიის კომპლექსი[181]


ვაყას სომეხთა დედაღვთისას ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,75x4 მ., რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს სხვა შენობა ეკლესიისავე გასაფართოვებლად (ტაბ. XC). ეს უკანასკნელი ზომით არის 8,75x5,45 მ.; სიგრძე ეკლესიისა შემატებული ნაწილითვე – 16,25 მ. იგი ერთნავიანი შენობაა; სამხრეთით მიშენებული აქვს სხვა შენობები, ჟამატუნები, სამრეკლო. ძველი ნაწილი ეკლესიისა (აღმოსავლეთი ნაწილი) ნაშენია ქვითკირისაგან: გარეთა პირი თლილი ქვაა, შიგნითი – ნარევი ქვა, დასავლეთით მომატებული ნაწილი კი ნარევი ქვაა და აგურიც, კირით. სამხრეთ ეკლესიაზე მიშენებული შენობებიდან ერთი სულ თლილი ქვაა (აღმოსავლეთი ნაწილი), დანარჩენი ქვიტკირია – ნარევი ქვა და აგური; კარიბჭე (სულ განაპირა, სამხრეთისა) ნაწილობრივ თლილი ქვაა, ნაწილობრივ – ნარევი ქვა და აგური. ეკლესიაზე სამხრეთიდან მიდგმული ჟამატუნი ორ სართულიანია, ასავალი აქვე არის, დასავლეთის კედელთან; აქ არის კიბე ქვიტკირისა. აღწერა თვითეული ნაწილისა ცალკეა ნომრობით:

№1 და №2 ეკლესია ნაშენია ქვიტკირისაგან; გარეთა პირი თლილი ქვაა, შიგნით კი ნარევია. სახურავი თითქმის აღარა აქვს, ზედ აყრია დამტვრეული კრამიტები. ზომით არის 6,75x4 მ.; იგი ერთნავიანი შენობაა. შიგნით გალესილია კირით. მას დასავლეთით მიმატებული აქვს სხვა შენობა, რის გამოც ძველი ეკლესიის (№1) დასავლეთი კედელი დიდ, ღია კამარად არის გადაკეთებული. მიმატებული ნაწილი (№2) ნაშენია ქვიტკირისაგან; ქვა ნარევია – აგური და კირი. სახურავის კრამიტი მასაც დამტვრეული აქვს. ორივე ეს შენობა შედარებით კარგად არის შენახული, თუმცა თაღი გარღვეულია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ორივე შენობის სიგრძე – 16,25 მ.; მეორე შენობაც შიგნით კირით არის გალესილი. ეკლესიას კარი აქვს ჩრდილოეთით ორი (მეორე შენობისა), სარკმელი: აღმოსავლეთით – სამი (მათგან ერთი, ჩრდილოეთი მხრისა, ამოგებულია), სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი; ორი უკანასკნელი გაფართოებულია, ალბათ, დასავლეთი შენობის (№2) მიშენების დროს. საკურთხეველი ამაღლებულია სომხურ ყაიდაზე; ჩრდილოეთ კედელში არის ემბაზი ქვისა, შეღებილი რუხი ფერით. საკურთხეველს სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში აქვს მცირე სამხროები (?) ანუ ოთახები. საკურთხევლის ტრაპეზი შუაშია, იგი ქვიტკირისაა; მას ზევიდან ადევს ქვა, 74x46x15 სმ., შემკული სამ მხარეს, აშიის ადგილს, ჩუქურთმით; მას გულის ადგილი ჩაღრმავებული აქვს. ტრაპეზს წინა ნაწილზე რაღაც მოწყობილობა აკლია; იგი აშლილია, ქვა კი

დევს აღმოსავლეთ ნაწილზე. საკურთხეველი, თუ მთელი ეკლესიაც (№1) არა, ძველად მოხატული ყოფილა, იგი კირით შეულესიათ. მხატვრობა შენახულია მხოლოდ გვერდის სამხროებში (?) და, აგრეთვე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე მცირე ზოლებად, ზევიდან ქვევითამდე.

ეკლესია განახლებულია, განახლებისას ეს ფრესკები შეულესიათ, მაშინვე ჩრდილოეთ სამხროც გადაუკეთებიათ, მისი სარკმელი ამოუგიათ და თვით იგი მცირე თახჩად უქცევიათ.

მხატვრობა: ჩრდილოეთ კედელზე შენახულ მხატვრობის ზოლის ძირა ნაწილში შენახულა რომელიღაც წმიდანი; მას მარცხენა მხარე შელესილი აქვს. ამ ზოლის ზევითა ნაწილში სახეებია გამოყვანილი ხვეულებისა და სხვა. სამხრეთ კედელზე შენახულ ზოლზე ნაშთია მხოლოდ მხატვრობისა. ჩრდილოეთ სამხროში (?) თახჩიდან მოჩანს ორი თუ სამი წმიდანის (?) ხატი, დაზიანებული. სამხრეთ სამხროში (?) თაღი შემკულია ჯვრებისა და სხვა სახეებით. ჩრდილოეთ კედელზე ამ (სამხრეთ) სამხროსი (?) დახატულია რომელიღაც წმინდანი, მდგომარე, სახე დაზიანებულია; აღმოსავლეთ კედელზე – სხვა წმიდანი, სამხრეთ კედელზე – ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით კალთაში, მის მარცხნივ (დასავლეთით) – დიდებული ვინმე დაჩოქილი და ხელ გაპყრობილი ევედრება ღვთისმშობელს; დიდებულს ფეხის ნაწილი დაზიანებული აქვს. დასავლეთ კედელზე – წმიდანი ვინმე, თავი დაზიანებული აქვს, იგი მარჯვენით აკურთხებს, მარცხენით გრაგნილი უჭირავს დახვეული. მისი თავის მარჯვენა მხარეს არის რაღაც ჩაღრმავებით კედელზე მინაწერის ნაშთი (ნახ. 29); არავითარი მინაწერები მხატვრობას არა აქვს; იგი ძლიერ დაბალი ხელის ნამუშევარია და XVIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. საკურთხეველი 80 სმ.-ით არის ამაღლებული შუა ეკლესიიდან. მიმატებული შენობის უკანა (დასავლეთი) ნაწილი ერთი საფეხურით არის ამაღლებული შუა ნაწილიდან.



ნახ. 29

ჩრდილოეთ კედელში (№1 ეკლესიის) ჩასმული ქვა ზომით არის 47,5x85x43,5 სმ.; იგი წინა პირზე (სამხრეთ მხარეს) შემკულია ყურძნის მტევნების სახეებით და წარწერით:

ენბაზი ესე შეწირულ[ი] არ[ა]
თ̃ლი დიმიტრი მარტიროსს[ა]

ესეა.
ესეა.

ძის ბეგთაბეგოვისა პ-დ
ცხებულ.იქმნა ძე ამისი ლა(ზ)[1]
მარჯვენა გვერდისაკენ აწერია: 1862

მიმატებული შენობის აღმოსავლეთ ნაწილში არის საფლავის ქვები, ზოგი წარწერით, ზოგი – უწარწეროთ; მათგან ორი – წინ, აღმოსავლეთით და ექვსი – უკან, დასავლეთით; დასავლეთ ნაწილშიაც – ერთი, სულ – ცხრა.

წინ, კამარის მახლობლად, მარჯვნივ მდებარე ქვას, 150x60 სმ., გულში უზის მარმარილო, 48x48 სმ.; მარმარილოს გარეშემო აქვს ყვავილოვანი აშია, შიგნით კი სომხურ-ქართულად წარწერა (სიგანეზე):

ՅՕՀԱ.ՆՆԷՍ ԷՍ ԻՇԽԱ.Ն Ի ՍՈՑՆ ՏԱ.ՊԱ.ՆԻ
ՈՐԴԻ ԲԼԳ-ԹԱ.ՐԵԳԵԱ.Ն Փ.ՆԻԱ.Ջ ՍՕԼՕՄՕՆԻ
ՅԱ.Ֆ.ԱՅԻՅ ՍԻՐԵՅԵԱ.Լ Ա.ՏԵՆՆԱ.ԴՊՐԻ
ԿՕԼԵԺ-ՍԿԻ ՍԷԿՐԷՏԱ.Ր ԿԱ.ՅՍԵՐԱ.ԿԱ.ՆԻ
Ի ՀԱ.ՍԱ.ԿԻ Ա.Մ.Ա.Յ Վ.Ա.ԹՍԱ.Ն Ե ՀՆԳԻՅ
Վ.ՃԱ.ՐԲ Ջ.ԿԵԱ.ՆՍ ԻԻՐ ԿԱ.ՐԻ ՅԱ.ԻԱ.ԼԻՅ
ԽՆԴՐԲ Ի ՋԸՆՋ ԶԱ.Ղ.ՕԹՍ ԵՐԲԱ.Բ-Ջ ՀՈԳԻԿԻՅ
ՋԻ ԵԿԱ.Յ-Ջ ՕՐՀՆԵԱ.Լ-Ջ.ԻՆ Լ.ԻՅԻ Մ.Ա.ՍՆԱ.ԿԻՅ
Թվ.ն 1823ին. Ա.ՊՐԵԼ.Ի 27 ին. წელსა ჩყკგ[ს] აპრილის კზ[ს]

მდებარე ვარ ბნელსა სამარესა შ[ი] ამის მე ძველად საქართველოს და აწ რუსეთის
დიდის იმპერიის თავადი კოლეჯსკის სეკლეტარი მდივანი იოვანე ძე მდივანი
სოლომონ ბეგთაბეგოვისა ვიყავ სამოცდახუთის[ი] წლისა რომელიც განვშორდი სასურ
ველთა ძეთა და ასულთაგან უცრემლოს თვალით გთხოვთ შენდობას მიბრძანებდეთ[ი]

პირველი ქვის მარცხნივ (ჩრდილოეთით) დევს ქვა, 148x46 სმ.; მასაც გარეშემო აშიის ადგილას სახეები აქვს და შუაში სიგრძეზე აწერია:

ესეა.
ესეა ერთად.
მე მგონია, სომხური სტრიქონები ცალკე უნდა დაიწეროს და ქართული ცალკე და IX სტრიქონის ბოლო ქართული ნაწილი XIII-ის ბოლოში უნდა იქნეს გადმოტანილი, ან ასე დარჩეს.

ქ ⁖ მოიხსენე ⁖ უფალო ⁖ მდივნის ⁖ ბეგთაბეგის ⁖ [დედა ⁖ მოლო]ზანი ⁖
ჰორომსიმე ⁖ ვინც ⁖ წაკითხოთ ⁖ შენდობა ⁖ ბრძანეთ ⁖ მიღდხს

უკანა რიგში, მარჯვნიდან (სამხრეთიდან) მარცხნივ (ჩრდილოეთით) ხუთ ქვას წარწერები არა აქვს.

მეექვსე ქვას გარეშემო სახეები აქვს და შუაში და, ნაწილობრივ, მარჯვენა აშიაზედაც და გვერდზედაც აქვს წარწერა. ზომით არის 130x45 სმ.; წარწერა არის სიგრძეზე:

ქ . ეჰა მუხთალ მექმნ (sic) ჟამსა სჯუკისა (sic) ჩემისასა ოდეს სრულ ვიქმენ წლის იმ წამერთ(ო)
წარმავალი მუხთალი ესე სოფელი მსწრფლ (sic) წარტაც (sic) შარვანდენ (sic) საკობის (sic) ჩემისა და დაკლებ
ულ ვიქმენ საურლისა (sic) მამადედათ დ (sic) თვის ტომთ ჩემთა დ (sic) მდებარე ვიქმენ მ
ცრეთა ტაგრუცთა ამა (sic) შინა ვითაცა (sic) სხვან (sic) მრავალნი არიან მე მდივნის ბეგთბეგ (sic)
ის ძე მდივანი სულხან თვესა დეკბე (sic)
(რსა) ვინც აღმოიკითხევდეთ ⁖ შენდობას ⁖ ბძანებდეთ ⁖ ქ კს უოზ

მეხუთე სტრიქონი დაწერილია მარჯვენა სიგრძის აშიაზე, მეექვსე – იმავე მარჯვენა გვერდზე.

პირველ ოთხ სტრიქონზე სიტყვები თითქმის გადაბმით არის დაწერილი და მეექვსისა კი გაყოფით. იმავე მეექვსე სტრიქონს განკვეთილობის ნიშნებიც უზის – ორ-ორი წერტილი. მეხუთე სტრიქონი აშიის სწორ ადგილებზეა დაწერილი.

აღწერილი ქვის უკან (დასავლეთით); უკვე ამაღლებულ ადგილზე არის მეცხრე ქვა, 115x43 სმ, რომელსაც, აგრეთვე, აშიების ადგილი შემკული აქვს სახეებით და გულში, სიგრძეზე აქვს წარწერა:

ქ. ესე საფლვი (sic) შალვს (sic) ქ(ლ)ისა (sic)
ქეთევნისა ვინც წიკითხოთ (sic)
შენდობა ბძანებდეთ (sic) ქ(ე)ს |უვ|

შენობა №2-ის მიმატებულ ნაწილს ძველად სამხრეთით ჰქონია კარი; ეხლა ის ამოგებულია. სამხრეთით მოჩანს შენობის საძირკველი.

შენობა №3. იგი ორ სართულიანია; ნაგებია ქვიტკირისაგან, გარეთა პირი სულ თლილი ქვაა და შიგნით კი ნარევი. ძირა სართული საძვალეა – აქ არის საფლავები, მაღლითა კი ეკვდერი ანუ სამწირველო.

ძირა სართულის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან არის აკლდამის კედლები, ქვა აღებულია; აქვე, შუა ადგილას ამ სართულისა არის საფლავის ქვა უწარწერო; მის მარცხნივ – მეორე ქვა; იგიც უწარწეროა, გატეხილი სამად. პირველი ქვის უკან, დასავლეთით არის მესამე ქვა, 138x49 სმ., წარწერით. მას აშიების ადგილი შემკული აქვს სახეებით და შუაში კი წარწერა აქვს სიგრძეზე:

ქ ჳ მოიხსენე ჳ უფალო ჳ ამას ჳ საფლაოსა ჳ შიგან ჳ მდებარე ჳ მდივნის ჳ დიდის ჳ ბეგთაბეგის ჳ შვ(ი)ლი ჳ ბე ჯან ჳ ვინც ჳ წაკითხვედეთ ჳ შენდობას ჳ ბძანებდეთ

მაღლითა სართული სამწირველოს უნდა წარმოადგენდეს, მას ასასვლელი აქვს მეოთხე შენობის დასავლეთი ნაწილიდან. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი. საკურთხეველში არის ორი თახჩა, ჩრდილოეთ კედელში ემბაზია, დაზიანებული. ტრაპეზი აღარა ჩანს. მისი თაღი ვარსკვლავის (?) სახედია; თაღს სამხრეთ-დასავლეთი კუთხე დაზიანებული აქვს.

შენობას დასავლეთით ჰქონია რაღაც მინაშენი, მოჩანს მისი საძირკველი.

შენობის კარის თავზე (დასავლეთ მხარეს) მდებარე ქვაზე გამოსახულია ჯვარი და სხვა სახეები. გარედან კედლები შემკულია ჩუქურთმებით (ფანჯრებთან და ცალკე ქვებზე).

შენობა №4 ნაშენია ქვიტკირისაგან, თაღები ორივე სართულს აგურისა აქვს, სახურავზე არაფერი ჰხურავს (კრამიტი არა აქვს). ძირა სართულს კარი აქვს ჩრდილოეთით (კარიბჭისკენ), სამხრეთით (ეკლესიაში) და აღმოსავლეთით (საძვალეში). მაღლითა სართულში ასასვლელი არის დასავლეთ კედელთან, კიბით. მაღლითა სართულს აქვს კარი: ჩრდილოეთით – ორი, აღმოსავლეთით – ერთი (სამწირველოში); ფანჯარა: დასავლეთით – ერთი ფანჯარა და ორი სანათური, სამხრეთით – ერთი ფანჯარა (?) და ორი სანათური, აღმოსავლეთით აქვს სხვენზე ასასვლელი. ძირა სართულს კარი დასავლეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოგებულია და დიდ თახჩად არის ქცეული. ძირა სართულს ჩრდილოეთ კედელში აქვს ბუხარი; ეს შენობა ხალხის სადგომი არის. ორივე სართულს დატანებული აქვს თახჩები. ძირა სართულს ფანჯრები აქვს: ჩრდილოეთით – ორი, დასავლეთით – ერთი.

შენობას ჩრდილოეთი კარის ზევით, პირით ჩრდილოეთისაკენ უდევს ორი ქვა წარწერით. წარწერიანი ქვების ზომები: მარჯვენა ქვისა – 49x96 სმ., მარცხენა ქვისა – 48x93 სმ.:

ქ ⁘ ღ̃თო ⁘ ყო̃ისა ⁘ მჳ̃ლო ⁘ რო̃სა ⁘ გი̃ყს ⁘
მ̃რა̃ი ⁘ და ⁘ სყ̃ობ ⁘ ცოით̃ა ⁘ მე ⁘ ფ̃დ ⁘ ცო̃იმან
და ⁘ უ̃ნ ⁘ მარტიროზი შვილმან ⁘ აჲთა
ნდილ ⁘ მე̃ცმნ ⁘ ჩ̃ნ ⁘ მარიამ ⁘ ძ̃ნ ⁘ ჩნ[1]

ეს არის მარჯვენა ქვაზე, მერმე წარწერა გადადის მარცხენა ქვაზე.

სულხან ⁘ და ⁘ ბეგთაბეგ ⁘[1] შწ̃თა ⁘ შ̃ა ⁘ აღ̃აშე ⁘ ჲა
ყას ⁘ დედა ⁘ ღ̃თის̃ა ⁘ წინ ⁘ ჯამატ̃უნი ⁘
ორი ⁘ ზედაქუედ (?) ⁘ სამრ̃ეო ⁘ ს̃ყდრითა ⁘ ზარი
საკიდითა ⁘ კარის ⁘ ბჭითა ⁘ და ⁘ ორის ⁘ ჯჳარითა ⁘

ამის შემდეგ წარწერა გადადის ისევ პირველი ქვის ბოლოში, მეოთხე სტრიქონის ძირს და შემდეგ იქიდან მეორე ქვაზე:

შეჳამკე ⁘ ძველი ⁘ საყდა̃ი ⁘ ყოელის ⁘ მისი ⁘ საკადრისი ⁘ იარაღითა ⁘
შეი̃წე ⁘ შ̃ნ ⁘ ყ̃დ ⁘ წდაო ⁘

ამის შემდეგ მეორე ქვაზე, იმავე სტრიქონის გაგრძელებად:

დედაო ⁘ ღ̃თ̃იო ⁘ გჳი̃ნ ⁘ მეორედ ⁘ მს̃ს ⁘ დიდისა ⁘ სატ̃ჯისაგნ ⁘
მო̃ხ ⁘ გ̃ქმნ ⁘ ძ̃სა ⁘ მ̃სა ⁘ და ⁘ ღ̃(თა ⁘ ჩ̃სა ⁘ წ̃ი) [შე ⁘] რათა ⁘

ამავე მეორე ქვაზე:

არა ⁘ მოიხსენოს ⁘ აურაცხელნი ⁘ ცოდ(ჳ)[ანი ⁘ ჩ̃ნი]

ამის შემდეგ უნდა აკლდეს დაახლოებით 5-6 ასო; ქვა ატეხილია და დაკარგულია[2].

წარწერა, კარიბჭეში რომ ორი ჯვრიანი ქვა არის, იმაზე ამბობს, ორი ჯვარიო.

შენობა №5 ნაშენია ნანილობრივ, თლილი ქვისა და, ნაწილობრივ, რიყისა და სხვა ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, თაღი ჩამოქცეულია. იგი კარიბჭეა (?), კამაროვანი შენობა ყოფილა და შემდეგში ოთახად უქცევიათ. მის აღმოსავლეთ ნანილში, შუაში არის დიდი თახჩა (?), ხოლო მის მარჯვნივ და მარცხნივ – ორი ქვა ძვირფას ჩუქურთმიანი ჯვრისა და სხვა სახეების გამოსახულებით.

ესეა.

ეს ორი სიტყვა ჩამატებულია იმავე ხელით სტრიქონის ზევით.

კარიბჭეში მოთავსებულ კარის თავის წარწერაში (შენობა №4) ჰ სნერია ჰ-დ და, შესაძლებელია, ბრილის საფლავის წარწერაში ქ̃ნი უჰ აღნიშნავდეს უჰ-ს.

მარჯვენა ქვა დაზიანებულია, მარცხენა კი კარგად არის შენახული. ზომა მარჯვენა ქვისა – 166x81 სმ., ზომა მარცხენა ქვისა – 157x81,5 სმ. მარჯვენა ქვის ზევითა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ორი პირი; დაზიანებულია. ამ ქვას ზევითა ზოლზე აქვს ძლიერ დაზიანებული წარწერა:

ᲘᲐ ᲫᲛ ᲩᲐᲠ : ᲜᲠᲜ

აკლია 18-20 ასო. ამავე ქვის მარცხენა გვერდზე არის, როგორ ჩანს, ამ წარნერის გაგრძელება:

ᲫᲚ :
(Ძ)[-]ᲭᲜᲘ :
ᲩᲛ Ი
ᲜᲓ

მარცხენა ქვაზე, ზედა ზოლზე:

ᲐᲡ ᲫᲛ ᲩᲐᲠᲚ Ს ᲜᲠᲜ Ს.ᲘᲩᲜ :.
ᲜᲘᲜ : ᲡᲘ ᲘᲠ ᲙᲚᲙᲜ Ნ

ამავე ქვის მარჯვენა გვერდზე ეტყობა ამავე სტრიქონის გაგრძელება:

ᲙᲨᲐ.Ძ᷑Ლ : Ძ
ᲐᲭᲜᲘ
ᲩᲛ. ᲘᲛ
ᲜᲛ:

ამავე ქვას წინა პირზე, წვნიკი ჩაჭდევით, აქვს წარწერები: მარჯვნივ – სომხურ-სპარსული და მარცხნივ – ქართულ-სპარსული. მოვიყვან ქართულს:

მე ტერ მიქელა სურამელი

დანარჩენი წარწერები ფანქრით გადავიღე.

ამ კარიბჭეს შიგნითი კამარები ისევ შენახული აქვს, თაღი კი ჩაქცეულია. კარი აქვს ჩრდილოეთით.

ეკლესია და სხვა შენობები უპატრონოდ არის და შეკეთებას და გადახურვას მოითხოვს.

კარიბჭის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით არის მოაჯირი რკინისა, რომელშიაც არის 4 საფლავის ქვა. ორი (დასავლეთით) ახალია: ერთი – როსტომის ძე ბეგთაბეგოვისა († 1910 წ.), მეორე – მისი მეუღლე ეკატერინე იოსების ასული ბეგთაბეგოვისა († 19[--][1]),

[1] ესეა ღიად დატოვებული.

ორი დანარჩენი საფლავი კი, რომელნიც პირველთა აღმოსავლეთით არიან, ძველებია. ავწერ ამათ.

მარჯვნივ (სამხრეთით) მდებარე ქვა – 163x50,5 სმ., წარწერით:

განჩინება უ˜ღსა აწ აღსრულდა ჩემ ზედა და მე ვ˜ა მიწა
მიწადვე მიწოდა საქართველოს მ˜ფის გიორგის მდივანი
თ˜ა როსტომ სულხანისძე ბეგთაბეგოვი შობიდან ვიყავ 90ჱ
აღსრულდი 1855ჱ მხილველნო შენდობა მომადლეთ

მის მარცხნივ მდებარე ქვა, 160x53,5 სმ., წარწერით:

ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს გვამი თ˜ა მდივნის როს
ტომ ბეგთაბეგოვის თანა მემცხელრე ასული იოსებ
ხეროდნოვისა ელისაბედ შობიდან ვიყავ 68ჱ აღვს
რულდი 1871ჱ მხილველნო შენდობა მომადლეთ

კარიბჭის სამხრეთით 3,5 მ.-ზე არის სხვა საფლავის ქვა წარწერით:

ამა ლოდსა ქუშე მდებარე ვარ თავადის
სოლომან ბეგთაბეგოვის ასული
ელისაბედ ა(ხ)ლადად (?) აღყვავებული
თერთმეტის წლისა რომელიც და(ჰ)ფარა მშ
ვენება ჩემი ად (sic) (გ)ანვედ ამაო ამაოდა დ(sic) მივი
ქეც მიწად აღმომკითხველნო ვედრ
ებით გთხთვთ[1] (sic) შენდობით მომიხსენიოთ
1865 წელსა

ოთახები №3,4,5-დან მრავალი საფლავის ქვა გაუტანიათ და ხიდებისთვის შეუხმარებიათ.

ეკლესიას გარეშემო აქვს გალავანი, დაზიანებული.

გალავნის კარს გარედან, მარჯვნივ (სამხრეთით) ჩატანებული აქვს ქვა ჯვრის გამოსახულებით. იმავე კარს შიგნით, მარჯვნივ (ჩრდილოეთით), პირით დასავლეთისაკენ ჩატანებული აქვს ქვა, 40x55,5 სმ., წარწერით:

მე თ˜ა ლუკა როსტომისძე
ბეგთაბეგოვმა და თანა მემ
ცხედრემან ჩემან ეკატი
რინამ აღვაშენეთ ზღუდე

---

[1] უნდა დაეწერა გთხოვთ.

ესე ტაძრსა საოხად სულისა
ჩვენისა 1883

ეს კარი გალავანს აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვაყას ღვთისმშობლის ეკლესია[182]

ვაყას ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6,6x3,2 მ. (ტაბ. XCI$_1$). ნაგებია ქვიტკირისაგან, შიგნით და გარეთ გალესილია კირით. ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით, ფანჯარა – თითო თითო მხარეს. ტრაპეზი ხისგან არის გამართული. სამკვეთლო თახჩაშია გამართული, თაღები – ტეხილები, სპარსულ ყაიდაზე. იგი ახალი შენობა უნდა იყოს, დაახლოებით XIX საუკუნის დასაწყისის.

ვაყას სომანეთის წმ. გიორგის ეკლესია[183]

ვაყას სომანეთის წმ. გიორგის ეკლესია ახალი შენობაა, აშენებული, როგორც ეტყობა, ძველის საფუძველზე (ტაბ. XCI$_2$). იგი დგას სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1½ ვერსზე, მდინარის მარცხენა ნაპირას, მცირე ბორცვზე; მის მახლობლად დიდი ხნის მუხებია.

ქარელის წყარო ცხოვრების ეკლესია[184]

ქარელის წყარო ცხოვრების ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 16,5x6,2 მ., ნაგებია ქვიტკირისაგან. შიგნით და გარეთ გალესილია კირით; შიგნით, ძირა ნაწილი – წამლით ნაცრისფრად. ჰხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ორი. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, იგი ფიცრისაა; სამკვეთლო – თახჩაში. საკურთხევლის სამხრეთ კედელში არის განჯინა; ასეთივე განჯინა არის შუა ეკლესიისა სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში. შუა ეკლესიაშივე, სამხრეთ კედელს აქვს მცირე თახჩები: ჩრდილოეთით – ერთი, დასავლეთით – ორი, სამხრეთით – ერთი.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში, საკურთხევლის ახლოს სხედს მარმარილოს ქვები წარწერებით, XIX საუკუნისა, ციციშვილებისა. ჩრდილოეთ კედელზე, საკურთხევლის ახლოს ზის მარმარილოს თეთრი ქვა, 61x57 სმ., წარწერით (ქვას ზევითა ნაწილი გატეხილი აქვს):

მომიხსენე მე უფალო საფლავსა [აკლია 25-27 ასო] ილთ[-]

მოქმედი შენის დიდების მწყობარე . ამ ეკლესიის [- - -]ელი ჭეშ-მარიტების მორწმუნე . და

გლახაკთა ობოლთ გამკით[ხ] [-] კეთილის მყოფელთ მოლხინე . ჩე თავადი დავით ევსტატისძე

ციციშვილი (sic) ფანასკენტელი (sic) . შთამსვა სიკვდილმან საფლა-ვად ვარ მისგან დატყვევებული . კარნი

დამიხშნა საფლავის მიწისგან ვიქმენ ვნებული . და ხორცი განმხადა ძვალთაგან მყო კვალად

აჩრდილებული Ცწ ჩემის სიცოცხლის ჟამადცა მქონდა მხნეობა გმირული, გარნა ბრძანე

ბით ღუთისათა მსწრაფლ მიწად მექმნა ყოველი შობიდგან აღ-სრულებამდის სამოცის წლის

განველი . და ჩემთვის შენდობას გევედრით ვინც იყვნეთ დატევებ-ულნი : გარდაიცვალა ჩყჲგ᷄ წ

იანვრის ა᷄ დღესა . ჩომიხსენე მე უფალო საფლავსა ამასა მდებარე გვერდითა მამისა ჩემისათა

თავადი ევსტათი დავითის ძე ციციანოვი . მოიწია ჩემდაცა ხმა უფლი-სა და მრქვა მიწა ხარ და

მიწადვე მიქეც (sic) და მსწრაფლს განვშორდი ამიერ სოფლით ძმათა და მოყვასთა ჩემთ შობიდგან აღსრულება

მდის ვიყავ . ლე . წლისა ხოლო აღვესრულე ჩყჲგ᷄ წ. აპრილის ბ დღე-სა : გევედრებით (sic) აღმომკით

ხველნო შენდობა მიბრძანეთ . საკუთრივ იასონ დავითის ძის ციცია-ნოვისაგან შეწირული

სამხრეთ კედელზე, პირისპირ ზემოაღწერილი ქვისა არის მეორე ქვა მარმარილოსი (მთელი), წარწერით. თავში დახატულია გვირგ-ვინი, მის ქვეშ – ჯვარი და შემდეგ წარწერა:

ჩი უფალო გევედრები მომიხსენე მე სასუფეველსა შენსა საფლავსა ამას ქვეშე მდება

რე კნიაზნა მარიამ დავით ციციანოვის ასული უფალო ბრძანებითა შენითა მეუწყა რომ

ელ მიწა ვიყავ და მიწადვე მივქცეულ ვიყავ აჰა მომიხდა სიკვდილი და მომკვეთა და მიმცა

გამხრწნელსა მიწასა რომლისაგანცა მივიღე მსგავსება აჩრდილთა სიკვდილისათა შობიდ

გან აღსრულებამდის ვიყავ 37 წლისა ხოლო განვედი ამიერ 1869
წელსა ოკდონბრის 8ს
აღმომკითხველნო შენდობა მიბრძანეთ ։ მოშიხსენე მე უფალო სა-
სუფეველსა შენსა
საფლავსა ამას ქვეშე მდებარე კნეინა ქეთევან აბაშიძის ასული ცი-
ციანოვისა მოიწია
ჩემდაცა ხმა უფლისა და მრქვა მიწა ხარ და მიწადვე მიქეც (sic) და
აჰა განვშორდი საყვა
რელთა შვილთა ჩემთა და დავემკვიდრე საუკუნოდ საყვარლისა ასუ-
ლისა ჩემისა
გვერდითა შობიდგან აღსრულებამდის ვიყავ 60 წლისა აღვსრულდი
1865 წელსა
ნოენბრის 25ს აღმომკითხველნო შენდობა მიბრძანეთ ։
საკუთრივ იასონ დავითის ძის ციციანოვისაგან შეწირული
ქვა ზომით არის 61x57 სმ.

შუა ეკლესიის დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთი კედლის ახლოს დევს საფლავის ქვა, 102x45,5 სმ., წარწერით:

უწყალომან სიკვდილმან შამამხვია
ხელია შავ მიწას დამტკიცა (sic) იფიქრეთ
რა ძნელია მაიკო არჩილის ასული
შ ეზვ (?) მთხოვნელია ჩყოვ¾ბ

ეკლესიას დასავლეთი კარის თავზე უდევს ქვა, გატეხილი ორად, წარწერით:

ჩყივ წელსა აღეშენა საქართველოს
მეფის ირაკლის ასულის მარიამისა
გან

სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვაზე აწერია:

ტაძარი ყ ღ წმიდისა წყაროცხოვრებისა[1] დაესრულა ჩყნ
წელსა თავადის დავით ევსტათის ძის ფანას
კეტელ ციციშვილისა მიერ

ეკლესიას აღმოსავლეთ კედელში, გარედან აქვს სამი მაღალი ნიში; მასალაში აგურიც ურევია.

[1] ესეა.

ეკლესიას გარეშემო აქვს გალავანი ქვიტკირისა, გარდა ჩრდილოეთი ნაწილისა, საიდანაც აქვს ციხე.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ციხე. შენახულია ერთი ოთხკუთხი კოშკი და ორი მრგვალი კოშკები. უკანასკნელთაგან აღმოსავლეთი კოშკი დაზიანებულია. ციხეს ჩრდილოეთ მხარეს ჰქონია შენობები, რომელნიც დანგრეული არიან. ამავე ჩრდილოეთ მხარეს, ციხის კედლიდან გამოდის ძლიერ დიდი მილით შესანიშნავი წყალი. ციხე ნაშენია ქვიტკირისაგან; ციხიდან კარგად შენახულია სამხრეთი მხარე და, ნაწილობრივ, დასავლეთისაც.

დაღალულას ღვთისმშობლის ეკლესია

გომის აღმოსავლეთით, 1½ ვერსზე, ვაყას ქვევით, ტყით (მუხისა) დაფარულ ვაკე ადგილას, დგას დაღალულას ღვთისმშობლის ეკლესია. ის ნანგრევად არის: დგას მარტო კედლების ნანგრევები. ნაშენი ყოფილა ქვიტკირით. ის ერთნავიანი შენობაა, ზომით 4,8x3 მ.; კარი ჰქონია სამხრეთით, სარკმელი, ეტყობა, აღმოსავლეთით და დასავლეთით; დანარჩენი კედლები დანგრევის გამო აღარა ჩანს.

ეკლესიის აღმოსავლეთით, ტრიალ ველზე, 1 ვერსის დაშორებით, არის კოშკის ნანგრევი. ესეც დაღალულასავე არის. ეკლესიის დასავლეთით, ტყის გარეთ, უჩვენებენ ნასოფლარს.

ფლევის სამყვირალოს წმ. გიორგის ეკლესია[185]

ფლევის სამყვირალოს ეკლესია დგას შესანიშნავ, ტრიალ სერზე. ის ერთნავიანი შენობაა, 6,5x3,5 მ.; ნაგებია დიდი, სწორ-პირიანი ლოდებისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული, განსაკუთრებით ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; ორივე კარს შიგნითი მხარე ჩვეულებრივი კარისაგან განსხვავებული აქვს. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. ტრაპეზი ერთიანი ქვისა ყოფილა, ის წამოქცეულია და იქვე დევს; იგი შავი ფერისაა. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა: ერთი – მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ. ეკლესია შიგნით გალესილია კირით. იგი შიგნით და გარეთ ნანგრევით არის სავსე.

ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და, ვგონებ, ჩრდილოეთითაც ჰქონია რაღაც შენობები; ეხლა მათი საძირკვლის ნაშთიღა მოჩანს.

ფლევის წმ. გიორგის ეკლესია

ფლევის წმ. გიორგის ეკლესია დგას მცირე სერზე, ახალი ეკლესიის აღმოსავლეთით; ის ერთნავიანი შენობაა, 6x3,2 მ., რომელსაც ჩრდილოეთით ჰქონია ეკვდერი. ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვით. ის შესანიშნავი შენობა ყოფილა. ქვების წყობა სწორხაზოვანია. შიგნით კირით ყოფილა გალესილი, დღეს მოცილებული აქვს. ეკლესია მოხატული ყოფილა: კვალი შენახულია შუა ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, აღმოსავლეთ ნაწილში; აქ შენახულია წითელი და შავი ფერები; წითელი ფერი შენახულია სხვაგანაც.

ეკლესია ლამაზი და მოხდენილი აგებულებისაა. კარი აქვს მხოლოდ ჩრდილოეთით; სხვა კარი არ უჩანს. ჩრდილოეთი ეკვდერი დღეს ნანგრევად არის; შენახულია აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების დუღაბი, დანარჩენი სულ მოსპობილია. ეკლესიისაც მარტო კედლები დგას. თაღი სულ ჩამოქცეულია, გარეთა პირის ქვები მზე-ქვირიმისაგან ძლიერ დაზიანებულა; შიგნითი პირი დაზიანებულია მარტო საძირკველთან ახლოს. სარკმელი აქვს ეკლესიას: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ერთი. ეკლესიის კარის (ჩრდილოეთის) თავზე მდებარე ქვა ჩამოუგდიათ და კარებთანავე პირქვე გდია; მას წარწერა არ უჩანს. შუა ეკლესიაში არის საფლავის ქვა, გატეხილი რამდენიმე ნაწილად, მას გულში მარმარილო ჰქონია (?), რომელიც დღეს აღარა ჩანს. ტრაპეზი სულ მოშლილია. საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში არის თახჩა. ეკლესია და ეკვდერი ერთად არის ნაგები, მათი კედლები სულ ერთიანია. ეკლესიას გარეთა პირი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხარეს თითქმის სულ შემოცლილი აქვს და დუღაბიც ძლიერ დაზიანებულია, განსაკუთრებით ძირა ნაწილში და შენობას დაქცევას უქადის. ქვა რბილი გამომდგარა და წვიმა-ქარისაგან ძლიერ დაზიანებულა.

ეკვდერის დასავლეთ კედელს გარედან შენახული აქვს პირის ქვა.

ფლევის ღვთისმშობლის ეკლესია[186]

ფლევის ღვთისმშობლის ეკლესია დგას სოფლის გარეთ, მცირე სერზე. ის ერთნავიანი შენობაა, 6,6x3,3 მ., ნაგები ქვიტკირისაგან. გარეთა ქვა თლილია, შიგნითი კი სწორ-პირიანი. ძეგლი დღეს ნანგრევად არის: დგას მარტო კედლები. ის კარგი შენობაა. ეკლესიაში ამოსულია ორი ხე. კარი აქვს სამხრეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით – ორი. საკურთხეველში არის ორი თახჩა. ტრაპეზი აღარ არის. ეკლესიის საკურთხევლის აღმოსავლეთი

ნაწილი ცოტა სხვაგვარი მოყვანილობისაა;[187] გარეთა პირი ნაწილი დაზიანებულია, განსაკუთრებით – დასავლეთისა.

ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესია[188]

ნაბახტევის[1] ეკლესია დგას სოფლის თავზე, დასავლეთით, სერზე. იგი დგას ციხეში. ციხე დიდი ყოფილა, უჭირავს 2 დესიატინამდე; იგი დანგრეულია, შენახულია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი კედლის ნაწილი 8x10 მ., კიდევ აღმოსავლეთით რამდენიმე ნაწილი; დანარჩენი ნანგრევად არის. დასავლეთ ნაწილში, შიგნით, მოჩანს მრავალ შენობათა ნანგრევები (ციხისა).

ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც ჩრდილოეთით აქვს კარიბჭე (?) სამრეკლოთი. დღეს ნანგრევად არის, შენახულია მარტო კედლები და საკურთხევლის თაღი, დასავლეთი ნაწილის ანუ შუა ეკლესიის თაღი კი სულ აღარ არის (ტაბ. XCII, $XCIII_1$). კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, დასავლეთით – ორი; სანათურები: სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი. კარიბჭეზე სამრეკლო ზევიდან ადგია. ზომით ეკლესია არის 12,5x7 მ., ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისა და კირისაგან. კარიბჭე ცალკე შენობაა (სამრეკლოთი), იგი ორგანულად არ არის დაკავშირებული ეკლესიასთან, არამედ მიშენებულია. იგი ნაშენია სწორ-პირიანი ქვის (ნაწილობრივ თლილი) და კირისაგან. იგი გადაკეთებულია ოთახად, ბუხრით აღმოსავლეთ კამარაში.

გარედან ეკლესია შემკულია ჩუქურთმებით. დასავლეთით, კარის ზევით არის დიდი, ჩუქურთმიანი ჯვარი (ტაბ. $XCII_1$); მის მხრებს ძირს სანათურები შემკულია ჩუქურთმებითვე. დასავლეთისავე კარს სვეტები ჩუქურთმიანი აქვს: იგინი დაზიანებულია. ამ კარის მარჯვნივ (ჩრდილოეთით) არის ქვა ორი ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით; ამავე კედელზე, ჩრდილოეთ კუთხესთან ახლოს (ერთი ქვის დაცილებით) არის სხვა ქვა, შემკული ჩუქურთმითვე. აღმოსავლეთის და სამხრეთის ფანჯრები შემკული ყოფილა ჩუქურთმებით; ისინი ახლა ნაწილობრივ დაზიანებულნი არიან. ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთ კედელზე აქვს გარედან რაღაც კედლის ნაშთი. ეკლესიას გარეთა პირი ნაწილობრივ დაზიანებული აქვს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ მხარეს. პირის ქვები ზევითა

[1] ცნობა ზაზა ფაფაკერაშვილის, 75 წლის: ნაბახტევს ძველად ნატახტევი რქმევია; ყოფილა 900 კომლი ქართველი, 700 კომლი სომეხი და ლეკს წაუხდენია.

ნაწილში სულ მოცლილია, სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე სულ ჩამოქცეულია, ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ნაწილიც ჩამოქცეულია. ჩრდილოეთი ფანჯარაც შემკული უნდა ყოფილიყო ჩუქურთმით, მას პირის ქვა აღარ შერჩენია. გარეთა პირი დაზიანებული აქვს, აგრეთვე, ჩრდილოეთ კედელს (ზევითა ნაწილში). კარიბჭეს თაღი შენახული აქვს, სამრეკლოსი კი დაქცეულია. სამრეკლოში ასასვლელი კიბე ყოფილა დასავლეთი მხრიდან, ეხლა ის დაქცეულია. ეკლესიას ტრაპეზი კედელზე აქვს მიდგმული, იგი ერთიანი ქვისაა; ერთიანივე ქვისაა სამკვეთლო. საკურთხეველში არის ორი წვრილი და მაღალი თახჩა. საკურთხევლის აფსიდი გარედან შვიდ წახნაგოვანია.

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა ნაშთადღა არის შენახული. ნარნერები ხატებს ნაწილობრივ ბერძნულად აქვს, ნაწილობრივ – ასომთავრულად. საკურთხეველის კონქში დახატული ყოფილა ღვთისმშობელი; შენახულია მარტო თავი შუბლიდან დაწყებული მხრებამდე, ნარწერა ბერძნული უჩანს. მის მარჯვნივ, კუთხესთან ახლოს, შენახულია რომელიღაც წმიდანი, დაზიანებული; მარცხნივ, მოშორებითვე – თავი რომელიღაც პირისა, წარწერის ნაშთით **[...]ΤΗΣ (გაბრიელ მთავარანგელოზი?)**; დანარჩენი მხატვრობა სულ მოსპობილია.

ამავე საკურთხეველში, დასავლეთ კედელზე:

I რიგი: კამარის ნაწილში, რომელიღაც წმიდანი გრაგნილით ხელში, იხ. ქვემოთ №1; შემდეგ – მღვიძარე თვალი, ბერძნული წარწერით (№2).

II რიგი: მარჯვნივ (სამხრეთით) – სამი მგზავრი აბრაამ-სარათი (№3) (ტაბ. $XCIII_2$), ბერძნული წარწერით. მარცხნივ (ჩრდილოეთ კუთხესთან) – წმ. იოანე წინამორბედი ბერძნული წარწერით (№4).

III (ძირა) რიგი: მარჯვნივ ადგილი დაზიანებულია; მის შემდეგ (ჩრდილოეთით) შენახულია წმიდანის მარცხენა მხარე თავიდან წელამდე (სახე არა ჩანს, ნიმბი და მხრის ნაწილიღაა შენახული), წარწერით (№5); შემდეგ, კარის თავზე – სახეებიანი მხატვრობა, და ბოლოს, ჩრდილოეთ კუთხესთან – რომელითაც წმიდანი წელამდე, წარწერით (№6). იგი შედარებით კარგად არის შენახული. დანარჩენი მხატვრობა ძირა ნაწილში მოსპობილია.

აქვე, სამკვეთლოს კარებში დახატულია: მარჯვნივ (ჩრდილოეთით) – წმიდანი, შენახული წელამდე, წარწერით: **ΟΑ ΣΕ | ΦΑΝΟC :- || ΟCΟΥΓ | ΔΙΑC :-** მარცხნივ (სამხრეთით) – წმიდანი, აგრეთვე წელამდე შენახული, წარწერით **ⲡ̅ⲥ̅ : ⲧⲃ̅ⲫⲧⲗⲁ :-**

საკურთხევლის კამარაზე და კამარის ძირს, სვეტზე: მარჯვნივ, ჩრდილოეთით – ორი წმიდანი, მდგომარები; მათგან მარჯვნივ

მდგომი წელს ზევით მოსპობილია, მარცხნივ (იმისივე გვერდით) მდგომს დაზიანებული აქვს თავიდან წელამდე მარჯვენა მხარე; მას ხელში საინი (?) უჭირავს, რომელზედაც რაღაც ნივთი (?) დევს. წარწერიდან შერჩენია **[...] YCIC.** მათ ძირს (სვეტის ზევით) – წინასწარმეტყველნი ესაია და ეზეკიელი (ორნი), მდგომარენი (ტაბ. XCII,); შენახულნი არიან კარგად, წარწერით: **ᲩᲬᲧᲖ | ᲣᲨᲔᲘᲔ, ᲩᲬᲧᲔ | ᲘᲔᲖᲘᲬᲘᲔ.** ორივეს გაშლილი გრაგნილები უჭირავთ, წარწერებით: ესაიას – **ᲔᲘᲔ : | ᲩᲙᲖ : ᲔᲘ | ᲝᲔᲚᲘᲣ : | ᲔᲔ : ᲧᲘᲣ : | ᲫᲘ : ᲔᲔ : | ᲝᲩᲞᲝ | ᲔᲘᲔᲩ : | ᲚᲔᲩᲘᲔᲖ,** ეზეკიელს – **ᲔᲫᲮᲐᲝᲔ : | ᲔᲘ : ᲔᲔ : ᲢᲯ | ᲔᲘ : Ი | ᲧᲝᲘ : ᲔᲔᲧᲘ | ᲝᲔ : ᲔᲔ : Უ | ᲯᲔ : ᲢᲔ | ᲩᲘᲘᲝᲘ :**

მათ ძირს, სვეტზე, რომელიღაც წმიდანის სახე, წელამდე; დანარჩენი მოსპობილია.

იმავე კამარაზე, მარცხნივ (სამხრეთით) – წინასწარმეტყველი (?); შენახულია წელამდე, ბერძნული წარწერით: **X(H)CE(ACK)** [აქ წინასწარმეტყველით აღნიშნული სიტყვა იქნება მე წესიერად ვერ გადმოვიწერე] **CAMOY | HA;** მის ძირს (სვეტის ზევით) ყოფილა დახატული რომელიღაც წმიდანი; შენახულია მისი მხოლოდ ძირა მარცხენა ნაწილი, რომელზედაც მოჩანს გრაგნილი წარწერით, ბერძნულად – **(B)E [- - -] | BHKO [- -] | AKOHI [-] | COYK(A)I | EΦOBH | ΘHN [- -] | T(E)M [- - -] | TA [- -]**

საკურთხევლის მხატვრობის გაგრძელება: ჩრდილოეთ თახჩაში დახატული ყოფილა რომელიღაც წმიდანი; შენახულია მხოლოდ მუხლს ქვევითი ნაწილი. სამხრეთ თახჩაშიც დახატული ყოფილა რომელიღაც წმიდანი; შენახულია მხოლოდ წელის ნაშთი, სადაც შენახულია, აგრეთვე, მისი გრაგნილის ნაწილი წარწერით: **ᲫᲯᲝ | ᲙᲐᲘ | ᲢᲘᲫᲔ.** ამ თახჩის დასავლეთ კედელზე შენახულია წმიდანის ნიმბის მარცხენა ნაწილი; მასთან არის წარწერა: **ᲘᲔᲫᲜ | Ტ;** მისივე შენახულია მუხლის ნაწილი. ტრაპეზი მოხატული ყოფილა, შენახულია კვალი; სამკვეთლო ქვაც აგრეთვე მოხატული ყოფილა და აქვს კვალი.

ჩრდილოეთი კედელი: აქ მხატვრობა შენახულია ნაშთად; აღმოსავლეთ ნაწილში თითქმის სულ მოსპობილია, აქა-იქ მოჩანს ნაშთები; შენახულია მხოლოდ დასავლეთ ნაწილში[1] – აქ დახატული ყოფილა სამი წმიდანი; მათგან ერთი (მარცხენა, აღმოსავლეთით) თითქმის სულ მოსპობილია, ორი დანარჩენი კი შენახულია: მათგან პირველს (მარცხენა, აღმოსავლეთით) დაზიანებული აქვს თავი, მარცხენა მხარი და მარჯვენა ფეხი მუხლს ქვევით, მეორეს

[1] ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში შენახული ორი წმიდანი სამხედრო ტანისამოსში არიან გამოწყობილი.

(მარჯვენა, დასავლეთით) – თავი (მთლად), მარჯვენა მხარი და წელს ქვევითი ნაწილი (მთლად). პირველის (სულ მოსპობილის) და მეორის შუა, მუხლს ქვევითა არეზე არის მინაწერები კედელზე, წვნიკად, ჩაღრმავებით:[1]

1. მეორე წმიდანის მუხლებს შუა მიწაყაალე ღმერთო | შე-მიწაყაალე ღმერთო | შემ(?)იწაყალე(?) ა[- - - - -] (იკოფას) | ქალსა |

2. მეორე წარწერის ქვევით ყოფილა წარწერა თუ წარწერები; ისინი დაზიანებულია.

3. პირველი პირის ტანისამოსის არეზე: ქ : ესე (დაზიანებულია დანარჩენი).

4. მეორე მინაწერის ქვევით სხვა მინაწერი, დაზიანებულია.

5. მესამე მინაწერის მარცხნივ, აღმოსავლეთით, წმიდანის ტანისამოსის ძირს, ე.ი. მარჯვენა ფეხის მარჯვნივ – (ქ) ღმერთ[ო] | და ღმრთ[ის მშობელო] | (მიწყლ) სუ [...]

6. ქ ღ̃თო[...]

7. ქ ღ̃ თო და :. ყ̃დ :. წ(დ)[ო :] | ღ̃თის :. მშობელო [:] | შე̃ე(?) (ლ) ივ(ანდი) :. და ნუზ[- -] | მტერთა :. გულისასა :.

8. ქ : ღ̃თო : და : ვედრებისა : ღ̃თის : მშობელო : | ნუ : წამწყმედ : ფრიად : ცოდ | ვილსა : აყთანდრლს : (?)

9. ქ ღ̃თო და ვედრების | ღთის მშობელო (მეტი არაფერია დაწერილი).

10. ქ ღმერთო და ვედრ(ბ)[ის ღ̃თის მშობელო] | (შ)ეწყალე ფრიად ცო[დვილ] [- - - -]

სამხრეთი კედელი: თაღის ძირა ზოლზე მოჩანს მხატვრობის კვალი ფანჯარაში. კამარაზე გამოსახულია ჯვარი წარწერით: Ī C̄ X̄ C | N̄ I K̄ A | Φ̄ . X . | Φ̄ . Π . |; ჯვრის მარჯვნივ (აღმოსავლეთით) – წმიდანი; შენახულია თავი ნარწერით – ჩ̃ა | ⴑრნ | ⴑაⴘა | ⴖⴄⴜⴘⴍს; ჯვრის მარცხნივ (დასავლეთით) – წმიდანივე; შენახულია თავი და ტანისამოსის ძირა ნაწილი, აწერია: ჩ̃ა | ⴑⴑ | [- -] | [- - -]

ძირა რიგში დახატული ყოფილან ისტორიული პირნი. აღმოსავლეთით, საკურთხეველთან ახლოს დახატული ყოფილა მეფე ალექსანდრე თავის მეუღლით. მეფეს დაზიანებული აქვს თავი, გული

[1] მინაწერები ჩრდილოეთი კედლისა პირველი და მეორე ნომრით აღწერილი მოთავსებულია მეორე (შუალა) წმიდანის ფეხებშუა არეზე; დანარჩენები ამ (შუალა) წმიდანის მარცხენა ფეხისა და პირველი წმიდანის ტანისამოსის ქვედა ნაწილს და მისივე მარჯვენა ფეხის შუა მოქცეულ არეზე ერთი ერთმანეთის მიყოლებით.

და მარცხენა მხარე წელს ქვევით მუხლებამდე, მარჯვენა მხარე მუხლს ქვევით, ფეხები და ხელები; შენახულია მხოლოდ მხრები, მარჯვენა მხარე წელიდან მუხლებამდე და მარცხენა მხარე მუხლიდან ფეხამდე; დედოფლისა კი შენახულია მხოლოდ მარჯვენა ხელი და მარცხენა მხარე წელიდან მუხლამდე.

მეფის თავის გარეშემო აქვს წარწერა:

(ⴋⵗⴔⵗⴛ) ‖ (ⵛ) [- - - -]
ⴋⵗⴔⵗ ⵛⴖⵗ : ‖ ⵜⵒⵛⵔⵃⵚⵒ(ⵗ)

დედოფალს წარწერა არ შერჩენია.

მათ დასავლეთით, პილასტრზე დახატული ყოფილა ყრმა; მისგან შენახულია მხოლოდ პირისახის ქვედა ნაწილი და გული.

ამათ დასავლეთით დახატული ყოფილა ეკლესიის აღმშენებელი (?) – ქუცნა (ტაბ. $XCIV_2$). იგი შედარებით უკეთ არის შენახული; დაზიანებული აქვს ქუდის ზევითა ნაწილი, წელის მარცხენა მხარე და მუხლს ქვევითი ნაწილი. მას ხელში უგუმბათო ეკლესიის მოდელი უჭირავს, გაწვდილი აღმოსავლეთისაკენ; წითელი წვერი აქვს, თანაც თხელი. აწერია:

ⵜⵁⵆⵔⵃ(ⵛ) : ⵅ̄ⵖⵏ : ⵏ̄(ⵏ) :

ქუცნას შემდეგ მოჩანს მუხლი, ქვევითა ტანისამოსი ერთი თუ ორი პირისა; შესაძლებელია, ქუცნას შემდეგ ყრმა იყო დახატული და მერმე მისი მეუღლე; მეუღლეს შერჩენია წარწერის ნაშთი:

: ⵏ̄ⵏ :

ქუცნას დასავლეთით დახატული ყოფილან წმიდანი; შენახულია მხოლოდ ნაშთი.

დასავლეთი კედელი: მეორედ მოსვლის ხატები – მაღლა, ჩრდილოეთ კედლისაკენ ახლოს, შენახულია სამება: მამა და ქრისტე გაშლილი წიგნებით, მათ შუაში – სულიწმიდა. მამა და ქრისტე სხედან ტახტზე; მათ ქვევით – ანგელოზები საყვირებით და სხვა სიუჟეტების ნაშთი. ამავე კედლის სამხრეთ ნაწილში შენახულია მაღლა, მწკრივზე მდგომარე პირთა წელს ქვევითი ნაწილები; მათ ძირა მწკრივზე – ღვთისმშობელი, ტახტზე მჯდომარე, გვერდზე ანგელოზით; ანგელოზის მარცხნივ ადგილი დაზიანებულია. შემდეგ – **[ⵟ]ⵛⵀⵁⵇⵖ**, მას მხარს ქვევით მარჯვენა ნაწილი დაზიანებული აქვს; მის გვერდით (მარცხნივ) – **ⵊⵁⵅⵣⵒⵃ | ⵛⵄⵓ | ⵀⵖ :·**, იგი კარგად არის შენახული. სულ ძირა მწკრივზე – სამოთხეში მყოფი წმიდანები – მარჯვნივ (სამხრეთით) კაცები, მარცხნივ (ჩრდილოეთით) – დედაკაცები. ასე ჩანს, რომ კარის მარჯვნივ სამოთხეში შესულნი არიან დახატულნი, მარცხნივ კი ჯოჯოხეთში. მარცხნივ

(ჩრდილოეთით) ტანჯვის სურათების ნაშთებია: აქ, სხვათა შორის, მოჩანს თევზები და ფრინველები, რომელთაც ჩაუყლაპავთ ადამიანები, მათ პირში გამოუშვირავთ ფეხი ან ხელი; მათ ძირს მოჩანან ბავშვები, აშვერილი ხელებით. კარებისაკენ შენახულა სამი პირის სახეები; ორი მათგანი მეფე და დედოფალია, მესამეც მეფე უნდა იყოს, მაჰმადიანი (?); შენახული არიან ყელამდე.

საკურთხევლის დასავლეთი კედლის წარწერები:[1]

1. კამარის ნაწილზე დახატულს გრაგნილზე უწერია (ნაშთად):

[- -]OMAY | TΛ [- - -] | CIMƟA

2. მღვიძარე თვალის ხატს:

ANATIE | CONKKHHCEOC | ACѠNT [-] | E[- -]

ეს სიუჟეტი ცოტათია დაზიანებული.

3. სამ მგზავრს და აბრაამს:

Η ΦΙΛΟξΕΝΙΑ ΤΟV ΑΒΡΑΑΜ Η ΑΓΙΑ ΤΡΙᾺC

4. წმ. იოანე ნათლისმცემელს:

O | A | ΓΙ | O | C | I | Ѡ | A | N | N | I | C | Ὃ ΠΡΟΔΡΟΜΟC

გრაგნილზე უწერია:

ΜΕΤΑΝΟ | ΗΤΕΝΓΓΙ | ΚΕ | ΓΑΡΝ | ΒΑCΙΛϟ | ΑΤѠΝ(O) . | . |

5. კარპოს:

ΚΑΡ | ΠΟC

6. ლეონტის, წელამდე დახატულს, ჩრდილოეთ კედელთან:

ΟΑ | CI | ΜΕ | ѠN || O | ξY | ΛΎ | TI | C

7. ღვთისმშობლის მარჯვნივ, მოშორებით, ჩრდილოეთ კუთხესთან დახატულ წმიდანს გრაგნილზე აქვს დაზიანებული ბერძნული მინაწერი:

ѠΕ(ΡΓΑ) [- -] | ΑΓ [- - - -]| [...] | [...] | [...] | [- -] (N)I [-] TI | N(O) NΗΓ[-] |

სულ 7 სტრიქონია.

დანარჩენი ბერძნული წარწერები გადაწერილი არის.

---

[1] საკურთხევლის გამყოფ კედელს დასავლეთ მხარეს მხატვრობისაგან ნაშთი შერჩენია აქა-იქ.

საკურთხევლის სვეტის კამარაზე დახატულ წინასწარმეტყველ ესაიას მარჯვენით უჭირავს გაშლილი გრაგნილი, მარცხენა გაპყრობილი აქვს მხართან. ეზეკიელსაც მარჯვენაში გრაგნილი, მარცხენით კი უჭირავს ღვთისმშობლის (?) ხატი.

შუა ეკლესიაში ყოფილა ქუცნას (?) აკლდამა, ქვიტკირისაგან ნაგები; იგი ჩაქცეულია. იგი შუა ეკლესიის შუა ადგილას არის.

დასავლეთი კარის ღია ლუნეტი და დასავლეთისავე სანათურები (შიგნით) მოხატული ყოფილა ყვავილისმაგვარი სახეებით. მათი ნაწილი შენახულია.

ღვთისმშობლის ეკლესიის აღმშენებელ ქუცნას ძლიერ ლამაზი ცოლი ჰყოლია; კახეთის მეფეს შემოუთვლია, შენი ცოლი მომეო, ვინ მისცემდა და ომი მოხდენიათ, ქუცნას გაუმარჯვნია. ამის შემდეგ მეფეს მოუსყიდნია ქუცნას კარის კაცები და როდესაც ქუცნას ცოლის ნადიმი ჰქონდა, მაშინ ამ მოსყიდულმა კაცებმა ისრით მოკლეს, მაშინ თოფი არ იყო. მერმე ცოლის წაყვანა სდომებიათ და უთქვამს, ერთი პირი მაინც ვიტიროო; შესულა და ამოუღია დანა და თავი მოუკლავს; ამის შემდეგ ყველა მისი ნათესავი გაუწყვეტიათ, რომ აღარავინ დარჩენილა. ქუცნასთვის ისარი უსვრიათ ნადიმის დროს, როდესაც ის ოქროს თასით ღვინოს სვამდაო; ეს მომხდარა იმ ციხეში, ზევით. ამის შემდეგ ეს მამულები გადაუცია ამ მკვლელებისათვის.

ნაბახტევის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია[189]

ამავე სოფელში არის ქართველების ეკლესია წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ახალი, აშენებული ძველის ადგილას; რამდენიმე კედელი ისევ ძველი აქვსო.

ნაბახტევის კვერცხობის კვირაცხოვლის ეკლესია[190]

ნაბახტევის კვერცხობის კვირაცხოვლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა 8,4x3,6 მ., ნაგებია სულ თლილი ქვისა და კირისაგან; მას სამხრეთით ჰქონია რაღაც შენობა, მოჩანს საძირკველი. ეკლესია ნანგრევად არის, დგას მარტო კედლები, ისიც ძლიერ დაზიანებული; აღმოსავლეთ კედელს გარეთა პირი სულ შემოცლილი აქვს, ყველა კედლებს საძირკველთან ქვები სულ შემოჭმული აქვს წვიმა-ქარისაგან, შიგნითაც და გარეთაც. შიგნით გალესილი ყოფილა კირით, დღეს ადგილ-ადგილ შერჩენია. კარი აქვს მარტო სამხრეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი, სამხრეთით –

ერთი, დასავლეთით არ შერჩენია და უნდა ჰქონებოდა. ეკლესია შესანიშნავი შენობა ყოფილა, მისი საკურთხევლის ნაწილი განსაკუთრებული აგებულებისაა, ტრაპეზი-სამკვეთლო აღარა ჩანს. საკურთხეველი სამ აფსიდიანი ჩანს შიგნიდან; გვერდის აფსიდები დიდ-მაღალ თახჩებს ჰგვანან აგებულებით, ე.ი. საკუთარი თაღები აქვთ და ცალკე აფსიდებს წარმოადგენენ. ამ სამივე ნაწილს საკურთხევლისას ერთიანი თაღი ჰქონია, რომელიც ეხლა აღარა აქვს. გვერდის აფსიდებს აქვს თითო წვრილი თახჩა.

ეკლესიას გარეშემო ჰქონია გალავანი; მოჩანს საძირკველი. ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით, წყლის მარცხენა მხარეს, პატარა გორაკზე, სოფლიდან 1 ვერსის დაშორებით. თაღი ეკლესიას სრულებით აღარა აქვს საძირკვლის დაზიანების გამო (ქვა რბილი გამომდგარა და აცრცნილი, დაშლილია). შენობა მალე შეიძლება დაიქცეს. ქვების წყობა სწორ ხაზოვანია. კარის თავზე (სამხრეთით) უდევს დიდი ქვა, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი.

ნაბახტევის დედა ღვთისას ეკლესია[191]

ნაბახტევის სომეხთა დედა ღვთისას ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,8x3,3 მ; ის განახლებულია XIX საუკუნეში (ზევითა ნაწილი მომატებული აქვს). ძირა ნაწილი თლილი ქვაა, ზევითა – სწორპირიანი ქვა. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი სამხრეთით დიდი ზომისაა, აღმოსავლეთით – მცირე. ტრაპეზი არა ჩანს. სამკვეთლო კუთხეშია, ქვიტკირისაგან. ჰხურავს დამტვრეული კრამიტი. ეკლესია ჩრდილოეთით კლდეზეა მიდგმული; აქ, დასავლეთ ნაწილში გამოკვეთილია მცირე სამლოცველო ტრაპეზით. ეს სამლოცველო სულ კლდეშია გამოკვეთილი. ის ბერის სამლოცველო ყოფილა. ეკლესიას დასავლეთი კარის თავზე უდევს ქვა, შუაში დიდი ჯვრის გამოსახულებით, მარცხნივ – პატარა ჯვრებით და მარჯვნივ – სომხური წარწერით. წარწერა არის მარჯვნივ, სამხრეთით.

ԵՍ ՈՎ ԱՍԱԼ[- - - - -]
ՆԿՆԵՑԻ ՋԽ : [- -]
ՊԱՊԻՆ ԻՄ ՏՐ [- - -]
[- - -] (ՏԻ)ՆԿՐՆ [-]Մ
[- - - - - - - -]
[- - - -]Մ[- - - - - -]
[- - - - -]

ამავე კედელზე, მაღლა არის ქვა ჯვრის გამოსახულებით.

„საჯვარეზე", სოფლის ჩრდილოეთით, ერთ ვერსზე აღმოსავლეთისაკენ, გზის ძირს ე.ი. აღმოსავლეთით არის ძველი სასაფლაო. აქ აწყვია ქვები,[I] რომლებიც ძველადვე პირქვეა დაბრუნებული და ქვეშ აქვს მოქცეული წარწერები. წარწერები სომხური ჩანს. აქ არის ერთი ჩუქურთმიანი წარწერიანი ქვა, გატეხილი სამად; მეორე ქვა – ნატეხი, წარწერით. ბევრი წარწერიანი ქვა წარსულ გაზაფხულზე, ე.ი. 1931 წელს, წაუღიათ და აქვე, მახლობლად, ნისქვილის სათავეში ჩაუყრიათ. აქ კიდევ მრავალი წარწერიანი ქვა არის პირქვე დაბრუნებული.

ნახატები დაუზიანებია ყუმბარას, რომელიც [...][192] შემდეგ დარჩენილა; გორზე გაუხეთქავთ, მერმე ბიჭებს წამოუღიათ და შიგ შენობაში ასანთით გაუხეთქიათ 1926 წელს; ამის შემდეგ შენობა ძლიერ დაზიანებულა."

ქინძათის ღვთისმშობლის ეკლესია

ქინძათის (ალის[III] აღმოსავლეთით) ღვთისმშობლის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 6x3,25 მ.; საკურთხევლის ნაწილი ქვიტკირია. იგი ძველი ეკლესიიდან არის დარჩენილი, დანარჩენი ნაწილი კი ფიცრისა არის, მიშენებული. ჰხურავს ყავარი. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი – აღმოსავლეთით. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა: ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ. ეკლესია დგას სოფლის ბოლოს.

ქინძათის წმ. გიორგის ხის ეკლესია

ქინძათის წმ. გიორგის ეკლესია ფიცრის შენობა ყოფილა. ის დღეს წაქცეულია ხეების სიდამპლით. დგას სოფლის თავზე.

ქინძათის მცხეთის ჯვრის წმ. გიორგის ეკლესია[193]

ქინძათის მცხეთის ჯვრის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფლის ზევით, 1 ვერსის დაშორებით, ტყით დაფარულ ადგილას. ის ერთნა-

---

საჯვარეზე რომ ქვებია გადაბრუნებული, თითონ ძველ წინაპრებს გადაუბრუნებიათ, მტერმა არ გააფუჭოსო. ცნობა ზაზა ფაფაკერაშვილის 75 წლის.

ცნობა ზაზა ფაფაკერაშვილისა.

ცნობა ზაზა ფაფაკერაშვილის, 75 წლის: ალს ძველად ანი რქმევია.

ვიანი შენობაა, 5x2,5 მ.; ნაგებია სწორ-პირიანი, დიდი ლოდებისაგან და კირით. დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც დაზიანებული. ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ნაწილი სულ დანგრეულია საძირკვლამდე. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით – ერთი. კარს თავზე უდევს რამდენიმე კოჭი. ტრაპეზი წაქცეულია. საკურთხეველში არის ორი თახჩა: ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ.

უწლევის ღვთისმშობლის ეკლესიასთან დიდი ლოდის შესახებ

უწლევის ღვთისმშობლის ეკლესია ახალი შენობაა; აგებულია ძველი ეკლესიის საფუძველზე. ეკლესიის ძირს, უწლევის წყლის მარცხენა მხარეს, დევს უზარმაზარი ლოდი, რომელზედაც არის „დევის კვალი"-ო ე.ი. მარჯვენა ფეხის კვალი – ზომით 50x25 სმ.; ის ნამდვილად ადამიანის ფეხსა ჰგავს, ე.ი. ადამიანის ფეხის დანადგამს. დევი, ვითომც, აქედან გადმოსულა და მეორე მხარეს კედელი აუშენებია; ის გაღმითა კედელი კი არ არის, არამედ კლდეა ბუნებრივი, დამსკდარი და მართლაც კედელს წააგავს. ლოდები უზარმაზარია.

ზემო ოსიაურის წმ. გიორგის ეკლესია[194]

ოსიაურის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესია უბრალო ბაზილიკაა. მას დასავლეთი კარი ძლიერ მცირე აქვს; კაცი თუ არ მოიხარა ხუთნაირად, უმისოდ ვერ შევა. ხალხის სიტყვით, ამ კარებში მესამედ ჯვარ დაწერილებს გაატარებენ ხოლმე. კანკელი აქვს ქვიტკირისა. აღმოსავლეთის კედელზე აქვს ქვაზე გამოქანდაკებული ცხვრის თავი, რქებით და მის მაღლა – ჯვარი.

ეკლესიის წინ (სამხრეთ-დასავლეთი კუთხის გასწვრივ) გუმბათიანი სამრეკლოა.

სოფელში დგას ციხე, სამი კოშკის სახედ.

ოსიაურის სომხის ეკლესიის ნივთები

ოსიაურის სომხის ეკლესიაში არის ზარი, 30 გირვანქა, წარწერით:

ქ. შეეწიჩრეთ წყალი ზარი სურბ სარქისას საყდარსა ჩვენ ბუცგულანთ მარტიროზამ და ჩემმა მეუღლე ხანფერამ და ხანფერას მამა როსტომამ და დედა ფაშასათუნამ[1] წელსა 1815

[1] იქნებ ფაშახათუნა იყოს.

ლომისას კოვლეთის უბნის ეკლესიის ნანგრევი

ლომისას კოვლეთის უბნის ეკლესიის ნანგრევი დგას ჭერათხევის მარცხნივ, მაღალ გორაკზე, სოფლის ზევით. ის ნანგრევად არის და მისი საძირკველი აქა-იქ მოჩანს ½ მ. სიმაღლის. მისი ზომის აღება ვერ მოხერხდა, რადგანაც მთელი ნანგრევი შქერითა და ფათალოთი არის დაფარული (შქერის მაგვარ მცენარეს, რომელსაც ეკალი არა აქვს, ეწოდება ჭყორი). ზომა დაახლოებით იქნება 4x2,5 მ.;

ეკლესიის სამხრეთით მდგარა დიდი ცაცხვის ხე, რომელიც მოუჭრიათ. ადგილი მთლად ტყით ყოფილა დაფარული, მაგრამ გაუკაფავთ.

ლომისას წმ. გიორგის ეკლესია

ლომისას წმ. გიორგის ეკლესია დგას ჭერათხევის მარჯვნივ, მაღალ გორაკზე, სოფლის აღმოსავლეთით; გორაკი მთლად (ეკლესის გარეშემო ფართო ადგილზე) შქერით არის დაფარული. ეკლესიის შიგნითაც შქერია, ეკლესიას სუროც აქვს მიდებული. ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,5x3,5 მ. ნაგებია ქვიტკირისაგან; ის ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც ნახევრად დაქცეული, კარი უჩანს სამხრეთით; შიგნით ნანგრევი ყრია.

[...][195] ბოლისგან.

წმ. გიორგის ეკლესია გალერეებით ბაზილიკაა, ზომით მარტო ეკლესია, 8,5x2,7 მ. (სიმაღლე დასავლეთ კედელთან 7 მ.); გალერეები – 13x8 მ.; ნაშენია ქვიტკირისაგან. ჰხურებია სწორი, ღარიანი კრამიტი, ხოლო მათ შეერთებაზე – წვრილი, ნახევრად მრგვალი კრამიტი. ძეგლი დღეს ნანგრევად არის. რაოდენიმედ მთლიანად შენახული იყო გალერეიები, ეკლესიას კი თაღი სულ ჩაქცეული აქვს; დასავლეთი გალერეის თაღი წყლით არის გაჟღენთილი და მალე დაქცევას ლამობს. სახურავიც ნაშთად შერჩენილი აქვს მარტო გალერეიებს. კარი გალერეიას აქვს სამხრეთით, ძველად დასავლეთითაც ჰქონია; ეხლა ის ამოგებულია, თვით ეკლესიას კი: სამხრეთით – ერთი, დასავლეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი (დასავლეთ ნაწილთან); სარკმელი: აღმოსავლეთით – სამი, სამხრეთით – ერთი, ჩრდილოეთით – ერთი.

ეკლესია შიგნით ნანგრევით არის სავსე. კანკელი ქვიტკირისა ყოფილა, მას ჰქონია მოლურჯო ფერის სვეტები; ერთი ასეთი სვეტი, სიმაღლით 50 სმ. (დაახლ.) საკურთხეველში არის; იგი რვა წახნაგოვანია, წინა სამი წახნაგი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმის

სახეებით, რომელთაც თავში ამშვენებს ჯვარი, გვერდის წახნაგებს – ძველი ფორმისა, ხოლო შუა წახნაგს – სწორკუთხედი; დანარჩენი სვეტები და თვით კანკელიც ნანგრევით არის დაფარული.

ეკლესია მოხატული ყოფილა; კვალი მოსჩანს საკურთხევლის სამხრეთ კედელზე, შენახულია წითელი ფერი.

1. ცხრაზმაზე არის ქვა წარწერით, მაგრამ გადასულია (რ. ქ.).

2. ცხრაზმის ეკლესიაში არის ძველი ნივთები.

3. ცხრაზმაზე, ჟამურის ხეობაში, არის წითელი ციხე, სადაც წარწერა არის ლურსმულად (?) და ქართულად. იქაურ ჩიტიაშვილებს აქვთ ნაწერები.

4. წითელი ხატობა არის მაისში, ხატებს გამოიტანენ ხოლმე (რ. ქ.).

5. წითელი წმ. გიორგის ეკლესია არის ჟამურის ხეობაში (ლარგვისიდან 20 ვ.); აქ ბევრი ძველი ხატებია.

6. ზემო-ბაგინში, ჟამურის ხეობაში არის წითელი წმ. გიორგის ოქროს აკვანი და კაცის სახეებია დიდი.

7. თინიკაანთ-კარში, ახალდაბის სამრევლოში, ქარჩოხის ხეობაში (ქსნის მიმართულებით, 2 საათის სავალი), არის შესანიშნავი ნივთები, აქედან ნიკოლოზის დროს ვინმე რუსს (უვაროვას?) წაუღია 9 ფუთი ვერცხლის ნივთები (ერ. ფხალაძე).

8. დადიანეთში, მონასტრიდან 2 ვ., ცხოვრობს მოსე ოდიშვილი, მას აქვს ბევრი წიგნები. რეზო მის სახლში ცხოვრობდა (რ. ქ.).

9. დადიანეთში (ჩიტიანთი) არის სამხთოს ეკლესია. აქ ბევრი წარწერები უნდა იყოს (რ. ქ.).

10. იფნევში, მონასტრის ახლოს, ხალიბეგაშვილებს უნდა ჰქონდეთ ბევრი ნაწერები.

11. ლარგვისის მონასტრის წიგნები დაფლული ყოფილა მონასტრის დასავლეთით, 60 ნაბიჯზე.

12. საძეგურში, კობოურებს მთის ძირში აქვთ ეტრატზე ნაწერი სიგელი (გიორგი ჭალისაული).


13. კორინთაში არის ორი მშვენიერი ხელით ნაქარგი ხელსახოცი.

14. კორინთაში არის სამების ხატი.

15. იკოთში მცხოვრებ სონა ურჯუკაშვილს აქვს საჟენზე მეტი რაღაც საბუთი.

16. იკოთში აგიო (?) გერიტიშვილს აქვს სიგელები და 2000-ზე მეტი პატარა ბარათები.

17. უნდა ინახოს ხოფის მონასტერი და მასთან ღვთისმშობლის ეკლესია.



ნახ. 30

18. [...][1%] ღვთისმშობლის ეკლესია. ქვაჯვარა, რომლის წარწერებიანი ნაწილი ეკლესიაში არის დარჩენილი, ექნება ხოფში (3 ვერს.) ჩიღოშვილებს. კაცი მდგარა, ხელში წიგნი სჭერია და დიდი წარწერა ჰქონია. ეკლესიაში დარჩენილ ნაწილს აწერია (ნახ. 30):

19. ახალგორი. კოლა ერისთავის სასახლე:

1. სიგელი ეტრატისა თუ ქაღალდის.
2. ვაზის ხატი.
3. სავარძელი.
4. მინის ხატი.
5. აღსავლის კარის 4 ხატი.
6. კვირაცხოვლის ხატი, 32x24½ სმ.
7. ენქერი, 4 ცალი.
8. ფილონი, 1 ცალი.

აქვე, თაყაიშვილის მიერ აღწერილი ეკლესიის დღესასწაულის ხატი.

20. ახალგორის გასწვრივ ახალ დამდგრებში (ს. ბოლი [ალექსიანთკარი]) ბეთის თავის ხატი – გორაკზე ეკლესია, წარწერებით (ორი თუ მეტი). იქვე, მორბედაანთ ტყეში ყოფილა სამოთახიანი, ძლიერ დიდი ეკლესია.

21. წირქოლში მცხოვრებ გიორგი მილაძეს 1924 წლის ოქტომბრის 21-ს გავატანე მომრიგებელი შუამავლის არქივი – 3 გირვანქა.

22. ყანჩაეთში, ტატუნაანთ ოჯახს ექნება სიგელები.

23. ყანჩაეთში, კაბენის მონასტრის გარდა, მაღლა, ტყიან ადგილას არის დიდი შენობა (ტყეში).

24. ოძისში, შალვა ერისთავს აქვს: სიგელი – 50, ეთნოგრაფიული სურათი, ბიბლიოთეკა (ს. კაკაბაძე).

25. კუცხოეთი (მონასტრიდან 2-3 ვერს.): ვერცხლისა და ოქროს დიდი ჯვრები (ს. დორდიაშვილი) (ქსნის ხეობაშია).

26. ფათქინეთში რევაზ შალიბაშვილს აქვს ეტრატზე ნაწერი და სხვა სიგელები (გიორგი შალიბაშვილი).

27. მეტეხში იოსებ თუხარელს აქვს ეტრატის სვინაქსარი.

რეხისა და ავრანის შუა, გზა ან გორიდან ან მანგლისიდან, რამდენიმე ხნის წინათ იპოვნეს ეკლესია, სადაც აღმოჩნდა: ხატი წმ. გიორგისა თუ ღვთისმშობლისა, სახარება ბერძნული, ჯვარი და სხვ., ეკლესიას 7 კარი აქვსო.

საჩიკის სერზე (ნიჩბისიდან სამხრეთით 2 ვერსზე, მთაა) არის ნასახლარები. აქ არის ხუცური წარწერა: წევს, არა დგება, სჭამს არა ძღება, მიდის არა დგება... მიჟმიჟელა. ცნობა გოგიჩაშვილი თუ მის მაგვარი გვარია.

ქართლიდან ჩამოტანილი ნივთების სია

I

ძ. გორის ეკლესიების ნივთები

ოქმი 1, 1924 წ. აპრილის 5

1. ბარძიმი ვერცხლისა, ძველი ხელოვნებისა; ერთი დიდი, მეორე – პატარა, 2 ცალი.

2. კანდელი ვერცხლისა (დამწვარი), შეწირული მელიქიშვილის ზილუას(?) მიერ 1745 წ., ქართული მხედრული წარწერით.

3. კანდელი ვერცხლისა (დამწვარი), ძველი ხელოვნებისა, პატარა, 1 ცალი.

4. სურა ვერცხლისა, დიდი, ძველი ხელოვნებისა, წონით 1 გირვანქა, 18 მისხალი.

5. სურა ვერცხლისა, მცირე, შეწირული გორის საკრებულო ტაძრისათვის იაგორ ელდოროვიჩის ძის, სფირიდონ სიმონოვიჩის მიერ 1847 წ., ქართული მხედრული წარწერით; მისხალი 51.

6. საცეცხლური ვერცხლისა, სომხური ასომთავრული წარწერით.

7. განსაზავებელი თასი ვერცხლისა, შეწირული ქვაბთახევის დეკანოზის იოსების მიერ ქვაბთახევის ღვთისმშობლისათვის 1813 წ., ქართული მხედრული წარწერით; მისხალი 30.

8. განსაზავებელი თასი ვერცხლისა, ქართული მხედრული წარწერით: **სამთავის მიძინების ხატისა არის მისხალი კვ.**

9. ჯამი ვერცხლისა, მცირე, ძველი ხელოვნებისა.

10. ჯამი ვერცხლისა, ქართული მხედრული წარწერით: ქ. ტეტია ჭედლიშვილი.

11. შარავანდედი ვერცხლისა, ჩვილედი ღვთისმშობლის ხატიდან აგდებული.

12. ჯვარი ვერცხლისა, შეწირული აქოანთ მოსესაშვილის ოგანეზასი და მისი მეუღლის თინათინის მიერ 1806 წ., ქართული მხედრული წარწერით.

13. ჯვრის ტარი ვერცხლისა, ქართული მხედრული წარწერებით, სამი ცალი: ერთი გაკეთებული ვინმე გურგენას მიერ 1767 წ., მეორე – შეწირული თაყვანაანთ ზალუასშვილის ფარსადანის და მისი

მეუღლის რუსუდანის მიერ გორის „ტირამარს“ საყდრისათვის 1828 წ., მესამე – შეწირული ალელი პეტრეშვილის მანუჩარის და მისი მეუღლის ელენეს მიერ 1788 წ.
14. ჯვრის ტარი ვერცხლისა, სომხური წარწერებით, სამი ცალი; ერთი მათგანი შემკულია 8 ფერადი თვლით.
15. თასი, ოქროს წყალში დაფერილი, ვერცხლისა, მოშაო სახეებით გარეთა პირზე.
16. ბარძიმის ფეხის ორი ნაწილი, ოქროს წყალში დაფერილი, ვერცხლისა; ერთი ნაწილი შემკულია 11 ფირუზით.
17. ვერცხლის ჯვარი (დამწვარი), წმ. გიორგისა და ანგელოზების ხატებით და ქართული მხედრული წარწერით, დაზიანებული.
18. ვერცხლის ჯვარი, სომხური წარწერით, ორი ცალი. ერთს მათგანს აქვს მოწითალო თვალი ჯვრის გულში.
19. ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, უტარო, შემკული ოთხი მომწვანო თვლით. ჯვარს გულში უზის ჩუქურთმიანი ხის ჯვარი.
20. ვერცხლის ჯვრები, დიდი და პატარა, დაზიანებულები; სულ – ექვსი ცალი.
21. ვერცხლის ჯვარი რკალში, უტარო, ორი ცალი; ერთი მათგანი – ოქროს წყალში დაფერილი. ორივეს აქვს სომხური წარწერები.
22. ჯვრის ნატეხი.
23. სანაწილე ვერცხლისა, 1810 წ., რუსული ხელოვნებისა.
24. მცირე სანაწილე ვერცხლისა, წარწერით: **1868 წ.: ვასილ ქუთელია.**
25. მცირე ბეჭედი ვერცხლისა, წარწერით: **ზაზა.**
26. მცირე აკვანი ვერცხლისა.
27. ისლამური ფული ვერცხლისა, 1 ცალი.
28. ბიზანტიური ფული ოქროსი, 1 ცალი.
29. ჩაფრასტები ანუ ღილები ფილონისა, ვერცხლისა, ქართული და სომხური წარწერებით და უწარწერო სხვა და სხვა გვარი, დიდი და პატარა, 13 წყვილი; ერთი წყვილის ცალი შემკულია სამი ფერადი თვლით და ექვსი ჩაფრასტი თითო ცალად.
30. წიგნის ყდის დასაბმელი ვერცხლისა, 1 ცალი.
31. ლანგარი ვერცხლისა, XIX საუკუნის დასაწყისის რუსული ხელოვნებისა, 1 ცალი.
32. სტაროობრიადელების ფიცარზე ნახატი ხატები წმინდანებისა: ივნისისა, აგვისტოსი, ოქტომბრისა და დეკემბრისა, სულ 4 ცალი. ზომა თვითეულისა – 36x31 სმ.
33. ხატი წმ. ვარლამ ხუტინელისა, ვერცხლით შეჭედილი, რუსული ხელოვნებისა, 35x31 სმ.

34. ხატი ახტირის ღვთისმშობლისა ყრმით, ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით შეჭედილი, რუსული ხელოვნებისა, 32x27 სმ.
35. დამწვარი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, ვერცხლით შეჭედილი, დაზიანებული, 1894 წ., 22x18 სმ.
36. ტრიპტიხიანი ხატიდან აყრილი ვერცხლის შემკულობა ხუთ ნაწილად. საშუალო – ღვთისმშობელი ყრმით; ფრთებზე: ერთ მხარეს – ანგელოზი და მოციქული პეტრე, მეორე მხარეს – ანგელოზი და მოციქული პავლე.
37. ტრიპტიხიანი ხატიდან აყრილი ვერცხლის შემკულობა, ორ ნაწილად გატეხილი.
38. ჩვილედი ღვთისმშობლის ხატიდან აგდებული შემკულობა, ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლისა; ღვთისმშობელს შარავანდედი არა აქვს, 32½x28 სმ.
39. რომელიღაც წმიდანის (ნიკოლოზის) ხატიდან აგდებული შემკულობა ვერცხლისა, 28x24½ სმ.
40. ხატიდან აგდებული ვერცხლის შემკულობა ანგელოზის გამოხატულებით, 2 ცალი.
41. ფიცარზე ნახატი ხატი სმოლენსკის ღვთისმშობლისა ყრმით, რუსული ხელოვნებისა, 36x28 სმ.
42. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, რუსული ხელოვნებისა, 30x22 სმ.
43. ხუცური სახარება ძველი სტამბისა, მინაწერებით.
44. სარტყელი ძველი ხელოვნებისა, 2 ცალი.
45. ღვთისმშობლის ხატი, ხელით ნაკერი, ქართული მხედრული წარწერით.

II

ნივთი სოფ. სალოლაშენის ეკლესიისა

46. დიდი ჯვრის სახედი, ვერცხლზე ნაჭედი ხატი, ხუთი ნაწილისაგან შემდგარი, რომელზედაც არის ხატები საღვთო ისტორიიდან, 113x108 სმ.

III

ნივთები, მოგროვილი ხაშურის რაიაღმასკომის საწყობში

ოქმი 1, 1924 წ. აპრილის 8

47. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე მახარებლისა, შეჭედილი ვერცხლით; შარავანდედი ოქროს წყალში არის დაფერილი; ძველი ქართული ხელოვნებისა, 29x20 სმ.

48. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით, შარავანდედი ოქროს წყალში არის დაფერილი; ძველი რუსული ხელოვნებისა, 36x26 სმ.
49. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ღვთისმეტყველისა, ბერძნული ხელობისა, 27x22 სმ.
50. ფიცარზე ნახატი ხატი, მხატვრობა გადასული, დაზიანებული, ვერცხლის არშიით, ძველი ხელოვნებისა; ხატს აქვს ხავერდის სამოსელი, 16½x14 სმ.
51. გულსაკიდი მცირე ჯვარი ვერცხლისა, წმ. ნაწილებით და ვერცხლისავე გრძელი ძეწკვით, ძველი ხელოვნებისა.

IV

ნივთები

ქ. სურამის, სოფ. იტრიის, სოფ. ტეზერის, სოფ. ბეკმის, სოფ. ურთხვის, სოფ. ქემფრის და სოფ. ცოცხნარის ქართული ეკლესიებისა

მოგროვილი სურამის საეკლესიო ძონეგის სანყობში

ოქმი 2 და 3, 1924 წ. აპრილის 9-10

52. დიდი ჯვარი ხისა, დაშლილი ორ ნაწილად; წინა პირი ჯვრისა შეჭედილია ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით, რომელიც ნაწილობრივ აყრილი აქვს; შერჩენილ ნაწილზე არის ნაჭედი ხატები და ქართული ასომთავრული წარწერა ორჯონიკიძე აღდგომელის ხსენებით, 102x53 სმ.
53. ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა; ხატის შიგნით ასვენია აბრეშუმის ხელსახოცში გახვეული ხის ჯვარი. ხატს თავს ადგას მეორე, ნახევრად მრგვალი ფორმის, ვერცხლისავე მცირე ხატი ღვთისა და ანგელოზების გამოხატულებით. ხატი ზის ხის ბუდეში, რომელსაც ჩარჩოს ქვეითი ნაწილი და დიდი მინა ამოცლილი აქვს, 76x46 სმ.
54. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი თეთრი ლითონით, ძველი ქართული ხელოვნებისა, 54x39½ სმ.
55. ფიცარზე ნახატი ხატი ელიას ზეცად აღტაცებისა, შეჭედილი თეთრი ლითონით. ხატი ზის შუშაბანდიანი ხის ბუდეში. ზომა ხატისა – 53½x38½ სმ., ზომა ხის ბუდისა – 65x49 სმ.
56. ფიცარზე ნახატი ხატი ელიას ზეცად აღტაცებისა, შეჭედილი თეთრი ლითონით; ხატი ზის ხის ბუდეში. ზომა ხატისა – 51x37 სმ., ზომა ხის ბუდისა – 56x44 სმ.
57. ფიცარზე ნახატი ხატი ამაღლებისა, დაზიანებული, 70x38 სმ.
58. დაფარნა, ხელით ნაკერი, 1 ცალი.
59. გარდამოხსნა, 2 ცალი.

60. შავ ხავერდზე ხელით ნაკერი ხატი წმ. გიორგისა, უსარჩულოდ.
61. ძველი ქსოვილის ნაჭერი, 1 ცალი.
62. გულსაკიდი ხატი მრგვალი ფორმისა, ვერცხლის რკალით, ერთ მხარეს ღვთისმშობლის, მეორე მხარეს – ორი წმინდანის გამოხატულებით, ძველი ხელოვნებისა, 9x8 სმ.
63. გულსაკიდი ხატი წმ. გიორგისა, ვერცხლისა, ძველი ხელოვნებისა, 9½x7½ სმ.
64. გულსაკიდი ხატი წმ. გიორგისა, ვერცხლისა, ძველი ხელოვნებისა, 5½x4 სმ.
65. გულსაკიდი მცირე ჯვარი ვერცხლისა, თვლებით (აკლია თითო თვალი), 2 ცალი.
66. გულსაკიდი მცირე ჯვარი, მარგალიტებით და თვლებით შემკული; თავი მოტეხილი აქვს და დარჩენილ ნაწილს აკლია ერთი თვალი.
67. გულსაკიდი მცირე ჯვარი თეთრი ლითონისა, ძეწკვით, 1 ცალი; მცირე ჯვარი თითბრისა, 1 ცალი; სულ – 2 ცალი.
68. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, 2 ცალი.
69. მცირე ჯამი ვერცხლისა, ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი.
70. ბეჭდები თეთრი ლითონისა: თვლიანები – 35 ცალი, თვალ.ნაკლები – 2 ცალი, თვალავარდნილი – 3 ცალი, სადა – 4 ცალი; სულ – 44 ცალი.
71. ბეჭდები: ყვითელი ლითონის თვლიანები – 8 ცალი, შუშის თვლით – 1 ცალი; სულ – 9 ცალი.
72. ბეჭდები ვერცხლისა, თვლიანები, 5 ცალი (მათში ერთს აკლია მარგალიტის თვალი).
73. ბეჭდები, ბაჯაღლო ოქროსი, თვლიანები – 4 ცალი (მათში ერთი გატეხილი); ჩვეულებრივი ოქროსი, თვლიანები – 1 ცალი; დაბალი ოქროსი, თვლიანები – 7 ცალი (მათში ერთი გატეხილია).
74. პირადი ბეჭედი, ქართული ნარწერით – 1 ცალი, სპარსული წარწერით – 1 ცალი, სულ – 2 ცალი.
75. შუბლის ქინძისთავი, 2 ცალი; მათში ერთს უზის 1 თვალი, მეორეს შერჩენილი აქვს მხოლოდ 2 თვალი.
76. შანა-ქოში ვერცხლისა, 1 ცალი.
77. საყურე ოქროსი, თვლებით (აკლია 1 თვალი), 1 ცალი.
78. გულის სამკაული, ოქროსი, თვლით, 1 ცალი.
79. შიბი (დიდი ძეწკვი) ვერცხლისა, სიგრძით 137 სმ.
80. შანა-„ხელი" თეთრი ლითონისა, 1 ცალი.
81. ფულები ვერცხლისა – 4 ცალი, სპილენძისა – 44 ცალი (მათში ერთი ქართული), მედალიონი სპილენძისა – 2 ცალი, სულ – 50 ცალი.

82. შანა სხვა და სხვა გვარი, ძვალი, ფული, ღილი, მძივი, ქვა, სანთელი და სხვ., სულ – 14 ცალი.
83. აკვანი ოქროსი – 1 ცალი, ვერცხლისა – 1 ცალი, თუნუქისა – 6 ცალი.
84. მარგალიტის მძივები (დაშლილი).

V

ნივთები ძ. სურამის სომხური ეკლესიისა, მოგროვილი სურამის საეკლესიო ქონების სანყობში

ოქმი 2, 1924 წ. აპრილის 9

85. ვერცხლით შეჭედილი უცნობი შინაარსის ხატი ანგელოზებისა და ჯვრის გამოსახულებით, რომელსაც გულში აქვს მრავალი ფიგურა და ქართული და სომხური წარწერები. ხატი ზის სოსანისფერის ხავერდ შემოკრულ ხის ბუდეში, ზომა ხატისა – 22½x17½ სმ., ზომა ხის ბუდისა – 26x19 სმ.
86. ჯვარი ვერცხლისა, სომხური წარწერით, 1811 წ.
87. მიტრა მღვდლისა, წითელი მაუდისა, შემკული ვერცხლზე ნაჭედი ქრისტეს და თორმეტი მოციქულის გამოხატულებით, ვერცხლის არშიით და ჯვრებით, რომელთაც უსხედს თითო თვალი (აკლია მაღლით ნაწილის შემკულობა).
88. სამირონე ვერცხლისა, მტრედის სახისა, თავის საფეხურით, გატეხილი სამ ნაწილად.
89. ვაკასი ხავერდისა, შემკული ოქროს წყალში დაფერილ ვერცხლზე ნაჭედი ქრისტეს და ვერცხლზედვე ნაჭედი თორმეტი მოციქულის გამოსახულებით.
90. რომელიმე შესამოსლიდან, ანუ ხატის ფარდიდან აგლეჯილი მწვანე ფერის სამკუთხედი, მცირე ქსოვილი, სომხური ასომთავრული წარწერით.

VI

ნივთი სოფ. ხცისის ეკლესიისა

ოქმი 4, 1924 წ. აპრილის 10

91. მხედრული ხელნაწერი სახარება.

VII

ნივთები ატოცის წმ. გიორგის ეკლესიისა

ოქმი 7, 1924 წ. აპრილის 12

92. ბაჯაღლო ოქროს ხატი წმ. გიორგისა, შეჭედილი ფალავანდიშვილის ასულის დარეჯანის მიერ და შემკული რვა ძვირფასი თვლით და ქართული მხედრული წარწერით. უკანა მხარეს ხატს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი, 23½x17¾x½ სმ.

93. ვერცხლის ხატი სადგერის წმ. გიორგისა, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, შეჭედილი ველთაძე (?) გიორგის მიერ, ხელითა ოსტატის ბეჟანისათა, შემკული ოთხი დიდი და ხუთი პატარა ძვირფასი თვლით და ასომთავრული და მხედრული წარწერებით, 25x20½ სმ.

94. ატოცის წმ. გიორგის ხატის (დატოვებულია ადგილობრივ) უკანა მხარეს, ოქროს წყალში დაფერილ ვერცხლზე ნაჭედი შემკულობის ნაგლეჯი ფურცლები, დიდი – 1 ცალი, პატარა – 4 ცალი, სულ წვნიკი – 3 ცალი.

95. სასანთლე ვერცხლისა, შეწირული ქისიყის მოურავის რევაზის ასულის, გიორგი აბაშიძის მეუღლე ანნას მიერ 1804 წ., მისხალი 88.

96. სასანთლე ვერცხლისა, შეწირული ირაკლი II-ის ასულის მარიამის მიერ 1786 წ., მისხალი 58.

97. მცირე სანაწილე, მრგვალი ფორმისა, 1 ცალი.

98. მცირე სანაწილე, ყუთის მსგავსი, 1 ცალი.

99. მცირე სანაწილე (მასნატუვი) ვერცხლისა, ჯვარცძის გამოხატულებით, შეწირული მარიამ მოლოზნის მიერ.

100. გულსაკიდი ხატი წმ. გიორგისა, ვერცხლისა, შეწირული ზეინკლისშვილის მიერ.

101. გულსაკიდი ხატი, რომელსაც აქვს ერთ მხარეს ღვთისმშობლის ხატი, მეორე მხარეს – ჯვარცმისა.

102. ჯვრის ტარი ვერცხლისა, წარწერით, სადაც იხსენება შემწირველი კაკოაშვილი.

103. ლახვარი ვერცხლისა, 2 ცალი.

104. მცირე ჯვარი ვერცხლისა, ჯვარცმისა და სხვა გამოხატულებით, 1 ცალი.

105. გულსაკიდი ხატი ვერცხლისა, წმ. გიორგის გამოხატულებით, 2 ცალი.

106. გულსაკიდი ხატი ვერცხლისა, წმ. გიორგისა, გასახსნელი, 1 ცალი.

107. გულსაკიდი ხატი ვერცხლისა, მაცხოვრისა და ხელის გამოხატულებით, 1 ცალი.

108. გულსაკიდი ხატი ვერცხლისა, წმ. ნიკოლოზისა, ვერცხლის ბუდეში.
109. გულსაკიდი ხატი, ხეზე ამონაკვეთი, ღვთისმშობლისა ყრმით, რომელსაც აქვს მეორე მხარეს წარწერა: **იაკოფ ზალიოვისა**.
110. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლისა, გრძელი ძეწკვით.
111. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, გახსნილი ძეწკვით, ჯვარს უზის 4 თვალი.
112. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, უძეწკვო.
113. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, გახსნილი ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი.
114. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, შემკული ათი თვლით, უძეწკვო.
115. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, 1 ცალი.
116. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ხისა, 2 ცალი (მათში ერთი – ვერცხლის სალტე შემოვლებული).
117. გულსაკიდი მცირე ჯვარი, რქისა, 1 ცალი.
118. გულსაკიდი მცირე ჯვარი, სადაფისა, 1 ცალი.
119. გულსაკიდი ჯვარი, მცირე, სპილენძისა, 1812 წ., 1 ცალი.
120. მრგვალი ფორმის, ჭიქის ფერის ქვა, რომელშიაც გამოკვეთილია ჯვარი.
121. პირადი ბეჭდები ქართული წარწერებით, 2 ცალი.
122. ხატიდან ავარდნილი თეთრი თვალი, 2 ცალი.
123. გულსაკიდი მცირე ჯვრები, ვერცხლისა, თვლებით, 2 ცალი.
124. პატარა თასი, 1 ცალი.
125. მცირე ძეწკვი, 2 ცალი.
126. ფული: ვერცხლისა – 1 ცალი, თითბრისა – 1 ცალი, სპილენძისა – 1 ცალი, სულ – 3 ცალი.
127. ბეჭდები თეთრი ლითონისა: თვლიანები – 142 ცალი, თვალნაკლები – 24 ცალი, გატეხილები თვლიანები და თვალნაკლები – 8 ცალი, თვალამოვარდნილი – 15 ცალი, უთვლო – 19 ცალი, სულ – 208 ცალი.
128. ბეჭდები ყვითელ ლითონისა: თვლიანები – 25 ცალი, თვალნაკლები – 3 ცალი, თვალამოვარდნილი – 3 ცალი, სადა – 1 ცალი, სულ – 32 ცალი.
129. ბეჭდები ვერცხლისა: თვლიანები – 5 ცალი, თვალამოვარდნილი – 1 ცალი, სადა – 2 ცალი, სულ – 8 ცალი.
130. აკვანი თუნუქისა, 10 ცალი.
131. შუბლის ქინძისთავი: თვლებით – 5 ცალი, თვალნაკლები – 1 ცალი, დაშლილი თვლებით – 1 ცალი, სადა – 1 ცალი, სულ – 8 ცალი.

132. მცირე „უღელი" (მძივის მაგვარი ასხმული მავთულზე), 3 ცალი.
133. „თვალი", დიდი და პატარა, 30 ცალი.
134. შანის მძივები, დიდი და პატარა, 24 ცალი.
135. შანა-ფული, 2 ცალი.
136. „ფეხი", 2 ცალი.
137. „ხელი", 3 ცალი.
138. ქამრის მორთულობის ნაწილები, 3 ცალი.
139. ქალის ქამრის ბალთები (ღილები), 2 ცალი; მათში ერთი შემკულია ერთი თვლით, მეორე – ორით.
140. მასრის ნატეხები ვერცხლისა, 2 ცალი.
141. სადა ჯვარი, 1 ცალი.
142. გულის მსგავსი სამკაული თვლებით, 5 ცალი (მათში ორს აკლია ორ-ორი წვნიკი თვალი; მესამეს – სამი წვნიკი თვალი); გულსაკიდი სამკაული თეთრი თვლით – 1 ცალი, სულ – 6 ცალი.
143. საყურე ოქროსი, შემკული ძვირფასი თვლებით (აკლია 1 თვალი), 1 ცალი.
144. საყურე ვერცხლისა, შემკული ძვირფასი თვლებით, 1 ცალი.
145. საყურე ვერცხლისა, სადა, 4 ცალი.
146. „შანა-გული" (კოვზის მსგავსი), 2 ცალი.
147. მცირე კლიტე, 1 ცალი.
148. საზიარებელი ორმაგი მცირე კოვზი, 1 ცალი.
149. შანა წარწერით: **ატოცის წმ. გიორგისა ვარ.**
150. შანა-მედალიონი, 1 ცალი.
151. შანა, სხვა და სხვა ჯვარი, ბავშის სტვირი და სხვ., სულ 3 ცალი.

VIII

ნივთები ძარელის წყარო ცხოვრების ეკლესიისა

ოქმი 8, 1924 წ. აპრილის 13

152. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, გარეშემო დამწვარი არის; ძველი ხელოვნებისა, 27x18 სმ.
153. ენქერი, შეწირული ფალავანდოვის ქალის თამარის მიერ სარკის წმ. გიორგის ეკლესიისათვის, ასომთავრული წარწერით.
154. დაფარნა, გული ოქრომკედით ნაკერი, გარეშემო – ფარჩის ნაჭრებისა, ძველი ხელოვნებისა.

IX

ნივთები ძარელის წყარო ცხოვრების, წმ. ნიკოლოზის და ჭაბუკის წმ. გიორგის და სარკის წმ. გიორგის ეკლესიებისა, მოგროვილი ძარელის რაიაღმასკომში

ოქმი 9, 1924 წ. აპრილის 14

155. ვერცხლის ხატი დედაღვთისა (ზურგის ფიცარი აგდებული აქვს), ძველი ქართული ხელოვნებისა, 24x17 სმ.

156. წმ. ნიკოლოზის ხატიდან აგლეჯილი ვერცხლის შემკულობა, რომელსაც შებმული აქვს გულსაკიდი მცირე ჯვარი ვერცხლისა, ვერცხლისავე გრძელი ძეწკვით, რუსული ხელოვნებისა.

157. რომელიღაც ძველი ქართული ხელოვნების ხატიდან აყრილი ვერცხლის ფურცლის ნაგლეჯები: დიდი – 2 ცალი, საშუალო – 2 ცალი და მრავალი წვრილი.

158. წმ. ნიკოლოზის ხატიდან აგლეჯილი ვერცხლის დაფა წარწერით, საიდგანაცა ჩანს, რომ აღნიშნული ხატი მოუჭედინებია და შეუწირავს ნიკოლოზის მონასტრის ყინცვისის ეკლესიისთვის გიორგი ციციანოვის ასულს თინათინს 1849 წ., ქართული მხედრული წარწერით.

159. ვერცხლის ბარძიმი, დაზიანებული, შეწირული „იოანე მახარობლის დეკანოზის სუიმონ მღრდლის" მიერ 1756 წ., ქართული მხედრული წარწერით.

160. ბარძიმი ვერცხლისა, ძველი რუსული ხელოვნებისა, 1 ცალი.

161. ფეშხუმი ვერცხლისა, ძველი რუსული ხელოვნებისა, 1 ცალი.

162. ლანგარი ვერცხლისა, ძველი რუსული ხელოვნებისა, 2 ცალი.

163. ჯამი ვერცხლისა, დიდი ზომისა, 1 ცალი.

164. ჯამი ვერცხლისა, საშუალო ზომისა, შეწირული სარკის წმ. გიორგის ეკლესიისათვის გ. მახარაშვილის და ბ. კავთელაშვილის მიერ, წარწერით.

165. სანაწილე ვერცხლისა, ორი უჯრით, ძველი რუსული ხელოვნებისა, 1 ცალი.

166. ჯვარი ვერცხლისა, ძველი რუსული ხელოვნებისა, 1 ცალი.

167. საცეცხლური ვერცხლისა, შეწირული ირაკლი II-ის ასულის ქეთევანის მიერ, ჯაჭვები დაწყვეტილი აქვს, ძველი ქართული ხელოვნებისა.

168. ხისგან ნაკვეთი, გულსაკიდი, მცირე ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა (ნათლისმცემლის თავი მცირე ლანგარზე), მრგვალი ფორმისა, შემკული ბაჯაღლო ოქროს სამკაულით, რომელსაც უსხედს ძვირფასი თვალ-მარგალიტი, დიდი და პატარა ფერადი თვალი – 34, მარგალიტი – 59 (აკლია 1 თვალი); ხატს აქვს ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ბუდე, რომელსაც ზედა პირზე უზის

ერთი ფირუზის თვალი და შიგნით აქვს სანაწილე (რომელშიაც ყოფილა წმ. ნაწილები), ასომთავრული წარწერით. ბუდეს აბია ვერცხლის გრძელი ძეწკვი. ამას გარდა, ხატს აქვს ხელით ნაკერი აბრეშუმის ბუდე.

169. სასანთლე ვერცხლისა, შეწირული სარკის ეკლესიისათვის მ. ამილახვრიშვილის მიერ 1813 წ., წარწერით, ფეხმოტეხილი.

170. ჩამჩა ვერცხლისა, შეწირული სარკის ეკლესიისათვის ალექსანდრე ყაზიბეგის მიერ 1857 წ., წარწერით.

171. ქარელის ჭაბუკის წმ. გიორგის ეკლესიის 1739 წ. დაბეჭდილი სახარების ყდიდან აგლეჯილი ვერცხლის შემკულობა – 10 ცალი, ყდის დასაბმელი – 2 ცალი, სულ – 12 ცალი.

172. თასი მცირე, 1 ცალი.

173. სპილენძის ფული, 30 ცალი.

174. მცირე აკვანი ვერცხლისა – 2 ცალი, თუნუქისა – 2 ცალი, სულ – 4 ცალი.

175. ვერცხლის მცირე ზარა, 1 ცალი.

176. ბუზმენტის ქამარი, ვერცხლითა და თვლებით შემკული, ვერცხლისავე მცირე ხმლით.

177. „ხელი" ვერცხლისა, 1 ცალი.

178. მედალიონი, 3 ცალი.

179. სათითე, 2 ცალი.

180. საყურე, 1 ცალი.

181. ოქროს ფული ეკატერინე II-ისა, 1775 წ.

182. შანა, ასხმული ოთხი ფულისგან, 1 ცალი.

183. უბრალო მძივი შანისა, 2 ცალი.

184. გულსაკიდი ჯვარი, სადა, 1 ცალი.

185. ბეჭდები დაბალი ვერცხლისა: თვლიანი – 1 ცალი, თვალნაკლები – 1 ცალი, სადა – 1 ცალი, სულ – 3 ცალი.

186. ბეჭედი, უბრალო ლითონის, 1 ცალი.

X

ნივთები სარკის წმ. გიორგის, ქარელის ჭაბუკის წმ. გიორგის, წყაროცხოვრების და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებისა, მოგვრილი ქარელის ჭაბუკის წმ. გიორგის ეკლესიაში

ოქმი 10, 1924წ. აპრილის 14

ა. ნივთები სარკის წმ. გიორგის ანუ ქარელის ჭაბუკის წმ. გიორგის ეკლესიისა.

187. ტილოზე ნახატი ხატები ჩარჩოში, ძველი ხელოვნებისა, ზომით 80x57 სმ., 7 ცალი.

188. ტილოზე ნახატი ხატები ჩარჩოში, ძველი ხელოვნებისა, ზომით 76x42 სმ., 2 ცალი.
189. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, ძველი ხელოვნებისა, ზომით 37x24 სმ., 1 ცალი.

ბ. ნივთი ქარელის წყარო ცხოვრების ეკლესიისა.
190. ღვთისმშობლის ხატი ჩარჩოში, 21x10 სმ.

გ. ნივთები ქარელის ჭაბუკის წმ. გიორგის ეკლესიისა.
191. ფიცარზე ნახატი, გატეხილი ხატი წმ. ლუკასი, 23x16 სმ.
192. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 12x9 სმ.
193. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 30x24 სმ.
194. სახარება, დაბეჭდილი 1709 წ.
195. სახარება, 1739 წ., ყდის შემკულობა აყრილი აქვს.
196. შანები სხვა და სხვა ფორმისა, 7 ცალი.
197. შანა ცისფერი თვლებით, გასახსნელი, 1 ცალი.
198. შანა-შამფური, 1 ცალი.
199. აკვანი: ვერცხლისა – 1 ცალი, თუნუქისა – 1 ცალი, სულ – 2 ცალი.

დ. ნივთები ქარელის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა.
200. ღვთისმშობლის ხატის ფიცარი, წარწერიანი მცირე დაფით, რომელშიაც იხსენიება ხატის შემწირველი დავით ნახუცრიშვილი, 33x25 სმ.
201. ტილოზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, ჩარჩოში, 48x41 სმ.
202. ხუცური ხელნაწერი საეკლესიო წიგნი (ფურცლები აკლია).
203. ხუცური ნაბეჭდი „ღრამატიკა".[1]

XI

ნივთები ურგნისის ეკლესიისა

ოქმი 11, 1924 წ. აპრილის 15

204. ტილოზე ნახატი ხატები, კანკელის გადაკეთების დროს ჩამოსხნილი, ზომით 102x70 სმ., სულ – 6 ცალი.
205. ტილოზე ნახატი ხატი წმ. „იაკოფი"-სა, გადაკრული ფიცარზე, ძველი ქართული ხელოვნებისა, 41½x30 სმ.

[1] ქარელში აღწერილი ვერცხლის ნივთები არის სარკის და ქარელის წყარო ცხოვრების და ღვთისმშობლის ეკლესიებისა. ყველა ეს ნივთები ადრევე ინახებოდა წყარო ცხოვრების სალაროში (რკინის ყუთში). პატარა ნაწილი დაგლეჯილი ხატის ფურცელი უნდა ეკუთვნოდეს ქარელის ეკლესიას.

206. ტილოზე ნახატი ხატი წმ. ბართლომესი, თუ სხვა წმიდანისა, 41½x30 სმ.
207. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, 37x26½ სმ.
208. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, 35x26½ სმ.
209. სამღვდელმთავრო კვეთხის ნაწილი (ჯოხი) თავით, დაშლილი, 48 სმ.
210. მცირე ჯვარი ბზისა, ჩუქურთმიანი ხატებით, 9½x5¼ სმ.
211. ენქერი, ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი.
212. წარწერიანი ქვა, რომელშიაც იხსენება ევდომოს ურბნელი, 27x17 სმ.

XII

ნივთები რუისის ეკლესიისა

ოქმი 12, 1924 წ. აპრილის 15

213. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. დიმიტრისა, ქართული ხელოვნებისა, 29x24 სმ.
214. ფიცარზე ნახატი ხატი რომელიღაც წმიდანისა, ქართული ხელოვნებისა, 25x20 სმ.
215. მღვდელმთავრის წინსაძღოლი (წინამძღვარი), დაშლილი ოთხ ნაწილად. თავზე აქვს ოქროს წყალში დაფერილი, გატეხილი ვერცხლის ჯვარი, შემდეგ – ვერცხლის ბუშტი, ქვევით – ოქროს წყალშივე დაფერილი ყუთი, რომელსაც თავზე აქვს ქართული მხედრული წარწერა, მას შემდეგ – ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ბუშტი და ჯოხი ვერცხლის სალტებით, რომელთაც შუაში უნდა ჰქონოდა ვერცხლის ბუშტი, რომელიც აქ დამტვრეულია. წინსაძღოლს ძირითა ნაწილი აკლია. სიგრძე – 115 სმ.
216. კანდელი ვერცხლისა, დაწყვეტილი ჯაჭვებით, 4 ცალი.
217. კოვზი ვერცხლისა, მიტროპოლიტ მროველისა, წარწერით.
218. სინი ვერცხლისა, ირაკლის სძლის მარიამისა, წარწერით.
219. ოდიკი, ბერძნული ხელოვნებისა, დაზიანებული.
220. დაფარნა, ძველი ხელოვნებისა.
221. მცირე ნატეხები ხატის ფურცლისა, 3 ცალი.
222. შანები, სხვა და სხვა გვარი, ერთ ასხმულად, 21 ცალი.
223. ბროლის შანა ოქროს სალტებით, 1 ცალი.
224. შანა-„ხელი", 1 ცალი.
225. სპარსული ფული, 2 ცალი.
226. შანა-ხანჯალი, 1 ცალი.
227. შანა-ხატი (მცირე ფურცლად), 3 ცალი.

228. ბეჭდები: ვერცხლისა, თვლიანი – 1 ცალი, უბრალო ლითონისა, თვლიანი – 32 ცალი, თვალნაკლები – 5 ცალი, თვალ ამოვარდნილი – 10 ცალი, სადა – 10 ცალი; სულ – 58 ცალი.

XIII

ნივთები სოფ. საქაშეთის ეკლესიისა

ოქმი 13, 1924 წ. აპრილის 16

229. ხატი წმ. გიორგისა, შეჭედილი ვერცხლით გლახა ტარუაშვილის მიერ, 27x20 სმ.
230. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ქართული ხელოვნებისა, 26x20 სმ.
231. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 82x59 სმ.
232. ტილოზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, შეწირული მეფის ძის იოანეს მიერ 1805 წ., წარწერით, 72x56 სმ.
233. ტილოზე ნახატი ხატი წმ. იოანე მახარებლისა, შეწირული მეფის სძლის ქეთევანის მიერ 1805 წ., წარწერით, 72x56 სმ.
234. სადაფზე ნახატი ხატი ქრისტეს აღდგომისა, მრგვალი ფორმისა, მცირე.
235. ჩუქურთმიანი ჯვარი ხისა, მხარ მოტეხილი, 11x5 სმ.
236. მცირე ჯვარი, ძვლისა, 7x4½ სმ.
237. სამნაწილად დასაკეცი ხატი, 16x10½ სმ.
238. ოდიკი, ბერძნული ხელოვნებისა.
239. ჩაფრასტი ანუ ღილი სარტყლისა, 1 ცალი.

XIV

ნივთი

საღოლაშენის, ან ბრეთის და ან ძლევის ჯვრის ეკლესიისა გადმოტანილი ერთ-ერთი აღნიშნული ეკლესიიდან ს. დირბის წმ. თევდორეს ეკლესიაში

ოქმი 16, 1924 წ. აპრილის 17

240. ხის ჩარჩო რომელიმე ხატისა, ჩუქურთმიანი ძვლის მცირე ხატებით ათორმეტი დღესასწაულთა და სხვათა, ძველი რუსული ხელოვნებისა; ჩარჩოს გულში მჯდარა ხატი, რომელიც ეხლა ამოცლილი აქვს (შესაძლებელია, ეს იყოს სოფ. საღოლაშენის ეკლესიის ხატი მაცხოვრისა, შეჭედილი ვერცხლით და შემკული თვლებით და სლავიანურ-ქართული წარწერებით, რომელიც რამდენიმე თვის წინათ გადმოტანილ იქნა ქ. ტფილისში), 45x39 სმ.

XV

ნივთები

ძველო ჭალის ჯვარპატიოსნის (მესხიშვილების საგვარეულო) ანუ ღვთისმშობლის შობის ეკლესიისა

ოქმი 17, 1924 წ. აპრილის 19

241. დიდი ჯვარი ხისა[1], შეჭედილი ვერცხლით. ჯვარს წინა პირზე აქვს ვერცხლით ნაჭედი ხატები და ასომთავრული წარწერა. მას ზევითა ნაწილში დაკრული აქვს ოქროს ფურცელზე ნაჭედი მცირე ხატი, 7x5¾ სმ.; ვერცხლის ფურცელი სიძველისა გამო რამდენიმე ადგილას მთლად ამოცლილი აქვს და დაკარგული. ჯვარს უზის სამი დიდი თვალი (ორი მხრებზე და ერთი – ზევითა ნაწილში). ქვეითა ნაწილზე ჯვარს აქვს ასომთავრული წარწერა ჯვრის შემჭედავის „ზედგინისძე ამირინდო ამილახორისა და გორის მოურავისა". ჯვარი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში. ზომა ჯვრისა – 260x122x8½ სმ.; ზომა ხის ბუდისა – 250x136x13 სმ.

242. პირველზე მომცრო ჯვარი, ხისა, შეჭედილი ვერცხლით. ჯვარს წინა პირზე აქვს ვერცხლზე ნაჭედი ხატები: ვერცხლის ფურცელი სიძველისა გამო ძლიერ მრავალ ადგილას მთლად მოცილებული და დაკარგული აქვს. შენახულია მხოლოდ ერთი ნაგლეჯი. ჯვარს ზევითა ნაწილში აქვს ასომთავრული წარწერა. ზის ხის ბუდეში. ზომა ჯვრისა – 148x76x6სმ.; ზომა ხის ბუდისა – 150x92x10½ სმ.

243. ვერცხლზე ნაჭედი, სხვა და სხვა ნაჭრისაგან შედგენილი ხატი, რომელსაც ზურგად ფიცარი აქვს. ხატს გარშემო შემოხვეული აქვს ხავერდი. ხატი ზის ხის ბუდეში (მინა გატეხილი აქვს). ზომა ხატისა – 40x31 სმ.; ზომა ხის ბუდისა – 51x35 სმ.

244. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით. ხატი ზის ხის ბუდეში (მინა გატეხილი აქვს). ზომა ხატისა – 56x48 სმ.; ზომა ხის ბუდისა – 62x54 სმ.

245. ჯვარი ხისა, შეჭედილი ვერცხლით (წინა პირი) გიორგი ეშიკაღაბაშის, ამილახვრის მიერ 1722 წ.; ვერცხლზე არის ნაჭედი ხატები წმ. გრიგოლისა, ჯვარცმის, ღვთისმშობლისა და წმ. იოანე მახარებლისა. ჯვარს ქვეითა ნაწილში აქვს მხედრული წარწერა, 47½x27x3 სმ.

---

[1] ეს ჯვარი, გადმოცემით, ძველად, შიშიანობის დროს, ამილახვრიანთ გადმოუტანიათ მცხეთის მახლობელ ჯვრის ეკლესიიდან ქვემო ჭალაში. დრო – ხანის შემდეგ, როდესაც მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა, გედევანიანთ (მცხეთა) მოუთხოვიათ ჯვრის უკან დაბრუნება, მაგრამ ამილახვრიანთ არ დაუნებებიათ და ამის გამო ატეხილა დავა. გაუმარჯვნიათ ამილახვრიანთ და ჯვარიც საბოლოოდ იქ დარჩენილა.

246. ჯვარი ხისა, შეჭედილი ვერცხლით, წოდებული „სალაშქრო ჯვარად“, უწარწერო; ძველი ქართული ხელოვნებისა.
247. ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი. ქვევითა ნაწილი სპილენძისა აქვს. წინა პირზე ჯვარს აქვს ოქროს წყალში დაფერილი, ვერცხლზე ნაჭედი ხატები ღვთისა, ჯვარცმისა და წმ. გიორგისა (3 ცალი). ჯვარი შემკულია ორი დიდი, ერთი საშუალო და რვა წვრილი ფერადი თვლით (აკლია 4 თუ 6 თვალი). ჯვარზე შებმულია ორი სამაჯური ვერცხლისა; ერთი მათგანი შემკულია თვლებით (აკლია 10 თვალი). ზომა – 46x24x2სმ.
248. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი (ხის ტარი მოტეხილი აქვს). ჯვარს წინა პირზე აქვს ხუთი ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა. ჯვარი შემკულია ოთხი მოზრდილი ფერადი თვლით (აკლია 1 თვალი); 24x18x3 სმ.
249. ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი. ვერცხლის ფურცელი, რამდენიმე ადგილას, სიძველისა გამო მოცილებული და დაკარგული აქვს. ჯვარს ორივე მხარეს აქვს ვერცხლზე ნაჭედი ხატები. წინა პირზე უზის ხუთი მოზრდილი თვალი და აქვს ასომთავრული წარწერა; 31x20½x1 სმ.
250. ჯვარი ვერცხლისა, შეჭედილი ვერცხლით გიორგი ბაზლიძის მიერ 1875 წ. და შემკული ოთხი მოზრდილი ფერადი თვლით და წარწერით; 23x13x1 სმ.
251. ვერცხლზე ნაჭედი, უცნობი შინაარსის ხატი, რომელზედაც გამოსახულია სამი პირი, თავზე ორი ანგელოზით. ხატი შემკულია ოთხი თვლით (აკლია 4 თვალი); 14½x11½ სმ.
252. მხატვრობა გადასული მცირე ხატი, შეჭედილი ოქროთი და შემკული ხუთმეტი თვლით (აკლია 20 თვალი); 9½x8½ სმ.
253. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით. წინა პირი ხატისა შეჭედილია ბაჯაღლო ოქროთი და შემკულია მრავალი დიდი და პატარა ძვირფასი თვალ-მარგალიტით (აკლია 41 დიდი და პატარა თვალი). უკანა პირი შეჭედილია ვერცხლით და შემკულია სანაწილეთი და ვერცხლისავე კარებით, რომელზედაც არის ასომთავრული წარწერა ხატის შემამკობელის, მეფეთა ასულის თამარისა, ქკს ტკგ (1635 წ.); 18x14x2 სმ.
254. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით. წინა პირი ხატისა შეჭედილია ბაჯაღლო ოქროთი და შემკულია ოცდა თორმეტი ძვირფასი თვალ-მარგალიტით (აკლია 9 თვალი). უკანა პირი შეჭედილია ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და შემკულია ვერცხლის კარიანივე სანაწილეთი და ასომთავრული წარწერით ხატის შემამკობელთა – ამილახორი გივისა და მის თანამეცხედრის, მეფის ასულის თამარისა, ქკს ტო (1682 წ.); 20x10x1¼ სმ.

255. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით. წინა პირი ხატისა შეჭედილია ბაჯაღლო ოქროთი და შემკულია თორმეტი დიდი და პატარა ძვირფასი თვლით (აკლია 2 თვალი). უკანა პირი შეჭედილია ვერცხლით და შემკულია სანაწილეთი, რომელსაც აბია ვერცხლისავე კარი; 22x17 სმ.
256. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით. წინა პირი ხატისა შეჭედილია ბაჯაღლო ოქროთი და შემკულია ორმოცდა ცხრა დიდი და პატარა ძვირფასი თვლით (აკლია 6 თვალი). უკანა პირი შეჭედილია ვერცხლით და შემკულია წმინდა ნაწილებით და ასომთავრული წარწერით ხატის შემამკობლის, „პატრონის ანდუყაფარიძის ფარემუზისა"; 17½x13¼ სმ.
257. ფიცარზე ნახატი, ორ მხრივი ხატი, შეჭედილი ვერცხლით. ერთ მხარეს ჰხატია მაცხოვარი, თუ სხვა წმიდანი (დაზიანებული) და უზის ჩვიდმეტი დიდ – პატარა თვალი (აკლია 7 თუ მეტი თვალი); მეორე მხარეს – რომელიღაც წმიდანი და უზის ოცდა რვა დიდ-პატარა თვალი (აკლია 6 თვალი); 6x5x1½ სმ.
258. ფიცარზე ნახატი მცირე ხატი წმ. გიორგისა, 8x6½ სმ.[1]
259. ამილახვრიანთ ოთხი საომარი დროშიდან დარჩენილი დროშა, უქსოვილოდ, დაზიანებული. დროშას თავზე აქვს შუბის მაგვარი ხე, შეჭედილი ვერცხლით. აქვე აბია მას მცირე ზარა. ტარს ბოლო ნანილი მოტეხილი და დაკარგული აქვს. სიგრძე დარჩენილი ნანილისა – 171 სმ.
260. ფილონი, ოლარი და დაფარნა (ეს უკანასკნელი შემკულია ხელით ნაკერი ანგელოზების ხატებით) ათანასი მიტროპოლიტისა.

XVI

ნივთები ძველო ჭალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიისა

ოქმი 17, 1924 წ. აპრილის 19

261. ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით. უკანა მხარეს ხატს დაკრული აქვს ვერცხლისავე ჯვარი, ორი წარწერით: გივი ამილახორის 1671 წ. და დემეტრე ამილახორისა 1750 წ., 45½x32½ სმ.
262. ხატი მაცხოვრისა, ვერცხლის არშიით და ვერცხლისავე შარავანდედით, რომელსაც უზის ექვსი თვალი. ხატს აქვს წარწერა

[1] 253, 254, 255, 256, 257, 258 №№-ებით აღწერილი ხატები ასვენია ერთად, შუშაბანდიან ხის ბუდეში, 50x42 სმ.

ნიკოლოზ „ამილახვაროვის" კნეინის, აბაშიძის ასულის ნინასი 1819 წ., 30x26 სმ.

263. ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, ვერცხლის არშიით და ვერცხლისავე შარავანდედით, რომელსაც უზის შვიდი თვალი. ხატს აქვს წარწერა ნიკოლოზ „ამილახვაროვის" კნეინის აბაშიძის ასულის ნინასი 1819 წ., 36x26 სმ.

264. ტილოზე ნახატი მხატვრობა, მიმქრალი ხატი გაურკვეველი შინაარსისა, 67x46 სმ.

265. ბარძიმი, ფეშხუმი და კამარა ვერცხლისა, შეწირული გივი ამილახვრის მიერ 1731 წ.

XVII

ნივთები სამთავისის ეკლესიისა

ოქმი 18, 1924 წ. აპრილის 19

266. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, წოდებული „ღვთაების" ხატად, შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და შემკული სამი ლალის თვლით, იოთამ ამილახვრის ძის, ყორჩიბაშის დემეტრეს და მისი თანამეცხედრის, ქსნის ერისთავის ასულის თამარის მიერ, ქ˙კს ტნჱ (1670 წ.), შესაფერი მხედრული წარწერით. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში. ხატს ჰკიდია: ა. გულსაკიდი ჯვარი ოქროსი (გულში წმ. ნაწილები), შემკული ხუთი დიდი თვლით და ოთხი წვრილი მარგალიტით ვინმე დიმიტრის მიერ, ქართული მხედრული წარწერებით (9x6x1 სმ.); ბ. გულსაკიდი ხატი ღვთისმშობლისა, მინანქარზე ნახატი, შეჭედილი ვერცხლით და შემკული ორმოცდახუთი ძვირფასი თვლით (აკლია 2 თვალი), მარგალიტის მძივით და მინანქრის სახეებით. ხატს უკანა მხარეს აქვს ოქროს წყალში დაფერილი, ვერცხლზე ნაჭედი ხატი ჯვარცმისა. ხატს აქვს ვერცხლისავე ძეწკვი, 7x6x1½ სმ.; გ. გულსაკიდი ჯვარი ვერცხლისა, შემკული შვიდი ძვირფასი თვლით (აკლია 3 თვალი) და მხედრული წარწერით: **ძელი ჭეშმარიტი შეფის ბაქარისა საშთის ხთებისა.** ჯვარს აქვს ვერცხლისავე ძეწკვი, 8x6x1 სმ.; დ. გულსაკიდი მცირე ჯვარი ვერცხლისა, შემკული ხუთი თვლით, 5x5 სმ.; ე. მედალიონი, მინანქარზე ნახატი ხელთუქმნელი ხატის გამოსახულებით; ვ. გულსაკიდი ჯვრები ვერცხლისა – 4 ცალი. ზომა მაცხოვრის ხატისა – 87x62 სმ.; ზომა ხატის ბუდისა – 95x74 სმ.

267. სასანთლე ვერცხლისა, შეწირული მეფის იესეს ასულის ხვარეშანის მიერ ქ˙კს უოე (1787 წ.), მისხალი 101; აქვს შესაფერი წარწერა.

268. სასანთლე ვერცხლისა, ფეხ-გატეხილი, შეწირული გივი ამილახვრის მიერ 1846 წ., შესაფერი წარწერით.
269. სამლვდელმთავრო კვერთხის ნაწილები სამ ცალად. ერთ მათგანს აქვს ძვლის თავი (ერთი მხარე მოტეხილი), შემკული ერთი ფირუზის თვლით (ორი ფირუზის თვალი ამოვარდნილი აქვს და ცალკე ინახება); აკლია 6 თვალი. მეორე ნაწილი მთელია; მესამეს ბოლო მოტეხილი და დაკარგული აქვს. სიგრძე სამივე ნაწილისა – 139 სმ.
270. ბარძიმი, ფეშხუმი და კამარა ვერცხლისა, შეწირული ტფილელ მიტროპოლიტ ათანასის (ამილახორის) მიერ 1767 წ., წარწერა (მხედრული) აქვს მხოლოდ ბარძიმს.
271. ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, შეწირული სამთავნელ ეპისკოპოზის, მაჭავარიანი გერასიმეს მიერ 1799 წ., შესაფერი წარწერით; ჯვარს ზედა პირზე აქვს მინანქრის ხატები (დაზიანებული); 30x18½x3 სმ.
272. მცირე ბადია ვერცხლისა, შეწირული მუხრან ბატონის ასულის ბარბარეს მიერ 1832 წ., მხედრული წარწერით; მისხალი 33.
273. სადა ჯვარი ხისა, რომელსაც ზედ დაკრული აქვს ტყვიის (?) ჯვარცმა (დაზიანებული); 23x11½ სმ.
274. მღვდელმთავრის წინსაძღოლი (წინამძღვარი), შეჭედილი ვერცხლით მეფის ალექსანდრეს მიერ. წინსაძღოლს თავზე აქვს ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ჯვარი, შემკული ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმის ხატით და ორი დიდი თვლით. უკანა მხარეს ჯვარს აქვს ასომთავრული წარწერა „წინამძღვრი"-ს შემჭედავის, მეფის ალექსანდრესი. ჯვარს ქვეით წინსაძღოლს აქვს ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ბუშტი და ყუთი. ყუთი შემკულია ოთხი ვერცხლზე ნაჭედი ხატით და ოცდაათი დიდი თვლით (უკლებლივ); შემდეგ წინსაძღოლი წარმოადგენს ჯოხს, შეჭედილს ვერცხლის სალტეებით და ბუშტებით. წინსაძღოლს ბოლოზე აქვს რკინის ზრო (მწვეტი); სიგრძე – 167 სმ.
275. ტილოზე ნახატი ხატები ძველი კანკელისა, დიდი ზომისა; სულ – 24 ცალი.
276. ხეზე ნაკვეთი, მრგვალი ფორმის, ორმხრივი, მცირე ხატი (თავსა და ბოლოს გუმბათებით) ოთხი დღესასწაულისა და მრავალი წმინდანთა ხატებით, საუცხოო ხელოვნებისა. ხატი ზის ხის ბუდეში, რომელსაც წმინდანთა მარჯვენა კუთხის ფიცარი და, აგრეთვე, ბუდის სახურავი (მინა) აცლილი და დაკარგული აქვს. ზომა ხატისა – 13x7x1½ სმ.; ზომა ხის ბუდისა – 22x16½x2¼ სმ.
277. ოდიკი 1768 წ. – 1 ცალი, იმპერატორ პავლე პეტრეს ძის დროისა – 1 ცალი; სულ – 2 ცალი.

278. ბარძიმი ხისა, 1 ცალი.
279. სამაჯური ძველი ხელოვნებისა, 2 ცალი. მათში ორზე არის ხელით ნაკერი ხატი ხარებისა, მეორე ორზე – წმიდანებისა და სხვა.
280. ხელით ნაკერი ხატი ქრისტეს აღდგომისა, 22x20 სმ.
281. ხელით ნაკერი სარტყელი, რკინის ორი ჩაფრასტით ანუ ღილით.
282. ენქერი ძველი ხელოვნებისა, 4 ცალი; მათში ერთი შემკულია ოქრომკედით ნაკერი მაცხოვრის, ღვთისმშობლის და სხვა წმიდანთა ხატებით.
283. რომელიღაც ხატიდან (იქნება ღვთაების, იხ. №266) ჩამოხსნილი ნივთები: ა. სამაჯური ოქროსი, თვალ ამოვარდნილი, 1 ცალი; ბ. სამაჯური ვერცხლისა, 1 ცალი; გ. გულსაკიდი ჯვარი ოქროსი, 1 ცალი; დ. გულსაკიდი ჯვარი ვერცხლისა, 8 ცალი; ე. გულსაკიდი ჯვარი უბრალოდ ლითონისა, 2 ცალი; ვ. ქამრის სამკაული ვერცხლისა, 1 ცალი; ზ. ბეჭედი უბრალოდ ლითონისა, თვალამოვარდნილი, 1 ცალი; ჱ. გული-შანა, 2 ცალი; თ. დაბალი ვერცხლის მცირე ძენწკვი; ი. ვერცხლის „ხელი"-შანა წითელ ლენტზე.
284. გულსაკიდი მცირე ხატი (?) ხისა, ჯვრის გამოსახულებით, გარშემო ვერცხლის სალტე შემოვლებული. ხატი ზის აბრეშუმის ბუდეში, 6x5 სმ.
285. რომელიღაც ხატიდან ავარდნილი, ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის შემკულობა, ვერცხლზე ნაჭედი ორი წმიდანის ხატით; ძველი ქართული ხელოვნებისა.
286. გულსაკიდი ხატები, ჩამოსხმული სპილენძიდან, ძველი რუსული ხელოვნებისა, 5 ცალი; მათში ორი დასაკეცი ხატი ყოფილა, რომელთაგან ერთს აკლია ერთი კარი, მეორეს კი ორივე.

XVIII
სოფიის კენჭი ნრომის ეკლესიისა

287. სოფიის კენჭი, რიცხვით 94 ცალი.

XIX
ნივთები ბრეჭის ეკლესიისა

288. ხუცური ხელნაწერი საეკლესიო წიგნი თვენი (თავსა და ბოლოს ფურცლები აკლია).
289. ხუცური ხელნაწერი საეკლესიო წიგნი კონდაკი (თავში მრავალი ფურცელი აკლია).

290. შემოკლებული კურთხევანი ქართული და ოსური ტექსტით, თარგმნილი ქართულიდან ოსურად იოანნე იალღუზის მიერ, იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძის დროს. ოსური ტექსტი დაბეჭდილია ქართული ანბანით. წიგნს თავსა და შუაში ფურცლები აკლია.

XX
ნივთები მეჯვრისხევის უსანეთის ეკლესიისა
ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

291. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, შეჭედილი ვერცხლით მამასახლისის სალუქაშვილი გოგიას და მისი ასულის, თინათინის მიერ 1792 წ., ქართული მხედრული წარწერით, 26x20 სმ.

292. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, ქართული ხელოვნებისა, 27½x20 სმ.

293. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით და შემკული 4 უბრალო თვლით. ჯვარს წინა მხარეს აქვს ძველი, ნახევრად მიმქრალი წარწერა, ხოლო უკანა მხარეს წარწერა ჯვრის შემამკობლების, ძმები ბეგიასშვილებისა. ტარი ჯვარს თუნუქისა აქვს, წინა მხარეს ჯვარს აკლია ერთი მცირე შემკულობა ვერცხლისა, 37½x18 სმ.

294. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით და შემკული ორი თვლით „ამედილს მამესწარის შვილის“ (?) მიერ, ქართული მხედრული წარწერებით (უკანა პირზე და გვერდებზე), 18½x17½ სმ.

295. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით; ჯვრის წინა პირზე შეჭედილი ხატია ჯვარცმისა, უკანა პირზე – წმ. გიორგისა. ჯვარს აქვს წარწერა: იოსებ, 41½x20 სმ.

296. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით მეჯვრისხევის მოურავის, ლუარსაბ ლოლაძის მიერ 1803 წ., ქართული მხედრული წარწერით: მისხალი 31. ჯვარს ტარი სპილენძისა აქვს, 21½x13½ სმ.

297. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით, შეწირული უსანეთის ეკლესიისათვის ვინმე მართას მიერ, ქართული მხედრული წარწერით. ჯვარს ტარზე თუნუქი აქვს შემორტყმული, 18½x7¾ სმ.

298. ჯვარი ხისა, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით, შეწირული უსანეთის ეკლესიისათვის დათიკა მზარეულიშვილის მიერ 1863 წ., ქართული მხედრული წარწერით, 23x8½ სმ.

299. ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი (ტარის გარდა); ჯვრის წინა პირზე ჭედილი ხატია ჯვარცმისა და სხვ., უკანა პირზე – ღვთისმშობლისა და სხვ., 23x17 სმ.

300. ქართული ოდიკი, 1768 წ.

XXI

ნივთები იკორთის ეკლესიისა

ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

301. „ორას ნაწილიანი ხატი“, ანუ ფიცრის დაფა წმ. ნაწილებით, გატეხილი ორად, 58x40½ სმ.; ხატს აქვს ქსოვილისგან შეკერილი ბუდე, 125x50 სმ.

302. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ბარბარესი და წმ. თორნიკესი, შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით, 53x37½ სმ.

303. მხატვრობა მოცილებული ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით იკორთის არქიმანდრიტის პართენის მიერ 1760 წ., 32½x27 სმ.

304. ფიცარზე ნახატი ხატი სვეტიცხოველისა, შეჭედილი ვერცხლით, 32½x26½ სმ.

305. დასაკეცი ხატის მარცხენა კარი, რომელზედაც დავარაყებული წამლით დახატულია რომელიღაც მეფე (ხატის ქვედა ნაწილი დაზიანებულია). ხატის ზურგი მოჭედილია ვერცხლით და შემკულია ვერცხლზევე ნაჭედი ხატით ჩვილედი ღვთისმშობლისა, 14x5½ სმ.

306. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა და სხვა წმინდანებისა (დაზიანებულია).

307. მხატვრობა მოცილებული ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა. წინა პირი ხატისა შეჭედილია ბაჯაღლო ოქროთი და შემკულია ძვირფასი თვალ-მარგალიტით (აკლია 1 თვალი), ხოლო უკანა პირი შეჭედილია ვერცხლით და შემკულია ქართული მხედრული წარწერით, რომლიდგანაც ჩანს, რომ ხატი შეუჭედინებია ქსნის ერისთავის, შალვას მეუღლეს ქეთევანს ქკს ტჟვ (1708 წ.), 15x12 სმ.

308. ფიცარზე ნახატი, ნახევრად დაზიანებული ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით და შემკული ოთხი თვალ-მარგალიტით (აკლია 1 თვალი), 20x16 სმ.

309. ფიცარზე ნახატი, დაზიანებული ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით, 18x14 სმ.

310. სახარების ყდა (?), რომლის ზედა პირიც შემკულია ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმით, ხოლო ქვედა პირი – წვრილი უჯრედებით, 9x6 სმ.

311. ტრაპეზის ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, რუსული ხელოვნებისა, შეწირული „ნახუცრიშვილის იკორთის არქიმანდრიტის ნიკოლოზის“ მიერ 1712 წ., 35½x21 სმ.

312. ჯვარი ხისა, ნაწილობრივ შეჭედილი ვერცხლით, შეწირული კათის წმიდა გიორგისათვის „სოსია ხაფერია“-ს მიერ (დაზიანებულია), ქართული მხედრული წარწერით, 19x9 სმ.

313. ბარძიმი და ფეშხუმი ვერცხლისა წარწერით: ქ. იკორთას : მთავარანგელოზთა : ქე : კორე.
314. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლისა, შეწირული იოანე ელისბარის ძის, ქსნის ერისთავის მიერ 1852 წ., დეკემბრის 1, ქართული მხედრული წარწერებით.
315. ბარძიმი ვერცხლისა.
316. ბარძიმი ვერცხლისა, უძირო (ძირი მოტეხილი და დაკარგული აქვს).
317. კამარა ვერცხლისა.
318. კოვზი ვერცხლისა, წარწერით: იკორთის მთავარანგელოზისა ვარ.
319. დიდი საცეცხლური, ვერცხლისა.
320. განსაზავებელი ვერცხლისა.
321. მიტრა, რუსული ხელოვნებისა, შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და შემკული მინანქრის ხატებით და უბრალო თვლებით (აკლია ერთი თვლებიანი სამკაული და ოთხი წვრილი თვალი).
322. ხუცური სახარება, დაბეჭდილი 1739 წ.; ყდა შეჭედილია ვერცხლის ათი შემკულობით.
323. ვერცხლის შანდალი, მეფის გიორგის ასულის, გაიანეს საფლავის, 1821 წ.; მისხალი 183, ქართული მხედრული წარწერით.
324. ვერცხლის შანდალი (ღერო მოტეხილი), შეწირული ამილახვრის ასულის მარიამის მიერ, ქართული მხედრული წარწერით.
325. ვერცხლის შანდალი.
326. კანდელი ვერცხლისა, შეწირული ამილახვრის ასულის მარიამის მიერ, ქართული მხედრული წარწერით.
327. კანდელი ვერცხლისა, შენირული ქსნის ერისთავის ასულის, მეფის სძლის ანნას მიერ 1800 წ., მისხალი 28; ქართული მხედრული წარწერით.
328. კანდელი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, შეწირული კნეინა ქეთევან ორბელიანის მიერ 1831 წ., ქართული მხედრული წარწერით.
329. კანდელი ვერცხლისა, ძველი ხელოვნებისა, 3 ცალი.
330. კანდელი ვერცხლისა, ახალი ხელოვნებისა, 1 ცალი.
331. „ლამპრის“ თავი ვერცხლისა ვინმე „მართას [...][197] მტვერზედ დგმული“, 1856 წ.
332. ფეშხუმი ვერცხლისა, შეწირული იორამ ჩერქეზიშვილის მიერ, ქართული მხედრული წარწერით.
333. ფეშხუმი ვერცხლისა წარწერით: კაკანას შვილი პოღოსასია.

334. მცირე ხატი, ძვლისა, ათორმეტ დღესასწაულთა ხატებით, რუსული ხელოვნებისა, 6½x5¾ სმ.
335. ვერცხლის ჯვარი არქიმანდრიტისა, შემკული მინანქრის ხატებითა და თვლებით (აკლია ხუთი თვალი) და ვერცხლისავე ძეწკვით, 12x7 სმ.
336. გულსაკიდი ხატები, მინანქრისა, 2 ცალი, ერთი – 5x4½ სმ., მეორე – 3½x2½ სმ.
337. გულსაკიდი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, შეჭედილი ვერცხლით, 4½x4სმ.
338. გულსაკიდი, გასახსნელი ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლისავე ძეწკვით, ქართული ხელოვნებისა, 5½x5 სმ.
339. გულსაკიდი ჯვრები, ვერცხლისა, დიდი და პატარა, 2 ცალი, ზომა დიდისა – 9x8½ სმ.; ზომა პატარისა – 5¾x5 სმ.
340. გულსაკიდი ჯვარი, ვერცხლისა, მხარმოტეხილი, შემკული თვლებით, 7½x6 სმ.
341. რქის სანაწილე უბისა, მრგვალი ფორმისა, დახეული აბრეშუმის ბოხჩით.
342. ხატებიდან აცლილი შარავანდედები ვერცხლისა; ერთი დიდი, ორი – საშუალო ზომისა, სულ – სამი ცალი.
343. ხატიდან ავარდნილი შარავანდედი ვერცხლისა, მცირე, შემკული სამი თვალ-მარგალიტით.
344. მცირე ჯვარი ძვლისა (ქვევითი ნაწილი დაკარგული აქვს), 4x3 სმ.; მცირე ჯვარი ხისა, დაშლილი, 4x3 სმ., სულ – 2 ცალი.
345. მოწამეთა ხატიდან დარჩენილი ორი ნაწილი: ერთი წარმოადგენს ხატის ჩარჩოს ზედა მხარეს და ვერცხლის შემკულობის ნაწილს ხატისას, რომელსაც თავზე აქვს წარწერა: ქ . წმიდანო : მოწამენო : მოიხსენეთ : მე : ცოდვილი : მგალობელი : იოსებ :, ხოლო ქვევით წარწერები წმიდათა სახელებისა. მეორე წარმოადგენს ხატის ვერცხლის შემკულობის სხვა ნაწილს, აგრეთვე წმიდათა სახელების წარწერებით.
346. რომელიღაც ძველი ხატიდან აცვივნილი ვერცხლის ფურცლის ნაგლეჯები, 6 ცალი.
347. „კანდელი“ ვერცხლისა, სურათით, შეწირული ყულარაღასის მიერ 1727 წ., ქართული მხედრული წარწერით.
348. კანდელი ვერცხლისა, ხის სურათებით.
349. ლანგარი სპილენძისა, 1 ცალი.
350. რომელიმე ჯვრიდან ან ხატიდან აცვივნილი მცირე ფიგურები ღვთისმშობლისა (?) და სხვა წმიდანისა, 2 ცალი.
351. გულსაკიდი შანა-ხატები წმ. გიორგისა და სხვა, 4 ცალი.

352. რომელიღაც ხატიდან ავარდნილი შემკულობა, ჯვარცმის გამოხატულებით.
353. რომელიღაც ხატიდან ავარდნილი ვერცხლის შემკულობა, 9 თვლით.
354. რომელიღაც ხატიდან აცვივნილი ვერცხლის ბუდეები, უბრალო თვლებით – 44 ცალი, თვალამოვარდნილი ბუდეები – 4 ცალი, სულ – 48 ცალი.
355. ჩაიდანი, თეთრი ლითონისა, ყურმოტეხილი.
356. აბრეშუმის ხელსახოცი სარჩულით, ძველი ქსოვისა.
357. ვერცხლის სახურავი, მრგვალი ფორმისა.
358. სხვა და სხვა წვრილი ნაჭრები: ძეწკვი, მავთული, თვლის ბუდე, დუგმა და სხვა; სულ – 13 ცალი.
359. შანები, სხვა და სხვა გვარი; სულ – 15 ცალი.
360. წვნიკი მძივები – 13 ცალი, მსხვილი მძივი – 2 ცალი, მინის თვლის ნატეხი, ნითელი ფერისა – 1 ცალი, სულ ერთად – 16 ცალი.
361. საყურე – 1 ცალი.
362. ბეჭდები ბაჯაღლო ოქროსი, თვლით – 1 ცალი, თვალამოვარდნილი – 1 ცალი, სულ – 2 ცალი.
363. ბეჭდები ვერცხლისა, თვლით – 5 ცალი, თვალნაკლები – 1 ცალი, სულ – 6 ცალი.
364. ბეჭდები უბრალო ლითონისა, თვლიანი – 8 ცალი, თვალნაკლები – 2 ცალი, თვალამოვარდნილი – 3 ცალი, სულ – 13 ცალი.

XXII

ნივთები სოფ. ზერტის ქართველთა ეკლესიისა

ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

365. გულსაკიდი მცირე ჯვარი, ვერცხლისა, 7x6 სმ.
366. ვერცხლის მანეთიანი, 1823 წ.
367. კანდელი (სტაქანი) ვერცხლისა.

XXIII

ნივთები სოფ. მეჯვრისხევის სუპ სარქისის ეკლესიისა

ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

368. ბარძიმი ვერცხლისა, შეწირული მღვდელ გიორგის ქანაევის მიერ 1846 წ., ქართული მხედრული წარწერით.
369. ლანგარი ვერცხლისა, სომხური ასომთავრული წარწერით.

XXIV

ს. მეჯვრისხევის რაიალმასკომში დაცული, ბარბარე ერისთავის ქონებიდან დარჩენილი ნივთი

ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

370. მხატვრობა გადასული გულსაკიდი ხატი წმ. ნიკოლოზისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი. ხატს უკანა მხარეს აქვს წმინდა ნაწილები; ზედ აწყვია ქაღალდები წმიდათა ხსენებით. ხატს უკანა მხარეს აქვს მხედრული წარწერა 1721 წ., რომლიდგანაც ჩანს, რომ ეს ხატი ეკუთვნოდა მეფის გიორგის ასულის ძეს, ერისთავს შანშეს. ხატს აქვს ხელთნაკერი ბუდეები – 2 ცალი; შიგნითას აქვს ასომთავრული წარწერა **იაკობ ერისთოვ**, 7½x6½ სმ.

XXV

ნივთები სოფ. კირბლის ეკლესიისა

ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

371. ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, დაზიანებული, შეწირული პეტრე თაყაძეს მიერ ლომისისათვის, 30x15½ სმ.
372. ხატიდან აყრილი არშიები, ვერცხლისა, 4 ცალი.
373. ჯვარი სადაფისა, მცირე, ქვედა ნაწილი მოტეხილია, 5x4½ სმ.
374. წვრილი ნივთები: ა. გულის მსგავსი შანა, ქართული მხედრული წარწერით, შეწირული ვინმე ელისაბედის მიერ; ბ. მძივი ასხმული ძეწკვზე.

XXVI

ნივთები წილკნის ეკლესიისა

ოქმები 22, 1924 წ. მაისის 15 და 23, 1924 წ. მაისის 16

375. მღვდელმთავრის მიტრა, შემკული ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით. იგი ძლიერ დაზიანებულია: ავარდნილი აქვს სამი ვერცხლის შემკულობა – ერთი მიტრის ცისა, მეორე – გვერდისა და მესამე – ძირის რკალი, რომელსაც აქვს სლავიანური წარწერა, საიდანაც ჩანს, რომ ეს მიტრა გაუკეთინებია ქართველ მღვდელმთავარს, ქრისტეფორე ბაგრატიონს 1762 წ.; მიტრას აცვივნილი და დაკარგული აქვს მრავალი თვალ-მარგალიტი. იგი რუსული ხელოვნებისაა.
376. ხატიდან აცვივნილი თუ აგლეჯილი მარგალიტის მძივები, ძველ ტილოზე; ხატისავე ჯვარი ფერადი თვლებისა (ერთი ნაწილი აცვივნილი და დაკარგული აქვს), ძველ ტილოზევე.
377. ჯვრის ძეწკვი 4 ნაწყვეტად.

378. გულსაკიდი ჯვრები, ვერცხლისა: შემკული ფირუზებით – 1 ცალი, შემკული ფირუზებით და მარგალიტებით – 2 ცალი (ერთ მათგანს აკლია 1 მარგალიტი); სულ – 3 ცალი.
379. გულსაკიდი ჯვრები ვერცხლისა შემკული: **ა.** ფირუზებით და უბრალო ლითონის ძეწკვით – 1 ცალი; **ბ.** თვალ მარგალიტით და უბრალო ლითონის ძეწკვით – 2 ცალი (ერთ მათგანს აკლია 1 მარგალიტი, მეორეს ორი თვალი ამოვარდნილი აქვს); **გ.** ფირუზებით და მარგალიტის მძივით (მძივის ნახევარი დაკარგულია) – 1 ცალი; **დ.** ფირუზის და მარგალიტის თვლებით და მარგალიტისაგე მძივით (მძივს ბევრ ადგილას აკლია) – 1 ცალი; სულ ყველა ჯვარი – 5 ცალი.
380. ნაწყვეტი ძეწკვები, 2 ცალი.
381. მარგალიტის მძივი, ასხმული (ბევრი აკლია).
382. საყურე ოქროსი: თვლიანი – 4 ცალი (ერთს მათგანს აკლია 1 თვალი), უთვლო – 1 ცალი, სულ – 5 ცალი.
383. საყურე ვერცხლისა: თვალ-მარგალიტიანი – 2 ცალი, თვლიანი – 3 ცალი, სულ – 5 ცალი.
384. „ზარის საყურე", შემკული თვლებით და მძივებით, 5 ცალი.
385. ფერადი თვლები (ბეჭდებისა და ხატებიდან აცვივნილი), 29 ცალი.
386. გულსაკიდი ჯვარი, უბრალო ლითონისა, ლენტით.
387. შუბლის ქინძისთავი, ვარსკვლავის მსგავსი, შემკული თეთრი თვლებით (ისარი მოტეხილი აქვს).
388. შუბლის ქინძისთავი: თვლებით – 1 ცალი; თვალ-მარგალიტით – 2 ცალი (ერთს მათგანს ერთი მარგალიტი დაკარგული აქვს); თვლით – 1 ცალი; მარგალიტით – 2 ცალი; თვალამოვარდნილი (და დაკარგული) – 1 ცალი; სადა – 2 ცალი; სულ ერთად – 9 ცალი.
389. გულის სამკაული [...][98] თვლით.
390. „წინამძღვარი"-დან აყრილი თვლები, 19 ცალი.
391. მძივები, 9 ცალი.
392. ფერადი თვლები: ბუდით – 8 ცალი, უბუდოთ – 15 ცალი, სულ – 23 ცალი.
393. წვრილი ნივთები, 9 ცალი.
394. ღვთისმშობლის მინანქრიანი ხატის ნაწილები: **ა.** წვრილი თვლები, მრგვალი ღილები, მტვერი და სხვა. ერთი მცირე პარკი; **ბ.** პრტყელი რკინა – 1 ცალი; **გ.** წვრილი რკინები – 9 ცალი.
395. ომოფორი, ოქრომკედით ნაკერი ხატებით, შეწირული ორბელიშვილი ყაფლანის ქალის, როდამის მიერ, ქართული ასომთავრული წარწერით, 1660 წ.

396. დაბალი ხარისხის ოქროს ბეჭდები, თვლით – 6 ცალი; უბრალო ლითონის ბეჭედი – 1 ცალი; სულ – 7 ცალი.
397. ენქერი, ოქრომკედით ნაკერი ხატებით, შეწირული მუხრან ბატონის თეიმურაზის და მისი თანამეცხედრის, ქეთევანის მიერ, ასომთავრული წარწერით.
398. ენქერი, ძველი ხელობისა, შეწირული ირაკლი მეფის ასულის, ქეთევანის მიერ 1785 წ., ქართული მხედრული წარწერით.
399. ოლარი, ოქრომკედით ნაკერი ხატებით, შეწირული ბატონიშვილი თეიმურაზის მიერ, ასომთავრული წარწერით.
400. დაფარნები, ხელით ნაკერი, შეწირული მუხრან ბატონის კოსტანტინეს მეუღლის, ხორეშანის მიერ, ქართული მხედრული წარწერით, 2 ცალი.
401. დაფარნა, ოქრომკედით ნაკერი, 1 ცალი.
402. სარტყელი, ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი.
403. საბუხრე, ძველი ხელოვნებისა, 2 ცალი.
404. მცირე ბოხჩა, ძველი ხელოვნებისა, 1ცალი.
405. არქივი, ძლიერ დაზიანებული წარწერით **იოანე წილკნელი**.
406. თავსაკრავი, 5 ცალი.
407. კანკელის ხატები, ტილოზე ნახატი, 4 ცალი (სამი მათგანი ჩარჩოთი, ერთი – უჩარჩოოთ).
408. ბარძიმი კალისა, 2 ცალი.
409. საცეცხლური უბრალო ლითონისა, 1 ცალი.
410. ბადია სპილენძისა, ქართული მხედრული წარწერით.
411. უსუპის ტარი ხისა, ძვლის შემკულობით.
412. სამირონე ხისა, მინის ორი ჭურჭლით (სამირონეს სახურავი დაკარგული აქვს).
413. ეტრატზე ნაწერი სახარება, გადაწერილი ვინმე მწერლის, ბესარიონისა, შეწირული ბატონიშვილის, კათოლიკოზ დომენტის მიერ 1669 წ.; სახარება ზის ვერცხლის ბუდეში, რომელზედაც ნაჭედი ხატებია მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა და სხვათა. მოციქულებს წარწერები აქვს ქართული ასომთავრული და სპარსული ასოებით. ბუდეს ქვედა ნაწილზე აქვს ასომთავრული წარწერა ზემოხსენებული კათოლიკოზის დომენტის სახარების შეწირვის შესახებ წილკნის ღვთისმშობლისათვის, 14½x11 სმ.
414. ნახევრად ეტრატზე და ნახევრად ქაღალდზე ნაწერი ხუცური, მცირე ტანის სახარება, ვერცხლის ყდით, შეწირული მუხრან ბატონიშვილის ბაგრატის მიერ (ყდის დასაბმელები აწყვეტილია), 10x6½x4 სმ.
415. ხუცური ხელნაწერი კურთხევანი (თავში ფურცლები აკლია).

416. ხუცური ხელნაწერი დიდი საეკლესიო წიგნის ფურცლები, მთლად დაშლილი.
417. მეფის ძის ბაქარის მიერ 1743 წ. მოსკოვს დაბეჭდილი დაბადება (თავში და ბოლოში აკლია ფურცლები, ბოლო ფურცლები სულ დაშლილია, უკანა ყდა დაკარგულია).
418. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ჩარჩოში; დაზიანებულია (ქვედა ნაწილი ხატისა მოხეულია), 37x27 სმ.

XXVII

ნივთები, მოგროვილი ხაშურის რაიაღმასკომის საწყობში

ოქმი 1, 1924 წ. აპრილის 8

419. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, შეჭედილი ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით და შემკული 9 თვლით. ხატი ზის ბუდეში; მინა გატეხილი აქვს. ქართული ხელოვნებისა. ზომა ხატისა – 32½x28 სმ.
420. რქაზე ნახატი გულსაკიდი ხატი, ერთ მხარეს ჩვილედი ღვთისმშობლის, მეორე მხარეს – ღვთისმშობლის მიძინების გამოხატულებით, მრგვალი ფორმისა, 7x6 სმ.

XXVIII

ნივთები სოფ. გერის წმ. გიორგის ეკლესიისა, დაცული სოფ. არბოს წმ. გიორგის ეკლესიაში

ოქმი 24, 1924 წ. მაისის 31

421. ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა, შეჭედილი ლუარსაბ მეფის ძის (?) ვახტანგის (?) მიერ, ქართული ასომთავრული წარწერით, დაზიანებული (ზურგად ფიცარი აქვს), 35½x23½ სმ.
422. დიდი ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, შემკული ორი თვლით (აკლია ერთი თვალი) და ქართული მხედრული წარწერებით. ჯვრის უკანა მხარეს და ჯვრის ტარზე უკანასკნელი წარწერა იხსენიებს დ. თავყელაშვილს. ჯვარი ძლიერ დაზიანებულია, ბევრს ადგილას ვერცხლის ფურცელი მთლად მოცილებული და დაკარგული აქვს, 67x30½ სმ.
423. „დასამწყალობელი ხატი“ წმ. გიორგისა, გრძელი ტარით, შეჭედილი ვერცხლით, დაზიანებული (ვერცხლის ფურცელი ზოგ ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს), 76x9½ სმ.
424. „აზარფეშა“ ანუ განსაზავებელი ვერცხლისა, შეწირული აბრამ სარქისოვის მიერ 1847 წ., ქართული მხედრული წარწერით.

425. თასი ვერცხლისა, შეწირული ვებუაძეს მიერ, ქართული მხედრული წარწერით.

XXIX

ნივთები სოფ. არბოს წმ. გიორგის ეკლესიისა

ოქმი 24, 1924 წ. მაისის 31

426. ჯვარი ხისა, შეჭედილი ვერცხლით მინდიაშვილების მიერ 1817 წ., ქართული მხედრული წარწერით. ტარზე შემოკრული აქვს სპილენძი, 47x22 სმ. ჯვარზე არის შანა, მძივის ზონრით.

427. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, ორად გატეხილი (ზურგად ფიცარი აქვს) და ძლიერ დაზიანებული, შემკული ქართული მხედრული წარწერით (ნაწილი წარწერისა დაკარგულია), შეწირული ვინმე „თაყინანთ ფარსადანას“ მიერ; ვერცხლის ორ ნატეხი ამოვარდნილი აქვს, 23x18 სმ.

428. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლისა, შეწირული ირაკლის მეფის მიერ 1788 წ., მისხალი 125; ქართული მხედრული წარწერით.

429. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერა ოდნავღა მოსჩანს.

430. „განსაზავებელი“ ვერცხლისა, შეწირული ეკატერინე ზანდუკელის მიერ 1839 წ., ქართული მხედრული წარწერით.

431. კონდაკი, დაბეჭდილი 1710 წ.

432. ენქერი, ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი.

433. მცირე ომაგი კოვზი, გატეხილი.

434. ბადიები ვერცხლისა, მცირე – 2 ცალი, სულ მცირე – 1 ცალი, უბრალო ლითონისა მცირე – 1 ცალი, სულ – 4 ცალი.

435. შანდალი, სულ მცირე, 2 ცალი.

436. ძეწკვი, ზარის მსგავსი ნივთით, 1 ცალი.

437. შანა-აკვანი ვერცხლისა, 3 ცალი.

438. შანა, მავთულ-დახვეული, 3 ცალი.

439. გულსაკიდი შანა წმ. გიორგისა, სხვა და სხვა ფორმისა (მრგვალი, ოთხ-კუთხი, ჯვრის სახედი და სხვ.), დიდი და პატარა: ა. ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლისა – 2 ცალი; ბ. ვერცხლისა – 25 ცალი; გ. ვერცხლის შანა წარწერით – **არბოს წმ. გიორგისა ჯარ**; დ. ვერცხლის შანა იესო ქრისტეს ხატით – 1 ცალი; ე. შანა-ხატი წმ. გიორგისა, უბრალო ლითონისა – 2 ცალი; ვ. შანა-ხატი ღვთისმშობლისა ყრმით; ყველა შანა-ხატები სულ – 33 ცალი.

440. შანა-„ხელი“ ვერცხლისა: დიდი – 1 ცალი და საშუალო – 4 ცალი, პატარა – 6 ცალი, სულ – 11 ცალი.

441. შანა-„ფეხი“, ვერცხლისა, 2 ცალი.

442. შანა-შამფური, ვერცხლისა, 2 ცალი.
443. შანა-ყური, ვერცხლისა, 1 ცალი.
444. შანა ვერცხლისა, გულის მსგავსი, დიდ-პატარა, 13 ცალი.
445. გულსაკიდი, უბრალო ლითონის, თვლით, 1 ცალი.
446. ქინძისთავები: თვლებიტ – 5 ცალი, სადა – 10 ცალი, სულ – 15 ცალი.
447. გატეხილი ლახვარი (?), 2 ცალი.
448. ფული-შანა, დიდ-პატარა, 5 ცალი.
449. შანას მძივები ერთ ასხმულად.
450. შანის მძივები, დაშლილი: წვრილი – 21 ცალი, მსხვილი – 5 ცალი, სულ – 26 ცალი.
451. მძივები, დაშლილი, 8 ცალი.
452. გულსაკიდი შანა ქვის გულით, 2 ცალი.
453. შანა ნივთებით: სათვალღვინჭილე, თვალი, ჯვარი და სხვა, სულ – 18 ცალი.
454. შანა წმ. გიორგისა, გვირგვინით.
455. უბის სანაწილე ვერცხლისა, უხუფოთ, 1 ცალი.
456. მცირე ყუთი, უბრალო ლითონისა, 1 ცალი.
457. ქამრის ბალთა, 1 ცალი.
458. ბეჭდები: **ა.** ოქროს თვლიანი – 1 ცალი; **ბ.** ვერცხლისა: ა) თვლიანი – 13 ცალი; ბ) თვალნაკლული – 1 ცალი; გ) თვალამოვარდნილი – 4 ცალი; **გ.** უბრალო ლითონისა: ა) პირადი – 3 ცალი; ბ) წარწერით ქეთევან – 1 ცალი; გ) პტყელი – 1 ცალი; დ) სადა, უთვლო – 9 ცალი; ე) თვლიანი – 370 ცალი; ვ) თვალნაკლები – 60 ცალი; ზ) თვალამოვარდნილი – 50 ცალი; სულ ყველა ბეჭდები – 513 ცალი.
459. საყურე, უბრალო ლითონისა, თვლებით: **ა.** მრგვალი ფორმისა – 2 ცალი; ერთ მათგანს აკლია 1 თვალი; **ბ.** სხვა გვარი – 10 ცალი; **გ.** სადა – 4 ცალი; სულ – 16 ცალი.

XXX

ნივთები სოფ. გერის ეკლესიისა

ოქმი 11, 1924 წ. მაისის 28

460. ქართული საომარი დროშები, ორი ცალი; ერთი ტარით, მეორე – უტაროთ; ორივე ძლიერ დაზიანებული. ერთი ცალკე ტარი რომელიღაც ბაირაღისა.

XXXI

ნივთები სოფ. ბელოთის ეკლესიისა

ოქმი 12, 1924 წ. მაისის 29

461. ქართული საომარი დროშა, რომლის ქვეშაც, გადმოცემით, იბრძოდა იულონ ბატონიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში. იგი ძლიერ დაზიანებულია, შუბი მოცილებული და დაკარგული აქვს.[1]

XXXII

ნივთები, მოგროვილი კავთისხევის რაიაღმასკომის სანყოგში

ოქმი 42, 1924 წ. ივლისის 5

ა. ნივთები ქვაბთახევის მონასტრისა

462. საღმრთო ისტორიის რუქების საბეჭდი სპილენძის დაფები – 3 ცალი:

ა) 39¼x23 სმ.; ბ) 25¾x20½ სმ.; გ) 23½x15 სმ.

ბ. ნივთები სხვა და სხვა ეკლესიებისა

463. ბარძიმი ვერცხლისა, 2 ცალი.

464. ბარძიმი ვერცხლისა, შეწირული სოფიო ივანგულოვის მიერ 1838 წ.

465. ბარძიმი ვერცხლისა, სომხური წარწერით.

466. ფეშხუმი ვერცხლისა, 1 ცალი.

467. სანაწილე ვერცხლისა, რუსული ხელოვნებისა, ჯვარი მოტეხილი და დაკარგული აქვს.

468. თასი ვერცხლისა, უტარო.

469. ლანგარი ვერცხლისა, რუსული ხელოვნებისა.

XXXIII

ნივთები კავთის ხევის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიებისა

ოქმი 43, 1924 წ. ივლისის 5

470. მინაზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 33x28 სმ., ჩარჩოში, გატეხილი ორად.

471. დასაკეცი ან კარედი ხატი ღვთისმშობლისა, 35x24 სმ. (გაშლით – 35x44 სმ.); გულში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით, კარებზე – წმინდანები. ხატს კარები სიძველისაგან ავარდნილი აქვს.

472. სამაჯური, ოქრომკედით ნაკერი, 2 ცალი.

473. რქის ჯვარი „იერუსალიმისა“, 17x9½ სმ., გატეხილი ორად.

---

[1] ჩავაბარე №№45, 47-461: გ. ბოჭორიძე. ჩავიბარე №№45, 47-461: გ. ჩუბინაშვილი. 1924 წ. ოქტომბრის 4.

XXXIV

ნივთები ძვაბთახევის მონასტრის ეკლესიისა

ოქმი 45, 1924 წ. ივლისის 6

474. ვერცხლზე ნაჭედი ხატი თავკავთის წმ. გიორგისა, 27x14 სმ., შეწირული მაღალაძეს მიერ. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში, 41x36½ სმ.

475. ხის ჯვარი, 15x7 სმ., ათონის ხელოვნებისა, ვერცხლის სალტეებით და ძირით, შემკული შვიდი თვლით. ჯვარი ზის ხის ყუთში, 26x14 სმ.

476. ძვლისგან გამოქანდაკებული ჯვარცმა, 33x15 სმ., თავის გოლგოთით, დაზიანებული მხრებში.

477. შუშაბანდიანი ხის ჩარჩო, 30¼x25½x4½ სმ., დაზიანებული, რომელშიც სხედს: ა. ჯვარი ვერცხლისა 9x7 სმ., ძველი ხელოვნებისა; ბ. ხის ჯვარი, 9x5 სმ., ათონის ხელოვნებისა; გ. გულსაკიდი სანაწილე ვერცხლისა ჯვარცმით, 7x6½ სმ.; დ. გულსაკიდი მცირე ჯვარი, 3x2 სმ.; ე. გულსაკიდი სანაწილე, უბრალო ლითონისა, წმინდა ნაწილებით, 5½x5 სმ. ხის ჩარჩოდან ერთი ჯვარი და რაღაც მრგვალი ნივთი დაკარგული არის, იგინი გაუტაცნია ვინმე კავთისხეველ ბოროტ-მოქმედს.

478. რქისგან ნაკვეთი, მრგვალი ფორმის, მცირე ხატი, 6½x4¾ სმ.; ერთი მხარე ჩვილედი ღვთისმშობლისა, მეორე მხარე – რომელიმე წმინდანის ხატებით.

479. სამაჯური, ოქრომკედით ნაკერი, 4 წყვილი.

480. სარტყელი, ძველ ხელოვნებისა, 2 ცალი.

481. ლითოგრაფიული სურათი ირაკლი II-ისა, დაბეჭდილი 1832 წ. იოსებ ტულაევის მიერ, შუშაბანდიან ხის ჩარჩოში, მინა გატეხილია, 57½x43½ სმ.

482. სურათი კათოლიკოს ანტონ I-ისა, შუშაბანდიან ჩარჩოში, 36¼x29 სმ.

483. ფოტოგრაფიული სურათი თამარ მეფის გარდაცვალებისა, 19½x15 სმ.

484. ლითოგრაფიული სურათი ქართველების მონათვლისა მცხეთას, 29x22 სმ.

485. ლითოგრაფიული სურათი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, 18x14¾ სმ., მინაწერებით უკანა პირზე.

486. ტილოზე ნახატი სურათი რომელიღაც რუსის მღვდელმთავრისა, 33x29 სმ.

XXXV

ნივთები თელათგორის წმ. თევდორეს ეკლესიისა

ოქმი 46, 1924 წ. ივლისის 7

487. ტილოზე ნახატი ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, 25¼x22½ სმ.; დაზიანებული, მარცხენა მხარის ტილო ახეული და დაკარგულია. ხატი გადაკრულია ფიცარზე.

488. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. თევდორე ტირონისა, 38½x23½ სმ., წარწერით.

489. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი და ღვთისმშობლისა, 12¼x9 სმ., ქართული ხელოვნებისა.

490. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 12¼x9¾ სმ., ქართული ხელოვნებისა.

XXXVI

ნივთები იდლეთის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა

ოქმი 47, 1924 წ. ივლისის 8

491. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 65x44 სმ., ძლიერ დაზიანებული.

492. ტილოზე ნახატი ხატი წმ. ნიკოლოზისა, 34½x22 სმ., ძლიერ დაზიანებული.

493. ტილოზე ნახატი ხატი ნათლისღებისა ფიცრის ჩარჩოში, 26¼x22 სმ., ძლიერ დაზიანებული.

494. ტილოზე ნახატი ხატი რომელიმე მახარებლისა, ძლიერ დაზიანებული.

XXXVII

ნივთები ძვ. ხანდაკის ეკლესიისა

ოქმი 50, 1924 წ. ივლისის 9

495. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 35¾x23 სმ., გადაკრული ფიცარზე.

496. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 43½x27 სმ.

XXXVIII

ნივთი კავთისხევის კავთის ეკლესიისა

ოქმი 51, 1924 წ. ივლისის 10

497. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, გადაკრული ფიცარზე; ხატის გული ოქროს წყალში არის დაფერილი. ხატი ზის ხის ჩარჩოში (მინა არა აქვს), 27x24 სმ.

XXXIX
ნივთი
ბორჯომის სომეხთა წმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიისა

ოქმი 26, 1924 წ. ივნისის 25

498. ტილოზე ნახატი ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, ხის ჩარჩოში, 42½x32 სმ., შეჭედილი ვერცხლით, დაზიანებული.

XL
ნივთები, მოგროვილი ბორჯომის რაიალმასკომის საწყობში

ოქმი 27, 1924 წ. ივნისის 25

499. ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით, 1773 წ., 46½x36 სმ., რუსული ხელოვნებისა; ხატი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში.
500. სასაკმევლე ჭურჭელი სპილენძისა (სომხური ეკლესიისა უნდა იყოს), 2 ცალი.
501. დიდი ლანგარი სპილენძისა, სპარსული წარწერით.
502. შანდალი ირმის რქისა.

XLI
ნივთი ტიმოთეს უბნის ეკლესიისა

ოქმი 28, 1924 წ. ივნისის 26

503. მცირე ჯვარი ხისა, 8½x6 სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, შემკული წინა მხარეს 4 თვლით და ერთი მინით და უკანა მხარეს ცხვრის სურათით.

XLII
ნივთები ახალქალაქის სომეხთა ეკლესიისა

ოქმი 29, 1924 წ. ივნისის 29

504. ტილოზე ნახატი ხატი მიძინებისა, 84x59 სმ.
505. ვაკასი (საყელო), ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული.

XLIII

ნივთები ახალციხის წმ. თომა მოციქულის ეკლესიისა

ოქმი 30, 1924 წ. ივნისის 29

506. ფიცარზე ნახატი ხატი მთავარანგელოზისა, 25½x18 სმ., დაზიანებული.

507. ჯვარი სადაფისა, [...][199] სმ., დაზიანებული.

508. ტილოზე ნახატი ხატები წმ. იოანე ნათლისმცემლისა (?), 76x54 სმ. და წმ. ნინოსი, 69x51 სმ., ძლიერ დაზიანებული.

509. სამაჯური, 5 წყვილი; მათგან ერთი წყვილი, ჯვარაკიდებული ქრისტეს და ანგელოზების ხატებით და ორი წყვილი – ოქრომკედით ნაკერი.

510. დაფარნა, 3 ცალი (ორი მათგანი – ოქრომკედით ნაკერი).

XLIV

ნივთები ხოვლეს ღვთისმშობლის ეკლესიისა

ოქმი 38, 1924 წ. ივლისის 2

511. ბარძიმი (გატეხილი ორად), ფეშხუმი და კოვზი ვერცხლისა, შეწირული ელ. ჯავახიშვილის მიერ.

XLV

ნივთები ხოვლეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა

ოქმი 38, 1924 წ. ივლისის 2

512. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე მახარებლისა, 26½x22½ სმ., ვერცხლის წვრილი არშიებით და შარავანდედით და ორი ნაწილებიანი ვერცხლის მცირე ყუთებით.

513. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 29x23 სმ., ვერცხლის არშიებით და ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის შარავანდედით, რომელსაც უზის 5 ფერადი თვალი; ქართული ხელოვნებისა.

514. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 31x24 სმ., ვერცხლის არშიით და შარავანდედებით, რუსული ხელოვნებისა.

515. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა და მისივე თავის კვეთისა, 24x18 სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით. ქართული ხელოვნებისა.

516. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლის შობისა, 22x17 სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით, რომელთაც უსხედს ათი ფერადი თვალი; ქართული ხელოვნებისა.

517. ფიცარზე ნახატი ხატი მიხეილის და გაბრიელისა, 36x25 სმ., ქართული ხელოვნებისა.
518. ფიცარზე ნახატი კარედი ხატი ამაღლებისა, 15x11 სმ.; ერთი კარი აგლეჯილი აქვს, მეორე – დაკარგული.
519. ხის ჯვარი, 29x10x3 სმ., ქართული ხელოვნებისა, ათონის ხელოვნების მიბაძვით.
520. ფიცარზე ნახატი ხატი ჩვილედი ღვთისმშობლისა, 34x24 სმ., შეჭედილი ვერცხლით და შემკული 4 თვლით, შეწირული ლელაშვილის მიერ რკონის ღვთისმშობლისათვის.
521. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ორბისის წმ. გიორგისა, 15x11¼ სმ., შეწირულ ბერ კოშაძის მიერ.

XLVI

ნივთები სოფ. ახალქალაქის მცხოვრებ ალექსანდრე თარხნიშვილისა წმ. დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიიდან

ოქმი 40, 1924 წ. ივლისის 4

522. ოქრომკედით ნაკერი გარდამოხსნა ასომთავრული წარწერით, შეწირული სახლთუხუცის ზურაბ წერეთლის ასულის, დავით თარხან მოურავის მეუღლის მაკრინეს მიერ.
523. სტიხარი ძველი ქსოვისა.
524. ტრაპეზის გადასაფარებელი, ძველი ხელოვნებისა.

XLVII

ნივთები მოგროვილი გომის რაიაღმასკომის საწყობში

ოქმი 5, 1924 წ. აპრილის 11

525. მცირე სანაწილე ვერცხლისა, ძველი ხელოვნებისა.
526. თვალი დიდი – 1 ცალი, საშუალო და პატარა – 5 ცალი, სულ – 6 ცალი.
527. ხატიდან ავარდნილი თვალი: ერთი დიდი, მეორე – პატარა, სულ – 2 ცალი.
528. ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, 9x6 სმ., შემკული თვალ-მარგალიტით (აკლია სამი წვრილი მარგალიტი).
529. შანა-ფიფინური უბრალო ლითონისა, 5 ცალი.
530. შანა-კეჭი ვერცხლისა.
531. შანა-მედალიონი და სხვ.: ა. ვერცხლისა – 1 ცალი, ბ. უბრალო ლითონისა – 2 ცალი, სულ – 3 ცალი.

532. შანა-ფულები ვერცხლისა: ა. ძველი ქართული, სპარსული და სხვა – 21 ცალი; ბ. ახალი – 9 ცალი; სულ – 30 ცალი.
533. შანა-სურა ვერცხლისა.
534. საყურე ვერცხლისა.

XLVIII
ნივთები ხოვლეს ღვთისმშობლის ეკლესიისა

ოქმი 39, 1924 წ. ივლისის 2

535. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, 15 ცალი.
536. ტილოზე ნახატი ხატები აღსავლის კარებისა, 4 ცალი.

XLIX
ნივთები ახალციხის წმ. თომა მოციქულის ეკლესიისა

537. გადასაფარებელი ძველი ქსოვისა.
538. ჩირაღდნის კანდელი რკინისა.

L
ნივთები ტირძნისის ღვთისმშობლის ეკლესიისა

ოქმი 20, 1924 წ. მაისის 1

539. ხატის ფარდა, მძივისგან ასხმული, ღვთისმშობლის ხატით და სხვა სახეებით, შეწირული სალომე სულხანოვის მიერ 1836 წ., 52x32 სმ.
540. ხატის ფარდა, ოქრომკედით ნაკერი, ანგელოზებისა და სხვა სახეებით, შეწირული სამადალოვ თამარას მიერ 1800 წ.

LI
ნივთები ბროწლის ღვთისმშობლის ეკლესიისა

ოქმი 20, 1924 წ. მაისის 1

541. ტილოზე ნახატი სურათი რომელიღაც მღვდელმთავრისა, 76½x57 სმ.
542. ტილოზე ნახატი ხატი ელიას ზეცად აღტაცებისა, 71½x52½ სმ.

LII

ნივთები ერგნეთის მთავარანგელოზის ეკლესიისა

ოქმი 19, 1924 წ. მაისის 1

543. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, გადაკრული ფიცარზე, 45½x34 სმ.

544. ტილოზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, შეწირული ლეონ ბატონიშვილის მიერ, 40x31 სმ., დაზიანებული.

LIII

ნივთები ერგნეთის ღვთისმშობლის ეკლესიისა

ოქმი 19, 1924 წ. მაისის 1

545. ლანგარი დაბალი ლითონისა.

546. ხატის ფარდა, 2 ცალი (მათში ერთი – ხელით ნაკერი).

LIV

ნივთები დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა

ოქმი 1, 1924 წ. მაისის 3

547. ოდიკი ანტონ I დროისა (1750 წ.).

548. გადასაფარებელი ძველი ხელოვნებისა, დაზიანებული.

549. გინგილა ძველი ხელოვნებისა.

550. სარტყელი ძველი ხელოვნებისა.

551. შანა-ხატები, 3 ცალი.

552. შანა-ხატები (ხატი და ორი მედალიონი), მძივზე.

553. შანა-ხელი, შანა-ფეხი და შანა-ხატი ვერცხლისა, 3 ცალი.

554. შანა-ხატები, სპილენძიდან ჩამოსხმული, 12 ცალი, რუსული ხელოვნებისა.

555. შანა-ჯვრები, სპილენძიდან ჩამოსხმული, 4 ცალი, რუსული ხელოვნებისა.

LV

ნივთები

მილახვრიანთ კარის ჭილაშვილის ყოფილი ეკლესიისა

ოქმი 4, 1924 წ. აგვისტოს 10

556. დროშის ჯვარი ვერცხლისა, 32x9½ სმ., შემკული ნინა მხარეს ჯვარცმის ხატით, უკანა მხარეს – 1 თვლით.

557. დროშის ჯვარი, ვერცხლისა, 27¼x12¼ სმ., შეწირული ვინმე სიგუას მიერ, წარწერით.

558. დროშის ჯვარი, ვერცხლისა, 28¼x14¼ სმ., შეწირული ჭილაშვილი ბაბანას მიერ, წარწერით.
559. დროშის ჯვარი, ვერცხლის, 22½x9½ სმ., შეწირული ჭილაშვილის ქალის მიერ, შემკული ოთხი თვლით.
560. ჯვარი, ვერცხლისა, 18½x14½ სმ., შეწირული ყაზარაშვილის მიერ, შემკული სამი თვლით (აკლია ერთი თვალი).
561. ფეშხუმი ვერცხლისა, შეწირული კირაკოზაშვილის მიერ.
562. თასი ვერცხლისა, შეწირული მჭედლიანთ ფილიპეს შვილების მიერ.
563. თასი ვერცხლისა, შეწირული ოჰანეზოვის მიერ.
564. თასი უბრალო ლითონისა, წარწერით.
565. ბარძიმი უბრალო ლითონისა.
566. ლახვარი.
567. შანა-ხატები, ორი ცალი.
568. შანა ქვის გულით.
569. ყანწი წარწერით.

LVI
ნივთები სიონის ეკლესიისა
ოქმი 9, 1924 წ. აგვისტოს 16

570. რომელიმე წმინდანის (იქნებ მაცხოვრის) ხატის ფიცარი, 90x54 სმ., გატეხილი ორად, ვერცხლის შეჭედილობით, დაზიანებული.
571. ბარძიმი უბრალო ლითონისა, შეწირული ხვარამზე დედოფლის მიერ.

LVII
ნივთები წილკნის ეკლესიისა
ოქმი 23, 1924 წ. მაისის 16

572. ოქრომკედით ნაკერი გარდამოხსნა, შეწირული ბატონიშვილის ქეთევანის მიერ ქკს ტოდ.
573. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 21½x17¾ სმ., რომლის წინა პირიც შეჭედილია ოქროთი და შემკულია ძვირფასი თვლებით. ქვედა ნაწილი (არშია) ხატს მოგლეჯილი და დაკარგული აქვს; უკანა პირზე ხატს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი.
574. ოქრომკედით ნაკერი ფარდა ხატისა, წარწერით.
575. დიდი დაფარნა, ოქრომკედით ნაკერი ანგელოზების ხატებით.

LVIII
ნივთები ბოდორნის ეკლესიისა
ოქმი 24, 1924 წ. ოქტომბრის 10

576. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 50x40 სმ., შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და შემკული 27 თვლით, რომელთაგან ერთი ნახევრად ამომტვრეულია (აკლია 5 თვალი), შეწირული პატრონის ბაგრატის მიერ წარწერით.

577. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა (ქართული სახისა), 53x37½ სმ., შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და შემკული 30 თვლით (აკლია 3 თვალი), დაზიანებული წარწერით.

578. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 53¾x41 სმ., შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით გერმანე მოძღვრის მიერ და შემკული 1 თვლით და წვრილი მარგალიტებით და წარწერით.

579. ჯვარი ვერცხლისა, 62x30 სმ. (ტარითვე), ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი. შემკული 4 ძვირფასი თვლით.

580. ჯვარი ვერცხლისა, 60½x26½ სმ., ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, ტარმოტეხილი; შემკული 2 თვლით (აკლია 1 თვალი); ჯვარზე არის თვლიანი ბეჭედი.

581. ჯვარი ვერცხლისა, 49½x27 სმ. (ტარითვე), ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 23 ძვირფასი თვლით (ჯვარზე – 11, ძეწკვზე – 12).

582. ჯვარი ვერცხლისა, 44¾x20¼ სმ. (ტარითვე), ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, შემკული ძვირფასი თვლით (ჯვარზე – 9, ძეწკვზე – 4); აკლია მარცხენა მხარის ძეწკვი.

583. ჯვარი ვერცხლისა, 55½x27½ სმ. (ტარითვე), ოქროს წყალში დაფერილი (გარდა ტარისა), შემკული 5 დიდი ზომის ძვირფასი ქვით.

584. დროშის ჯვარი ვერცხლისა, 28x12 სმ., ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 5 თვლით.

585. ჯვარი ვერცხლისა, 31x13 სმ., შემკული 7 თვლით (აკლია ერთი თვალი).

586. ჯვარი ვერცხლისა, 32x9½ სმ., [...][200] დაზიანებული.

587. ჯვარი ხისა, ათონის ხელოვნებისა, ხისა და ქსოვილის ბუდეებით, 4¾x2½ სმ.

588. ჯვარი ვერცხლისა, 20x7¾ სმ., შემკული 4 თვლით, ტარ მოტეხილი.

589. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 29¼x24 სმ.

590. ოქრომკედით ნაკერი ხატის დასაფენი, ღვთისმშობლის ხატით, 38x24½ სმ.

591. სტიხარი ძველი ქსოვისა.

592. ხატი მაცხოვრისა, 14½x15¼ სმ. ტილოზე ნახატი, მრგვალი ფორმისა.
593. ბეჭედი, თვლიანი, 4 ცალი (მათში 1 ვერცხლის, 3 უბრალო ლითონისა).
594. საყურე (ერთი თვლებით, მეორე – მარგალიტებით) 2 ცალი.
595. შანა-ხატები და მძივები, ორი ცალი.
596. საცეცხლური უბრალო ლითონისა, უჯაჭვო და უხუფო, წარწერით.
597. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 20x15¾ სმ., დაზიანებული.
598. ოქრომკედით ნაკერი ქისა.

LIX

ნივთები მუხრანის ღვთისმშობლის (ქართველთა) ეკლესიისა

ოქმი 25, 1924 წ. ოქტომბრის 14

599. საპანაშვიდო ჯვარი ხისა, თავის ასამაღლებელით ანუ ძირით, 58x24½ სმ., შემკული სადაფით, ნაწილობრივ დაზიანებული.
600. საბუხრე, ოქრომკედით ნაკერი, 3 ცალი.
601. გინგილა, ოქრომკედით ნაკერი, 1 ცალი.
602. სარტყელი, ოქრომკედით ნაკერი, 1 ცალი.
603. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 16½x13 სმ.
604. ტილოზე ნახატი (ფიცარზე გადაკრული) ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, 30½x24 სმ.
605. ტილოზე ნახატი (ფიცარზე გადაკრული) ხატი ჯვარცმისა, 34x27 სმ.
606. ტილოზე ნახატი (ფიცარზე გადაკრული) ხატი ჯვარცმისა, 43x30 სმ.

LX

ნივთები მუხრანის სომეხთა ეკლესიისა

ოქმი 26, 1924 წ. ოქტომბრის 15

607. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 85x83 სმ.
608. ტილოზე ნახატი ხატი (ფიცარზე გადაკრული) ღვთისმშობლისა, 37x29 სმ.
609. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 85x62 სმ., დაზიანებული.
610. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 70x56 სმ., დაზიანებული.
611. მიტრა მღვდლისა, ოქრომკედით ნაკერი, ქართული წარწერით, დაზიანებული.

612. ბაირალის თავი რკინისა.
613. დაფარნა, ოქრომკედით ნაკერი – 1 ცალი, ფარდა მცირე – 2 ცალი (ერთი მათგანი ანგელოზების სახით), სულ – 3 ცალი.
614. ძველი რუსული ფულები – 13 ცალი.
615. საყურე, შემკული თვლებით (თინათინ დედოფლის საყურის მსავსი).
616. ძველი ეკლესიის კარის გასაღებები, 2 ცალი.

LXI
ნივთები მუხრანის მუხრანსკის ყოფილი ეკლესიისა
ოქმი 27, 1924 წ. ოქტომბრის 15

617. ტილოზე ნახატი ხატი წმ. კონსტანტინე და ელენესი, 188x76 სმ.
618. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლის და ქრისტესი (პიეტა), 73x58 სმ.
619. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 75x51 სმ.
620. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 11½x8½ სმ.
621. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი, 28½x22½ სმ.
622. ტილოზე ნახატი ხატი, რომელიმე წმინდანისა, 24x20 სმ.
623. ბარძიმის ძირი ვერცხლისა, 2 ცალი (ერთი – წარწერით).
624. ჯვარი ვერცხლისა, წარწერით.
625. კანდელი ვერცხლისა, წარწერით, უჯაჭვებო.
626. სანაწილე ვერცხლისა, წარწერით; ერთი კარი დაკარგული აქვს.

LXII
ნივთები დუშეთის მაზრის აღმასკომის საწყობიდან

627. შიომღვიმის ეკლესიიდან მოტანილი შანდლის დასაფენი, ხელით ნაკერი, წარწერით.

LXIII
ნივთები ძსოვრისის ეკლესიიდან
ოქმი 28, 1924 წ. ოქტომბრის 16

628. ჯვარი ვერცხლისა, 31x14½ სმ., შემკული სამი თვლით და წარწერით.
629. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. გიორგისა, 35x25¾ სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედით.

630. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 38x26 სმ.
631. ფიცარზე ნახატი წმ. ხატი ბარბარესი, 16¾x11¼ სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედით.

LXIV
ნივთები კასპის (სომხის) ეკლესიისა

ოქმი 52, 1924 წ. ოქტომბრის 25

632. ტილოზე ნახატი ხატი წმ. ღვთისმშობლისა, ძლიერ დაზიანებული.
633. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 30¼x21½ სმ., წარწერით.
634. აბრეშუმზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 25½x17 3/4 სმ., ჩარჩოში (32x24½ სმ.).
635. სეფისკვერის ბეჭედი.

LXV
ნივთები კასპის ქართველთა ეკლესიისა

ოქმი 52, 1924 წ. ოქტომბრის 25

636. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. თევდორესი, 37x26 სმ., შეჭედილი ვერცხლით ბარძიმ ამილახვრის მიერ 1853 წ. და შემკული წვრილი ფირუზებით (156). ხატი ზის შუშაბანდიან ჩარჩოში.
637. ბარძიმი ვერცხლისა.
638. ლამბაქი ვერცხლისა.
639. დაფარნა, 2 ცალი.
640. ხატის ფარდა, 3 ცალი.
641. მინაზე ნახატი ხატი ყრმა იესოსი.
642. მცირე სანაწილე ტყავის ჩანთით.
643. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, აღდგომისა, შობისა და ნათლისღებისა, 30x21½ სმ., ძლიერ დაზიანებული.
644. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 31½x25½ სმ., დაზიანებული, ქართული ხელოვნებისა.
645. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 30½x25½ სმ., დაზიანებული.
646. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ალექსანდრე ნეველისა, 28½x22 სმ., რუსული ხელოვნებისა.
647. ფიცარზე ნახატი ხატი – ღვთისმშობელი ჯვარცმით, 35½x31 სმ.

648. ფიცარზე ნახატი ხატი რომელიმე წმინდანისა, 35½x31 სმ.
649. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 28½x22¾ სმ.; ძლიერ დაზიანებულია, მხატვრობა მიმქრალია, შარავანდედები ღვთისმშობელს და ყრმას აგლეჯილი და დაკარგული აქვთ.
650. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი მიქელ-გაბრიელისა, 39x24½ სმ., დაზიანებული, ქართული ხელოვნებისა.
651. კანკელის ტილოზე ნახატი მხატვრობიდან დარჩენილი ორი ნაჭერი (ერთი მათგანი – წარწერით).
652. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 78x56 სმ., შეწირული ევგ. ქარუმიძეს მიერ.
653. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 11½x8¾ სმ.

LXVI

ნივთები ლამისყანის ეკლესიისა

ოქმი 54, 1924 წ. ოქტომბრის 27

654. ფიცარზე ნახატი ხატი კვირაცხოვლისა, 39½x34 სმ., ვერცხლის არშიით და შარავანდედით.
655. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთისა, 35¾x32¾ სმ., ვერცხლის არშიით და შარავანდედით.
656. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. კვირიასი და სხვა წმინდანებისა, 30x23 სმ., ვერცხლის არშიით და შარავანდედით.
657. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა და ორი წმინდანისა, 31x22¾ სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით და წარწერით. ღვთისმშობლის შარავანდედს უზის ერთი თვალი; ხატი დაზიანებულია.
658. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. გიორგისა, 32¾x23½ სმ., ვერცხლის არშიით, შარავანდედით და წარწერით.
659. ფიცარზე ნახატი ხატი მირქმისა, 31¼x26½ სმ.
660. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისშობლისა და რომელიმე წმინდანისა, 38½x30 სმ., მხატვრობა მიმქრალია.
661. კარედი ხატი უკარებოდ, 29x19¾ სმ.
662. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 53x43 სმ., რუსული ხელოვნებისა.
663. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 51x34½ სმ.
664. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. იელიტა და კვირიკესი, 53x36½ სმ.

665. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 74x49 სმ., შეჭედილი ვერცხლით ნ. ჯამბაკურ ორბელიანის მიერ 1865 წ., წარწერით.
666. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 73x56 სმ., შეჭედილი ვერცხლით ნ. ჯამბაკურ ორბელიანის მიერ იმავე წელს, წარწერით.
667. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 92x62 სმ., ვერცხლის ორი შარავანდედით, დაზიანებული.
668. ტილოზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 94x61 სმ., ვერცხლის შარავანდედით.
669. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, 10 ცალი (მათში 8 ჩარჩოში, 2 – უჩარჩოოდ).
670. ქისა, ხელით ნაკერი.
671. ჯვარი, უტარო, 10x7½ სმ., შემკული 3 თვლით.
672. გულსაკიდი ჯვარი სპილენძისა, 11x8 სმ. (ზურგის ნაწილი დაკარგული აქვს).
673. ჯვარი ხისა, 9x4½ სმ.
674. მცირე ხატი ღვთისმშობლისა, 5x4¼ სმ., დაზიანებული, ხის კოლოფში.

LXVII
ნივთები ლამისყანის ყოფილი მცხოვრებლის ალ. ორგელიანის ქონებიდან

ოქმი 53, 1924 წ. ოქტომბრის 27

675. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, 27x21 სმ., შეჭედილი ვერცხლით, რუსული ხელოვნებისა.
676. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 22½x18 სმ.
677. მცირე ხატი წმ. ბარბარესი, 4¼x4 სმ., ათონის ხელოვნებისა.
678. გულსაკიდი ხატი რქისა, 6½x6½ სმ., რომელზედაც გამოქანდაკებულია ერთ მხარეს სერობა, მეორე მხარეს – მიძინება ღვთისმშობლისა; ხატი მრგვალი ფორმისაა.
679. ხატი წმ. ბარბარეს წამებისა, 21x14 სმ., ათონის ხელოვნებისა, დაზიანებული.
680. კარედი ხატი ღვთისმშობლისა უკარებოდ, 27x19 სმ., დაზიანებული.
681. შანა ხატები და ჯვრები, 10 ცალი.
682. ხელოვნური ყუთი, მცირე, 23x17x6½ სმ., დაზიანებული.

LXVIII

ნივთები ოძისის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიისა

ოძმი 29, 1924 წ. ოქტომბრის 27

683. დასაკეტი ხატი – წმ. გიორგი და ჩვილედი ღვთისმშობელი, 22¾x16¾ სმ. (გაშლით – 22 3/4x33½ სმ.), დაზიანებული, ქართული ხელოვნებისა.

684. ფიცარზე ნახატი ხატი – ღვთისმშობელი ყრმით, 17½x13½ სმ., შეჭედილი ვერცხლით მარიამ ერისთავის მიერ და შემკული 8 თვალ-მარგალიტით, წარწერით.

685. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 11x9¼ სმ., ხატს ზურგად ფიცარი აქვს.

686. ვერცხლზე ნაჭედი ჯვარი წმ. გიორგისა, ოთხი ხატით, 25½x21¾ სმ., ზურგად ფიცარი აქვს, დაზიანებული.

687. ვერცხლზე ნაჭედი ჯვარი წმ. გიორგისა, ოთხი ხატით, 26x20¼ სმ., ზურგად ფიცარი აქვს, დაზიანებული.

688. ვერცხლზე ნაჭედი ჯვარი წმ. გიორგის, ღვთისმშობლის და სხვა ხატებით, 35½x28 სმ., ზურგზე ფიცარი აქვს, დაზიანებული.

LXIX

ნივთები

ს. იკოთის მცხოვრებ ვახტანგ ფიცხელაურის ოჯახიდან

689. სადაფზე ნახატი ხატი წმ. კონსტანტინე და ელენესი, 10x7¼ სმ., ძლიერ დაზიანებული.

690. მძივისგან ასხმული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით და ყრმა იოანესი (?), 18½x18½ სმ., მრგვალი ფორმისა, დაზიანებული.

LXX

ნივთები ძალისის ეკლესიისა

691. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 3 ცალი (მათგან ორი – მცირედ დაზიანებული).

LXXI

ნივთები ისროლის ხევის ეკლესიისა

692. ძველი აღმოსავლური ფულები ვერცხლისა, 10 ცალი.

LXXII
ნივთები ნამოღებული მუხრანის რაიონის ერთ-ერთი ეკლესიიდან

693. ძველი რუსული ფულები სპილენძისა, 3 ცალი.
694. ძველი აღმოსავლური ფული ვერცხლისა, დაზიანებული, 1 ცალი.

LXXIII
ნივთი დუშეთის ქართველთა ეკლესიისა

695. მცირე ხატი წმ. ბარბარესი, 9x5¾ სმ., ათონის ხელოვნებისა, დაზიანებული.

LXXIV
ნივთები მეჯვრისხევის უსანეთის ეკლესიისა

ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

696. ხატი ღვთისმშობლისა, 51x41½ სმ., წოდებული მერიის ღვთისმშობლად ანუ თულაანთ ხატად. იგი დაბალია, ოქროსგან არის გაკეთებული, ზოგიერთ ადგილას ვერცხლიც აქვს. ხატი შემკულია 27 დიდი და პატარა ძვირფასი თვლით (აკლია ერთი პატარა თვალი) და წარწერით, რომელშიაც იხსენიებიან ნიქოზელი ვ˜ლსისი და პატრონი აბაშის-ძე გედეონი. იგი დაზიანებულია. ხატს მარჯვენა მხარეს აქვს ვერცხლის დაფა სხვა წარწერით, რომლის კარებიც დაკარგულია. ხატს ზურგად ფიცარი აქვს. ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში, 65x47½x12½ სმ.
697. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 56½x42½ სმ., ვერცხლის არშიებით და წარწერით (ფიცარზე).
698. ჯვარი ხისა, 58¼x322¼ სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ჯვარცმისა და ღვთისმშობლის ხატებით.
699. ჯვარი ხისა, 24½x13¼x1¾ სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული წმ. გიორგისა და ჯვარცმის ხატებით და წარწერით.

LXXV
ნივთი გერგეტის ეკლესიისა

700. დაფარნა, ოქრომკედით ნაკერი, ძლიერ დაზიანებული.

LXXVI
ნივთები ძეგვის ქართველთა ეკლესიისა
ოქმი 49, 1924 წ. ივლისის 9

701. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი სამებისა, 41x28 სმ.
702. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი, 40x29½ სმ., დაზიანებული.
703. ფიცარზე ნახატი ხატი კვირაცხოვლისა, 40½x30 სმ., გატეხილი ორად.
704. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 31x21½ სმ.
705. ჯვარი ხისა, 28½x18¼ სმ., რომლის წინა პირი შეჭედილია ვერცხლით, უკანა პირი – თუნუქით.

LXXVII
ნივთები ძეგვის სომეხთა ეკლესიისა
ოქმი 48, 1924 წ. ივლისის 9

706. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 64x63 სმ., დაზიანებული.
707. ხელით ნაკერი ხატი მაცხოვრისა ეკლის გვირგვინით, 52½x52 სმ.
708. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 32x22 სმ.
709. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 25½x20 სმ., ჩარჩოში.
710. ხატის ფარდა, 44x41 სმ., რომელზედაც [გამოსახულია] ოქრომკედით ნაკერი წმ. გიორგი; იგი ძლიერ დაზიანებულია. აქვს წარწერა ქართულად და სომხურად; შეწირული ხაჩატურაშვილის ქალის მიერ.
711. ქვა, ჯვრისა და ჩუქურთმის სახეებით, 16½x15 სმ.
712. სეფისკვერის ბეჭედი, 3 ცალი (ორი დაზიანებულია).

LXXVIII
ნივთები ერთაწმინდის ეკლესიისა
ოქმი 54, 1924 წ. ნოემბრის 20

713. ტილოზე ნახატი ხატები ძველი კანკელისა, 3 ცალი (მათში ერთი ძლიერ დაზიანებულია, დახეულია).
714. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. გიორგისა, 41½x33 სმ.

715. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 35½x30¼ სმ. ვერცხლის არშიებით და შარავანდედით, რომელსაც უზის 10 თვალი (აკლია 7 თვალი). ყრმას შარავანდედი დაკარგული აქვს.
716. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტეს შობისა, 29½x21¼ სმ.
717. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. მარიამ ეგვიპტელისა, 11x8½ სმ., დაზიანებული.
718. აბრეშუმზე ოქრომკედით ნაკერი ხატი წმ. ესტატესი, 44x41 სმ., შეწირული გ. თარხან-მოურავისაგან.
719. კვერთხის თავი ხისა, დაზიანებული.
720. დამბაჩის ნაწილი.
721. ზეთ-მირონის ყუთი ხისა, უხუფოდ.
722. ფარდა ხატისა, ხელით ნაკერი, 2 ცალი.
723. ფარდა ხატისა, ძველი ქსოვილისა, 1 ცალი.
724. ძველი კლიტე.
725. სამ სანთლიანი ხისა.
726. ჯვარი ათონის ხელოვნებისა, 12½x7½ სმ., დაზიანებული.
727. შანდალი უბრალო ლითონისა.
728. დაფარნა ძველი ქსოვილისა, 1 ცალი.
729. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 48x37½ სმ., დაზიანებული.
730. პატარა ბოხჩა, ხელით ნაკერი სახეებით, 1 ცალი.
731. სარტყელი ძველი ქსოვილისა.
732. ფიცარზე ნახატი ხატის ნახევარი ნაწილი, 14¾x7½ სმ., დაზიანებული.
733. სამაჯური, ოქრომკედით ნაკერი, 1 ცალი.
734. ხატის ფარდა, ხელით ნაკერი, ირმის გამოსახულებით, შეწირული ჩინჩლაძის მიერ 1845 წელს.
735. მცირე სანაწილე ვერცხლისა.
736. გულსაკიდი სპილენძისა.
737. გულსაკიდი ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, 4½x3½ სმ.
738. გულსაკიდი ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, 6x4¾ სმ., წმინდა ნაწილებით.
739. გულსაკიდი ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, 3½x2½ სმ., ოქროს წყალში დაფერილი.
740. სათითე ვერცხლისა, თავის ბუდით.
741. გულსაკიდი მცირე ყუთი ვერცხლისა, წმინდა ნაწილებით, 5x4½ სმ., თავის ბოხჩაში.
742. შანა-ირემი ვერცხლისა, გატეხილი ორად.
743. მდუღრის ჭურჭელი ვერცხლისა, შეწირული ტუსიევის მიერ, წარწერით.

744. მდუღრის ჭურჭელი ვერცხლისა, შეწირული ჩივაძის მიერ, წარწერით.
745. ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, 18½x6¼ 3/4 სმ., შემკული 8 უბრალო თვლით.
746. ათონის ხელოვნების ჯვარი, 10x6¼x1¼ სმ., ვერცხლის გარემოთი, შეწირული ხუციშვილის მიერ.
747. წმ. ესტატეს კარედი ხატის ფურცელი, ვერცხლისა (წინა პირი ოქროს წყალშია დაფერილი), 33x15 სმ., შემკული 1 დიდი და 6 პატარა თვლით (აკლია 5 თვალი), ძლიერ დაზიანებული.
748. ვერცხლზედ ნაჭედი ხატი წმ. ესტატესი, 34x28¾ სმ., დაზიანებული, წარწერით.
749. ვერცხლზედ ნაჭედი ხატი წმ. ესტატესი, 27x23 სმ., მხატვრობა გადასულია.
750. ვერცხლზედ ნაჭედი ხატი წმ. ესტატესი, 13x10 სმ., მხატვრობა გადასულია, წარწერით.
751. ვერცხლის დაფა ხის ბუდეში, წარწერით, შეწირული დავით ბატონიშვილის მიერ 1797 წ.
752. ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, უტარო, 14x10¼ სმ., წარწერით.
753. ბოხჩა წმ: ესტატეს მკლავის ყუთისა, ხელით ნაკერი, წმ. ეხტატეს ხატით და წარწერით.
754. მინანქრის ხატი წმ. ესტატესი, მრგვალი ფორმისა, 16x12 სმ., დაზიანებული.
755. ლახვარი.
756. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი შარავანდედის ნაწილი, ვერცხლის 1 თვლით.

LXXXIX
ნივთები მეტეხის ეკლესიისა
ოქმი 32, 1924 წ. ივლისის 1

757. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა, 43½x29½ სმ., შეჭედილი ვერცხლით ნ. მაღალაძის მიერ და შემკული 8 თვლით; ხატს ჰკიდია თვლიანი ბეჭედი ოქროსი. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში; ჩარჩოს გარეთ ხატს აქვს ხელნაკერი ბუდე ღვთისმშობლის ხატით და წარწერით (ოქმში ეს ბუდე აღწერილია XVI ნომრით).
758. კარედი ხატის შუა ნაწილი ქრისტეს აღდგომის ხატით, 50x26½ სმ., შეწირული ნ. მაღალაძეს მიერ 1689 წ., წარწერით, კარები დაკარგული აქვს.

759. ტილოზე ნახატი ხატები ძველი კანკელისა, 21 ცალი.
760. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 46x32 სმ.
761. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 35x32 სმ.
762. აღსავლის კარები ექვსი ხატით, 2 ცალი.
763. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი, 11½x9 სმ.
764. ფიცარზე ნახატი ხატი – ღვთისმშობელი ჯვარცმით, 28½x24½ სმ., რუსული ხელოვნებისა.
765. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა (?) და სხვათა, 31x27½ სმ.
766. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ნიკოლოზისა, 31½x28 სმ., რუსული ხელოვნებისა.
767. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. პეტრესი და პავლესი, 31x26 სმ., რუსული ხელოვნებისა.
768. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 7¾x6¼ სმ., ქართული ხელოვნებისა.
769. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, 31½x25½ სმ., რუსული ხელოვნებისა.
770. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 34x26 სმ.
771. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 28½x21½ სმ.
772. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ნიკოლოზისა, 33 3/4x29½ სმ., რუსული ხელოვნებისა.
773. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 31½x26½ სმ., რუსული ხელოვნებისა.
774. ფიცარზე ნახატი ხატი მირქმისა, 31x24½ სმ., რუსული ხელოვნებისა.
775. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 29x31½ სმ., რუსული ხელოვნებისა.
776. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი, წინასწარმეტყველ დავითისა და სხვ., 26¼x19¾ სმ., რუსული ხელოვნებისა.
777. ბარძიმი და კამარა ვერცხლისა, შეწირული ვინმე ანას მიერ 1810 წ., წარწერა აქვს მარტო ბარძიმს.
778. ბარძიმი ვერცხლისა, შეწირული მღვდელ მაღალაძის მიერ 1750 წ., წარწერა: მისხალი 110.
779. ფეშხუმი ვერცხლისა, შეწირული მროველ მიტროპოლიტ იუსტინე მაღალაძის მიერ, წარწერით.
780. სამკვეთლოს გადასაფარებელი, ძველი ხელობისა.
781. მდუღრის ჭურჭელი, მცირე, ვერცხლისა, შეწირული ყავარაშვილის მიერ.

782. წვრილი ნივთები: გულსაკიდი ჯვრები, შანები, მძივები და სხვ., ბოხჩით, სულ – 14 ცალი.
783. ხელნაწერი სახარების ვერცხლის ყდის თუ ბუდის ნაწილი, წარწერით აშოთან ბატონიშვილისა.
784. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 7x5¼ სმ., რუსული ხელ[illegible]ნებისა.

LXXX
ნივთი, წამოღებული გორის მაზრის ერთ-ერთი ეკლესიიდან

785. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. გიორგისა.

LXXXI
ნივთები წილკნის ეკლესიისა
ოქმი 23, 1924 წ. მაისის 16

786. ხატი წილკნის ღვთისმშობელისა, 60¼x48½ სმ., შეჭედილი ოქროთი და ნაწილობრივ ვერცხლით და შემკული თხუთმეტი დიდი და პატარა ძვირფასი თვლით და მარგალიტის მძივებით (აკლია რამდენიმე თვალი და მრავალი მარგალიტის მძივი); შარავანდედები ღვთისმშობელსა და იესოს მინანქრით აქვთ შემკული. ღვთისმშობლის თავის მარჯვენივ და მარცხნივ დგანან ორი წმიდანნი, რომელთაც შარავანდედები აცლილი და დაკარგული აქვთ. არშიის ადგილებზე არის ოთხი ხატი წმინდანებისა, გამოყვანილი მინანქარზე (ერთი ღვთისმშობლის მარჯვენივ, მეორე – მარცხნივ და ორი – ზევითა არშიაზე); გვერდის არშიებზედვე, ქვედა ნაწილებში არის ვერცხლზე ნაჭედი ხატები წმ. გიორგისა (მარჯვნივ) და ღვთისმშობლისა (მარცხნივ). ხატს ზოგ ადგილას, სიძველისა გამო, ოქროს ფურცელი მოცილებული და დაკარგული აქვს, ზოგან კიდევ დაზიანებული; თვით მხატვრობა დაზიანებულია ადგილ-ადგილ. ხატის რამდენიმე ადგილი შემდეგ ხანებშია შეჭედილი, ეტყობა დაზიანების გამო, რის შესახებაც მარცხენა მაღლითა კუთხეში, ბუშტზე არის ნარწერა მუხრანის ბატონის, ლეონის ძის იოანესი. ხატს უკანა პირზე გადაკრული აქვს ხელით ნაკერი აბრეშუმის ქსოვილი. ხატი ზის ხის ბუდეში, 69½x56x5½ სმ., რომლის გარეთა პირიც შეჭედილია ვერცხლით. გარდა ამისა, ხატი ზის მეორედ შეშაბანდიან ხის ბუდეში, 90½x67½x16 სმ.

ხატთან არის: ა. ირემი ვერცხლისა; ბ. გულსაკიდი ჯვარი ვერცხლისა – 1 ცალი; გ. საყურე ვერცხლისა, დაზიანებული – 3 ცალი; დ. შანა-ღილი ვერცხლისა – 1 ცალი.

LXXXII
ნივთები მჭადის ჯვრის ეკლესიისა

ოქმი 31, 1924 წ. ნოემბრის 28

787. ფიცარზე ნახატი ხატი მთავარანგელოზისა, 64x39½ სმ., დაზიანებული.

788. ბაირაღი, ჯვრით თავზე და დახეული ხელსახოცებით – 2 ცალი.

789. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 42¼x31½ სმ., შეჭედილი ვერცხლით და შემკული 6 თვლით (აკლია 2 თვალი), დაზიანებული.

790. აკვანი-სასანთლე ვერცხლისა, წარწერით, დაზიანებული.

791. ტილოზე ნახატი ხატი მიძინებისა, 76x54 სმ.

792. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 39x28 სმ.

793. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 31½x22¼ სმ.

794. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 32x24 სმ., ძლიერ დაზიანებული.

795. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 25¾x18 სმ., ძლიერ დაზიანებული.

796. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 11½x8¾ სმ.

797. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი, ეკლის გვირგვინით, 11½x8½ სმ.

798. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 11½x8¾ სმ.

799. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 11x9 სმ., დაზიანებული.

800. მცირე კარედი ხატის შუა ნაწილი უკარებოდ, 9x6¼ სმ., რომელზედაც დახატულია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი კალთაში.

801. ხატის ფარდა, ძველი ხელოვნებისა.

802. მცირე ხატი წმ. გიორგისა, 12x9½, შეწირული დინუაშვილი ეკატერინეს მიერ, წარწერით.

803. ბოვრაყის ჯვარი ხისა, 26x13 სმ. (ტარითვე), ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ხატებით და 6 თვლით (აკლია 3 თვალი).

804. ბოვრაყის ჯვარი ხისა, 14x12 სმ., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, ტარმოტეხილი (და დაკარგული), დაზიანებული.

LXXXIII

ნივთები გორის სომეხთა წმ. სტეფანეს ეკლესიისა

ოქმი 55, 1924 წ. დეკემბრის 1

805. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 106x88 სმ., გადაკრული ჩარჩოზე, დაზიანებული (შუაგულში და ქვედა ნაწილში დახეულია), მხატვრობა მიმქრალია.
806. ტილოზე ნახატი ხატი რომელიმე წმიდანისა, 89x57 სმ., დახეული, მხატვრობა – მიმქრალი.
807. ფილონი (სურჩარი), ძველი.
808. სეფისკვერის ბეჭდები, 2 ცალი.
809. სკამი ხისა, ძველი, მშვენიერი ხელოვნებისა.
810. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 79½x83 სმ., შეჭედილი ვერცხლით; ღვთისმშობელს თავზე აქვს ვერცხლისავე შარავანდედი, რომელიც შემკულია 5 თვლით, დაზიანებული (ზედა ლატანი ჩარჩოს აგლეჯილი და დაკარგული აქვს).
811. ლანგარი სპილენძისა, შეწირული „სტეფანე მექვაბე მერაბოვის" მიერ 1814 წ., წარწერით.
812. მარმარილოს ქვა, 11¾x10½ სმ., ჯვრის სახით და სომხური წარწერით, თავის ბოხჩაში.
813. სამაჯური, ხელით ნაქარგი, 2 ცალი.
814. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. გიორგისა, 36x25 სმ. დაზიანებული.

LXXXIV

ნივთები გორის ქართველთა ოქონის ეკლესიისა

ოქმი 56, 1924 წ. დეკემბრის 1

815. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 31x25 სმ., შეჭედილი ვერცხლით.
816. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 17x13 სმ.

LXXXV
ნივთები გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა

ოქმი 57, 1924 წ. დეკემბრის 1

817. ფილონი, ძველი ქსოვილისა.
818. ოლარის მაგიერი, ძველი ქსოვილისა.
819. ჩანთის მაგვარი ნივთი, ძველი ქსოვილისა.
820. დაფარნა, ძველი ქსოვილისა.
821. ძველი ქსოვილის ნაჭერი.
822. ემბაზის ფარდა, აბრეშუმის ოქრომკედით ნაკერი, ნათლისღების ხატით და წარწერით.
823. სამკლავე, ოქრომკედით ნაკერი, 2 ცალი.
824. ქისა, ოქრომკედით ნაკერი, 1 ცალი.
825. ტრაპეზის გადასაფარებელი, ოქრომკედით და ფერადი ძაფით ნაკერი, დაზიანებული.
826. ებრაული ზარი, ხისა.

LXXXVI
ნივთი ბერგუკის ეკლესიისა

827. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 62x50½ სმ., გადაკრული ჩარჩოზე, წარწერით.

LXXXVII
ნივთი სვენეთის ეკლესიისა

828. ვერცხლზედ ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 7½x5½ სმ.

LXXXVIII
ნივთები თორტიზის ეკლესიისა

ოქმი 58, 1924 წ. დეკემბრის 2

829. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 40½x31½ სმ.; წინა პირი შეჭედილია ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და, ნაწილობრივ, ოქროთი და შემკულია ორი დიდი, სამი საშუალო და ხუთი პატარა ძვირფასი თვლით და 7 მარგალიტით (აკლია 3 მარგალიტი). უკანა პირზე ხატს დაკრული აქვს სადა ვერცხლის ფურცელი. ხატი შეჭედილია პატრონის [...] ლირეს[201] მიერ, რის შესახებაც აქვს წარწერა (ასომთავრული) წინა და ქვედა ნაწილში.

830. ბეჭდები: **ა.** ვერცხლისა, თვლიანი – 4 ცალი, დაბალი ლითონისა; **ბ.** თვლიანი – 86 ცალი; **გ.** თვალნაკლები – 14 ცალი; ყველა სულ – 104 ცალი (ოქმში არის 106, მაგრამ ორი მათგანი საყურე აღმოჩნდა და იგინი შეტანლი არიან ქვემოდ საყურეთა რიცხვში, №838).
831. ბეჭედი, თვლიანი, წარწერით ძვალზე: **მნია** (?).
832. ბეჭედი წარწერით: **ლადოსი ვარ**.
833. შანა-მტრედი, ვერცხლის ძეწკვით.
834. ძეწკვი.
835. გულის სამკაული, შემკული თვლითა და წვრილი მარგალიტებით და ძეწკვით.
836. შანა-ხელი და შანა-გული ვერცხლისა, 2 ცალი.
837. შუბლის ქინძისთავი, შემკული თვალ-მარგალიტებით.
838. საყურე ვერცხლისა, 4 ცალი.
839. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 17½x13¼ სმ., დაზიანებული და მხატვრობა მიმქრალი.

LXXXIX
ნივთები დიდ გარეჯვრის ეკლესიისა
ოქმი 59, 1924 წ. დეკემბრის 2

840. აზარფეშა ვერცხლისა, შენირული ირაკლი II-ის ასულის ქეთევანის მიერ, წარწერით.
841. სადაფზე ნახატი ხატი ქრისტესი, 12½x10¾ სმ., შეჭედილი ვერცხლით, რუსული ხელოვნებისა.
842. სარტყელი, ძველი ხელოვნებისა.
843. სამირონე ხისა.

XCLI
ნივთები ხელთუბნის ქართველთა ეკლესიისა
ოქმი 60, 1924 წ. დეკემბრის 3

844. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლის მიძინებისა, 57¼x39 სმ.
845. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 38½x31 სმ. (ზომა ჩარჩოთი – 45½x38½ სმ.).
846. გადასაფარებელი მაგიდისა, ძველი ქსოვილისა, დიდი ზომისა, 1 ცალი.
847. გადასაფარებელი მაგიდისა, ძველი ქსოვილისა, პატარა ზომისა, 4 ცალი.

848. სამაჯური, ძველი ქსოვილისა, 2 ცალი.
849. სტიხარი, ძველი ქსოვილისა, 1 ცალი.
850. ოლარი, ხელით ნაკერი, შეწირული ს. თუმანოვის მიერ 1833 წ., წარწერით.
851. სარტყელი, ხელით ნაკერი.
852. ბარძიმი ვერცხლისა, შეწირული ტფილელი მიტროპოლიტის ქრისტოფორეს მიერ, წარწერით.
853. ფეშხუმი ვერცხლისა, შეწირული ხოჯაბებიეთის ქალის ზურაბ მი[...][202] მეუღლის თინათინის მიერ.
854. ჯვარი ხისა, 14½x11¼., ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული 4 თვლით (აკლია 1 თვალი).
855. ჯვარი ვერცხლისა, 24¾x9½ სმ., შეწირული სულხან მდივანის შვილის გიორგის მიერ, წარწერით.
856. ჯვარი ათონის ხელოვნებისა, 21½(ტარითვე)x7½ სმ., ჯვარცმისა და სხვა ხატებით, დაზიანებული.
857. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 9x7½ სმ., შეჭედილი ვერცხლით მანუჩარ თუმანოვის მიერ, წარწერით, დაზიანებული.
858. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 19¾x14½ სმ., შეჭედილი ვერცხლით.
859. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ქრისტესი და სხვ., 25½x19¼ სმ.
860. ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესიის (ნახევრად დანგრეული) ტრაპეზის ქვა (ფიქალი) მარმარილოსი, 44x62 სმ., წარწერით, რომელშიაც იხსენიება ტფილელი მიტროპოლიტი ქრისტოფორე; ქვა გატეხილია ორად.

XCI

ნივთები ხელთუბნის სომეხთა ეკლესიისა

ოქმი 60, 1924 წ. დეკემბრის 3

861. ჯვრის ტარი ვერცხლისა, წარწერით.
862. სურა ვერცხლისა, შეწირული კატ. გალუსტოვის მიერ, წარწერით.
863. ჩაფრასტები ანუ ღილები ფილონისა, ვერცხლისა, სომხური წარწერით 1882 წ., 2 ცალი.
864. ლანგარი სპილენძისა, ბოქაულთ ხუცის ქალის თამარის ზითვისა – წარწერით.
865. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 32½x25 სმ. (ზომა ფიცრითვე 38x30½ სმ.), შემკული ვერცხლის შარავანდედებით, დაზიანებული.

866. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 43x26 სმ., ძლიერ დაზიანებული.
867. საეკლესიო დროშა (უტაროდ), ტილოზე ნახატი ჯვარცმისა და ჩვილედი ღვთისმშობლის ხატებით.
868. სეფისკვერის ბეჭედი.
869. სტიხარიელი ქსოვილისა, ძლიერ დაზიანებული, ერთი მოზრდილი, მეორე – პატარა; სულ 2 ცალი.

XCII

ნივთები ბერშუეთის მთავარანგელოზის ეკლესიისა

ოქმი 61, 1924 წ. დეკემბრის 5

870. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 32¼x28 სმ., შემკული ვერცხლის შარავანდედებით, რომელთაც უსხედს 5 თვალი; ხატი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში, რომელსაც მინა გატეხილი აქვს.
871. ჯვარი ხისა, 28½x10½ სმ. (ტარითვე), რომელსაც გულში უზის ჯვარცმის ხატი ვერცხლისა, 4¾x5¼ სმ.; ჯვარს შემოხვეული აქვს მცირე ძეწკვი.
872. ყუთი ხისა: ერთი პატარა, მეორე – სულ მცირე, სულ 2 ცალი.
873. უბის სანაწილე უბრალო ლითონისა.
874. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 33x27½ სმ., ვერცხლის შარავანდებით, დაზიანებული.
875. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ნინოსი, 17¼x13½ სმ., დაზიანებული.
876. ტილოზე ნახატი ხატი მთავარანგელოზისა, 68x43½ სმ., ჩარჩოში (75x52 სმ.).
877. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ჯვარცმისა, 33½x21¼ სმ.
878. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. თომა მოციქულისა, 17¾x12½ სმ.
879. ჯვარი ხისა, 14x4¾ სმ. (ტარითვე), მხარმოტეხილი, ქართული ნამუშევარი ათონურად.
880. სამაჯური, ოქრომკედით ნაკერი, დაზიანებული.
881. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა, 26x22½ სმ., დაზიანებული.

XCIV

ნივთი ზემო სოგისის ეკლესიისა

882. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 27x21¼ სმ.

XCV

ნივთები ზერტის (ქართველთა) ეკლესიისა

ოქმი 62, 1924 წ. დეკემბერი

883. ჯვარი ხისა, 39½x26 სმ. (ტარითვე), ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ვერცხლზედვე ნაჭედი წმ. გიორგის ხატებით და 5 დიდი თვლით და წარწერით.

884. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ჯვარცმისა, 28x20½ სმ., ძლიერ დაზიანებულია.

885. სადაფის ჯვრის ნატეხები.

886. ღილი ვერცხლისა, ძველი ფორმისა, 2 ცალი.

XCVI

ნივთები ზერტის სომეხთა ეკლესიისა

ოქმი 62, 1924 წ. დეკემბრის 5

887. მრგვალი ფორმის ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, 10¼x10¼ სმ., შემკული 15 წვრილი თვლით (აკლია 1 თვალი); ჯვარს გულში ერთ მხარეს მინა უზის, მეორე მხარეს კი თვალი თუ ვერცხლის დაფა ჰქონია, რომელიც დღეს ავარდნილი და დაკარგული აქვს.

888. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ქრისტესი და სხვათა, დიდი ზომისა, დაზიანებული.

889. ტილოზე ნახატი ხატი კვირაცხოვლისა, 59x48 სმ., დაზიანებული.

890. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. გიორგისა, 43x33 სმ., დაზიანებული.

891. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 29x24¾ სმ.

892. მღვდლის მიტრა, დაზიანებული.

XCVII

ნივთი ანანაურის სომეხთა ეკლესიისა

ოქმი 22, სექტემბრის 8

893. კრეტსაბმელი, 376x260 სმ., ჯვარცმისა და სხვ. ხატებით და ქართული წარწერით.

XCVIII

ნივთები ბერშუეთის ეკლესიისა, წამოღებული მევჯვრისხევიდან, სადაც იგინი გადმოუტანია მევჯვრისხევის რაიონის გლეხკომს

ოქმი 63, 1924 წ. დეკემბრის 6

894. ჯვარი ხისა, 37x21½x1¼ სმ., ტარითვე, ირგვლივ შეჭედილი ვერცხლით, შემკული ჯვარცმის, ღვთისმშობლისა და სხვა ხატებით და წარწერით.

895. ცხვარი ზარუნათი ყელზე, ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, შეწირული ზაუტაშვილის მარიამის მიერ 1865 წ., წარწერით.

XCIX

ნივთები ახრისის ეკლესიისა

ოქმი 64, 1924 წ. დეკემბრის 6

896. ჯვარი ხისა, 79x28 სმ., წოდებული „სამხთოს წმ. გიორგის ჯვარად", ადრინდელ დროშივე გადმოტანილი სოფ. ქლივანადან. ჯვრის წინა პირი და თავი შეჭედილია ვერცხლით, რომელიც დამწვარი და დაზიანებულია.

897. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 31½x26½ სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით.

898. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 17½x14 სმ., ვერცხლის არშიები და შარავანდედები აცლილი და დაკარგული აქვს.

899. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ექვთიმესი, 27x20 სმ.

900. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ნინოსი, 27½x22 სმ.

901. ფიცარზე ნახატი ხატი რომელიმე შინაარსისა, 28½x22 სმ., დაზიანებული.

902. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 31½x24½ სმ., გატეხილი ორად.

903. ფიცარზე ნახატი ხატი აღდგომისა, 11¼x8½ სმ., დაზიანებულია.

904. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტესი ეკლის გვირგვინით, 11¼x9½ სმ.
905. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი წმ. ვასილ დიდისა და ეფრემისა (?), 26½x19¾ სმ.; წმინდანებს წარწერები რუსულადა აქვს, ხოლო თავზე შესხმა-ქების ლექსები აქვთ დაწერილი ხუცურად, თვითეულს ხუთ-ხუთ სტრიქონად.
906. მინაზე ნახატი ხატი უცნობი შინაარსისა, ჯვრისა და ანგელოზების გამოსახულებით, 53x23 სმ., სომხური ხელოვნებისა.
907. ქისა (ანუ ბოხჩა) წვრილი ნივთებით (შანა-ჯვრები, ბეჭდები, ფული, ფიფანური და სხვ.), სულ – 11 ცალი.

C
ნივთები ჯარიაშენის ეკლესიისა

908. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 21x16¾ სმ., დაზიანებული.
909. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით კალთაში, 8¾x7 სმ., დაზიანებულია.
910. ტილოზე ნახატი ხატები აღსავლის კარებისა, 2 გრაგნილად, დაზიანებული.
911. რომელიმე ძველ ხატიდან დარჩენილი ვერცხლის არშიები, 3 ცალი.
912. შანა, 1 ცალი.
913. აბრეშუმის ხელსახოცი, ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი.

CI
ნივთი მეჯვრისხევის ყოფილი მცხოვრები შალვა ერისთავის ქონებიდან

914. ჯვარი ხისა ათონის ხელოვნებისა, 9¾x6 სმ., ჯვარცმისა და სხვ. ხატებით; ტარი დაკარგული აქვს.

CII
ნივთი მეჯვრისხევის უსანეთის ეკლესიისა
ოქმი 21, 1924 წ. მაისის 2

915. ჯვრის ასამაღლებელი სვეტი ქვისა, შემკული ხატებითა და წარწერებით; იგი დიდი ხნის წინათ ჩამოუტანიათ ძველ უსანეთის (სოფ. მეჯვრისხევის ჩრდილოეთით) ეკლესიიდან. ასამაღლებელს ზევიდან ნაწილი ამტვრეული აქვს; 8 ნატეხად.

CIII

ნივთი ქართლის ერთ-ერთ ეკლესიისა

916. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი მაცხოვრისა, 42x30½ სმ., დაზიანებულია.

CIV

ნივთები ტყვიავის ქართველთა ეკლესიისა

917. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, დაზიანებულები, 6 ცალი.
918. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 105x63 სმ., ძლიერ დაზიანებული.
919. ტილოზე ნახატი გარდამოხსნა, 118x60 სმ.
920. ტილოზე ნახატი ჯვარცმისა, 35x26 სმ.
921. აღსავლის კარები ორი მახარებლის ხატით, 1 ცალი.
922. აღსავლის მეორე კარებიდან დარჩენილი მახარებლების ხატები, 2 ცალი.
923. კანკელიდან დარჩენილი ფიცრის ნაჭრები, ჭრილობებით, 3 ცალი.

CV

ნივთები ტყვიავის სომეხთა ეკლესიისა

924. ტილოზე ნახატი ხატი გარდამოხსნისა, 83x72 სმ., ძლიერ დაზიანებული.
925. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა და ანგელოზებისა, რომელნიც პირველს გვირგვინს ადგამენ თავზედ.
926. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 67x43 სმ., ძლიერ დაზიანებული.
927. საეკლესიო დროშა (უტაროდ) ტილოზე, ნახატი ხატებით ქრისტეს შობისა (ერთ მხარეს) და ყრმა იესოსი (მეორე მხარეს); ძლიერ დაზიანებულია.
928. საწიგნე, დაზიანებული.

CVI

ნივთები ფლავის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა

929. ქვის ემბაზი ასომთავრული წარწერით, დაზიანებული (პირებდამტვრეული).
930. კანკელიდან (?) დარჩენილი მცირე ფიცარი, ჭრილობებით.

CVII
ნივთები კარბის ეკლესიისა

931. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 36x33 სმ.; ძლიერ დაზიანებულია.
932. ჯვარი ხისა, 27x16½ სმ. (ტარითვე), რომლის წინა პირიც შეჭედილია დაბალი ვერცხლით და შემკულია 2 თვლით (აკლია 4 თვალი); უკანა პირზე ჯვარს გადაკრული აქვს უბრალო ლითონი, რომელზედაც არის წარწერა.
933. რიყის ქვა, 56x31 სმ., კარბის წმ. მარინეს სასაფლაოს ეკლესიის ეზოდან, ხუცური წარწერით; დაზიანებულია.

CVIII
ნივთები მერეთის ეკლესიისა

934. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 34½x26 სმ.
935. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 37x28 სმ.
936. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 33x26½ სმ., ძლიერ დაზიანებული.
937. ფიცარზე ნახატი ხატი ქრისტეს ჯოჯოხეთში შთასვლისა, 34¼x27 სმ.; დაზიანებულია.
938. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 30¼x23 სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით; ღვთისმშობლის შარავანდედს უზის 1 დიდი თვალი; ვერცხლის არშიას გვერდზე აქვს წარწერა.

CIX
ნივთები ქინწისის ეკლესიისა

939. ხატის ფარდა, ოქრომკედით ნაკერი, რომელიმე მღვდელმთავრისა ან ანგელოზების ხატებით, 82x84 სმ.
940. ხატის ფარდა, ოქრომკედით ნაკერი, ანგელოზებისა და სხვა სახეებით, 70x68 სმ., დაზიანებული.
941. ხატის ფარდა, ხელით ნაკერი, წმინდა გიორგის ხატით, 25x29 სმ.
942. ტილოზე ნახატი გარდამოხსნა, 76x94 სმ., ძლიერ დაზიანებული, წარწერით.

CX

ნივთები ძველრას ქართველთა ეკლესიისა

943. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, მცხეთის სკოლისა, დიდი ზომისა 9 ცალი: ა. ღვთისმშობელი, ბ. ქრისტე, გ. ხარება, დ. წმ. ნიკოლოზი, ე. მთავარანგელოზი, ვ. წმ. გიორგის (?) ნამება, ზ. ქრისტე პილატესთან, ჱ. ქრისტე ბოძზე მიბმული და თ. ქრისტე ხელებ-გაკრული.

944. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა და ქრისტესი, „ნუ მტირ მე დედაო“ (პიეტა), 42x30 სმ.

CXI

ნივთები რუისის ეკლესიისა

ოქმი 12, 1924 წ. აპრილის 15

945. ოთხავალნანილიანი ხატი „ღვთაებისა“, 107x62 სმ. მაქსიმალური ზომის, რომელიც წარმოადგენს ხის დაფას უამრავი წმ. ნანილებიანი უჯრედებით და ჯვრით გულში. მისი პირვანდელი ზომა უნდა ყოფილიყო დაახლოებით 107x68 სმ.; ხატს სიძველისაგან გვერდები სულ დამტვრეული აქვს; მას დღემდე შერჩენილი აქვს 480-მდე უჯრედი, რომელთაგანაც ოცზე მეტი დაზიანებულ-დაცარიელებულია და, თავდაპირველად, რასაკვირველია, უფრო მეტი ექნებოდა. უჯრედებს აქვს წარწერები, თუ რას შეიცავენ. ხატს ქვედა არშიის ადგილას აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა, რომელიც თავდაპირველად 4-5 სტრიქონად უნდა ყოფილიყო – დღეს კი დაზიანებისა გამო სამი სტრიქონიღა შერჩენილა და დანარჩენი კი მოსპობილია. როგორც ჩანს, წარწერას შუაზე ანუ მარჯვენა და მარცხენა ნანილად ჰყოფდა ჯვარი, ანუ მისი ძირითადი ნანილი (2 სმ. სიგანით); წარწერის არეს მარჯვენა მხარეს აკლია დაახლოებით 8 სმ., მარცხენას – 14 სმ., წარწერა იხსენიებს: ... პატრონს მერაბს და მეფე კონსტანტინეს (?). უკანა მხარეს ხატს გადაკრული ჰქონია ვერცხლის ფურცელი, რომელიც დღეს მოცილებული და დაკარგული აქვს.

ხატი ზის დიდ, კარედ, შუშაბანდიან ხის ბუდეში, 147x71 სმ. (გაშლით – 147x137 სმ.), რომელიც შემკულია ხატებით კარებზე. შიგნით: წმ. პეტრე და პავლე და მათ თავზე – ხარება; გარეთ: ფერისცვალება, აღდგომა და მათ თავზე – ანგელოზები; ბუდის თავში: ღვთაება და წარწერა ბუდის შემნირველის – ზაქარია ციცისშვილისა, 1786 წლის.

946. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, მცხეთის სკოლისა, დიდი ზომისა, 20 ცალი: ა. ღვთისმშობელი, ბ. ქრისტე, გ. ნათლისმცემელი, დ. ფერისცვალება, ე. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ათანასი და იოანე ღვთისმეტყველი, ვ. ლეონ, ეპიფანე და კირილე, ზ. ქრისტე, ჱ. იაკობ ძმა უფლისა, ნიკოლოზ და ვასილ დიდი, თ. სპირიდონ, სილიბისტრო და კლიმენტი, ი. სიმონ, იაკობ და ფილიპე, ია. ბართლომე, თადეოზ და თომა, იბ. პავლე, ანდრია და მათე, იგ. იოანე, იაკობ და პეტრე, იდ. ამოს, ეზეკია და დანიელ, იე. ისაია, მალაქია და დავითი, ივ. მოსე, ზაქარია და ელია, იზ. ამბაკომ, ბა[რუქ], იერემია, იჱ. ჯვარცმა, ით. სამება და იკ. სერობა.

947. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 33x24 სმ.

948. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 17¼x13¼ სმ.

949. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 27¾x21½ სმ., ძლიერ დაზიანებული.

950. ფიცარზე ნახატი ხატი ელიას ზეცად აღტაცებისა, 28¾x21¾ სმ., გატეხილი ორად, ძლიერ დაზიანებული.

951. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 42x43 სმ., დახეული ოთხ ნაჭრად (წამოღებულია რუისის სასაფლაოს ეკლესიიდან).

952. ჯვარი ხისა, ჯვარცმის, ღვთისმშობლისა და სხვა ხატებით, 50x34 სმ., დაზიანებულია.

953. აღსავლის კარები, მახარებლებისა და ხარების ხატებით, 2 ცალი (ერთი მათგანი ძლიერ დაზიანებულია).

954. კანკელის ჩარჩო, 94½x77 სმ., სახიანი ფიცრებით და წმ. გიორგის ხატით, 36x22 სმ.

955. კანკელის ჩარჩო, 94x77 სმ., სახიანი ფიცრებით და წმ. თევდორე ტირონის ხატით, 34x24 სმ.

956. კანკელის ჩარჩო, 94x78 სმ., სახიანი ფიცრებით და წმ. დიმიტრის ხატით, 34x21 სმ.

957. კანკელის ჩარჩოდან დაშლილი, სახიანი ფიცრები და წმ. ევსტატეს ხატი, 33x21 სმ., სულ – 4 ნაჭრად.

CXII

ნივთები ურბნისის ეკლესიისა

ოქმი 11, 1924 წ. აპრილის 15

958. ხატი წმ. სტეფანესი, 47¼x35¼ სმ., წმ.; წმ. სტეფანე ნახატია ტილოზე (17¼x11 სმ.) და ზის ხატის გულში. მას უკან აქვს წვრილი უჯრედები (32) წმ. ნაწილებით; გვერდებზე აქვს წარწერა ვერცხ-

ლზე, შემჭედავის, ბატონიშვილის ვახტანგისა; დანარჩენი ნაწილი ხატისა შეიცავს ვერცხლზე ნაჭედ ხატებს: ღვთისმშობლისა, ქრისტესი, წმ. იოანე ნათლისმცემელისა და წმ. სტეფანესი. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ჩარჩოში, 57x40x12 სმ.

959. ბარძიმი ვერცხლისა, ხუცური წარწერით.

960. ვარსკვლავი ვერცხლისა, წარწერით.

961. ბეჭდები ოქროსი: თვლიანი – 2 ცალი; ვერცხლისა, თვლიანი – 1 ცალი; სულ – 3 ცალი.

962. შანები, 2 ცალი.

963. ძეწკვი, 1 ცალი.

964. მცირე ჯვარი ქვისა, 5½x4¼ სმ.

965. ღილი (სამღვდელმთავრო სარტყლისა) სპილენძისა, მინანქრით შემკული, 2 ცალი.

CXIII

ნივთები ბრეთის ეკლესიისა

966. რომელიღაც ხატიდან დარჩენილი ვერცხლის ფურცელი მასზე ჭედილი წმინდანის სახით.

967. რომელიმე ხატებიდან დარჩენილი ვერცხლის ფურცელის ნაგლეჯი, 3 ნაჭერი.

968. პირადი ბეჭედი სპარსული წარწერით.

969. დიდი თვალი, 1 ცალი.

970. გულსაკიდი ჯვარი, 1 ცალი.

971. წვრილი ნივთები (მედალიონი და სხვ.) – 6 ცალი.

CXIV

ნივთები დირგის ეკლესიისა

ოქმი 16, 1924 წ. აპრილის 17

972. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, საშუალო ზომისა, 8 ცალი: ა. ლოცვა ქრისტესი სასუმისისათვის; ბ. სერობა; გ. „ნუ მტირ მე დედაო“; დ. ხარება; ე. იაკობ ალფესი, თომა; ვ. წმ. გიორგი; ზ. წმ. კონსტანტინე და ელენე; წ. რომელიმე წმინდანი, დაზიანებული.

973. ტილოზე ნახატი ხატები კანკელისა, წვრილი, 9 ცალი: ა. ქრისტე; ბ. ღვთისმშობელი ყრმით; გ. ბართლომე და ანდრია; დ. იაკობ ზებედესი და იაკობ ალფესი; ე. თადეოს და სიმონი; ვ. პავლე და მათე; ზ. წმ. ნინო; წ. ანგელოზი, დაზიანებული; თ. ჯვარცმა, დაზიანებული.

974. ფიცარზე ნახატი ხატი კვირაცხოველისა, 34x25½ სმ., დაზიანებული.
975. ფიცარზე ნახატი ხატი რომელიმე წმინდანისა, 25x19 სმ., ძლიერ დაზიანებულია.
976. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 17¾x13¾ სმ.
977. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 12x9 სმ.; შარავანდედები აცლილი აქვს.
978. ფიცარზე ნახატი ხატი რომელიმე წმინდანისა, 12x9¾ სმ.; ძლიერ დაზიანებულია.
979. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 92x60 სმ., მცხეთის სკოლისა.
980. ვაკასი ანუ საყელო (სომხის ეკლესიიდან), ოქრომკედით ნაკერი, ქრისტეს და მოციქულების ხატებით.

CXV
ნივთები საქაშვეთის ეკლესიისა

ოქმი 13, 1924 აპრილის16

981. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 79½x57 სმ., შეჭედილი ვერცხლით და შემკული ორი თვლით, 7 მარგალიტით (ამოტეხილია 2 თვალი, აკლია 3 თვალი). ხატი შეუჭედინებია იასე დიასამიძეს, რისთვისაც აქვს წარწერა. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში, 96½x71½x11½ სმ.
982. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 34x26¼ სმ., შეჭედილი ვერცხლით თინათინ ბაგრატიონის მიერ და შემკული ნარწერით.
983. შანა – სპარსული ფული.

CXVI
ნივთი შინდისის ეკლესიისა

ოქმი 14, 1924 წ. აპრილის 16

984. დიდი ჯვარი აბანოზისა, წოდებული კვირაცხოველის ჯვარად, 11¼x69x3½ სმ. (ტარითვე), ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული ოქროს წყალში დაფერილ ჯვარცმისა და სხვა ხატებით. ჯვარი შეუჭედინებია გოგია მირზასშვილს 1751 წ., რისთვისაც აქვს წარწერა ტარზე (ჯვარზე შებმულია შანები).

CXVII
ნივთები ვარიანის ეკლესიისა

985. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 28x24 სმ., 4 დიდ-პატარა თვლით (აკლია 1 თვალი) და წარწერით, რომელშიაც იხსენიება ხატის შემჭედვინებელი, ვინმე „ფარემუზ“, დაზიანებული.
986. ჯვარი ხისა, 35½x23¾ სმ. (ტარითვე), რომელსაც ვერცხლის შემკულობა შერჩენილი აქვს მარტო გვერდებზე და, ნაწილობრივ, ტარზედაც, წინა მხარეს კი მთლად მოცილებული და დაკარგული აქვს. წინა მხარეს უზის 4 თვალი. ტარის ძირითა ნაწილს სპილენძი აქვს შემოკრული. დაზიანების გამო ჯვარი წელში ხელსახოცით არის შემოკრული.
987. ზარი, შეწირული სოლომონ ნომორიაძის მიერ, წარწერით.
988. ბეჭდები ვერცხლისა: ოქროს წყალში დაფერილი, თვლიანი და თვალნაკლები – 3 ცალი. ბეჭდები უბრალო ლითონისა: თვლიანი – 24 ცალი; თვალნაკლები – 2 ცალი; თვალამოვარდნილი – 1 ცალი; ყველა ბეჭდები – 30 ცალი.
989. შანა-ხატები – 3 ცალი; შანა-სავარცხელი – 1 ცალი; ყველა შანები – 4 ცალი.
990. აკვანი ვერცხლისა: ერთი დიდი, მეორე – პატარა, სულ – 2 ცალი.
991. შანდალი სპილენძისა, წარწერით.
992. გულსაკიდი ხატი მაცხოვრისა (?), 5½x4½ სმ., ვერცხლის ბუდეში; ძლიერ დაზიანებულია.

CXVIII
ნივთი ყელქცეულის ეკლესიისა

993. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 35x23½ სმ.

CXIX
ნივთები ქვემო-ხვითის ეკლესიისა
ოქმი 65, 1924 წ. დეკემბრის 17

994. საყურე ოქროსი და ვერცხლისა, 2 წყვილი (ერთი წყვილი შემკულია სამ-სამი თვლით), ცალობით – 4 ცალი.
995. ოქროს საყურე, თინათინ დედოფლის საყურის მსგავსი, შემკული 13 თვლით (აკლია 11 თვალი).

996. ბეჭდები ოქროსი თუ ვერცხლისა: ა. თვლიანი – 2 ცალი; ბ. უთვლო – 1 ცალი. ბეჭდები უბრალო ლითონისა: გ. თვლიანი – 15 ცალი; დ. თვალნაკლები – 1 ცალი; ე. თვალამოვარდნილი – 1 ცალი; ყველა ბეჭდები სულ – 20 ცალი.
997. შანები, ასხმული მძივზედ და ცალკე, სულ – 5 ნაჭრად.
998. ვერცხლის პატარა ჩარექა ძეწკვით, პირ მოტეხილი.
999. ვერცხლის აკვანი, 3 ცალი.
1000. ენქერი, ოქრომკედით ნაკერი, მაცხოვრისა და მახარებლების ხატებით; დაზიანებულია.
1001. ბარძიმი ვერცხლისა, შეწირული იესე მაჩაბლის მიერ, წარწერით.
1002. ფეშხუმი და კამარა ვერცხლისა, შეწირული თირის მონასტრისათვის ირაკლი მეფის მიერ 1775 წ. (წარწერა აქვს მარტო ფეშხუმს).
1003. ნაწილიანი ხატი, 19x14½ სმ., მხატვრობა გადასული, კარით, რომლის ქვეშაც ნაწილებია. ხატს აქვს ვერცხლის არშიები; ზევითა და გვერდის არშიებზე ვერცხლზე ნაჭედი ხატებია ჯვარცმისა და სხვ. (17); ქვედა არშიაზე არის წარწერა. სიძველისაგან ხატი დაზიანებულია, დაფუტუროებულია.
1004. ნაწილიანი ხატი, 21½x17 სმ., მხატვრობა გადასული, კარით. ხატს აქვს ზევითა და გვერდის არშიები ვერცხლისა, რომლებზედაც ნაჭედი ხატებია (22); ქვედა არშია დაკარგულია (მასზე წარწერა იქნებოდა). ხატი სიძველისაგან დაფუტუროებულია.[1]
1005. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 14½x9½ სმ., დაზიანებული. ხატს ჰქონია თვალი, რომელიც დღეს დაკარგული აქვს; იგი შეიძლება კარი იყოს რომელიმე ხატისა.
1006. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა მძინარე ყრმით, 31 ¾x26½ სმ., შეწირული როსტომ მაჭავარიანის მიერ, წარწერით.
1007. ფიცარზე ნახატი ხატი ერთ მხარეს ჯვარცმისა და მეორე მხარეს – ქრისტესი და წმ იოანე ნათლისმცემლის ხატებით, 44¾x30½ სმ., შეწირული არჩილ მეფის რძლის მიერ, წარწერით.
1008. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 27½x22 სმ., დაზიანებული.
1009. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. დამიანე და კოზმანისა, დაზიანებული.
1010. სპილენძიდან ჩამოსხმული კარედი ხატი, ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატებით, 13¾x12¾ სმ.

[1] ხატები №№1003, 1004 ერთი ხელისა და ერთი დროის ნამუშევარი უნდა იყოს.

(გაშლით 13¾x37½ სმ.), შემკული მინანქრით, რომელიც ძლიერ დაზიანებულია.

1011. ქრისტეს აღდგომის თუ ამაღლების ხატი, 12¼x9 სმ., სპილენძის.

1012. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ნიკოლოზისა თუ სხვა წმინდანისა (ოქმში შეცდომით მაცხოვრის ხატად სწერია), 30x25 სმ. შემკული ოქროს შარავანდედით, რომელსაც უზის 9 ცალი თვალ-მარგალიტი.

1013. ტილოზე ნახატი ხატი ანგელოზისა, 71x52 სმ., წარწერით, დაზიანებულია.

1014. ფარდა, ხელით ნაკერი, ჯვარცმისა და ანგელოზის ხატებით და წარწერით, დაზიანებულია.

1015. მრავალნაწილიანი ხატი, 49¼x38½ სმ., კარით, რომლის ქვეშაც არის: ჯვარი ხისა, ოქროს წყალში დაფერილ ვერცხლზე ნაჭედი მცირე ხატი წმ. ეკატერინესი, სამი უჯრედი, რომელთაც ნაწილობრივ შერჩენიათ ვერცხლის კარები, დაფა და სხვა, ძვალი წმინდანისა და სხვ. (ზოგი უჯრედი დაცარიელებულია). მხატვრობა კარების ზედა პირზე სულ გადასულია, ხოლო შიგნითა პირზე არის დახატული ჯვარცმა, დაზიანებული. ხატს აქვს ვერცხლის არშიები, რომლებზედაც ნაჭედი ხატებია ჯვარცმისა და ღვთისმშობლისა. ხატს აქვს წარწერა ქვედა არშიაზე ხატის შემჭედვინებლის, თაქთაქიძე ელიზბარისა. ხატი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში, 53x42x7½ სმ.

CXX

ნივთი ზემო ხვითის ეკლესიისა

1016. სადაფზე ნახატი ხატი წმ. კონსტანტინე და ელენესი, 14x9½ სმ.; ძლიერ დაზიანებულია.

CXXI

ნივთი ზემო ნიქოზის ეკლესიისა

1017. ხატი წმ. ანდრია მოციქულისა, 9½x5½ სმ., ათონური ხელოვნებისა.

CXXII
ნივთი შემოწირული სოფ. ქვემო-ჭალის მცხოვრებ პეტრე კარგელაშვილისაგან

1018. ოდიკი XVIII საუკუნის, წამოღებული სოფ. წირიდან.

CXXIII
ნივთები გორიჯვრის ეკლესიისა

1019. სათული.
1020. შანა-ხატი წმ. გიორგისა, ვერცხლისა.

CXXIV
ნივთები ტინის ხიდის სომხის ეკლესიისა

1021. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 33¼x24¼ სმ., შეჭედილი ვერცხლით და შემკული წარწერით.
1022. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 61½x48 სმ., ძლიერ დაზიანებულია.
1023. ფარდა ხატისა, ფერადი ძაფით ნაკერი, 76x66 სმ., ძველი ხელოვნებისა, დაზიანებული.
1024. სამაჯური, ოქრომკედით ნაკერი, 1 წყვილი და 1 ცალი, სულ – 3 ცალი.
1025. ვაკასი, ოქრომკედით ნაკერი, 2 ცალი (ერთი ძლიერ დაზიანებული).
1026. მცირე სანანილე ვერცხლისა, შემკული 1 თვლით.

CXXV
ნივთები ოთარშენის ეკლესიისა

1027. შუშაბანდიანი ყუთი ხისა, უჯრედებით, 39x50 სმ., რომელშიაც არის მშვენიერი, მხატვრულად ნაწერი ავგაროზი და მრავალი სხვა და სხვა ნაწილები, მოტანილი იერუსალიმიდან და სხვა ადგილებიდან.
1028. შუშაბანდიანი ყუთი ხისა უჯრედებით, 26¼x36¼ სმ., რომელშიაც არის წმ. ნაწილები, მოტანილი იერუსალიმიდან და სხვა ხატებით, დაზიანებულია.
1029. ფარდა ხატისა, 40x64 სმ., ხელით ნაკერი, ღვთისმშობლისა და სხვა ხატებით; დაზიანებულია.

CXXVI
ნივთი გუდალეთის ეკლესიისა
ოქმი 44, 1924 წ. ივლისის 5

1030. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ე.წ. „მელენტის ღვთისმშობლისა“ ყრმით, 70x52 სმ.; ზომა ფიცრისა, რომელზედაც ხატია გადაკრული – 83x64½ სმ.; შემკულია 1 თვლით (დანარჩენი თვლები სულ დაკარგული აქვს) და წარწერით. გარდა ღვთისმშობლისა, არის კიდევ ვერცხლზედვე ნაჭედი ხატები ანგელოზებისა, წმ. გიორგისა და სხვ.

CXXVII
ნივთი ატოცის ეკლესიისა

1031. ვერცხლზე ნაჭედი სალაშქრო ხატი წმ. გიორგისა, რომლის ზედა ნაწილში ჯვარცმაა და ქვედაში – წმ. გიორგი, 44x31 სმ., შემკული 8 დიდი და 6 პატარა თვლით (დანარჩენი თვლები აკლია); ძლიერ დაზიანებული. ხატს უკანა მხარეს ჰქონია გადაკრული ვერცხლის ფურცელი, რომელიც დღეს თითქმის მთლად მოცილებული და დაკარგული აქვს. წინა მხარეს მას აქვს უჯრედები წმ. ნაწილებით. ხატს აქვს თავისი საკუთარი ბუდე ხისა, 50x36¼ სმ., რომელსაც წინა პირზე ვერცხლის წვრილი არშია აქვს შემოვლებული.

CXXVIII
ნივთები ფორის საეღმშენებლო კავშირის არტელის ქონებიდან

1032. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 34x26 სმ.; შეჭედილობა მოცილებული და დაკარგული აქვს.

1033. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 44x32 სმ., რომელსაც შეჭედილობიდან შერჩენილი აქვს მხოლოდ მარჯვენა მხარის ნაწილი; თვლები სულ დაკარგული აქვს; მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია.

CXXIX
ნივთი მჭადიჯვრის ეკლესიისა

1034. ჯვარცმა თუ კერპი რკინისა, მარჯვენა ხელ მოტეხილი.

CXXX
ნივთები ქართლის ერთ-ერთი ეკლესიისა

1035. ფიცარზე ნახატი ხატის ფიცარი, მხატვრობა მოცილებული, 5x6½ სმ.

1036. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 17x12½ სმ.

1037. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 13½x14½ სმ.; ხატს, როგორცა ჩანს, შეჭედილობა ოქროსი ჰქონია, რომელიც დღეს მთლად მოცილებული და დაკარგული აქვს. იგი ნამოღებული უნდა იყოს მუხრანის მუხრანსკების ეკლესიიდან.

1038. ვერცხლის შანა-ჯვრები, ორი ცალი; შანა-ხანჯალი – 1 ცალი, სულ – 3 ცალი.

1039. შანა-ჯაჭვი, მრგვალი ბუშტებით, 1 ცალი.

1040. სხვა და სხვა შანები, ორ ასხმულად.

CXXXI
ნივთი ჭილურტის ეკლესიისა

1041. მცირე ჯამი რვალისა, სპარსული წარწერით.

CXXXII
ნივთები ერთაწმინდის ეკლესიისა

ოქმი 54, 1924 წ. ნოემბრის 20

1042. სახარება, დაბეჭდილი 1786 წ., რომლის ყდა შეჭედილია ვერცხლით. წინა ყდა შემკულია აღდგომისა და სამი მახარებლის ვერცხლზედვე ნაჭედი ხატებით (აკლია მათეს ხატი) და ოთხი ძვირფასი თვლით. იგი შეწირულია ირაკლი მეფის მიერ 1789 წ., რისთვისაც აქვს წარწერა. სახარებას ერთი საკეტი აგლეჯილი და დაკარგული აქვს.

1043. სახარება ძველ სტამბისა, ვერცხლის ყდით (თავში ფურცელი აკლია), შეწირული დარეჯან დედოფლის მიერ.

CXXXIII
ნივთი ზერტის სომეხთა ეკლესიისა
ოქმი 62, 1924 წ. დეკემბერი 5

1044. სომხური ბეჭდური სახარება 1710 წ., ვერცხლის ყდით, რომელზედაც არის ჯვარცმისა და აღდგომის ხატები.

CXXXIV
ნივთი ნამოლებული მუხრანის მცხოვრებ მუხატიანის სახლიდან
ოქმი 25, 1924 წ. ოქტომბრის 14

1045. სომხური ხელნაწერი სახარება, რომლის წინა ყდაც შეჭედილია ვერცხლით (ყდის გულში ვერცხლის ხატია რომელიმე წმინდანისა) და შემკულია ათი თვლით (აკლია 2 თვალი). ნიგნს თავსა და ბოლოს აქვს თითო ფურცელი (მოკეცილი ორად) ეტრატისა ლათინური ხელნაწერით.

CXXXV
ნივთები ბენიანის წმ. გიორგის ეკლესიისა
ოქმი 19, 1924. სექტემბრის 2

1046. ეკლესიის ძველი კარებიდან დარჩენილი სალტეები რკინისა, ასომთავრული წარწერით, 2 ცალი.

CXXXVI
ნივთი მუხრანის სომეხთა ეკლესიისა
ოქმი 26, 1924 წ. ოქტომბერი 15

1047. სომხური ბეჭდური სახარება, ვერცხლით შეჭედილი ყდით, შეწირული მაქანაშვილი სოსიას მიერ, წარწერით.

CXXXVII
ნივთები ძევერას ქართველთა ეკლესიისა

1048. აღსავლის კარებიდან აყრილი, ქაღალდზე ნახატი ხატები მახარებლებისა – 4 ცალი, თითო – 19½x14½ სმ., დაზიანებულები; ა. მათესი. ბ. მარკოზისა. გ. ლუკასი და დ. იოანესი.[1]

[1] ისინი, ჩანს, ამოუხევიათ რომელიმე ძველი ხელნაწერი სახარებიდან და აღსავლის კარებზე გაუკეთებიათ.

CXXXVIII
ნივთი ქართლის ერთ-ერთ ეკლესიისა

1049. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 27x20 სმ., რუსული ხელოვნებისა.[2031]

სია
ქართლიდან ჩამოტანილი ისტორიული და ეთნოგრაფიული ნივთებისა

1
ლამისყანის ყოფილი მცხოვრების ალ. ორბელიანის ქონებიდან

ოქმი 53, 1924 წ. ოქტომბრის 27

1. ტილოზე ნახატი სურათი ბაგშვისა, 46x35 სმ., ჩარჩოში.
2. ძველი ხმალი – 2 ცალი, ერთი – უქარქაშოდ.
3. საოჯახო ალბომი, რომელშიაც ისტორიულ პირთა სურათებიც არის.

2
ქვემო გომის ეკლესიიდან

4. ყალამდანი სპილენძისა (სამელნეს ხუფი დაკარული აქვს).

3
მეჯვრისხევის ყოფილი მცხოვრების შ. ერისთავის ქონებიდან

5. ხმალი, აღმოსავლური ხელოვნებისა, წარწერით უცხო ენაზე (ვადა შემკულია ძვლით).
6. ხმალი, დასავლური ხელოვნებისა, წარწერით ქარქაშზე: **კონ-სტანტინ ერისთავ, ხელობა უსტა შესა.**
7. ჩიბუხი გრძელი ტარით.
8. ტახის ეშვი.
9. პირადი ბეჭედი აყიყის თვლით, რომელზედაც არის წარწერა: **თა. ალექსანდრე ერისთავი 1832 წ.** (სახელური აქვს ვერცხლისა).

ჩავაბარე: გ. ბოჭორიძე. ჩავიბარე: გ. ჩუბინაშვილი. ზ. ი. ჩხიკვაძე. 1926 წ. იანვრ. 27. ქ. ტფილისი.

4

რუისის ყოფილ აზნაურთა ქონებიდან
(რუისის გლეხკომის განკარგულებაში მყოფი)

10. სინი სპილენძისა, შემკული სახეებით, 45½x45½ სმ.

5

ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის გამგე
ვლადიმერ ლვოვის ძე კოზლოვსკის მიერ შემოწირული'

11. თიხის ჭურჭლის ნატეხი.
12. თიხის ჭურჭლის ნატეხი, ქაშანური.
13. სალესავი.
14. რკინის ლურსმანი.
15. ბრინჯაოს ნივთი (სამაჯურის ნატეხი?).
16. მინის სამაჯურის ნატეხი (ორი ნატეხი).
17. რკინის შუბი, ნაპოვნი პირღებულის მონასტერში (უტარო).

6

ბორჯომის რაიონიდან მოტანილი ნივთი

18. ბრინჯაოს სამკაულის (რგოლის) ნატეხი."

სია
ქართლიდან ჩამოტანილი სიძველეებისა
1932–1936 **წწ.**

I. პ. კარბელაშვილისაგან შეძენილი სიძველე:
1161. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ბასილისა, მცირე.

II. ერთერთი ეკლესიიდან ნამოღებული სიძველე:
1162. ოდიკი ტილოსი, 43x62 სმ., შემკული ასომთავრული წარწერით, რომელიც იხსენიებს სხვადასხვა პირთ; ნამუშაკევია თევდორე (?) მღვდლის მიერ 1747 წელს.

III. შიომღვიმის მონასტრიდან წამოღებული სიძველე:
1163. სეფისკვერის ბეჭედი ხისა.

ნაპოვნი ბაკურიანის ბაღის ტერიტორიაზე.

ჩავაბარე, გ. ბოჭორიძე; ჩავიბარე, ს. გორგაძე.

IV. ახალქალაქის მცხოვრებ ელისაბედ თარხნიშვილისაგან შეძენილი სიძველე:

1164. ხატის ფარდა ტილოსი, 60x38 სმ., ხელით ნაქარგი ჩვილედი ღვთისმშობლისა და წმ. ნინოს და სხვათა ხატებით, XIX ს.

1165. დაფარნა, XIX ს.

1166. სამღვდელო სარტყელი, XIX ს.

V. ახალქალაქის მცხოვრებ შაქრო მაღალაშვილისაგან შეძენილი სიძველე:

1167. მცირე დაფარნა, XIX ს., 5 ცალი.

1168. სამაჯური, XIX ს., 1 წყვილი (2 ცალი).

მოხსენებითი ბარათები

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტს

ამავე კომიტეტის რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილებისა ა.წ. აპრილის 3 თარიღითა და 6567 №-ით მე დ. გორდეევთან ერთად გავემგზავრე ქ. გორში იქაურ სიძველეთა აღსაწერად. მისვლისთანავე გამოვიკითხეთ საქმის მდგომარეობა; აღმოჩნდა, რომ მაზრის სიძველეები გორში კი არ არიან თავმოყრილი, არამედ ყველანი ნანილობრივ სოფლებშიეე არიან, ნაწილობრივ რაიაღმასკომებში გადაუტანიათ და თვით გორში კი ადგილობრივ მეურნეობის საწყობში თავი მოეყარათ გორისავე ქართული და სომხური ეკლესიების ქონებათათვის. ეს უკანასკნელი ჩვენ გადავსინჯეთ (იხ. ოქმი და სია საწყობში დაცული ნივთებისა). შემდეგ ეს ნივთები, თანახმად ადგილობრივი აღმასკომის თხოვნისა, ჩავიბარე მე, ჩამოვიტანე ტფილისში და ცენტრარქივის ბეჭდით დაბეჭდილი ორ ნაჭრად ჩავაბარე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს (იხ. ბარათი მუზეუმის გამგის ა.წ. აპრილის 7 თარიღით) უნივერსიტეტის მუზეუმისათვის გადასაცემად.

აღნიშნულ ადგილობრივ მეურნეობის საწყობში დაცულ სიძველეთა აღწერისა და წამოღების შემდეგ იქ დარჩა ერთი სკივრი უბრალო ნივთიერი ღირებულების საეკლესიო ვერცხლეულით, რომელთა გაყიდვასაც თხოულობს მაზრის აღმასკომი გლეხის სახლის დასამთავრებლად. ვინაიდგან იქიდგან ყველა მნიშვნელოვანი ნივთები გამოკრებული და ჩამოტანილი არის, ამიტომ შესაძლებელია აღმასკომს ნება მიეცეს იქ დარჩენილი ნივთების გაყიდვისა.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის
რწმუნებული გ. ბოჭორიძე
1924 წ. აპრილის 7-ს
ქ. ტფილისი

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტს

ამავე კომიტეტის რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილობისა, ა.წ. მაისის 12-ს თარიღით და 9109 №-ით, მე დავათვალიერე სამხრეთ-ოსეთის უდიდესი ნაწილი. საქართველოს ამ კუთხეს შერჩენია მრავალი ძვირფასი ისტორიული ძეგლი და ნაშთი. ეკლესიათა შორის პირველი ადგილი უჭირავს იკორთას (რომლის უძვირფასესი ჩუქურთმები საუცხოვო ნიმუშს წარმოადგენენ ძველი ქართული ხელოვნებისა), თიღვას, მონასტერს და წუნარს; ციხე-სიმაგრეთა შორის – ხეითის კლდე-კოშკს, ყორნისის რვა კოშკს, ძალისის, ვანათის და ბელოთის ციხეებს; ნანგრევთა შორის ადამიანის განცვიფრებას იწვევს უდიდესი ნანგრევები ლისის, დოდოთის ცხრა-კარა ეკლესია-მონასტრის შენობათა და სხვა; გამოქვაბულთა შორის – ხეითისა, დმენისისა (ვანათის ახლო) და სხვა. ეკლესიებში მრავალი ყოფილა ფრესკები (განსაკუთრებით – ფრონისა და მეჯუდის ხეობებში), მაგრამ მათი უმრავლესობა დღეს ნანგრევების სახით არის. აღნიშნული კუთხის ძეგლები და ნაშთები წმინდა ქართული კულტურის ნაყოფს წარმოადგენენ; თუ რომელიმე მათგანს მოეპოვება წარწერები, ყველა ისინი ქართული – ან ასომთავრული, ან ხუცური, ან მხედრული ანბანითაა დაწერილი.

ზემოხსენებული ძეგლების უმეტესობისათვის ამ უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში დიდი ზიანი მიუყენებიათ, ბევრი მთლად მოუსპიათ და ბევრიც გაუნახევრებიათ:

ა. ცხინვალის მახლობლად (3-4 ვერსტზე, დასავლეთით) დაუქცევიათ ძვირფასი, ფრესკებიანი, ჩუქურთმიანი და მრავალ წარწერიანი ტბეთის ეკლესია და მისი ქვები ცხინვალის საავადმყოფოს აბანოსათვის დაულაგებიათ. შენობის კედლის გარეთა და შიგნითა პირებზე მოსჩანს 17 ჩუქურთმიან-ფრესკიანი, წარწერიანი ქვა და, ამის გარდა, შენობიდან მორჩენილ მასალაში – შენობის ეზოში და ეზოს გარეთ (გზაზე, ლიახვის პირს) – ჰყრია 13 ამგვარივე ქვა (მათში უმრავლესობა წარწერიანია). ყოფილ დიდებულ ისტორიულ ძეგლის ალაგას დღეს დგას შენობის მსგავსი, ირგვლივ შემოძარცული, გაშიშვლებული დუღაბი, რომელიც აერთიანებდა და იჭერდა ძეგლის გარეთა და შიგნით ქვებს, და რომელსაც საკურთხევლის მცირე ნაწილშიღა შერჩენია კედლები ფრესკებით. მის ეზოში გდია

ერთი დიდი, წარწერიანი ქვა. ამ რამდენიმე ხნის წინათ შესანიშნავი ძეგლი, დღეს საცოდავ ნაშთსღა წარმოადგენს.

ბ. სოფ. ყორნისში დაუნგრევიათ ორი ძველი შენობა და მისი მასალა (ქვა) სკოლის ასაშენებლად წაუღიათ.

გ. სოფ. რუსთავში დაუნგრევიათ ძველი ეკლესიის გალავანი, სასაფლაოდან ამოუღიათ ძველი აკლდამის დიდრონი ქვები და იქაც მთელი ეს მასალა სკოლის ასაშენებლად წაუღიათ.

დ. სოფ. ერედვის ბოლოზე მდგომი, ე.წ. წითელი საყდრის მშვენიერი შენობა, რომელსაც მრავალად ჰქონია წარწერიან-ქანდაკებიანი ქვები, ნაწილობრივ დაუნგრევიათ, მისი მოწითალო ფერის თლილი ქვები წაუღიათ და სოფ. ერედვის წყაროს შენობისათვის მოუხმარებიათ.

ე. სოფ. ატოცის აღმოსავლეთით (½-⅓ ვერსტზე), ტყეში მდგომი წმ. გიორგის ეკლესია დაუქცევიათ სოფ. ხაბელაანთ უბნელებს და სახლების საშენებელ მასალად წაუღიათ.

ვ. სოფ. ყორნისში ერთ გლეხ-კაცს, სოსიკო ჩიხოევს, რომელიღაც ძველი შენობიდან მოეტანა დიდი ქვა ქართული მხედრული წარწერით (XVIII ს.) და ბუხრის უკანა კედელში დაეტანებინა აყუდებით.

ეკლესიების და ძველი შენობების დაქცევა, კერძო პირთაგანაა იგი თუ ზოგიერთ ხელისუფლების მქონეთაგან, საზოგადო ხასიათს ღებულობს.

დღეს განზრახვა აქვთ, დააქციონ სკოლის მასალად დიდებული მრავალი შენობანი: ძაღინის ციხე – გამართული კოშკით, ეკლესიით, მარნით, საცხოვრებელი შენობებით და სხვა.

არც საეკლესიო საისტორიო ნივთებს დაჰყრიათ ხეირი.

მთელ სამხრეთ-ოსეთში დანგრევას გადარჩენილ ეკლესიათა უმრავლესობა გაშარავებულია და შიგ, ვინც უნდა, შევა და რასაც უნდა, წაიღებს, თუკი-ღა რამე დარჩა.

იშვიათია ეკლესია, რომ ერთხელ მაინც არ იყოს გაძარცული; არის ისეთებიც, რომლებიც ხუთჯერაც ყოფილან გაძარცულნი (ჭარებისა).

ეკლესიის ქონებრივი დაცარიელება დაწყებულა 1918 წ. და მას აქეთ თანდათან მთლად განადგურებულა. პირველად, რა საკვირველია, დაღუპულა ოქრო-ვერცხლი და შემდეგ სხვა სამკაულიც. დღეს ბევრს ეკლესიაში ვეღარაფერსა ვნახავთ, ცარიელი კედლების მეტს (იკორთა, თიღვა, წუნარი და სხვ.) და ზოგან თვით კედლებიც კი განადგურების მიზნით ჩამოუქცევ-ჩამოუნგრევიათ ვიეთთამდე მოძალადე ხელებს (თიღვა).

ა. საშინელ სურათს წარმოადგენს იკორთა შიგნით. ეს გარედან ადამიანის მომადლებული მშვენიერების და მაღალი ხელის ნამოქმედარი ძეგლი, შიგნით მთლად შემოძარცულია. მასში რამოდენიმე (3 თუ 4) საფლავიც კი შეუძრავთ (XVI ს. პირველ ნახევრის ქსნის ერისთავების საფლავებიდან აუღიათ თუჯის ფიქალი: ერთი – ეკლესიის შიგნით და ორი – გარეთ; ერთი გაუტეხიათ და გადაუყრიათ და მეორე ეკლესიაში აუყუდებიათ და მესამე ისევ ზედვე დაუდვიათ) და სხვა ქონებას რას დააყენებდნენ; იქიდან ქონება სამჯერ გაუტანიათ. პირველად ყაჩაღებს გაუტანიათ 1922 წ. ნოემბერის 6 (მათში ყოფილა ძველი შესამოსები); მეორედ წაუღია ცხინვალის კომპარტიას (თოფები, თუთიის ფურცლები და სხვ.); მესამედ – ადგილობრივ კომპარტიას (ოქმი №15). სახურავიდან ქარის მიერ აყრილი ფურცლებიც კი არ დაუყენებიათ ადგილობრივ და ცხინვალში გადაუტანიათ და უძვირფასეს ისტორიულ ძეგლს რამდენიმე ძლიერი წვიმა საბედისწეროდ დააზიანებს და დაქცევა-განადგურების გზაზე დააყენებს. დღეს ეკლესია თეატრად არის გადაკეთებული.

ბ. ნულის, ერკნეთის, ოქონის ეკლესიები გაუძარცვავთ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ხანებში.

გ. ავნევის ეკლესია გაუძარცვავთ 1922 წ. აპრილის დამლევს.

დ. ერედვის ეკლესია გაუძარცვავთ 1922 წ.

ე. ბელოთის ეკლესია გაუძარცვავთ 1921 წ. გაზაფხულზე, 1922 წ. სექტემბერში.

ვ. აძვის ეკლესია გაუძარცვავთ 1924 წ. იანვარ-თებერვალში.

ზ. ჭარების ეკლესია გაუძარცვავთ ხუთჯერ – 1918 წლიდან დღევანდლამდე და სხვა.

მათში ყველაზე დიდი დანაკლისია ბელოთის და ერედვის ეკლესიების ნივთების დაკარგვა. პირველიდან (ბელოთი) ყაჩაღებს გაუტაცნიათ მრავალი ძველი ვერცხლის ჭურჭელი: სურები, თასები, ბარძიმ-ფეშხუმები, ბეჭდები, მათში – იულონ ბატონიშვილის შეწირული ბარძიმ-ფეშხუში და სხვ. და, აგრეთვე, ძველი შესამოსი. გარდა ამისა, ამავე ეკლესიაში ყაჩაღებს მთლად შემოუძარცვიათ კანკელის დიდი ხატი მაცხოვრისა, რომელსაც თავს სდგმია ოქროს შარავანდედი და თვით მთელი ხატი ვერცხლში მჯდარა (სახისა და ხელის ადგილის გარდა), ვერცხლზევე ჰქონია დიდი წარწერა; გადმოცემით, იგი შემკულა იულონ ბატონიშვილის მიერვე. მეორე ეკლესიიდან კი (ერედვის ბერუაანთ უბნის მცხეთის ჯვრის ეკლესიიდან) – ვაზის ჯვარი, შეჭედილი ვერცხლით და შემკული წარწერით, ძველი ხელოვნებისა, დაახლოებით ¾x½ არშინი ზომისა.

ანტირელიგიური მოძრაობის ხანაში დაუხვევიათ ბელოთის ეკლესიაში დასვენებული ძველი ქართული საომარი დროშა, რომლის

ქვეშაც, ხალხის გადმოცემით, იბრძოდა იულონ ბატონიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში. აღნიშნულ დროშაზე ადრე, ვიღაც პირებს დაუხევიათ, აგრეთვე, ძველი ქართული საომარი დროშები გერისა – 2 ცალი.

ასეთია აღნიშნულ კუთხეში საზოგადო მდგომარეობა ისტორიულ ძეგლთა.

იქ ძველი ქართული კულტურა დღითი დღე ისპობა და ქრება.

თუ ასეთ ნგრევასა და განადგურებას განიცდიან ისტორიული ძეგლები და ნივთები, არა ნაკლებ გაქრობის გზაზე დამდგარა ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი აღნიშნული კუთხისა. ბევრ ადგილას ძველი სახელი აღარც კი ახსოვთ.

სოფ. რუსთავის ჩრდილო-დასავლეთით მდგომი დიდი ციხის („ცაქა ციხე") სახელი სოფლის უმრავლესობას აღარ ახსოვდა, სანამ ერთმა მოხუცმა კაცმა არ მითხრა იგი.

ძველი ქართული მოსახლეობის ადგილზე დღეს მთლად ოსობაა დასახლებული და ქართული მოსახლეობის მოსპობასთან ერთად, ქართული სახელწოდებანიც ნასახლართა, ციხეთა, ეკლესიათა, სოფელთა, ადგილთა და სხვ. უმეტეს ნაწილად ჰქრებიან, ხოლო ნაწილობრივ საშინლად მახინჯდებიან დღევანდელი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ჩემი მოგზაურობისას გავიგე რამდენიმე სოფლის და ეკლესიის სახელი, რომლებიც ისე არიან დამახინჯებული, რომ დრო-ჟამის შემდეგ ადამიანი მათ ნამდვილ სახელს ვეღარც კი ამოიცნობს. ერთ სოფელს ერთმა ოსმა უწოდა კტანა, მეორემ – ოხტანა, მესამემ – ახტანა, როდესაც რომ, ქართველ გლეხთა სიტყვით, ნამდვილად იგი ყოფილა ვახტანა (იქ უწინ ვახტანგ მეფეს უცხოვრია).

კიდევ სხვა სოფელს ოსები და ზოგიერთი ქართველებიც უწოდებენ „ხოდა"-ს, ხოლო სხვა ქართველები „კოდა"-ს.

აგრეთვე, ერთ ეკლესიას ოსები უწოდებენ „გომართობას", როდესაც, ქართველებისავე სიტყვით, იგი ყოფილა გომარეთის ჯვარი, ანუ გომარეთის ეკლესია.

სხვა სოფელს ზოგიერთი ოსები უწოდებენ ჯაღინას, მეორენი – ძაღინას, და ნამდვილად ძაღინა ყოფილა.

ასეთ მდგომარეობაშია ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი აღნიშნულ კუთხისა და ამას ხელს უწყობს ქართველი მოსახლეობის სიმცირე და, ამასთანავე, მათი გადაგვარების გზაზე დადგომა.

ახლა შევეხები ჩემს მუშაობას აღნიშნულ კუთხეში.

მე დავათვალიერე და ავწერე მრავალი ისტორიული ძეგლი, მაგრამ ნივთები მათში ძლიერ მცირე რიცხვად აღმოჩნდა. ჩემ მიერ აღწერილი ნივთები სულ შეიცავენ 50-60 ნომერს; მათი უმეტე-

სობა მე გადავიტანე ცხინვალის ცენტრალურ აღმასკომში და ვუპირებდი ტფილისში წამოღებას, მაგრამ ცხინვალის აღმასკომმა არ დამანება, ადგილობრივ მუზეუმის გახსნას ვაპირებთო. სამი დღის ლოდინის შემდეგ მათგან ძლივს მივიღე სამი ქართული ბაირაღი, დანარჩენი იქვე დარჩა.

ჩემ მიერ მოგროვილი სიძველეების დიდი უმრავლესობა წმინდა ქართული კულტურის ნაყოფს წარმოადგენს და არც ერთი მათგანი, მით უმეტეს ხელნაწერები (ქართული, სომხური) და ისტორიული ჯვარი სოფ. სნეკვის ეკლესიისა (ერთ დროს ტყვედ წარტაცებული სპარსეთად და შემდეგ ისევ უკან დაბრუნებული) და სხვ. არ შეიძლება დატოვებულ იქნეს ადგილობრივ და აუცილებლივ უნდა გადმოტანილ იქნეს ქ. ტფილისს.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა:

ა. ეთხოვოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასკომს, რომ ჩემ მიერ აღწერილი ნივთები გადმოგზავნილ იქნეს ქ. ტფილისს.

ბ. ეთხოვოს მასვე, სასტიკი თვალყურის ჭერა როგორც ჩემ მიერ აღწერილ, აგრეთვე ჯერედ აუწერელ ძეგლებისა.

გ. ეთხოვოს მასვე, გადახურონ დაზიანებული სახურავი იკორთის ეკლესიისა, რომლის სახურავიდან ქარის მიერ აყრილი თუთიის ფურცლები ოლქის კომპარტიის მიერ ცხინვალშია გადატანილი.

დ. ეთხოვოს მასვე, გასცენ განკარგულება, რომ არ შეეხონ ძაღინის ციხეს და მის შენობებს, რომელსაც სკოლის მასალად უპირებენ დაქცევას.

ე. მოხდეს სრული რეგისტრაცია მთელ სამხრეთ ოსეთის ისტორიულ ძეგლთა.

ვ. დაინიშნოს კომისია მთელ სამხრეთ ოსეთის სიძველეთა დაწვრილებით აღსაწერად, ძეგლთა და სხვ. სურათების, წარწერების და ფრესკების გადმოსაღებად, ძველ გეოგრაფიულ სახელთა აღსანუსხავად და სხვ.

ამასთანავე, ვადგენ ჩემ მიერ შედგენილ ოქმების თითო ცალს, ისტორიულ ძეგლთა სიას და განცხადების პირს, რომელიც წარვუდგინე სამხეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასკომს.

სია

სამხრეთ ოსეთის სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის ზოლის ისტორიულ ძეგლთა

1. ცხინვალის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესია.
2. ცხინვალის სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესია.

3. ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლიახვის მარცხენა მხარის მთის ფერდობის გამოქვაბულები.

4. სოფ. ხეითის კოშკი.

5. სოფ. ხეითის საბაწმინდის ეკლესია, თავის მახლობელი დიდი ციხითა და შენობათა ნანგრევებით.

6. სოფ. ხეითის თავზე მდგომი კლდე-ციხე – სამების ანუ ე.წ. „სამოლოზნო" ეკლესიით.

7. სოფ. ხეითის თავზე მთის ფერდობის გამოქვაბულები.

8. სოფ. ხეითის თავზე მდგომი ე.წ. სვეტი.

9. სოფ. დგვრისის კოშკი.

10. სოფ. აჩაბეთის კოშკი.

11. სოფ. თამარაშენის კოშკის ნანგრევები.

12. სოფ. თამარაშენის დასავლეთის მხარეს, გორაკზე მდგომი ძველი ეკლესიები და მათი ნანგრევები.

13. სოფ. მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია სამრეკლოთი და სხვა ყველა შენობებით და ნანგრევებით.

14. სოფ. დოდოთის ცხრა-კარა, ყველა თავისი ნანგრევებით.

15. სოფ. რუსთავის ეკლესია, თავის გალავნით.

16. სოფ. რუსთავის მახლობელი „ცაქა ციხე".

17. ეგრას ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები.

18. კარაშეთის ეკლესია თავისი გალავნით.

19. სოფ. ყორნისის ე.წ. „გვერდა"-ს ეკლესია.

20. სოფ. ყორნისის მარიამის თუ კვირაცხოვლის (?) ეკლესია.

21. სოფ. ყორნისის სამების ეკლესია.

22. სოფ. ყორნისის კოშკები – 8.

23. სოფ. ყორნისის ნანგრევები ებრაელთა სინაგოგისა.

24. ორმოთხევის ეკლესია.

25. წოისის ეკლესია.

26. მალდას ეკლესია და კოშკი.

27. წორბისის ეკლესია.

28. წორბისის კოშკი.

29. გომარეთის წმ. გიორგის ეკლესია მთაზე.

30. ვახტანას ღვთისმშობლის ორი ეკლესია.

31. სოფ. თერელვანის ორი ეკლესია.

32. სოფ. ძაღინის ყოვლად წმიდის ეკლესია.

33. სოფ. ძაღინის ამაღლების ეკლესია.

34. სოფ. ძაღინის მაცხოვრის ეკლესია.

35. სოფ. ძაღინის ციხე.

36. სოფ. ძაღინის გომარეთის ციხე, ეკლესიით, მარნით და სხვა შენობით, ნანგრევები.

37. სოფ. ლისის ციხე და ეკლესია მთაზე.
38. სოფ. ოჯორის ეკლესია.
39. სოფ. ოჯორის და ლისის ცხრა-კარა ეკლესია, ყველა თავისი ნანგრევებით.
40. სოფ. ლარისთავის ეკლესიის ნანგრევები.
41. სოფ. თიღვას განაპირას მდგომი ე.წ. „ტრანკაანთ საყდარი".
42. სოფ. თიღვას ე.წ. „ჯინჭრების საყდარი".
43. სოფ. თიღვას ღვთისმშობლის ეკლესია, თავის გალავნით და წყაროს შენობებით.
44. სოფ. თიღვას წმ. ნინოს ეკლესია.
45. სოფ. თიღვას ბოლოს ნანგრევები ძველი ეკლესიისა.
46. სოფ. სუნისის წმ. გიორგის ეკლესია.
47. სოფ. ნაბაკევის ე.წ. „წერეთი"-ს ეკლესია.
48. სოფ. წიფლითის ეკლესია.
49. სოფ. ფათქინეთის წმ. ელიას ეკლესია.
50. სოფ. ფათქინეთის წმ. გიორგის ეკლესია.
51. სოფ. ბალთის სამი ეკლესია.
52. სოფ. ქალეთის ეკლესიის ნანგრევები.
53. სოფ. წყვდელისის ეკლესია.
54. სოფ. შინდარის ეკლესია.
55. სოფ. ხუნდისუბნის ეკლესია.
56. სოფ. ტყისუბნის ეკლესია.
57. სოფ. სხლითის ღვთისმშობლის ორი ეკლესია.
58. სოფ. გიორგიწმიდის წმ. გიორგის ეკლესია.
59. სოფ. ოქონის ეკლესია, ძველი ეკლესიის ნანგრევებით.
60. სოფ. მეტეხის მთავარანგელოზის ეკლესია.
61. სოფ. ფრინევის ღვთისმშობლის ეკლესია.
62. სოფ. დვანის ეკლესია-ციხე.
63. სოფ. ავნევის ღვთისმშობლის ეკლესია.
64. სოფ. ავნევის ციხე-გალავანი.
65. სოფ. ნულის ივანე და მისი ძმების დოღლაძეების ციხე-გალავანი, საცხოვრებელი სახლები, გომი და სხვ. შენობები და ნანგრევები (სოფლის თავზე).
66. სოფ. ნულის წმ. მარინეს ეკლესია.
67. სოფ. ნულის წმ. გიორგის ეკლესია ყველა თავისი ნანგრევებით.
68. სოფ. ერკნეთის ღვთისმშობლის ეკლესია.
69. „კოდა"-ს (ხოდას) ეკლესია.
70. სოფ. წუნარის ეკლესია.
71. სოფ. ტბეთის ეკლესიის ნანგრევები.
72. სოფ. ტბეთის სამი კოშკი.

73. სოფ. კუსირეთის ეკლესია და მის მახლობლად მდგომი კოშკი.
74. სოფ. ფრისის ღვთისმშობლის ეკლესია.
75. სოფ. ერედვის ბერუაანთ უბნის ციხის ნანგრევები.
76. სოფ. ერედვის ბერუაანთ უბნის ელიას ეკლესია.
77. სოფ. ერედვის ბერუაანთ უბნის ბერის საყდარი.
78. სოფ. ერედვის ბერუაანთ უბნის „მცხეთის ჯვრის“ ეკლესია.
79. სოფ. ერედვის წმ. გიორგის ეკლესია თავის გალავნით.
80. სოფ. ერედვის ბოლოს ე.წ. „წითელი საყდარი“.
81. სოფ. ერედვის ბოლოს ე.წ. „ქვაბთა“ ეკლესია.
82. ვანათის ანუ დმენისის მაცხოვრის ეკლესია.
83. ვანათის ანუ დმენისის ციხე-გალავანი ყველა თავისი შენობით.
84. ვანათის ანუ დმენისის გამოქვაბულები.
85. ვანათის ძველი ეკლესია.
86. ვანათის ე.წ. „წირაფის“ ეკლესია.
87. სოფ. გერის წმ. გიორგის ეკლესია მთაზე.
88. სოფ. ყლარსის მიქელ-გაბრიელის ეკლესია თავისი ნანგრევებით.
89. სოფ. ყლარსის კოშკი და კოშკის ნანგრევები.
90. სოფ. მარალეთის კოშკი.
91. სოფ. შელევრის კოშკის ნანგრევები.
92. სოფ. ხადურიანთ კარის კოშკი.
93. სოფ. ბელოთის მაცხოვრის ეკლესია, მის გარშემო მდგომი ციხე-გალავნით და სხვა შენობათა ნანგრევებით.
94. სოფ. ზონკარის ეკლესია.
95. სოფ. შამბიეთის ეკლესია.
96. სოფ. შულავერის ეკლესია.
97. სოფ. ანრის-ხევის ეკლესია.
98. სოფ. ანრის-ხევის კოშკი.
99. „ფუხალის ციხე“ ანუ ჩიჩოშვილების კოშკი.
100. სოფ. სოჭინის ეკლესია.
101. სოფ. სნეკვის ეკლესია.
102. სოფ. ჭარების ეკლესია.
103. სოფ. ჭარების კოშკი, წოდებული „გაბუაანთ ციხე“-დ.
104. სოფ. ჭარების დიდი ეკლესიის ნანგრევები.
105. სოფ. სათიხარის ეკლესია.
106. სოფ. სათიხარის კოშკი.
107. სოფ. ქსუისის მთავარანგელოზის ეკლესია.
108. სოფ. ყულბითის ღვთისმშობლის ეკლესია.
109. სოფ. დისევის სვეტიცხოველის ეკლესია.
110. სოფ. დისევის „წოწოლა ციხე“.

111. სოფ. იკორთას ეკლესია, ციხე-გალავნებით და კოშკებით.
112. ზემო იკორთას ეკლესია.
113. სოფ. აძვის ღვთისმშობლის ეკლესია.
114. სოფ. აძვის სამების ეკლესია.
115. სოფ. ქლივანას ღვთისმშობლის ეკლესია.
116. სოფ. ბიეთის წმ. თევდორეს ეკლესია.
117. ბიყარის ეკლესია.
118. ნაქალაქევის ეკლესია.
119. თხინვალის უსანეთის ეკლესია.
120. ლეკოანის ეკლესია (ბენდერის და წიფორის შუა).
121. ბენდერის ჭრიას ეკლესია.
122. ისროლის ხევის ეკლესია.
123. ტბის ციხე.
124. ციხის უბნის ეკლესია და ციხე.
125. საყვირეთის მონასტრის შენობათა ნანგრევები.
126. მერიის ღვთისმშობლის ეკლესია.
127. ქოლოთის ეკლესია.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო
კომიტეტის რწმუნებული გ. ბოჭორიძე
1924 წ. ივნისის 18
ქ. ტფილისი

ოქმი №15

ა) სახურავიდან ქარის მიერ აყრილი ფურცლებიც კი არ დაუყენებიათ ადგილობრივ და ცხინვალში გადაუტანიათ და უძვირფასეს ისტორიულ ძეგლს რამდენიმე ძლიერი წვიმა საბედისწეროდ დააზიანებს და დაქცევა-გადადგურების გზაზე დააყენებს. დღეს ეკლესია თეატრად არის გადაკეთებული.

ბ) ნულის, ერკნეთის, ოქონის ეკლესიები გაუძარცავთ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ხანებში.

გ) ავნევის ეკლესია გაუძარცვავთ 1922 წ. აპრილის დამლევს.

დ) ერედვის ეკლესია გაუძარცვავთ 1922 წ.

ე) ბელოთის ეკლესია გაუძარცვავთ 1921 წ. გაზაფხულზე და 1922 წ. სექტემბერში.

ვ) აძვის ეკლესია გაუძარცვავთ 1924 წ. იანვარ-თებერვალში.

ზ) ჭარების ეკლესია გაუძარცვავთ ხუთჯერ, 1918 წ. — დღევანდლამდე და სხვ.

ამათში ყველაზე დიდი დანაკლისია ბელოთის და ერედვის ეკლესიების ნითების დაკარგვა. პირველიდან (ბელოთი) ყაჩაღებს გაუტაცნიათ მრავალი ძველი ვერცხლის ჭურჭელი, სურები, თასები, ბარძიმ-ფეშხუმები, ბეჭდები და სხვა, მათში იულიონ ბატონიშვილის შეწირული ბარძიმ-ფეშხუმი და სხვ.; გარდა ამისა, ამავე ეკლესიაში ყაჩაღებს მთლად შემოუძარცვიათ კანკელის დიდი ხატი, ვერცხლში მჯდარა (სახისა და ხელის ადგილის გარდა), ვერცხლზევე ჰქონია დიდი წარწერა; გადმოცემით, იგი შემკული ყოფილა იულონ ბატონიშვილის მიერვე. მეორე ეკლესიიდან კი (ერედვის ბერუაანთ უბნის მცხეთის ჯვრის ეკლესიიდან) – ვაზის ჯვარი შეჭედილი ვერცხლით და შემკული წარწერით, ძველი ხელოვნებისა, დაახლოებით ¾ x½ არშ. ზომისა.

ანტირელიგიოზურ მოძრაობის ხანაში დაუხევიათ ბელოთის ეკლესიაში დასვენებული ძველი ქართული საომარი დროშა, რომლის ქვეშაც, ხალხის გადმოცემით, იბრძოდა იულონ ბატონიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში. აღნიშნულ დროშაზე ადრე, ვიღაც პირებს დაუხევიათ, აგრეთვე, ძველი ქართული საომარი დროშები გერისა — 2 ცალი.

ასეთია აღნიშნულ კუთხეში საზოგადო მდგომარეობა ისტორიულ ძეგლთა.

იქ ძველი ქართული კულტურა დღითი დღე ისპობა და ქრება.

თუ ასეთ ნგრევასა და განადგურებას განიცდიან ისტორიული ძეგლები და ნივთები, არა ნაკლებ გაქრობის გზაზეა დამდგარი ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი აღნიშნული კუთხისა. ბევრ ადგილას ძველი სახელი აღარც კი ახსოვთ.

სოფ. რუსთავის ჩრდილო-დასავლეთით მდგომი დიდი ციხის (ცაქა ციხე) სახელი სოფლის უმრავლესობას აღარ ახსოვდა, სანამ ერთმა მოხუცმა კაცმა არ მითხრა იგი.

ძველი ქართული მოსახლეობის ადგილზე დღეს მთლად ოსობაა დასახლებული და ქართული მოსახლეობის მოსპობასთან ერთად, ქართული სახელწოდებანიც ნასახლართა, ციხეთა, ეკლესიათა, სოფელთა, ადგილთა და სხვ. უმეტეს წილად ჰქრებიან, ხოლო ნაწილობრივ საშინლად მახინჯდებიან დღევანდელი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ჩემი მოგზაურობისას გავიგე რამდენიმე სოფლის და ეკლესიის სახელი, რომლებიც ისე არიან დამახინჯებული, რომ დრო-ჟამის შემდეგ ადამიანი მათ ნამდვილ სახელს ვეღარც კი ამოიცნობს. ერთ სოფელს ერთმა ოსმა უწოდა კტანა, მეორემ ხტანა, მესამემ ახტანა, როდესაც რომ ქართველ გლეხთა სიტყვით, ნამდვილად იგი ყოფილა ვახტანა (იქ უწინ ვახტანგ მეფეს უცხოვრიაო).

კიდევ სხვა სოფელს ოსები და ზოგიერთი ქართველებიც უწოდებენ „ხოდა"-ს, ხოლო სხვა ქართველები „კოდა"-ს.

აგრეთვე ერთ ეკლესიას ოსები უწოდებენ „გომართობა", როდესაც, ქართველებისავე სიტყვით, იგი ყოფილა გომარეთის ჯვარი, ანუ გომარეთის ეკლესია.

სხვა სოფელს ზოგიერთი ოსები უწოდებენ ჯაღინას, მეორენი ძაღინას, და ნამდვილად იგი ძაღინა ყოფილა.

ასეთ მდგომარეობაშია ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი აღნიშნულ კუთხისა და ამას ხელს უწყობს ქართველი მოსახლეობის სიმცირე და, ამასთანავე, მათი გადაგვარების გზაზე დადგომა.

ახლა შევეხები ჩემს მუშაობას აღნიშნულ კუთხეში.

მე დავათვალიერე და ავწერე მრავალი ისტორიული ძეგლი, მაგრამ ნივთები მათში ძლიერ მცირე რიცხვად აღმოჩნდა. ჩემ მიერ აღწერილი ნივთები სულ შეიცავენ 50-60 ნომერს. მათი უმეტესობა მე გადავიტანე ცხინვალის ცენტრ. აღმასკომში და ვუპირებდი ტფილისში წამოღებას, მაგრამ ცხინვალის აღმასკომმა არ დამანება, ადგილობრივ მუზეუმის გახსნას ვაპირებთო. სამი დღის ლოდინის შემდეგ, მათგან ძლივს მივიღე სამი ქართული ბაირაღი, დანარჩენი იქავე დარჩა.

ჩემ მიერ მოგროვილი სიძველეების დიდი უმრავლესობა წმინდა ქართული კულტურის ნაყოფს წარმოადგენს და არც ერთი მათგანი, მით უმეტეს ხელნაწერები (ქართულ-სომხური) და ისტორიული ჯვარი სოფ. სნეკვის ეკლესიისა (ერთ დროს ტყვედ წარტაცებული სპარსეთად და შემდეგ ისევ უკან დაბრუნებული) და სხვ. არ შეიძლება დატოვებულ იქნეს ადგილობრივ და აუცილებლივ უნდა გადმოტანილ იქნენ ქ. ტფილისს.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა:

ა) ეთხოვოს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრ. აღმასკომს, რომ ჩემ მიერ აღწერილი ნივთები გადმოგზავნილ იქნენ ქ. ტფილისს.

ბ) ეთხოვოს მასვე, სასტიკი თვალყურის ჭერა, როგორც ჩემ მიერ აღწერილ, აგრეთვე ჯერედ აუწერელ ძეგლებისა.

გ) ეთხოვოს მასვე, გადახურონ დაზიანებული სახურავი იკორთის ეკლესიისა, რომლის სახურავიდან ქარის მიერ აყრილი თუთიის ფურცლები ოლქის კომპარტიის მიერ ცხინვალშია გადატანილი.

დ) ეთხოვოს მასვე, გასცენ განკარგულება, რომ არ შეეხნენ ძაღინის ციხეს და მის შენობებს, რომელსაც სკოლის მასალად უპირებენ დაქცევას.

ე) მოხდეს სრული რეგისტრაცია მთელ სამხრეთ-ოსეთის ისტორიულ ძეგლთა.

ვ) დაინიშნოს კომისია მთელ სამხრეთ-ოსეთის სიძველეთა დანვრილებით აღსაწერად, ძეგლთა და სხვ. სურათების, წარწერების და ფრესკების გადმოსაღებად, ძველ გეოგრაფიულ სახელთა აღსანუსხავად და სხვ.

ამასთანავე ვადგენ ჩემ მიერ შედგენილ ოქმების თითო ცალს, ისტორიულ ძეგლთა სიას და განცხადების პირს, რომელიც წარვუდგინე სამხრეთ ოსეთის ცენტრ. აღმასკომს.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო
კომიტეტის რწმუნებული გ. ბოჭორიძე
1924 წ. ივნისის 18-ს

სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ს

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის ექსპერტის გიორგი ბოჭორიძის განცხადება

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის დავალებით (სამხრეთ-ოსეთის ძეგლთა დათვალიერების 1924 წლის 12 მაისის მანდატი №9109), მე დავათვალიერე სამხრეთ-ოსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი ზოლები. მათ შერჩენია მრავალი ძვირფასი, ძალიან ძველი, ძეგლი. არის ეკლესიები და კოშკები, რომელთაც თამამად შეიძლება ეწოდოს მსოფლიო ისტორიული ძეგლები. ყველა ეკლესიის გვირგვინი და სამკაულია იკორთის, თიღვის, მონასტრის ეკლესიები, ციხე-სიმაგრეთაგან და კოშკთაგან კი – ძაღინას, ყორნისის, ხეითის და სხვა. ეკლესიებსა და ეკლესიათა ნანგრევებს მრავლად შერჩენილი აქვს ფრესკები, წარწერები და ორნამენტები.

დიდად სამწუხაროდ, ისტორიულ ძეგლთა და ნივთთა ნაწილი განადგურდა რევოლუციის დროს. ცნობილი ტბეთის ისტორიული ეკლესია მთლიანად არის დანგრეული. ეს ძალიან დიდი დანაკარგია ისტორიისა და მეცნიერებისათვის. ყოფილი ისტორიული ძეგლის ადგილზე დღეს დგას შენობის მსგავსი, ირგვლივ შემოძარცვული, გაშიშვლებული დუღაბი, რომელიც აერთიანებდა და იჭერდა ძეგლის გარეთა და შიგნითა ქვებს. საკურთხევლის ფრესკებიანი კედლების გადარჩენილი ნაწილი ხმამაღლა ღაღადებს თავის მწარე ხვედრზე. ამ დიდებული ძეგლის ფრესკებით, წარწერებით და ორნამენტებით დამშვენებული ქვები ცხინვალშია წაღებული და მათ-

გან აშენებულია აბანო: შენობის საძირკველში ჩადებულია ჩვიდმეტი ორნამენტებიანი, წარწერებიანი და ფრესკებიანი ქვა, ეზოში კი (მდ. ლიახვის ნაპირზე) თორმეტი ასეთი ქვა ყრია. დანგრეულია ორი ძველი ნაგებობა ყორნისში, ასევე სხვა ადგილებში.

მთლიანად განადგურებულია იკორთის ცნობილი ეკლესია: აქ, გამოჩენილ ისტორიულ პირთა – შალვა, ბიძინა და ელიზბარ ერისთავთა საფლავებზე მომტვრეულია გისოსები, ორი საფლავიდან აღებულია თუჯის ფიქალები, დამტვრეულია მთელი კანკელი და ნივთები გაზიდულია მთლიანად, ძეგლის სახურავიდან მოგლეჯილია თუნუქის ფურცლებიც კი, ნაცვლად იმისა, რომ შეეკეთებინათ უძვირფასესი ისტორიული ძეგლის სახურავი და დაეცვათ იგი გაფუჭებისა და დანგრევისაგან. ძალიან სამწუხაროა.

ისევე, როგორც იკორთის ეკლესიის ნივთებისაგან, სამხრეთ-ოსეთის სხვა ეკლესიის ნივთებიდანაც თითქმის არაფერია დარჩენილი. მათი უმეტესი ნაწილი რევოლუციის დროს განადგურდა, 1918 წლის შემდგომ.

ახლა შევეხები ჩემს მუშაობას ამ მხარეში. დროის სიმცირის გამო მე ვერ დავათვალიერე მთელი სამხრეთ-ოსეთი. ჩემს მიერ შედგენილი და თან დართული ძეგლთა სია არასრულია: სამხრეთ-ოსეთის მთები და ველები, ტყეები და მინდვრები მოფენილია ისტორიული ძეგლებითა და ნანგრევებით. როგორც ჩემს სიაში აღნიშნული ძეგლები, ასევე ისინი, რომელთა დათვალიერებაც მე ვერ მოვახერხე, ისტორიისა და მეცნიერებისათვის თავისი უდიდესი მნიშვნელობის გამო, ძალიან მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

საერთოდ, არცერთ ძველ ნაგებობას არ უნდა ახლოს ხელი ვინმემ და, მითუმეტეს, არ უნდა დაანგრიოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის ნებართვის გარეშე.

და ბოლოს, ცხინვალის მშენებარე აბანოს საძირკვლიდან ამოღებულ უნდა იქნას ტბეთის ასომთავრული წარწერებით დამშვენებული ქვა. ასევე, შენობის შიგნით და მდ. ლიახვის ნაპირზე მდებარე წარწერებიან, ორნამენტებიან და ფრესკებიან ყველა ქვას თავი უნდა მოეყაროს სადმე ერთ შენობაში და დაცულ უნდა იქნეს.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის
ექსპერტი გ. ბოჭორიძე
1924 წლის 1 ივლისი
ქ. ცხინვალი

საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქეოლოგიო სექციას

ამავე სექციის წევრის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილობისა (მანდატი სიძველ. და ხელ. ძეგ. დაცვის კომიტეტისა 1924 წ. მარტის 27, №6137), მე მოვიარე გორის მაზრა და ავღწერე იქაური ისტორიული ძეგლები და ნივთები. ნაწილი ნივთებისა უკვე გადმოვიტანე ტფილისს, ხოლო მეორე ნაწილი იძულებული ვიყავ ადგილობრივვე დამეტოვებინა, რადგანაც მათი წამოღება გამოიწვევდა ხალხის მღელვარებას და შფოთს.

ისტორიულ ძეგლებში რამდენიმე უპატრონობისაგან ზიანდება; ასეთებია ტიმოთესუბნის და იკორთის ეკლესიები. საჭიროა მათი შეკეთება.

ამ მოგზაურობის დროს (ივნისის 30-დან ივლისის 5-მდე) ჩემ მიერ აღმოჩენილია დღემდე უცნობი ისტორიული ძეგლები და წარწერები:

1. სოფ. ნოსტეს ზევით, ტყეში, წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში აღმოჩნდა კანკელის ქვები შემკული ხატებით, ფრინველთა სახეებით და ჩუქურთმებით. სულ არის 18 ქვა. ამ საქმეში დახმარება გამინია სოფ. ახალციხის მცხოვრებმა ბარნაველმა.

2. სოფ. ხოვლეს დასავლეთით, ავკეთის ეკლესიაშიც აღმოჩნდა ქვის კანკელი მხატვრობით და წარწერებით.

3. სოფ. ზემო ხანდაკის წმ. თევდორეს ეკლესიაში აღმოჩნდა კანკელის ხუთი ჩუქურთმიანი ქვა, მათში ერთი მეტად მშვენიერია.

4. სოფ. კავთისხევის ე.წ კატაულას ეკლესიაში აღმოჩნდა სვეტი ქვისა, შემკული ხატებით და წარწერით, რომელშიაც იხსენიება „გრიგოლ ვიპატოსი". ცნობა ამ ძეგლის შესახებ გადმომცა გ. ჩაჩანიძემ.

5. სოფ. პარატისში (კავთისხევის ზევით) აღმოჩნდა ქვა, რომელზედაც გამოსახულია ვინმე პირი წარწერით „რუსთველი ..."

ყველა ზემოაღწერილი ქვები დაუყოვნებლივ უნდა გადმოტანილ იქნენ დასაცავად ქ. ტფილისს.

სექციის წევრი გიორგი ბოჭორიძე.
1924 წ. ივლისის 14-ს.
ქ. ტფილისი.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილებას

ამავე განყოფილების რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილობისა (მანდატები სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტისა 1924 წ. მარტის 27, №6137; აპრილის 3, №65467; მაისის 12, №9099; მაისის 12, №9109 და ოქტომბრის 1, №19097) მოვიარე და აღვსწერე ქართლის – გორისა და დუშეთის მაზრების და სამხრეთ ოსეთის (ქნის და მეჯუდის ხეობათა) ისტორიული ძეგლები და ნივთები. ფრიად ძნელი იყო ეს საქმე. ბევრს ადგილას ხალხი ნებას არ მაძლევდა ეკლესიაში შესვლისა და სიძველეთა აღწერისას იმ აზრით, რომ შემდეგ წაგვართმევეთო. და მიუხედავად ამგვარ დაბრკოლებათა, ისტორიული ნივთებით შესანიშნავი ეკლესიები ერთის გარდა (ერთანწმიდა) თითქმის ყველა აღწერილ იქნა.

რაც შეეხება აღწერილ ნივთების ტფილისში ჩამოტანას, საქმე ამგვარად არის.

გორის მაზრის ისტორიულ ნივთების უმრავლესობა უკვე ჩამოტანილია, ხოლო ზოგიერთ ეკლესიებში ხალხის ღელვის თავიდან ასაცილებლად ჩემ მიერ დატოვებულ იქნა მათი მთავარი სალოცავი ხატები (რუისი, ურბნისი, საქაშეთი, შინდისი, არბო, ნოსტე, ატოცი და სხვ.); სოფ. მეტეხში კი ხალხმა არ დამანება არც ერთი მცირედ მნიშვნელოვანი ისტორიული ნივთიც კი; სოფ. ერთაწმიდაში კიდევ არა თუ წამოღების, არამედ აღწერის ნებაც კი არ მომცეს.

დუშეთის მაზრის სამხრეთ ნაწილიდანაც ნივთების უმრავლესობა ჩამოტანილია, ხოლო რაც შეეხება ჩრდილოეთ ნაწილს – მთიულეთს, გუდამაყარს და ხევს, სადაც ხალხს ადათ-წესით ეკლესიის ქონების დათვალიერება მიუღებლად მიაჩნიათ და ისტორიულ ნივთების წამოღებაზე საუბარიც კი შეუძლებელია, იქიდან ათიოდე ნივთის გარდა (მათ შორის – მცირე ქილა ძველი ფულით სოფ. მნიდან) სხვა არაფერი წამომიღია.

არაფერი წამომიღია არც სამხრეთ ოსეთის ნაწილიდან – ქსნისა და მეჯუდის ხეობებიდან, გარდა ორი ძლიერ დაგლეჯილ-დაზიანებული და თაგვებისაგან შეჭმული პატარა ტანის საეკლესიო ხელნაწერი წიგნისა (წირქოლისა და ყანჩაეთის ეკლესიებიდან) და 10 ცალი სპარსული ფულისა (ისროლისხევის ეკლესიიდან). ამ ხეობებიდან ნივთების წამოღების ნება არ დამრთო სამხრეთ-ოსეთის ცაკმა და აღწერილი ნივთები დღესაც ადგილობრივვე (ეკლესიებში) არის.

აქვე აღვნიშნავ ზოგიერთ ისტორიული ძეგლის მდგომარეობას.

სოფ. ახალქალაქში შესანიშნავი სპარსული ხელოვნების მხატვრობით შემკული, ელისაბედ თარხნიშვილის ანუ ე.წ. „მარშლიანთ სასახლე" ადგილობრივ აღმასკომს ჭიის საშენებელ სახლად უქცევია.

სოფ. მეტეხის უძველესი ეკლესია მტკვრის ხიდის ასაშენებელი მასალის საწყობად გაუხდიათ.

გარდა ამისა, უპატრონობისაგან ზიანდება შემდეგი ეკლესიები:

გორის მაზრაში – ტიმოთესუბნისა, ნიქოზისა, რუისისა;

დუშეთის მაზრაში – წილკნისა, გერგეტისა, სიონისა;

სამხრეთ-ოსეთში – იკორთისა, თიღვისა.

ბევრი ისტორიული ძეგლი და ადგილი კიდევ განძის მაძიებელთაგან არის დაზიანებული:

სოფ. წინარეხთა ბოროტმოქმედთ გაუთხრიათ მაღალაანთ შესანიშნავი ეკლესიის მთელი იატაკი, ფილაქანი აუყრიათ; გაუთხრიათ, აგრეთვე, ეკლესიის ეზოში ნიკოლოზ მაღალაძის საფლავი; ამგვარადვე მოჰქცევიან კავთისხევის „კატაულას" ეკლესიას და სხვ.

ამავე მიზნით უხვრეტნიათ კიმოთესუბნის ეკლესიის სვეტები და სხვა.

ისტორიულ ნივთებშიაც ზოგიერთს ცუდი ბედი სწვევიათ; მათში ერთი თვალსაჩინო ნაწილი სამუდამოდ დაღუპულა. სურამის საწყობში არ აღმოჩნდა სამი კვერთხი, რომელიც აღნიშნული არის მაზრის მიერ აღწერილ ეკლესიების სიაში და რომელიც, ადგილობრივ პირთა ცნობით, უნდა გამოტანილ ყოფილიყოს იტრიის ეკლესიიდან.

წილკნის ეკლესიის ისტორიულ ნივთთა ნაწილი – „დროშა წინამძღვარი" მოჭედილი ბარათაშვილის ქალის როდამის მიერ (იხ. А. С. Хаханов, Экспед. на Кавказ 1892, 1893 и 1895 гг. გვ. 55), ძველი ბეჭდები და სხვ. ადრევე გაუტანიათ და გაუყიდნიათ.

ბოდორნაში არ აღმოჩნდა: 1. დიდი ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლით და შემკული ძვირფასი თვლებით (იხ. ექ. თაყაიშვილი, Арх. пут. раз. и зам. Изв. К. о. Моск. Арх. обш., вып. IV, გვ. 52 №2); 2. რომელიღაც ნივთი ოქროსი, შემკული ძვირფასი თვლებით, რომელსაც ხალხი უწოდებს „ოქროს ზოდს" და 3. მრავალი ძველი ბეჭდები, საყურეები და სხვ. წვრილი ნივთები ოქროსი და ვერცხლისა, რომელნიც ზემოაღნიშნულ ღვთისმშობლის ხატს გულზე ჰქონია დაკიდული. ყველა ეს ნივთები ბოდორნისა დაღუპულია ამ ორი წლის წინათ ბოროტ-მოქმედთა ხელით.

არც ქსნის ხეობას დაჰყრია ხეირი. იქაც ექ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი ნივთების ერთი ნაწილი სამუდამოდ გამქრალა. მე აქ აღვნიშნავ მხოლოდ შესანიშნავ ნივთებს:

I სოფ. კორინთას ეკლესიიდან – 1. ცხვარი ვერცხლისა სასანლით ზურგზე (იხ. ექ. თაყაიშვილის Арх. пут. раз. и зам. Изв. К. о. Моск. Арх. общ., вып. IV, გვ. 66, №1, სურ. 30). 2. ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, შემკული თვლებით (იქვე, გვ. 67, №4, სურ. 31).

ეს ეკლესია, ხალხის სიტყვით, გაუძარცვავს მღვდელ ეპისკოპოსოვს 1912 წლებში.

II ლარგვისის ეკლესიიდან – 1. დიდი ხატი წმ. თევდორე ტირონისა, ოქროს წყალში დაფერილ ვერცხლზე ნაჭედი (იქვე, გვ. 92, №2, სურ. 40); 2. დიდი ხატი წმ. თევდორე ტირონისა (იქვე, გვ. 96, №4, სურ. 42); 3. დასაკეცი ხატი წმ. პეტრე-პავლესი (იქვე, გვ. 96, №7, სურ. 45).

ლარგვისის, წირქოლისა და სხვ. მრავალი ეკლესიები გაუძარცვავს რომელიღაცა ბრბოს 1923 წ. მაისის პირველ დღეებში.

III სოფ. ყანჩაეთის ეკლესიიდან – ხატი ღვთისმშობლისა, შეჭედილი ვერცხლით (იქვე, გვ. 117, №2, სურ. 57). დღეს ამ ხატიდან შერჩენილია მხოლოდ ვერცხლის სამკაული, რომელიც გადაუკრავთ სხვა, ახალი ხელოვნების ღვთისმშობლის ხატისათვის, თვით ძველი ხატი კი ეკლესიის მძარცველებს დაუწვავს.

ეს ეკლესია გაუძარცვავს რომელიღაც ადგილობრივ პირს 1923 წ., რომელსაც ხალხის რისხვის თავიდან ასაცილებლად მიუცია აღნიშნული ხატის „განმაახლებელისათვის“ უღელი ხარი თუ კამეჩი და თვითონ გადასახლებულა კავკავს და სხვ.

დასასრულ, საჭიროა მიექცეს ყურადღება შემდეგს:

მოგზაურობის დროს მე რამდენიმე ადგილას შევხვდი ფრესკიან ეკლესიებს, რომლებშიაც შერჩენილია სურათები ეკლესიის აღმშენებელთა (ფავნისი, სასხორი, ახატანი და სხვ.). სასხორის ეკლესიაში ფრესკები, სხვათა შორის, კარგად არის შენახული, იქ 45-ზე მეტი ხატია ბერძნული წარწერებით და, როგორც ყველა აღმაშენებელთა, ისე ამ უკანასკნელთა ხსენებული ეკლესიის ფრესკები გადაღებულ უნდა იქნეს.

გარდა ამისა, უკანასკნელად მიღებული ცნობით, გორის მაზრიდან ზოგიერთ ადგილებში გაუქმებულია რამდენიმე ისეთი ეკლესია, სადაც დატოვებული იყო „მთავარი სალოცავი ხატები“ (არბო, ატოცი, და სხვ.). უნდა მიღებულ იქნეს ზომები, რათა ეს ხატები ტფილისს იქნენ ჩამოტანილი, მუზეუმში დასაცავად.

შემდეგ უნდა მოხდეს შეთანხმება სამხრეთ ოსეთის ცაკთან, რათა ქსნის ხეობის ეკლესიებიდგანაც გადმოტანილ იქნენ ისტორიული ნივთები. საჭიროა, აგრეთვე, შეთანხმება ახალგორის მცხოვრებ კ. ერისთავთან, მის ეკლესიაში დაცულ ვაზის ფიცრებზე ნახატ ხატის ტფილისში გადმოტანის შესახებ.

შემდეგ, ყველა ან გაუქმებულ დიად ისტორიულ ძეგლებს: კიმოთესუბანს, სამთავისს, მეტეხს და სხვ. მიჩენილ უნდა ჰყავდეს მცველები.

ბოლოს, საჭიროა ახალქალაქის ელ. თარხნიშვილის სახლი და მეტეხის ეკლესია განთავისუფლებული იქნენ: პირველი – აბრეშუმის ჭიის საშენებელი თაროებისაგან, მეორე კი – მტკვრის ხიდის საშენებელი მასალისაგან.

ამასთანავე, ვადგენ სიას ქართლის – გორის და დუშეთის მაზრებისა და სამხრეთ-ოსეთის – ისტორიულ ძეგლთა.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების
რწმუნებული გ. ბოჭორიძე
1924 წ. ნოემბრის 10
ქ. ტფილისი

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილებას

ამავე განყოფილების რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილობისა (მანდატი 1924 წ. 1.X- №19097 და 16.XI №24149), მე მოვიარე დუშეთის მაზრის მჭადიჯვრის თემი, გორის მაზრის გორის, მეჯვრისხევის, ტყვიავის, რუისის, შინდისის და კავთისხევის და ტფილისის მაზრის ერწოს რაიონები, მოვაგროვე მრავალი ისტორიული ნივთი (70 ფუთი) და ჩამოვიტანე ტფილისს.

სადაც კი მომიხდა ყოფნა, ყველგან მივეცი განცხადება (მთავრობის დადგენილების №95 დართვით) ისტორიულ ძეგლთა დაცვის შესახებ, რასაც დამპირდნენ.

უკანასკნელ (აგვისტოს) გამოსვლების შემდეგ, გორის მაზრაში ადგილობრივ ხელისუფლებას რამდენიმე ისტორიული ძეგლი საწყობად გადაუკეთებია: ა) რუისის ეკლესიაში ადგილობრივ გლეხკომს შეუზიდნია რუისის ყოფილ აზნაურთაგან დარჩენილი ქონება. ბ) შინდისის ეკლესია ხილის საწყობად უქცევიათ.

ამავე ხანში სოფ. ზემო ნიქოზში დაღუპულა ნიქოზელ ეპისკოპოზის კვერთხი, რომელიც დაუმტვრევია ვინმე ლადო კოტიაშვილს.

იკორთის ეკლესიის გუმბათის წვერიდან ვინმე გიორგი ჩასაევს და ძუძიგოევს თოფის ტყვიის სროლით მოუწყვეტიათ და წაუღიათ გუმბათზე ასასვლელი დიდი ჯაჭვი, დაახლოებით 5 საჟენამდე.

სოფლებიდან გამოდევნილ ყოფილ თავადაზნაურთა ზოგიერთ ოჯახებშიც დაღუპულა ისტორიული ნივთები: სოფ. ხელთუბანში ბარბარე თუმანიშვილის ოჯახში ყოფილა ბევრი სიგელ-გუჯრები, ძველი სურათები თუმანიანთ გვარის პირთა; ისინი დაუხევნია და ცეცხლში დაუწვია ვინმე ვალიშვილს და სხვ. (გადარჩენილა მხოლოდ ხელნაწერი ისტორია და გეოგრაფია ვახუშტისა და რამდენიმე სხვა ხელნაწერი ფურცლები).

სამთავისის ეკლესია დიდი ხანია, რაც კოოპერატივის საწყობად ყოფილა გადაკეთებული.

იკორთას ეკლესია უპატრონობისგან ზიანდება. მას სამხრეთის კალთების სახურავის ნაწილი აყრილი აქვს; სისველისაგან ეკლესიას შიგნით (სამხრეთის მხარეს) გაჯი სულ ასცვივნია და თუ იგი არ გადაიხურა, მალე ის ნაწილი სულ დაიქცევა.

ამ მოგზაურობის დროს აღმოჩნდა სოფ. ახალუბანში (მეჯვრისხევთან) ორი ქვებზე ნაწერი სიგელი, რომლებიც უსხედს ძმ. ფსიტიძეების სახლს კედელში. ისინი მოითხოვენ მცირედ თანხას, რომელიც რომ დასჭირდება კედლიდან ამოღებულ ქვების ადგილის ამოშენებას.

სოფ. სვიმონიანთხევში 1923 წ. ზაფხულში წყლის გაყვანის დროს აღმოჩენილა ერთი ქილა ვერცხლის ფული, რომელიც დაუტაცნიათ მუშებს; მათი მცირედი ნაწილი (119 ცალი) მოუგროვებია მაშინდელ მილიციის უფროსს ჯალაგანიძეს და გადაუტანია ტფილისის კომიტეტისათვის კომ. პარტიისა.

ამ სამი კვირის წინად სოფ. კარბში უნდა შედგომოდნენ ტირიფონის არხის გათხრას. ეხლა ითხრება სწორედ ის ადგილი, სადაც უძველესი სასაფლაოა და სადაც შესაძლებელია მრავალი ძველი ნივთი აღმოჩნდეს. ამას უნდა ყურადღება მიექცეს.

როგორც წინადაც აღვნიშნე, ვიღაც პირებს განძის პოვნის მიზნით გაუთხრიათ მაღალაანთ ეკლესია (თითქმის მთელი იატაკი აყრილი არის) და მის ეზოზე ნიკოლოზ მაღალაძეს საფლავი. აგრეთვე გაუთხრიათ კავთისხევის ძლევის ქედის ეკლესიის გარშემო მდებარე საფლავები, „კატაულას ეკლესია", ზედაძნის ეკლესიის კარიბჭე და მრავალი სხვა ადგილი. ამასაც უნდა ყურადღება მიექცეს.

დასასრულ, საჭიროა:

ა) მოხდეს რეგისტრაცია კერძო პირთა ოჯახებში დაცულ ანუ მათ კუთვნილ ისტორიულ ნივთებისა.

ბ) მიეწეროს ყველა მაზრის აღმასკომებს, რომ ყოფილ თავადაზნაურთა ანუ სასულიერო და სხვ. პირთაგან ჩამორთმეულ ქონების მიღების დროს ყურადღება მიაქციონ და სასტიკად დაიცვან ყველა ისტორიული ნივთები: ძველი ხელნაწერები, სურათები, იარაღი, ჭურჭელი და სხვ. და საერთოდ, არც ერთი ნივთი არ იქნეს გასყიდული ან მოხმარებული, თუ ქონება წინასწარ გადასინჯულ-გადაჩხრეკილი არ იქნება სიძველეთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულის მიერ.

გ) მიეწეროს გორის და დუშეთის მაზრების აღმასკომებს, რომ თვალყური ადევნონ და შესაფერი ზომები მიიღონ იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც განძის პოვნის მიზნით სთხრიან და აზიანებენ ისტორიულ ძეგლებს და ძველ სასაფლაოებს.

დ) მიეწეროს გორის მაზრის ქვემო ჭალის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, რომ სამთავისის ეკლესია განთავისუფლებულ იქნეს საწყობიდან.

ე) მიეწეროს გორის მაზრის ტყვიავის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, რომ თვალყური ადევნონ მათ რაიონში დაწყებულ ტირიფონის არხის (სოფ. კარბის სასაფლაოსთან) გათხრას და თუ აღმოჩნდება იქ ისტორიული ნივთები, სასტიკად დაიცვან.

ვ) გადადებულ იქნეს თანხა იკორთას ეკლესიის შესაკეთებლად.

ზ) გადადებული იქნეს თანხა ფსიტიძეების სახლიდან ამოსაღებ წარწერიანი ქვების ადგილის შეკეთების ხარჯის ასანაზღაურებლად.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების
რწმუნებული გ. ბოჭორიძე.
1925 წ. იანვრის 30-ს.
ქ. ტფილისი.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგეს

ამავე განყოფილების რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილობისა, მე ვიყავი სოფ. მეჯვრისხევში, სადაც აღმოჩენილ იქნა ძველი წარწერიანი ქვები. ვნახე ქვის პატრონები ძმ. ფსიტიძენი, რომელთაც გადავეცი მათ მიერ მოთხოვნილი სასყიდელი ქვებისა – 40 მან., გამოვაღებინე ქვები კედლიდან, ჩავიბარე და ჩამოვიტანე ტფილისს. ორივე ეს ქვები ფრიად საინტერესონი არიან. პირველი მათგანი წარმოადგენს ხელწერილს, მეორე სიგელს. პალეოგრაფიულად მიეკუთვნებიან X-XI საუკუნეებს.

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებული გ. ბოჭორიძე.
1925 წ. მარტის 10.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგეს

ამავე განყოფილების რწმუნებულის გიორგი ბოჭორიძის მოხსენება

თანახმად მონდობილობისა (მანდატი განათ. კომისარიატისა 1925 წ. ივნისის 23, №12923), მე დავათვალიერე წრომის ისტორიული ძეგლი. იგი ხელუხლებელია. მის დაცვისათვის მოვიწვიე ყველა ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, განვუმარტე ვრცლად ხსენებული ძეგლის დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ბოლოს შევადგინე ოქმი, გადავეცი მისი პირი მთავრობის დადგენილების დართვით. მისი მეთვალყურეობა იკისრა ადგილობრივმა მცხოვრებმა კ. მურჯიკნელმა, რომელსაც უნდა მიეცეს რწმუნებულობის მანდატი. დღეის იქით ძეგლს ხალხის მხრივ არავითარი ზარალი არ მოელის, ხოლო მოელის განადგურება სხვა მხრივ: სოფიის კენჭით ასხმული მხატვრობა, რომელიც შერჩენილი იყო საკურთხევლის თაღზე (იესო ორი მოციქულით) ერთი წლის წინად, როდესაც მე იგი ვნახე, ერთი ორად მეტი იყო, ვიდრე დღეს; დარ-

ჩენილი ნაწილიც მთლად მოსპობის გზაზეა დამდგარი. ჩემის მისვლისას ეკლესიაში იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი თავის მონაფეებით, რომელიც ჰხატავდნენ ძეგლს სხვა და სხვა მხრიდან, და როგორც გადმომცეს, მათ მოეგროვებინათ ზემო აღნიშნული თაღიდან ძირს ჩამოცვენილი 7 გირ. მეტი სოფიის კენჭი და, მათი აზრით, საჭიროა დარჩენილი ნაწილის სწრაფი ჩამოხსნა, სანამ იგი მთლად არ მოსპობილა. გარდა ამისა, ტაძრის საძირკველს გარეთა მხრიდან მთლად შემოსცლია ქვები, რაც ადვილად გააქრობს მის არსებობას და მისი შეკეთება კი არც იმდენს ხარჯს მოითხოვს.

ამ მოგზაურობისას ქალაქ სურამში, ებრაელთა დიდ სალოცავში აღმოვაჩინე ეტრადზე ნაბეჭდი იშვიათი ებრაული დაბადება, რომელსაც აქვს ხუთი ეტრადზედვე ნაწერი ფურცელი (შეიცავენ წიგნის ისტორიას და სათაურს); ეს ფურცლები ჩაკერებულია წიგნის სხვა და სხვა ადგილას. აღნიშნული დაბადება უწინ ეკუთვნოდა სოფ. ბრეთში მცხოვრებელ ქაიხოსრო ავალიშვილს. იგი უნახავს გრაფ. უვაროვისას 1890 წლებში და მას იხსენიებს, როგორც ძლიერ იშვიათ ებრაულ დაბადებას. ავალიშვილისაგან 30-32 წლის წინად იგი 800 მან. ვალში დარჩენია ვინმე ებრაელს და ამის შემდეგ მისი ადგილმყოფობა და თვით არსებობა უცნობი იყო მკვლევართათვის. ჩემ მიერ შეგროვილი ცნობებით, ავალიშვილის სახლიდან იგი ვალში წაუღია ებრაელ მოვაჭრე დავარაშვილს, რომელსაც უწოდებდნენ მეტ სახელად „ბატონა ურიას“ და იგი ან სურამში უნდა აღმოჩენილიყო, სადაურიც იყო ხსენებული პირი (დღეს მისი მესამე თაობაა), ან იერუსალიმში, სადაც გარდაცვლილა იგი („წიგნსაც იქ წაიღებდაო“, მითხრეს დირბელებმა). მაგრამ, საბედნიეროდ, იგი სურამში აღმოჩნდა. მე დავაპირე მისი მუზეუმში გადმოტანა, მაგრამ ებრაელთ არ დამანებეს და იძულებული ვიყავ ადგილობრივ დამეტოვებინა, აღრიცხვაზე აღებით.

უკანასკნელი გამოსვლების შემდეგ, ქ. სურამის აღმასკომს დარჩენილა ადგილობრივ ყოფილ რაბინის, დავით ჯანაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა ებრაულ ენაზე, რომელიც შეიცავს ორასზე მეტ წიგნს (თალმუდი სამოც წიგნად და სხვა), სარწმუნოებრივი და იურიდიული ხასიათის შინაარსით. როგორც გადმომცეს, ხსენებული რაბინი ძლიერ განვითარებული და შეგნებული პირი ყოფილა. მე დავაპირე აღნიშნული წიგნების ტფილისში გადმოტანა, მაგრამ ადგილობრივ არ დამანებეს. ჩამორთმევის შემდეგ, აღმასკომს იგი გადაუცია გლეხკომისათვის და გლეხკომს ხუთას მანეთში გასასყიდად მიუცია მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებისათვის (კოოპერატივისათვის) და დღეს უკანასკნელი დაწესებულება მას გაყიდვას უპირებს.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა:

ა) სასწრაფოდ გადადებულ იქნეს თანხა წრომის ტაძრის თაღზე დარჩენილი სოფიის კენჭიანი მხატვრობის ჩამოსახსნელად.

ბ) გადადებულ იქნეს თანხა ამავე ძეგლის შესაკეთებლად.

გ) გადმოტანილ იქნეს ტფილისში სურამის ყოფილ რაბინის დავით ჯანაშვილის ბიბლიოთეკა.

დ) მიეცეს რწმუნებულის მანდატები შემდეგ პირთ: სოფ. წრომში მცხ. კ. მურჯიკნელს წრომის ძეგლისათვის; ქ. სურამში მცხ. სახ. მოსამართლე გიორგი მღიაძეს სურამის თემის ძეგლთათვის.

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებული გ. ბოჭორიძე.
1925 წ. ივნისის 30.
ქ. ტფილისი.

საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილეს

წარსულ ზაფხულს მოვიარე პატარა და დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების სათავეები და ჭერათხევისა და ძამის ხეობები.

პირველი სამი სამხრეთ-ოსეთის ფარგლებში შედის. აქ არის რამდენიმე შესანიშნავი ძეგლი – ერედვი, თირი, თიღვა, საბაწმინდა და სხვა. ყველა ესენი შეკეთებას და პატრონობას მოითხოვენ; სახურავი ყველას დაზიანებული აქვს, განსაკუთრებით კი თიღვას, რომელსაც ნახევრად არა ჰხურავს.

გარდა ამისა, ოსეთში ძეგლების მდგომარეობა ასეთია:

თიღვაში მომუშავე ვიღაც ბოტიევს განუზრახავს თიღვის ძეგლის დაქცევა. ამის თაობაზე მე მქონდა საუბარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

საბაწმინდის ძეგლის აღმოსავლეთით და სამხრეთით დაგუბებულა წყალი, რომელიც შესდგომია მის კედლებს და არღვევს ისედაც დარღვეულ ძეგლს; გარდა ამისა, ძეგლიდან ნახევარი ვერსის მანძილზე, სამხრეთით, მახლობელი „სვეტი"-დან ჩამომდინარე წყლიდან გაჩენილა მთელი ჭაობი, რომელსაც ეს ადგილი და ძეგლიც ციებ-ცხელების ბუდედ უქცევია.

1929-1930 წლებში უნგრევიათ დოდოთის ცხრა-კარა (X ს.); მისთვის ქვები შემოუცლიათ. ნაწილი ამ ქვებისა ადგილობრივ ძეგლთან ყრია, ნაწილი კი წუნარს წაუღიათ სკოლის საშენებლად;

მათში ყოფილა ქვები მგლისა, ცხვრისა და სხვა ცხოველთა გამოსახულებით.

ისტორიული ნივთები ახალგორის რაიონისა, ერთის – ვაზის ხატის გარდა, რომელიც ახალგორის საგანგებო კომისიას ჰქონია დაცული, ცხინვალის მუზეუმის დირექტორის, ქრ. ჯიოევის სიტყვით, ყველა დაღუპულა. მე კი ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, ნაწილი მაინც გადარჩენილი იყოს.

ძამის ხეობაში, სოფ. ორთუბანში აღმოჩნდა მძოვრეთის ნაქალაქარი. აქ არის შესანიშნავი შენობები – დარბაზი, აბანო, საცხოვრებელი სახლები, საწნახელი, ეკლესია, კოშკი, გალავანი, წყალსადენი და სხვ. ამ ნაქალაქარში ჩასახლებულია რამდენიმე კომლი, რომლებიც ზოგ შენობას თავის საჭიროებისათვის ხმარობენ, ზოგან კი ანგრევენ კიდეც.

იმავე ხეობაში, სოფ. ზღუდერში აღმოჩნდა შესანიშნავი ძეგლი – ნმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გაუნადგურებიათ 1925-26 წელს. მისი გვერდის შენობებისათვის შემოუცლიათ თლილი ქვა და ადგილობრივ სკოლისა და ხიდისათვის შეუხმარებიათ. იმავე წელს (1931) ადგილობრივი არტელის ბეღლად გადაუკეთებიათ ხსენებულ ძეგლთანვე (10 მ.-ზე) მდგომი, თლილი ქვისაგანვე ნაშენი, მცირე ეკლესია. მისთვის კარი შეუნგრევიათ აღმოსავლეთის მხრიდან, კედლების მაღლითა ნაწილი გაუთანასწორებიათ და ნაწილობრივ გადაუხურავთ კიდეც; ახლა აპირებენ დახურვის დასრულებას, სამხრეთი კარის ამოგებას და შიგნითა კედლების გალესვას.

იმავე ხეობაში მდგომი ყინცვისის ეკლესია სახურავის გაფუჭების გამო ზიანდება; თაღებს წყალი ჩასდის და მხატვრობა ირეცხება.

იმავე ხეობაში აღმოჩნდა რამდენიმე სხვა შესანიშნავი ძეგლი, მათ შორის, ერთი – ტყემლოვანისა; იგი, ჩემის აზრით, უნდა იყოს ვახუშტის მიერ მოხსენიებული ქოზიფას ძეგლი, რომელი სახელიც ადგილობრივ დღეს არ შენახულა (მოსახლეობა ახალია); ძეგლი ნანგრევებად არის.

საჭიროა გაკეთებულ იქნეს შემდეგი:

1. ეცნობოს სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ს და მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს, რომ თიღვაში მომუშავე ვიღაც ბოტიევს განუზრახავს თიღვის ეკლესიის დაქცევა და რომ ეს ეკლესია ხუროთმოძღვრების ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია, რომელიც ეკუთვნის XII ს.-ს და რომ მისი დაქცევა ყოვლად დაუშვებელია და უბრძანონ ადგილობრივ ხელისუფლებას მისი სასტიკად დაცვა.

2. ეცნობოს მასვე, რომ საბაწმიდის გვერდით გამომდინარე წყალს და მის მახლობლადვე, „სვეტი"-დან მომდინარე წყლის მიერ გაჩენილ ჭაობს გაეჭრას არხი და მიეცეს წყლის სადენი გზა. ეს

სასარგებლო იქნება თვით ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც, რომელნიც ავადობენ ციებ-ცხელებით და თვით ძეგლისათვისაც, რომლის ისედაც დარღვეულ კედლებს წყალი შესდგომია და უფრო არღვევს, და რომელშიც დაბუდებულან კოღოები და მალარიის ბუდედ გამხდარა.

3. ეცნობოს მათვე დოდოთის ნანგრევების დაცვა, რომ მათ აკრძალონ ნანგრევებიდან ქვის გატანა, ხოლო გატანილს თვალყური ადევნონ, რომ წარწერიანი ან ქანდაკებიანი ქვა შენობას არ დაედოს.

4. დათვალიერებულ იქნეს ახალგორის რაიონი, რომლის ისტორიული ნივთების ერთი მცირე ნაწილი, შესაძლებელია, გადარჩენილი იყოს და მოგროვილი იქნეს ეს ნივთები.

5. გადადებულ იქნეს თანხა, დაახლ. 5.000 მანეთამდე, თიღვის, ერედვისა და თირის ეკლესიების გადასახურავად და შესაკეთებლად.

6. გადადებულ იქნეს თანხა, დაახლ. 2.000 მანეთამდე, ყინცვისის ეკლესიის სახურავის შესაკეთებლად.

7. გაეგზავნოს ამასთანავე დართული სია ისტორიული ძეგლებისა ზღუდერის თემის (ხაშურის რაიონი) თავმჯდომარეს და ებრძანოს ყველა მათი სასტიკი დაცვა.

გ. ბოჭორიძე
1931 წ. სექტემბრის 23

ცნობა სამხრეთ ოსეთში მოყოლილი ქართული მოსახლეობის შესახებ[204]

I. სამხრეთ ოსეთში მოყოლილია დიდ-ძალი ქართველი მოსახლეობა, სახელდობრ:

1. ქსნის ხეობაზე 60-ზე მეტი დიდი და პატარა სოფელი (ე.ი. ხეობის ⅔-ზე მეტი ნაწილი): ახალგორი, კორინთა, ახმაჯი, იკოთი, ალევი, ბაზუანთ-კარი, ბეჟაანთ-ტყე, ბოლი, გეხავი, ერედა, ლომისხევი, მორბედაანთ-კარი, ყანჩაევეთი, ყანჩიანთ-კარი, ძეგლევი, აბრამიანი, ახალდაბა, ახლაური, გავაზი, დაბაკნეთი, დადიანეთი, დოჩიანთი, ელოიანი, ზოდეხი, იფნევი, ლევანიანი, მარტიანი, მაჭარაანი, მახიარეთი, მეწყერი, მოჩალეთი, მუნჯური, მონასტერი, საპორეთი, საძეგური, უკანუბანი, ყველდაბა, სოხთა, შველეთი, ჩიტიანი, ცხავატი, ჭორჭოხი, ხარბალი, ხოროტი (ღარუეთი), ხუციანი, თინიკაანთ-კარი, კენკაანთ-კარი, ლიტიანთ-კარი, მიდე-

ლაანთ-კარი, პავლიანთ-კარი, ქარელთ-კარი, ხოზუეთი, წიფთაური, ბუდაწვერი, გეზევრეთი, გრუა, კორინთა, ქურთა, წირქოლი, ხერკელაანი და სხვა. სულ 1450 კომლი, 8330 სული.

2. მეჯუდას ხეობაზე (ცხინვალის რაიონი) ოთხი სოფელი: დვალიანთ-კარი, ზემო-ვილდა, ქვემო-ვილდა, ისროლისხევი; სულ 60 კომლი, 324 სული.

3. პატარა ლიახვის ხეობაზე (ცხინვალის რაიონი) 14 სოფელი: ანრისხევი, ბელოთი, ხოშური, ვანათი, საცხენეთი, დისევი, დმენისი, კულბითი, სნეკვი, ქსუისი, ჭარები, ერედვი, ფრისი, არგვისი; სულ 634 კომლი, 3692 სული.

4. დიდი ლიახვის ხეობაზე (ცხინვალისა და ჯავის რაიონები) 13 სოფელი: ცხინვალი, დგვრისი, თამარაშენი, მამისაანთუბანი, ხეითი, ქვემო-აჩაბეთი, ზემო-აჩაბეთი, ძარწემი, კეხვი, მონასტერი, სვერი, ქემერტი, ქურთა; სულ 1330 კომლი, 7449 სული.

5. ფრონეს ხეობა (ოქონის რაიონი) 18 სოფელი: ოქონა, თიღვა, ალიბარი, ახალშენი, გიორგიწმინდა, ტყისუბანი, ნაბაკევი, ნედლათი, სუნისი, შინდარი, ხუნდისუბანი, ავნევი, არკნეთი, ნული, ლაფანი, ბზისხევი, პატკინეთი, კოლეთი; სულ 655 კომლი, 3665 სული.

ხუთსავე ხეობაში სულ ერთად: 4129 კომლი, 23460 სული.

II. ოსეთში მოყოლილი ქართველები ყოველმხრივ საშინლად შევიწროებულნი არიან; ისინი აშკარად ტყვეებად გრძნობენ თავს; საქართველოდან სამსახურის საქმეზე მისულ კაცს ისინი თავს ევლებიან და თავიანთ ჭირ-ვარამს ოხვრითა და კვნესით შესჩივიან: „რა გვიყვეს ჩვენმა ძმებმა, ამათ (ე.ი. ოსების) ხელში რად ჩაგვყარეს, განა ჩვენ ქართველები არა ვართო?“ – ეუბნება ერთი; „მენშევიკებისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიგვცეს ჩვენ ამათ ხელშიო,“ – ამბობს მეორე.

საბჭოთა ტერიტორიაზე, ვგონებ, არც ერთი მოსახლეობა არ უნდა იყოს ისე აბუჩად აგდებული და საზოგადო მოქალაქეობრივ უფლებას მოკლებული, როგორც ეს ოსეთის ქართველობაა.

III. მენშევიკების მიერ მიყენებული შევიწროების ნიადაგზე ოსები აშკარად შურს იძიებენ ქართველებზე. ამას სჩადიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მთელ სიგრძეზე. მაგრამ აშკარად, პირღია ქართველთაჭამიობას ოსები იჩენენ განკულაკების დროს. განკულაკება ოსეთში ისეთი ფორმით მოხდა, როგორც არსად არ მომხდარა: ოსების ნაციონალისტები განკულაკებას კი არ ანარმოებდნენ, არამედ თავიანთ ფარულ ნაციონალისტურ ზრახვებს ანხორციელებდნენ: ისინი აშკარად ქართველობას ერეკებოდნენ. შემდეგ, განკულაკებულთ ერთი ხელი ლოგინისა და იმის გარდა, რაც ტანზე ეცვათ, სხვა არაფერი დაანებეს და ყველანი შიშველ-

ტიტველნი გამოდევნეს; ბოლოს, მრავალი სომეხთაგანი (განკუ-ლაკებული) უკანვე დააბრუნეს, ხოლო ქართველთაგან კი თითქმის არავინ და სხვა.

IV. ქართული ენა იდევნება ქართულ სოფლებში: მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად სწარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქარ-თული კი განდევნილია.

V. სამართალი მიდგომითია; ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს. თვალში ამოღებული კაცისათვის სამართალი არ არსებობს. 1929 წლიდან სასამართლოებში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს, ხოლო ამაზე ადრე – 1928 წელს, ახალგორში, თედეევის დროს, თვით განცხადე-ბაც კი ოსურად, ან, ყოველ შემთხვევაში, რუსულად უნდა ყოფილ-იყო დაწერილი; ძლიერ იშვიათი შემთხვევა უნდა დაეშვათ, რომ ქართული განცხადება მიეღოთ.

VI. ქართველ ქალებზე თარეში და აღვირახსნილობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა: ქალებს იტაცებდნენ, აუპატიურებდნენ; თუ ვერ მოიტაცებდნენ, ოჯახს გადაეკიდებოდნენ და აიძულებდნენ ქალის მიცემას. 1923 წელს თიღვის ერთ ქართველს ოსებმა მოსტა-ცეს ქალი; პატრონმა ბევრი სდია: იჩივლა ცხინვალში, ტფილისში, ვერაფერი გააწყო და სხვა მრავალი.

VII. ადგილ-მამულის მფლობელობის საქმეში უპირატესობა ოს-ებს ეძლევა.

VIII. გადასახადს პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდე-ვინებდნენ, ხოლო შემდეგ კი აშკარად ქართველ გლეხებს სტვირ-თავდნენ.

IX. სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად. 1921-1924 წლებში ქართველ მასწავლებლებს ექვს-შვიდ თვეს ჯამაგ-ირები არ მისცეს, რის გამოც ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა თავი გაენებებინა სკოლისათვის და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა თხოულობდა სკოლას, ეუბნე-ბოდნენ: „თუ გინდათ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არადა თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნითო.“

საერთოდ, ოსური სკოლები ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, ქართული კი უნუგეშო მდგომარეობაშია.

ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდ-წლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს (თუმცა პროგრამაში კი უწერიათ), მითუმეტეს, რომ ოსმა მას-წავლებლებმა ქართული ენა არ იციან.

ზოგიერთი ოსი თხოულობდა, რომ მათი შვილებისათვის ესწავ-ლებინათ ქართული ენა, როგორც გამოსაყენებელი საგანი, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი უთხრეს.

წარმოდგენებს ქართულ სკოლებში არავითარ დახმარებას არ უწევენ, რადგან ქართული წარმოდგენები სასიამოვნო არ არის მათთვის.

X. ქართულ სოფლებში კულტურული მშენებლობის ნასახიც კი არ არის (გადასახადი კი ყველაზე მეტი წილი ამათგან იკრიბება).

XI. მოსამსახურეებად მილიციიდან დაწყებული სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო აძლევენ ადგილს, ვიდრე ქართველებს.

XII. ყველა ზემოხსნებულის ფაქტიური მასალა უამრავია ოსეთის ქართულ სოფლებში.

მოსახლეობის სტატისტიკური ცნობები ამოღებულია ს. ს. ცაკის საორგან. განყ. გამოცემიდან: საქართველოს ს. ს. რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა, 1930, ტფილისი.

სია
ზღუდერის თემის ისტორიული ძეგლებისა

ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია, თავის მახლობლად ორი მცირე ეკლესიით და გალავნის ნანგრევებით.

ზღუდერის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, მის აღმოსავლეთით მდგარი კოშკის ნანგრევებით.

ზღუდერის ღვთისმშობლის ეკლესია, ნანგრევები.

ზღუდერის „ციების" ეკლესია, ნანგრევები.

ძაძის მონასტერი, ყველა თავისი ნანგრევებით.

იმერხევის კოშკი.

ორთუბნის მოძღვრის ციხე გორაზე.

ორთუბნის მოძღვრის ნაქალაქარი: დარბაზი, აბანო, საცხოვრებელი სახლები, საწნახელი, ეკლესია, კოშკი.

ორთუბნის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია, წყალსადენი და სხვა შენობები და შენობათა ნანგრევები.

ორთუბნის ღვთისმშობლის ეკლესია.

ელბაქიანთკარის ორი ეკლესია.

ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, მისი მახლობელი ეკლესია, საცხოვრებელი სახლის, ეკვდერის, გალავნის და სხვა ნანგრევები.

ყინცვისის „გიგოს" ეკლესია.

ყინცვისის „ღამურას" ეკლესია.

ყინცვისის ღვთისმშობლის ეკლესია.

გორის მაზრის ისტორიული ძეგლები

გორის ციხე-გალავანი თავის ყველა შენობებით და ნანგრევებით.

გორის ციხე-გალავნის სამხრეთით მდგომი ქართველთა და სომეხთა ეკლესიების ნანგრევები.

გორის წმ. იოანე ნათლისმცემლის ძველი ეკლესიის ნანგრევი.

ქვახვრელი.

უფლისციხე.

ატენის სიონი.

დანახვისის წმ. გიორგის ეკლესია.

ხოვლეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ფრესკებიანი ეკლესიის ნანგრევი.

ხოვლეს ღვთისმშობლის ეკლესია.

ხოვლეს ჯავახიანთ ციხის ნანგრევი.

ხოვლეს წმ. კვირიკეს და ივლიტას ფრესკებიანი ეკლესია.

ხოვლეს მაცხოვრის ეკლესიის ნანგრევი.

ხოვლეს გალმა მდგომი კოშკი.

ხოვლეს კვართის ეკლესია თავის სამრეკლოთი.

ხოვლეს ღვთისმშობლის ეკლესია.

ხოვლეს ავკეთის ეკლესია.

ხოვლეს ე.წ. „ურიის საყდრის“ ნანგრევი.

ხოვლეს ე.წ. „წითელი საყდარი“.

ხოვლეს ე.წ. სციხის წმ. გიორგის ფრესკებიანი ეკლესია თავის გალავნით და ნანგრევებით.

ზემო ხანდაკის წმ. თევდორეს ფრესკებიანი ეკლესია.

ზემო ხანდაკის წმ. სამების ეკლესია.

ზემო ხანდაკის კალოუბნის ეკლესია.

ჩოჩეთის კოშკი (ახალქალაქის ბოლოზე).

ახალქალაქის სომეხთა და მის გვერდით მდგომი კვირაცხოვლის ეკლესიები.

ახალქალაქის ციხე-გალავანი.

ახალქალაქის ელისაბედიანთ კოშკი.

ახალქალაქის თეოფინეს კოშკი.

ახალქალაქის ე.წ. მარშლიანთ ანუ ელისაბედ თარხნიშვილის სასახლე.

ახალქალაქის თავზე ფავნისის ფრესკებიანი ეკლესია.

ერთაწმიდის ეკლესია თავის გალავნით.

რკონის ეკლესია.

კაბერის ეკლესია.

გოსტიბეს ეკლესია და მის მახლობელი კოშკი.

იკვის ფრესკებიანი ეკლესია.

ცხირეთის ზემოციხე (ლუარსაბ მეფის სასახლე).
ცხირეთის ეკლესიები ციხის ძირზე.
ციხე-კლდეკარი.
ცხავერის წმ. გიორგის ეკლესია.
ახალციხის ციხე-გალავანი.
ახალციხის მახლობლად ზედა-ჯვრის ეკლესია.
ახალციხის თავზე ოძისის მთავარანგელოზის ეკლესია.
ახალციხის თავზე ორბეთის ეკლესიის ნანგრევი.
ახალციხის თავზე წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.
ნოსტეს სამების ფრესკებიანი და მის გვერდით მდგომი ერთარსების ეკლესიები.
ნოსტეს გიორგი სააკაძის კოშკი, მის გალავნის ნაშთით.
მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია.
სასირეთის ელიზბარიანთ ციხე-კოშკი.
ბორცის კოშკი.
ნიაბის ეკლესია.
ქვემო ხანდაკის კოშკი.
კავთისხევის იდლეთის წმ. იოანე ნათლისმცემლის ფრესკებიანი ეკლესია.
კავთისხევის ლომისის წმ. გიორგის ძველი ეკლესია.
კავთისხევის ე.წ. „კატაულას“ წმ. გიორგის ფრესკული ეკლესია.
კავთისხევის ძლევის ქედის წმ. გიორგის ეკლესია.
კავთისხევის როსტომ მეფის სასახლის ნანგრევი მექანარაანთ უბანში.
კავთისხევის როსტომ მეფის კოშკი მექანარაანთ უბანში.
კავთისხევის როსტომ მეფის წმ. ნიკოლოზის ეკლესია მექანარაანთ უბანში.
გუდალეთის „მელენტის“ ღვთისმშობლის ეკლესია თავის გალავნით.
გუდალეთის წმ. ესტატეს ანუ კაციანთ საყდარი.
წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესია.
წინარეხის წმ. სტეფანეს ეკლესიის ნანგრევი.
წინარეხის ჯვარპატიოსნის ეკლესია.
წინარეხის ზევით მაღალაანთ ფრესკებიანი ეკლესია ყველა თავისი შენობებით, ციხე-კოშკებით და ნანგრევებით.
პარეტისის ნიში ანუ ე.წ. „ხატი“.
თავკავთის წმ. გიორგის ფრესკებიანი ეკლესია თავის ციხე-გალავნით და ნანგრევებით.
ქვაბთახევის მონასტრის ეკლესია თავის გალავნით, ცეცხლთაყვანისმცემელთა შენობის ნანგრევით, სადარაჯო კოშკით და შენობებით.
ლავრის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია.

გომივჯვრის ე.წ. „ერკემალის საყდარი".
გომივჯვრის ე.წ. „წითელი საყდარი".
გომივჯვრის კოშკი.
ზემო ნიჩბისის თეთროსნის წმ. გიორგის ეკლესია.
ზემო ნიჩბისის უმზეურის ეკლესია.
ქვემო ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.
ქვემო ნიჩბისის კოშკი.
ქვემო ნიჩბისის ციხე-გალავანი კოშკებით, ეკლესიით, გვირაბით და სხვა შენობებით; ხალხის თავსაყრელი, ანუ კარების ადგილას ე.წ. „ციხის ქვა".
სასხორის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია.
სასხორის კოშკი.
სასხორის ღვთისმშობლის ფრესკებიანი ეკლესია.
სასხორის მთავარანგელოზის ფრესკებიანი ეკლესია.
ძეგვის წმ. სამების ეკლესია.
ძეგვის „ბორის" საყდარი.
ძეგვის წმ. სამების ეკლესია (მთაზე).
ძეგვის ციხე-დიდის ხევის კოშკი.
ძეგვის ციხე-დიდის ხევის ეკლესია, ეკლესიის ნანგრევი და სამრეკლო.
ძეგვის ე.წ. ზვრის კოშკი მტკვრის პირას.
ძეგვის სოფლის კოშკი.
კასპის ციხე-გალავანი.
ლამისყანის ციხე-გალავანი.
სამთავისის ფრესკებიანი ეკლესია.
ქვემო ჭალის ყველა ძველი ციხე-კოშკები და გალავნები, ჯვარპატიოსნის ფრესკებიანი და ღვთისმშობლის ეკლესიებით.
ქვემო ჭალის თავზე ცხვილესის ციხე.
მეჯვრისხევის უსანეთის ციხე.
მეჯვრისხევის ციხის ნანგრევები.
მეჯვრისხევის ახალუბნის კოშკი.
ქვეშის ციხე.
ფლავისმანის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.
ტყვიავის ციხე.
ტირძნისის წმ. სამების ეკლესია.
ტირძნისის ღვთისმშობლის ეკლესია, მის გარეშემო მდგომი ციხე გალავნით და კოშკებით.
ბროწლის სასაფლაო ეკლესია.
ბროწლის კოშკი.
ქორდის ღვთისმშობლის ეკლესია.

არბოს წმ. გიორგის ძველი ეკლესია.
მელვრეკისის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.
ოთარშენის კოშკის ნანგრევი.
ურბნისის წმ. სტეფანეს ფრესკებიანი ეკლესია თავის გალავნით და სხვა ყველა შენობებით და ნანგრევებით.
რუისის ღვთაების ფრესკებიანი ეკლესია.
რუისის თავზე ფრესკებიანი ეკლესია წმ. დიმიტრისა.
საქაშეთის კოშკი.
ვარიანის სასაფლაოს ძველი ეკლესიის ნანგრევი.
შინდისის ციხე-გალავანი.
შინდისის წმ. გიორგის ეკლესია.
ზემო ხვითის ეკლესია.
დირბის ღვთისმშობლის ფრესკებიანი ეკლესია.
დირბის წმ. გიორგის ფრესკებიანი ეკლესია.
დირბის ციხე.
წვერის ციხე ეკლესიით.
არადეთის წმ. გიორგის სასაფლაოს ეკლესია (წარწერით).
არადეთის წმ. საბას ეკლესია.
არადეთის ციხე.
ვაყის ფრესკებიანი ეკლესია, მრავალი წარწერით.
აძვისის სამების ეკლესია.
ნაბახტევის ღვთისმშობლის ფრესკებიანი სასაფლაოს ეკლესია.
ალის ქართველთა წმ. თომა მოციქულის ეკლესია.
ალის სომეხთა ძველი ეკლესიები, ორი.
მცხეთის ჯვრის თავზე ძველი ეკლესიის ნანგრევი.
ბრილის ღვთისმშობლის ძველი ეკლესია.
ულუმბოს ღვთისმშობლის ეკლესია.
ულუმბოს მონასტრის ნანგრევები.
მცხეთის ჯვრის თავზე ძველი ეკლესიის ნანგრევები.
წაღვლის ეკლესიის ნანგრევები.
აბანოს ფრესკებიანი ძველი ეკლესია.
ატოცის ციხის ნანგრევები.
ატოცის ძველი ციხის მთავარანგელოზთა ეკლესია.
ბრეძის სამი ეკლესია წარწერითა და ჩუქურთმებიანი ქვებით.
ოსიაურის ქართველთა ძველი ეკლესია თავის სამრეკლოთი.
ოსიაურის ციხე.
ხაშურის ციხე.
სურამის ციხე-გალავანი თავის ეკლესიით და ნანგრევებით.
იტრიის ეკლესია თავის გალავნით და სამრეკლოთი.
ხცისის წმ. იოანე ნათლისმცემლის ძველი ეკლესია.

წრომის სოფიის კენჭიანი ეკლესია.
ქარელის წყარო ცხოვრების ეკლესია.
ქარელის ციხე-კოშკები.
კარბის სამი კოშკი (ორი მრგვალი, მესამე – ოთხკუთხი).
კარბის წმ. სამების ეკლესია.
ჩუმათელეთის წმ. გიორგის (ფრესკებიანი?) ეკლესია.
სამწევრისის ფრესკებიანი წმ. გიორგის ეკლესია.
სამწევრისის ციხე.
ძამის ფრესკებიანი ეკლესია.
აბისის ეკლესია.
აბისის ციხე.
ფციის ეკლესია.
ფციის ციხე.
სარკის ეკლესია.
ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია.
ზემო ნიქოზის ღვთაების ეკლესია.
ქვემო ნიქოზის ეკლესია.
ზემო ხვითის ეკლესია, წარწერებიანი ქვები, ბათქაში აქვს.
ქვემო ხვითის ეკლესია.
იგოეთის მახლობლად წითელი საყდარი.
ბიეთის საყდარი.
ახალუბნის კოშკი.
საყვირეთის ეკლესია (ბერძნული წარწერები).
ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესია.
ქირდის წმ. ბარბარეს ეკლესია (წარწერიანი ქვა – 3, ჩუქურთმიანი – 7).
ქირდის ღვთისმშობლის. ეკლესია, წარწერებიანი ქვები.
შემაბერიანთი ანუ წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია თვალადის თავზე.
მარკშიანთ კლდე ქვაბთახევთან, თავკავთის ძირზე.

სამხრეთ ოსეთის ისტორიული ძეგლები

შამბიეთის ეკლესია.
შულავერის ციხე, წარწერიანი ქვით.
აწრისხევის ეკლესია, წარწერიანი ქვით.
სოჭინის ეკლესია (ძველი კანკელი ხატებით).
იკორთის თავზე ეკლესია, წარწერა აქვს.
აშეთის წმ. სამების ეკლესია, წარწერით.
აშეთის ღვთისმშობლის ეკლესია, წარწერით.

ქლივანას ღვთისმშობლის ფრესკებიანი ეკლესია.

ბიეთის წმ. თევდორეს ფრესკებიანი ეკლესია, საძვალეთი.

ნაქალაქევის გუმბათიანი ეკლესია.

თხინვალის უსანეთის ეკლესია, წარწერებით.

ლეკოანის ფრესკებიანი ეკლესია (ბენდერსა და წიფორს შუა), წარნერებიც არის.

საყვირეთის მონასტრის ნანგრევები, ფრესკებიანი, წარწერებით.

შემოკლებები

მაცნე (ენის)	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია
მაცნე (იაეხის)	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია
სა	საქართველოს არქივი
სეა	საქართველოს ეროვნული არქივი
სიგკ	საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული
სიკძა	საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა
სმ	საისტორიო მოამბე
სმაძ	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
სმმ	საქართველოს მუზეუმის მოამბე
სს	საქართველოს სიძველენი
ძმ	ძეგლის მეგობარი
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
AG	Ars Georgica
МАК	Материалы по Археологии Кавказа

შენიშვნები

1 M. Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie*, 2 livr., *II rapport* (St. Pétersbourg, 1850), p. 105; Л. Меликсет-Беков, Надпись Дзегвской церкви, *Христианский Восток*, т. III, 2 (1914), с. 199; Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, *Окрестности Тбилиси* (Тбилиси, 1960), с. 38-39; *სიკძა*, ტ. 5 (თბილისი, 1990), გვ. 335-336 (№220); ვ. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, I (თბილისი, 1994), გვ. 117-118, სურ. 97.

2 ეკლესია აგრეთვე ცნობილია, როგორც ბორას საყდარი, ბოძის საყდარი. Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37; *სიკძა*, 5, გვ. 333-334 (№214).

3 Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38; პ. ზაქარაია, ციხედიდის ნასახლარი, *მაცნე (იაეხის)*, №1 (1975), გვ. 147-151; *სიკძა*, 5, გვ. 336-337 (№223); პ. ზაქარაია, *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე* (თბილისი, 2002), გვ. 439-441.

4 M. Brosset, *II rapport*, გვ. 109; თ. გაგოშიძე, კუალად უვლინებდნენ მრავალსა საგანძურსა (ნიკოლოზ მაღალაძე XVII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე), *ხელოვნება*, №3 (1991), გვ. 12-13; ვ. ბერიძე, წინარეხი-გომისჯვარი-სასხორი, *სმამ*, ტ. 4, №6 (1943), გვ. 609-611; *სიკძა*, 5, გვ. 309 (№173); თ. ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი* (თბილისი, 2009), გვ. 207-210.

5 *სიკძა*, 5, გვ. 308 (№171).

6 *სიკძა*, 5, გვ. 309-310 (№175).

7 თ. საყვარელიძე, ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დათარიღებისათვის, *ძმ*, №38 (1975), გვ. 27-28; *სიკძა*, 5, გვ. 312-313 (№186); ო. მაისურაძე, ნიჩბისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, *ძმ*, №86 (1990), გვ. 67-75; ვ. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, I, გვ. 86-89, სურ. 70-73, ტაბ. 105-111.

8 სიკძა, 5, გვ. 311-312 (№185).

9 იქვე, 5, გვ. 287 (№107).

10 გამოკვლევებში ეკლესია წმ. გიორგად იწოდება. ვ. ბერიძე, ნინარეხი-გომისჯვარი-სასხორი, გვ. 56; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა* (თბილისი, 1960), გვ. 40; *სიკძა*, 5, გვ. 149 (№061).

11 ცნობილია ეკლესიის სხვა სახელწოდებაც – წმ. იოანე ღმრთისმეტყველისა. ვ. ბერიძე, ნინარეხი-გომისჯვარი-სასხორი, გვ. 607-609; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 39-40; *სიკძა*, 5, გვ. 148 (№058); ვ. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, I, გვ. 119-120, სურ. 99-100.

12 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში მითითებულია, რომ ესაა წმ. გიორგის ეკლესია. *სიკძა*, 5, გვ. 162-163 (№117).

13 ვ. ცინცაძე, იდლეთის ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, *AG*, 3 (1950), გვ. 1-10; თ. ვირსალაძე, იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესიის მხატვრობის ფრაგმენტები, *AG*, 3 (1950), გვ. 11-12; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 14-15; ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1974), გვ. 101, ტაბ. 23; ს. მაკალათია, *ქართული ძეგლის სტრუქტურა* (თბილისი, 1983), გვ. 30-32; *სიკძა*, 5, გვ. 165 (№132).

14 П. Мурадян, *Армянская эпиграфика Грузии* (Ереван, 1985), с. 57-58; *სიკძა*, 5, გვ. 165-166 (№133).

15 П. Мурадян, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57; *სიკძა*, 5, გვ. 166 (№134).

16 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 14; *სიკძა*, 5, გვ. 168-169 (№141).

17 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 16; *სიკძა*, 5, გვ. 172 (№160).

18 *სიკძა*, 5, გვ. 168 (№140); რ. ხვისტანი, *მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის* (თბილისი, 2009), გვ. 81-91, ტაბ. XII-XVI.

19 გ. ჩაჩანიძე, გრიგოლ ვიპატოსის ძეგლი, *სმ*, I (1925), გვ. 261-263; გ. ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, ტ. 1 (ტფილისი, 1936), გვ. 214; Г. Чубинашвили, Вновь открытый памятник древней культуры, *Вопросы истории искусства*, т. 1 (Тбилиси, 1970), с. 140, таб. 42-43; Н. Чубинашвили, *Хандиси* (Тбилиси, 1972), с. 102-108, таб. 76-78; *ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, ტ. I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა* (თბილისი, 1980), გვ. 118-123, სურ. 46-50, ტაბ. 28-30; გ. ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები* (თბილისი, 1998), გვ. 37-38: №98, ტაბ. LXXXVI, სურ, 1-4; К. Мачабели, *Каменные кресты Грузии* (Тбилиси, 1998), с. 166-178, 300-303, *ил.* 8, 19; კ. მაჩაბელი, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები* (თბილისი, 2008), გვ. 14-16, 123-125: №37-43, სურ. 9, ილ. 37-43.

20 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 13; *სიკძა*, 5, გვ. 212-213 (№264).

21 *სიკძა*, 5, გვ. 172 (№153).

22 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 28; *სიკძა*, 5, გვ. 219 (№275).

23 M. Brosset, *II rapport*, გვ. 107-108; ვ. ბერიძე, წინარეხი-გომისჯვარი-სასხორი, გვ. 605-612; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 19; *სიკძა*, 5, გვ. 218-219 (№271); ვ. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, I, გვ. 117, სურ. 95-96, ტაბ. 139; თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204;

24 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 19-20.

25 ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წელს, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, ტ. V (1925), გვ. 134-142; Н. Северов, *Памятники грузинского зодчества* (Москва, 1947), с. 182, *ил.* 50; ვ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI-XVIII სს., *სმმ*, ტ. XIV-B (1947), გვ. 195-217; ვ. ბერიძე, მაღალაანთ ეკლესია, *AG*, 5 (1959), გვ. 205-220; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 21-27; *სიკძა*, 5, გვ. 214-218 (№266); თ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9-12; თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204-207.

26 M. Brosset, *II rapport*, გვ. 106-107; ტ. ალექსი-მესხიშვილი, მონასტერი ქუათახევის ღუთისმშობლის მიძინებისა, *საქართველოს სასულიერო მახარებელი*, IX (1864), გვ. 35-39; А. Хаханов, Експедиция на Кавказ; 1892, 1893, и 1895 г., *МАК*, VII (Москва, 1898), გვ. 61-62; ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129-145; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, *Записки Общества любителей кавказской археологии*, I (1875), с. 77-78; Н. Северов, *Памятники грузинского зодчества*, გვ.181-182, ილ. 47-49; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 28-33; ვ. ბერიძე, *ქვათახევი* (თბილისი, 1960); პლ. იოსელიანი, *დიდი მოურავი გიორგი საააკაძის ცხოვრება* (თბილისი, 1973), გვ. 85-112; ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*, გვ. 153, ტაბ. 152-155; პ. ზაქარაია, *ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა*, ტ. 2 (თბილისი, 1978), გვ. 39-76, ტაბ. 18-32; *სიკძა*, 5, გვ. 199-202 (№223); დ. პავლიაშვილი, *თეძამ-კავთურას ხეობა*, ნაწ. IV (თბილისი, 2005), გვ. 87, 93-97.

27 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 36-37; ნ. ანდღულაძე, გუდალეთის ტაძარი, *ძმ*, №35 (1974), გვ. 19-28; *სიკძა*, 5, გვ. 152-154 (№074).

28 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 37.

29 *სიკძა*, 5, გვ. 154-155 (№080).

30 ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 37; *სიკძა*, 5, გვ. 154 (№075).

31 M. Brosset, *II rapport*, გვ. 108; ს. მაკალათია, *კავთურას ხეობა*, გვ. 37-38; *სიკძა*, 5, გვ. 173-174 (№167).

32 დატოვებულია ადგილი სოფლის სახელწოდებისათვის.

33 ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა* (თბილისი, 1959), გვ. 14-15.

34 ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა*, გვ. 17; Е. Привалова, *Павниси* (Тбилиси, 1977); *სიკძა*, 5, გვ. 146-147 (№054).

35 ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა*, გვ. 20; *სიკძა*, 5, გვ. 182-183 (№196).

36 გ. ბოჭორიძეს აქ ადგილი აქვს დატოვებული.

37 M. Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie*, 3 livr., *VI rapport* (St. Pétersbourg, 1851), p. 31-36; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 170-171; Н. Толстой, Н. Кондаков, *Русские древности в памятниках искусства*, вып. 4 (Санкт-Петербург, 1891), с. 72, рис. 64; ე. თაყაიშვილი, *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*, ტ. 1 (ტფილ-

ისი, 1907), გვ. 213-221; ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა*, გვ. 22-25; პლ. იოსელიანი, *დიდი მოურავი გიორგი საакაძის ცხოვრება*, გვ. 71-82; ი. გომელაური, *ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა* (თბილისი, 1976); *სიკძა*, 5, გვ. 156-158 (№095); დ. პავლიაშვილი, *თეძამ-კავთურას ხეობა*, IV, გვ. 90-93.

38 გ. ბოჭორიძეს აქ დიდი ადგილი აქვს დატოვებული, როგორც ჩანს, წმინდანის სახელის ჩასაწერად.

39 რკონის წარწერების კრიტიკული გამოცემისთვის იხ.: გ. ოთხმეზური, რკონის წარწერები, *არტანუჯი*, №6 (1997), გვ. 9-19. გ. ბოჭორიძესთან მეორე წარწერა სრულად არაა მოყვანილი.

40 ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა*, გვ. 10; *სიკძა*, 5, გვ. 161 (№111).

41 ესაა იგივე კალობანის ეკლესია, ან კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია. ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა*, გვ. 10-11; *სიკძა*, 5, გვ. 160 (№107).

42 *სიკძა*, 5, გვ. 160-161 (№108).

43 წლის ბოლო რიცხვი მითითებული არ არის, როგორც ჩანს, მისი შემდგომი დაზუსტებისათვის.

44 *სიკძა*, 5, გვ. 222-223 (№288).

45 ესაა ნიაბის წმ. გიორგის ეკლესია. ვ. ბერიძე, ნინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI-XVIII საუკუნეებში, გვ. 199; ს. მაკალათია, *თეძმის ხეობა*, გვ. 16-17; *სიკძა*, 5, გვ. 179-180 (№185); ე. კვაჭატაძე, ნიაბის ეკლესიის 1682 წლის რელიეფი, *სს*, 7-8 (2005), გვ. 306-314; გ. ოთხმეზური, ნიაბის წარწერები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, II (2011), გვ. 112-123.

46 პ. ზაქარაია, ქსნის, მჭადიჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, *სმმ*, ტ. XVIII-B (1954), გვ. 132-177; ს. მაკალათია, *ქსნის ხეობა* (თბილისი, 1968), გვ. 31-34; *სიკძა*, 5, გვ. 326-328 (№203); პ. ზაქარაია, *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე*, გვ. 343-351, სურ. 139-142, ტაბ. 109-113.

47 ს. მაკალათია, *ქსნის ხეობა*, გვ. 35.

48 ს. მაკალათია, *ქსნის ხეობა*, გვ. 29-31; თ. სანიკიძე, საქადაგიანო, *ძმ*, №27-28 (1971), გვ. 90-93; *სიკძა*, 5, გვ. 198-199 (№219).

49 Р. Шмерлинг, Т. Барнавели, Храм Ниноцминда на горе Тхоти, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიე-*

რებათა განყოფილების მაცნე, №6 (1963), გვ. 155-167; *სიკძა*, 5, გვ. 138 (№030).

50 *სიკძა*, 5, გვ. 161 (№112).

51 იქვე, 5, გვ. 161-162 (№113).

52 *შიდა ქართლი. ახალგორის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა*, IV (თბილისი, 2008), გვ. 131.

